UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2023 / 1 / (47)

თბილისი
2022



***

გული შენი რწმენით ცოცხლობს,
დარდიანი ვეღარ მღერი,
გთხოვ, უფალო, მომაცოცხლო,
ვცდილობ შევიყვარო მტერი!

გულნაზ ხარაიშვილი



„ჯვარცმა“
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



„ფერისცვალება“



დეისუსი. ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

მამა გაბრიელი

შენი მადლით გული მოვირჩინე,
შემოფრინდა ჩემში გაზაფხული,
გამამდიდრე, ლექსში დამარჩინე,
ნიჭი გქონდა ჩემთვის შენახული.

გულნაზ ხარაიშვილი



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

****

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის სხივით
(მამა ამირან ამირანაშვილს)

და მოდიოდა, სიკეთის სხივით,
ალალი გულით, სითბოს ჩვეული –
მამა ამირან, ვით ბროლის მძივი,
არის ყველასგან გამორჩეული.
აკადემიის წევრობის დღიდან,
ლოცავს დიდსა და.. ლოცავს პატარას,
მისი ხმის ტემბრი მწვერვალობს ღვთიდან,
ფლორაც, ფაუნაც, მისით დამტკბარა.
უფალო, დიდხანს არ მოგვიშალო,
მოძღვარის ლოცვა, მისი ბუბუნი –
მამაოს სითბოს არ გვაშიმშილო,
რადგანაც გალობს როგორც ბულბული.

გულნაზ ხარაიშვილი

შევქმენ ჟურნალი

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა.
მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,
მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.
შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.
ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ჯგუფი ზღვარი

ჯგუფ ზღვარის პოეტები

სერგი ლომაძე

წინასიტყვაობასავით: მეკითხებიან ხოლმე, – შენ, როგორც ხელოვანი, დიდხანს მუშაობ თუ არა შენს ქმნილებებზეო, ანუ აინტერესებთ: დიდი დრო თუ სჭირდება ქმნადობის პროცესს. მე, სერგი, ასე ვპასუხობ მათ: ზოგჯერ სწრაფია პროცესი ქმნადობისა, ზოგჯერ კი – არა. ყოფილა ისეთი ქმნილებებიც, რამდენჯერმე რომ მივუბრუნდი, და დამუშავების ამ პროცესმა ბევრი დრო შეიწირა. საბოლოო შედეგს, ხანდახან, წინა შედეგები სჯობს, თუმცა, ხშირად მაინც ამართლებს პროცესი დამუშავებისა (რაც ასევე სხვადასხვა ხანგრძლივობისაა) და ბოლო შედეგი. მე მჯერა წამებში დაწერილი ქმნილებისაც, მაგრამ იმ ქმნილებისაც მჯერა, დიდი ხნის განმავლობაში რომ იწერება...

სიზმართა მძივი

შენ ნატრობ მხარეს სიზმრებისფერს,
სადაც აზრი აქვს
სიცოცხლეს, სიკვდილს,
უსაზღვრობის, თანაც, ძიებას;
სადაც სიყვარულს
უკვდავების წყალზეც არ ცვლიან;
სად ზამთარიც კი, (მაგიური),
მოვა იებად...
მოიპარავდი, სამუდამოდ,
სიზმრების აცმას –
მძივს გაზღაპრებულს, ათასფერს და
შუქებით მოსილს;
სიზმარი არის
გასაოცრად ლამაზი ჯვარცმა,
სიზმარი არის
უმაღლესი აფრენა ფრთოსნის...

ლურჯი ზეცა

ლურჯი ცა,
სავსე მზის სინათლით,
დაჰყურებს დედამიწას.
ნათელ ცაზე
თეთრი ლაქა არის, –
ეს ფრინველია,
დაფრინავს მაღლა, შორს,
როგორც სული უთეთრესი.
ანათებს სული-ფრინველი.
(ანათებს ადამიანი-ფრინველი).
თრთის დედამიწა,
თან კი თბება
მზის უსასრულობაში.

უსაზღვროება

მე შემიყვარდა უსაზღვროება
და ნაბიჯების დაწერა ქარში;
სტრიქონებს, შექმნილს ფერად გორებად,
ახლავს ტოტების შეშლილი ტაში.
    მარტოსულობამ კვლავაც დამთოვა,
    სხვა ტკივილებიც სამყაროს ერთვის...
    ფული მივეცი მოხუც მათხოვარს...
    რა ვიცი... ეგებ ილოცოს ჩემთვის...
მე ვატყობ, – გრძნობა გაარღვევს ჯებირს,
სტრიქონნი მთებად აიზიდება,
და აღზევდება პოეტის ბედი,
გადაიქცევა ქარად, ზვირთებად,
    და ოკეანე პოეტის საფლავს
    წაშლის – გააქრობს დასასრულს ობლის,
    გზა, უსასრულო, გაჩნდება ახლად,
    მზის ნათებად და ლოცვად ღვთისმშობლის...
    მე შემიყვარდა უსაზღვროება...

მთები

აი ისინი:
გულები – გულში;
მიწაზე ჩამოსული ცანი;
ზეცისკენ წასული ზეცანი;
აი ისინი –
აი მარადისობა...

კახა ბაციკაძე

* * *

ცხოვრება მუდამ თავისას ითხოვს.
ზეცა განიცდის მიწას, ვით სასჯელს.
მე ისევ ვიბრძვი ჩემს კუთვნილ დიდგორს,
და ისევ ეჭვით დავყურებ მაჯებს...
    შენ არ იდარდო... არაფერს ვითხოვ.
    უბრალოდ, ცრემლით ვუმზერ შენს თვალებს...
    ეს შემოდგომა არ გააფითრო.
    მე გავისტუმრებ ამ ფერთა ვალებს.
და თვით წვიმაშიც დამეძებ ნუღარ,
დაგისველდება ტერფები მალე,
თაჯ-მაჰალივით მოთეთროდ ვდუმვარ,
შენ ტუჩებს ახებ ზეცას ნამკრთალევს...
    და არ იდარდო... არაფერს ვითხოვ...
    უბრალოდ, ცრემლით ვასველებ თვალებს...
    აღარც წვიმაში არ მომიძიო,
    დაგისველდება ტერფები მალე...
ცხოვრება არ თმობს ბრძოლის ველს (მინდორს).
ქარი იტაცებს გაღებულ ფანჯრებს.
მეც ისევ ვიბრძვი ჩემს კუთვნილ დიდგორს,
და ისევ ეჭვით დავცქერი მაჯებს...

* * *

გადაუვლია მრავალ ქარიშხალს
ჩემი თვალების გაშლილ ველებზე...

ცის ბინადარი

სულს სისხლისფერი დაღი ატყვია,
როცა ხურავენ სარკმელს ოცნების,
გული კი თითქოს ჩუმი ბარტყია,
რომელსაც ზაფრავს ჩრდილი ცხოვრების.
    მე ვწერდი ლექსებს ადრეც, ვწერ ეხლაც
    (მზე იჭრის ვენებს მწვანე გორებზე),
    ვარჩიე ბედთან სასტიკი შეხლა,
    ვარჩიე ფიქრი ცის სიშორეზე,
და მდაღავს ჩემივ ოცნების რკალი,
როგორც ბეთჰოვენს – ნოტების ღელვა...
ბოლომდე ვრჩები, ვით იდუმალი
ნათება, ზეცის მოლურჯო ელვა...

სერგის შესახებ

...და იყო გზანი, და იყო მთები;
ირგვლივ სუფევდა მღვრიე წყვდიადი;
მეც, ზოგნი სხვანიც, წინ მივიწევდით,
თან მკრთალად ვგრძნობდით დროს განთიადის;
    და სწორედ იმ ჟამს გამოჩნდა კაცი,
    გამოჩნდა იგი, როგორც ნათელი;
    ცალ-ცალკე მყოფნი, შეგვკრიბა მაშინ,
    ცას კი, ღამისგან უღვთოდ გათელილს,
თავზე დაესხა, უცებ, აისი,
გადანათება, სივრცემ, ინება;
კაცი კი გაქრა; ფრაზები, მისი,
გაჰყვა სიზმრების ფერად დინებას...
    იმ კაცს ვხედავდით მერეც და მერეც,
    მეფობდა, აზრებს სტროფებად ქმნიდა,
    მისი სინათლე გადაიმღერეს
    გზებმა, და ზეცას შეხედეს მშვიდად...
ბოლოს, იმ კაცმა, თავისი გული
სტროფებს აჩუქა... ახლა, ვნებული,
ცხოვრობს სხვა დროით (სხვა საუკუნით),
პოეზიაში დასახლებული...

რეალობის უარმყოფელი

ერთ ულამაზეს ქანდაკებას უსმენს, დღედაღამ,
ვინმე შეშლილი ჯადოქარი, და არ მოიწყენს,
ასე იძახის: აქ მუსიკის ტკბილი ხმებია,
სხვა ადგილას რომ ვერასოდეს ვერვინ მოისმენს.

* * *

ჩვენ მივდიოდით ჯვრის მონასტრისკენ
და მოგვყვებოდა ჯვრის მონასტერი...
ოკეანური

შენ დაიბადე, ალბათ, მზის მტვერში,
სადაც სიბნელეც ნათელს უჯერებს,
ჩამოჰყოლილხარ ჰაერს ფილტვებში
და კიბოსავით მიღრღნი უჯრედებს.

მე ვიცი სულის სტრიქონის ფასი,
ჩამოშლილი ვარ გრძნობის სიტყვებად,
შენი თვალების ციხეში დავრჩი
და სამუდამოდ ამ ციხის ტყვე ვარ.

გადაგილეწავ სულის ჯებირებს,
აგიშრიალებ გულის დარბაზებს,
შენს ყველა მზერას დავიზეპირებ
ვით არსაკიძე – ტაძრის ნახაზებს.

შენ დაიბადე, ალბათ, მზის მტვერში,
სადაც სიბნელეც ნათელს უჯერებს,
ჩამოჰყოლილხარ ჰაერს ფილტვებში
და კიბოსავით მიღრღნი უჯრედებს.

სევდა

საღამოს, სტუმრად, სევდა მეწვევა,
მეტყვის, – ქუჩაში ძალიან ყინავს,
ქვეყნად არავინ არ შემიფარა,
შენს გულში მაინც მომეცი ბინა.

შემეცოდება სევდა მწუხარე,
როგორც პატარა, ობოლი ბავშვი,
და მე გავუღებ მას გულის კარებს,
ვეტყვი, – თუ გინდა სულ ჩემთან დარჩი...

გიორგი ზუხბაია

* * *

მე ავიღე ჩუმი წიგნი
და ოცნება წამეკიდა,
მე რა მინდა ამის მეტი,
(მერე რა, რომ მეტი მინდა)...
ჩემი გულის სამყარონი
ფანტაზიის ფარდებს შლიდა, –
როცა ვნახე ჩუმი წიგნი
და ოცნება წამეკიდა...

ჯვარცმა

რომ არა ჯვარცმა, გულს არ მოვთხოვდი,
რომ წავეყვანე ცაში ფიქრით ცის,
რომ არა ჯვარცმა, ხიდან ფოთოლიც
არ მოწყდებოდა სიყვარულისთვის,
არ ეფრქვეოდა ფერებს იერი,
არ დარჩებოდა სინათლე ფერფლთან,
რომ არა ჯვარცმა, მხეცი, მშიერი,
არ დაინდობდა შეპყრობილ მსხვერპლსა,
აღარც ვარსკვლავი, თავის ჩაქრობით,
არ ინათებდა უფრო განმცდელად,
რომ არა ჯვარცმა, ამ სამყაროში
ვინმე იუდა ღმერთს არ გასცემდა,
არ ექნებოდა შანსი სამყაროს
ღმერთი შეეგრძნო დროთა დამწველთა,
რომ არა ჯვარცმა, არვინ, არასდროს,
არვინ, არასდროს, ლექსს არ დაწერდა,
და სიყვარულის შესაძლებლობას
არვინ იგრძნობდა, რომ არა ჯვარცმა...
რამდენ წლისაა გოლგოთა – გრძნობა?
– მარადისია, – მწვერვალმა, ბასრმა,
ეს ჩამოგვძახა უსასრულ ციდან...

თოვლის წერილი

ცრემლი დარდზე მღერის,
თვალნით თვალებს ვუმზერ.
თოვლი წერდა წერილს
და გათოვდა სულზე.

სიშორეებს ვეძებ.
წამი სხვა წამს არ შობს.
მე უშენოდ ვერ ვძლებ,
ღვთაებრივო ბავშვო.

ფერი, ფერზე ფერი,
ხსნის ოცნებებს მთენთველს.
თოვლი წერდა წერილს,
თეთრი მელნით თეთრზე.

ცის ვსაუბრობ სულთან.
ისევ ბაგე – ლოცვის.
მე იმდენად მსურხარ,
რომ ჩემს ლექსებს ვკოცნი.

მხოლოდ შენ ხარ ცის ქვეშ
მოლოდინთა როკვა,
თოვს და თოვლის ფიფქებს
ვევედრები – მომკლან,
რომ უშენოდ აღარ
დავიჯერო, რომ ვარ...

თოვლი წერდა წერილს...

უდიადესი

(ეძღვნება სერგის)

ის ტკივილების ოკეანით მიდის განცდამდი;
(სამყარო ფიქრობს, დრო ბევრია, არის არყოფნაც);
ის შეიძლება დაამსხვრიონ, როგორც ტაძარი,
ან – თვით სიცოცხლე განიცადოს შეურაცხყოფად.
ის არის ერთი, არასოდეს ცდილობს არჩევას,
და შეიძლება ფერფლიც გახდეს, მისებრ ეული,
თუმცა მაშინაც, როცა მისგან არრა დარჩება,
კვლავ იმართება მხრებში, თითქოს კვლავ აქვს სხეული.
ის ცის მსგავსია, სადაც გზებზე გზები დადიან,
არარსებული დასასრული მათში იმღვრევა;
მან, სიკვდილის წინ, ზუსტად იცის, რომ უკვდავია,
რომ უსაწყისო გზა არასდროს არ დაილევა.
იცის, რომ დუმილს ხმაური აქვს, რომ აქვს მუსიკაც;
რომ პოეზიავ, ყველგან შენ ხარ, ყოვლისმხედველო;
სადღაც კი ვიღაც, უცნობ დროში, მისი სულისგან
ააგებს ტაძარს, ულოცვებოს და უკედლებოს...
ის კი, სტროფების შემოქმედი, სტროფებში რჩება...

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი 29 ნოემბერი, 2022 წელი.

მარგალიტის წვეთები

პაპაჩემის პაპას მივემსგავსე,
მე დავცალე ყანწი ღვინით სავსე
და წვეთები მარგალიტის მსგავსი,
არა მსმელებს დავაწუწე თავზე.

რაც წერია-ბარაქაზე, ხვავზე,
შავით თეთრზე, ზოგი თეთრად შავზე,
ძველშავაზე, ხაშმის საფერავზე,
ხელის გულზე ერთად მოვათავსე.

ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს თასი,
ოჯალეშს და ჩხავერს შეუთავსე
და ხვანჭკარა ნუ გგონიათ კვასი,
თან რომ დაგაქვთ ბანკეტზე და ზღვაზე.

ვინც ხართ გოგრის ქერქის კმაყოფაზე,
ვარსკვლავები დაითვალეთ ცაზე,
ვინც არ იცის ოჩხამურის ფასი,
წავშალე და წითლად გადავხაზე.

სტუმარი მყავს ვერ ვიცანი ხმაზე,
არ დალია, რა არ შევთავაზე,
მოუარე ისე და ხან ასე,
უსახელაურის თაობაზე.

ჩამოასხი ნუ ხარ გაქცევაზე,
ახლოსაა ხელის გაწვდენაზე,
ციცქა, ხიხვი, ჭარაქი, თუ ქისი
და მანავის მწვანე შემიფასე.

სად იყავი, რომელ ორბიტაზე?
უკვე მარნის კარი გადავრაზე,
ღვინოს ვინც სვამთ ისე და ხან ასე,
ჭიქით ხელში, რომ დამდგარხართ გზაზე.

გადაჰკარით არ გაუშვათ შანსი,
უძრაობით მოგედებათ ხავსი,
გირჩევნიათ, რომ გატეხოთ ნავსი,
მე კრახუნა ოქროს ტახტზე დავსვი.

პაპაჩემის პაპას მივემსგავსე,
მე დავცალე ყანწი ღვინით სავსე
და წვეთები მარგალიტის მსგავსი,
არა მსმელებს დავაწუწე თავზე...

ბიძაშვილები

მაინც და მაინც ზამთარში,
ქარში, ყინვაში, ავდარში,
ავშარდით ბიძაშვილები
ვერ გავიყავით წილები.

თავზე დაგვადგა პატრული,
თავისი გაკვეთილებით,
ბოდიშის მოხდით კარცერში
შეგვყარეს თავდახრილები.

კარი ჩაკეტეს რკინებით,
წესის გათვალისწინებით,
რა უნდა გვექნა გავერთეთ
ჟანგების ჩამოცილებით.

ლოლუებს ვითვლით სარკმლიდან,
ვტკბებით ამინდის ცვლილებით,
ყინავს, ტკაცუნით სკდებიან
ფეხისთითების ფრჩხილები.

ვაი იმ სუნთქვას რომ ვსუნთქავთ,
ლოდებად გარდაქმნილების
და ისევ დავცხეთ ერთმანეთს
არცერთს არ შეგვრჩა კბილები.

ვიღაც მუტრუკი მოვიდა,
უფლების გადაცილებით,
რომ გადავურჩით ხათრისთვის,
ჩამოგვირიგეს მწნილები.

ვერ გვაშინებენ ჩინებით,
არავის ვემორჩილებით,
თავს ვინუგეშებთ ცალ-ცალკე
მშველელის გამოჩინებით.

გაგვანაწილეს ცალ-ცალკე
წესების განაწილებით,
და მხოლოდ კედლებს ვუყურებთ,
არავის არ ვეცილებით.

ძლივს ადვოკატმა გვიშველა,
თავისი გამოცდილებით,
ჩამოვიბანეთ ტილები
შევრგიდით დავარცნილები..

გადარეული გურული

გადარეული გურული
მართლაც რომ უსაქმურია,
მისდღემჩი დგას და გაჰყვირის
კაჭიჭი ხომ არ გწყურია.

აქეთ მელექედურია,
ზეით ჩოხატაურია,
ბახმარო ყველას დაჰყურებს,
ცხოვრება საამურია.

ქარშიც, წვიმაშიც, რომ დგახარ,
მართლაც რომ შესაშურია,
ჩამოდი კაც გაერიე,
თუ ღვინო დაგიწურია.

მარცხნივ ალადასტურია,
მარჯვნივ ჩხაველის ჭურია,
ჩამოდი პწკალას მოგაწვდით,
ჩვენთან ყველი და პურია.

არ ეყურება გაჰყვირის,
განა მამა-პაპურია,
საერთოდ სიდოურია,
ვინ არის ვისი მდგმურია.

რამდენიც გინდა იყვირე,
ეგ, შენი სამსახურია,
გაშობილაზე რომ დგეხარ,
ვიცით, რომ ჭკვიანურია.

ე, ბიჭო, ღამით გაჩუმდი,
დაღლილებს ძილი გვწყურია,
ჩვენ ნატვაპია კვერცხს ვესვრით,
ვინც ცოტა არკაცურია.

ჩვენ დასიცხულებს ვერ ვგუობთ,
სუფრასთან უგემურია,
არ გვესმის სიტყვებს ვერ ვიგებთ,
ნახევრად ქაოსურია.

რას სჩხავი სად მოგვიწოდებ,
მაგან ხომ არ აურია?
თუ აურია მაგისი,
წამალი ან ყურია.

ქვა ხარ თუ ქანდაკება ხარ,
რამ შეგაყვარა გურია,
და მაინც ვის უყვირიხარ,
გამაგებინე ზურია.

მაყვალა გონაშვილი

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის სალარო,
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო.
როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი,
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო, უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნაწამები, სევდით ამევსო,
მადლობელი ვარ ნუგეშისთვის, მწყემსო კეთილო,
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით, სიყვარულის მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

ქალი სახელით

მითხრეს:
„გრცხვენოდეს, როგორ გხურავს თავზე ჰიჯაბი,
პატივს არ სცემო წინაპართა წესებს, ადათებს“,
მითხრეს:
„მორჩილი უნდა იყო“,
დამაჭრეს ფრთები.
მითხრეს:
„ამაყად ნუ გვიმზერო“!
ჩინი წამართვეს.
მითხრეს:
„ლამაზო, სამკაული მოგიხდებაო,
სისხლის ვარდებით მომიჩითეს მთელი სხეული“.
ზნეობის მცველი – ქონდაქარი მიმზერდა ავად,
„კიდევ დაჰკარით“, – გაჰკიოდა ჟინმორეული.
სექტემბრის ზეცა გადაფარეს თითქოს ყორნებმა,
წამერთო ძალი, მომერია თვალებზე რული,
„გეყოფათ-მეთქი“, – კვნესა დასცდა გამშრალ ბაგეებს,
ვთხოვდი: – „გაჩერდით“, არ გაჩერდნენ,
გაჩერდა გული.
ღრუბლის ჰიჯაბი მოისროლა მზემ და ატირდა,
სილურჯე ღამემ მთვარის ცელით შავად მოცელა,
მერე სითეთრემ გადაშალა ის მრუმე ფერიც,
თეთრმა – საწყისმა ყოვლისა და ყოვლისმომცველმა.
გაჩერდა გული, თუმცა მისი ნება-ძახილი,
ისე, ვით ექო გადავიდა ქალიდან ქალში
და დედამზემაც მოიკვეცა ოქროს დალალი,
როგორც ალამი მწუხარების გაფინა ქარში.
გახსოვდეთ, მახრა ამინია ჩემი საახელი,
რაც იწერება სისხლით იმას ვერავინ წაშლის.

მოშაირე – ფინთი გოგია

სულ მოსაჩვენად ვმღეროდი,
ვითომ ვილხენდი, ვლაღობდი,
ცრუ წუთისოფლის თონეში
კუტი პურივით შავღონდი.

ჩვენი მთავრობის ცვლილება
ჰგავს კახურ შაირს თუ არა,
რამდენი ვირიც ვიყიდე
ყველა გამოდგა კუანა.

მღეროდა ფინთი გოგია,
ფანდურს ჟღრიალი გაჰქონდა,
ვინ რა ჩინ-მედლებს აჰყრიდა,
ან დასაკარგი რა ჰქონდა?

ქიზიყში ობლად გაზრდილი,
იყო უტეხთა გორისა
და ცაზე, როგორც მტევანი,
მწიფდა მზე, შემოდგომისა.

დიდებას ეძებ

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს
ვინღა შემრისხავს?
ხალხის ყაყანმა გადაფარა,
ღმერთო, შენი ხმა.
დღეს არვინ ესვრის დაღლილ პოეტს
დაფნას ან ტყვიას,
ერის ღირსებას და სიწმინდეს
ღრმა ძილით სძინავს.
ერთ თეთრად ფასობს თავდადება,
რწმენა, მორალი
და მაღალ ტახტზე თავს იწონებს
მეფე – დოლარი.
იცვლება ჟამი,
არ იცვლება ქვეყნად არცა – რა,
დიდებას ეძებ?
უნდა იყო ცოტა ცანცარა.
არჩევნებიდან არჩევნების
ვცხოვრობთ ლოდინით,
სიტყვა `სანამდის?~
გულზე გვაწევს, მძიმე ლოდივით,
როს ერის მამას ლაზღანდარა
დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მიწის?
უდაბნოს შინა მღაღადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,
ვინღა შემრისხავს?!

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი, თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეც შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე: –
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასერთი ღამე – გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

ირაკლი ნადარეიშვილი

დე, ლექსი იყოს აღვირახსნილი...

ვუმზერ ფანტელქვეშ ორთქლმოდებულ კოცნის ოხშივარს,
ბეღურებივით მიყუჟვია ერთმანეთს წყვილი
და ერთ კოცნაში ჩატეული სამყაროს ვნებით
ბრწყინავდა ქალის წამწამებზე საოცრად თრთვილი.

არა გრცხვენიათ?! თქვენც ადგილი გინახავთ, რაღა?!
დაუცაცხანეს გამვლელებმა ზიზღნარევ მზერით,
ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ წამს ელოდნენ რა ხანს
და სწორედ ახლა აჭრილიყვნენ ღრუბლებში ფრენით...

მინდოდა მეთქვა: გააგრძელეთ, არ უგდოთ ყური,
დე, ოხრად დარჩეს სიყვარულთან ყველა წესები,
სირცხვილის ლაგამს ნურასოდეს ამოსდებთ გრძნობებს,
ქალ-ვაჟის ტრფობა ღვთისგან არის დანაწესები...

მაგრამ გავჩუმდი, მეც ,,მორალის“ მედო ბორკილი,
თავი დავხარე, ამ წესების თავად მძევალმა,
ვერ ამოთქმულმა გამომიშრო სასა და ყელი,
,,ხალხი რას იტყვის“ -მეც ამ ბრბოში მიწევს შემალვა...

მორალის სუსხმა შემაყინა პირზე ღიმილი
დაგუბებული სათქმელისგან ბაგე გახსნილი,
მე თუ არ ძალმიძს ჩემს გრძნობებზე შეშლილი ბოდვა
დე, ლექსი იყოს უთავბოლოდ აღვირახსნილი.

15.12.2022 წ.

იმის კაცობა დაიწვას...

ქალავ, ცისკარის ძუძუმტევ,
მოწიფულ-შემოთქვეფილო,
როგორც ბალახზე ცის ნამი,
შეკიდულ-შემოფენილო...

ვინ დაგარჩინა აქამდის
აგრე ეულად ყოფისთვის?
იქნებ და გაუჩენიხარ
უფალს უცხო მხრის მოყმისთვის?!

ეგება, სხვა გზით ატარებს
განგება შენს სწორ საბედოს,
ან, იქნებ, მანდვე ახლო გყავს
ძალა არ ჰყოფნის შაგბედოს.

ან, სულაც საქმე შენშია,
მზისა და მთვარის დობილო,
ვინაც კი გაგეარშიყა,
ყველა გსურს დაიძმობილო?!

ყველას დაძმობა უთხარი
ვერვინ გამოდგა წაწალი,
სხვის ნაწნავს იფენს გულ-მკერდზე
შენგან გარიყულ-ნაწვალი...

ნუთუ, ვერავინ შაგატყო
გულს ჩამარხული სურვილი,
რომ უკარებავ მაეკლა
შენი ჟინი და წყურვილი...

იქნებ, ავი ხარ, ქოფაკი,
სიტყვით ასპიტის ენისა
და შენს სარეცელს ჭინჭარი
ვით მოსართავი შვენისა?!

და თუკი არა, ღირს იყოს
თოლს ლიბრის ნისლად ჩაცმისა
ვისშიაც სურვილ ვერ აღძარ
შენი მანდილის დაცვისა.

ვინამც კი ვერ შეგამჩნიოს
ფერხთით ქოფაკად დაგიწვას
შენი ქალობა კი არა,
იმის კაცობა დაიწვას...

13.12.2022 წ.

ლექსის ბუნება...

ყველა ლექსს თავის ფერი აქვს.
მიმპყრობი მზერა-თვალისა,
ზოგს ვერცხლისფერი გადაჰკრავს,
ზოგს ცეცხლისფერი ალისა,

ის ლექსი მოცვისფერია,
ეს კი- შეფაკლულ ატმისა,
წუხანდელს გლოვის ფერი აქვს
ცრემლის, ჯავრის და ძაძისა.

ზოგს ჟოლოსებრი სიმწიფის
ვნებით გახსნილი ბაგისა,
პირველ პაემნით დარცხვენილ
უმანკო ყმაწვილ ქალისა.

ზოგს აპოპრილი სიმინდის,
ზოგს ხორბლისა და ჭვავისა,
ზოგიც ჭინჭრის ველ გამოვლილ
ნასუსხ-დაფოთლილ კანისა.

ის- უძილობის ელფერის,
ეს -მონატრების ჟამისა
ზოგ ლექსს ცისკარის ფერი აქვს
ზოგსაც- უკუნი ღამისა.

ზოგი, მზისფერი ლექსია
ზოგი, მოწყვეტილ ზვავისა
ზოგი მწარ-მწკლარტე იერის
ტყემლის და ჩამქრალ ლავისა

ზოგს ჟანგისფერი გადაჰკრავს,
ზოგიც ჰგავს შინდის ყვავილსა
ზოგს ნაკადულის ფერი აქვს
ზოგსაც, ლოდების სალისა.

ზოგს წვიმისფერი ღრუბელის
ზოგსაც- უდაბნოს ქარისა,
ზოგი მილამულ ნაპირის
და ზოგიც წაბლა ხარისა.

ზოგი თივისფერს გაგონებს
ქვეშაგად გაფენილისა,
ზოგი ჟამისგან შელახულ
მოკირწყლულ ქვაფენილისა,

ზოგი- ზღვისა და ზურმუხტის
ზოგი -ნისლების ფერისა,
ზოგს ლალისფერი გადაჰკრავს
ზოგს დაძველებულ ქვევრისა.

ვინ მოსთვილის, ანდა ვინ აღწერს
ზნე-ფერს, ბუნებას ლექსისა
ზოგი აბრეშუმს წააგავს
ზოგიც ფარდაგებს სელისა,

ზოგ ლექსს ფრთები აქვს არწივის
ზოგს მადა, უძღებ სვავისა
ზოგი იადონს წააგავს,
ზოგიც ნაყრანტალს ყვავისა.

ზოგი შევარდნის მსგავსია,
სიბასრით ქორის კლანჭისა
ზოგიც გუგულს ჰგავს, გაზრდილა
სხვის ბუდეს, როგორც თავისა

ზოგი ტოროლა ჩიტია
ზოგიც ბუ, სიბრძნით ჟამისა
ზოგი შაშვისებრ მგალობი,
თუთამ რომ გაახალისა.

ზოგ ლექსს მწყრისა აქვს იერი
და გოგმანება კაკბისა
ზოგიც მამალი ხოხბივით,
მმოსავი ჭრელი კაბისა.

ზოგი ბეღურას წააგავს
ვერ შესამჩნევი ფერისა,
ზოგიც თოლიას გაგონებს,
მფრინავს ზღვის გულში ღელვისას...

ყველა ლექსს თავის ფერი აქვს
თავისი ჰანგი ქნარისა,
ზოგი გასროლილ ისარს ჰგავს,
ზოგიც მოქნევას ხმალისა.

ზოგი საბრძოლო ჰიმნია,
ზოგიც ჩამოკვრა ზარისა
ეს- სალამურის კვნესას ჰგავს
ის – იავნანას ქალისა.

ზოგი გლოვის ზარს წააგავს,
გამაყრუებელს სმენისა
ზოგი- სუფრაზე მოძახილს
და საგალობელს ერისა.

ზოგი თავისთვის დუდუნებს,
ვით ექო მთის და ხრამისა
ზოგიც უსმენო ყროყინი,
რიდი რომ არ აქვს არვისა.

ზოგი ჩამწვდომი, შემძვრელი
დამპყრობი სმენა -გულისა
ზოგიც, ვით ლოცვა-სალბუნი
დაჭრილ-დაკოდილ სულისა,

ზოგი ზღვის შეშლილ ღელვას ჰგავს
ზოგი კი რწევას ნავისა,
ზოგი სიცოცხლის მსგავსია,
ზოგიც- სიკვდილის წამისა.

ყველა ლექსს თავის სული აქვს
ყველას იღბალი თავისა,
ზოგი მარადჟამს იცოცხლებს,
ზოგიც მსხვერპლია ხვალისა.

01.07.2022 წ.

გათითოკაცება

დავკარგეთ რწმენა და დავკარგეთ ფუნქცია,
ტრამალებს ვემსგავსეთ ნაოხერტიალებს,
მიზან და იდეა გამოცლილ ნაერალს,
განგება ერთ წრეზე დაგვაბორიალებს.

საშოვარ- სარჩოსთვის სხვის კარზე გაქცეულს,
მოწყვეტილ ლოდს ვგავართ კლდენაგორიალებს,
და მაშინ, როგორც კი გაგვშოლტავს ღირსება
ვიხსენებთ კერას და ვაზს ნალოლიავებს.

ვიხსენებთ წარსულს და კვალს ძველი დიდების,
გვემღვრევა სისხლი და გონს ბინდავს ზმანება,
ჰო, ჩვენ ის ერი ვართ, ქრისტეს რომ ჰფიცავდა,
ოდესღაც, გამრჯე და ქარივით თავნება...

ჰო, ჩვენ ის ციხე ვართ, გარედან უტეხი,
ევროპის ფარი და მესიის მახვილი,
ათასი ურჯულო ციტადელს მომდგარი,
რომ გაგვიდევნია ,,ჰკა მაგას“ ძახილით.

ჰო, ჩვენ ის ერი ვართ, უფლისგან რჩეული,
და ახლა ჩვენივე უფალის მგმობელი,
ჰო, ჩვენ იმ წარსულის შობილი ერი ვართ
და ჯერაც ბუნდოვან მომავლის მშობელი...

ჰო, ჩვენ ის ერი ვართ, თავისი მისიით,
მუდამ რომ მზად იყო სისხლმსხვერპლად საღვარად
და ,,ქრისტეს სახელით ძმამ ერთმორწმუნემან“
რწმენაც რომ წააართვა და გადააგვარა.

უპირო, საკუთარ მოყვასის დამკორტნი,
გათითოკაცებულ გენისგან დაცლილი,
ერთურთის ჭამისგან გამაძღარ სტომაქით,
შურისგან აღვსილი და სიქაგაცლილი.

ჰოდა, მაშ, რაღად გვწყინს, სხვის ხელში შემყურეთ,
თუ ვინმე ყურს გვიწევს და თითსაც გაგვიშვერს?!
მანამდე გვექნება მათხოვრის ფუნქცია,
სადამდეც მთვლემარე ღირსება დაგვიშვებს.

ახალი რა გითხრათ, სთქვა უკვე მგოსანმა,
ტრამალებს ვემსგავსეთ ნაოხერტიალებს,
გაიმისკაცება, გაამისკაცება,
,,გათითოკაცება გვაოხერტიალებს.“

16.08.2022 წ.

იყო და არა იყო რა...

იყო და არა იყო რა, იყო ქართული ზღაპარი,
ფასკუნჯები და დევები, ბნელის მსახვრელი ლამპარი,
გრძნეულები და ჭინკები, მზეთუნახავი ყამარი,
ნატვრის თვალი და რაშები, გმირთა სამჭედლო მთა-ბარი.

ხალხის შემწედ და იმედად შექმნილი იგავ-მითები,
ქართველს გმირობა სწყუროდა და სძაგდა ქოსა-ფლიდები,
მეგობრის სადიდებელი, ძმა-ძმისთვის შესახიდები,
ვეფხისტყაოსნის გარეშე, ვინა სთქვა ქალის მზითევი.

იყო და არა იყო რა, იყვნენ გმირები ზღაპრისა,
ალგეთის ლეკვებს გეშავდნენ, ამბავით ამირანისა,
ასფურცელა და ცისკარა, ხუთკუნჭულა და ირმისა,
ცეროდენა და სიზმარა, წინმსწრებნი ბალღის ძილისა.

მეჩონგურე და ფაშგუნდი, კომბლე და ნაცარქექია
თქმულა ნახავარქათამას, თუ სად რამ გაუქექია,
მელიისა და მწყერჩიტას, რწყილის და ჭიანჭველისა
გაუცინარი ხელმწიფის და თვით ნალბანდი მგელისა.

აბესალობ და ეთერი და ყოვლის შემძლე ჭინჭრაქა,
მეფეს რომ ცოცხალი დევი საჩუქრად სკივრით მიჰგვარა.
ილანკუღა და უქნარა, უხეირო და წიქარა,
ყველა იცოდა ქართველმა, ვინმემ თუ სადმე მიჰქარა,

იახსარი და კოპალა, მმუსრავი ავსულთ ძვალისა,
ამბავი ია ხათუნის და მითი ლერწმის ქალისა,
ზღაპარი ველის ყვავილის, გერის და დედინაცვლისა,
კატის და ვეფხვის იგავი და ნალის შეჭამანდისა.

იყო და არა იყო რა, იყო დრო ქართულ ზღაპრისა
ზნეობისა და მორალის, სასწავლი გულ და თვალისა
გმირად აღმზრდელი ვაჟების, ოჯახის ერთგულ ქალისა,
წარსულის სადიდებელი, იმედის სხივი ხვალისა...

უწინ ზღაპრისგან ვიღებდით რწმენას საკუთარ ძალისა,
ვაი, რომ ძილისპირულიც დღეს მოდამ მოისაკლისა,
“ქატო -იქა და ფქვილი -აქ” : ვინღაა მთქმელი ამისა ?!
ეჰ, იყო და არა იყო, იყო დრო ქართულ ზღაპრისა.

29.08.2022 წ.



თემურ გოგსაძე

ავტოპორტრეტი

მიყვარს ჩემში, დედა-მიწის სურნელება!..
მაგრამ მაინც, მთავარია, უფლის ნება!
ჰუმორები, ქცევის რიტმებს, თუ განაგებს,
რწმენის არსი- მარადიულს გვიქადაგებს!

ხშირად ვიცვლი, ემოცია, გრძნობა-აღქმას!...
არ ვღალატობ, სულში, სიყვარულის აღთქმას!...
მე, დუმილის მეტყველება, უფრო მიყვარს-
ღირსებიდან, არასდროს არ გადამიყვანს!...

ვეთხოვები ცოდნას, რაც მხდის- უცოდინარს!..
ვეძებ სიბრძნეს, სიკვდილ-სიცოცხლიდან, მდინარს!...
სიგიჟეა, ანდა, იქნებ, უფრო მეტიც-
გარდასახვა, ძებნა-სულ სხვა, ინტელექტის!...

ეპიფიზშიც, ვერ ეტევა, ჩემი სული,
პლანეტების გონის თხემში, გარდასული!
აზრთა დოღი, შეუცნობელ, ძალას იძენს,
სადღაც ქრება, დაბრკოლება-დრო და სიგრძე!

წარმოსახვა, უსასრულო, წყებად მოდის,
თუმცა მახსოვს, გარდასული, დროის კოდიც!...
თავისუფლად მონავარდე-ცნობიერი,
ვერ იქნება, ვერცერთ დროში, ზომიერი!...

გონი ჩემი, უსასრულო ზღვარსაც გასცდა...
ჭეშმარიტი ნეტარების, მხიბლავს, განცდა!...
ჯოჯოხეთს თუ, სამოთხის გზას, კი არ ვარჩევ-
მარადიულ წრე-ბრუნვაში, მინდა დავრჩე!...

ასეთია, გარდამოსვლის, სრული, არსი!-
აღმასვლებით იზომება, დროის ფასი!
იფანტება, წუთისოფლის, სევდა-ჯავრი,
თუ გონება, ხდება, ღმერთის თანამგზავრი!

ჰუმორები – ადამიანის სხეულში, სითხედ გარდაქმნილი სინერგია, რომელიც ქცევებს განაგებს
ეპიფიზი – ტვინის ჯირკვალი, სადაც, მეცნიერების აზრით, სულია მოთავსებული

ეს ფოტო და ლექსი, თანატოლები არიან!
ღვთის სიყვარულით, ვიტყვი-კაცხის
სვეტზე ასვლის ჟამსაა დაწერილი!
უცნაურად დაიკარგა და ახლახანს ვიპოვე?!

* * *

...მიზიდავს, მხიბლავს, რაც
სამყაროში -
ცოტა, მარტივი და უბრალოა?!
წუთისოფელში,
დროის მადლს – დროში,
არ ვფლანგავ, რადგან სავალალოა!

არ მინდა- ბევრი,
ცოტას – ვჯერდები!
რადგან ამ ქვეყნად,
კარგი – ცოტაა?!
ბოროტთან, ვიცი, ვერ შევჯერდები!
ბევრში კი, რადგან, ბევრი – ცოდვაა!

აღტაცებულის
ცრემლით მასველებს -
გარშემო, რაც კი, ბუნებრივია!
მარტივი, რადგან,
სიბრძნით მეტყველებს!
უბრალო, რადგან,
ღვთაებრივია!

და ღმერთიც,
მერე, მარტივად, მოვა?!
უბრალო, იმ დროს,
ცოტა-ვიქნებით?!
ანტიქრისტესგან -
მოვლენილ გლოვას,
განვეშორებით,
უფლის მიგნებით!
თ. გ. ,, სუეტი დიდისა კაცხისა"

მის უწმინდესობას,
საქართველოს კათოლიკოს
პატრიარქ-ამბროსი ხელაიას!

,,ზეკაცო და ღირსეულო,
უწმინდესო პატრიარქო!
მოგვიტევე!..
მოგვიტევე!..
დღეს, სამშობლო, რომ არ გვაქო?!

მაინც, თქვენი შემყურე ვართ
და წმინდანთა,
ყველა დასმა -
ლოცვა უნდა შეგვაშველოთ!..
ე რ თ ო ბ ი ს ა -
გთხოვთ, ხელდასმას!
ერთად ვიხსნათ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!"

ამ ფრაზებით, გილოცავთ, ბზობას!

მე ვარ, ქართველი!

იბერთ მიწაზე-მოვლინებით!..
გენით და გონით!..
რწმენით და ნებით! -
მე ვარ, ქართველი!
-ქვეყნის ბედ-იღბალს,
სხვის სასწორზე,
არასდროს, ვწონი!..
-სიყვარულს, სხვაგან,
ვერსად, ვპოვებ,
რასაც, აქ, ველი!..
შევტრფი-მომავალს,
ამიტომაც, ხატია-ძველი!..
უფლის ანდერძით-
ეს მიწა, მაქვს,
მე, დასაცველი!..
მე ვარ, ქართველი!
და ამისთვის,
ბევრჯერ, ჯვარცმული!..
მაგრამ, არასდროს, დაცემული,
რადგან, ჩემს, რტოებს,
დასაბამიდან ასაზრდოებს-
პლანეტარული სიყვარული,
ყოვლისმომცველი!
თ. გ. ,,ლომისობა"

სიყვარულის დრო

...არავინ იცის – მზის კაბადონზე,
ან სამყაროში – დრო თუა მართლა?!
მარადისობა გავცვალეთ დროზე
და დავადგინეთ წამების ათვლა?!
...შემოგვეპარა ამგვარად ბზარი...
ვერაფერს გეტყვით, ღვთის სამსჯავროზე!
უნდა დავბრუნდეთ – თორმეტი კარი,
იხსნება მხოლოდ -,,ამორეს დროზე"!
სამყარო არსობს,ფერისცვალებით!
ერთადერთია, რაც დროშიც მკვიდრობს,
მართლაც ყველაფერს სანაცვალები-
სიყვარულის დრო, სიყვარულის დრო!
ის, ყველა ტკივილს, უმალ უკურნებს!
უფრო დიდია, რაც გვიწამია!
წამი მოიცავს, მთელს საუკუნეს
და საუკუნეც, ერთი წამია!
...სიყვარულია ხსნა და ნუგეში!
მისი სათავე, ითქვა-ღმერთია!
ასე, სხვადასხვა, დროს და სივრცეში-
ყველგან, ყოველთვის-ეს დრო ერთია!
... არც დასაბამი! – არც დასასრული!
მხოლოდ და მხოლოდ – სიყვარულის დრო!
ამაზე გალობს, ზეცად ასული -
,,სვეტიცხოველი" თუ ,,სან პიეტრო"!
სამსჯავრო- ყველას გადაგვაფასებს?!
წელთაღრიცხვებში ქრება საწუთრო?!
მარადისობის სინაზით გვავსებს-
მხოლოდ და მხოლოდ, სიყვარულის დრო!
... მეც შენთვის, მხოლოდ, ეს უნდა მეთქვა-
მამა-ზეციერს, ერთხმად ვევედროთ-
არ შეგვიჩეროს ამ გულთა ფეთქვა,
არ შეგვიჩეროს სიყვარულის დრო!

რ წ მ ე ნ ა

რწმენა – მზის სხივებს, ჩაექარგება,
კოსმიურ ელვას აედევნება!..
ღვთისკენ სავალი გზა, იკარგება,
რწმენა თუ ეჭვის ჯვარზე – ევნება?!

ეჭვი, უფალთან ყოფნას, არ გაცლის?!
ხდები- ცოდვილი და უსახური?!
ასე, თანდათან, იქმნება- კაცი,
ეშმაკისა და ღმერთის, მსახური?!

რიტუალებში გავცვალეთ – არსი?!
აღარ ვართ, რწმენით – თავისუფალი?!
ღვთის მსახურებაც, შეიქმნა ფარსი?!
მხოლოდ შიშის დროს, გვახსოვს, უფალი?!

სიყვარულისგან, სრულად დაცლილი-
ვართ, ელემენტთა, უცხო – ნაერთი?!
ამპარტავნულად ხელებგაწვდილის,
როგორ შეისმენს, ჩვენს ლოცვას, ღმერთი?!

ცოდვის ბორბალზე, სანამ ვიბრუნებთ,
არ გაიხსნება – ლურჯი თაღები!
ვიდრე, სიყვარულს, არ დავიბრუნებთ,
ვიდრე, რწმენით არ დავიდაღებით!

კოსმიურ ნისლებს, რწმენის კომეტა,
გაარღვევს – გახსნის, მეხსიერებას-
მალე, ცოდვისგან დახსნილ, პლანეტას,
უფალი, ცრემლით, მოეფერება!

(ჟამი დიდ მარხვისა.)

ლია ვახტანგიშვილი

"ასიმეტრია"

როგორ მინდა ერთმანეთს რომ უსმენდნენ: თავი, თვალი, გული, ყელ-ყურ-ბაგენი...
იხარშება თავში ჩემი გონება – ეჰ! რამდენი დამიგროვდა სათქმელი...
გული ებრძვის წამდაუწუმ გონებას, გახსნილი აქვს თავის ორი სარქველი...
მანაც თავის დოლაბებზე ჩქარ-ჩქარა, ჩამოყარა ჯერ არ თქმული საფქველი...
თვალმა მშვიდად გადახედა „მეზობლებს", მერე დარჩა ორივეზე ნაწყენი...
შეახსენა-"მე ვარ თქვენი სინათლე", ჩემს გარეშე სანთელივით ჩაქრებით...
მარგალიტმა აწრიალა ნიჟარა, ვერ ისმინა ყურმა სიტყვა საქები...
და სამივეს ჩვეულ ყოფით სიდინჯით, მოწყენილმა უთხრა მანაც სათქმელი..
თუ არ ესმით თქვენს მოკეთეს რასა იქმნთ, გაბნეულნი მაშინ სწორ გზას ასცდებით...
ნუ გარბიხართ! დაელოდეთ ერთმანეთს და მარყუჟით ოქროს ძაბით ჩაებით..
თორემ ხედავთ? ცალ-ცალკე რომ მეომრობთ, ჩასაფრებულ მტრის ხაფანგში გაებით..
შეიგრძენით ერთმანეთის ტკივილი, აღარ ივლით ვიშვიშით და ვაებით...
თვალმა უნდა დაინახოს ყოველი, დრო და ჟამის წუთები და წამები...
გულმა, უნდა შეაშველოს სუყველას იარებზედ, მალამო და წამლები...
ყურმა კიდევ დაუამოს გონებას, არ იაროს საცოდავმა წვალებით...
და გონებამ ბაგეს მისცეს მარაგი, ხალხს გააცნოს უფლის სიტყვა სწავლებით...
ასე მივა, კაცი ისევ ღმერთამდე, მართალია კი ექნება დარდები...
როდის იყო რომ უეკლოდ მეგობარს, სატრფოსათვის უკრეფია ვარდები...
გეყოთ შური, თვალთმაქცობა, ფლიდობა, აღარ გინდათ ამოდენა შარები..
ის შეირგეთ რაც უფალმა მოგმადლათ, ნუ დაატყვეთ ღმერთს სახეზე ღარები...
და იკმარეთ რაც მოგეცათ მაღლიდან, არ ინატროთ სხვისი „მწვანე" თვალები..
ხომ ისედაც დაგროვილი ბევრი გვაქვს, „დამის და ევას" – ცოდვის ვალები...
თვალის ჩინი სწორედ მიტომ მოგვეცა, გაგვერჩია ცუდებისგან კარგები..
უფლის ხელმა შექმნა ესე სამყარო, დააწყვილა მდედრები და მამრები..
დღეს ჰგონიათ ადამივით შიშვლებმა, უნდა ხიბლონ ევასავით ქალები...
გაიძარცვეს ტანზედ რბილი სამოსი და გაუღეს სიძვას ფართოდ კარები...
ის ფოთოლიც ჩამოიხსნეს რაც ჰქონდათ, ევას ტანზედ სულიწმინდით ნაფენი...
დედის სახე სულ გათელეს ტალახაში, ცრემლით მორწყეს მისი კაბის კალთები..
ნუთუ ისე გაგიჭირდათ ტარება, ტანზედ გეცვათ სულ მცირედი ნაჭერი?..
ზოგჯერ ბრმა სჯობს იყო მეტად ხილულზედ, მისი სული, ისე არ არს ნატკენი...
ნუთუ ჩვენი გულის წვერის საკემსად, „დედა-ღვთისას" კვლავ ექნება ძაფები?..

მამონისკენ ნუ გავრბივართ ფართო გზით, წინ დაგვხვდება ხრამის პირზედ „ფარდები“..
„თვალხილულნო“! იმის იქეთ ცეცხლია, გვეშინოდეს ორთავ ფეხით ვარდებით...
გაგვიძელი! თვალო, გულო, გონებავ, განგვიწმინდე ღმერთო მყრალი ბაგენი...
„მამას“ – შვილნი არასოდეს არა სურს, სატანჯველში ნახოს ნაცემ-ნაგვემი...
ნუთუ ღირდა ომებით და ვირუსით, ამტყდარიყო საგანგაშო ზარები?...
დედამიწას რომ ჰყოლოდა სატირლად, ამოდენა უცოდველი გვამები...
ის დრო დადგა გავახილოთ სუყველამ, დახუჭული სულიერი თვალები...
ჩვენ წავალთ და სხვები მოვლენ შემცვლელად, აქ დარჩება კაცის კარგი სახელი...
ხოდა, გვიჯობს ჩვენს „ნაწილებს“ მივხედოთ და გაუღოთ უფალს გულის კარები..❤

ვინ რას იწონებს..❤

ისევ ბუნება, თუ მომირჩენს გულზედ ჭრილობებს..
და ეკლესია „მომაფარებს“ სულზედ ჭილობებს...
თორემ კი ვხვდები, მშიერი ღორი ხვალეც იღორებს...
სუსტი ნერვების მეპატრონე, ისევ ილოთებს...
„ქორი“ ყორანთან ძინძგლაობაში, ისევ იქორებს...
„დათვი“ კი ყველა ტყის ცხოველებს, ისევ „იჩმორებს“...
„ნაცარქექია“ ცხელი ბუხრის წინ, ოთხით იხოხებს....
ქვრივის და ობლის თვალზედ ცრემლები, ღაწვზედ იგორებს...
მოხუცები კი ჩავლილ დღეებს, ნატვრით იგონებს..
რითიც ტკბებიან, გადაღლილნი მით გულს იოხებს....
ვნებაში მყოფი, თავის „ხვაშიადს“ წამლით „ისწორებს“...
ეგოისტობით ცოლი და ქმარი, შვილებს იშორებს...
მხოლოდ ბავშვია ის ერთადერთი, ვინც კი იმორცხვებს....
ახალგაზრდები ტანის სიშიშვლით თავებს იწონებს...
დედამიწაზე არ დარჩა კუთხე, რომ არ იომეს...
წინაპრის სისხლით მორწყულ მიწას, მტერი იფორმებს...
ნასწავლი კაცის სიტყვა ტალახაში, მაინც იცოცხლებს...
იუდას მოდგმას რა დაემართათ, უნდა ვიცოდეთ....
დღემდე შენდობა „უფალ-ღმერთისაგან“ არა ითხოვეს....
დღესაც წვალობენ მუხლჩაუხრელად, ვერც რა იშოვეს...
თუმც დღე და ღამე, ვერცხლის შოვნისთვის ბევრი იშრომეს....
ამიტომაც არს, ღმერთს ვეცოდებით, დღეებს გვიმოკლებს...
და, გველოდება ჩვენ-გულიანად როდის ვილოცებთ...

სახელი ნეტავ რა ჰქვია?..

სიტკბოება და სიმწარე, გვერდიგვერდ ერთად დადიან...
დიახ, წიწაკა და თაფლი ერთ „მამის“ შვილნი არიან..
წიწაკას პირის დაბანა, ცხარე ცრემლებით სწადია....
არც არვინ არ ებრალება, წითელი კაბა აცვია...
მის გამობერილ მუცელში, მხოლოდ და სისხლი ასხია...
სადაც გაიდგა ფესვები, გაჰყო შუაზე ნაცია...
იგი, იყო და იქნება: ცხარე, ქოფაკი, ქვაწვია...
არადა მზარეულებთან, სულ შრომაში და ღვაწლშია...
სუფრის ლარნაკზე ზემოდან, წამოსკუპული თავშია...
ისეთს იზიდავს და ხიბლავს, რა გემოვნებაც კაცშია...
ვინმემ რომ სადმე „უკბიჩოს“, წამში ამჟღავნებს ხასიათს...

თაფლი კი სიამ-ტკბილობის, ოქროსფერ ფიჭის გარსშია...
ადვილად არ გაერევა, არც ძმარში, და – არც წყალშია...
სამაგიეროდ, დაუტკბობს ენას თუ ვინმე შარშია...
„ბზიკს“ ფუტკარს ჩამოაშორებს და ამოახრჩობს კასრშია...
ყველა წამალი რაც ვიცით, სულ თავმოყრილი თაფლშია....
ბაბუ-ბებიის რეცეპტით, მომობნეულა ხალხშია...
უგოზინაყოდ ახალ წელს, არაფერს არ აქვს ფასია...
ადამიანის ბუნებაც წააგავს ორთავს-ხასიათს...
ხან ისუსხება ენიდან, ხან ქველმოქმედი მადლშია..
ხან დაპურებულ მარცვალს ჰგავს, ხან ცარიელი თასია...
ხან აღმშენებელ მეფეს ჰგავს, ხან პარაზიტი ღვარძლია...
რამდენი კაციც არსებობს, ორჯერ იმდენი თვალია...
წიწაკის ფერი იზიდავს და მისი ცქერით მთვრალია...
ვინც ტანჯვით მიიზლაზნება, იგი მაისის თაფლია...
ამ ორის ძმობას მითხარით, სახელი – ნეტავ რა ქვიათ?
„ორივე" – სუფრის მშვენება, თავსა და ბოლოს აწყვია..

„ბაასი დღისა და ღამისა“....

გუშინდელი დღე გაიქცა, მოგონებად გადაიქცა..
ზოგი წელში გაიმართა, ზოგი კიდევ ძირს წაიქცა...
დღემ თავისი კალო ლეწა, ჩამოფქვა და სად გაიქცა?..
შეიცვალა გეზი წამში, „ჩიტის ფრთები გადაიცვა“...
ახალმა დღემ თავის გეგმა, დილიდანვე გადაწყვიტა...
შვიდასოცი წუთი თვალა და ბოლოში გადაფითრდა...
ეს დრო მცირედ მოეჩვენა და წუხილმა აატირა..
მართალია, მზემ სხივები გულზედ თბილად დააფინა.
სულ ერთ დღეში დაამაჭრა, ერთ დღეშივე დააღვინა..
„მოემზადა ღმერთი“ დღისთვის მოესმინა, თუ რა ჭირდა...
დღემ კი ცრემლით განუმარტა, გულს იმისას, თუ – რაც ღრღნიდა..
(„მინდოდა რომ დამეთვალა, კარგი საქმე ჩემიც-სხვისაც...
ცოდვამ შთანთქა ყველაფერი, რაც კი მქონდა მადლი ციდან...
ვერაფერი მოვასწარი, ვერ მივხედე ვეღარც შვილსა..
მხოლოდ დირე დავინახე, თვალში საკუთარი ძმისა...
ვერც მებრძოლად გამოვდექი, სისხლი მესვა ჩემი მტრისა...
მივხვდი რომ არ დაგეტანჯე, შემაგუე ბოლოს ბინდსა...
მერე მთვარეც მესტუმრა და მებაასა, მიმცა ძილსა...
არ ითხოვდა ჩემგან მცირედს, თუნდაც სხივთგან ცოტა წილსა..
მას თავისი დარდი ჰქონდა, მგზავრი იყო ღამით ცისა..
ვარსკვლავებში დაცურავდა, ვით ტალღები ლურჯი ზღვისა...
როცა მაგრად დაიღალა, შეისვენა, ეცა ხიდსა...
ხიდის ბოლო ქიმზე იდო, შუა გამყოფ სალი კლდისა...
ცრემლის კვალი ეტყობოდა ამ კლდეს, ჩავლილ წინა დღისა...
როცა ერთურთს შევეჯახეთ, ჩვენ ვამბობდით „შენზედ“ ძვირსა...
ვთვალეთ, ვთვალეთ, ვერ დავთვალეთ, „ვინ“ ვიყავით, რამდენ წლისა..
ათას ამბის მომსწრე გავხდით, ჩვენც ვიქმოდით ჩვენებრ წილსა..
მაგრამ, მაინც ვერ გავიგეთ, ვინ უკან და– ვინა წინა..

ერთი კია, მომდევნო დღე, გასული დღის ცრემლებს ყრიდა...
მომდევნო დღე კი იმედით, ელის „შენს მადლს“ ისევ ციდან..
ღმერთმა – „ორნივ" – დაამშვიდა, არ დატოვა მწუხრი ფიქრთან...
დაარიგა: იმეგობრეთ! დღე და ღამევ! "ჩემს ერთ შვილთან“...
დღისით გულებს დაგიდუღებთ, თვალში გაგინათებთ სხივსა...
ღამით კიდევ გადაღლილებს, ისევ მოგგვრით ტკბილსა ძილსა...
მეც მას მივცემ სამკვიდროდან, თუნდ პატარას, მცირედ წილსა...
ვისაც გული თბილი გქონდათ, ტანი კიდევ ალმას-ქვისა...
შევიწყნარებ ყველა ობოლს, გლახაკსა და საწყალ ქვრივსა..
ხომ იცით რომ, თქვენ როცა თვლემთ, ძილშიაც კი, მე თქვენ გიცავთ...
ამიტომაც დაელოდეთ! ციდან ნატყორცნ მანდ – ჩემს ნიშანს!..
საბოლოოდ სად წაგიყვანთ, საიდუმლო – ჯერ არ მითქვამს..❤❤❤

ღმერთო მოგვხედე!..

რა უღიმღამოდ თენდება და უღიმღამოდ ღამდება..
ჩონგურის სიმზე ცხოვრება, აღარ და აღარ ლაგდება...
ღრუბლებს რად სცვივა ცრემლები, ეს იცის მხოლოდ ნაკლებმა...
რამ აატკივა მას გული, რომელმა-ვისმა დარდებმა...
რას მოვესწარით? ▯ ა ნახეს, ამ ჩვენ საწყალმა თვალებმა...
კაცი-კაცს კოცნის, ქალი-ქალს, ეს აიტაცეს ბავშვებმა..
ამ უმსგასვსობის შემყურე, მზეც ღრუბლის მიღმა გაშეშდა...
ნუთუ ჩაიმტვრა ეს ღერძი და დედამიწა გაჩერდა?..
ღმერთი ისედაც ყოველთვის, ზამთარში ავდარს გვაჩვევდა...
მაგრამ სიყვარულს ერთურთის, სითბოს ზეწრებით გვაფენდა...
დღეს კი რა ხდება? „ელიტა“ გაშიშვლდა, სულ მთლად გაცეტდა...
ბალალაიკის სიმებზე, ეშმაკი კუდით აცეკვდა...
გადაავიწყდათ რომ ერთ დროს, ღორების კოლტი აღზევდა...
და გადაეშვნენ კლდის კბოდან, ზღვამ მათი ძვლები ჩაჩექვა...
რა ვქნა! ▯ ა კალმით დავწერო! საქმე არა გვაქვს საქებრად...
და რასაც გეტყვით, არავინ აღარ მიიღოთ საწყენად...
გამოვჩერჩეტდით, დავეცით, ვიწევთ ერთურთის საკბენად...
ამ ოხერ ფულის გულისთვის, გადავიქეცით სახედრად...
როზგი გადაგვკრა ბატონმა, ნაჭამ-ნასვამ და ნაკვებმა...
ჩვენ კი შევცქერით ყვარყვარეს, ვამბობთ რაღა ვქნათ საწყლებმა?..
იქნება გადაიდაროს, ღრუბლები ფანტოს ქარებმა...
ოჯახში ფესვი გაიდგან, ღმერთის მოშიშმა ვაჟებმა...
შვილები შობონ ქალებმა და არა კოლბის „კარებმა“...
პირმშო აღზარდონ დედებმა, გარეთ იშრომონ მამებმა...
დრო სანატრელი გაგვიხდა, რაც განვლეს ჩვენმა პაპებმა...
„მკურნალო“! დროზე გვიშველე! ბოლო მოგვიღეს დარდებმა...

თეა ბარბაქაძე

* * *

ყური მიუგდე, როგორ მღერის იავნანას და
გაშლილ მკლავებში უწვენია ჩემი სხეული...
მარადისობის მოლოდინში წუთებს მპარავს და
ზღაპრებს მიყვება სამყაროზე გადარეული...

ქარს რას გაუგებ, ხან ნაზია, ხანაც თავნება,
ცდილობს აკვნიდან გაიტაცოს ჩემი სხეული...

ჩემი ლექსი...

ჩემი ლექსია –
გულს ცეცხლად რომ შემოგენთება
და მერამდენედ გაგიტაცებს სულის ტაძარში...
ჩემი ლექსია – ასტრალში რომ შემოგეფეთა,
რამდენჯერ კვალზე დაგაყენა გზიდან ამცდარი...

ჩემი ლექსია – გულწასულს რომ შემოგეშველა
და ლოცვასავით დაიარა თიხის ტაძარი...
ჩემი ლექსია – ლაჟვარდზე რომ წამოგეშველა,
ანგელოზებთან გათამაშა ყრმობის აკვანში...

ჩემი ლექსია – პირჯვრიდან რომ გარდმოესვენა,
ჯვარზეც შენს ნაცვლად ეწამა და
დარჩა მართალი...
ჩემი ლექსია – ტაძარში რომ ხატად ესვენა
და გზას გინათებს სიბნელეში როგორც
ლამპარი...

ჩემი ლექსია – მცნებებად რომ შემოგელექსა,
გაგიიოლა ბევრჯერ გზები ღვთისკენ სავალი...
ბევრჯერ ჯვარს გაცვა და ტკივილი დაგათმენინა
და მერე ისევ აღგადგინა ცამდე მართალი...

* * *

ვალდებული ხარ – ნათლისღების იღო ნათელი....
და, თუ შეძელი – უფლის მადლით კიდეც რომ
წირო....
დაგაგროვე და ვიცი ერთად ამომასკდები....
გთხოვ – უსასრულო ტკივილისთვის აღარ
გამწირო....

რომ დავიტიო – ყველა წყენა, სულის წამება,
რომ ყველას ჯვარი გოლგოთამდე ზურგით
ავზიდო....
მარტოობისთვის თუ გამწირეს შენმა თვალებმა....
იქნება ზეცამ უშენობას გადამარჩინოს....

ახლა გრიგალიც გადაივლის, გაცისკროვნდები....
ახლა მწვერვალებს ნისლისფერი ლანდი
დალანდავს....
შემაძლებინე – სულით შეგწვდე ზეცავ და ნებით....
არ გადავიქცე ნაომარი სულიდან – ლანდად....

ჩავიმუხლები შენს წინაშე – ჩემო უფალო....
ღმერთში გეძიე....
ღმერთში გსდიე....
ღმერთში გიცანი....
გეხვეწებოდი, ნუ იქნები ჩემთვის – უკვალო,
როცა გეძებდი და საკუთარ სულში გიცავდი....

როცა გიცანი და საკუთარ სულში გიცავდი,
როცა გედექი საკუთარი სულის დარაჯად....
ცათა სიშლეგით განდგომილი დღეებს ვფიცავდი....
ებურა დღეებს საოცარი თოვლის ფარაჯა....

მოსჩქეფს სულიდან – თოვლისფერი დღეთა მირონი,
რომ დედამიწაც ნათელს იღებს – ცათა ფიფქიდან....
რომ დედამიწაც ბეთაბრაა, სანაპირონი -
მღაღადებელნი ნათლისღების სასწაულისა....

მეც მტკივა ისე – როგორც ქრისტეს ტკიოდა
ჯვარცმა....
მეც მიჭირს ახლა – გოლგოთამდე ვზიდო სხეული....
თუ დამიტია ჯვარცმისათვის – სამყაროს ჯვარმა,
თუ გადაურჩა ყველა ჯვარცმას – სული ეული....

წვეთ-წვეთ ნადენო, როგორ მინდა ახლა შენდობა....
როგორ მჭირდება – შენი ძალა, შენი სიდიდე....
როცა გიგრძენი ჩემში რწმენას როგორ ხარობდი....
როცა საკუთარ რწმენას ვრწყავდი – ღმერთი
ვიხილე....

* * *

თუ გაპატიეს, შეგნებულად ისევ შესცოდავ,
იუდასავით ჩვევად გექცა რადგან ღალატი,
ხორცის საძღომად ნუ ამატებ ცოდვაზე ცოდვას,
სულს ნუ წაიწყმედ, ნუ დარჩები სულით ღატაკი...
გაუფასურდა ყველა გრძნობა, ღმერთიც გაყიდეს
და მონეტებზე მონასტერის იწყეს შენება,
ურანდავს ნუღარ ეწვალვი და აშალაშინებ,
აზრი არა აქვს უსაძირკვლო სახლის შენებას...
დააკაკუნებ და თვალებში დამიბნელდება,
ლამის მუხლებზე დავეცე და ვიწყო ღაღადი...
ხან შენი მადლი ციდან ისე გამიბევრდება,
ასე მგონია სულში მიდუღს შენი ღადარი...
დედა რომ მყავდეს ახლა გვერდით ასე მეტყოდა,
როგორ შევცდი რომ ჩემს გვერდიდან სხვაგან გაგიშვი,
აზრი არ ჰქონდა იმ ბუდიდან ცაში აფრენას,
ბარემ ჩემს ტანში ვყოფილიყავ გამოკეტილი.
ჩამომალეწა სადარდელმა სუსტი ტოტები,
ეს უშენობაც ამინდივით ისე გახუნდა,
იმ ოლეანდრას, შენ რომ ასე დაჰფოფინებდი,
უშენობისგან ტანი კი არ, ფესვიც გაუხმა.
შენს კალთას მინდა შევეყუჟო, როგორც ღვთის მშობელს,
ცრემლიც აღარ მდის რა ხანია, ისიც გამიშრა,
ერთხელაც არ ვთქვი საყვედური და რადგან მშობე,
მადლიერებით გულისცემა უფრო გახშირდა.
გახშირდა ქარის მოტანილი შენი სურნელიც
და ჩემს ძარღვებში შენი სისხლი ისევ აყივლდა...
ყველა ყალბია, მხოლოდ ღმერთი დარჩა უცვლელი
და გოლგოთაზე – ღვთის მშობელი ისევ ატირდა.

* * *

ხანდახან ცრემლს რომ დამალავ და ღიმილად სკდები,
სკდები გაზაფხულს სულს მოვარდნილ ვნების კვირტებად...
ახლა ყინვისგან ერთიანად ტოტებზე კვდები
და ელოდები ატმის კვირტში გამოღვიძებას
და ჩემს ბავშვობას მოკვეცილი ანგელოზი ვარ,
შენი ხსოვნისთვის დანთებული წმინდა სანთელი,
რწმენის კედელზე დადებული ერთი ლოდი ვარ,
მიმტვრიეს, მაგრამ ვერ გატეხეს ჩემი კარები.
სიყვარულისთვის აღკვეცილი მონაზონი ვარ
და ჩემს მოკვეცილ ნაწნავებსაც ჰგლეჯდნენ ქარები...
თალხი მხურავს და გულით მაინც ჯერაც ნორჩი ვარ,
ნაწნავებს გაჰყვა ბავშვობა და ტკბილი წამები...
ფსალმუნებივით ჩამოვწერე ჩემი სტროფები
და სტროფის ბოლოს – თაყვან ვეყო... ვცდილობ მაცხოვარს
და შენს ტაძარში აღვლენილი საგალობელი,
ჩემს ტაძარს შიგნით გუგუნებს და ვგევარ მათხოვარს...
მათხოვარს – რომლის ვინაობა არავინ იცის,
ბუდე – რომელიც მინგრიეს და ჰგლიჯეს ყორნებმა,
რომ არ არსებობს არავისთვის მცნება და ფიცი,
განვიძარცვე და აღვიძარცვე – როგორც შორენა
და შენს კედელზე დადებული ერთი ლოდი ვარ,
ფსალმუნებივით ჩამოვწერე ჩემი სტროფები,
სიყვარულისთვის აღკვეცილი მონაზონი ვარ
და შენს ტაძარში აღვლენილი საგალობელი.

დეზი ემანულიძე

ჩემზედ ამბობენ

მითხრეს, ანცი ხარო, შლეგი, შეშლილი,
გავხარ ქარიშხლს,გრიგალის შრიალით.
ევა ხარ, მაცდური, ტკივილი შექსპირის,
ბწკარავ ფურცლებს და ქარს მიაქვს ფრიალით.

ხარ ქანდაკება, კლდეში ნაკვეთი,
სულჩადგმულ ფრესკად ნახატი ქალღმერთის,
ნოტი ხარ, ბგერა, აკორდი სონეტის,
გრძნობა ვნებისა, სიყვარულის ღმერთის.

ხარ, შემოდგომის სევდის ავდარი,
გაზაფხულს გრძნობა შეშლილი, წმინდა,
ხარ ამორძალი, სფინქსის სადარი,
ცრემლები კრძალვით შეგიშრონ გინდა.

შენ, ვნების, მაცდური ხარო ნაყოფი,
სპეტაკიც, ვითა წმინდა საუნჯე,
გული, ასე ყველას ვით უწილადე?!
მზეც გაახუნე, სიცხოვლით გარუჯე.

ეს, ჩემზე ასე აკინძეს სათქმელი,
ვითა მზეს სხივი მომტაცეს მალულად,
მე კი, შევყურებ ცხოვრებას გათელილს
და დამორცხვებით თავსა ვხრი კრძალულად

თუმც ვფიქრობ, რომ ვარ უბრალო,
ქალი რწმენით და იმედის ფიქრებით,
სიყვარულს დაგიტოვთ სიცოცხლის საზღაოდ,
ზეცად ასული, როს აღარ ვიქნები.

ანათემა

სიცოცხლე უღვთო, გვამთა ხორხოცი,
ტანს მოტმასნული ოქროს მანტია,
უგუნურებას კვლავ ადგას გვირგინი,
ბნელეთი ჰმოსავს მზისფერ განთიადს.

დღეს სიყვარული დაცემულა, კვდომას განიცდის,
სიკეთის ჩაკლეს თურმე მთესველიც,
ჭაობში ლპება ყველანაირ ძარღვის სინდისი,
გაიხა კვართი ნამუსისა თვით უცვეთელიც.

შემოტმასვნია უგუნურება სამყაროს ჩრდილად,
დაწყლულებია იარები ვითა კეთროვანს,
შიშველ სხეულზე ეკლებმოცმული
ბარდა ყვავილობს,
შეფარებულა სული დანგრეულ ტაძრის შენობას.

ვდგავართ წამებად გოლგოთის ჯვარზე,
ვიხდენთ ჯილდოდ ეკლიან გვირგვინს,
მაცხოვრის სისხლი მაკვდინებელი
დაგვდის სხეულზე,
იუდა, გროშებს კვლავაც სიამით ითვლის.

სიცოცხლე ბნელი, (კაცთა) ლეშთა სიბილწე,
თვალებდათხრილი სიკეთის სევდა,
ქვეყნად უხრწნადი რჩება მხოლოდ უფალი,
და, ის გაანათებს სიცოცხლეს ჩვენსას.

დ ა ჩ ო ქ ე ბ ა...

უფალო, გცოდავ ვიცი ცოდვებით,
და ვით ამოვთქვი ზრახვანი მრუში?!
კრძალვა მაჩოქებს!! მტკივა სირცხვილით!!
რაც მაქვს, ცხადი თუ ფარული გულში.

სამყარო, შენი სამეუფოა,
თავად განაგებ, კაცთა საწუთროს,
გვდევნის სოფელი. ესე მუხთალი,
და სურს ყოველი მიისაკუთროს!!!

სიცოცხლე ჩვენი, ხომ სიზმარია,
წამად ქცეული, წუთის საუკუნე...
ხან ვიგლოვთ, ხანაც რა გვიხარია?!
ვდევნით სიმართლეს... ვეტრფით უკუნეთს!!!

უფალო, მოველ, შენთან გოდებად,
სული სნეული, რომ განმიწმინდო,
მე ვარ ცოდვილი... ჰო, მეც ვარ ევა,
გთხოვ, სული ჩემი არ წარმიწყმიდო..

მიყვარხარ

"მიყვარხარ"!! ცამდე ადის კივილი,
გულსა სურვილი გონებას ბინდავს,
გავშალოთ მზესთან ტრფობის საწოლი,
შენთან ვნება და სიამე მინდა,

ღამით ზმანებად მოხვალ სასთუმალს,
დილას ალიონს ხარ მზისა სხივი,
დღისით გინატრებ, ანკარა წყაროდ,
რომ მომაპკურო ცვარ- ნამის მძივი.

მე, შენთვის ვქარგავ ლექსთა სტრიქონებს
და ყალმით ვხატავ შენს ნატიფ სახეს,
ვმღერი საამოდ, შენს საგალობელს,
ცაზე კი, ვაწერ გრძნობით შენს სახელს,

"მიყვარხარ" ცამდე ადის კივილი,
შენთვის მივკვდები, შენ თუ ეს გინდა,
მაგრამ მე კარგო შენს გვერდით მხოლოდ,
სიყვარული და სიცოცხლე მინდა !!

"მზე წვიმაში "

დილას ცისკარმა გული გააღო,
ცად აღმიმართა მზის დიდი დისკო,
სხივებადფენილ სამყაროს ზედა,
წვიმამ წკაპუნით მღერა დაიწყო.

ცის პორიზონტზე მზე აელვარდა,
წვიმდა და წვიმა მიწას ალბობდა,
ფერად,ხატოვან სხივთა საბურველს,
ღრუბელთ სიშავე კვალსა ატოვდა.

იდგა ცის თაღზე მზის ათინათი,
მზე იყო, მაგრამ თან წვიმა ცრიდა,
ქარს ადევნებულ წვიმის სიანცეს,,
ცისარტყელისა ფერებად ცვლიდა

წვიმა მღეროდა ზღვის პრელუდიას,
მზე მოოქროვილ კაბასა ქსოვდა,
ქარი უკრავდა გაბმით ფლეიტას,
და დედამიწას ეშხით ატკბობდა.

შორეულ - ჩემო

ნატავ სადა ხარ, ცას წვდომად ჩემო,
მზის სხივად მოდის გულს მონატრება,
თვალზე მოწვეთავს ცრემლების მძივი
ვიცი, შეხვედრა შენც გენატრება.

უკვე გრძნობები ფიქრებსა ფანტავს,
და გული ჩემსკენ მოექანება.
ცას,ბინდისფერი ნისლები ჰბურავს,
კოცნა მომპარეს ანცმა ქარებმა.

ღამით, მთვარეს აქვს შენი ადგილი,
დღისით, მზე მიხსნის უბის საკინძეს,
იცი, ოცნების ბევრი ფიალა,
სასმისით შევსვი, წიგნად ავკინძე.

ახლა, მთის გაღმა მზე გაიბადრა,
ფიქრს ეურჩება ვნება ტრფობისა,
ახალ აკორდის მაჟორი არის,
და სიყვარული ჭაბუკობისა.

სიწმინდის მადლი

...და გარდმოვიდა ესე სიწმინდე,
ქვეყანას მადლი ჰქონდა " სამების",
სიცოცხლის ღვთიურ გასხივოსნებას,
ტკივილი სწვავდა ქრისტეს წამების,

იდგა სამსჯავროდ იუდას მოდგმა,
უწმინდესს, თვალთა ცრემლი სდიოდა,
იყო გოდება, იყო ღაღადისი,
ლოცვა, რწმენის მადლით მოდიოდა.

დაჩოქებითა სამწყსო გოდებდა,
უფალსა სთხოვდა შველას ნეტარების,
ტაძრადა, ესე ხატებას წმინდას,
ადგა ნათელი უნეტარესის,

...და მოდიოდა რწმენა ღვთიური,
ლოცვის მადლით სულის სიწმინდესი,
იყო დიადი, მლოცველი ჩვენთვის,
ესე პატრიარქი, ჩვენი უწმინდესი.

დარეჯან მაჭარაშვილი

დედას

პირველად მოვიდა ზამთარი უშენოდ,
ფიფქები აგროვა ეზომ და ვენახმა.
დილით პირველ თოვლში ვეძებდი,
ნაფეხურს, რომელსაც ვიცი რომ ვერასდროს ვერ ვნახავ.
უშენოდ ბუხარმაც დაკარგა სიფიცხე,
გნატრობს და მოგელის კუნჭული და კუთხე,
იქ შენი სკამი დგას-გელის უსასრულოდ,
ეს უსასრულობა მტკივა და ვერ ვუძლებ.
მუდამ ფეხზე მდგომი ხვდებოდი ალიონს,
გღვიძავდა, როდესაც მამალი ყიოდა,
კერავდი, გვიქსოვდი, გვინთებდი, გვათბობდი,
თვითონ კი რატომღაც არასდროს გციოდა.
თვალში სხივჩამდგარი მიყურებს წარსული,
თითქოს დამემდურა-ხელს მიქნევს შორიდან
და მე ვერ მიზიდავს ფიფქების სითეთრე,
ზამთარში-რომელიც უშენოდ მოვიდა.

ჩვენ რომ დავბერდებით

შენ რომ დაბერდები,
მე რომ დავბერდები,
მაჯებს მოაკლდება სისხლი.
შენ ჩემს საქციელზე,
მე შენს საქციელზე,
ვეღარ შევიკავებთ სიცილს.
შენ რომ დაბერდები,
მე რომ დავბერდები
და თვლა აგვერევა წლების.
ხან მე გაგახსენებ,
ხან შენ გამახსენე,
ჩვენი გამოვლილი გზები.
მინდა, სიბერეში,
როგორც ახალგაზრდას,
ღიმილებს გპარავდე კვლავაც.
ხელჩაკიდებულმა
სულ ერთად ვიაროთ,
ვიდრე იმ ქვეყანას წავალთ.
მინდა შენი ხელით
თმები დამისწორო,
ლუკმა მომაწოდო მშიერს,
მინდა ბერიკაციც,
როგორც ახალგაზრდა,
ტყის პირს მიკრეფავდე იებს.
მერე ჩამოვსკუპდეთ ერთად,
ერთ დიდ ქვაზე,
გვირილა ჩამიწნა თმაში.
მინდა გამამხნევო
სიბერით გადაღლილს
ბზარი თუ გამიჩნდა ხმაში.
სიცოცხლის ბოლომდე
ვეყოფით ერთმანეთს,
უსიტყვო იმედად, ფარად.
ოღონდ არ გაბედო
ჩემი მიტოვება,
ოღონდ არ დამტოვო ცალად.
შენ რომ დაბერდები,
მეც რომ დავბერდები,
ღმერთს შენს გამძლეობას
შევთხოვ. მერე შვილიშვილებს
ჩუმად მოვუყვები,
რა ბიჭი იყავი ერთ დროს.

მერე რა

მერე რა-ნებით თუ უნებლიედ ისევ გაგიხსნეს ძველი იარა,
მერე რა-ვისაც არ დაეზარა ყველამ შენს გულზე გადაიარა.
მერე რა-სიტყვა კარგად ნათქვამი ცუდად გაიგეს, კარგად კი არა,
მერე რა-თუკი შხამით აგივსეს სიყვარულის და ძმობის ფიალა.
მერე რა-თუკი სიკეთე თესე, ეკალი მომკე, ვარდი კი არა,
მერე რა-კარგი რაც გააკეთე უმადურობამ შთანთქა მთლიანად.
მერე რა-ჭორმა ძირგამოცლილმა გული გატკინა, ბევრი იარა,
მერე რა-ნდობა თუ დაიკარგა, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა.
მერე რა-გრძნობამ სითბოთი სავსემ ვერ იგაზაფხულ–ვერ იმზიანა,
ლუკმას უყოფდი, სანამ შეგეძლო, წაიქეცი და გადაგიარა.
ღმერთი ხომ ხედავს მტყუანს და მართალს აწონ-დაწონის სამართლიანად,
გაგაფხიზლებს და ძალას შეგმატებს, რომ დარჩე მუდამ ადამიანად.
მაინც მთავარზე არის მთავარი, იყავი... დარჩი ადამიანად!

შვილი

შვილია ახდენილი ოცნება, ჰაერი-რომელსაც სუნთქავ,
რომ წუხარ, როდესაც ვერ ხედავ, რომ ხედავ-მაშინაც წუხარ.
შვილია ძილი გატეხილი, თეთრად გათეული ღამე,
უცებ მოვარდნილი ქარტეხილი, ნეტავ ხომ არ ტკივა რამე?
შვილია წყალი უდაბნოში, სიკვდილის არ გაძლევს ნებას.
შვილია პატარა სასწაული, ღმერთად რომ გაქცია– დედა.
შვილია შენი გაღიმება შენი გულისცემა ხშირი,
შენი წარსული და შენი მომავალი შვილია...
შვილი.

***

ვიცი, ამაოდ ვეჭიდები
ნაცნობ იმედებს,
ვინ მტერია და ვინ მოყვარე–
ჟამი გვიჩვენებს.
თავგზა არეულ მოგონებებს
წვიმა მისველებს,
ბრაზი, სიამე აერია
ერთურთს ისევე.
სულში უაზრო ფორიაქი,
გარეთ ქარია,
ვეღარ გავიგე, ან რა მწყინს,
ან რა მიხარია.
ჩუმად ჩავყვები ნაცნობ ქუჩებს,
დარდი იმეტებს,
თუმცა ძალიან მენდომება,
ვერ გაგიმეტებ.

ჩემო ღვთისმშობელო

უნდა მათქმევინო-ქვეყნად მიცხოვრია,
უნდა დამეხმარო-ერთო უცოდველო,
არის შეცდომები უპატიებელი,
შეგთხოვ, ამარიდე, შეგთხოვ-ღვთისმშობელო.
ბევრჯერ გამიგია, რამეს თუ დაკარგავ,
მას ვეღარ იპოვნი-დაემშვიდობეო,
მაგრამ ერთ რამეს გთხოვ– რწმენა თუ დავკარგე,
სურვილს ნუ წამართმევ პოვნის-ღვთისმშობელო.
მონანიების და ლოცვის ერთი ღამე
მინდა ხატების წინ კვლავაც გავათენო,
იმას-ვინც მე მიყვარს სიცოცხლეზე მეტად,
წყალობა მიეცი-დედა ღვთისმშობელო.
ვიცი, გადაივლის ყველა ქარიშხალი,
უნდა ვილხინო და უნდა ვიმზეგრძელო.
წარსულს დამიტოვე ყველა სატკივარი,
კალთა დამაფარე-ჩემო ღვთისმშობელო.

ბედისწერა

ღმერთთან მისასვლელი ბეწვის ხიდი,
ვაგლახ, უღმერთობით ჩაშლილა,
ვიღაცა შორი გზით დაიღალა,
ვიღაც უგზოობით დაღლილა.
მიდის ბედისწერის ქარავანი,
ფიქრი ღრუბელივით აშლილა,
ზოგმა გაიარა-კვალი დარჩა,
ზოგის ნაკვალევი-წაშლილა.
ყველა სიკეთე და სიხარული
ქარში სიმღერებად გაშლილა,
რაღაც უკითხავად დასრულდა და
რაღაც თვითნებურად დაწყილა...
ჩემს გზას, ნარ-ეკლიანს მივუყვები,
წლებიც სიზმარივით გავიდა.
ჩემი კონკის-ძველა მეფასება,
სხვისი ოქრო-ვერცხლი არ მინდა.
ჩემი სიხარული სათვლელია,
სხვისი სიხარულის ზღვა მინდა,
ჩემი მადლიცა და სინანულიც,
ვატყობ, თავისი გზით წავიდა.
ბედო, სულ ტყუილად მეჭიდები,
კისერს ვერ მომიგრეხ ადვილად.
კართან სამართალი მომდგომია,
პური უნდა ვჭამოთ სადილად!

***

ობოლს თუ შეხვდები სადმე,
დარდწამოკიდებულს მხარზე,
თავზე გადაუსვი ხელი,
ვარდი დაუფინე გზაზე.
დილა სიყვარულის მიეც,
ცრემლი შეუმშრალე თვალზე,
ღამით მიუმღერე ნანა,
ტკბილად-ანგელოზის ხმაზე.

***

ჩემი გზის სირთულე
დიდად ვერ მაშინებს,
ღიღინით მივყვები სავალს.
ვალები არ მიყვარს,
ცხოვრებას არ ვერჩი,
სიცოცხლით ვისტურებ თავანს.
სუსტებთან სუსტი ვარ,
ძლიერთან-ვძლიერობ,
განა დარდიანი დავალ?
სადაც ზედმეტი ვარ,
წუთიც არ ვჩერდები,
კარს გავიხურავ და წავალ!

***

ალბათ ბევრი გაზაფხული გავა,
ალბათ კიდევ ბევრ ზამთარსაც ავთვლი,
სანამ კიდევ შემიძლია გარჯა,
სანამ ჟამი დამიდგება წასვლის.
შემოვივლი სალოცავებს წმინდას,
მოწიწებით ღმერთს დავუნთებ სანთელს,
და ვინანებ უნებლიე ცოდვას,
გადამალულს და ვერ ნათქვამ სათქმელს.
უფრო ხშირად დავილაგებ მუხლზე
უძლურსა დაშრომით დაღლილ ხელებს,
თან ამბებსაც გავიხსენებ ისეთს
სულ ადრინდელს, მივიწყებულს, ძველებს.
უფლის ნებით გავმრავლდები ალბათ,
დავინახავ ნაყოფს ჩემი შრომის,
იქნებ მოხდეს, დამემსგავსოს მაგრად
ერთი მაინც შვილიშვილებს შორის.
გამაფხიზლებს ჟრიამული მათი,
თვალზე თუკი მომერევა რული,
ძველებურად შემომრჩება ალბათ,
ბავშვური და უბოროტო გული.
ვიცი, წლები ვერ წამართმევს ჩემს თავს,
ვერასოდეს შევიცვლები ვიცი,
მეწყინება ისევ სხვისი წყენა,
გამახარებს სიხარული სხვისი.
სულ ყოველ დღე გავიხსენებ ისევ
ამბებს, რომლის დავიწყებაც არ მსურს,
ხელჯოხით და ჭაღარებით თმაში
"ეჰეჰეეეიიიიი" გადავძახებ წარსულს.

***

სადღაც რეკავდნენ ზარებს,
ცას სადარდელი სჭირდა.
ასე ამბობდა სათქმელს–
წვიმდა, წვიმდა და წვიმდა.
რაღაც ვერ იყო კარგად,
არეულიყო კარტი.
ხან წვიმა სჯობდა, ხან მზე,
კაბას კერავდა მარტი.
კაცი კაცს აღარ ჰგავდა,
სახეს მალავდა ხალხი,
სამართალს რაღაც სჭირდა,
ირგვლივ მეფობდა თალხი.
მარტოდ მოხუცი ქოხში
ეომებოდა სიზმარს...
ამ დროს იმ ქოხის კართან
თავად ი მ ე დ ი იდგა.

ლამზირა შეყილაძე

იშვიათად თუ იბადებიან

(უმშვენიერს დაუკეთილშობილეს
მანანა იმედაძეს)

* * *

ხარ დედამიწის დარდის ისხარი,
თხემით ტერფამდე ასიმღერება,
შენაირები ვითარც სიზმარი
და გაზაფხულის ასხივოსნება.

ციურ მნათობთა ვარსკვლავთ ციალით,
აგვივსე ლურჯი საღიმილეთი,
ბაგეზე გითრთის დარი მზიანი,
გაგვივარდეთდა შენით ხიბლეთი.

გვატკბობ, გვაამებ, ღვთიურ ჰანგებით,
ვითარც ბულბული ატკბობს ლაჟვარდებს,
მუხლჩაუხრელი რომ იხარჯები,
მამულზე ზრუნვა აგცამაღლებს.

უკვდავებიდან იცქირებიან,
სიცოცხლის მაცნე გიშრის თვალები,
იშვიათად თუ იბადებიან,
შენებრ ნატიფი ამორძალები.

სამშობლოს გულში მზეობ და იწვი,
ვარდი ისხარი ციურ ფერებით,
ღმერთმა ყოველი დილა აგივსოს,
უსაზღროეთი ბედნიერებით!

ღმერთისგან ვითხოვთ შველას

* * *

გარს გვახვევია იმედი,
სული ივსება ლოცვით,
ჩვენ კი სიამე გვგვონია,
გვემით დათრგვინვა ხორცის.

გზადაგზა ცოდვებს ვაგროვებთ,
მცირე ტკივილზე ვჩივით,
ასეა კაცის ბუნება,
ცხოვრებას ვებრძვით ჟინით.

ვეგულისებით ბედ-იღბალს,
ვნატრულობთ სულის ჟღერას,
რომ დავიღლებით ყველაფრით,
ღმერთისგან ვითხოვთ შველას!

ცხადია თუ სიზმარი

ერთხელ შინ რომ ვბრუნდებოდი,
მათხოვარი შემომხვდა,
თანხით რომ ვერ დავეხმარე,
ღაწვზე ცრემლი გადმომსკდა.

მსურდა შინ რომ მიმეწვია,
მიმერთმია ტრაპეზი,
ის ღიმილით შემეწია,
გამოიცნო აზრები.

თვალებში, რომ ღრმად ჩავხედე,
ქრისტე მიხვდა ვიცანი,
დავიბენი და ვიფიქრე,
ცხადია თუ სიზმარი .

ისიც მიხვდა ჩემს დაბნევას,
თავზე ხელი დამადო,
და ღვთიური სითბო ვიგრძენ,
მზერით ისე გამათბო.

სიცოცხლის მზე ჩემს წინ იდგა,
იფრქვეოდა წყალობა,
სიყვარული იღვრებოდა,
ქრისტეს სულის წყაროდან.

ახლა ქრისტე სულში მიზის
და მზე მიდგას თვალებში,
ფრთებსა ვშლი და ვძირები,
ღვთიურ სინატარეში!

თამარ ნადირაშვილი

შემოდგომის სონეტი

მზიანი დღეები უცებ მიილია
და ჩემს ცხოვრებაშიც გაწვიმდა,
ირგვლივ შემოდგომამ მორთო არემარე,
გული სიცივისგან ატირდა.

გულმა არ ისურვა თრობა შემოდგომით,
როგორც წარსულ დროში თვრებოდა,
გული მისტიროდა ახალგაზრდობას და
მის ტკივილს ვერავინ ხვდებოდა.

წარსული მეფობდა ცხადშიც და სიზმარშიც,
მისი ლანდები არ მტოვებდა.
ნისლი უსაშველო თვალებს მიბურავდა,
გული ნუგეშს ვეღარ ჰპოვებდა.

მორთული შემოდგომა აღარ მხიბლავდა.
ჩემი სევდა ზეცას სწვდებოდა,
მომავლის ბილიკებს ფოთლები ფარავდა.
ცრემლი წვიმას უერთდებოდა...

მსხალი

შემოდგომის დღე ცივი.....
ქრის და ზუზუნებს ქარი,
თვისკენ მიხმობს ხმა წვრილი:
"მსხალი!...იყიდეთ მსხალი!"

მისკენ ვიცქერი, ვხედავ
მოდის მოხუცი ქალი,
მძიმე კალათით მოაქვს
ჩამწიფებული მსხალი.

ფიქრით ბავშვობას მივწვდი,
შუბლს გამიღრმავდა ღარი:
ოხ, მშობლიური სახლი...
მისი ეზო და კარი.....

ლეღვის ხეების სიტკბო,
ნაყოფს დასმული ნამი,
მათ შორის კენტად მდგარი
"ალექსანდროვის" მსხალი.

ვერ იკავებდა ნაყოფს
მისი ტოტების კავი.
იმდენად დიდი იყო
იმ ხის მოსავლის ხვავი.

ხე ჭრიალებდა,როცა
ტოტებს არხევდა ქარი
და მის დათაფლულ ნაყოფს
ეხვია ფუტკრის ჯარი.

ფრთხილად მოკრეფდა მამა
(ჩემთვის ღმერთისა დარი,)
თავს იწონებდა თითქოს
ნაყოფი პირში მდნარი.

ღელავდა შემოდგომა,
ხშირად გვსტუმრობდა ქარი,
გვენატრებოდა ბავშვებს
სითბო და კარგი დარი.

....და ის დღეები გაქრა,
აორთქლდა, როგორც ცვარი,
ჩემი ბავშვობის სიტკბო
დადნა, არ დარჩა კვალი.

.....

"ამდენხანს რატომ ფიქრობთ?"
--მეუბნებოდა ქალი,
" თაფლივით ტკბილი არის
ალექსანდროვის მსხალი!"

იესოს მონათვლა იოანეს მიერ

ხამს იოანე ნათლისმცემელი,
რომელიც იყო ღვთისგან ცხებული,
ძე ზაქარიას, ელისაბედის,
იყო თავისი რწმენით ქებული.

ჯდა იუდეის უდაბნოს შინა
და ქადაგებდა ღვთის სასუფეველს,
"მოახლოვდაო"--ხალხსა ამცნობდა,
ამცნობდა ლოცვით ის ღამისმთევლებს.

ესაიამა როგორც დაწერა,
რომ ეს ხმა იყო მღაღადებლისა,
მღაღადებლისა უდაბნოს შინა,
რომელიც მის ხალხს ღვთისგან ეღირსა.

"მოინანიეთ ცოდვები ყველამ!"..
--ასე უხმობდა ხალხს იოანე,
"გზა უფალს სწრაფად განუმზადეთო,
მის ბილიკები ასწორეთ მალე!"

მას ტანთ აქლემის ბეწვი ემოსა,
გარშემორტყმული სარტყელით ტყავის,
და იოანე იკვებებოდა
კალიითა და ველური თაფლით.

მასთან ცოდვებსა ინანიებდნენ,
ვინც კი ცხოვრობდა იერუსალიმს,
იუდეველი--უკლებლივ ყველა
და სახანები წმინდა მდინარის.

იორდანეში ინათლებოდნენ,
აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს,
ფარისეველნიც, სადუკეველნიც,
ნათვლას ცდილობდნენ, იხსნიდნენ ლოდებს.

და აფრთხილებდა მათ იოანე:"
ხე ნაყოფითა იცნობა ღმერთში,
თუ კეთილ ნაყოფს არ გამოისხავს,
უმალ მოჭრიან, აგდებენ ცეცხლში!"

ასე ამბობდა:"მე წყლითა გნათლავთ,
უფრო ძლიერი ჩემს შემდეგ მოდის,
მის სანდლის ხლების ღირსიც არა ვარ,
ის არს მთავარი განმწმენდი ცოდვის.

ის ნათლავს ცეცხლით და სულიწმინდით,
არის უწმინდეს ნიჩბის მპყრობელი,
გაწმენდს კალოს და აგროვებს ხორბალს,
ბზეს დასწვავს ცეცხლით ჩაუქრობელით.

იოანესთან გალილეიდან
ერთხელ მოვიდა თვითონ იესო,
მან იოანეს სთხოვა მონათვლა,
იოანემ თქვა:"ეს არ ჰგიებსო."

"როგორ მოგნათლო?--ჩემზე დიდი ხარ,
ღვთის თვალში შენ ხარ ჩემზე ძვირია,"
"თუ არ მომნათლავ--უთხრა იესომ--
როგორ ახდება დაწერილია?"

და იოანემ აღარა უთხრა,
იორდანეში წამსვე ჩაუშვა,
თავისზე დიდი რომ მოენათლა,
ღმერთს ასე სურდა, ასე დაუშვა.

წყლით ამოვიდა ნათელღებული,
ცანი გაიხსნა--ნახა ღვთის სული,
მასზე მტრედივით გადმომავალი
და აუძგერდა იესოს გული.

ზეცით გაისმა გრგვინვა ღმერთისა:
"მიზნის ახდენა მე მოვიპოვე,
ეს არის ჩემი ძე საყვარელი,
ძეა , რომელიც მე მოვიწონე!"

ხალხი შესცქერდა გაოგნებული,
ყველა დამუნჯდა,ხმას არ იღებდა,
დაჩოქილები ღმერთს სცემდნენ თაყვანს,
დიდიც,პატარაც ღმერთს ადიდებდა.



გერონტი მესხი

ნეტავ, შენი ხელი ვიყო

ნეტავ, ვიყო შენი ხელი
და შენს სხეულს ვეხებოდე.
თაფლი ვიყო, ოდნავ სქელი,
ყელში გაგეკვეხებოდე.
ანდა, ვიქცე საპნის ქაფად,
დაგეღვენთო მკერდზე ვნებით...
შენ რომ არა, მზერას, აბა,
ვინ წარმტაცებს დაჟინებით.
მაგ თლილ ნაკვთებს ვუმზერ როცა
ორ ვაშლს ვამჩნევ სააღრეოს.
თვალს მიკრავენ ისე მორცხვად,
თითქოს გვქონდეს სანაძლეო...
მინდა როგორც ხამმა წყალმა,
მთელ სხეულზე დაგიარო.
განა ღვინით, შენით მთვრალმა,
ნეტარება ვაღიარო.
ხან კი წვიმის ურიცხვ წვეთად
მქნა, თვალ- წარბზე გეალერსო.
მინდა, ჩვენზეც ასე ეთქვათ:
„ფერი-ფერსა, მადლი-ღმერთსო!“
როცა გხედავ, ლექსი ჩნდება,
მეძალება მღერის ნიჭი.
უღვინოდაც, უცაბედად,
შენი ეშხით ვთვრები ბიჭი.
შენი სითბო გადამარჩენს,
ვით გულწასულს ქარ-ნიავი.
მაგრამ, ვაი, თუ მამაშენს
ვერ დავტყუე შენი თავი...

ო, ღმერთო ჩემო!

ცოდვებისაგან ევას მოდგმის დახსნის გულისთვის
ჯვარს გაცვეს, ვით სხვა ძელს გაკრულნი შვილები ცოდვის.
ჩემი სამშობლოც ჯვარზე აცვეს მბორგავ სულისთვის,
განა სამსჭვალით,- ხიშტით!.. სისხლიც აქამდე მოგვდის!..
...და ასირიელ ქრისტიანებს, როგორც ნადირებს,
ანადგურებენ რწმენის გამო ეშმას ტომები...
აქ „უფროსმა ძმამ“, ერთმორწმუნემ, ძმობის მაგიერ,
გამოგვიხშირა გენოფონდი ფიცხელ ომებით.
დღეს ჩვენი რწმენის ხალხი გვექცა სახებად მგლობის...
(დღემდე სხვა რწმენის ხალხთან ბრძოლის გზებით გვატარეს!..)
უკრაინაში ცაზე გადის თამასა მტრობის
და „დიდი ერი“ „ძმის“ სახელით ებრძვის „პატარებს“...
მიკუთვნებულ ვარ მცირე ერებს ხომ მეც გვარითა,
ო, ღმერთო ჩემო, ქვეყნის ბედიც სულთქმით ვიწამე:
„ქრისტე აღსდგაო!“-როცა ვიტყვით, და -„ჭეშმარიტად!“-ს,
საქართველოზეც გვეთქვას: „აღსდგა კუთვნილ მიწაზე!..“

ნეტავ...

სილამაზით ტოლს არ უდებ არვის,
შენს თვალებში ურჩ სიცოცხლეს ვხედავ.
შემოგყურებ და ვკითხულობ კრძალვით:
სიყვარული შეგიძლია, ნეტავ?..
შენი ტრფობა გულს მოედო როგორ!
თვითონ მიკვირს, ამდენს როგორ ვბედავ...
ასე ტურფა დაიბადე, გოგოვ?
შეგიყვარო, ნებას მომცემ, ნეტავ?..
ცად წამიღებს გრძნობა, მწველზე მწველი,
ჩემი შვილის შენ რომ გახდე დედა.
...და ჩაივლის თუმცა ბევრი წელი,
კვლავ ვინატრებ: ჩემი იყო, ნეტავ!..

ნიკორა

მზის ღიმილი...
ცელქი დილა...
მოუღლელი კუნტრუში.
ხტუნვა-ხტუნვით შეჰხაროდა
ხეზე მიბმულ წკმუტუნს და
საქათმეში გამოკეტილ კრიახს.
მერე, თეფშზე ჩამორიგდა
ნაწილ-ნაწილ,
ნაჭრებად,
და დაიწყო ქორწილი...

ნოსტალგია ფრონისპირს

რატომ მენატრები, ვერ ვხვდები,
სიზმრებს უშენოდ ვერ ვენახვები.
აქეთ შრიალებენ ვერხვები,
იქით-მიგდებული ვენახები.
ყაყაჩოს ცხვირი გვერდზე მიაქვს,
სიშორე ჩემი ბრალი ჰგონია.
მამალს ვიხსენებ დეზებიანს,-
დედლებში თავაწეულ გოლიათს.
სადღაც კვლავ ჰკივის ნაადრევად,
მის ყივილს დილა გვერდს აღარ უვლის...
ხვალ სიყვარულად გაავდრდება,
სველი გზა შემრჩება დაღალული.
ჩემი ცრემლია ცად ასული,
მდელოს რომ ასკდება ნაწვიმებად.
თმენის ვადაა გადასული,
სული იფანტება ნაწილებად.
ღამეულ ცაში „ირმის ნახტომს“
დილის სიშორიდან ვაკვირდები.
ქრება... შემრჩება ტვირთი მარტოს...
განა მეც ლირივით ავტირდები.
ცად აწოწილან ალვის ხენი,
თითქოს ყრმობის დროის ნაფერებნი.
გონს შემორჩება შავი დღენი,
სულის გუშინდელი ნაკერებით.
წარსულს ამოშლა არ ეგების...
გზები დაამძიმეს შეღმართებმა...
ქარქაშს არაფრით ჩავეგები,
მეც მსურს ერეკლეს ხმლის შემართება.
ქვეყნის სიკეთის მოსურნენო,
მგონია, დარს უნდა ჩამოდგომა!..
სიფრთხილე გმართებთ მოშურნენო:
ქვეყანა აპირებს წამოდგომას!..

ოხვრა-ოხვრით დავდივარ

(სიმღერა)

დროს დარდს ვატან ახალ-ახალს
და გულს იმით ვიოხებ:
რამდენ ლამაზ ქალსაც ვნახავ,
იმდენს ამოვიოხრებ.
ეს მკლავ-კალთა ლამაზ ქალთა
ბაღნარია ნეტარი.
მნუსხავს ბაგე-გუგა-თვალთა
მათრობელი ნექტარი.
ეს ქალაქიც ლამაზმანთა
ღიმილს მაფრქვევს დარდიმანდს,
ხელგაშლილი ვუმზერ მათ და
ოხვრა-ოხვრით დავდივარ.
ფერიებო, აშარ ფიქრებს
თქვენი მზერა ამიწყვეტს.
ჩამიხუტეთ გულში, იქნებ,
ოხვრა გადამავიწყდეს.
და თუ წახვალთ, ისევ ოხვრით
გაგაცილებთ ფარულით.
მსურს ყოველ დღეს, ქედის მოხრით,
ერქვას დღე სიყვარულის.
ამოოხვრა დარჩეს ოხრად,
ვნება მინდა ჩავქოლო.
ისე არ ქნათ, რომ ჩემს ოხვრას
გულიც ამოვაყოლო.
მკვირცხლნი, როგორც ავაზები,
ჩემში დაბორიალობთ.
თქვენ იყავით ლამაზები,
მე კი ოხვრით ვიარო.

მარიამ ოქროპირიძე

* * *

გამოგონილი ტყუილით ვცხოვრობთ,
ვხედავ თავს იცავს უსამართლობა,
მოყვრად მოსული ბოროტის ხელში,
შორს ვართ ღმერთისგან, უღმერთობის ჟამს!
ძნელი ყოფილა მწარედ სიცოცხლე,
თუმცა აზრი აქვს დიდ ლოცვებს,
თუგინდ ცოდვები გახრჩობდნენ,
უფალს სიკეთით მიენდეთ.
ცრემლი აპკურეთ სამყაროს ფესვზე,
სინანულებით სითბო ამეფეთ,
იქნებ სულ ციცქნა მცდელობამ სადმე,
გრძნობად იფეთქოს, აღარ ვმონებდეთ!
მჯერა სიყვარულს ვიპოვნით,
მთა-ბარს ვარდისფრად შევღებავთ,
ჩვენზედ განკუთვნილ იმ ნათელ ფერებს,
ეშმაკს გამოვგლეჯთ, დღედ, რომ მოგვეცა.

* * *

ერთხელ გამოჩნდი, დამაიმედე,
ბევრი მასწავლე, თან გამიმეტე,
მე დღესაც ვხედავ იმ ნაბიჯს გზებზე,
თავდაპირველად მზეს, რომ მივენდეთ.
მე დღესაც ისევ, მხოლოდ შენ გნატრობ,
იქნებ კვლავ ვცდები, პასუხს ვინ ეძებს?
ყველამ თავისი ბედი იპოვნა,
ჩვენ კი მარტონი, ვიბრძვით, გვიშველეთ.
გამოსავალი სიყვარულშია,
მწარედ ინანებ ჩემს თავს თუ ეძებ,
ვერ მოინელებ ღრუბლიან წამებს,
სანთლის შუქს ვეტრფი სინათლის ფსკერზე.
გადავიღალე, სული დამწვრობებს,
ვერ ეგუება, რა გამიბედე?
ერთი ცოდვილი მეორეს შეგხვდი,
უხმოდ დავხარე თვალები მკერდზე,
მერე მივხვდი რომ ერთი გული გვაქვს,
აზრი დაკარგა ტყუილმაც, ვერ ვძლებ,
გვიან მივხვდი, რომ სულელი მქვია,
ისევ გპატიობ, ისევ, თუ მეძებ!

* * *

ქალი მზის სხივი და ქალი საფიცარი,
მისი სილამაზე მთებსაც აზანზარებს,
თმების სურნელებით, ჩაწნულ იმედებად,
გზებზე სათითაოდ სიტკბოს მიმოაბნევს!
ქალი სულის ვარდი, ცაზე ვარსკვლავთცვენა,
ფიქრში უსასრულო სევდის მინავლება,
ქალი და და, ქალი, გმირი დედა,
ქალი სიყვარული, ქალი საოცრება!
ნაზი მიხრა-მოხრა, სახის მიმიკები,
უმალ შეეცვლება, არც კი დაგანახვებს,
იმ გრძელ, ნატიფ თითებს, ირგვლივ აბრეშუმად,
ხვევნით შემოგავლებს, ბაგეს ათამაშებს!
ქალის ამაყ ნაბიჯს თვალი გაუსწორე,
მხარში ამოუდექ, ცრემლი შეუმშრალე,
ყური დაუგდე და რჩევით გადაღალე,
თანაც მოუფრთხილდი, მუდამ ეალერსე!
რაგინდ ძველი იყოს, ქალი ღვინოსავით,
რარიგ ძვირფასია, ხოდა გული უთბე,
სული შეუბერე, მის რთულ, მძიმე წარსულს,
წიგნად აუკინძე დღენი მონარნარე!
ტურფა იის მსგავსი, ლოყა, რომ მოუჩანს,
წამწამს ახამხამებს წამში მეათასედ,
ტუჩი წითელ მარწყვად ისევ გეჩვენება,
ნუთუ სიზმარია ?! მაინც შევიშალე.
ვინც მას ყურადღებას თითქოს ვერ მიაქცევს,
ტონა ტყუილებით დარდით, რომ აავსებს,
სათუთ, ციცქნა გულში იმედგაცრუებას,
ისევ ჩაუსახლებს, ისევ გაამწარებს!
ასეთ მამაკაცს ხომ კაცი აღარ ეთქმის,
ქალის გრძნობები მას, არად არ არგია,
მგონი ბრმა და ყრუა, როგორ შეიძლება,
ქალი ღიმილს მოსწყდეს, ქალი სისადავე!
თქვენ ვერ შეგირგიათ უფლის საჩუქარი,
სცადეთ მოინდომეთ, აბა დაუყვავეთ,
ქცევა გაუცოცხლეთ, სიტყვა კვლავ აცხარებს,
შემდეგ ერთობლივად ცხადში გაიხარებთ!
ნუთუ არ ჯობია გზები შეაერთოთ,
ჩუმად იმღეროთ და, ჰანგი გაამეფოთ?!
მაინც განსხვავებულ, აზრთა ლამაზ კონებს,
ტანზედ შემოგახვევს, ეს კი ნუ დაგაბნევს!
ტვირთი უმსუბუქე, უხმოდ დაუჯერე,
ღამით მოეფერე, სითბო უთავაზე,
მხოლოდ შენით სუნთქავს, მხოლოდ შენით ცოცხლობს,
მისი სამყარო ხარ, ვნება მოელვარე!

* * *

მომენატრე და ჩუმად ავტირდი,
შენი გულის ხმას, ცრემლები აჰყვა,
თითქოს შევშინდი, როგორც მცივანი,
აზრი დაკარგა, სიტყვების ქარგვამ.
ეს ოცნებები, ჯერაც ულევი,
მარტომ ვერ ვზიდე, თვალწინ მზე ჩაქვრა,
მოდი, გამოჩნდი, ისევ დამპირდი,
რომ სიყვარულით გამომცვლი ახლა.

* * *

უსამართლობა გამეფებულა,
ყველა კუთხეში ბუდობს სატანა,
რად გვინდა ეს მზეც ადამიანებს,
როცა კვლავ გვიჭირს სითბოს ატანა?!
სწორედ ასეა ცოტათი თუ გწამს,
უფლის თან სული ცალ ფეხზე გიდგას,
რთული ჟამია, ლოცვა გვიშველის,
გული არ ცვდება ღმერთით თუ სუნთქავ!
სიყვარულია დიდი საუნჯე, ყრუებს არ ესმით,
მუნჯსაც, რომ უნდა შანსი მოგეცა,
თავს ნუ იტანჯავ, სკივრი გახსენი,
გრძნობების მუდამ!

* * *

სულ, რომ ყველაფერი თვალწინ განადგურდეს,
სულ, რომ დედამიწა ზურგზე გადაბრუნდეს,
სულ, რომ ვინმეს სძულდეთ,
მზის სხივს არ გჩუქნიდეთ,
სიყვარულით განვლეთ ყველა გზა და კიდე.
სულ, რომ კვნესოდე და სული აგიკივლდეს,
თქვი, რომ კარგადა ხარ ამით გაიღვიძებ,
სთქვი, რომ ახლოს არის მოულოდნელობა,
იმედს ჩაეხუტე, ხელებს ნუ გაუშვებ!
მერე რა მოხდა თუ გული კვლავ გატკინეს,
ვერაფერს ვერ იზამ, მშვიდად გაიღიმე,
ნიშნად ჩამოჰკიდე თითო დაბრკოლება,
ისე უცქირე, რომ მაგ თვალს არ მოსწყინდეს.
ნურასდროს აღიქვამ მძიმე კატასტროფად,
მათ გარეშე რჩები იგივე ადგილზე,
ისე გაიზრდები ? ძალას უცბად კარგავ,
მოტივაციებიც არსებობენ იქვე.
როცა ფინიშის ხაზს ნელა გადაჰკვეთავ,
ეს უფრო ტკბილია, სცადე, უფალს უხმე,
სჯობს, რომ მცირე ნაბიჯს გაამარჯვებინო,
ვიდრე სულსწრაფობით აცდე ნამდვილ კიბეს.

* * *

როგორც ლიქიორის თავბრუდამხვევ სურნელს,
ჭკუიდან გადავყავარ, აზრებს თვალწინ მირევს,
ასე მემართება, როცა შენით ვტკბები,
მზის სხივი გადნება, ჩრდილში მომეყრდენი!
მინდა, მხოლოდ მე და, ისევ ორნი
ვისხდეთ, ლამაზ აივანზე, ვრომანტიულობდეთ,
ბაგით მიზიდავდე, მზერით კვლავ მართობდე,
აბრეშუმის თმები წამებს, რომ ათბობდნენ.
ნეტავ არ აორთქლდეს, მსგავსი მომენტები,
გულში ჩამიკარი, სასმლით გამაბრუე,
ლოთი კი არა ვარ, მაგრამ შენთანა მსურს,
სიყმაწვილის გზებზე ერთად "გამოვშტერდეთ"!

* * *

შენ ჩემი გული თან გაიყოლე,
როცა გავიგე დიდხანს ვერ მნახავ,
თვალწინ დაგიდე, ეფერებოდი,
მერე კი ქარში მიაგდე სადღაც!
მოდი, შემახე, ნაზად ხელები,
იმედს ვიტოვებ უებარ წამლად,
სულს ნუ გახლიჩავ, სწრაფად იარე,
კვლავ მომაგენი ღრუბლების ნაცვლად !
აღარ იტირებს ბაღში ჰეპელა,
ის ვარდიც რთულად დაჭკნება ალბათ,
თუ შემიყვარებ, მაგ მონატრებას,
ვეღარ უშველი და ვერც დაკარგავ.

* * *

წუხელ ისევ სიზმრად გნახე,
თითქოს ჩუმად მომეფერე,
სიბინძურემ გაგიტაცა,
მე კი დავრჩი, მარტო, გეძებ.
ახლა მხოლოდ, ძლიერ გნატრობ,
ისე როგორც არც არასდროს,
მოდი ჩემთან, მოდი ვერ ვძლებ,
მიყვარხარ და მაინც გეძებ.

* * *

როცა ზღვის ტალღები, ფიქრებს გამორიყავს,
ალბათ მაშინ მიგრძნობ, ნაპირს მოებმები,
როცა უცხო მიწა, წარსულს გაგაშველებს,
ისევ ჩამიხუტებ, ცაში აფრინდები.
თუმცა მანამდე ხომ, მილიონი თავხსმა,
უნდა გაიარო, შენგან შორს ვიქნები,
მჯერა დაბრუნდები, უფალს ვევედრები,
ჩვენი სიყვარულით ყველგან გავცოცხლდებით.

* * *

როცა ფანტაზია ნაყოფს გამოისხამს,
ბედი გაგვეხსნება, სითბო გამეფდება,
ირგვლივ ცისარტყელას, ფერებს დავინახავთ,
ტკივილს ჩამოვახრჩობთ, დარდი გაქარწყლდება!
მერე გავიხსენებთ, ტკბილად გარდასულ წლებს,
ვიტყვით სიყვარული, თურმე არ გვეშვება,
ვეღარ გადმოვცურავთ მონატრებების ზღვას,
ფიქრი აგვამღერებს, წვიმა დაგვასველებს.
მთვარის შუქზე მოხვალ, შიში კვლავ გაქრება,
მარიონეტივით ხელი აცეკვდება,
გულის ლამაზ კარებს ფრთხილად გამომიღებ,
მისი დახურვის დრო, არასდროს დადგება!

* * *

მაპატიეთ, რომ ყველას ვერ გირჩევთ,
არ შემიძლია გავყვე მცდარ ფიქრებს,
ეს გული მხოლოდ ერთისთვის ფეთქავს,
რას ვერ მიმხვდარხართ, წადით, შორს გიშვებთ.
დღეს უკეთესად მივწვდი მზის სხივებს,
ვარსკვლავებივით გზა ვაციმციმე,
ისევ თავიდან მინდა გიპოვნო,
თუ გამომყვები და მე ამირჩევ!
მაგ გრძნობებს ბორკილს ძალით ნუ ახსნი,
დროს დრო მიეცი, სული აფხიზლე,
სჯობს ცოტას მიხვდე, ვიდრე ვერაფერს,
ნამდვილ სიყვარულს კიბე აუგე.
უმოქმედობით გული გახლიჩე,
სიტყვაძუნწობის სამოსს ნუ იცმევ,
ახალი წელიც მოდის და იქნებ,
გადაივიწყო ტყუილი, მიხმე!
შენ მე უეცრად მაინც დამტოვე,
ვიღაც უცხოებს კვლავ ნუ ამკიდებ,
ასე ვერასდროს ვერ მომიპოვებ,
ასე ვერასდროს ვეღარ გაგიგებ.

* * *

ცივი აპრილის დღე იდგა,
ხეებს კვირტები ათბობდათ,
მზე ღრუბლებიდან თავს ჰყოფდა,
მე კი შენ გწერდი, არ თოვდა.
ასე დაიწყო ზღაპარი,
სადღაც შვიდმა თვემ გასტანა,
ცრემლი, ტკივილი, სიტყვები,
სულ ქარიშხლებმა აწამა.
წვიმამ გააქრო შიშები,
ვცახცახებდი და გეკვროდი,
მე ბევრი რამ გაპატიე,
შენც მომითმინე მრავალი,
ხიდზე ერთადაც გავედი,
თოკი ჩაგვიწყდა, რა მოხდა,
დაბრკოლებები ყოველდღე,
გზებზე ჯიუტად გვხვდებოდა.
თუ გადავრჩებით იცოდე,
ამას სიყვარულს დავარქმევთ
და აღარასდროს დაგტოვებ,
ნურც შენ გაქრები, ილოცე.
მჯერა, რომ არ დასრულდება
დიდი, ნამდვილი ამბავი,
რადგან მარტივი რაც არის,
ის სიძულვილის ხმა არის.

* * *

სული წამგლიჯა მძიმე წარსულმა,
ჩემს თავს ვეღარ ვცნობ, სარკეს ვერ ვწვდები,
იქნებ კვლავ გალღვეს წვეთი ნაპერწკლის,
გული შემახე, თორემ მოვკვდები!
ჩაქვრა მზის სხივი, ღრუბლებს ვეხები,
ცრემლმა ჩამფერფლა, უკვე არც გელი,
რისკზე თუ წახვალ, მე გავცოცხლდები,
სიყვარულის გზებს ერთად გავყვებით.



* * *

თავხედ ფიქრებს ვატან, სხეულს მე ამაღამ,
ვერც კი გამიგია ღიმილით თუ მნახავ,
ნაკუწნაკუწ ამყვა, გულის ნაფლეთები,
სისხლით კვლავ მორწყულა, ცრემლი მე, რომ მახლდა.
ისევ ავტირდი და გავხდი მომაკვდავი,
თავსაც ძლივს ვუშველე, მზე, რომ გამონათდა,
აი შენ გამოჩნდი, უკვე სხვანაირად,
სიცოცხლე შევძელი, სითბო არ მომაკლდა!
მგონი ახლა ხდება, ტკბილი ოცნებები,
ფერადი დღით მამკობ, ვარსკვლავს მძივად მაბამ,
ალბათ მომენდობი, ალბათ გეყვარები,
ამის სულ მჯეროდა, იმედს აღარ ვკარგავ.
მუდამ გიერთგულებ, ამას დაგპირდები,
ტყუილს წიხლებსა ვკრავ, სულში სანთლად მყავხარ,
მალე ამოხეთქავს ვნების ნიაღვარი,
ცეცხლად ვიგიზგიზებთ, ბაგით მიგრძნობ ახლა.
მინდა გვერდით მყავდე, ხელი არ გამიშვა,
მთვარის ლამაზ შუქზე ერთად დავიძინოთ,
მერე განთიადზე ყავის სურნელებამ,
ნაზად გამაღვიძოს, ვარდი დამიფინო!
შენს დაწერილ ლექსებს, საგზლად გავიყოლებ,
ლოცვას, რომ ამსგავსებ, სიტყვებს ოქროდ ქარგავ,
ფეხს, სადაც გადავდგამ, მადლი დაიღვრება
სიყვარულის ნიშნად, ხეზე ამოგკაწრავ.

* * *

მე და შენ და დილის ნამი,
ჯადოსნური ფინჯნით ჩაი,
თმებში ვარდის სურნელება,
სახე მუდამ მომღიმარი!
მინდა ასეთ დღეებს ვქსოვდეთ,
სიყვარულით ლამაზ გზებზე,
მსურს, რომ ერთად ვიღვიძებდეთ,
მათბობდე და მაღმერთებდე.
ამაზე კარგს რას ვინატრებ?
მომენატრე, მარტო ვერ ვძლებ,
გულში ისე ჩამიკარი, რომ
შეგიგრძნო სამოთხემდე!
მიყვარხარ და შენით ვცოცხლობ,
სხვა რა გითხრა, საათს ვეძებ,
მეშინია არ გაჩერდეს,
შემოგახვევ წუთებს ყელზე.
მარგალიტად აგიკინძავ,
იკაშკაშე, იოცნებე,
თუ ამგვარად სუნთქვას შეძლებ,
გამომყევი, მხოლოდ მენდე!

* * *

ისევ ბავშვი ვარ, ყველაფრის მჯერა,
მუდამ ზღაპრებით, ვცხოვრობ, დროც გადის,
თუმცა ვიზრდები, წლები მიჰქრიან,
გზებზე შეცდომებს ყოველ დღე თან ვგვი!
ჩნდება, ორთქლდება, ასე გრძელდება,
უსასრულობა საზღვრებს ვერცა ქმნის,
ვნატრობ მზის სხივებს, ფანჯრის სარკმლიდან,
მომიახლოვდნენ, ღრუბელი მაცლის.
მოდის ცრემლების, წვიმა, სადღაც ცრის,
გრძნობა აფეთქე, სიცივით გავშრი,
ხელი შემახე, თავი ჩამირგე,
ნაზად მეფერე, სითბო ნუ დაგღლის!
თუ საჭიროა სულ გიერთგულებ,
არ გიღალატებ, სხვაში ნუ გამცვლი,
ვერ დაგივიწყებ, გთხოვ მაპატიე,
სისულელეებს ჯერაც ვერ გავცდი.
მწამს, რომ ახალ წელს ერთად ვიქნებით,
ღმერთი არსებობს, შენ ნუღარ განმსჯი,
ძლიერ მიყვარხარ, ასეც იქნება,
სასწაულები გვიხმობენ აწი!
არ ღირს, რომ ცხვირი დაბლა დავუშვათ,
ნურასდროს მეტყვი ერთმანეთს ავცდით,
იმედი მაინც რთულად მოკვდება,
ერთი, ორი და სამ თვლაში გაჩნდი.
ხატთან ვიფიცებ შენს სახელს და თავს,
დამიჯერე, რომ ქცევები გაგხდის,
იმ დამალულ ხმებს და სულს კვლავ გარყვნილს,
ეს სიყვარული ზეცაში ადის!

ნელი საგინაძე

ბავშვობის ბილიკები

ყვავილები დაჰფენია
ჩემს ბავშვობის ბილიკებს,
სული აუმღერებიათ
ამ მტირალა ტირიფებს!

ფიქრის აღმართს ავუყევი
მძიმე, მძიმედ ვიარე,
თეთრი გოგო დავინახე
თეთრი, პირმომცინარე!

ხელში დიდი ყვავილების
თაიგული ეჭირა,
მის ნაფეხურს ვამჩნევდი რომ
სულ ვარდები ეფინა!

ჩემთან ახლოს, რომ მოვიდა
გამიღიმა, ვიცანი,
შენ ხომ ჩემი ბავშვობა ხარ?!-
გთხოვ მითხარი, მითხარი!

კი მე ვარო, შემომცინა,
თვალში სევდა დამალა,
წავიდა და ბილიკები
ყვავილებით დაფარა!!!

ლექსი

წუხელის ისევ ლექსად ავფეთქდი
ქართულ რითმების ვიქეც მჭედელად,
მე სილამაზე ვნახე ისეთი
გავხდი ჯადოსნურ ფერთა მხედველად!

კარს მომდგომოდა ანბანთა ჯარი
და იღვრებოდა მარცვლებად სიტყვა,
აქ უამრავი ლეგენდა, მითი
ცხოვრებაც ალბად, სულ ლექსად ითქვა!

ოხ, როგორ მინდა ქართულ ბგერების
წყება ვაბნიო მთებსა და ველებს,
შენი თვალის ქვეშ მამყოფე ღმერთო,
თუ ვერ შევძელი – შემომეშველე!!!

ზამთარი

გადათოვა არე– მარე,
ხის ტოტები ჩამობარდნა,
ყველა ეზოს მოხდენია
დიდი, თეთრი თოვლის პაპა!

გაათეთრა ეზო, ბაღჩა
ჩამოთოვა მთა -ველები,
ფრთილა, ფრთილა ფანტელებო,
როგორ ყველას თავს ევლებით!

ციგაობენ, გუნდაობენ
ანი, ლუკა და მახარა,
ამ ქათქათა თოვლმა როგორ
ყველას გული გაუხარა!!!

წვიმა ოქტომბერში

ვეღარ მოიწყინა წვიმამ
ამ წლის, ოქტომბერის თვეში,
გულზე დააღვარა მიწას
თავის დარდები და თქეში!

ვეღარ დაიოკა ცრემლი,
გამეტებით ისევ აწვიმს
ხეს, აკანკალებულ ფოთლებს
გულიდან აწყვეტს და აცლის!

ვეღარ შეიმშრალა ტანზედ
ცრემლად ნაწვიმარი მკერდი,
ვუყურებდი მის ქცევას და
კალმით თეთრ ფურცელზე ვწერდი!!!

საქართველო

მე, რომ ამ ქვეყნად ღმერთმა დამბადა
შენ, რას გაიგებ ნეტავ ვინა ვარ?!
თავისი სული შემომისახლა
და სამყაროში, მისთვის წმინდა ვარ!

გადმოწერილი მატიანე ვარ,
დედამიწა ვარ თავის მზიანად,
ქრისტე უფალის რწმენის ლოდი ვარ
ოქროს საყდრისზე უფრო ბდღვრიალა!

მე, იბერია მერქვა სახელად
ზოგი მეძახდა კოპტსა და პელაზგს,
უძირძველესი კაცთა მოდგმა ვარ
დიდედას ჩემსას ეძახდნენ ევას!

მგონი ადამსაც ვცნობდი ოდესღაც
და სოლომონის მქონდა მე სიბრძნე,
იმხელა ვიყავ კიდით-კიდემდე
ვერვინ მითვლიდა სიგანეს– სიგრძეს!

ვცნობდი აბრაამს და დავითსაც კი
ივერს მეძახდნენ მე ძველად ერნი,
უწყვეტი ოქროს ჯაჭვით შემმოსეს
მას ხელით სწნავდნენ უკვდავნი ბერნი

ღვარძლიან გულით ყველა მძარცვავდა,
ჩემს ლამაზ სამოსს მხდიდნენ ტანიდან,
ყველა მპარავდა, ყველა მფარავდა
ლუკმას მაცლიდნენ ჩემი ჯამიდან!

მე, ამირანის ძველი მითი ვარ
და კავკასია მხრებით ვატარე,
დიდმა სწავლულმა ქურუმთა ჯაჭვმა
ძველი დროიდან მარქვა --ლაზარე!

აიეტიც ვარ, მედეიაც ვარ,
ჩემი ძირია ლომსია, ხეთა,
დღემდე სალოცავ დედა ადგილად
უფალმა მომცა ძველადვე მცხეთა!

სამი ანბანის მატეანე ვარ
დღემდე მოვედი მე, აი რითი!-
თევდორეც მე ვარ და სააკაძეც,
ბრწყინვალეც მე ვარ, დიდი დავითიც!

მე, ნუნისი ვარ, ძველი კოლხეთი
საჭრეთლით ვკვეთდი კლდეს უფლის ციხეს
არა მჩვევია გულში ღალატი
მე, ერთგულება ქრისტეს შევფიცე!

ვეფხისტყვაზე ვარ გადაწოლილი
და სახარება გულმკერდზე მაწევს,
იმ ქალ-ვაჟების გამომზრდელი ვარ
უფლის ადათის აკვანს, რომ არწევს!

მე, სული მქონდა ისე ნათელი
არავის შური გულში არ მქონდა,
კიდით-კიდემდე და დღე და ღამე
"აღთქმის კარავი" ზურგით დამქონდა!

ხარის ძალა ვარ, არწივის ფრენა,
ბრძოლის დროს გული არასდროს შედრკა,
ჭიგოს ნახვევი მე, ის ვაზი ვარ
ჩემგან ნინომ, რომ ჯვარი თმით შეკრა!

მე, "გეორგიას" მეძახდნენ ასეც,
ბუნდად ვიგონებ ამ, ჩემს ხსოვნაში,
ჩემი გუმანი მეხმარებოდა
მეგობრების და ღმერთის პოვნაში!

"დავითიანნი"მეწერა გულზე
და მისით ვაგე გრემი, გელათი.....
უფლის წირვა დღეს "მზისას" ვეძახდი
და
ვიწრთობოდი ასე რწმენაში!

ათა – პაპიდან მოყოლებული
ათასწლეულებს კრძალვით გავდივარ,
მე ,ჩემი ქრისტეს ძმა ვარ-ლაზარე
და ღვთისმშობელის სიზმარ-ცხადი ვარ!

მზეს შეფიცული მარგალიტი ვარ,
ხუროთმოძღვარი, უმკლავო ლაზი,
მე, საფერავის ღვინის წვეთი ვარ
და ჩუქურთმაში ჩაწნული ვაზი!

ვინა ვარ, დღემდე არავინ იცის,
ტანთ გაუხდელი ისევ თორაში,
შავნაბადაზე, კრწანისზე, დიდგორს.....
გამოჭედილი კარგად ბრძოლაში!

მე, განდეგილი უფლის ბერიც ვარ,
ვიცი სიმართლე, კანონი, წესი,
გაგეცინებათ, იმასაც გეტყვით
ამ დედამიწის, რომ მე ვარ მწყემსი!

გაჩენის დღიდან ყველა მე მებრძვის,
თავს აფარებენ ჩემს ჟამთა ჩეროს,
იცით ვინა ვარ?!--დაბადებიდან
ღმერთმა, რომ მარქვა მე, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო !!!

დავით ძნელაძე

ემიგრანტის ფიქრები

ყოვედღიურად თითო ვერცხლად იყიდებოდა:
ცხუმ-აფხაზეთი, ოსეთი და მერე აჭარა...
ჩვენ გვაგონებდნენ – დამნაშავე იყო არძინბა,...
ან კოკოითი... ან და კიდევ ,,ლომი“ ასლანა...

არა და არა,... დამნაშავე იყო რუსეთი,
მისი ,,ჩექმები“ გვაშინებდა დასაბამიდან...
მოგვეცა შანსი, როგორც იქნა, მისი წაქცევის,
ჩვენ კი კვლავ შიშით ვიყურებით ,,კაკანათიდან“.

... მე, უსაშველოდ მენატრება ჩემი სამშობლო,
არ მიშუშდება გულის გულში დაჭრილს იარა...
უნდა დავმალო სიყვარული და ერთგულება,
რათა დავცალო ნოსტალგიის სავსე ფიალა.

ღმერთო მაღალო, გადმოხედე ჩემს საქართველოს,
დამოძღვრე ერი, დაუბრუნე ძველი დიდება...
ქართველყლაპიებს კიდევ ერთხელ გააგებინე -
წილხვედრი მიწა არცერთ დროში არ იყიდება.

უკვდავი სული

ვძლიოთ საკუთარ ამპარტავნებას,
რა საჭიროა ამდენი ფული?!...
არ დავივიწყოთ ჭეშმარიტება,
შევინარჩუნოთ უკვდავი სული.

ლოცვის სურვილით და მორჩილებით,
უნდა შეგვეძლოს ნუგეშისცემა...
ღვთის მოწყალების დიდი იმედით
ჩვენივე გულის გვესმოდეს ცემა.

თავის შეცნობა უნდა ვისწავლოთ,
უარი ვუთხრათ განცხრომის სურვილს...
მხოლოდ უფალი ვადიდოთ ქვეყნად,
იგი განაგებს ჩვენს გულისწყურვილს.

უბიწოება შევინარჩუნოთ,
არ გავეკაროთ სიძვის მოყვარულთ...
ლოცვით დავაცხროთ ჩვენი ვნებები
და გზა ვუჩვენოთ სხვა ხელმოცარულთ.

რომც აგვეხილოს გონების თვალი,
ნუ მივეცემით გიჟურ სიხარულს,
დავიცვათ მარხვის ყველა წესები
და დაველოდოთ ღვთიურ სიყვარულს.

გულმოდგინება გამოვიჩინოთ,
სიმართლე ვუთხრათ სულიერ მოძღვარს,
წმინდა წერილის აზრი გვესმოდეს,
იმ სიყვარულის, რომელიც გვმოძღვრავს.

ღვთის ერთგულებით უნდა ვისწავლოთ
გულწრფელობა და გულით წყალობა...
ბოროტის ძალით არ დავანგრიოთ
მაღალმა ღმერთმა რაც გვიწყალობა.

ჩვენი ვალია, მცნებების ცოდნა
და ყურის გდება ზარებისადმი...
მოყვასში უფლის ხატების ჭვრეტა,
მოწამეობა სამებისადმი.

მრისხანე ზრახვებს უნდა განვშორდეთ,
მივბაძოთ ქრისტეს, ავიღოთ ჯვარი...
სულის მხნეობა შევინარჩუნოთ,
რომ ჩვენც შევაღოთ სამოთხის კარი.

არ დავივიწყოთ ჭეშმარიტება,
შევინარჩუნოთ უკვდავი სული...
ვძლიოთ საკუთარ ამპარტავნებას,
რა საჭიროა ამდენი ფული.

7. 12. 2022.

საზვერეები

ვადა გაუვიდა სხეულს დამძიმებულს,
ჟამი აღსასრულის ერთობ მალე დადგა...
სული საზვერეებს უნდა გაუმკლავდეს,
იგი სამსჯავროზე ღმერთის ნებით წარსდგა.

... უქმადმეტყველების ბოროტმა სულებმა
უხვად დამაყარეს ცოდვების სიები.
მამხელდნენ – როგორი ვიყავი ოდესღაც:
ბილწი, უსირცხვილო,... თან ნაპატიები.

სიცრუის საზვერემ ცრემლები მადინა,
მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე არა ვთქვი.
ანგელოზს ხელიდან ლამის გამომტაცეს,
რადგან დაპირებაც მრავალჯერ გადავთქვი.

ცილისწამებამდე საქმე არ მისულა,
განკითხვა ავკრძალე, მარადჟამს
ვფრთხილობდი...
მრისხანე სულებმა აღარ გამაწამეს,
რადგან დღენიადაგ სულ ასე ვცდილობდი.

როს ნაყროვანების საზვერეს ვეწვიე,
მოყარეს ხორაგი,... ქამარი შემიხსნეს...
ვადიდე უფალი, სულ ცოტა დავლიე,
ესეც შემიფასეს, – ცოდვები შემინდეს.

ზარმაცი არასდროს ვყოფილვარ – მეც ვიცი,
არც მუქთახორობის არ მცმია ხალათი...
ერთი შეგახედათ, როგორ მაკვირდება,
უფსკრულთან დამდგარი რქიანი ჯალათი.

ქურდობის საზვერე ისე გავიარე,
პირველად ვიგრძენი, რომ მეთქვა – კარგად ვარ.
მხოლოდ ბავშვობაში, ისიც შეუგნებლად,
ასე რომ, ნამდვილად, მე ქურდი არა ვარ.

არც ძუნწი ვყოფილვარ, რაც მქონდა გავცემდი,
მხოლოდ ღვთის შეწევნით ვიღებდი საჩუქარს.
ვიყავ უშურველი და ხალხს პატივს ვცემდი,
ასე წარვმართავდი ცხოვრებას საკუთარს.

არც მევახშეობის მქონია სურვილი,
სარგებლით ცხოვრება არასდროს მიცდია,
მზაკვარმა სულებმა დიდხანს იბუტბუტეს,
თუმცა მე იმათთვის ყური არ მიგდია.

საზღაურს პირნათლად ვუხდიდი სუყველას,
სხვისი ჯამაგირი შინ არ წამიღია,
ძღვენითაც მხიბლავდნენ და დიდი ფულითაც,
მაგრამ ღმერთმა იცის, რომ არ ამიღია.

ვიღაცის მტრობა და ვიღაცის გათელვა,
ჩემდა უნებურად გულში არ მქონია...
ახლა დავფიქრდი და ახლა დავუკვირდი, -
კარგი ვყოფილვარ და, თურმე, არ მცოდნია.

ჩემი ქედმაღლობა, ჩემი სიამაყე,
ვინმეს დაუნახავს?... ვინმეს გაუგია?...
ასე ჩამომშორდა ავი ტარტაროზი,
რადგან შეიტყო, რომ ბრძოლა წაუგია.

მერე მრისხანების ბორცვზე განვმარტოვდი,
სადაც შეწუხება არვის არ უცდია,
ალბათ, გადაფარა ლოცვამ ყველა ცოდვა,
ჩემი განრისხებით სხვას რომ განუცდია.

როცა ბოღმა-ღვარძლის სივრცეს მივადექი,
იქ ძვირის ხსენება ცოდვად დამაყარეს,
მაგრამ არ ვიყავი სულით უწმინდური,
მყისვე გამიშვეს და მშვიდად გამატარეს.

კაცის დაჩაგვრის და კაცის მკვლელობისთვის
პასუხს ვინ მომთხოვდა, ღმერთო, დამანახე...
აღარ შემიშალეს ხელი არაფერში,
მოკლედ, ეს საზვერეც ასე გადავლახე.

მე არ ვმკითხაობდი და არც ვჯადოქრობდი,
დემონთა მოხმობა არასდროს მიცდია,...
ასე და ამგვარად, ასე და ამგვარად,
ამ გზის საფასურიც არ გადამიხდია.

სიძვა დამაბრალეს ბილწი გულისთქმებით,
უფსკრულს მიმავალი გზები დავიარე...
ჩემმა ანგელოზმა ხელი შემაშველა
და ეს დაბრკოლებაც ასე გავიარე.

ვინაც შეამოწმა ჩემი ერთგულება,
ვერვინ ვერ დამწამა ცოლზე ღალატობა.
ვერვინ ამოქექა, ვერვინ ვერ იხილა,
ჩემი მრუშობა და ჩემი ძალადობა.

რადგან სოდომური არ მქონდა ვნებები,
აღარ მიმიყვანეს უფსკრულთან ცოდვილი...
აღარ დამცინეს და აღარ დამაშინეს,
ასე რომ, ვიყავი მათთან ვალმოხდილი.

მალე ერესების სივრცეს მივადექი,
სადაც მკრეხელობას – ეჭვი სახეს ბანდა...
სხვისი სტუმარივით აქაც ჩამატარეს,
რადგან მასპინძელი ჩემი არსად ჩანდა.

ცათა სასუფეველს სანამ მივაღწევდი,
წვიმა წამოვიდა დიდი ცდუნებისა...
ვგრძნობდი სისასტიკე როგორ მძვინვარებდა,
გენი ზეიმობდა ცოდვილ სულებისა.

... ბოლოს, როგორც იქნა, წვიმამ გადიკარა,
ჩემი ყველა ცოდვა მადლით დაიფარა...
ხორცი მიწაშია, ხორცი ქვემოთ დარჩა,
სული ზეცაშია, სულმა გაიხარა.

16. 12. 2022.

დედის ლოცვა

აღარ სრულდება ომის ფერხული,
ბოლო არ უჩანს მებრძოლთა ხოცვას...
დედა ლოცულობს შვილებისათვის,
დიდი ძალა აქვს ჭეშმარიტ ლოცვას.

უფალი ღმერთი – იესო ქრისტე,
არ დააყოვნებს დედების თხოვნას,
მოაახლოვებს გამარჯვების დღეს,
ვიდრე ვიტყოდეთ ბიჭების ხსოვნას.

დედის წინაშე უსუსურია
თვით მრისხანებაც წაუგებელი...
ლოცვა შვილთათვის აღესრულება
კეთილდღეობის მაუწყებელი.

ცისფერი ფანტელი

სიცოცხლე დასრულდა, ჩარჩოს მიეყინა...
ლამაზი ღიმილი წარსულს მიეფინა.
ირგვლივ სიჩუმეა, ქარის ხმაც არ ისმის,
არავინ არ ჩხუბობს, არავინ არ ისვრის.

დუმან საფლავები, მრავალის მნახველი,
ისმება ღვინო და იწვება სანთელი.
ვიგონებთ ახლობლებს, უდროოდ წასულებს,
რომ სასუფეველში დაადგეთ ნათელი.

ამაოებაა უთქვენოდ ცხოვრება,
გაუსაძლისია მოთქმა და გოდება...
როგორ ვივსებით და როგორ ვიფერფლებით,
ძველი სიყვარული როცა გვაგონდება.

დიდი მწუხარება აღარ დაიმალა,
ციდან წამოვიდა ცისფერი ფანტელი...
დამთავრდა სასმელი, დაიწვა სანთელი,
ღმერთო გაანათლე ამ ხალხის სახელი.

ეკა ბუღაძე

პაპის ნაამბობიდან

ყოველი დაღვრილი წვეთი,
მტკივა და ისევ მაწუხებს.
ამ ჩემს პატარა სამშობლოს,
როგორ უჭერდნენ მარწუხებს.

მახსოვს, რომ პაპა გვითხრობდა,
ჩვენ შვილიშვილებს პატარებს.
მის დროსაც ჩვენი სამშობლო,
ქარ-ცეცხლში გამოატარეს.

სტიროდა ,თანაც ჰყვებოდა,
როგორ დახოცა მტერიო.
ყუმბარებისგან ნაცემსა,
მიწას სდიოდა მტვერიო.

ხანდახან ოხვრას იწყებდა,
ამოატანდა გულსაო.
ამ წუთის გახსენებაო,
ყველაზე მეტად მძულსაო.

ჰყვებოდა როგორ მოუკლეს,
მას მეგობარი ბავშვობის.
ამბობდა, მაშინ სიცოცხლეს,
ერთი ნაბიჯით დავშორდი.

ვერას ვშველიდი საბრალოს,
თუმცა ითხოვდა შველასო.
შემდეგ შენდობას ეტყოდა,
თავის მეგობარს ყველასო.

ჰყვებოდა პაპა წარსულს და
ვხედავდი, როგორ უჭირდა.
იქ დაკარგული ძმები კი,
დიდ საგანძურად უღირდა.

ძმაც დაეკარგა ამ ომში,
ოჯახს მის გამო დასცილდა.
მშვიდობის სადღეგრძელოს კი
მახსოვს, ბოლომდე დასცლიდა.

მუხლს მოიდრეკდა იტყოდა,
ჩვენი სამშობლოს ქებასო.
უღრუბლო ზეცა გქონოდეთ,
თქვენ! გაგიმარჯოთ ყველასო.

სამშობლო

გადაგიშლია მთა-გორი
დიდებისა ხარ ღირსიო.
ბევრჯერ გვიმუხთლა ცხოვრებამ,
ბევრჯერ ჩამოწვა ნისლიო.
მაგრამ იბრძოდნენ პაპანი,
ეკვეთებოდნენ მტერსაო.
სიცოცხლის ფასად იცავდნენ
სამშობლოს, ერთადერთსაო.
ვერ დავივიწყეთ ბრძოლები,
და ვერც ოსმალოს თარეში.
მტერო! შენ აქ რას დაეძებ?!
ამ ჩემს მშობლიურ მხარეში.
თამარის დროშა გვიჭირავს,
ისევე აღმართულიო.
მზადყოფნაში ვართ მარადჟამს,
მტერს რომ გავუპოთ გულიო.
მტერო! სულ ყურში გესმოდეს
ხმა დავითისა ხმლისაო.
ჩემი სამშობლო იცოდე,
ისევე გმირებს ზრდისაო.
აქ დადის ლანდი თამარის,
აქ დადის ლანდი დავითის .
ერეკლეს ხმალი მოგწვდება,
მტერო ნუთუ ეს არიცი.
შენ ჩემო მჭრელო გორდაო,
ჟანგი ნურც მოგეკიდება.
მტერი ვაშოროთ მამულსა,
ჩვენს წასულ გმირებს დიდება.
მე გულზედ დამეფინება,
თამარის დროშის ნაჭერი.
ბევრჯერაც მე მტერს სამშობლო
ხელიდან გამოვაჭერი.
ისევ იმისთვის ვიბრძოლებ,
შენამც რომ მყავდე მთლიანი.
ისევე გითენდებოდეს,
დილა უღრუბლო, მზიანი.
შენ მტერო! ვერ მომისყიდი,
რად მინდა სავსე ქისა, რად?!
ჩემო სამშობლოვ მიყვარხარ,
შენ მყავხარ დასაფიცარად.
სამშობლოსათვის ვიბრძოლებ,
სისხლის სულ ბოლო წვეთამდე.
და ლოცვა თუკი დასჭირდა,
ლოცვას მივაწვდენ ღმერთამდე.



ვერიკო პარწიკინაშვილი

******

შენზე რად ვფიქრობ ნეტა– რად,
დღეა თუ, ღამის წყვდიადი,
ან შენ, რად-ისევ შემოგრჩა,
თვალი და გული ზვიადი?

ავყვებ-ჩავყვები მდინარის,
პირს-გაშლილ, ყვითელ ყაყაჩოს,
თუ დამწვავს, ისევ შენი მზე,
შენი წყურვილი დამახრჩობს!

ვიცი, რომ კვლავ დამატყვევებს,
შენი თვალების სინაზე,
თოლიასავით მოვკვდები,
დავენარცხები სილაზე!

არწივებს, კლდეზე აშლილებს,
ნიავი მოჰყვათ შორიდან,
ტყეს-გაზაფხული და მე კი,
შენი დანახვა მომინდა!

მზეს, ხელებს უწვდის,
ვერ თბება,
ყვითელ-თვალება ყაყაჩო
და მეც არ ვიცი, რად გჩემობ,
შენს სუნთქვას
რატომ ვდარაჯობ!

***

ჩვენი შეხვედრა,
წარსულში დარჩა,
ჩვენი შეხვედრა იყო გვიანი,
შენს სულშიც მიტომ
,, ვიქექებოდი",
მსურდა, მეპოვა ადამიანი!

გადაუარა შრიალით
ფოთლებს,
ქარმა, ცივმა და
ნაგვიანევმა,
ვიცი, დღემდე რომ
ვერ მაპატიე,
იმ შეხვედრაზე დაგვიანება!

მიდის წლები და
დღეების გროვა,
ხან წინ გვისწრებს და
ხან აგვიანებს,
როცა გრძნობებში
გულ-წრფელნი არ ვართ,
ამით, სიყვარულს
ვანაგვიანებთ!

ჰა, უკითხავად, ქარებმა ცივმა,
ქშენით სამყაროს გადაუარეს,
მომეფერნენ და
ირბინეს თმებში,
ჩემი კოცნებიც არ იუარეს!

ჩვენი შეხვედრის
მოწმენი უტყვი,
ვერხვები ისევ იწყებენ შრიალს,
შენ მაინც,
ჩემი გქვია სამყარო,
შენ მაინც,
ჩემი სიცოცხლე გქვია!

ნაადრევ ქარებს
გავუძლებ ვიცი,
ფერი ეცვლებათ
ფოთლებს გვიანებს
და თუ გრძნობებში
ტყუილი ჭარბობს,
ამით, სიყვარულს
ვანაგვიანებთ!

****

როცა სიყვარულს ასაზრდოებს
ვნება ფოთოლთა
და სიყვარულიც
უიმედოდ ებრძვის განთიადს,
როცა სუსტდება მაჯისცემა
მწიფე ნოემბრის
და როცა მთვარე,
თითქმის ცაზე აღარ ანთია!

როცა სიყვარულს ელოდება
სული ყოველი,
მწიფე ალუბლებს,
კოცნის-ფერი
რომ დაედება,
გადამედება სევდა
ძველი პირამიდების,
მძიმე სენივით
სიყვარულიც გადამედება!

და როცა ღამეს ეძალება
ვნება მთვარისა,
ყალყზე დამდგარი
ღრუბლები კი
ებრძვის ნაპირებს,
აიშლებიან არწივები
კლდის ქიმებიდან,
ძირს ეშვებიან,
ალბათ ისევ წვიმას აპირებს!

ეს სიყვარულიც,
ფერებისგან თუ დაიცლება,
სუნთქვა ეკვრება ვიოლინოს,
ტყდება ნოტები,
სიყვარულს ისევ ვეფერები,
როგორც ყოველთვის,
მიყვარს და ვიცი,
არასოდეს განვმეორდები!

როცა ალუბლებს აეწვებათ
სახე კოცნებით
და ვიოლინოც,
ზღვას--ნოტების
ისევ ნებდება,
გადამედება სევდა
ძველი პირამიდების,
მძიმე სენივით,
სიყვარულიც გადამედება!

******

ზღვის იქით, თოვლივით
ქათქათებს ნაპირი,
ზღვის აქეთ, თავს იკლავს
ქათქათა თოლია,
რატომ ჩამოსტირის
ამ დღეებს თავ-პირი,
ან, სიბერის წლები
მალე რად მოდიან!

ვიღაცა აგროვებს
ციმციმა ღიმილებს,
ვიღაც-კი, ცრემლებსაც
ინახავს განძივით,
მინდორი ვერ იტევს
მტირალა გვირილებს,
მზე რომ უგზავნიდა
თბილ სხივებს ამ დილით!

ასე, მეორდება
წელთა გადაფრენა,
უკან ვერ ვბრუნდებით,
კი ვიცლით არაქათს,
ჩვენი სიცოცხლე კი,
ისედაც მცირედი,
ნამდვილად არა ღირს,
არად და არაფრად!

ხატებთან, ჩურჩულით
ლოცულობს მოძღვარი,
„გადაყრილ სინდისებს"
აგროვებს იუდა,
„ურმულის" ღიღინით,
მეურმე ოჯახს-რომ
„ყველს და პურს" მხოლოდ და
სუფთა გულს მიუტანს!

და იუდასავით,
სინდისის ძებნაში,
წლები-წლებს მისდევენ,
ლოცვა გვავიწყდება,
ნელ-ნელა ყველაზე
ძვირფასებს ვიშორებთ,
მერე სინანული
თავიდან იწყება!

სიყვარულს ხელს ნუ ჰკრავთ,
უმღერეთ, ეფერეთ,
ეს გრძნობა გაადნობს,
მწვერვალებს თოვლიანს,
იქ, ზღვების გადაღმა
იწყება სიცოცხლე,
გამოღმა, თავს იკლავს
ქათქათა თოლია!

****

სულში შემოდიან,
ფიქრები დეკემბრის,
მერე ეშვებიან
ზეციდან-მიწაზე,
მე და შენ ამ ქვეყნად
იმიტომ მოვედით,
რომ ერთად გვეცხოვრა
აქ, დედამიწაზე!

სხეული დაიპყრეს
ცივმა ღამეებმა,

ოცნებებს მე ისევ
ფიქრებში ვინახავ,
ასე, ანგელოზად
ჩემთვის რომ მოხვედი,
არ ვიცი საიდან,
არ ვიცი ვინა ხარ!

ფითრის-ფერ აისებს
დასჩემდათ ბოდვები,
სხივებს გარდატეხავს
კლდე-ნისლებიანი,
ღმერთმა ჩვენ ერთმანეთს,

იმიტომ შეგვყარა,
ცხოვრების ყველა დღე
გვქონოდა მზიანი!

დეკემბრის ღამეებს
ეწყებათ კანკალი,
სულში ჩირაღდნები
იწვიან იებად
და თუ სიყვარული
ვერავის დავუთმეთ,
ნუ დაგვემდურებით,
ეს, გვეპატიება!

„თამადას"!

(ხალხურ მოტივზე)

****

დღეს, შენ აგირჩევ თამადად,
შენზე-კარგ, ვინღა არია,
ეს-ლექს, ლამაზად ნათქომიც,
თვით სადღეგრძელო არია!

დღეს, შენნაირებს ეყრდნობა,
მთა-მინდორიან-ბარიან,
საქართველოი ერთია,
მუხთალნი, ბევრნი არიან!

გაუფასურდა, ხომ ხედავ,
სადღეგრძელოც და ღვინოცა,
მლოცველიც არავინ დარჩა,
საქართველოსთვის ელოცა!

რომ დაძმარებას გადურჩეს,
ეს ღვინო, კაპლის წვეთია,
ლოცვით ვითხოვოთ შენდობა,
ცუდ-რამ, რაც დაგვითესია!

თუ ქვევრში ღვინო დაძმარდა,
თუ გულს ჩაგუბდა შიშია,
მაშინ ჩვენს თავზე ავიღოთ,
გამოსწორების მისია!

ღვინო, ქარვა თუ წითელი,
ყველა სამოთხის ფერია,
გამოსასწორებ-არი და
გამოვასწოროთ ერია!

არ შევუშინდეთ მოძულეს,
აღვდგეთ ერიან-ბერიან,
გულში ჩავიკრათ მოკეთე,
არ ვაბოგინოთ მტერია!

ხოდა, თამადად შენ გირჩევ,
ისე თქვი, ყველამ გაიგოს
და მოვახერხოთ ეგების,
მტრის-ჯავრ, მიწად არ
წავიღოთ!

იზა შუბითიძე

ᲘᲖᲐᲑᲔᲚᲐ...

მენავეები...
მიარღვევენ დინებას უცხოს.
ეს ნიჩბები კი...
იმედია, კვლავ უკან მოსვლის.
და ბედი, მათაც რაღაც
სირთულეს უცხობს -
არის მთავარი,
მშვიდად ზიდო სიმძიმე
ლოცვის...
ვიცი, რომ გესმის, იზაბელა,
ეს ლურჯი ზეცა
არის სიშორე,
თავგანწირვის ნაცადი ბიძგი...
გერგო სხეულის მონასტერში
ქალად აღკვეცა,
სამკაულთაგან განსხვავებით
სიმდაბლეს გიძღვნი.

მენავეები...
შორს მოსჩანან, როგორც გედები,
მათი სიშორე ტილოსავით
იშლება თვალწინ.
ვიცი, შენს მზერას სიყვარულში
ვერ შევედრები,
როცა მზესავით მინათდები
უმწეოდ ნაწვიმს.
წლების ბეღელში იზაბელა,
გროვდება ღვარძლიც,
მხოლოდ კალენდრის ფურცელია
ამ დღის სასრული.
აშენებულა უფლის ციხე,
სულ თითო მარცვლით,
სულ თითო მარცვლით,
სიყვარულით, შემოგარსული...

*
ვით შევადარო ქვეყნებს შორეულს,
ქვეყანა ჩემი, ათგზის ნაცემი,
ჩემი მამული ტყეს ჰგავს შერეულს,
აქა-იქ ფესვმძლავრ მუხა კაცებით.

ტყეები - ხოხბით მოგიზგიზენი,
საუფლისწულო, ხეთა - ტიტანთა,
გვქონდა დღეები მართლა ისეთი,
მხოლოდ ქართველი რომ აიტანდა.

ტევრი - ალგეთის ლეკვთა საღრენი,
გასადევარი შველთა, ირემთა,
ისევ ამაყი დგანან ბიჭები,
მსგავსი პაპების სულთა სიღრმეთა.

როცა წარსულის ხვატი მთხრის თვალებს,
და საკუთარ ჩრდილს ვეღარ ვერევი,
შერჩნენ მუხები მტერთა სიმრავლეს,
როგორც კრწანისთან არაგველები.

* * *
მზის გულივით თბილი მოლი,
ყაყაჩოთა სისხლის ფრქვევა,
ჯეჯილებში ჩამალული
ლაღი შურთხის წამოფრენა.

ნამი - მიწის შვილობილი,
ნამში - ოქროს ცისარტყელა,
დილა - მზის სხივს მინდობილი,
ლერწამმა რომ ამეტყველა.

ქარი ტირიფს ნაწნავს ურხევს,
და ყაყაჩოს ღვინით თვრება,
ნაზამთრალ და ნამარხულევ
მძინარ ვარდებს თავს ევლება.

გვირილების ნაფეხურებს,
მზე რომ ადგას ოქროს გედად,
უფლის პეშვი დაარწყულებს
კვლავ სიცოცხლის გამგრძელებლად.

* * *
დღეს წვიმად ქცეულ ღმერთის ცრემლად
ბრწყინავს მარტის თვე,
და არვინ იცის რა ფერებად მოვა ივნისი,
გზა აბნევია სულს გონების ლაბირინთებში,
არც გული მიცნობს ისე,როგორც ჩემი სინდისი...

მინდია ზვიადაური

მინდია ზვიადაურს

რამდენჯერ სცადე უტკივილო ლექსები გეთქვა,
მაგრამ ვერ შესძელ ტკივილებით აღსავსე კაცმა,
ამ დილით ნახე უმზეობით დაღვრილი ცოდვა,
საღამოს ისევ- ტკივილი და იესოს ჯვარცმა.
რამდენ ნაპერწკალს დაიტევ და სისხლად იცლები,
არ დაოკდება შენი გული მზის ანათალი,
დროის ნაგვემი მთის შვილი ხარ,გულჯავრიანო...
უფალს უყვარხარ, ძე ცთომილი და ძე მართალი...

ეს ტაძრის გზაა, რომ მიგიყვანს ოდეს მოძმემდე,
ნუ გამიწყრები შენს ლექსებში თუკი მოგძებნე...

.
* * *
ჩვენ ვჭირდებოდით და
ამიტომ გვიყვარდა თურმე,
ვყოფნიდით სითბოდ,
ხან სიცივედ, ვყოფნიდით დარდად,
მე გადავქექე ის წარსული,
გავჩხრიკე სულიც,
თურმე არავინ მყვარებია
კარგო, შენს გარდა.
თანაც ამ გრძნობას არასოდეს
ჰქონია სცენა,
არც კულისები, არც სიყალბის
დამცველი ფარდა.

* * *
დაცლილ ქალაქში თარეშობს ქარი,
მოაქვს სურნელი ჭირთა თმენისა,
ვით წარსულიდან ომახიანი
ამოძახილი წინაპრებისა:

მე ვიყავ ხურო, მე ვკაფე ტევრი,
მე ვიყავ, მკერდი რომ დამიშანთეს,
მიმტვრიეს კარი, მიგინეს ჯიში,
მაგრამ უფლის გზა ვერ მომიშალეს.

მე ვიყავ დედა, მე ვიყავ შვილი,
მე ვიყავ მიწა ქოხის ერდოზე,
და სიცოცხლის ხე, მტევნით შეკრული,
კვლავ იშრიალებს ქართულ მდელოზე.

დაცლილ ქალაქში თარეშობს ქარი,
და დაატარებს იმედს, ჟინიანს,
უფალი მარცვლებს საყანედ გვეძებს,
ადამიანო, ნუ გეშინია.

* * *

მახსოვს წვიმა და მაისის ზეცა,
ცაცხვის ხე - ჩვენი გრძნობების ქოლგა,
სხეულზე თეთრი ლაბადა მეცვა,
და სიყვარულის ქარიშხლად ჰქროდა.

დიდი ხანია ჩამდგარა ქარი,
შენი ღიმილი მახსოვს და მნუსხავს,
მე კი - პირველი ტრფობის მძევალი,
შენ გეძებდი და წავაწყდი სულ სხვას.

მახსოვს წვიმდა და მაისის ზეცას,
დააჩნდი მთვარის ვერცხლის გამებად,
ისევ მოთეთრო ლაბადა ეცვა
ჩემს უკანასკნელ შემოღამებას

* * *
მთების ამაყო ყვავილო
ცისფერთვალება კესანე,
გზად რად შემომხვდი,ლამაზო
ამ გვიან, შენი კვნესა მე...

ან აქ რამ ამოგიყვანა,
გაგსვრიან,გადაგთელავენ,
წყარომ ვერსაით გიპოვნა,
ღრუბლებიც შენზე ღელავენ.

იცოდი ვერ გაგიგებდნენ,
იცოდი გეტკინებოდა,
იცოდი დაგივიწყებდნენ,
და.... მაინც გეღიმებოდა.

მოგწყვეტენ,არ დაგინდობენ,
მოგაცილებენ ღეროსა,
ყველას მანამდე უყვარხარ,
სანამ ამშვენებ მდელოსა...



ნანა მეფარიშვილი

სადღეგრძელო

*

ცას გაუმარჯოს, ნამუსის ქუდს ჩვენის მიწისა,
მზეს გაუმარჯოს ცის გულ-მკერდზე შებნეულ ტაძარს,
ლაზარეს ენას გაუმარჯოს ურყევს ფიცისა
და ქართულ სიტყვას, სიყვარულად ანთებულ ხანძარს.
ჩვენს სალოცავებს გაუმარჯოს მიწის კელაპტრებს,
ქართულ ალიონს ცისკრის ლოცვით ვუთხრათ დიდება,
უქრობ სანთლებად ეციმციმოს, მუდამ ელავდეს,
რწმენა, რომელიც არ იცვლება, არ იყიდება.
სვეტიცხოველის კედლებიდან გადმოღვრილ მირონს,
და მის ფუძეზე ამონთებულ კვართის ნათებას,
ეს გაუმარჯოს საკურნებლად დაწურულ ღვინოს,
დედა ღვთისმშობლის ხატებიდან გამონათებას.
წმიდა საძვალეს გაუმარჯოს წინაპრის გზა-კვალს,
მათ ნატერფალზე მიმოფენილ სანთლების ციმციმს,
აღმაშენებლის და თამარის გამომზრდელ აკვანს,
ვერ დაჩოქებულ ვაჟკაც გმირებს, მათ ალალ სიცილს.
მთებს გაუმარჯოს, საქართველოს შეუვალ სინდისს,
ვაზს გაუმარჯოს, საქართველოს სისხლის დინებას,
კაცს გაუმარჯოს, ვინც მიწა-წყალს არასდროს ყიდის,
ვინც არ გაკადრებს, არც შეირჩენს დედის გინებას.
მკერდს გაუმარჯოს, მშობლის თბილ მკერდს, შვილთა სალოცავს,
დაღლილ სახეზე დასაკოცნელ ნაოჭს და ნაკვთებს,
ქალს გაუმარჯოს ერთგულების ნიმუშს საოცარს
და შვილის ხელებს, დედის ყელზე შებნეულ ბაფთებს.
ეს გაუმარჯოს კელიებში მოფენილ ნათელს,
მდუმარე ბერებს, სამშობლოსთვის მგალობელ მწყემსებს,
უხრწნელ სხეულებს საქართველოს ჩაუქრობ სანთლებს,
ტრადიციების შეურყეველ კანონს და წესებს.
ეს, ქართულ ოჯახს გაუმარჯოს, მამულის კედელს,
შვილების ხმაურს გაუმარჯოს და პაპის მარანს,
იმ ნაღდ ქართველებს გაუმარჯოს, ოფლით რომ სჭედეს,
სინდის– ნამუსი, ბოროტებას მუდამ რომ სძალავს.
ეს, საქართველოს გაუმარჯოს ოთხივე კუთხით,
უშბას სიწმინდეს და თეთნულდის კაბას ქათქათას,
გოლგოთის მიწას გადავსებულს გვამით და ფურთხით
და მაინც მედგარს, ღვთისმშობელის აფარულ კალთას.
ფშავ-ხევსურეთში კანტი-კუნტად მოარულ ჭარმაგს,
მთიულის ეზოს, მოღიღინე გლეხის მარჯვენას,
ეს გაუმარჯოს ერთგულ კაცის შრომას და ამაგს,
არ მიტოვებულ კერიაზე შვილის გაჩენას.
იმერულ ოდას გაუმარჯოს სავსეს, სტუმრიანს,
კახელის ჭერქვეშ ადუღებულ სისხლსა და მაჭარს,
ეს გაუმარჯოს გულ-გადახსნილ მხარეს გურიას,
ნიკორწმინდასთან მუხლებ– მოყრილ თვალ-წარმტაც რაჭას.

აფხაზეთიდან წამოქროლილ ცრემლიან ქარებს,
შეურყევ ძმობას, სიშორეც რომ ვერაფრით მოხრის,
ეს გაუმარჯოს ქართლის ჭირზე ნაცრემლარ თვალებს
და დამწველ მზერას ამაყი და ნამდვილი კოლხის.
აჭარის მიწას გაუმარჯოს სისხლით ნაპოხარს,
ნენეს გულ-მკერდზე დაკიდებულ დამალულ ჯვარცმას,
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანის ცრემლიან ოხვრას,
ვეფხისტყაოსნის მარცვალ–მარცვალ ლოცვებად აცმას.
მესხეთის მიწას გაუმარჯოს, მადლიან სამცხეს,
ყოველ მტკაველზე შემონახულ სიწმინდის მარაგს,
ეს გაუმარჯოს ყველა კუნჭულს მირონით ნაცხებს,
მთიდან ბარად დაქანებულ მჩქეფარე არაგვს.
ეს გაუმარჯოს დღეს ხვალინდელს, მზით რომ იდარებს,
გულმართალ კაცებს, მამულისთვის ვინც არაგველობს,
იბერიაში მობრძანებულ ნამდვილ წმინდანებს,
თბილისის სიონს და ყინწვისის მთავარ ანგელოზს.
საქართველოსთვის გაღებულ სისხლს, მისთვის წამებას,
ძნელად გამოცხვარ ობლის კვერს და სურნელს პურისა,
ეს გაუმარჯოს მამას, ძეს და წმიდა სამებას,
სამშობლოს ჩვენსას, უქრობ ლამპარს სიყვარულისა.
ეს გაუმარჯოს ქართულ ცეკვას, რითმიან ლექსებს,
უძილო დედის იავნანას საქვეყნოდ განთქმულს,
ეს გაუმარჯოს ყლორტებ-აყრილ მადლიან ფესვებს,
ყველაფერს ნამდვილს გაუმარჯოს, ყველაფერს ქართულს.

გრანელს

*

ოციოდ კაცი მიჰყვებოდა
შენს პროცესიას,
მიგაცილებდა შემოდგომა
ცივი და ნელი,
არ დასტყობიხარ ნეკროლოგთა ნაღვლიან სიას,
არც ვინ გტიროდა, წავიდაო კაცი–გრანელი.

არ გაგყოლია დიდება და
ცრემლების წვიმა,
შენ, ვინაც იდექ ჭირისუფლად
უამრავ მკვდართა,
არ აღვლენილა შენთვის ლოცვა და არცა წირვა,
ასე, უბრალოდ მიგაცილეს საფლავის კართან.

თვით პოეზიის სიმაღლიდან
აფენდი რითმას,
გტკიოდა მიწა,
იუნკერთა სისხლით ნადენი,
შენ მართალ ლექსებს გიკრძალავდნენ
(ჩვენში რომ ითქვას)
გიჟის ხალათიც მოგარგეს და კიდევ
რამდენი...

გერგუნა წასვლა,
სულ უბრალო მოკვდავის.

მანანა სამყურაშვილი

ერთად ავიჭრათ...

დილის მზესავით აფეთქებულო
გშვენის, სხივების შარავანდედი.
ნებას თუ მომცემ ტაძარში
სალოცავ სანთლად შენ აგანთებდი!..

აგანთებდი და სხივებით შემკულს,
ხატად მიგიჩვევ და სალოცავად.
მაისის ვარდივით ჩაგიკრავ გულში
სულის საამებლად, საყნოსავად.

შენი სურნელით გაბრუებული
ბაგეს მოვიწვდი საამბორებლად,
რადგან წარსულის ყოველი დღენი
შენით შევიგრძენ საგალობელად...

ერთად ავიჭრათ ცად სხივთა კიბით,
ლაჟვარდი ვფეროთ მაისის ფუნჯით.
არამიწიერ სამყაროს შევქმნით,
სიყვარულით და ფერებით ლურჯით.

ნუ დამაღონებ, მოჰყე ჩემს ნებას,
ლაჟვარდთა სივრცე ერთად ვიფრინოთ.
ცისარტყელის ხიდს აუყვეთ ზეცად,
ნაწვიმარ ცაზე ერთად ვილხინოთ.

ვეკისკასები სამყაროს ხან და...

არ მინანია არც ერთი წუთი,
სიცოცხლეს ააქვს ძლიერი აზრი!..
ვეკისკასები სამყაროს ხან და
ხან თვალი მწარე ცრემლებსა ბარდნის...

წუთისოფელი მინთია სანთლად,
მზის ჩირაღდანი ზეციდან მათბობს,
სამყარო დროთა სილუეტს ხატავს,
არამიწიერ ფერებით ამკობს!..

მოხატულია ცაზე შვიდფერად,
ანარეკლები მთვარის და მზისა!..
ჩემი სიცოცხლე,არსი ყოველდღის,
მადლია მხოლოდ ზენაარ, ხვთისა!..

მისით შევიგრძენ მე ეს სამყარო!...
მთის სურნელი და ბარის სინაზე.
განა ყოველი უნდა იწამო?!
ვინც დააბიჯებს ურცხცად მიწაზე!!!

ის გიღალატებს ვინც გეფიცება,
ვისთვისაცა ხარ სულზე უტკბესი,
ვინაც ათასი პატივის შენდეგ,
არ შეგაწია ჭირში ნუგეში...

დაუკარით...

დაუკარით, მთას მინდა რომ შეუმღერო,
დაუკარით, ცრემლი უნდა შეუმშრალო.
სიმღერით და შეძახილით,მის გოლიათ
კალთებს მინდა, მწვანე კაბა შეუკერო...

დაუკარით, აბიბინდეს ია სერზე,
მზის სხივები ყვავილთ გულში ჩაუკონო!.
სატრფოს მინდა სიყვარულის თაიგული
ჩემი ხელით მთის იებით შეუკონო!..

დუკარით, ტინზე ჩანჩქერი ღრიალებს,
ქარი უცხვი ბურუსის ჩადრს ატრიალებს,
მზე ხალისობს მთის თეთრ შუბლზე მონავარდე,
ოქროს სხივით მთის წამწამებს აკრიალებს...

აიშალა ფრინველთ გუნდი ბუდიდან და
სერზე ისმის ბულბულების სტვენა, მღერა.
თვალი მათკენ გამექცა და ხარობს გული,
ამ სიტურფემ ჩემი გულიც აამღერა.

მხნედ და ლაღად უნდა ავიარო...

ფიქრო, დამეხსენი, ნუ დამტანჯე,
სულში მოგონებებს რატომ ჩეჩავ?!
ხედავ, ჩემს დაგლეჯილ წუთისოფელს,
სულით ვაკოწიწებ ისე ვკემსავ...

ფიქრო, აღარად ღირს შენ მოგენდო,
რად გსურს სანთელივით ჩამომადნო.
შენთან მეგობრობა არად მიღირს,
სიტყვაც კი არა მსურს შენ მოგანდო...

წადი, დამეხსენი ქარებს გაჰყე,
ჩემთან ძმურადაც არ დაგინახო.
შენი ნაღველი და გამოხედვა,
ცრემლი არ მინდა რომ დამანახო...

წადი, შორი გზიდან თუ მოდიხარ,
შენი ფეხის ხმა არ გამაგონო.
დარდის ნაცვლად მინდა ჩემს გულს,
მხოლოდ სიხარული შთავაგონო.

ბევრჯერ შემომიხსენ გულის კარი,
ბევრჯერ სასთუმალი ამიჩეჩე..
მერე ჩუმად დადექ მართალივით,
მხრები მოწიწებით აიჩეჩე.

ჰოდა, ჩემს მხარეს არ გაიარო,
ყველა წყლული მინდა დავიამო...
აღმართს უნდა ავყვე უშენოდ და
მხნედ და ლაღად უნდა ავიარო.

ნეტავი ვინმეს ქვეყნის ვარამი...

სამყაროს სცენა ახლა გაიხსნა!
დასრულდა ჩემს წინ ტაშის გრიალი!..
ასპარეზზეა მიეთ – მოეთი, ჩამოვგლეჯ
ნიღაბს, მაგრამ მისია დღეს არიალი!..

დასრულდა წელი შეშლილთა, ყრუთა!..
მე დღეს ვხარხარებ უაზრო მრევლში!..
შეეშალათ და ნეტავი რატომ? გზის
ნაცვლად წაძვრნენ ოზონის ხვრელში!..

ჩაქრა სულის მზე ცაზე რომ ენთო!..
ძარღვებს სიმწარის სისხლი სდიოდა!..
ნეტავი რატომ გამგელდა ხალხი,
მოძმეს მოძმესი სისხლი შიოდა!..

ღაწვზე ვიგლეჯდი გადმოყრილ ეკალს,
ეგების ვინმემ სული განბანოს --
საღი, მდინარეს წყალ – წყალ მიჰყვება,
ეგებ დამპალიც ნაპირს გაჰბანოს!..

მკლავდა და ძარღვებს სისხლი სდიოდა!
სული დაჭრილი ცას შესწიოდა!..
ნეტავი ვინმეს ქვეყნის ვარამი,
ჩემზე მეტად ან ჩემებრ სტკიოდა?!

შეძრა სამყარო შეშლილთა ზარმა!..
მათი დამქაშის ტაშის გრიალმა!..
პატენტი ახლა წინ უძღვის ფარას...
უვიცსს დაჰკიდეს გმირის ენდალმა!..

რა უფლება აქვთ!..

მე იმ ლურჯ ზეწარს ცას რომ ჰფენია,
თვალით და ხელით შველას ვთხოვ, რატომ?!
იქ განისვენებს სულთა სამეფო
იქ არის მწყემსი კეთილი, მიტომ!!!

შემორჩენილი მოგონებები
თავგზას მირევენ წინაპართ გზების,
დრო მიჰრის, მიაქვს წარსული მხრებით,
მოგონებაა სულ – ხორცის შვების!..

გული გასკდომას რომ დააპირებს,
გავხსნი წარსულის დამალულ კადრებს,
ვეღარ ვერევი რამის გავექცე
აქოთქოთებულ ფიქრების ჯარებს!..

მაინც შვებას მგვრის იმათზე ფიქრი,
ვინც სულში მიზის, ზეცად ცხოვრობენ.
ნეტავ ვიცოდე ღმერთო, სწორი მითხარი!..
ცაში უკვდავ სულს რატომ გლოვობენ?!..

რატომ გლოვობენ შენს შექმნილ შვილებს,
აქ სტუმრად მყოფელთ, შენთან მოსულებს!..
შენს უკვდავ სულებს, მარადიულ შვილს,
ადღეგრძელებენ ღმერთო, ცხონდესო!..

რა უფლება აქვთ, განგების ძალას,
ცად ღმერთის ნებას შეეკამათოს!
ან აქ მიწიერ სამფლობელოში,
ედემონოს ან შეეჯალათოს!..

ნინო უძილაური

შენ ხარ მსოფლიო

შენ ხარ მსოფლიო,
ჩატეული უფლის წამწამში,
მზის ათინათში შემჩნეული ალმასი, ლალი,
შენ ხარ ჰაერი, სიყვარულით გაჯერებული,
ბედნიერებავ, დღესაც შენით დავდივარ მთვრალი.

შენ ხარ მსოფლიო
ჩემი გული, ჩემი ფიქრები,
ხარ უსასრულო ნეტარება ყოველი დილის
და თუ ოდესმე მე შენ გვერდით აღარ ვიქნები,
სიცოცხლის ფერი დაგიმშვენებს უხილავ ბილიკს.

სიყვარულის ზღაპარი

ღამე წარსულს ჩამოახევს ვნების ფურცელს,
ალიონმა რომ მოხატოს სახე შენი,
მოგონება ახალ გრძნობებს აკვანს ურწევს,
ალიონზე მზის სხივებად ამ გულს შვენის.

ვერ დავცალე მოგონების მძიმე თასი,
ვერ ვივიწყებ სიყვარულის იმ ძველ ზღაპარს,
ვარსკვლავები ჩურჩულებენ და ხალასი,
მთვარე მღერის, ტრფობით მთვრალი
უმზერს მთა-ბარს.

ვერ გივიწყებ, ვერც გულიდან წასული ხარ,
მზის ქორწილში კვლავ მიხილავ თეთრ მანდილში,
ბნელ ღამეში ღალატი და წარსული ხარ,
დაკარგული ხან დროსა და ხან მანძილში.

ღამე წარსულს ჩამოახევს ვნების ფურცელს,
და წარსულიც ემონება ნეტარ აწმყოს,
მზე ალიონს სიყვარულის სხივებს უფენს,
გარიჟრაჟი საპატარძლო კაბას აწყობს.

ღიმილის მიღმა

ყოველ ალიონს, ყოველ ცისმარეს,
ვუსმენ წარსულის ბედნიერ ჰანგებს,
მომეღიმილე ახლაც, ამ მხარეს,
შენზე ფიქრები ოცნებებს აგებს.

დილის მზის სხივი ფერმკრთალ სახეზე,
ღამის ნაკვალევს ფერად მძივს აბნევს,
რაც უნდა იყოს და რაც ყოფილა,
სამყაროს წიგნში ვკითხულობ ამბებს.

სიმშვიდით ვხატავ სტრიქონებს ფერში,
ღიმილის მიღმა მაგ თვალებს ვხედავ,
გული რომელიც შენ გიძგერს მკერდში,
ჩემად ვიგულე და კოცნას ვბედავ.

ფიქრთა ფიალა

ჩემ დაკოდილ გულს რა ეშველება,
ისევ დარდები მიმღვრევს ფიქრთა ნისლს,
გულს სევდა როცა აღარ ეშვება,
მაშინ სიცოცხლეც უკვე აღარ ღირს.

ჩამქრალა ცაზე ცისკრის ვარსკვლავი,
დარდის ბუხარი კვამლით ივსება,
მომიახლოვდა ჟამი მზაკვარი,
კვლავ ჩამოთოვა სევდის ნისლებმა.

რა გაამთელებს ჩემ დაკოდილ გულს,
რა გაათენებს სევდიან ღამეს,
ფიქრებს წარსული უკვე აღარ სურს,
აღარც მომავლის იტოვებს სათქმელს.

რადგან ცხოვრება ფუჭი მითია,
რადგან სიკვდილი სამარეს ავსებს,
სიცოცხლე ალბათ არის მისია,
წყალწაღებული ეჭიდოს ხავსებს.

ისევ ფიქრები მივსებს ფიალას,
ისევ დარდები აღებენ სარკმელს,
რით გავამთელებ ამდენ იარას,
თუ ალიონიც ვერ ამბობს სათქმელს.

თოვლს უხდება

თოვლს უხდება ჩემი ფიქრი,
თოვლმა იგრძნო ჩემი დაღლა,
ეს ცხოვრება სწრაფად მიქრის,
ნაბიჯ-ნაბიჯ მივდევ მაღლა.
უმოწყალო საწუთროში,
გულზე მრჩება ბედის დამღა,
მეფობს ფლიდი, მეფობს მრუში,
გზებს დავყვები აღმა – დაღმა.
წრფელი გრძნობა, მეგობრობა
საძებარი რომ გამხდარა.

ამ დროს, თოვლის ფანტელები,
მიყვებიან ზეცის ამბავს
და ეს ტკბილი არაკები,
აქ მოსმენილ ზღაპრებს არ ჰგავს.
გათოშილი ეს ხელები
თოვლზე ღმერთის სახეს ხატავს.
სიმშვიდე და სიხარული
მეუფლება ამ წუთს, ამ წამს,
ამაოა ყოველივე
რადგან მხოლოდ უფლის გზა მწამს.

სახეს თეთრად მიფერავენ,
ამ დაღლასაც ფიფქი მალავს,
ვეტრფი სპეტაკ, მართალ გრძნობას,
სიყვარულის ურყევ ძალას,
ამიტომაც მიყვარს თოვლი,
თოვლში ვეძებ ფიქრთა წამალს,
დაღლილი და დაქანცული,
გზას მივყვები როგორც ზღაპარს,
ციდან თეთრი ფანტელები,
დაფენია ღამის ლამპარს.

ნუ

ფეხქვეშ დაგეგები,
შენში დავმკვიდრდები,
სანთლად აგენთები ტაძრად.
ფარად დაგიდგები,
გრძნობად დავიღვრები,
გულსაც თან გაგატან საგზლად.
ოღონდ შემიბრალე
და ნუ დამშორდები,
მიწას ნუ მომაყრი ბარად.
კენტად ნუ დამტოვებ
და ნუ გამიქრები,
გულში ჩარჩენილო მარად.

შენ, პატრიარქო

ერის და ბერის დიდო მოძღვარო,
ქართველთა რწმენის ქვითკირო მტკიცევ,
დიდება უფალს, შენი ლოცვით რომ
ჩვენში კვლავ რწმენა დაბრუნდა ისევ.

ზემადლით ღვთისგან გაბრწყინებულო,
მოძღვარო, მამავ, ნათელო ბნელის,
„კირიე ელეისონ“... შენ, მგალობელო,
მწყემსო მართალო ცად ღმერთი გელის.

ჩვენო იმედო, შენ, პატრიარქო,
ლოცვით ნაგები ხიდი ხარ ზეცის,
ცის ბინადარო, მიწის სტუმარო,
ვაი, რომ ყველას გულისთქმა გესმის.

შენ სპეტაკ გულს და შენ ნათელს სახეს,
მხოლოდ ქართველთა ერთობა შვენის,
ღმერთი ინებებს, ღმერთი ინებებს,
გამთლიანდება სამშობლოს ჩვენი.

თითქოს

თითქოს ყველამ მიმატოვა,
თითქოს ყველას დავავიწყდი,
სამყაროც ხომ სულ მარტოა,
გავფრინდები, არ დაგიცდი.

მერე უფალს აღსარებად,
შემოვახვევ ცრემლის კაბას,
რაც მახსოვს და რაც არ მახსოვს,
მომიტევებს, არ დამკარგავს.

თუ შევძელი, ვითხოვ დამრჩეს,
მოგონებად შენი სახე,
უმოწყალოდ რომ გამწირე
და დამიგე სულის მახე.

რადგან ყველამ მიმატოვა,
რადგან ყველას დავავიწყდი,
აღარ ვდარდობ, რომ მარტო ვარ,
ღმერთს მივენდე...იქ დაგიცდი.

ლოდინის ტვირთი

მარტო ვნებად ნუ მინატრებ,
სიყვარულს სხვა აქვს სახელი,
ლოდინს ჩემ ტვირთად მივათრევ,
ბევრი მაქვს კიდევ სათმენი.

აღარც შენ ჩანხარ საშველად,
აღარც მადლი ჩანს სამების,
დავიარები და ფიქრში,
მიქრის სიცოცხლის წამები.

ხათუნა მითაგვარია

სანამ მზე – მთვარე არსებობს...

მთვარე ზეცაში ნავარდობს, მეფური ტახტი დაუდგავს,
ჩვენს პლანეტას რომ ანათოს, ვეზირად ვარსკვლავნი დაუსვავს,
თავზედ ოქროსფერ – გვირგვინით, ღამეს მის სხივებს ახურავს,
ის დედამიწას დარაჯობს, მავნებლებს დროს არ დაუთქვავს,

მთვარიან ღამეს რამდენი, იდუმალება გაუთქვავს,
ახალი მთვარე ჯადოა, ბევრსაც სურვილი ჩაუთქვავს,
ღრუბლების ძალა სხივს აცლის, მთვარეს მიტომაც არ უყვარს,
ღრუბელი წვიმას დაუშვებს, მთვარე სხივს კარგავს – არ უჩანს,

თვალებციმციმა ვარსკვლავნი მთვარეს მხარს ჩუმად აუბავს,
ცაში მსწრაფლ განლაგდებიან, ნათებით სხივებს გაუბავს,
ციურ პლანეტის მბრძანებელს, რა შეუძლია – არ უთქვავს,
მთვარე მზეს მუდამ გაურბის, იცის რომ თვალებს დაუწვავს,
სანამ, მზე-მთვარე არსებობს, სიცოცხლეს ვერვინ დაღუპავს...

დრო სწრაფად მიდის ვერ დაეწევი...

უკან მოხედვას ვერც კი მოასწრებ, დრო ისეთია წუთს აღარ გითმობს,
თავზე ძლიერად გადაგიქროლებს, ისე გაგივლის – თითქოს ვერ გიცნობს,
დროს თუ ჩამორჩი – ვერ დაეწევი, ის სასტიკია და აღარ გინდობს,
გუშინ რა იყო, დღეს კი რა ხდება, ხვალინდელი დღეც პასუხს მოითხოვს,

წარსული აწმყო და მომავალი, ყველა შენია და მასთან გიხმობს,
წარსულზე ფიქრით დროს ნუ დაკარგავ, დღეს ის აკეთე – რასაც დღე ითხოვს,
დღეს საკეთებელს ხვალ ნუ გადადებ, ასე მომავალს ვერავინ იწყობს,
ის საძირკველი წარსულის ტყვეა, თუ მომპალია – მომავალს გისპობს...

მედროვეები ჩამოიშორე...

ცხოვრების ცუნამს ნუ ჩაუთვლიმებ, ხმალი ქარქაშში აღარ ჩააგო,
ცხოვრება გებრძვის – თავის ამალით, ეშმაკს შენიშნავ? – არ გაიკარო,
მედროვეები ჩამოიშორე – თავი იმათთვის არ დაიჩაგრო,
შენი ტკივილი შენვე განკურნე, ეცადა კალთა გადააფარო,

თუ საიდუმლოს ვინმეს გაუმხელ? გირჩევდით აღარ – გადააჭარბო,
თავშეკავება დიდი განძია, თავი შარში რომ აღარ ჩააგდო,
სანამ არსებობ – თავს გაუფრთხილდი, ცხოვრება შენს თავს – არ წაამწარო,
ღმერთმა ვინც შეგქმნა – იმათვე დარჩი, გემჩნევა – თავი არ გააყალბო,

თუ სურვილი გაქვს ტაძარში შედი, თუნდაც სანთლები აღარ დაანთო,
ეს კლიტე შენს ბედს მოარგე კარგად, სხვისი კარები აღარ გააღო,
ეშმაკთა დასი ჩამოიშორე, მათ შენი თავი არ დაამატო,
ვიღაცის ჯიბრით აღარ იცხოვრო, მათ ვითომ რაღაც რომ დაანახო,
თუ კი გატკინეს – ღმერთს მიაბარე, შენ თავს ცხოვრება არ წაამწარო..

დილამშვიდობისა ქართველი ხარობს...

თქვენთვის მოქარგა ჩემმა კალამმა, ხედავთ გათენდა უფალი არ გვთმობს,
ყველა სატკივარს სატანა ადგენს, ზეციდან ღმერთი სატანას ახრჩობს,
ბედნიერება მზესავით ბრწყინავს, და ეს ნათება სუყველას გვაწყობს,
იყავით სწორედ თოვლივით წმინდა, სიწმინდეს სატანა ვერაფრით აქრობს,

არ დააბიჯოთ ფეხი სუფთა გულს, ნაიარევი მომკვდავს სულ ახსოვს,
ყოველი დილა სუფთად დაიწყეთ, ნუ დაივიწყებთ ვიღაცა დარდობს,
ყველა სიწმინდეს სული უბერეთ, პატივი ეცით ვინმე თუ ნანობს,
დილას ვეცადოთ ღიმილით შევხვდეთ, სხვას ნუღარ ვატკენთ რადგან შენ გაწყობს,

თოვლივით წმინდა ვერვინ ვიქნებით, თუმც ამას შევძლებთ სხვას რომ არ ვავნოთ,
სულში ჩახედეთ ადამიანებს, კარგად აწონეთ იქნებ რას ამბობს,
კარგს თუ არ იტყვი, ცუდიც არა სთქვა, ისე ტკბილ სიტყვას ნეტავი რა სჯობს,
დილამშვიდობისა ჩემო საქართველო, ამ სიტყვებს სულით ქართველი ამბობს,.

ღმერთის რწმენა არ დაკარგოთ...

ყველამ მინდა, რომ იხაროს, გულზედ დარდი გადიყაროს,
ყველამ მისი სატანჯველი, სულ იოლად გადიტანოს,
ამას თქვენთვის ლექსით ვქარგავ, რომ ოდესმე გადიდაროს,
სანთლებს ვანთებ, საზღვარს ვეძებ, ღმერთმა ნაპირს გაგვიყვანოს,
უსასრულოდ იმიტომ ვწერ, ლექსებმა, რომ დაგიყვავოთ,

სხვისთვის კარგის გაკეთება, არასოდეს დაიზარო,
თუ კი, საიდუმლო განდეს, შენს გულშივე დაიმარხოს,
სხვის ოჯახში, სხვისი სკამი, არასოდეს დაიკავო,
შეეცადე ცუდის გვერდით, კარგიც უნდა დაინახო,
უცებ, ნურვის მიენდობი, გული, რომ არ დაგიდაგოს,

ეშმაკობაც მოიმარჯვე, თუ კი ვინმემ დაგიბაროს,
ეკლესიის კარის უკან, არასოდეს დაიმალო,
უღირსი არ შეიყვარო, სიცოცხლე არ გაგიმწაროს,
მოთმინებას საზღვარი აქვს, სულელად არ დაგინახოს,
ბედნიერი მაშინა ხარ, ქრისტიანად დაიბადო,
ღმერთის რწმენა არ დაკარგო,, თუ არ გინდა,, დაიტანჯო...

თუ გადაწყვიტე უნდა დაწერო...

თუ კი მოგინდეთ, რაღაც წარმოთქვა, თუ წერ დაწერე რაც გაქვს სათქმელი,
ყველა ტკივილი თუ სიხარული, პირდაპირ წერე რატომ გაჩერდი,
როცა არა სთქვი რა გამოვიდა, უფრო გატკინეს – მიხვდი? რა ქენი,
შენს კალამს ნუღარ შებოჭავ ძალით, ბორკილი შენი ხელით ახსენი,

თუ კი სიმართლეს არ წერ მითხარი, მელანს ტყუილად რატომ აქცევდი?
თუ მუდამ შოლტის შიში დაგყვება, კრიტიკას მაინც ვეღარ აცდები,
მავანს თუ ცდილობ ასიამოვნო, ამით საკუთარ უფლებებს არღვევდი,
მაგ გულში რასაც გრძნობ, გადმოიტანე, სხვებმაც შეიგრძნოს, რასაც დაწერდი,

ის ამბიცია რომ მწერალი ხარ, ეს არ გჭირდება შენ თქვი სათქმელი,
თუ აირჩიე ერთგულ მეგობრად, კალამი ხდება შენი საყრდენი,
ნუ ამოკრიბავთ ლექსთა კრებულში, შენი სიტყვით თქვი-– არის გამგები,
ფერად-ფერადი სიტყვა ყალბია, აქ გული არის მხოლოდ დამკვეთი,
თუ გადაწყვიტო უნდა დაწერო, მაშ დაგვიწერე რაც გაქვს სათქმელი...

* * *

იქნებ მოთმინებამ ქედი მოიხარა, ფეხს ნუ დააბიჯებ თავზე,
ნუღარ გადაუვლი – იქნებ შეეკითხო, თავი დაგიხარა – რაზე?
საზღვარს ნუ გადახვალ, თორემ აფეთქდება, თუ კი გააკარი ჯვარზე,
როცა ბედნიერი ლაღად მივაბიჯებ, ნუ გადამეღობები გზაზე,

მიწას დავაბიჯებ ერთი ცოდვილი, გაფრენას არ ვაპირებ მარსზე,
ნუღარ გამოცდი ჩემს მოთმინებას, ამ დროს გიჯობს გადგე განზე,
შედეგსაც დაელოდე ფინალს რომ ვერ გახვალ, მაშინ რაღას იტყვი მატზე,
მოთმინებამ თუ ქედი მოგიხარა, ნუღარ გადაუვლი თავზე,
ღმერთი თუ არ გახსოვთ, თვითონ გაგიხსენებს, იქნებ აიხედო ცაზე..

წუთისოფელი ძალზედ ძვირფასია..

თუნდაც უამრავი ტკივილი მოითმინე, მუდამ გახსენებენ რაც ვერ აიტანე,
ნაბიჯ-ნაბიჯ გსდევენ, სულს აგაცლიან, თანაც გიბრძანებენ – თავი დამიხარე,
არადა სული მაინც სპეტაკი ხომ გრჩება, დროზე უნდა გეთქვა თუმც ვერ გაიაზრე,
მოთმინებების მთები აღიმართა, მთიდან კარგად მოსჩანს რაც ვერ დაინახე,

თავშეკავებამაც მწარედ ჩაგაფიქრა, შენს თავს აწვალებდი – დრო რად გაიყვანე,
ვეღარ გპატიობენ ტკივილს თუ გამოთქვავ, ადრე ხომ ითმენდი, ახლაც აიტანე,
თუმც მაინც არ დაეცი, სასწაულებაა – თავს მოერიე და ხელში აიყვანე,
ღმერთის დახმარებით ისევ წინ მიდიხარ, გასაოცარია შენი გაიტანე,

ასჯერ დაჭრილ გულში, ისევ თუ ჩაგარტყეს, გეუბნებიან შენით დაიყვავე,
ზოგჯერ უთქმელობა – არა ეგების რა, გათავისუფლდი – გული დაიცალე,
მოთმინებითაო ხშირად მოგესმება, იმას არ ხვდებიან – როგორ დაიღალე,
წუთისოფელი ძალზედ ძვირფასია, დროს ნუ დაკარგავ – გული გაიხარე...

და მაინც იცი? ღმერთი არ გაგწირავდა..

მზე რომ აღარ იყოს, ცხოვრება გამყინავდა,
წვიმა რომ არ იყოს, ცრემლებს ვინ მომბანდა,
ქარი რომ არ იყოს, სუნთქვას შემიკრავდა,
მთვარე რომ არ იყოს გზას ვინ გამიყვანდა,

თოვლი რომ არ იყოს, სულს ვინ დამიბანდა,
სიცოცხლეს მოიძულებ? ფონს ვერ გაგიყვანდა,
სიკვდილზე რას იტყვი? ის ვერ დაგიცავდა,
ეს ცხოვრებაა – მახეს დაგიდგავდა,

ეშმაკი რომ არ იყოს ტაშს ვინ დაგიკრავდა,
ადამიანთან მგელი უნდა იყო, თუმც
მგლურად ყოფნა შენ ხომ – არ გიყვარდა,
მყარად თუ არ დადექ, იქვე დაგიმთავრდა,
ფესვები თუ მოგერყა, მიწა ჩაგიტანდა,

ზოგჯერ გულწრფელობა უფსკრულს ჩაგიყვანდა,
ამდენ სიყალბეში – ძეგლს ვინ დაგიდგავდა,
დარში ვინ იცის რამდენჯერ – გაგიავდრდა,
და მაინც იცი – ღმერთი არ გაგწირავდა,
ღმერთო მაპატიე – თუ ლექსი გამიმკაცრდა...

მხოლოდ ღმერთის წინ თუ დაგვაჩოქებთ...

სულ მინდა ვწერო თუნდაც ურითმოდ, გულს მოვიოხებ და აქ დავტოვებ,
ღამეც თითქოსდა მეკამათება, შენს საწოლს ვისი სახლში ასწორებ?
კითხვებსაც მისვამს – ალაპარაკდა, ღამეც ჩემსავით გიჟებს მაგონებს,
სახეშეშლილი ყურში ჩამესმის, შენ დატოვე და ის კი არ გტოვებს,

ჩემს საქართველოს რა ელოდება, ფესვებს მიადგნენ – გული გამოხრეს,
ყველას საღათას ძილით რომ გვძინავს, სიზმარში ვინღა წამოგვაბოდებს,
განა არ არის? პატრიოტები? მოთხოვნა სანგრით ჩამოგვაწოდეს,
ჩვენ კი შორეულს მივემგზავრებით, ყველა მოთხოვნებს ჩამოგვაშორეთ,

პატივი დაგვდეთ ომი არ იყოს, ისე რა უჭირს დაგვამათხოვრეთ,
თქვენ წასვლის პირი ვატყობ არ გიჩანთ, ალბათ გვეცინით ხომ დაგვაჩმორეთ,
ნუ გაგვიყიდით ჩვენს წილ მიწა-წყალს, თორემ მიწასთან გადაგასწორებთ,
ღმერთო ანიშნე მოღალატეებს, მხოლოდ ხატის წინ თუ დაგვაჩიქებთ...

ადამიანი წრფელი უნდა იყოს...

ადამიანი წრფელი უნდა იყოს, მას სარკესავით უნდა უყურებდე,
ადამიანი ეშმაკს არ უნდა გავდეს, სხვებს ცხოვრებას არ უნდა ურთულებდეს,
ადამიანი ადამიანს უნდა გავდეს, ადამიანს მხეცივით არ უნდა უყურებდეს,
ადამიანი სადა უნდა იყოს, სხვებს ხასიათს რომ აღარ უფუჭებდეს,

ადამიანი არ უნდა თამაშობდეს, სიმართლის ნაცვლად – სპექტაკლს რომ არ დგამდეს,
ადამიანთან ფრთხილად უნდა იყო – შენს თავს საიქიოს რომ არ უბარებდეს,
ადამიანი ასეთი უნდა იყოს, გულში დარი რომ გაქვს – აღარ გიავდრებდეს,
ადამიანი ჩუმალა არ უნდა იყოს – შენს ჩასაძირად მახეს გიმზადებდეს,

ადამიანი წრფელი უნდა იყოს, მისი სიმართლე მუდამ მქუხარებდეს,
ადამიანი ისეთი უნდა იყო, სხვებს რომ სიცოცხლეს აღარ უმწარებდეს,
ადამიანი ისეთი უნდა იყოს, შენი არსებობა ყველას უხაროდეს,
ადამიანად ღმერთმა – გაგაჩინა, და ამისათვის ღმერთს უნდა უმადლოდეს...

მაგული კორძაია

ვერდანახული სიკეთის განცდა

+++

შემომეფეთა დღეების ფითრით,
ვერდანახული სიკეთის განცდა,
ისეთი მზერა შემომაგება,
თითქოს ცხოვრება ერთ წამში გაცვდა...
შემოდგომისპირს
დაღლილ ამინდებს
გაუგონარი სიშიშვლე მოაქვს,
ოქროსფერ ფოთლებს ძირსდაცვენილებს,
თუ ტალახისთვის ვიმეტებთ,
დროა,
დროა დავფიქრდეთ
არსთა გამრიგემ
რად დაგვანახა ჩვენი სიშიშვლე,
იქნებ იმიტომ,
ნაბიჯ-ნაბიჯ რომ
სიკეთის ნაცვლად
ცოდვა ვიშიშვლეთ...
ან გვეცოტავა გაზაფხულიდან
ზამთრისპირამდე სულის საოხად
აყვავებული ველმინდვრები და
დღითიდღე უფრო ვგავართ ნაოხარს...
ან იქნებ ზაფხულს "ვესესხეთ" სითბო,
ვაგლახ,
ეგოში ჩახრჩობილს ვგავართ...
მე ჩემში ვეძებ "სამოსელს პირველს"
მხოლოდ ჩემს თავთან შემოვრჩი კამათს!
შემომეფეთა
დღეების ფითრით,
ვერდანახული
სიკეთის განცდა,
და ისე შემრცხვა ჩემი სიშიშვლის,
ცხოვრება თითქოს
ერთ წამში გაცვდა!

22.11.22წ.

* * *

შემოდგომა ხომ ფიქრის დროა ,
ცას გაწერილის,
შალმოხურულმა ვაკოწიწე,
ფიქრი-წერილი,
ვწერე სიჩუმე,
სიხარულს და ტკივილს რომ ხედნის...
ზამთარში რომ
არ შემეშინდეს,
უკან მოხედვის...
ცუდი რაც შერჩა დაბადებით
ფიქრის არილებს,
სულ ნაფაზებად ვაბოლე და ისე "ავრიე"...
იმედის თასით
მივიტანე, იქ სამსჯავროზე,
სადაც ღიმილი
მომაგებეს:
"ნუ გადაგვრიე"...
-"ფეხის ფრჩხილმა" რომ დამაფიქრა,
ბრმად განაქიქმა...
მერე "თმის ღერმა"
ხან დაცულმა
ხან სულის სტიგმამ...
კიდევ რამდენი შერჩენია მბჟუტავ არილებს,
დრო თუ მეყოფა, დავწერ,
ანდა,
"დავამარილებ"...
ასე ყოფილა,
ამაოა ყრუ სიმძიმილი,
წამწამთკრთომაა, ის ნაბიჯი,
გულს რომ აჩერებს....
უნდა მოვასწრო
რომ მიყვარდე,
ვერ შეგაჩვენებ!
ამ "სიმცირეში "
ისე ვხედავ
ადამიანებს,
-ცას გაწერილი,
ბოლო ფიქრი,
მაადამიანებს!!!

ისეთი ლექსის დაწერა მსურდა...

*****

ისეთი ლექსის დაწერა მსურდა,
წუთისოფელს რომ ვერ გაექურდა,
სტრიქონთა შორის მომსკდარი ლავა
სულს და სხეულსაც რომ აგიბურდავს...
ისეთი ლექსის დაწერა მსურდა,
"ქარს ხორშაკიანს", ვეფერო ცურტავს!
რუსთველის კალამს შევეხო
კრძალვით,
მსგავსი, მსგავსი რომ არ ეპყრო არვის!
სულ რომ
გვწამლობდეს ქართული გონის,
ქართული სიტყვით წერა,
ნათება,
არსაკიძეს თუ მოსჭრეს მარჯვენა,
კონსტანტინე რომ დაიბადება!

ვპოვო ქართული სიტყვის
სამჭედლო,
ყველა გენია ერთად რომ იშვა,
ვიბნევი,
ვცდილობ რაღაცის თქმას და
ამოუცნობმა
შემიპყრო შიშმა!...

რა ქარაგმებით
შევბედო
გალას...
გავრბივარ,
ვუფრთხი,
ხელს ვუშვებ კალამს,
თვალებს ვხრი,
ფურცლებს უბეში ვმალავ...

არაო:
-მესმის,
არამც და არამც,
ხელი არ უშვა,
არ უშვა კალამს,
თუ ოდნავ გყოფნის გონი
და ნიჭი,
ქართული სიტყვის,
აღმართავ
ალამს!...

მუზამ მესროლა მწველი ისარი:
"-ისეთი ლექსის" წერა ის არის,
როდესაც ხარო
სიტყვის მისანი...
როცა ჰგავხარო,
წერას ატანილს,
სწვდებიო გრძნობებს,
მზემდე ატანილს...
უნდა, სამყაროს ატევდე შენში,
საზრდოც გყოფნიდეს,
სულ ერთი პეშვი...
ხომ კარგი,
თორემ,
წერას კი არა,
წერას კი არა...
ფიქრსაც შეეშვი!

შევკრთი
და ნეტავ,
-ვგავარ თქო "შეშლილს"?!...
ძლივს ამოვღერღე:
-მუზავ,
შემეშვი!
იმდენმა ცოდვამ ჩამასო ეშვი...
"ასეთი ლექსი"?!...
-მესმის,
ჰო,
მესმის...
-თუ უკვდავების ნექტარი შესვი,
ან ოცნებაც კი მასზე,
რომ შეგშლის!!!

თინა სტეფლიანი

* * *

ნ– უ ვიქნებით ურწმუნო და უსულგულო,
ი– მედია ხვალინდელი დღის სუნთქვა...
ნ– ინო წარსდგა ჯვარით ხელში იბერიას...
ო– ო რამდენი გაანათლა ჯვრის მადლმა...
სვეტიცხოველს რომ აკურთხეს ჯვარი წმინდა...
ღვთისმშობელმა ნინოს მისცა კურთხევა...
ვალმოხდილი წმინდა დედა სიდონიას,
უფლის კვართი უნათებდა მას გზა-კვალს...

* * *

ღმერთის წყალობაა სიმშვიდე,
შინაგანად რომ მშვიდად ხარ,
ეს უხილავი ძაფები,
ბედნიერებას გვპირდება...
– რა ტკბილია და რა თბილი,
ოცნების ზღურბლს რომ ეხება,
შორიდან მაგრამ,ვინ იცის,
ახლოსაც იქნებ მისწვდება...
– სირთულე ჩვენი ყოფისა,
უზენაესმა ხომ იცის,
აუგს რომ ვამბობთ არ გვშველის,
თმის ღერი უფრო გვცვივდება...
– უმადურობაა საწყისი,
ყველა ცოდვის და სიმხდალის,
მადლიერებით განვკურნოთ,
სანთლით ვასხივოთ
სიმები...
– მადლით თუ არ შევიმოსეთ,
პეშვით წყალსაც კი ვერ მოვსვამთ...
ხელმოცარული არ დავრჩეთ...
უსასრულობის ბილიკთან...

* * *

საკმაოდ დიდი ხანია უკვე,
სულით და ხორცით ,მრწამსში ვარ თითქოს,
ლოცვით და მარხვით,სამშობლოს ვიცავთ...
იმასაც ვგრძნობ ,
რომ ეშმაკს არ სძინავს...
– სხვა ვერაფერი ჩვენ ვერ გვიშველის...
იარაღი ჩვენი მარხვა და ლოცვაა,
ღმერთთან მყოფობა და ზიარება,
ესაა ჩვენი ღმრთის დავალება...
– ოდითგან ჩვენი სამშობლო ტურფა,
უთვალავ მტრებით გარშემორტყმული,
ეხლაც იგივე ხომ მეორდება,
ქართველთ გათელვა
რატომც უნდებათ??!!..
– იმიტომ ხომ არა რომ ქრისტე გვიყვარს?!
რომ მის კანონებს ოდითგან ვიცავთ...
მაშ,რისთვის გვინდა ჩვენი სიცოცხლე,
თუ არ დავიცავთ ,მის სჯულს და მოდგმას..-
– ალბათ ამიტომ გვემტერებიან...
მსოფლიოს ყველა ფარსი ხალხები,
ქრისტე ხომ ერთხელ გააკრეს ჯვარზე...
ქართველებს მუდამ სულს ჯვარზე ხდიან...
– მაგრამ,ღმერთია სამყაროს მეფე,
ჩვენ კი, სტუმრები დროებით ყველა...
ვერვინ წაგვბილწავს, ვერვინ
წაგვართმევს...
დედა ღვთისმშობლის კურთხეულ მიწას!!!

* * *

ღვივდება მრწამსი ჩემს გულში,
სულს ჯვარი მერამდენედ მინათებს,
ეშმა თუ შავ ფარდაგს ჩამოსწევს,
ვაი ,თუ ვერ მივწვდი მწვერვალებს...
-– რამეთუ ეს ცხოვრება სასხვისო,
უთქმელი სათქმელით ნებდება,
ეჰ, რამდენ სინანულს ვაქსოვდი,
სულეთის შეწირულ ზვარაკებს...
-– ვარამს როდემდე დავმალავ,
მით უფრო არ ვდარდობ არაფერს,
შემოქმედს არ მინდა შევჩივლო,
ვერ ვამხელ თუ როგორ,ვეწამე.
-– მაგრამ მრავალჯერ რატომღაც,
არ ცხრება იხუვლებს ტიალი,
სისტემის ჩამოშლამ წარმოშვა,
ერთობის, ღალატის სიმძაფრე!...

გვიყვარდეს და გვწამდეს ღმერთის❤

გავილამაზოთ დღეები,
ღვთიურ სიყვარულით წრფელი,
ვაჩუქოთ ერთმანეთს გული.
და ღმერთი ვიწამოთ ჩვენი...

პირველ ყოვლისა ვიყოთ
გულწრფელი საკუთარ თავთან,
არ მოვიტყუოთ თუნდაც,
გვემართოს უთვალავი ვალი...

ყველაფერს ეშველება,მაგრამ
თუ სიტყვით დაკოდე კაცი,
გულში გაუჩნდება ბზარი,
მერწმუნეთ ის იქნება გვამი...

არ მოვკლათ ერთმანეთი სიტყვით,
ვეფეროთ ერთმანეთს წამით,
თუ ეშმამ ჩაგვჭიდა ხელი,
მოგვწამლავს მომაკვდინებელი შხამით...

ვაკეთოთ სიკეთე ირგვლივ,
ვეცადოთ არ ვიყოთ ფარსი,
რომ მერე აღარ შეგვრცხვეს,
მამაზეციერის ცაში...

ზნეობის დაცემის მარცხი,
სიმართლის გაქრობაა ხალხში...
ადამიანი სუნთქავს
სიმართლით და კეთილი საქმით...

რად გვინდა გრძნობები თუ კი
ვერ გავუზიარებთ ვერვის...
რა დაგვრჩენია მეტი,
გვიყვარდეს და გვწამდეს ღმერთის...

21.12.2022წ.

* * *

შენს სიყვარულს გეფიცები,
ჩემო ტურფა სამშობლოვ,
დედა ღვთისმშობლის წილხვედრო,
წმინდანების საუფლოვ...
შენს მიწაზე ფორთხით ვივლი,
წვიმამ სულ რომ მაწვიმოს,
ღრუბლებს ქარმა დაუბეროს,
სევდამ რომ არ მიწამოს...
ასი ათასი წმინდანის,
ქვეყანა ვართ უფალო,
ყველა ქვეყანამ უარგყო,
საქართველომ გიწამა...
სამოთხეა ეს ქვეყანა...
ვინც არ უნდა იკვეხნოს,
საქართველოს ვერც შეედრება,
რომც სამყარომ იდავოს....
სვეტიცხოვლის კარიბჭესთან,
საწყისია სიცოცხლის,
სვეტიცხოვლობა სხვა რა არის??!
საწყისია ცხოვრების...
ყველა ქვეყანამ უარყო,
ყველა განზე გაუდგა...
ღვთივკურთხეულმა ქვეყანამ,
წირვა– ლოცვით,
ხატთან ღამე უთია...

17.09.2022წ.

* * * *

ვუძღვნი მის უწმინდესობას,
საქართველოს პატრიარქს,
ილია II-ს.----------'

ჩვენი წმინდანი ჩვენი ილია,
ის ხომ სამშობლოს სიყვარულია,
იმედი ხვალის და მომავალის,
წმინდა სინოდის მეთაურია.
-----ის ხომ სიმშვიდის,სიბრძნის სინათლის,
ოჯახის სიმტკიცის მეგობარია,
არ მოკლებოდეს ქართველი ერის,
მგზნებარე გული და ერთგულება.
----დედა ღვთისმშობლის მადლის სიუხვე,
ქრისტეს სიმშვიდე,უმანკოება,
ის ხომ მამაა ყველა ჩვენგანის,
ჰფარავდეს მუდამ ყველა წმინდანი.
--– მისი ლოცვით და მისი კურთხევით,
ვძლიერდებით და ძალღონეს ვიკრებთ,
არ დავნებდებით მტრებს და ჯალათებს,
ვფიცავთ სამშობლოს თავისუფლებას.
ჩვენი ხატის და ჯვარის დამცველი,
წინაპართ რჯულის გამგრძელებელი,
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი,
საპატრიარქოს, წმინდა სანთელი!!!

23.07.2017წ.

* * *

რა არ ვისწავლე,
რას არ ვეწვალე,
მე მაინც ვერ ვგრძნობ თავს კომფორტულად,
ყველაფრის ცოდნა რომ მიწევს კარგო
რა ვქნა მე ჩემი ცოდნა მწყურია....
ავად გახდები,შენ ხარ ექიმი,
თმა გაგეზარდა? გახდი სტილისტი,
კაბა ლამაზი შენ შეარჩიე,
ტუფლი,კედებიც გამოაყოლე...
ფულის შოვნა და სამზარეულო,
ეს ორი საქმე ,ჩემი ნიჭია,
მასაჟები და სწორი კვება,
დამატებული ლოცვა და იოგა...
(უკაცრავად,ხათხა– იოგა).
მერე ლექსები ვინ უნდა წეროს?
თუ დღე გავლიე, რეცხვა ხეხვაში...
მაგრამრომ ვშრომობ
ღმერთი მიფასებს...
სულ საქმეში ვარ,თან
მუზა მსტუმრობს...
წირვა-ლოცვაზე ყოფნა კი მიყვარს,
თავისუფლებას იქა ვგრძნობ მხოლოდ,
ღმერთს შევჩივლებ და ისევ ვილოცებ,
სულის ნაღვერდალს,
ცრემლს გავაყოლებ...
ვერ გაგვიგია,როგორ ვუწამლოთ...
ჩვენს სულს,სხვა ბევრი კიდევ სწადია..
ვერ შევიმეცნეთ,ჩვენ ჩვენი თავი,
სხვის განკითხვისთვის,როგორ იცლიან??
ღმერთი დიდია,მადლობა უფალს,
რომ ნიჭს მიგზავნის, რისიც მწადია...
მთავარი არის სურვილი გვგქონდეს,
ყველა საქმეში უფლის ხელია...

ლექსი ეძღვნება თემურ წიკლაურის ხსოვნას...

* * *

თ-ავმდაბლობის
  და სიმღერის მგოსანო,
ე--რთგულებით ემსახ
  ურეთ სამშობლოს,
მ--სოფლიოში ყველა
  ხალხის რჩეულო,
უ--თბილესო,მეგობრ
  ობის ტალკვესო.
რ--ჩეულო და ანთებუ
  ლო ლამპარო,
ი--მიერ და ამიერზე
  მზრუნველო,
წ--არმატების უმაღლ
  ესო წერტილო,
ი--მ უშურველ სიყვარ
  ულის მფრქვეველო
კ--ვარცხლბეკო და
  არწივების მეფეო,
ლ--ომი იყავ და სიკე
  თის მთესველი,
ა--რ იტიროთ ცრემ
  ლი არ გეკადრებათ
უ--შფოთველად,დაიმ
  კვიდრეთ თქვენ ზეცა...
რ--ომ იცოცხლებთ ჩვ
  ენს გულებში მარა დჟამს
ი--მ საოცარ, თქვენს
  სიცოცხლეს ვფიცავ ართ!!!

3.02.2021წ.

* * *

ღიმილი მაჩუქე ბიჭოვ,
გამიღე ეგ გულის კარი,
რა სევდამ შეგიპყრო ნეტავ...
დაუდგეს იმ სევდას თვალი...
სიცოცხლე ნავარდობს გესმის?!
გარს გივლის შორიდან გათბობს,
და ნამდვილ გრძნობაში ჩაფლულს,
მარტო შენი სიყვარული ახსოვს....
მოგონებების ტალღამ ჩამოუქროლა წამით...
და გაახსენდა ის დრო, შეყვარებული რომ
იყო...
გააჟრიალა ტანში იმ დროის წუთის ღელვამ...
რამდენ სიყვარულს იტევს...
ამ ორი გულის ფეთქვა...
ვახ,სიყვარულო სად ხარ, რატომ აგრძელებ
სევდას,
გაალღვე ეგ ყინულები...
შენს გულს ორად რომ გიყოფს...
ცისკრის ნათებას შევხვდეთ...
ერთად გავფრინდეთ ცაში...
და სიყვარულის ნაყოფს მივუძღვნით ღვთისმოსავ
ქალღმერთს...

27.08.2022წ.

* * *

მე სიყვარულის ბადაგი დავლიე,
ცხოვრება სიყვარულში გავლიე,
შეყვარებული ვიყავი მუდამ,
ცხადში სიზმარში,მომავლის უკან..

სიყვარულია ყოველი წუთი,
მერწმუნეთ ვცხოვრობდი ,ასი წლის წინათ...
ვფიქრობდი,ვდარდობდი, და ვკამათობდი,
სიყვარულს სანთლებს ვუნთებდი ხშირად...

ტრფობა ,სიგიჟე, უმანკოება,
ჩვენს გულს ,ხანდასან თავს რომ ესხმოდა,
მოგონებების ტალღამ დამღალა,
ვინძლო,სინდისმა მე გამამართლა...

და ისევ ტრფობა სიცოცხლის ჟინი,
ოცნებები და ცხოვრების სტილი,
კვლავ სიყვარული დაუღალავი,
უსიყვარულოდ ვერ ვპოვე ძილი...

ჩემს სულში შენ გპოვე ჩასაფრებული,
იმედებით ვარ გაჯერებული,
მერე რა მოხდა რამ დაანგრია,
სულის კედლებიც რომ ამოქოლა....

მაგრამ თუ გიყვარს, თუკი ენდობი,
სიყვარული ხომ ყველაფერს კურნავს,
სულს,სხეულს, მზერას,დახმას ჰანგიანს,
ცეცხლი სიყვარულის მარად ანთია...

4.10.2022წ.

* * *

ღმერთო,მე ხომ უბრალო ვარ,
არა მიწიერად მგრძნობელი...
დამიმშვიდე სული,არ მატკინო გული,
როცა თავს ვუყადრებ
ყველა ადამიანს...
ვერ ვიპოვე ჩემთვის, ხელსაყრელი სივრცე,
რომ მამხილოს ღმერთმა ადვილად...
გული მწყდება ზოგჯერ,
რომ არ ვგავარ ვინმეს...
სული დამიმძიმდა,
ნამდვილად!!!
მე არ ვიცი ვინ ვარ,
არც ის ვიცი სად ვარ,
უმისამართოდ
დავდივარ...
ღმერთო მაპოვნინე,
თუ დავკარგე,
ან მე დავეკარგე...
შეგვახვედრე ისევ,
ხვალ დილას...

14.10.2022წ.

მზეგული ტყეშელაშვილი

ღმერთს ვყვარებივართ!

რა ხანია მსურდა დამეწერა ლექსი,
ვერ გავბედე ვერა, ვა თუ ისე ვერ ვთქვი,
ჰოდა გავთამამდი, კადნიერი ვხდები,
ღმერთო კეთილ საქმეს – გაუხსენი გზები!
/ავტორი/

ღმერთს ვყვარებივართ, გამოგვიგზავნა,
კაცი სიბრძნითა უპირველესი,
მასვე შევთხოვოთ, გვიცოცხლოს დიდხანს,
უწმინდესი და უნეტარესი!

თუ ყურს დავუგდებთ, გავძლიერდებით,-
ერი ძლიერი და რწმენა მეტი...
,,ეპისტოლენი“ წავიკითხე და –
თვით მისი ბაგით ქადაგებს ღმერთი!

თუ საქმე ესე რჩეულთ ხვედრია,
აკეთებს რწმენით, ვითარც იესო,
ღვთისმშობლის წილხვედრს – გამთლიანება,
შენ მიულოცე – კათალიკოსო!

2017 წელი



მზია გომართელი

მინი ლექსები

* * * * *

ლურჯი გადაჰკრავს..დაწყნარდა ზეცა..
ცუნამი ჩადგა..
გადარეული..
დაიმსხვრა ერთობ
კლდეს შეეჩეხა...
ტალღების ზვირთი
აგორებული!...
დრო გააჩერა
სინათლის სხივმა,
მიწყდა გრუხუნი,
ელვა ნაკრავი..
წამის უცაბედ ცვალევადობამ
გადაავადა ტკივილი ღამის!..

* * * * * *

ჟინიანობა გიპყრობს მზად არის...
გადაიარო ცხრა მთა, ცხრა ბარი..
დაბრკოლებასაც არად დაგიდევს,
სიმართლე როგორც ზვარაკი ხარი..
რომ მიიყვანო საკურთხეველთან ...
მუხლდაჩოქილი, სამსხვერპლი ცხვარი!

* * * * * *

ცა განათდა, ვარსკვლავები მიილია..
უჩვეულო დღის და ღამის გასაყარი...
მთვარე შეკრთა
სევდა ისევ მოერია.
არ მინახავს მსგავსი ზავის შესადარი!

* * * * * *

თუ სულის სწრაფვა, ძლიერი არის...
თანაც გიზიდავს სიმართლე წამის!
ძვრასაც ვერ გიზავს, ვერ გაგტეხს ძალი.
თუნდ დაეკიდოს, ლაშქარი ჯარი!..

2022 წ. დეკემბერი

მინი ლექსები

თითქოს სიბნელემ ჩამოიარა, ცდილობს ჩააქროს
სინათლის სხივი, ავყიაობა თავს იჩენს მარდად..
მართალი კაცი სირცხვილით იწვისს!!.

* * * * * * * * * * *

როგორ გვჭირდება უფალო ღმერთო,
რომ არ ვიაროთ როგორც ეულნი..
რათა გაბნეულ მძივის მარცვლებად,
არ დარჩეს ხალხი მიმობნეული!!.

25 ოქტომბერი 2021 წ.

* * *

სუყველაფერი ან არაფერი,
რა გამოცანა მომეც უფალო...
მე შემოდგომა მეწვია მაგრამ,
ცხოვრების ტემპი არ შეევიცვალო.
აქეთ კიბეა მაღლა რომ ადის,
იქეთ დაღმართი, ქვესკნელი მოჩანს..
გაოგნებული
ვდგევარ და მიკვირს
ტემპს შევანელებ?!
გათავდა.. მორჩა.
ორ წყალს შუა ვარ
დაკიდებული
სულ ბეწვის ხიდზე,
როგორ ვიარე...
დავრდომილსა და შეჭირვებულსა
ვერასდროს გვერდი ვერ აუარე..
ჩემი დავტოვე, ხიდად გავედე,
სიკეთის ნაცვლად, გადამიარეს..
ვისაც ვეხმარე..სწორედ ის გახდა,
დაბრკოლება და ჩემი სამარე!.
რომ არ ვიდრტვინო და მოვერიო,
უფალო ღმერთო – გთხოვ დამეხმარე!.
რატომ ვიჯავრო თუ მან სიკეთე...
უკუღმართობით ასე შეცვალა...
ვერას გავაწყობ ჩემი ძალებით,
თუ მან ზნე– ფერი არ შეიცვალა!..
ეს ყველაფერი რომ მახსენდება,
სახეს გადამდის ცხელი ალმური...
არ გაბედო და უკან არ გაჰყვე,
რომ ააშენო აგურ-აგური!..
სიკეთე უკან დაგიბრუნდება,
ცხოვრებამ მომცა ამის დასტური!...

* * *

მზე ანათებს, ჭახჭახებს..
ზამთრის
დილა გვწვევია...
ზამთარს დავიწყებია
გადაუვადებია...
მზე ზენიტში ასულა
ღრუბლებს იქ გაჰქცევია...
უხვად აფრქვევს სხივებს
და სიყვარული სწვევია!
გაბუტული ღრუბლები
ჭორებს ასდევნებია..
მოჩურჩულე ყურყურით
სახე დაჰგრძელებიათ..
მთვარე ტუჩებს იბზუებს
საქმე გასწბილებია,
ღამე ჩადრის სწორებით..
უკან ასდევნებია.
სავსე მთვარეს გვერდები
დაჰპატარავებია,
აბზუკული ტუჩებით
ბოღმით ლამის სკდებიან!
მზეს კი სულ არ ანაღვლებს..
დილიდანვე ჭახჭახებს..
აფენს უხვად სხივებს და
სითბოს არვის არ აკლებს!
სიკეთე უბრუნდება
სახეც გაჰბრწყინებია,
სიყვარულის ნაყოფი
ზამთარსაც კი ხლებია.
სულ არ ჩქარობს სიცივეს..
ვადა გაჰგრძელებია,
გაბუტული ღრუბლები
შემოურიგებია.
დღეს სწვევიან სტუმრად და ცა
ულამაზებიათ...
მზეს თავისი სხივებით,
აუქათქათებიათ!..
სიხარული სილაღე
ერთობ გადამდებია,
საზეიმო განწყობა
ყველას მოჰნატრებია!!

* * * * * * * * * * * *

უფალმა იცის ვის ულხინს და კიდევ ვის უჭირს...
რამდენი სევდა მოჰყოლია ხვალინდელსა დღეს,
ხეზე ფოთლები გაცრეცილან დღის მოლოდინში..
ცაზე ვარსკვლავნი
აკრეფილან,
გაბუტვიან მზეს!..
გარიჟრაჟდა და ალიონზე მზე ცურავს
ცაზე, თითქოს მიენდო
ზღვის მოქცევას წამოწვა ტახტზე,
ისაა ამ დღის
მბრძანებელი,
სამყაროს თავზე
არვინ არ იცის რა
მოხდება
დედამიწაზე!..
ვის ცოტა ხანში ცაში აიყვანს ვარსკვლავად აქცევს.
და ვის ეწვევა უბედობა
დაუსრულებს დღეს!..
ვისთვის გვირგვინი
შეკვეთილია, მოირგებს თავზე...
ვისთვის წუთები
დათვლილია ქვიშის საათზე...
ვიღაცისთვის კი
სულერთია სად დააღამებს..
გული არ ულხინს მიგდებულა
სადღაც ცივ სკამზე!..
იქნება ერთ დღეს სასწაული მოხდეს
ჩვენს თავზე..
მზე ანათებდეს
და ბრწყინავდეს ცის კაბადონზე!
ავ ბედისწერამ არ
დაიჩოქოს არავის
კარზე...
ყველას უყვარდეს,
კიაფობდეს..
ვარსკვლავნი ცაზე...
ნაირფერებში ასახავდეს
დღისა სისავსეს და ცისარტყელა
ასხივებდეს მიწიდან ცამდე!!..

1 ნოემბერი 2022 წ.

* * * * * * * * * * *

ქარო უხეშო რატომ ბობოქრობ..
დაბორიალობ ყველა კუთხეში.
სხვის ნაამაგარს უცებ მოისვრი,
რა გენაღვლება...ვის ნაშრომს ისვრი?!.
შემომეხვევი გულ– მკერდს ეცემი,
დუჟები მოგდის რომ არ ვეცემი..
შენ რომ შეგეძლოს
სულში ჩახედვა, თავს დამანებებ გადიხვეწები!..
ხან ისე ნაზად მესალბუნები,
რომ დაგიჯერო, მეალერსები...
კარგადაც მახსოვს
შენი ამბოხი,
ბევრჯერ გადავრჩი
თოვლში..ქარბუქში!
გულს ვერ გაგიშლი
ფიანდაზებად
დროის დაკარგვას აღარც ვაპირებ..
ხალიჩა ფარდაგს ვეღარ დაგიგებ
თუ სიკეთისკენ ვერ მოგაბრუნებ!.
მივეყუდები უჩინარ ბოძს და უჩინ– მაჩინის
ქუდს დავიხურებ,
ავიკრიფავ ჩემს გუდა-ნაბადს და
მძიმე წარსულსაც იქვე დავტოვებ!..
სულ სხვა სამყაროს დავესესხები,
ზღაპრულ გმირებსაც იქ ამოვირჩევ.
უფალს მივანდობ
ნაიარებს და ნამდვილ
მეგობრებს თვითონ მომიჩენს!..
მათი შეწევნით
დარდის გროვები
ჩამოიცლება ნაწილ– ნაწილი...
ვით შემოდგომის პირას მდგარ ხეთა,
განაძარცვები..ფოთოლთ ნაწვიმი!....

უცხო ალეგა..სხივი ნათლისა!

წარმოსახვა თუ ალი სანთლისა!
ტალღისებურად იღვრება ცისად..
შიშს მოიტოვებს,
სცენას უმზადებს..
თანაც აოცებს იწვევს აქტრისად !
მაგრამ ფიქრები,შიში და დრტვინვა...
ადგილს აშეშებს
არ უშვებს წინა,
უკანაც ვერ სდგავს
საბედისწეროს,
ნაბიჯი სწონის
სასწორის სპინას!
გაოგნებული დგას და თან უკვირს..
კულისად ვინმეც არ გააჩნია,
შორეულ გულის ნაიარები,
შეუხორცებლად ახლაც აჩნია!
გონი ვერა ხსნის საოცარ ხილვას,
გაკვირვებულა,
მას გარს არტყია
სხივების ტალღა
ათასფრად მფენი,
"მტვრის" გარდადახვა
ლამაზ მანტიად!!..
ეს აღმაფრენა, შიშთან ნაზავი, ამოუხსნელი
სულს რომ ატყვია..
ეს სარკაზმია უფლის შედევრი...
და სული ამ დროს მღერის არიას!!

2023 წ. 28 იანვარი

ნიკო იმედაძე

"მსხვერპლის მომლოდინე ჰგავხარ ავაზას,
დამღუპავს ვიცი
ეგ სილამაზე,
და ვგავარ ჯვარზე გაკრულ ავაზაკს,
სიკვდილს სამოთხით
რომ მილამაზებ.
"სიყვარულიო ღვთიურ
არს"– მეტყვი,
გწვავდნენო შორით ეგ მარმაშები,
მაგრამ გახსოვდეს
ღმერთის სახელით,
შემაძრწუნებლად
მეთამაშები!"

გორას

"ჩვენი ქუჩის ქუდის ფარნებს,
ჩამომხრჩვალს და ნახულიგნარს,
"ბერძნის მინდორს" აჭრილ ფრანებს,
ოღასკურის ჯაგნარს, ჩინარს.
იმ ქვაფენილს ჩვენი სისხლით
ნამუხლარს და ნაიდაყვარს,
იმ ბავშვობას, იმ შეცდომებს,
იმ ტკივილს და იმ დიდ საყდარს.
გოჭოურის სავანეში
ჯვრიან ხოჭოს რომ ატყვია,
იმ ჭადრებს და იმ ჭრიჭინებს
და იმ ჭიშკრის ჯაჭვის ჟღრიალს,
ჩემი ქუჩის, ჩემი მიწის
სიყვარულის რომ ხრავს ჭია!'

...
მე ზამთარმა დამიტოვა მძივი,
შენს ღაწვებზე
შეყინული ცრემლის,
ვაი, თუკი ეს საკინძე გაწყდა,
ვაი, თუკი მოგიშიშვლდა ყელი.
მეშინია არ გაცივდე
სიშორით,
ეს ზამთარიც მსურს,
რომ მალე გათბეს,
და ცრემლები შეყინული ძაფზე
ჩემი ბაგის შეხებისას დადნდეს.
აი, უკვე გაზაფხულის ღამეა,
აპრილდება ნაადრევად მარტი,
შენს უბეში ჩაწყვეტილი კამეა
არის ჩვენი სიყვარულის არტი.
....
აქვე ხარ გულში,
თუმცა არ ჩანხარ,
სიყვაწვილიდან ვფიცავ
გეტრფოდი.
ყოველდღე გიხმობ
მუხლმოდრეკილი,
მაგრამ ჩემამდე ვერა,
ვერ მოდი...
სიტყვა იყოო
თავდაპირველად,
თუმცა დუმილშიც
ჩავეტეოდი,
ათასი სიტყვა
ვერ გეტყვის იმას,
ერთი მოხვევით
რასაც გეტყოდი!

.....
ხარ შეურყვნელი სილამაზე
დაკარგულ ოშკის,
შენს დაბრუნებას
მე მოველი
ყოველ დღე სახლში.
ხარ სიამაყე დათოვლილი
სვანური კოშკის
და მე კი შენი
სიყვარულის ერთგული მახვში.

...
გახსოვდეს
სიტყვას-
მიყვარხარ!
ჯვარზე საცმელად
მიყავხარ...
და თუ ამისთვის
მზად არ ხარ, უსიტყვოდ
არამზადა ხარ!

რა ბედენაა
უსიყვარულოდ
მთელი მილეთი
დაისაპყარო,
საკმარისია ერთი
გიყვარდეს
და შენი იყოს
მთელი სამყარო!...

სიცოცხლე არის
დროის ჭიდილი
სივრცის მინორში
გარდასაცვლელად
სიკვდილი არის
დროის გაწელვა,
უდროობაში
გადასასვლელად.

* * *
თოვდა წვიმა, წვიმა თოვდა
ფიფქებივით
ბარდნიდა და ეზო ბროლით
მოესარკა,
ერთ გუბეში ბავშვობა რომ დამეკარგა,
ღმერთო, მისი ანარეკლი
მომენატრა,
წვიმა თოვდა,
თოვდა წვიმა გამეტებით, ღმერთებს თითქოს
დაუცვივდათ
ძირს ნოტები.
სიყმაწვილე თმაშეცერცხლილ
ქუჩებს ჰგავდა, ვით
ჯიბიდან გავარდნილი მონეტები.
გავარდა და აწკრიალდა ქვაფენილი,
ვით ბავშვობის დაკარგული საუნდტრეკი,
სული ისე აწრიალდა,
გეფიცები,
უამისოდ, უამისოდ ნუ მაცოცხლებ
ერთი დღეც კი.
თოვდა წვიმა, წვიმა თოვდა გამეტებით,
ღმერთებს თითქოს
დასცვივნოდათ ძირს ნოტები,
და მციოდა ჩემს ქუჩაზე
ხის ტიტები,
თოვლის მოსვლას რომ ელიან მარტოკები.

....
გატენილია მოგონების
ძველი დამბაჩა,
ვინძლო გამოჰკრა
მახსოვრობის
ჩახმახს შაბაშმა.
გაისვრის წარსულს
დინებაში დრო რომ
გაბავშვდა,
გაუხედნავი ააცეკვებს
ტალღებს აბაშა.

ეთერ ლობჟანიძე

* * *

დამესიზმრა დათოვლილი მთები,
ალმასივით რომ ბრწყინავენ ცაზე,
მთები ქალის, რომ ისმენენ ტირილს,
მდუმარენი დასცქერიან თავზე!
ჭიუხის წვერს უზარმაზარ ნაპრალს!
ელვა აკრთობს, ქარი ჰკივის მთებზე,
შავი ნისლი ჩამოცურდა ჩუმად,
ნუ სტირიო , მოეფერა თმებზე!
ვერ აშოირებს დაღონებულ თვალებს,
ნისლს მინებდა ქვითინედა ქარიც,
დამესიზმრა თოვლიანი მთები,
და მტირალი სევდიანი ქალი!ეთ ლობჟანიძე

* * *

დრო მიიწურა, საღამოს
მწუხრმა,
ბინდით შემოსა ნისლი
მთებისა,
დაღლილნი თვალნი
მოსწყვიტა
მზერას,
და გაუყენა გზას მუზებისა...
ჰოი, მუზებო, ნეტავ რას
მერჩით?
თავს რატომ მესხმით,
რა დაგიშავეთ?!
მელოდა გზები სავალი
მძიმე,
ვგრძნობდი და გული
გადაგიშალეთ...
თქვენ მიწინამძღვრეთ
ფიქრებო ჩემო,

ხან შთაგონება უფრო დიდია,
რომ ვეზიარო მის
უსაზღვრობას
ზოგჯერ ვერ ვწვდები,
არ შემიძლია....

რასაც სული გრძნობს, იმას
გაუწყებთ,
ავი და ფლიდი არ
შემიქია,
ვერ შევეჩვიე მტანჯველ
მირაჟებს
თუმც მათი ძალა, ბევრჯარ
მიგრძვნია...
დრო მიიწურა, საღამოს
მწუხრმა,
ბინდით შემოსა ნისლი
მთებისა,
დაღლილნი თვალნი
მოსწყვიტა
მზერას,
და გაუყენა გზას მუზებისა!

* * *

მიყვარხარ ქალაუ,
ავად ვარ შენითა,
რას ფიქრობს ეს გული,
ვერ გეტყვი ენითა,
მე შენთვის სათქმელი
გვირილებს
ვუამბე,
არწივნი მისმენდნენ,
მისმენდნენ
კლდენიცა,.....
შენს ლამაზ თვალებზე,
ვლოცულობ
"ქალშაო",
დარში და ავდარში
არა მაქვს სვენება..
შენს ნაცვლად. მზის სხივი
მიგზავნის ამბორებს
შენს ნაცვლად ღიღილო
მომიძღვნეს ველებმა!
ვინიცის რამდენჯერ
"ჩაგშალე ნაწნავი,"
რამდენჯერ გეფერე
ფიქრებით ვნებიანს,
ოცნებით ნათენებ
უძილო
ღამეზე,
მოწმენი აქ მხოლოდ
ეს უტყვი
მთებია.....
შენს სახელს დავარქმევ
ამ კლდოვან
ბილიკებს,
მთვარის სხივს ლამაზი
სიზმრებით
მოჰყვები,
ფიქრები უნდილად
თელავენ
გზაწვრილებს,
მე კი, კვლავ მთებისკენ
უშენოდ ვბრუნდები!

* * *

თებერვალი დადგაო-
დღემ იმატა, დათბაო,
მთებზე თოვლი შეცბუნდა
ალაგ-ალაგ გაჟვლაო...
ზოგან – ნაპრალი გაჩნდა -
ხეშიც წყალი ჩადგაო-
და მთის ნაკადულებმა
რბენა იწყეს დაბლაო...
ველ– მინდვრებზე იების -
სურნელება გაკრთაო,
ყიჩივარდებს ფიფქებმა
შეუკერეს კაბაო...
ჩიტი ბუდეს იკეთებს-
საძირკველი გადგაო,
გაზაფხულის სუნი დგას
თებერვალი დადგაო.

ძველი რვეულიდან

მინდა რომ ფიქრები, გავყარო თავიდან –
ჯოხით დავამტვრიო, სიტყვები რახანით,
როგორ მეჯიბრება ჩემი ბედისწერა,
სულზე იარები დამედო ახალი....
რა უყო თუ სევდა, სულში ჩაესვენა,
და სადღაც შორეთში დაჰქრიან ლანდები.
ნისლებზე ფრთებს იშლის პატარა ნიბლია,
სიცივემ დაზაფრა, გაახმო ვარდები...
ლოცვად მუხლ– მოყრილმა, იარეს ფიქრებმა,
გულიც შეეჩვია, დაღლას და ტკივილებს,
უმიზნოდ მრავალი, ბილიკი გავთელე,
მზის სხივზე იმედის, ვხატავდი გვირილებს.
ვერ ვითვლი ცხოვრების, ავბედით ილეთებს,
ისევ მთვარეს ვანდობ, ჩემს ფიქრებს ნისლიანს
თველებს შერჩენია, ტკივილის ფერები.
აწვიმს მოგონენებს და წლებიც მიდიან!

ნიკოლოზ გოდერძიშვილი

გიორგი სააკაძე

წმინდა გიორგიმ დაგანათლა მთავარსარდლობა
და ქრისტეს რწმენით აგიძგერა მამაცი გული,
წინ მიიწევდი ყველა ომში გამარჯვებისთვის
მთელი სამყარო გააოცე მებრძოლი სულით.

შაჰის ლომებსაც შეებრძოლე ფაფარაშლილებს.
ხანჯალს იქნევდი ვაჟკაცურად, არა ცხრებოდი ,
ბრჭყალების კვალიც ვერ დაგატყვეს შერკინებისას!
თვით ლომთა ლომო მხეცებთანაც არ მარცხდებოდი!

ოთხი მებრძოლით შეიჭერი სპარსთა ლაშქარში .
მათი მხედრობა გააოცეთ რაშების ქროლვით,
ხმლებით განგმირეთ შაჰის მთელი მთავარსარდლობა
და სამშვიდობოს გამოხვედით გმირული ბრძოლით.

მარტყოფის ველზე გაუძეხი ქართველ მეომრებს ,
საქართველოში მტერს შემოჭრა არ შეარჩინე
და როგორც ზვავმა, დაუნდობლად გადაუარეთ,
მარტყოფის ომით საქართველო გადაარჩინეთ.

შვილი მოგიკლეს, მაგრამ მაინც ვერ დაგამარცხეს,
ხმალი ქარქაშში არ ჩააგე, ბედს არ დანებდი,
შენ უამრავი ქართველი გყავს გადარჩენილი,
ბრძოლებთან ერთად სიყვარულით ტაძრებს აგებდი.

გმირთა გმირი ხარ სააკაძე, ღვთით მოვლენილი,
შენი მამული, შენი ერი ძლიერ გიყვარდა
და მომავალი თაობები გადასარჩენად,
გმირ წინაპრების ნაკვალევზე მხრებით მიგყავდა .

წმინდა გიორგიმ დაგანათლა მთავარსარდლობა
და ქრისტეს რწმენით აგიძგერა მამაცი გული,
წინ მიიწევდი ყველა ომში გამარჯვებისთვის
მთელი სამყარო გააოცე მებრძოლი სულით.

წმინდა ნინო

წმინდა ნინო ღვთისმშობელის ხატთან იდგა,
სანთლით ხელში იბერიას ავედრებდა ,
წრფელი ლოცვით ,ჯვარზე გაკრულ ქრისტეს
რწმენას
სახელმწიფო რელიგიად გვაბეედებდა .

ყოვლადწმინდა ქალწულისგან დაილოცა ,
ვაზის რტოსგან შექმნა ჯვარი სხივოსანი,
წილხვდომილი საქართველოს სიმტკიცისთვის ,
წმინდა ნინო მიავლინა, ღვთივმოსავი.

წმინდა ნინო სამეფოში შემობრძანდა ,
ჯავახეთის მთები კრძალვით გადმოლახა ,
ფარავნის ტბის სილაჟვარდით მოიხიბლა ,
წმინდა მიწას ლოცვით ჯვარი გადასახა.

მცხეთის ბაღში სადაც უფლის კვართი არის ,
წმინდა ნინომ ტაძარს ლიბო ჩაუყარა,
სვეტიცხოვლის უძლიერეს სალოცავმა ,
საქართველოს თბილი გული გაუხარა!

ვარსკვლავები გვირგვინს კრავდნენ მის
გარშემო,
დილით სხივებს ჩუქურთმები მოექარგათ,
მის გუმბათზე ჯვარი იდგა ცეცხლოვანი
და ქართველებს ღმერთთან ქედი მოეხარათ!

წმინდა გიორგი

ქრისტიანების დამცველად მოხველ,
წმინდა სამების უმძლავრეს მხედრად,
ლურჯი ზეციდან გამოიბრწყინე
და შეებრძოლე თვით მეფეს მედგრად.

ლახვარით სცადეს შენი სიკვდილი,
მაგრამ ჩამოდნა დაღვენთილ სანთლად ,
შემდეგ ურმის თვალს შემოგახვიეს
და მახვილებით დაგიწყეს ათლა .

ღმრთის ანგელოზმა მაინც განგკურნა,
კვლავაც ამსხვრიე კერპები ლოდით,
საფლავში მყოფი ცოცხლად აქციე ,
რომელიც ცეცხლში იწვოდა ცოდვით.

ხმალამოწვდილი დაქროდი მუდამ,
წინ მიუძღვოდი ქართველთა ლაშქარს,
ჯვრებით შემკული დროშა გეჭირა
დიდგორს, ბასიანს, შამქორს და ლაშარს.

თამარ ფირცხელაური

...მოდი და მითხარ...

...არ მითხრა, ახლა, ვერ შეელიე,
ძნელი ყოფილა მარტოკაცობა,
წუხელის, თითქოს, თვალი მოჰკარი,
ვარსკვლავმა მთვარეს როგორ აკოცა...
და შეგეშინდა, რომ მოწმე გახდი...
რომ პასუხს მოგთხოვს მაგისთვის ზეცა...
რომ დაინახე, მთვარის სიშიშვლე,
ვარსკვლავს ტანზე რომ შილიფად ეცვა...
...და მოგაგონდა...და გაგახსენდა...
შენ არ უყოფდი არვის სასთუმალს...
არც არასოდეს პირისპირ ვინმეს,
მეამბორეო, შენთვის არ უთქვამს...
...შენ მბრძანებლობდი შენ ეულ ეგოს,
არადა, ბევრში მეფე იყავი...
არ უტყდებოდი ეჭვის დემონებს,
სიმარტოვისგან გაურიყავი,
როგორ გიყვარდა, როგორ ელოდი,
რომ სადედოფლოს რთავდი სარეცელს...
მერე მოცვივდნენ რუხი მხედრები
და ყველა ნატვრა ისე დალეწეს,
რომ დღემდე გტკივა ის ნამსხვრევები,
ვით ქრისტეს, ვნებულს, ჯვარცმული ტანი...
სიმარტოვეში ეძებ აღდგომას
და მერე... შობა გაქვს ასატანი...
იმ სიმაღლეზე... იმ სიდაბლეზე,
მიწამ შეიგრძნოს, ზეცამ გაიგოს...
ჩამოიბერტყო ლურჯი მოწყენა
და ეგ სიკენტეც ქარმა წაიღოს,
ბედის მერანი სანამდის ირბენს,
სანამ გუმანი დაჰყვება ქარებს...
მერე მომიყვე, ტყუილ-მართალი,
გველეშაპი რომ დასდევდა მთვარეს...
...მოდი და მითხარ, რომ შეელიე,
რომ აღარა გსურს, მარტოკაცობა,
რომ ერთხელ, მართლა თვალი მოჰკარი,
ვარსკვლავმა მთვარეს როგორ აკოცა...

26.01.2023წ.

... იქ, ბავშვობაში ...

ვგრძნობ, უკვე როგორ დავკარგულვარ დრო და ამინდში,
ასე თუ ფიქრობს, ნეტავ, ახლა, ჩემი თაობა?..
რაც ხანი გადის, ისე, როგორც, დღემდე არასდროს,
მესიზმრება და მენატრება პატარაობა...
იქ, სადაც მშვიდად დარჩენილა ჩემი ბავშვობა,
სადაც ყველაფერს სხვა გემო და და სხვა ფერი ჰქონდა,
სულ სხვანაირად თოვდა, წვიმდა, ქროდა და მწყინდა
და მეც, უდარდელს, ყველაფერი რომ მიხაროდა.
იქ, დროის უკან, სავსე ვიყავ ბედნიერებით,
ასე მეგონა, ყველა დროის ვიყავ პატრონი,
ახლა როლები შეიცვალა, პირიქით ვფიქრობ,
მე მონა გავხდი, დრო კი გახდა ჩემი ბატონი.
...იქ , ბავშვობაში დამრჩენია ჩემი თოვლიც და
ჩემი წვიმებიც, ჯერ ბოლომდე გაურიყავი,
არაფერია, ის თოვლიც და ეს სინანულიც,
თუ სამყაროში ერთი ფიფქი მაინც ვიყავი!..

/06.02.2023 წ./

...აღარ ეძებენ თვალები თვალებს...

ისევ ეძებენ თვალები თვალებს...
არ შორდებიან ხელებს ხელები...
და ნაბიჯ-ნაბიჯ და ასე მშვიდად,
ენაცვლებიან ფერებს ფერები;
აღმართს დაღმართი წამოსწევია,
დღეს ღამე სჭირდა მიუტევები,
მიუყვებიან გზას ძველებურად,
ფიქრები, როგორც ღამის მცველები.
...და ჩამოსულან ციდან ღრუბლები,
წვიმებზე თითქოს უფრო სველები,
არა აქვთ ბინა, თავშესაფარი,
აღარც ღამე აქვთ გასათენები...
რატომ?..იმიტომ!..ვისთვის და როგორ,
ღიაა კარი სასუფეველის...
საით წასულა სინდის-ნამუსი,
ჩვენგან ჩვენივე თავის მხსნელები?..
დიდთან პატარას, მსუბუქთან მძიმეს,
ალბათ, ცოდვა აქვთ მიუტევები...
აღარ ეძებენ თვალები თვალებს...
აღარ ელიან ხელებს ხელები!...

01.11.2017წ.

იქ, ანანურთან!..

იქ, ანანურთან, თრთოდა დაისი,
იდგა მოწყენა, სევდის ამარა,
ის ნისლისფერი რწმენის აპრილი,
ზეცამ მიწაზე დაასამარა!..
არ მოდიოდი, როგორც ყოველთვის,
ალბათ, უფალსაც ასე ენება,
არ ყოფილიყავ ჩემი სიზმარი,
ფიქრი, დარდი და არმოსვენება ...
... გაიშრიალა ეჭვებმა ფეხქვეშ
და დარცხვენილი შეკრთა გონება...
არაგვთან დამრჩა ის სიყვარული ...
და ანანურთან, ის მოგონება...

11. 05. 1987 წელი

ვიღაც თუ რაღაც ხმაურობდა სახლის კარებთან...

ვიღაც თუ რაღაც ხმაურობდა სახლის კარებთან...
ვერ გავიხედე... ნეტავ კართან, წუხელ ვინ იყო?!.
მოპარულიყო, ის თავხედი ლექსის სტრიქონი
და ჩემს სიზმრებთან, უკითხავად დაწოლილიყო!...
...შემრცხა იმ ღამის, რომ ვერ ვუთხარ ცას სამძიმარი...
გამოვიპარე ქურდივით და ისე, მალულად...
და სევდის მძივი, როგორც გრანელს ყელზე მეხვია,
ვეფერებოდი ყოველ ღამე დარიანულად!
...ისევ ხმაური შორეული, თან ახლობელი...
და ისიც ვიცი იმ საღამოს კართან ვინ იყო...
მოპარულიყო, უსირცხვილო ღამის აპრილი,
ჩემს სარეცელზე, როგორც მთვრალი, დაწოლილიყო!...

/23.04.2017წ./

უკეთილშობილეს გრივერ ფარულავას

...ღვთის ნება იყო, ყოფილიყავ ჩემი მოძღვარი,
თან ღმერთისტოლა, უფლისგანაც გამორჩეული...
ბედის ნებიერს დავარქმევდი, ვისაც მომადლეთ,
თქვენ ფრთეთა ქვეშე ყოფილიყო ბედის რჩეული...
თქვენ სულ სხვაგვარი ოცნებანი გამიყვავილეთ...
თან ფიქრის მდელო მომიჩითეთ ია-იებით,
ლურჯ ბილილებად იმედები მომიგვირისტეთ
და გამიცოცხლეთ მომაკვდავი კამელიები!..
კრძალვით მიბოძეთ ის ცისფერი უსაზღვროებაც,
იმ სილამაზის დამაპკურეთ ცვარ-ნამი დილის...
და ჩემი სულის მტირალა და ბუტია დები,
ის ტირიფები, ახლა უკვე, სხვაგავრად ტირის!..
მადლობელი ვარ, ზიარების ამდენი მადლი,
ხარბად შემასვით, მიჩურჩულეთ ლექსები ტკბილი,
ძირძველ ქართულით ამიმღერეთ ძველი ზღაპრები,
და სანთელები ამიალეთ რითმებად თლილი!...
ის ცისარტყელა არ ჩაქრება ცის კამარაზე...
და განთიადის იკიაფებს ვარსკვლავიც ცისკრის...
თქვენ დამამადლეთ, ბუმბერაზო, სხვა ძალისხმევა
და შემკრთალ გოგოს დამასწავლეთ ლამაზი ფიქრი...
შემომატარეთ საუცხოო ყველა ზესკნელი...
სიანკარემდე მიწილადეთ აზრის კონები...
სალოცავ ღმერთად დამისახეთ ჩვენი სამშობლო,
და დღემდე, ამ ღმერთს, თქვენმიერად, მეც ვემონები!..
მადლობა თქვენ და უდიდესი მადლობა უფალს,
რომ თქვენი სულის მადლთან გავხდი მეც წილნაყარი,
ჩემო მოძღვარო, საუკუნო ვალში ვარ თქვენთან,
თქვენ ჩრდილქვეშაა ჩემი მყუდრო თავშესაფარიც!..

02.07.1984წ.

დ ა გ ე ლ ო დ ე ბ ი

...მეუცნაურე, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ...
თან გიწამე, თან -ვერ გიწამე, მხოლოდ ვეწამე...
შეუცნობელი რომ იყავი, მივხვდი და მაინც,
შემოდიოდი ჩემში სულის შემოლეწვამდე...
მე ცა ვიყავი, ლაჟვარდი რომ აფერადებდა,
შენ – უფორმო და გაცრეცილი ავდრის ღრუბელი,
ნაშორიშორალს სიახლოვის ბეწვზე გვეკიდა,
ის საცალფეხო ბილიკები, დაუსრულები...
ახლა კი, მწამხარ... ლაჟვარდთან ხარ, ვგრძნობ, წილნაყარი...
ასე სრული და გარდასული, როგორ ვერ მწამდე?!.
სულის ზღურბლთან გგრძნობ, მეშინია, რომ არ გაბრუნდე...
დაგელოდები გულის კარის შემოლეწვამდე!..

/24.08.2020/

საკუთარ თავს

გადათვლილია წლები სამზეო
გადაუთვლელნი რიგში არიან...
რა დრო გასულა?!. ამას ნუ მკითხავთ,
თითქმის ცხოვრების ნახევარია.
განვლილს მზის ჩრდილიც არ შეხებია,
აუგთან არის უწილნაყარო...
მთელი ცხოვრება ოცნებებს ვქმნიდი,
ეს იყო ჩემი დიდი სამყარო...
ჩემს შარაგზაზე ლანდებს ვერ ნახავთ,
ეს გზა უჩრდილო და მთლად ჩემია...
სულგაყიდული მორალის ხარჯზე,
ღირსება არსად შემირცხვენია!..
წლები მაკლდება და მემატება...
სულს კი ორივე ნათლად აჩნია...
იმან იდარდოს, ვინც მის შარაგზას,
ბილიკის კვალიც ვერ დააჩნია!
...და ასე ჩუმად და ნაბიჯ-ნაბიჯ
ჩემი ოცნების ეპოქას ვქმნიდი...
დადგება ჟამი დიდი ხმაურის,
...ტრიალ მინდორზე ვდგავარ და...დავალ...
ვით მარტოსული ეული მგზავრი...
პირველხატივით სრულქმნილი ვიყო,
ვცდილობ და მაინც...არა ვარ მსგავსი.
წლები მსუბუქი სიმძიმით დამაქვს...
უკეთესს ბედი ვერ გაპოვნინებს...
ვარ უდიდესი პროვინციელი,
ფეხქვეშ რომ ვიგებ მეგაპოლისებს!..
აგვისტოს ეს დღეც, ვით უფლის ჯილდო,
და ვით საჯელი, მემახსოვრება...
ვისთვის სასჯელი ციხე ყოფილა,
ვისთვის სასჯელი-თვითონ ცხოვრება.
...ამ წერტილიდან იმ წერტილამდე,
მე უფლის ნებით მშვიდად მივდივარ...
მემატება და მაკლდება წლები,
დღეს, ვიდრე გუშინ, უფრო დიდი ვარ!..

09.08.2017წ.

მაკა ახობაძე

ყველა დედას

უფალი ფარავდეს ყველა დედას,
ვინც ღირსეულად ატარებს მანდილს,
ვინც შვილებს ფარად გადაფარებულს,
ლოცვას აშველებს სურვილთა წადილს...

ქალი შვილებით არის ძლიერი,
სუსტი ვინა სთქვა რომ მასში არის,
დედად, დედოფლად,ქალად, ქალღმერთად,
მას ცხოვრების გზა ატარებს გავლით...

მთებსაც გადადგამს, ზღვასაც დააშრობს,
შეუძლებელსაც გჯეროდეთ შესძლებს,
კეთილდღეობას,მშვიდობას, ნდობას,
მომავლის დღეებს შვილისთვის ეძებს ...

სევდიანი და ღონემიხდილი,
ბევრჯერ დაცემის პირას მისული,
შვილის სახელის გაგონებაზე
კოშკსაც ააგებს,თუნდაც ფიცრულის...

ქალი ამაყი შვილებით არის,
ქალს შეუძლია ვაჟკაცი იყოს.
ცხოვრების მძიმე დროის ბრძოლაში,
მედგრად იდგეს და იცავდეს პირმშოს.

ქალი ფაქიზი,მაგრამ ძლიერი
ეთაყვანება ოჯახურ სითბოს
და ამ გმირობის გადასარჩენად,
მისი მფარველი უფალი იყოს...

მშვიდობის სიგიჟე მეწვია

მაბედნიერებ,ფრთებს მასხამ,
დაგყავარ ოცნების მხარეში,
მასხივებ,მაფიქრებ, მაბრწყინებ,
უსასრულობის თარეშში...
        უმწეო როდია სიწრფელე,
        ვდედოფლობ,მაღმერთებ, ვმაღლდები,
        ღიმილით ვითენებ განთიადს
        და დროის დინებას ვბარდები.
ღამეშიც დღის შუქი ლიცლიცებს,
ელვარებს სიცოცხლის ,,მზეწვია"
და ცისკრის კარი რომ გაიხსნა,
მშვიდობის ,,სიგიჟე" მეწვია.
        დავიპყრობ შენს სულში მწვერვალებს,
        იწვიმებს სიცოცხლის წვეთები,
        ჩემს გულში მზის სხივი ანთია
        და ბროლის მძივებად ვეცმები.
ღამეშიც დღის შუქი ლიცლიცებს,
ელვარებს სიცოცხლის ,,მზეწვია"
და ცისკრის კარი რომ გაიხსნა,
მშვიდობის ,,სიგიჟე" მეწვია...
01:09:2022წ.

ჩემი სიცოცხლის ბოლოს

შენს მკერდში ბინა დავიდე,
უკანასკნელად ვვომობ,
დიდხანს გიცქირე თვალებში
ჩემი სიცოცხლის ბოლოს...
        ვუცქერ შენს სახეს,ვდუმდები,
        მერე გარიდებ მზერას...
        ვერ ვიმორჩილებ სუნთქვას და
        დაღლილი სულის სევდას.
უსასრულობა სივრცეში
მიტყუებს ლანდად რჩები,
გიწვდი ხელებს და ამაოდ,
მკრთალ ლაბირინთში ვქრები...
        სადღაც ,ჰაერში ვლაციცებ
        და უკანასკნელ სოლოს,
        მე უხმაუროდ ვასრულებ
        ჩემი სიცოცხლის ბოლოს.
მიყვარხარ მეთქი ვჩურჩულებ
და გეთხოვები მყისვე,
ცის სასუფეველს ვეწვიე,
შენ გელოდები ისევ...
28:01:2023წ.

თენგიზ ფანცულაია

მსაჯული მხოლოდ ღმერთია

ყველამ იცოდეს, ახსოვდეს,
სიმართლე მხოლოდ ერთია,
ჩვენი ქცევების მსაჯული,
ზემოთ მაღალი ღმერთია.
იმ.ქვეყნად თუა სიცოცხლე,
ყველა ფიქრობს და მზად არი,
დაფიქრდი აქ თუ იყავი,
ცოცხალი, კაცის სადარი.
ისეთი კვალი დატოვე,
ამ ქვეყნად ქცევის ნათელი,
თამადას გასვენებაში,
სიტყვა რომ ჰქონდეს სათქმელი,.

წამოდექი და იარე

თუ წაიქეცი, წამოდექ,
კრიჭა შეკრულმა იარე,
შეცდომა დაგაშვებინეს?
გამოასწორე, იარე.

წინ მთა შემოგხვდა მაღალი?
არ შედრკე, გადაიარე,
უძირო ჭაობი შეგხვდა?
იფორთხე, ისე იარე.

თუ მტერთან ბრძოლა წააგე,
დროზე მიხედე იარებს,
ომისთვის მოემზადე და
გამარჯვებულმა იარე.

აღარ დანებდე ცხოვრებას,
იცოდე გადაგიარენ,
გაგთელავენ და გაგსრესენ,
არავინ არ გაღიარებს.

მამულს და ენას მიხედე,
ლახვარი ღალატიანებს,
უფალის რწმენას უფრთხილდი,
წინაპრის განაზიარებს

მადლი და სიკეთე თესე,
ქვაზე დადევი,იარე,
ცოდნა და გამოცდილება,
ადე, სხვებს გაუზიარე.

ყველასთან ღვინოს ნუ შესვავ,
ნუ აფრიალებ ფიალებს,
მტერის მინდობა, დანდობა,
იცოდე დაგაზიანებს,

გახსოვდეს ამ ცხოვრებაში,
ბედის ბორბალი ტრიალებს,
ის ხან ოლიმპზე აგიყვანს,
ხანაც კი გაგატიალებს.

ცხოვრება დაგაბზრიალებს,
უკუღმაც დაგატრიალებს,
უღმერთოდ გაგატიალებს,
გულზე გაგიჩენს იარებს.

ცხოვრება ძნელი გზა არი,
ოხერი და სატიალე,
ყველას ჯვარი აქვს საზიდი,
თუ ხარ, კაცურად იარე.

მიზანი დასახული გაქვს?
გაიჭირვე და იარე,
სამშობლოს გამარჯვებისკენ,
წინ და მხოლოდ წინ იარე.

პ.ს:
ბევრი იარე არ მოგწონს?
წაკითხვით გადაიარე,
რეაგირება ნულია?
მივხვდი, რომ არ მაღიარე.

2021 წლის 2 აპრილი

ერთი გოგონა მგონი შემპირდა,
გახსნას ცხრაკლიტულ გზის,
გისრულდებაო ყველა ოცნება,
ფერების გაგხდი ღირსს.

მოპოეტო კაცს გაგახარებო,
დალალში გაგხვევ თმის,
მეც მუზას გულით მოვეფერები,
ფაქიზ ასულსა მთის.

ახლა ნერვები არ დაიძაბონ,
ძიებით მაგისთვის,
მუზა და ქალი წარმოსახვაა,
ლამაზი წყობისთვის.

თუმცა ვინ იცის რა იმალება,
ამ ლექსში ნდობისთვის.
ვინ შემაყვარა წმინდა ხეობა,
ახალგორის და ქსნის.

და რომ მოხდება, სახლს დაბრუნება,
ლამაზი ხალხის მთის,
მაშინ თოვლიც კი ხალისით მოვა,
ვერ შეადარებ ფიფქს.

მსხვილი ფანტელის ცვენა წამოვა,
ვერსად შეხვდები წვრილს,
დამბრუნებელთა რიგი დადგება
და გადატვირთვაც გზის.

ის ჩემი მუზაც, არ დაახანებს,
ბაგეს გამიხსნის თვისს,
მომეფერება, მოვეფერები,
ალერსს მაღირსებს ტკბილს.

მშვენიერ მკერდზე დავეკონები,
ტუჩებს დავკოცნი ტკბილს,
ნელა დავუთვლი დიაცს სანატრელს,
ლამაზ კულულებს თმის.

მხარეს ვიბრუნებთ, ქეიფს ვკისრულობ,
ხალასი ხალხისთვის,
ხვალ ახალგორი ისევ იხილავს,
ნანატრ ფანტელს და ფიფქს.

ხალისიანი ისევ გახდება,
ზეიმი ახალ წლის,
დაბის სკვერში კი ისევ ვიხილავთ,
შეყვარებულთა წყვილს.

როდი იქნება ის შერიგება,
ქართველ და ოსი ძმის,
ვინც ჩვენ წაგვკიდა და წაგვაქეზა,
დავუნაყავდი ცხვირს.

ღმერთო მაღალო, გთხოვ აგვაშორე,
ამდენ ვაის და ჭირს,
ძალიან მალე გთხოვ დაგვანახე,
დაბრუნება ამ მხრის.

და მოგვასწარი ყველა ოჯახში,
ქორწილებსა და ლხინს,
არ მოგვიშალო ჟოვილ-ხივილი,
ბავშვების ლაღი ხმის.

უკეთესი მინდა დღე

დღეს მე მინდა უკეთ მყავდეთ,
ვიდრე მყავდით გუშინ,
მჯერა მოვა სიხარული,
ქართველების გულში.

ხვალ იქნება უკეთესი,
ვიდრე არის დღეს,
ზეგ კი ვიცი დაგინახავთ,
ხალისიანს, მხნეს.

მაზეგ მინდა დავამარცხო,
ყველა სახის მტერი,
ამიყვავდეს მამული და
მყავდეს ბედნიერი.

მომავალზე კი ვოცნებობ,
ხვავიანი გვქონდეს რთველი,
ქორწილები გახშირდეს და
გამიმრავლდეს ჩემი ერი.

მარეხი რიკაძე

მწირი

მკაცრ მარტოობას გაურბის მწირი,
არა ჰყავს დედა,არა ჰყავს შვილი..
და გულში ფიქრობს ვეღარ გავძლებო,
თქვენ შემიფარეთ მწვანე ნაძვებო!
ძონძად ქცეული ჩოხა ჩაიცვა,
ჩოხის კალთებზე ხელი ჩაისვა,
გარეთ გავიდა და უკვე ბნელა,
აღმართს აუყვა დინჯად და ნელა,
მიდის და მიაქვს დარდი სნეული,
ბებერი ჩოხა ძონძად ქცეული,
რომ ჰკითხოთ მიდის საით და რა გზით,
არაფერს გეტყვით,ტყუილად რა გრჯით?
უკან ბებერი ყურშა მიჰყვება
ეს კი არიყო ამ მწირის ნება..
– ყურშა დაბრუნდი,არ გყავს გამჩენი?
ქოხში არაა ვინმე დამრჩენი,
კერიას ჩემსას მიუწექ გვერდით,
ყურშა ბებერო,იწამე ღმერთი!
ასე გზადაგზა უნდა ვიარო,
იქნებ სიბრაზემ გადამიაროს!
ბებერი ყურშა არ ტოვებს პატრონს,
მეტიც მის გვერდით სიკვდილსაც ნატრობს,
ცივი ქარია და ზამთრის პირი,
მიდის არ დრკება ბებერი მწირი,
გადაიარეს მრავალი მთები,
კეცეს და კეცეს მრავალი გზები..
და ახლა უკვე შეეტყოთ დაღლა,
უცებ მოაწვათ შიმშილის ტალღა,
შიმშილმა უკვე მოქანცა მწირი,
თან გამოუშრა წყურვილით პირი,
მწირს გაახსენდა გამხმარი პური,
უბეში ხმელად ჩატოვებული,
ძალიან ცოტა აღმოჩნდა პური,
ახლა ყურშამაც აცქვიტა ყური,
შუას გაიყვეს,პატრონმა,ძარლმა
მაგრამ მოსხლეტა კვლავ იგრძნო ძარღვმა,
ქარი სისინებს და უკვე ბნელა,
მწირი მიიწევს წინ ნელა,ნელა,
მას უნდა ევლო ასე დილამდე,
მაგრამ შენიშნა კლდესთან სინათლე,
იმედით მიდის,მუხლი კანკალებს,
ახლა იმედი კვლავ აძლევს ძალებს,
კლდესტან მივიდა უჩქარის გული,
აქა ყოფილა გამოქვაბული,
ბებერმა ირგვლივ მოავლო თვალი
აქ ცეცხლი ენთო,ელავდა ალი,
კერიის ნაპირს მოხუც კაცს სძინავს,
ეს პატრონობდა ალბად ამ ბინას,
მოხუცმა იგრძნო გვერდებში სითბო,
შეიბრალებდა,ეს კაცი ვითომ?
მწირი ჩამოჯდა იქვე კუთხეში,
ახლა კი ძალას იკრებს მუხლებში,
ყურშაც იქვე ზის ცეცხლისა პირას,
სადაც ქვაბულის პატრონსა სძინავს,
– ჰეი!-შესზახა რომ ითქვა სული,
– მიმიღე ძმაო,ძმად ვარ მოსული!
კაცი წამოდგა, – ძმაო ვინა ხარ,
რა რჯულისა ხარ, ან საიდან ხარ?
ამ მყინავ ღამეს, სუსხში და ქარში
რით მომაგენი მიუვალ მთაში?
მწირმა დაიწყო: – ერთი ოხერი ბებერი
მწირი შენთან მოვედი,
მომწყინდა ძმაო,ვერა ვქენ რამე,
მარტო ვაგდივარ დღეცა და ღამეც,
არა მყავს დედა,არა მყავს შვილი
ვაგდივარ მარტო ბებერი მწირი,
ვიფიქრე ქვეყნად მაინც არვარო,
იქნება ვინმეს გადავეყარო,
აქეთ წამოვედ,ბევრი ვიარე,
ვერსად ვერ ვნახე ძმაო სიამე,

ბევრჯერ ჩავჯექი და ჩავიმუხლე,
ბევრჯერ სიმწარით სიკვდილსაც ვუხმე,
რომ გადავწურე იმედი ბოლოს
მაშინ ვიხილე სინათლე მხოლოდ,
ძლივს მოვაღწიე მუხლის კანკალით
და შენ გიხილე ძმობილო თვალით,
ახლა შენს იქეთ გზა არ მაქვს არსად,
სხვა დამიჯდება სიცოცხლის ფასად!
ესა თქვა მწირმა და მყის დადუმდა
და ჩქარი ძგერა დაუწყო გულმა,
ბერ მასპინძელს კი შეუკრთა გული,
ხმაში სეეტყო მას სიბრალული,
რამდენი წელი იყო გასული,
მას წარმოუდგა მისი წარსული.
-დამშვიდდი ძმაო,ვიცი ყოველი,
ამ ქვაბში მეცა მიყომ მოვედი,
ძმაო დღეიდან ჩემი ძმა იყავ,
თავს არ შევირცხვენ ყველაფერს გფიცავ!
სანამ სული მაქვს მანამ აქ ვიყოთ,
ჭირიც და ლხინიც ერთად გავიყოთ!
ერთმანეთს ძმურად გადაეხვივნენ
და სიყვარულით ერთურთს ემთხვივნენ,
ყურშას უხარის,კუდს აცანცარებს,
მატკენ ცრემლიან თვალებს აპარებს,
აღარ დაეძებს ქვეყნად არაფერს,
გულში სიხარულს ფარჩებად აფენს,
გამხმარი მჭადით ივახშმეს ღამე,
ერთურთს უამბეს მრავალი რამე
ცივ კლდის წყაროთი ისველეს პირი
და მოერიათ ორივეს ძილი,
წყნარი სიჩუმე სუფევდა ღამის,
საწოლი იგეს უხეში,ნარის,
სიზმარი ნახეს მრავალი ტკბილი
და გაუგრძელდათ კარგახან ძილი,
ასე ვიდოდა გამოქვაბულში
მოხუცთა დღენი შუა კლდის გულში,
ხან აკლდათ ღვინო,ხან აკლდათ პური
და ხანაც ჩხვლეტდათ ბებერი გული,
მაგრამ იტანდნენ ამ გასაჭირსა,
ერთად იყოფდნენ ჭირსაც და ლხინსა,
და იქნებიან სადაც გაძლებენ,
ერთმანეთს ძმურად იმედს აძლევენ,
გარეთ ციოდა,ძალზე ყინავდა,
ყურშას კი ცეცხლის პირას ძინავდა,
ორი მოხუცი წევდა ყალიონს,
ასე ხვდებოდნენ ხსირად ალიონს,
ამბავს ყვებოდნენ მთისას, ბარისას,
ამბავს სხვისას და ამბავს თავისას,
ასე ბაასით დღენი გაჰქონდათ
და მიკვირს რისი იმედი ჰქონდათ,
კვლავაც იმედით დღენი ვიდიდა
მანამ სიკვდილი მოუვიდოდათ,
გარეთ გრუხუნი,გრაალის ქროლვა,
სისასტიკე და სიცივით თრთოლვა,
ქვაბულის პირას წვიმა წკაპუნებს,
ორი მოხუცი ქედებს გაჰყურებს,
ორივე მრავალ ამბავს ყვებიან
თითქოს სიკვდილსაც აღარ ელიან!!!!

* * *

მეც ამატირეთ ჩვენო მგოსანო,
დედავ,მშობელო,სულის ყივილო,
იქნებ ოდესმე გულში ჩაგიკრათ,
თქვენთან მოვფრინდეთ,შემოგირბინოთ,

გულის სიმები ამიხმოვანეთ,
თებერვლის დილას,სუსხიან ქარში,
იქ სადაც თქვენი გული იძგერებს,
ალბად თავს ვიგრძნობთ საკუთარ სახლში,

ასეთი თბილი სულის პატრონნი
სად იბადება თუ არა ხვანში,
ჩვენ ახლა ვბობღავთ,ფეხს ახლა ვიდგავთ,
თქვენ გვეშველებით,გვიდგეხართ მხარში,
უფალი ცაში მარგალიტებად
თქვენ სიკეთეებს აგროვებს ცაში
და წაგადგება ია ვარდებად,
მოგეფინება სუყველგან გზაში,

გამეღვიძა და ეს რა ვიხილე,
ჩემზე მგოსანმა ლექსი დაწერა?!
სიხარულისგან მეცხრე ცაზევარ,
და გეფიცებით კიდევ არმჯერა!

მადლობელივარ,სუულ,საუკუნოდ,
მე შენი სულის ვიგრძენი გემო,
მიყვარხართ და სულ ასე იქნება,
დედა გულნაზო,იმედო ჩემო!!!

ლია ალადაშვილი

* * *

ბედის განაჩენს,
ვერავინ შეცვლის,
უფლის ნებაა,
რაც ჩვენს თავს ხდება,
წარსულზე ფიქრი,)
ჩვენი ტკივილი,
არსად არ მიდის,
ჩვენს გულში რჩება!
თუ მოძმის ტკივილს,
გაითავისებ,
უფლისა მადლი
შენც შეგეწევა,
გაეცი სითბო,
და სიყვარული,
ხვალ არვინ იცის
რა შეგემთხვევა!

"ჩემი სულის მახარია"

გაზაფხულზე იას ველი,
რადგან ნაზი ყვავილია,
ზამთრის ყინვამ არა ავნოს,
ის უფლუსგან გზავნილია!
მზეო, სხივი გაიმეტე,
თოვლთან სძინავს რა ხანია,
პატარაა, არ შეცივდეს,
გაზაფხულის ნახარიას.
იის სურნელს, ყველა იგრძნობს,
ფერიც მისი ზღაპარია,
ამიტომაც ,იას ვეტრფი,
იას ველი რა ხანია.
ია, იცი, პატარა ხარ,
მე, შენ გელი,რა ხანია,
ჩემი სულის სამყარო და
ჩემი გულის მახარიავ!

* * *

თოვლის ფიფქო, მოფარფატევ,
მინდა, შენით ვხარობდე,
ჩემს სულში რომ შემოიჭერ,
მერე,რატომ დამტოვე,
გული ,რატომ გამიცივე,
სულ მე,უნდა გნატრობდე?
ფიფქი, თეთრო,თეთრ კაბაში
კვლავ მახსოვხარ
ამ დრომდე!

* * *

ტკბილი სიტყვა, წამალია გულის,
მალამოა სევდიანი სულის,
მზეო,სხივი უწილადე ყველას,
გულს ,დაჩაგრულს,
მოევლინე მცველად.

* * *

ზამთრის სიცივე
ვინა სთქვა,
და ვერც ყინვა
შეგაშინებს,
თუ იქნები,
სიყვარულით
გამთბარი და
მოციმციმე.
მაშინ ყვავილებიც
ხარობს,და
ზღვაც არის
მოლივლივე,
შენს გულში კი
აინთება,
ცხრათვალა მზე
მოგიზგიზე!

* * *

სამყარო შექმნა უფალმა,
ჩვენ დავიბადეთ მის ნებით
მზეს, რომ ვუყურებთ ყოველდღე
და სიყვარულით ვივსებით,
ეს წყალობაა უფლისა,
იცოდე ადამიანო,
ლუკმა გაუყავ მოყვასს და
სითბო არ დაუგვიანო!

* * *

რამდენჯერ გთხოვე,
ეკლებს ნუ მიგზავნი,
სჯობს რომ დავყნოსო
სურნელი ვარდისა,
სიმართლე არსებობს,
ვიცით ამ ქვეყნად,
უფალი არის, მოწმე ამისა!
გამიღე კარი, ზეცავ
მაღალო
მინდა, ამბავი გახარო,
ვინც გამიმეტა წუხილისათვის,
მაინც დავლოცავ,
ჩემს სულს არ ვავნო!

ჩემს დეიდაშვილს

აწ. გარდაცვლილს,
ვეფხო ბეგიაშვილს!

მწუხარეა, ახლაც ზეცა,
კარგად იცის ჩემი დარდი,
უფალს სტკივა უფრო მეტად,
წვიმს და წვიმა, თავზე დამდის!
მოისურვა,რომ მემღერა,
სახეს ღიმილი ეფინა,
ნაღვლიანმა ვუგალობე,
თვალთაგან ცრემლი მედინა.
არ დამიჯერა,წავიდა,
ამაღლდა, ზეცად ავიდა,

* * *

ეგებ არ გაწყდეს სიმები,
და არ ატირდეს ნარჩიტა,
აღარ მოვიდეს წვიმები,
იმ დღემ მე გული დამწყვიტა.
კენჭს და ბალახსაც ვუღიმი,
და ნაზად ვეალერსები,
მამულს ეს ბედი ეწერა,
ჩამოიცრემლა ვერხვები.
მე კი, მე, ქიზიყელი ვარ,
შირაქის ველად გაზრდილი,
ვაზი. იქ მიშენებია,
თავზეც მეხურა მანდილი.
მიმოფანტულა ქართველი,
სად გაქრა,ერი ნეტავი!
ბევრჯელ ვთქვი ჩემი სათქმელი,
გული მსურს, დაუსეტყვავი!

* * *

მინდა, სიკვეთე ვთესო,
სანამ ვიცოცხლებ ღმერთო,
ჩემო სამშობლოს მიწავ,
შენ ჩემო ერთად-ერთო!
შენი ტკივილი მტკივა,
მოძმევ,ერო და ბერო,
ვის რას ვუშავებთ ნეტა?!
მშვიდობით ყველას ევლოს
შენ, ჩემო დატანჯულო,
გაბრწყინდეს შენი მზეო,
მტერი ,ნუ მოვა კარზე!
შენთვის გადავდგავ მთებსო!

* * *

გათენდეს დილა,
არაფერს ვჩივი,
დაღამებამდე
მოვალ შენანდე,
გზა-გზა,ვიცი,რომ
ნარ-ეკლებია,
ჩამოვიტოვებ უკან ყველაფერს.
მაგრამ ზამთარმა
გამყინა ისევ,
მივჩერებივარ
თოვლიან მთის წვერს,
შენ კი, არა და
არ სჩანხარ ისევ.
ბურუსიან გზას,
მე ვეღარ ვიკვლევ
დრო გავა, სევდა
შენც დაგეწევა,
და მეც ვერაფრით
ვერ დაგამშვიდებ.
გასულა წლები,
აღარ გპატიობ,
შენ კი ისევე
სხვის ბილიკს მისდევ

მთას!

თოვლიან მთას,
მთვარეღა აშუქებდა,
ღრუბელნი, ყორნის-ფერი,
თავზე დაჰყურებდა,
ქარი კი, მძკავრობდა,
ირგვლივ დაძრწიდა,
მთას, თოვლიან მთას
ჩასძინებოდა, მაგრამ
ბუნებამ იცის ფერის ცვლა,
მზე, გამოვიდა,და
ცისკრის ზარის ხმა
ისმა ციდან, უფალო ჩვენო,
შემწევ, მართალო!
მშვიდობა ჰქონდეს,
საქართველოს და
მთლუან სამყაროს!

ამინ!!!



თამრო ნიჟარიძე-გენელიძე

დედას

ვიცინი თუ ვტირივარ,
შენ მახსოვხარ დედა,
ზოგჯერ ძილშიც ვტირივარ,
სიზმარშიდაც გხედავ.
შენი თბილი მოფერება.
მახსენდება დედი.
მზეში გხედავ ცხრა ფერებად
როგორც თეთრი ქედი
სიტყვა ,,ლადელ".
გენაცვალეთ ნიშნავს,
მოგონება ცრემლებს ბადებს,
ისე არა მიშავს,
მე შენს როლებს ვეფერები.
უცხო რჯულის დედებს,
ცისარტყელის ცხრაფერებით,
ფიქრები განა ედემს!

დრო გაჩერდა

თითქოს დრო გაჩერდა
გულშიც ჩამოწვიმა,
საით გავემგზავრო,
სული გამეყინა.
ყვალგან ქაოსია
ღმერთო დაგვეხმარე,
თუნდაც მტერი უყოს,
ისიც გაახარე.
ზოგი მდიდარია,
ზოგი ნაცარს შუშავს,
და ვუნც მაძღარია,
იმას რაღა უშავს.

სიყვარულს დავეძებ

ვხედავ შემომეძარცვა სიყვარული,
ნეტავი საით გაქრა,
რა გზას დავადგე განვიცდი,
ვეძებ ქარისგან ნაქარს ბოღმამ და.
მტრობამ იმატა,
ჟამი დამდგარა წყრომით,
იმედი სულ მთლად გამქრალა,
გახშირდა.
ყველგან ომი.
უფალო შენ გევედრები,
ცოდვები შენ გვაპატიე,
შორს ვარ დარდით ვბერდები,
ტკივილიც აქ დავიტირე.

დედები

დავბრუნდეთ დედებო,
გვეძახის სამშობლო,
სამშობლოს ვაკლივართ,
იმ მთების ნაშობნო.
შვილებს ჩვენ ვჭირდებით,
კედლებიც ინგრევა,
დავბრუნდეთ. სანამდის,
მთაც გადაირევა.
სამშობლოს უჩვენოდ,
აკლია ნუგეში,
დავბრუნდეთ ყველანი.
და მივცეთ ნუგეში.
ფულებით სამშობლო,
ვხედავ რომ ინგრევა.

* * *

მე დავიბადე დიად სვანეთში,
მშრომელი დედმამის ოჯახში,
5-შვილის გამზრდელ მშობლებს
ვერ აშინებდა მკაცრი ზამთარი,
მშრომელი მამა მყავდა
სტუმრის ძალიან მოყვარული,
ჯიხვზე ნადირობა უყვარდა,
ნადავლიც მუდამ ქონდა,
ჩვენ არ გვაკლდა ჯიხვის ხორცი
არც ქათამი გარეული,
გამვლელი და გამომვლელი
იყო ჩვენი სტუმარი,
მამას მეტი რა უნდოდა
უცფად მწვადებს შეწვავდა,
დედა კუბდარ-ხაჭაპურით,
სუფრას დაამშვენებდა,
ამ სუფრას კი ჭუნირზე
მირანგულა შვენოდა,
დედა ჭუნირს დაუკრავდა
მირანგულას მღეროდა
მამა ბანს აძლევდა და
ოიი რა ტბილი ხმა ქონდათ,
5-შვილის გამზრდელ მშობლებს,
სტუმარი უხაროდათ,
მამას 4-გოგოს მერე
მეხუთე ბიჭი უნდოდა.
გაჩნდა ბიჭი დავითი და
გოგოები განზე დაგვსვეს,
გვარის გამგრძელებელია
და ჩვენც გულში ჩავიკარით.
მამას სტუმარი უყვარდა,
თუ სტუმარი არ ყავდა
ფეჩთან მოწყენილი იჯდა,
ხმას არ გვცემდა არავის,
რამდენ რამეს დავწერდი
რამდენ ტკბილ მოგონებას,
მაგრამ მამა ეს იგავი
დარჩენ მოსაგონებლად,
დღეს არც დედა და არც მამა
სახლის კარს არ გამიღებს,
არც დაბრუნებას ვჩქარობ,
სახლის კარიც კრიჭინებს,
მოეფერეთ, გაუფრთხილდით,
სათუთ ცოცხალ მშობლებს.

* * *

ოდესღაც საქართველო, იყო ერთი ოჯახი,
ჩვენ ქართველი ვაჟკაცები არ გვყავს დასაკარგავი,
ყველა ქართველს სტკიოდა სატკივარი ერთის,
დღეს კი საქართველოში ძმა ძმის მკვლელი გახდა,
საქართველოს გარშემო მტერი შემოესია,
ღმერთო არ დაუშვა საქართველოს წაქცევა,
ჩემო ერო ჩემო ბერო, ჩემო ქართველებო,
ვთესოთ სიყვარულის მარცვალი,
თორე სიძულვილით გადაშენდა ერი,
ბევრმა გავიხურეთ საქართველოს კარი,
მაგრამ ჩემო საქართველო,
შენი შესადარი სხვა სამშობლო,
არსად არ არი, საქართველო ერთია,
ერთია და უკვდავი!!!

* * *

უკვე მილოცავენ მე შორიდან შობა-ახალწელს,
მე კი არ ვიცი რა უპასუხო, დარჩენილი ვარ
2005-წელში როცა დავტოვე ჩემი სამშობლო,
ჩემო საქართველო გთხოვ შემახსენე
როგორია შობა-ახალიწელი მომასმენიე
ჟრიამული ქართველი ხალხის,
ახლოდან მინდა მოგილოცოთ შობა-ახალიწელი,
ჩემო საქართველო ემიგრანტი გთხოვ,
ნუ დამტოვებ დახურულ კარში.
ისევ მესტუმრა მონატრება,
ისევ გამიტაცა ფიქრმა გულს დარი შემომაწვა
და სული დაფრინავს თქვენთან.
კარი გამიღე ჩემო საქართველო
იქნებ მოვაღწიო შენთან,
შენზე დარდით გადაღლილი
სხვის მიწას ცრემლით ვნამავ!!!
ჩემო საქართველო ჩემო, ქართველებო,
ჩემო ემიგრანტებო, წელი რომელიც დადგება
იყოს ყველასთვის ბედნიერი□□♥□გილოცავთ!

მოლოდინში

დაბრუნების მოლოდინში,
თვალი ცრემლით მევსება,
სული არის კარანტინში,
გული ჩამომესერა.
წლებმა ისე ჩამიქროლა,
ვით მწევარის საკბილომ,
გამკრა კბილი გამიყოლა,
გული რით მოვარჩინო???

* * *

დამისხით ღვინო შემივსეთ თასი,
მე საქართველო მინდა დავლოცო,
შენ გაგიმარჯოს ჩემო საქართველო,
თქვენ გაგიმარჯოთ ჩემო ქართველებო!
მე თქვენ გისურვებთ, ჯანის სიმთელეს,
სიყვარულს სიხარულს ბედნიერებას,
ხვავი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ
და სიყვარულით გეცხოვროთ მუდამ❤ !
გლოცავთ ემიგრანტი ქალი!!!

ჩვენზეც ილოცეთ

არ დაგავიწყდეთ ემიგრანტი
ჩვენზეც ილოცოთ,
ემიგრანტები გადამრჩენი
ხომა ვართ ერის,
გაბედნიერდით გაფუფუნდით,
მე ხომ დაგლოცეთ,
აღარ ვტირივარ
დღევანდელ დღეს გლოცავთ და მღერით.
დამისხით ღვინო, შემივსეთ ყანწი,
უნდა გადავათრე, უნდა ვიცეკვო,
საქართველოსთვის,
თუმც ქართველებო,
აქ ბევრჯერ მაწვიმის,
დავიხარჯები
თქვენი გულისთვის!

როგორ გავაჩუმდე

როცა გართმევენ როფორ გავაჩუმდე,
საკუთარ მიწას რისთვის ყიდიან.
გული მტკივა და როგორ გაუძლო,
ჩემნაირათ, რომ სხვებიც მიდიან.
მე გამიჭირდა ობლების რჩენა,
ნუთუ ყველაა გაჭირვებული,
მამულს სჭირდება, მოვლა და შველა,
ღმერთია მგონი გაკვირვებული.
რას ეტყვით შვილრბს,
მიწას რომ ყიდით,
დაფიქრთით ხალხო,
აქედან ვყვირი.

უფალს მიანდე

უფალს მიანდე ჩემი სიმართლე,
მან იცის უფრო მე რა მჭიდება,
თუ კი მას უნდა რომ გრძნიბით დავთვრე,
ეს არასოდეს გამიჭირდება.
თუმცა სიყვარულს ვეთაყვანები,
დედაშვილურს და მამულიშვილურს,
ადრე გავთოხნე გრძნობის ყანები,
ბედისწერა კი სხვაზე მათხოვებს.
ჰოდა მივყვები ბედის ქარავანს,
ხან აღმა სვლა მაქვს, ხანაც ვმარცხდები,
ხან ასე ვფიქრობ უკვე არავარ,
მაგრამ უფლის მეტს არ ვედაედები.

* * *

მშვიდობის მტრედო წერილს გაგატან,
გაფრინდი ჩემ სამშობლოში,
კარ და კარ ჩამოარიგე სიყვარული,
მშვიდობა ხვავი ბარაქა,
ყველა ოჯახი დალოცე და გადაეცი სალამი,
გადაეცი, რომ კარგად ვარ მხოლოდ მონატრებით
ვარ დაღლილი, პასუხს მეც დაველოდები
არ დამიგვიანო ძალიან გთხოვ!!!

რამ მოგაწყურა

ქართველო რამ მოგაწყურა,
რომ დაღვარე ძმების სისხლი,
ალბათ იყავ მგელი, ტურა,
მკვლელის სისხლი გადაიხდი.
უცვედცელი ხალხი ნოკალ,
მიგერია სატანა,
შენი ცოდვა ცაშიც მოგკლავს,
ბოღმამ სად არ გაატარა,
თავს შენ არავინ არ წაგიქცევს,
დარჩი შეუნდობელი,
სული ასე სად გაგძარცვეს,
გახდი დაუნდობელი!

ცხოვრება

ყოველთვის ჩვენ ვერ
ვწყვიტავთ ყველაფერს,
ცხოვრება გვიჩვენებს ბილიკებს,
ლექსებსაც თუ დავწერთ შესაფერს,
ვერავინ გაგვაქიკიკებს.
აი, მეც ყკვე ვბერდები,
უკვე თმებშიაც დამთოვა,
ჰოდა, უფალს ვთხოვ ვედრებით,
ნუ გამხდის მიწის მათხოვარს.
არ გამიყიდნონ მიწები,
დაიცვან სისხლის წვეთამდე,
მიყვარხართ თავდავიწყებით,
ფიქრს ვანაწილებ მლეთამდე.
წამოვდექი და დავეცი,
რა ტანჯვა გამოვიარე,
ხმა მომაწვდინეთ გამეცით,
ხმითაც მოვირჩენ იარებს!

დალი ბანცაძე

* * *

როგორ მინდა ვწერო ბევრი
სიყვარულზე, უსასრულოდ---
და კალამმა მიერთგულოს
აწ და მარად, უსათუოდ....
    მომცინარი სახეები
    ბევრი მინდა დავინახო,
    სიკეთე და ერთგულება
    გულის გულში დავიმარხო!
სიტყვა ვთქვა და შევასრულო,
დავდგე სიმართლისა მცველად,
თავმომწონედ და ამაყად----
ვიქიქინო მინდორ--ველად...
    როცა სუფთა სულით დახვალ,
    თითქოს ფრენ და გიხარია,
    ადამიანად ვიცხოვროთ---
    სანამ არ არს გვიანია!...

* * *

სულ სხვანაირი გახდა ცხოვრება,
ვხედავ რომ ძალას იკრებს სატანა,
ეჰ, სჯობდა ძველი,წახდა დროება,
ქართველს ერთურთის არ აქვს გატანა!
    ამას განვიცდი, ვღელავ და მაკრთობს,
    მომავლის ბედი მადარდიანებს,
    კეთილი სიტყვა მხიბლავს და მათბობს
    რაც ენანებათ ადამიანებს.....
ძმა ძმას არ ინდობს და სასიკვდილოდ
იმეტებს ერთი გოჯი მიწისთვის,
მერე ჭიქას სწევს და სამარცხვინოდ
ვითომ თავს სწირავს მშობელ დედისთვის!..
    კაცი კაცს არ ჰგავს,ქალი კი ქალსა,
    გადახვეწილან უცხო მხარეში
    და საქართველოს მთასა და ბარსა
    უცხოტომელთა არის თარეში!.
გული ვერ იტევს და ფურცელს ვანდობ
რაც აწუხებს და თრგუნავს ჩემს სულსა,
ვდავობ,ვკამათობ და სიტყვას ვადნობ,
ვერ მივეცემი მე ტკბილად რულსა...
    როცა ქვეყანა განსაცდელშია,
    მე როგორ დავწვე ვიძინო ტკბილად,
    მიზეზი? ალბათ ისევ ჩვენშია
    და ნუ შევხედავთ საქმეს გულგრილად.
სიყვარული და ერთობა გვმართებს
რომ ყველაფერი ვიწყოთ თავიდან----
და იმედებით ვძახოთ ერთმანეთს
,,ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან"?!..

6.02.2023

* * *

წყალს გავატანე ყველა დარდი და
წყალს გავატანე ყველა ვარამი,
ერთს ვფიქრობ მარტო,მხოლოდ ეს მინდა---
რომ ავამღერო ჩემი კალამი!.

გაზაფხულს შევხვდე წელგამართული,
მემღერებოდეს,მეცეკვებოდეს,
რწმენა,მამული,ენა ქართული
მუდამ ცოცხლობდეს და არ კვდებოდეს.

ძარღვში სიცოცხლის რომ ჩქეფდეს სისხლი,
მქონდეს ცხოვრების ლამაზი ხედვა,
დარდიც რომ აღარ მქონდეს, თუნდ მისხლის,
მუდამ მესმოდეს გულების ფეთქვა!..

3.02.2022

დრო და ჟამი

თოვლის ფიფქივით შემომადნა ეს
დრო და ჟამი----
ამიტომ ხალხო დავაფასოთ
ყოველი წამი....

ფუჭად ნუ ვფლანგავთ წუთს,უმიზნოდ
სხვის განკითხვაში,
სანამდე ძალა შეგვრჩენია
მუხლში და მკლავში!.

გავითავისოთ სხვისი დარდი
და სატკივარი---
გავითბოთ გული, ნუ გავხდებით
ვითარც მყინვარი.

ვთესოთ სიკეთე და მოვიმკათ
შემდგომ ნათესი,
თან სახარება შევისწავლოთ
კარგად მათესი!...

,,არა კაც ჰკლაო",,,არ იმრუშო" და
,,არ იპარო",
ბევრს ნუ ვინდომებთ, იქნება და
ცოტაც ვიკმაროთ.

უფლის ნაბოძებ ჯვარს ხომ უნდა
ზიდვა ღირსებით,
უნდა შევძლოთ და უნდა ვზიდოთ
ისევ ღვთის ნებით

თოვლის ფიფქივით შემომადნა
ეს დრო და ჟამი,
ამიტომ ხალხო დავაფასოთ
ყოველი წამი!....

მონატრება

ამას ვნატრობ ახლა
მსხვილ ფანტელებს თოვდეს,
მამიდა კი , ფეჩთან"
ჩემს ,,ფაჩუჩებს" ქსოვდეს!
დედა თავწაკრული,
ცომს აგუნდავებდეს
და მამიკოს ფეხის
ხმას ელოდებოდეს....
სოფლის ორღობეში
ბავშვები მეზობლის,
ნონა,ცირა, გელა
და სითბო მეგობრის!...
მამის ფეხის ხმა და
ბაკა-ბუკი ჩექმის,
ოხ,რამდენი ტკბილი
მოგონება მეთქმის....
დედას მოხვეული
ღორის ქონის ქადა,
როგორ მომენატრა
სად ვეძებო,სადა?
მამიდას ,,წკიპინა"
მჭადები თხელ-თხელი,
დედას შენახული
ქილის ხმელი ყველი.
ციგებით დაშვება
,,ფურნის წყლის" დაღმართში,
ნეტავ დამაბრუნა
ბავშვობის ზამთარში...
როგორ ვნატრობ ახლა
მსხვილ ფარფატა ფიფქებს,
გავფანტავდი წამით
დარდებსა და ფიქრებს!...

* * *

გადაიქროლეს წლებმა რამდენმა,
უმისამართოდ აიღეს გეზი,
რა დამიწერა ნეტავ გამჩენმა---
რად შემიცვალა ცხოვრების წესი!?

წარმოსახვაში სულ სხვას ვხედავდი,
სულ სხვანაირად ვქსოვდი მომავალს,
უფლის წინაშე თხოვნას ვბედავდი
და ცრემლსაც ვღვრიდი უჩუმრად მრავალს!...

სასტიკი არის წუთისოფელი-----
ვერას გაუგებ რას ჩაიფიქრებს,
მე ჩემს განაჩენს ჯერ კიდევ ველი,
სანამ მამალი კვლავ დაიყივლებს.....

ყველას თავისი ჯვარი აქვს მძიმე
და გოლგოთამდე ცდილობს ატანას,
საქმე არა ვქმნათ ბნელი და მრუმე,
ნუ ვახარხარებთ უკან სატანას!..

გადაიქროლეს წლებმა მრავალმა,
თავდაღმართისკენ აიღეს გეზი,
არ მიმატოვა გრძნობამ მთავარმა,
სიყვარულია ცხოვრების წესი!!!...

5.02.2023

მარი ჟღენტი

გრანელი

იდგა ოქტომბრის ოქროსფერი ფოთლების თქორი
და ფრთებს შმუშნიდა ნამთვრალევი -
ყურძნით - ჰერმესი,
ღრუბლების თეთრი აბრეშუმის „თავსაფრებს“
შორის
ცა იყო ახლოს - თავად ცაზე უცისფერესი!
იწურებოდა წუთისოფლის მოკლე გზა სულმთლად,
შენ ოცნებობდი მკერდთეთრ ქალზე... რომზე...
მადრიდზე...
იფანტებოდა ყველა მხარეს დაღლილი სუნთქვა,
რომელსაც მხოლოდ ყორეს გაღმა არ გამადლიდნენ...
იქ მიწვებოდი უბინაო, შუბლზე შრეებით....
და სული შენი, ვით სამსხვერპლო კრავი ბღაოდა,
ტოტით გიხმობდნენ განძაცვული მკვდარი ხეები...
დავიწყებულნი, დავიწყებულ სასაფლაოდან!
მხოლოდ შენ იცი, იქაური ხავსი ნოტიო...
და ხეტიალი დაღლილ სულთა ფერმკრთალ
ლანდების,
ცის კარაკული რომ მიგიხმობს: ჩემთან მოდიო...
და გივლის ტანში სავსე მთვარის მიკროტალღები...
თითს დაუსვამდი - სამართებლად - მაჯაზე ვენებს,
ცისფერი სისხლი შრიალებდა გჯეროდა მათში,
ძლივს აკავებდი სააქაოს განკვეთილ ვნებებს,
სიზმრებს უყოფდი გარდასულ სულთ... მარადი ბავშვი.
ბედმა გიბედა ბუდის მიღმა გადმოგდება და...
უშენოდ სურდა, მოექსოვა სევდის ქაოსი,
შეგრჩა ოცნება და პერანგი - სხვა არც გებადა -
და ღამეული ჩურჩულები სასაფლაოსი.
იდგა ოქტომბრის ნამდაკრული ფოთლების თქორი.
მკვდრებსაც ჰყინავდა! დროის ფეთქვა იყო...
რა ნელი...
თხელი პერანგით, დახავსებულ საფლავთა შორის,
მთვარის სუზანზე, მთვარის სახით იწვა გრანელი.
გული ბევრს არვის დასწყვეტია: იყავ უბარგო,
თვალს გარიდებდა უღმერთობა, კაცთა ერესი...
ჩიტი კიოდა: ლექსიი!.. ლექსი!.. არ დაუკარგოთ!
ცა იყო ცაზე ცისფერი და... უუცისფერესი!

შეხვედრა დროსთან

რა უნდათ ახლა, ამ სულელ თვალებს?!
დღეს რად ტირიან -
გუშინ გნახე და...
მზერაც ხილვათა - ნაღდად „წვირიან“ -
ჩრჩილიან ფარჩის ფონზე გახევდა...
დღენი წავიდნენ... წლები მიდიან...
„წყალმა“ დაგვლია...
და... ცას ახედა.
დრო ჟრუნა თვალის სტიგმალიბრიან,
ცხრაკალიბრიან ხედვით გამხნევდა
და ძლივს- ისეთი სისწრაფით მსდია -
შევდექ ...
უფსკრულის გადასახედთან.
აქ გზას აცდენილ ფიქრთა ბინდია,
აწმყო წარსულის შოლტვით გახელდა...
მაშ, სისხლის ჩქერნი დღეს რად ყვირიან,
ან რას ტირიან -
გუშინ გნახე და!..
უსიტყვოდ გკითხე: „მე“ ვის მიართვი?
სტომაქს დახედე: ახლაც "აქ მაქო",
და ამიბოლდა სულის წიაღი,
ვით უფლის ხელში
ჟამის თამბაქო!
...ყოფა უდავოდ, ძალზე ძვირია
და დაატარებს უთქმელ ზრახვებს თან,
რა სუსტია და რა უბირია
კაცი...
საკუთარ გარდასახვებთან!
განა, აქ რამე ჩვენი ბრალია?!
ზოგნი ხბოდ ვრჩებით,
ზოგნიც - სახედრად...
წამთა მდინარემ ყლუპით დაგვლია,
ალბათ სწამდა და...
ზეცას ახედა!
ეს... ვერ შევიცან! რუნთა ბინდებში
რითმა ვახვიე სულში თამბაქოდ
და მეც რომ ლექსის კვამლში ვვლინდები,
არც შემრისხოთ და...
უფრო - არც მაქოთ!
დღენი წავიდნენ...
წლები მიდიან!..
სულმა სხეული იხმო სხვა ხევთან...
და დგას დრო, სადაც ლურჯი ხიდია
ცისა და მიწის გადასახვევთან!

ხე – საბოგირე

ვეთამაშები ამ ცხოვრებას ჩემი ფიქრებით,
სხვა რაღა დამრჩა, გამოექცნენ გაჩეხილ ახოს...
თვალთა ფიალით ჩამოგივლით, სადაც იქნებით,
თუმცა მგონია, აქ, ჩვენს შორის, აჩრდილი სახლობს...

ის იცავს წარსულს! ბერწ ნიადაგს! მომავლის თესლებს
და სურს მძინარე ღმერთმაც იგივ ხილვები ნახოს,
მე ვწევარ ჩრდილში - სარეველის - ვკითხულებ მესნევს
და სიტყვის ფსკერში კიბელების კივილი მაფრთხობს...

არ მითხრათ ახლა, სად კიბელა და სად მესნევი,
მისნობის მადლი თუ ვინმეს აქვს, ისევ პოეტებს,
სასჯელი მერგო სისხლში ყველას გენის შესევის
და მოაგელვებს ნაომარი გზებით დრო ეტლებს,

სადაც თმაგაშლით ქვითინებენ ძველნი მისანნი,
უდღეურ ნაშობთ ძვლებადქცეულ მკლავით არხევენ,
ერთერთ მათგანში დედა-ევას ტყუპი ვიცანი,
ჩუ... ორივენი თურაშაულთ ჩულში ახვევენ...

მშობიარობენ ხვალის სიზმარს ისეთის ტანჯვით
თავქუდმოგლეჯით გადავირბენ გზებზე ბოგირებს,
თითო ნაბიჯი თითო დღეა და წამთა ხარჯვით
ველტვი სიღრმეებს, სადაც კაცი ვერც იბოგინებს...

სადაც ცეცხლი სწვავთ, მაგრამ თავზე ნიმბები ადგათ,
ტანთგამჭვირვალე სათნოებით შემოსილ ევებს,
აქ თუ მალავენ სამოთხის ვაშლს გამოცლილ ბადაგს?!
და რაკი მოველ, ერთ-ორ კუნწალს ჩამოვწყვეტ მევე...

მაგრამ ვაითუ, ვერ გაუძლოს გაშოტილმა ხემ,
დავიწყების წყალს ზედ რომ აწევს ზნით მოძალადის,
თუკი მშვიდობით დაგიბრუნდით, გეტყვით ვინ ვნახე,
სანამ ჭრელ უნასს ვაშლს უფასოდ გამოვძალავდი...

მანამდე... ვიკვლევ აქ რას ნიშნავს ხე-საბოგირე,
წვერით სიცოცხლეს ხელს არ უშვებს (არც მე ვეშვები),
ღამით წელს უშვერს მოცეკვავე მასზე მოირებს
და მკვდარ ედემში კითხვის ნიშნად უჩანს ფესვები!

ნელი სანებლიძე

რა დარჩა შენში...

♣

უდროობაში ნამყო სული,
სხეულს შერწყმია
და გაკვირვებულს დასტყობია,
მიწის ვნებანი...

* * *

არას დაგიდევს მსაჯული დრო-
გამოუცნობი,
ვერაფრით იგებ საით მიდის,
ანდა რას შესცვლის,
შეცბუნებული მიადგები,
დანისლულ სარკმელს,
გული კი გეტყვის,
ფერუცვლელი,რა დარჩა შენში...

მას კანონებით ვერ მომართავ,
აქვს თავის ნება,
ფრთა თუკი მოსტყდა,
იფარფატებს სევდით და ჭმუნვით,
დრომ დააფარა, ზამთრის ,,პლედი,,
აღფრთოვანებას,
დროს ნაოცნებარს შეეყარა,
თითქოს ძილქუში...
მოგეჩვენება, ზოგჯერ ფიქრი,
სევდის ამარა,ვერ იმორჩილებ,
სუსხიანიც გამხდარა ურჩი...

* * *

გაუცხოებას გაზაფხული
შეატორტმანებს,
გაალღობს ყინვას,
ლურჯთვალება იის ღიმილი,
მიწაში ნამყოფს, ნამძინარებს,
მზე დაასხივებს და გაალაღებს,
სიყვარული-მაცოცხლებელი...

* * *

თბილად ....

☀

ფიქრი ვერ დაგაძაბუნებს,
თბილად,თუ უღებ კარს,
გაფიქრებს, თუკი საიდან,
იღებს აზრსა და კვალს,
იმ რთულ სამყაროს ჩასწვდები,
ფრთებსაც კი შეისხამ,
ღრუბლების იქეთ მზის სხივებს,
გულით ,,შეავლებ,, თვალს...
მოჟამულ ცაზე ფიქრისას,
ხვალის იმედი გაქვს...

ლექსით შედიხარ-
ლექსების ,,ტევრში,,
და სინათლეში ხარ,
დაგავიწყდება დარდი ტიალი,
მოყვასის ხილვისას,
მოსიყვარულე თვალებით უმზერ,
გხიბლავს თუ,არ გხიბლავს...

არად ჩააგდებ სხვის შეცოდებას,
შენსას მო-იკითხავ,
მაშინ იხსნება,მეცხრე ცის თვალი,
სიხარულს იხილავ,
დაეწაფები წყაროდ მის სხივებს,
ჩანჩქერი-ვით გაგბანს...

♣

ფიქრთა სამეფო არ ყოფილიყო,
მოვიგონებდი მას,
მასშია ყველა და ყველაფერი,
მე,რომ მიყვარს და მწამს,
მასშია ჩემი სულის სადგომი,
დიდი იმედის მთა,
ნისლის-ფერებით შემყვარებია,
მასში სიცოცხლე ჩანს...

* * *
გაწვალებული ფიქრები ,,ხოხავს,,
შემოუვლია სულს ბილიკები,
შენ თუ არ იცი,სხვა გიპასუხებს,
ეს ხარ შენ, ვეღარ გამოიცვლები...

სიცოცხლე მკაცრობს შებმია მაცდურს,
სტროფში ხმობს, ყეფავს ბევრი მოთმენა,
რა საცოდავად წრიპინებს გული,
ესათუთება,თვისი ბუნება,

მთლად უღონოა და ისევდება,
მბრძანებელია,როცა განგება...
ო,რა ძნელია სწორ გზის გაგნება...
შორს ჰორიზონტი დაილანდება...

იშლება სულში სიმშვიდე მთვარის,
სევდას სამოსი შემოაცვდება...
გაიცრიცება ბრძენი მთვარე და
მზე მომღიმარი ამღელვარდება...

♣ ♣ ♣
მრავალჟამიერ-ამ სოფელში,
წუთს შეებმება,
შფოთავს სიმართლე,
სიცრუე თუ, ეთამაშება...
მხოლოდ უკვდავი სიყვარული,
არ ბოროტდება,
იმედით გვმოძღვრავს ზენა-არის,
სულიერება....

ეზო თეთრად დუმს...

სიჩუმეა ახლა გარეთ,
ათოვს ფოთლებს ხმელს,
მიახატავს ხეებს შემკრთალს,
ყინვა ლოლოებს,
სილამაზე– დროს აჩერებს,
და იმორჩილებს...
❄❄
ბარდნის სევდას ნაირფერად,
რისთვის, ვისთვის, რად?
ისევ ისე ისმის კითხვა-
შორეულ ფიქრად...

იმედი ხომ მაინცაა?
ჰოო, ალბათ,დიახ...
ნენოოოო❄

უცხო ....

♣❄
მოუსვენარ დღეებს და წლებს,
სდევს წარსული აჩრდილების,
ახალ აზრებს დამჩნეული,
გარდასული აღელვების...

სანამ დაივიწყებ ტკივილს-
მანამ დიდი დრო გაივლის,
მიყუჩდება რუხი დარდი,
ფერს შეიცვლის თეთრი ვარდი...

თოვლი გადაფარავს ფიფქით,
წარსულს ჩაბარდება თითქმის...
მერე გამოიზაფხულებს,
სევდა იისფერი ფიქრით...

წვალობს ნატვრა-მონატრება,
დროის მდინარების ხიდი,
ნეტავ ვის ვეკუთნით ან რად,
ვიღაცის თუ რაღაც რიდით?

მარად იშრიალებს სულში,
უ ც ხ ო შეუცნობი ფიქრი...
❄♣
მიდის,მიქრის-
დრო არ იცდის,
იმედიან ოცნებებით,
სევდისა და სიხარულის,
უსასრულო გაოცებით...
♣

მთელი ღამე...

❄♣
წუხელ,მთელი ღამე თოვდა,
არ გაჩერდა სუულ,
მოსაგონარს ბევრს ახსენებს,
ფიფქი დაღლილ გულს,
ჟღურტულ-ჟღურტულ მოალერსეს,
თანაც მობუზულს,
სიხალისე დაკარგვია,
ბეღურების გუნდს...

მზია ელიაძე

ნისლთ ამოუვსავთ ხევ-ხუვები

2020წ.

ნისლთ ამოუვსავთ ხევ-ხუვები,
თრთიან ხეთ ტოტებზე ფოთოლნი;
ცივ-ცივ,ახორკლილი ნამ-წვეთები
სცვივა ფოთოლთ წყვილ-წყვილ,
ორ-ორი...

მზე ცად ძალას იკრებს, ბეჩავი
ვეღარას ახერხებს ყინვის წინ.
ჯანღი,ბურუს-ნისლი მედგარი
ფეხქვეშ გაწოლილა მიწის პირს.

მიწად ჩამოსულა ნეტარი-
ყინვის დედოფალიც,ფეხმარდი
თეთრი ყაბალახი,ნაბადით
ქარგავს მამულს ფიფქით-ნაფანტით!..

ნისლთ ამოუვსავთ ხევ-ხუვები
ჰა,
გაშიშვლებულანხეთ ტოტნიც.
ცვარი ხშირია და თანმდევი
ზამთარი,კუთვნილ ხნის მომთხოვნი!..

* * *

17.05.2019წ.

ყვავილ-ყვავილ,კოკორ-კოკორ,
ბილიკ-ბილიკ,
ფოთოლ-ფოთოლ,
ბალახ-ბალახ,
ტყე-ტყე,გორ-გორ,
ფლატე-ფლატე,
ხევ-ხევ,ხროვ-ხროვ
მოუჩითავთ ლურჯ-ლურჯთ ჯგრო-ჯგროდ
ველი მდელო იცით,როგორ!..

ია-იას, კოკობ-კოკობ,
ყოჩივარდას,მიწად ბოლქვ-ბოლქვ,
ენძელას კი ნაზ-ნაზ,სათნოს
უბნევია ნამი მძივად
ალმას-ალმას, მისხალ-მისხალ
საოცნებო, წრფელი, წმინდა!..

ყვავილთ,ყანად ჩაკარგულებს
მოლივლივეთ,
მოგიზგიზეთ,
ხევ-ხევ,
ჩქერ-ჩქერ,
ფლატე-ფლატე
ბალახთ ზღვაში ჩაკარგულებს
მზით,თოვლს მდინარედ ნატირებს
უფრქვევია ნამი გულზე!..

თეთრ, ქათქათა ნაზ-ნაზ ღრუბელთ
იალ-ციალ მოლივლივეთ
ღვთის პირნაბანს,წვეთ-წვეთ ნამცვრევს
ყველა კრძალვით იცხებს გულზე...
ყვავილთ,სამყაროს სიმშვენეს
უფრქვევია სათნო სახეს!..

მთაწმინდაზე ჩაუმუხლავს მთვარეს

07.05.2019წ.

მთაწმინდაზე ჩაუმუხლავს მთვარეს
ნათელს აფენს მარადიულ გმირებს.
ფართო სახით კოცნის წინაპართ ძვლებს
წმინდა მამის-დავითის* სიწმინდეს!..

პოეტთ,მწერალთ,მხატვართ,მასწავლებელთ
ზეციური მამული ირჩიეს...
სიწმინდეა,ჩვენი სისპეტაკე
ყოველ ქარველს ჭდედ რომ გულზე ადევს!..

– თუ მამული არ იქნება უკეთ
რა აზრი აქვს მიწაზე სიცოცხლეს?!
იდუმალი მდუმარება სუფევს
თითქოს,წამიც გაჩერდაო უცებ!..

მთაწმინდაზე ჩაუმუხლავს მთვარეს
ეფერება მარადიულ გმირებს.
გმირ-ქართველებს,ვაჟკაცებს,ასულებს,
რომელთაც ერს ეპოქა შეგვიქმნეს!..

---

*მამა დავითი - 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, აქ; დავით გარეჯელი

ლალი ორმოცაძე
მწერალი. 23.11.1949. ბათუმი.

გალაქტიკების გალაკტიონი...

* * *

მეგობარო,
შენ, თუ გინახავს არამიწიერ
ფერთა თამაში?
მე?
დიახ, ვიხილე ზღვა ოქროსფერი,
ტალღებზე ტალღა გადაფენილი,
ფირუზის ფერიც ბროლით ნაფერი...

ვინ დაიჯერებს?
დაისის ველზე ჩაკიდულ სხივებს
მოუხიბლია ცა,
ოქროს ფლეიტით, შოპენის ვალსით,
აცეკვებულა ზღვაც...
ოოჰ! რა დიადია... რა დიადია ცა...

მომეჩვენა თუ?
ცხადად ვიხილე ჩრდილი ხელმწიფის?
ამაყი! მოჰქრის, ოქროს მანტიით,
მტვერწაყრილ ჟამში, დროის გიგანტი
ამოილანძა, სული ქარტიის,
სული მაგიის და მელოდიის...

გალაქტიკური, იისფერ ფუნჯით,
გალაკტიონმა, მზის სამოსელით
ააელვარა ზღვის ლურჯი ფერი!
მოემართება გასაოცარი იდუმალებით,
ოქროსფერ ფრთების, ელვარე რწევით...

ამოგრიალდა მუზის სიგიჟით!
მთვარეს ამოჰყვა გალა! შეშლილი...

ნუთუ ამიხდა ოცნება თლილი?
ზმანებაა, თუ აზვირთებული მეფე!
ლოტოსის მანტრა, თუ ტალღა ლილის?
ოჰ, სულში მადნება უკვდავების მზე
საუცნაურად ფერებჩაწნილი,
ცისარტყელებით შემოქსოვილი....

ტალღის შრიალში თოლია ჰყივის,
მარაო შეჰკრა მითოსურ როკვით,
ლეგენდარული პოეტის სუნთქვით
სუნთქავს სამყარო, ამერ–იმერიც,
ლომის ბოკვერთა კავკასიონიც...

აბობოქრებულ ზღვას მკერდში ეკვრის
ჭოროხი, და ჭყვიშის მღვრიე რიონი...
სიონში გალობს ერისიონი,
ღვთისკენ მიილტვის
ნიკორწმინდა და კავკასიონი,
თავდავიწყებით სონეტებს გალობს
გალაქტიკური გალაკტიონი!

მზემ აიკეცა დედოფლის კალთა,
სამყაროს კრთომა ათრთოლდა ნაზად,
სევდის მორევში მოცურავს მთვარე...
მთაწმინდის მთიდან იღვრება მუზა...
ბინდში ათქერდა წყვდიადი ღამე,
ეული სული, წრფელი, მღელვარე,
ვით ლურჯა რაში ბრდღვინავს მშფოთვარე...

ოჰ! შეშლილი და გაშეშებული
მივჩერებივარ მირაჟთა შრიალს,
თრთოლვითა ვეტრფი ქარდაქარ ნიავს...
მეც ვეღარ ვუძლებ ამ საწუთროში
დაკარგულ ჟამთა უკუღმა ტრიალს...

ბინდში ნისლია მქრალი, მკვნესარე,
გაოცებულა სიწრფელით მთვარეც,
უცნაურნი ვართ, ვწვდებით ზეცამდე,
სული გვქონია ძლიერ მგზნებარე,
რა დაგვრჩენია ღვთის ედემამდე?

სიმშვიდეს არწევს ჩონგურის ლარი,
რა მღელვარებით ატირდა ქნარი...
ტრფობით აროკდა გალა და ქარი,
კრძალვით მორცხვობდა მერი ტაძარში...

ვერვინ გაუგო იდუმალება,
ხანაც ბრაზის და ზოგჯერ ფაქიზი,
ზამბახის ველზედ უმეტეს ნაზი,
მორევში ცრემლით ნარევ, ნატანჯი,
ხელმწიფე ლირის იღბლისა მსგავსი...

ბეჭზე მიკრული უმძიმეს ჯვარით,
და მაცხოვარის თეთრი ოლარით
მიბარბაცებდა გალაქტიკაში
გალაქტიკური გალაკტიონი!
მიაცილებდა საფერ ღირსებით
მყინვარწვერები კავკასიონის...

როგორც ყოველთვის, ის ამ ღამითაც,
ამ სამყაროში არ ჰგავდა არვის..
ამაღლებულა ბუმბერაზ ნიჭით,
უნანავებდა ნაზად რიონი...
ხელმწიფე გახლდათ ალადასტურით
და პოეზიით უზომოდ მთვრალი...

ცის გუმბათიდან მოცურავს მთვარე,
ცვარში ვეხვევი და ვარ მწუხარე...
ისევ ერთად ვართ ზღვა, მე და მეფე...
მღელვარედ შფოთავს გალაკტიონი!
ჭყვიშთან შობილი გვირგვინოსანი
ვერ ჩაეტია, ვერ ჩაეტია
ვეღარც მშობლიურ, ბროლის რიონში
და გადაეშვა ცის პანთიონში...

ოჰ, მეგობარო...
ცის ჰორიზონტზე დაკიდულ მზეებს
ზღვის ლურჯი ფერი შეუმოსია
ოქროსფერებით...
დე მერე? მერე დაეშვა ზეციდან მთვარე
გადმოგვიქროლა მგოსანთა ღამემ...

მართლაც,
ფაზისის და პონტოს ცაზეც
,,ჯერ არასდროს არ შობილა
მთვარე ასე წყნარი“
საიდანღაც უჩინარი
მობუტბუტებს მტკვარი ქარით,
მოჰქრის ტატოს მერანიც,
ზეცას წყდება ვარსკვლავი,
მკერდს იღეღავს ცისკარი,
აილანძა ღვთისკაცი,
მეფურ ლანდით აკაკიც...
ჰოი! ეძახიან
და უხმობენ აჩრდილების
მითოსური ზღაპრები...

რიონელი?
უსასრულობის ლაბირინთებში
მერის ჯვრისწერა აცახცახებდა,
დიად სიყვარულს დაჰკანკალებდა,
გაფითრებული გალაკტიონი
ვერხვთა შრიალში ცრემლით გოდებდა...
ოჰ... მეფე ლირის უიღბლობასაც
სინანულით და მწარედ ჰგლოვობდა...

შენ, მეგობარო, ხომ დაიჯერე?
რა უსაშველო, რა აღმაფრენით,
მწველი გრძნებებით,
ზე–მცხუნვარებით,
ხან სინანულით, სიფაქიზითაც,
ხანაც შეშლილი, გიჟი მუზებით
მზე ნაკვერჩხალობს ვნება–გზნებებით,
და აკეკლუცდა მთვარე და ღამეც,
ჰოი... თარეშობს სურვილთ აფრებიც
ოქროისა და ვერცხლის ფერებით,
ცისამიერი სიმშვენიერით
მირიადებში ჩაქარგულები...

ცხადად ვიხილეთ
მე, შენ და მგოსანთა მთვარემ,
ვერცხლისფერ სივრცის,
მუზის ხელმწიფე!
სულში ესვენა მერი და ჯვარი,
მას აღარ ჰკლავდა
საწუთროს დარდი...

გალაკტიონმა
ისევ აღჰკაზმა ,,ლურჯა ცხენები!"
რაშების რემა ცისკრის ჯვრისწერით
მზის კარიბჭისკენ მიისწრაფვოდა,
გარდასახული გალაკტიონი
ზე–სიზმრისეულ მერის გალობას
ნაზი ჩურჩულით ხილვად ეტრფოდა...

ეჩვენებოდა მერის ხატება
ტბის თვალცრემლიან, სევდიან გედად,
გალაკტიონი?

გალაკტიონი ენთო სანთლებად,
ოჰ, გარდაიქცა ციურ მნათებად!

მათ სიდიადით მიაცილებლდათ
ციური ტაძრის ზენა სიონში
ცისფრად კაშკაშა ცის ორიონი,
ოლიმპოელი მთის ჰელიოსი,
ფანტასტიური, მზის აპოლონი,
და!
ქართა–ველების მთათა ხელმწიფე,
ზე–ზვიადური კავკასიონი...

შობა აისმა ის ერთად–ერთად!
უფლის გუმბათზე ელავს ნათებად!
ზეცამ აკურთხა...
ზეცამ აკურთხა გენიის ღმერთად!

* * *

მირზა ვარძუკელაშვილი

* * *

სხვისაკენ თვალ თითის შვერა,
ენისთვის არის მსუბუქი.
მაგრამ დრო რომ გამოხდება,
ეს ყველაფერი სულს უმძიმს.

სხვის თვალში ბეწვის დანახვა,
შენს თვალს არასდროს არ უჭირს.
მაგრამ თვის თვალში დირეც კი.
მგონებ არავის არ უშლის.

სულს ნუ ვიტანჯავთ იმ ფიქრით,
სხვას სულში ვის რა უფუვის.
თავის თვალ გონი გავწმინდათ,
გულით რომ ვიყოთ სულ უფლის.

* * *

არსებობს ისეთი ხალხი,
ცეცხლივითა გწვავს შორიდან.
არ აგონდება არ ჯავრობს,
შენ თუ რამ ზიანს მოგიტანს.

ცეცხლს ბუნება აქვს ასეთი,
გაწმინდოს ყველა ცოდვისგან.
თუ დავფიქრდებით თვისებას,
მისი ამ ქვეყნად მოსვლისას.

კარგია ასეთი ხალხი,
თუ კი შენამდე მოვიდა.
უნდა ჰმადლობდე უფალ ღმერთს,
მადლით სიკეთით მოსილსა.

ეს დაშვებაა ზეციდან,
სულის სიკეთეს მოიტანს.
მტკივნეულია იცოდე,
შვილი ხარ ყოვლის მპყრობლისა.

სიკვდილსაც კი უყვარს...

მთვარე მზის სხივების სიყვარულით,
ცაზე მნათობია წყვდიადისა.
მზეს რომ ეს სამყარო არ უყვარდეს,
არას დაგიდევდათ აისისას.
        კაცთ რომ სიყვარული ღმერთის ჰქონდეს,
        სულის უკვდავებას რა უჭირდა.
        ვერცხლის მოტრფიალე წუთის სოფელს,
        ცნობა სიყვარულის გაუჭირდა.
სიკვდილსაც კი უყვარს კაცთ სიცოცხლე,
გრძნობით სიჩუმე და მდუმარება.
მხოლოდ მაშინ სტუმრობს ჩვენს სამყოფელს,
როცა უკვდავება უყვარდება.

ჭეშმარიტების სახელით...

ქარს ამოვარდნას არ ვაცლით,
რომ ვნატრობთ უკვე ჩადგომას.
მზის სიცხეს გვალვას ვეძახით,
თითქოს სულ ვნატრობთ მზის მოსვლას.
        სიყვარულია აბა ეს,
        ან სიყვარულის შეცნობა?
        სიყვარულისგან ეჰ ვართ შორს,
        ჯერთ ვერ ვიცანით ეგ გრძნობა.
დავდივართ ცარიელანი,
ერთურთის არ გვაქვს შენდობა.
სულ სხვის ჭკვის დამრიგებელნი,
თავისას ვერ ვგრძნობთ შეცდომას.
        ჭეშმარიტების სახელით,
        სიკვდილსა ვსწირავთ მეგობარს.
        შევიცნოთ სჯობს სიყვარული,
        სიცრუვის გზით სვლა გვეყოფა.

სამარადჟამოდ...

მე ის წარსული უშენობის ვერ მოვიგლოვე,
სამარადჟამოდ გულში დარჩა რაც იყო შენთან.
ალბათ შენ ჰფიქრობ დავრჩი მარტო ამ ქვეყანაზე,
მე სიყვარულით დრო რომ მოვა მივალი ღმერთთან.
        მე წრფელი გრძნობა წარსულს ვერა ვერ გავატანე,
        ყინვასვით სუსხავს სულს ის ძველი მოგონებანი.
        ის არ იფიქრო მე უშენოდ გარდავიცვალე,
        იმ სიყვარულმა სულს შესძინა უკვდავებანი.
მე ის წარსული იცი ვერა ვერ დავივიწყე,
ალბათ დამძრახავთ ამის გამო ყველა თგვენგანი.
მე ჭეშმარიტი სიყვარული ვერ გავიმეტე,
საჯოჯოხეთედ ვერ გავწირე საღვთო ნებანი.

როგორ მომეწყინა...

როგორ მომეწყინა ასე ყოფა,
რატომ შემეზარა ეს სოფელი.
გუშინ გულში მქონდა წრფელი გრძნობა,
მისგან დღეს მხოლოდ ტანჯვას მოველი.
ალბათ არც არასდროს გასწორდება,
ემ წუთის ტიალი სამყოფელი.
გუშინ ვისთვისაც ვიდექი ლოცვად,
ხვალე იქნება ჩემი მგმობელი.
როგორ მომეწყინა ესე ყოფნა,
როგორ დავიღალე ამ ყოველით.
თუ კი სიყვარული აქვე მოკვდა,
ღმერთო იქ მარიდე ჯოჯოხეთი.

როგორ არ მიყვარდეს...

როგორ მეშინიან წრფელი სიყვარულის,
უგრძნობელობაც რომ გულის არ მჩვევია.
სადაც სიყვარულზე სადმე ვისაუბრე,
ყველამ სასიკვდილოდ როგორ გამიმეტა.
ნუთუ ვერ დავტიე ასე ამ ჩემ გულში,
ქრისტე სამყარო და საღვთო ათი მცნება.
თითქოს მეშინიან მე იმ სიყვარულის,
მაგრამ გულში ცოცხლობს ის ჭეშმარიტება.
როგორ საშიშია წრფელი სიყვარული,
ეს დაუტევნელი წრფელი საღვთო გრძნობა.
როგორ არ მიყვარდეს ქალო შენში ქრისტე,
როგორ არ მიყვარდეს ჩემო შენთან ყოფნა.

გმადლობ ჩემო ნინო...

განა რამე მიჭირს არაფერი,
შენთვის დამიღირდა მე ეს ყოფა.
გმადლობ ჩემო ნინო ყველაფრისთვის,
ვმადლობ ამ გულს შენთვის რომ ილოცა.
შენ ხარ ეს იცოდე მზის სხივების,
ჩემთვის სასიცოცხლოდ ცაზე მოსვლა.
შენ ხარ აისი და ალიონი,
მკვდარი შენზე ფიქრმა გამაცოცხლა.
განა რამე მიჭირს არაფერი,
ღირდა ამ გრძნობისთვის თამადობა.
შენით ეს იცოდე გამოვცოცხლდი,
შენით მოვიხედე ავადმყოფმა❤□□ □

ნურც მაშინ მიგლოვთ...

რად მერიდებით სიყვარულში ადამიანნო?
კეთროვანება ჩემი ხორცის არის მიზეზი?
ეს განსაცდელი საუფლოა სულის საოხოდ,
ჩემს მოთბინებას უფლის გარდა ვერვინ მიხვდებით.
ალბათ ასეა საჭირო და აღსრულდეს ნება,
აღსრულდეს ნება მოთბინებით უფლის იმედით.
დღეს მე მომაკვდავს თუ არავინ არ შემიყვარებთ,
ნურც მაშინ მიგლოვთ ცივ მიწაში რომ ჩავიშლები.

მადლი წყალობა....

თურმე როგორი დიდი ყოფილა,
მადლი წყალობა ამ ქვეყნად უფლის.
თან თან მიხდება ის ყველაფერი,
სიცოცხლით თუ რამ ვინატრე გუშინ.

არ მსურდა სოფლად აქ ყოფა ისე,
უგრძნობლად რომ შემცივნიყო გულში.
მე ბავშვობიდან ეს ნატრვა მომდევს,
ახლა ბუნება თოვას წყვეტს სულში.

მე ღმერთის ახლა სრულებით მჯერავს,
თუმცა გულცივად არც ვიყავ უწინ.
რაც სიყვარული მე მინატრია,
ხალხო ეს თქვენგან მაქვს გულის მუჭში.

მომხდარზე ვამბობთ...

ენით ყოველი ვამბობთ ყველაფერს,
გონებით თითქმის ყველა ვართ ბრძენი.
ხელს არ ვაშველებთ ჭირში ერთმანერთს,
მოხდება რამე? სულ სხვაა მკვლელი.

ძალიან შორს ვართ რწმენისგან მგონებ,
როგორც წილხვედრი ღვთისმშობლის ერი.
რა გვეშველება ნეტავ ურწმუნოთ?
ვექმნებით ერთურთს წინმძღოლი ბრმები.

ვერც წარსულიდან ვისწავლეთ რამე,
შევურაცხვყავით მრევლი და ბერი.
თუ გაგვიჭირდა უთუოდ სადმე?
მაშინ გიყვარდეს კი გვახსოვს ღმერთი.

ნუ დამიტირებ დედაო...

ნუ დამიტირებ დედაო,
თუ გავე შენზე ადრედა.
ჩემი მზე აქ თუ ჩავიდა,
მოვა იმ ქვეყანაზედა.

ილოცე ჩემი სულისთვის,
ილოცე გულით ძალზედა.
გამიგონია დედანი,
შვილთ ამკვიდრებენ ცაზედა.

მაშ არ იჯავრო დედაო,
ცრემლს ნუ მაირევ თვალზედა.
ჩემი იქ ხილვა თუ კი გსურს,
იფიქრე ღვთის მოსვლაზედა.

ეთერ ჭელიძე

ველი...

ვიხდენ ბედნიერის ღიმილს,
ვუძლებ საწუხარის მალვას,
ვმღერი, მეტირება, მაშინ
ნისლებს მზიან გულში ვმალავ...
ვითმენ უპოვარის დუმილს,
ვუსმენ სიყვარულის ბღავილს,
ველი, გადაივლის შუღლი...
მორჩა დრო, სიმართლის მალვის...
ველი, გაზაფხულის კვირტებს
ახლად აფეთქებულს ბაღში,
სანამ სულ წავხდებით, ვიდრე
ვიდრე თავს ამოვყოფთ ლაფში...
ვტკეპნი დაცალებულ ქუჩებს,
ვეძებ გადახვეწილ მახვშის!
ვუსმენ უცხო ენას უჩვევს,
გზები დამეკარგა სახლის!
ველი დედის ნანას ნამღერს,
ველი, ყაყაჩოსებრ ქალწულს,
ქალი ქორ-წიწილებს დასდევს,
მზერას აისხლიტავს ვაჟურს...
ველი ყარაჩოღელ ქართველს,
ამაყს, ქედმოუხრელს, ნამდვილს,
დედას, სანთელივით ნათელს,
კაცის დაფასებულ მანდილს!
ველი გარიჟრაჟის ველზე
ჯაჭვისპერანგიან მამულს,
ქართულ სულის მეციხოვნეს
მზეს, ერთობით შემორაგულს!
ვიხდენ ბედნიერის ღიმილს,
ვუძლებ საწუხარის მალვას,
ვუხმობ სამშობლოდან წასულს
ნისლებს, მზის გულში რომ მალავს...

განა ვიცი?!

განა ვიცი რა მინდა,
განა ვიცი რა მჭირს,
დღე რძესავით აჭრილა
და ქოქოლას მაყრის...
ნეტავ რატომ, საიდან,–
სულ მაწუხებს კითხვა,
ნეტავ ვისი ბრალია
ერთმანეთის კიცხვა?..
მეგობრობაც თარსია
ამ ბოლო ჟამს ვხედავ,
გულთან მისასვლელი გზა
რადგან ჩაიხერგა...
ეს ,,სიწრფელეც" დუნეა,
რადგან აჩენს კითხვებს...
ღამესავით მრუმეა
თუ არ მოიკითხე.
გაყამირდა სული და
ვერაფრით რწყავს მადლი,
ბოლო ლუკმაც გაქვავდა,
ბოლო ქურაც ნათლის.
დუღს ამ ნერვისქსელიდან
მონაწური ფიქრი,
გულნატკენი სათქმელი,
დატკეპნილი იჭვი,
განა ვიცი რა მინდა...
განა ვიცი რა მჭირს...
დღე, რძესავით აჭრილა
და ქოქოლას მაყრის...

შემოდგომა, სიყვარულის განწყობა...

მე რომ დაგმალო, რაა მერე,
გულის კარებთან მოგაყურადო.
იმ ბედს ვიგუებ რომლითაც მერგე,
რომლითაც ალბათ დღემდე ვპურადობ...
მე რომ შეგრისხო, ვინ დამიჯერებს,
რომ შენი ცეცხლი არა მწვევია
და ჩემი გრძნობის ფერად ბისერებს
შენზე ლექსი არ დაუწერია?!
რომ გიუარო, რაა, მერე...
ისე შემომრჩი, როგორც საუნჯე,
ერთხელ მოსული ხომ შეგიფერე,
თუმცა, რამდენზე თვალი დავხუჭე...
და ყრმობის მზიურ მოგონებიდან,
სულ რომ წაგშალო, გამიძნელდება...
სანამდე გულის სარქველი ფეთქავს,
ის არასოდეს აღარ ძველდება.
და რომ დავმალო, რაა მერე
გეკითხებიან როდესაც -გიყვარს?
ვინ შემაჩვენებს თუ სიყვარული
დაბადებიდან და, დღემდე მიყვარს?!

...და არ ვპარგავ იმედს

დავდივარ და ვეფერები
ქარის ნაცემ ფოთლებს,
და ოცნებებ შემცივნებულს
მზეს ვუკერავ სამოსს,
შემოდგომა დროის ჯვარცმამ
ისე გადახოტრეს
ჩიტი ტოტზე მოკალათდეს,
სულ ამაოდ ლამობს...
დედამიწა ფორიაქობს
და არც იცის რა ქნას,
შეუთბილოს უბე რარიგ
კეთილსა და ბოროტს,
აზვირთებულ დარდის გორას
ვინმემ ხმალი დაჰკრას,
მისავალი მიეზღვასო
ჭკვიანსა თუ გოროზს...
თორემ ლურჯი საუკუნე
ნარინჯისფერ ზღაპარს
სულ ოქროსფერ წვიმის სირმით
დაგიწნავს და გეტყვის,
მონაცრისფრო წვიმის ბადით
შემოქარგულ ფატას,
ახლა ნეფე მოირგებსო
საქორწილო ეტლით...
შენ არ შეგრჩა, ჰო, არ შეგრჩა
გაოცების ძალა.
მშვილდისარით მონაფხრეწი
შუბლზე გაზის ძარღვი,
და შენს მიღმა თუ რამ ხდება
ოსტატურად მალავ,
რომ გამოჭრა სიყალბისგან
სინამდვილის თარგი...
ოი, ჩემო, ვერშემდგარო
მართალ კაცის ყოფავ,
ბეჭზე მძიმედ მოგდებულო
გაგლეჯილო ფესვო,
აგერ ვუსმენ მუხის მაჯის,
გულის პულსის ფეთქვას
რომ ვერ შესმულ ფიალითაც
უნდ ამოთქვა ლექსო!

საით მიდიხარ ქართველო?!

წავიდა, ვინ არ წავიდა...
სად არ წავიდა ქართველი,
გამაგებინეთ ვის რჩება
მირონ-მდინარე მთა-ველი?
წავდნენ ყარაჩოღელნი
ხევსურ-სვან-მეგრელ-ფშაველნი,
გაუცვდათ მყინვართ ჩოხები,
ჯაბრალს ნატრულობს ,,თრაველი",
წავიდნენ ჩემი სახანოს,
ტინებს შეზრდილნი ვაჟები.
გამიყამირდა მამული,
დაბეგრილია ყანები...
წავიდა, დედაც წავიდა
შვილის ალერსის მნატვრელი,
მომრავლებულა ,,ბარიგა“
ჩემი თაობის მძარცველი...
წასულა გურულ, რაჭველი,
იმერელი თუ კახელი,
ვეღარ შევესწარ სისხამზე,
ჩემ ზეცას თვალებგახელილს!
წავიდნენ, მე კი უძლური,
უდღეურ ყოფის მნახველი,
ტყულ-მართლის გზას ვადგავარ,
მტრის და მოყვასის მძრახველი...
წავიდნენ... საით წავიდნენ
გულ-მაჯისცემით ქართველნი?!
ჯვარს, სვეტიცხოველს, ალავერდს
ვიწვი სანთლით და საკმევლით
გავიგეთ?.. ვეღარ გავიგეთ
ჯავრნაჭამ მიწის ძახილი,
თითო ქართველის გაქცევა
ტყვიაა, გულში დახლილი...
სად არის ქართველთ ერთობა?!
ვაცეცებ თვალებს ნამიანს,
სოფელ-ქალაქად, მზე-ჩრდილით
ქართველს დავეძებ მადლიანს!
წავიდა, ვინ არ წავიდა...
სად არ წავიდა ქართველი,
გამაგებინეთ ვის რჩება
მირონ-მდინარე მთა-ველი?

მალვინა ჭელიძე

მდუმარე შხარა აკვანს ურწევდა!

ფეხთით ეფინათ თოვლი ფიფქებად,
ღამის წყვდიადში მშვიდად ეძინათ,
ეფარათ თეთრი ღრუბლის საბანი,
ბეჭებზე მთვარე გადაეწვინა!
თითქოს გაიღო ზეცის სარკმელი,
და მზემ მოჰფინა გრძნობას ნათელი...
შხარის კალთებზე მზე ირწეოდა,
მთვარე ქრებოდა, როგორც სანთელი.
ჩასთვლიმა მთვარემ ღამის ციაგში,
შხარა კი მშვიდად ნანას უმღერდა,
ეფარა მკერდზე თოვლის საბანი,
გარიჟრაჟამდე ღამეს უთევდა.
სული შფოთავდა, დარდებს აყოლილს
იდუმალი ხმა სადღაც ეძახდა,
ეტრფოდა ღამეს თეთრი ღრუბელი
და მასთან ყოფნა დიდხანს ეწადა.
დადუმდა ფიქრებ გაორებული,
დილის თენებას ვეღარ ასცდება,
დილის რიჟრაჟი სულ ახლოს არის
მთვარეს, მზის სხივი ჩაენაცვლება!

იმედი

ეს გზა უფალმა ისე გაკვალა,
დრო და მანძილი
არც კი გათვალა.
მზის მწველი სხივებით,
მოავლო ნათელი,
და რწმენით შემოსა ტკივილის
დამთმენი...
იმედი-არც შორი და,
არც ისე ახლოა,
თუმცა სიმშვიდის
სამოსახლოა...

იანვრის ვარდი

ბევრია ალბათ ბედთან სადავო,
ელოდა უმალ გამოდარებას,
თოვლიან ზამთარს ვერსად გაექცა,
ყინვის ლოლოებს უხმოდ დანებდა.

იყინებოდა ვარდი ფურცლებად,
ტიროდა ღამე ცრემლმორეული,
წითელ ფერებში იკარგებოდა,
ხმა იდუმალი და შორეული.

ფიფქი ჩაეწნა მარგალიტებად,
სიცივისაგან უთრთოდა ბაგე,
მისი სიტურფე, ვინ გაიმეტა,
ასე გაყინულს ვინ შეიყვარებს?..

მოურთავთ თეთრად, პატარძალივით,
ისმოდა შორით ტრფობის ჰანგები,
თმებჩამოშლილი მთების დალივით
იდგა შობილი ბედის განგების...

და მაინც ჰქონდა ბედთან სადავო,
უხმო ტკივილებს აღარ დანებდა,
იფურცლებოდა დარდის მარაო,
ყინვის ლოლუებს გულში ჩაეკრა!

*

დათოვლილ ხეთა მაყრიონს
გულები მოუქარგია,
და ყველა მგზავრის ფიქრები
მხრებზე დარდებად აყრია.
სამყარო ძალზე დიდია,
განიცდის დროთა სიშმაგეს,
დარდებთან ბრძოლით გადაღლილს,
მძიმე ლოდები მიაბეს.
დიდია ზღვა და ხმელეთი...
ლამაზი,ზღაპრის მშვენება,
ხან იკინძება ფურცლებად
ხან იქარგება ფერებად.
ბუნებაც ისე იცვლება,
და ღამეც ისე გნიასობს...
თოვლის ფერებით შემოსილ,
დარდს, ტალღებივით მიაპობს...
ღამემ სიზმრებში ჩასთვლიმა,
აკვანს ურწევდა ნიავი,
გულის გულამდე აღწევდა
ეს სუსხი, ოხერ-ტიალი!

უკვე მერამდენე!...

უკრაინაში დაღუპულ გმირებს

არ გიცნობთ....
განვიცდი, ცრემლებს
ვერ ვაჩერებ,
წუხილმა ლამის გული
დარდით გადათელოს....
გმირულად იბრძვით და
გმირებად ეცემით,
ქართველო ბიჭებო...
უკვე მერამდენე....

კვლავ მოძმე მიწაზე
სიცოცხლეს სწირავთ და
მშვიდობის ძებნაში
სიკვდილს აედევნეთ.

დაფერფლილ მიწაზე
გმირულად ეცემით,
გმირებად მიდიხართ
უკვე მერამდენე?....

სამშობლოს სიყვარულს
თავი ანაცვალეთ,
ჯავრი გჭირთ, დარდი გჭირთ,
მტერს ძალას აჩვენებთ.
მკერდს უშვერთ გმირულად
სიკვდილის ზარბაზნებს,
გმირებად მაღლდებით-
უკვე მერამდენე!..

უფალო!

როცა დღეებს
სევდის ფერი დაჰკრავს,
ფიქრის მარწუხებში
ღამეს თეთრად ათევ...
შენი იმედით და
შენი სიყვარულით
დარდებს ვიქარწყლებთ და
მხნეობასაც გვმატებ...
ტკივილის და სევდის
მაამებელი ხარ,
ბნელსა გზას ანთიხარ
მადლით შემოსილო,
ყველა მწუხარება
იქნებ აგვაცილო,
და სიბრმავეს ჩვენსას
თვალი აუხილო?!
აღარ განგვეშორო,
აღარ მიგვატოვო,
ქვეყნად ბოროტება
აღარ აბატონო,
ჩვენი ქართველობა
ყველგან გაამხნევე
ქართველს დაუბრუნე
ჩვენი საქართველო!



ირინა ხურციძე

**

თავს ვეღარ ვუყრი ფიქრებს, ობლად გაფანტულთ ქარში,
ალბათ ოდესმე, წვიმა, ყველა ნაკვალევს წაშლის,
გასაწვიმებელ ღრუბელს ცხვრის არვესავით აშლის,
ვეღარც მოასწრებს მთები, მოხურვას ნისლის თავშლის...
ჩამოიშლება კლდე და ფესვებს დაკარგავს ქუჩი,
აღარ იქნება ხვალ-ზეგ, რაც იყო დღეს და გუშინ...
ყველაფერს წაგვგვრის, რაც გვაქვს, წუთისოფელი ურჩი,
ვერ გაამრთელებს დრო... ვერ, ბზარებს გაჩენილს გულში...
წვეთად იქცევა ბოლოს, ყინულის მძიმე ლოდიც,
იფიქრებს ზოგჯერ კაცი, – რაღა აზრი აქვს ლოდინს...
ყელს გაეჩრება როცა, ცრემლების ბოლო ყლუპი,
ჩატეხილ კიბის ზევით, იკონწიალებს ყულფი...
მერე, სამარის კედლებს ამოავსებენ მიწით,
გზის დასაწყისი არა... არც დასასრული ვიცით...
დაისაკუთრებს სურო, სახლის ფუძეს და კედლებს...
იყუჩე მანამ გულო! –იმედია რომ შეძლებ....

ჯერ თუ ისევ...

დამსკდარ ხელის თითებიდან, სისხლი არა, ცრემლი წვეთავს,
ჯერ თუ ცოცხლად ვითვლები და ლექსის წერას ისევ ვბედავ...
ეს შენ იცი, ღმერთო, მხოლოდ, გოლგოთამდე რა გზით მოველ,
რა არ ვცადე, არ ვიღონე– სიმშვიდე კი ვერსად ვპოვე...
მუხლზე ჩოქვით, ხორცის გვემით, სევდის ზღვები გადავცურე,
ზოგჯერ უიალქნო გემით, ჩემი ,,მეც" კი გავაცურე....
ვიკეტები ჩემს ნაჭუჭში, ვერსად ვპოვე გასაქანი,
უძილობის დროს, ფიქრების ყამირები გადავხანი...
არეული ბილიკებით ნისლისფერებს ვიხვევ ბლონდებს,
ის რაც იყო ,,ბრდღვნად არც ღირდა"– აღარ მინდა განმეორდეს...
დამსკდარ ხელის თითებიდან, სისხლი არა, ცრემლი წვეთავს,
ჯერ თუ ცოცხლად ვითვლები და ლექსის წერას ისევ ვბედავ...
ნავსაყუდელს ვეძებ სულის– სხვა ხსნა- საშველს ვერსად ვხედავ.

მიწავ ჩემო...

გამოექცა მზე ღრუბლებს და
მიწას აქსოვს სხივთა წნულებს,
გაუღვივებს მალე ფესვებს,
მიბარებულ მარცვალს, ხნულებს...
გაიღვიძებს ნაზამთარალი,
გააზმორებს კვირტი ტოტზე
და ბულბულიც მოიღერებს
ყელს, ბუნების ლამაზ ნოტზე.
იზეიმებს გაზაფხულის
მობრძანებას მთა და მდელო...
როგორ მინდა ღრუბლის არვე,
ლაინერით გადავთელო,
დედასავით ჩავეხუტო,
მონატრებულ საქართველოს...
მშობელ კერის ფერებაში,
ღამე თეთრად გავათენო...
მაშინ როცა მიწავ ჩემო,
ისევ ჩემად დაგიგულებ.
ყველა დარდს და ყველა წუხილს,
საიქიოს გავისტუმრებ...

დღემდე....

ვით მთვარეს მგელი, შევყმუი ჩემ ბედს,
არავარ ყრუ და არც აზრით გონჯი,
თუმცა ყოველთვის უკან ვბრუნდები,
როცა მიზნამდე რჩება სულ გოჯი....

ვერ დავისიზმრე, რომ ამხდენოდა,...
რადგან ზმანებაც სულ ბეწვზე მოდის,
არ დამცდენოდა უმადურს, სიტყვა–
თვალს ვარიდებდი ჩემსავე პროფილს...

ვწუხდი თუ, რამე სიხარულს მგვრიდა,
ვარ და ვიყავი, ოდითგან მარტო...
ქედს ვუხდი დღემდე, იმ გრძნობის დვრიტას
და ღამით, ბალიშს ცრემლებით ვალტობ...

ვით მთვარეს მგელი, შევყმუი ჩემ ბედს,
არა ვარ ყრუ და არც აზრით გონჯი...
თუმცა ყოველთვის უკან ვბრუნდები,
როცა მიზნამდე მრჩება სულ გოჯი....

რაა სიცოცხლე..

არ მაქვს უფლება ვინმე რომ მძულდეს,
ანდა მიყვარდეს, ისე, ღარღილად,
არა აქვს გემო იმგვარ საუზმეს,
კერძი თუ კარგად არ დამარილდა...
ვეწვევი, როცა ზეცის სამანებს,
ჩამოსაკრეფად რითმის წყვილების,
ვერ ამოვავსებ ისე სამარეს,
ვინმეს სტრიქონში თუ ვეცილები...
მე ჩემი მინდა მქონდეს ხელწერა,
გულიდან მოსულს, ვწერდე გულითვე,
რაა სიცოცხლე, ლექსის გარეშე,
სიტყვას თუ სიტყვა ვერ გავურითმე...

*

მე დავიკარგე მოგონების მღვრიე ქაოსში,
იდგა სიჩუმე, მრავლის მთქმელი, თან არმეტყველი...
თავი ვიგრძენი უხერხულად სევდის სამოსში,
დღეს იმ კაბაში, გავიზარდე ვეღარ ვეტევი....

გზა სინათლისკენ ვერ გავკვალე ბურუსებიდან,
იქცნენ წუთები საათების უსასრულობად...
ამოუხსნელი წინ მიწყვია რებუსები და
ტვინის უჯრედებს ვაკომპლექსებ ისევ, ულმობლად...

ვერ გავაღწიე ლაბირინთებს, ვცადე რამდენჯერ,
სისხლი მდიოდა– მიკაფია ერთ დროს ძეძვნარი,
ის რაც მერგუნა, დრო მოვიდა, უნდა დავჯერდე,
თუმც კიდევ ერთხელ, გასაქცევად, ბარგი შევკარი...

*

ვეღარ გავიგე, ფიქრი დამემსხვრა,
თუ მე დავლეწე, როგორც ჭურჭელი,
ქვეყნად რა ტანჯვა აღარ მინახავს,
უშენობას კი ვერ გავუძელი...

ღამენათევი ყველა ოცნება,
დავჭმუჭნე როგორც მყიფე ქაღალდი,
ვერ ვაპატიე გულს და გონებას,
გრძნობებს რომ ასე გავუთამამდი...

წლებმა თავისი კვალი დატოვა,
გულს მოუსმინე და სულს ჩახედე,
როგორც ყოველთვის, ისევ მარტო ვარ,
და შენზე ფიქრიც მიტომ გავბედე...

სხვანაირად მტკივა ეს დღე...

სხვანაირად მტკივა ეს დღე...
სხვანაირად გოდებს სული,
ცრემლი ვღვარე– ზღვა აივსო,
ვერც ვახტები, ვერც გვერდს ვუვლი...

სადაცაა ჩავიძირო...
მკითხავთ ვინმე– სადამდეო?!
კოჭებიდან მუხლებს ასწვდა...
ახლა უკვე ყელამდეო....

მაშველს ველი, თუმც ამაოდ,
გრგვინავს ცა და ბრდღვინავს მიწა,
საედემო სამყოფელი,
ჯოჯოხეთად გადაიქცა...

რა აზრი აქვს ვინ ვინ არის,
ეროვნებას ანდა გვარტომს,
ბოლოს, ერთი გზა გვაქვს ყველას,
ზევით არავინი დაგვტოვს ...

განდიდებამ ამა სოფლად,
არ გაჟონოს გულში ეჭვად,
სხვა რა დაგვრჩენია მოკვდავთ
რაიცა გვშობს იგივე შეგვჭამს...

სხვანაირად მტკივა ეს დღე...
სხვანაირად გოდებს სული,
ცრემლი ვღვარე– ზღვა აივსო,
ვერც ვახტები, ვერც გვერდს ვუვლი...

მაგდა გოშნიაშვილი

* * "
მეფე დავითი ვადღეგრძელე,
ავწიე ყანწი
ჩვენო შვილებო, ალავერდით,
თქვენთან ვარ აწი!

♥ ♥ ♥
მუზა უკვე მომდგომია, კარებს მინგრევს,
ლექსის წერას აქვს თავისი წესები.
თუ ამ წესებს ჩემთან ერთად არ დაიცავ
უკაცრავად, მაშინ გამელექსები.

♥ ♥ ♥
ჩემო მუზავ მოფრენილო შორეთიდან,
შენ კი მუზის შემადგენელ ნაწილო,
სიყვარული მიწილადე და მასწავლე,
როგორ გძლიო და დაგფარო მანძილო.

ვუძღვნი ემიგრანტ ქალს!

ემიგრანტს, გულით, დააქვს სამშობლო,
დააქვს მშობელი საძვალე მიწაც,
ყოველ ღამ ცრემლით გადასწერს პირჯვარს,
კაეშანს იკლავს დროებით იმ წამს.
ძარღვებში მიწის ყივილი უთრთის,
ფიქრები უშლის საღერღელს ნატვრის,
ვისაც ეს ბედი ერგო ,, საჩუქრად",
დამერწმუნება, წლებს ვეღარ დათვლის.
დროის ისრები უცხო მიწაზე
მისთვის ჩერდება, ზოგჯერ წინ გარბის,
ბოღმა მოწოლილს ცრემლები ახრჩობს,
თუმცა, უფლება არა აქვს დარდის.
ემიგრანტს მუდამ ვადარებ ობოლს,
ბუმბერაზ თეთნულდს, უძილარ ოლოლს,
რკინის ჭანჭიკზე აწყობილ რობოტს,
მონატრებასთან მუდამ რომ ომობს.
ვადარებ გრდემლს და ვადარებ ფოლადს,
სიმინდის საფქვავ წისქვილის დოლაბს,
რომ ვერ ღალატობს მშობლის წილ მორალს,
სხვის სამსახურში დაღლილი ,,მონა".

დრო ეფანტება ემიგრანტს, ხორბლის
მარცვალების მსგავსად ლეწვისას, ყანას.
ფიქრი აშიშვლებს , როგორც ხეს ქარი
და სული სხეულს უმღერის ნანას.
ცრემლი გზას ჰპოვებს თვალის უპედან
და უნებლიედ უნამავს ღაწვებს.
ერთ წრეზე ბრუნავს, წავიდეს – დარჩეს,
ეს საფიქრალი ლოდივით აწევს.
საცერში წლობით ცრის ლამაზ დღეებს,
სარკედან უმზერს მაშვრალი ქალი,
ქალი , რომელსაც რა არ გადახდა,
ფეხშიც შეერსო ბევრი ეკალი,
ქალმა, რომელმაც თავზე იტვირთა
შრომა, დათმენა გაუსაძლისი
და გამოცალა ემიგრანტობის
პირამდე ცრემლით სავსე საწმისი.
წლებმა ქარცეცხლში გამოატარა,
ახალგაზრდობაც სხვაგან გალია,
დრომ ვერ დაატყო მაინც იარა,
ვერც დააჩოქა, ,,რკინის " ქალია!

18.01.2023

დრო მოვა და...

დრო მოვა და თავად იტყვის დრო, მის სათქმელს,
არ შეგვრჩება ჩვენ აუგი საქმე.
გაზაფხული, სიმართლის მთქმელს მიადგება
და კვირტების სურნელს სულში აკმევს.

დრო წუთია, წამია და ფარდობითი,
ქაოსი და თანაც აბდა-უბდა.
ნუ ჩავიდებთ გულში ბოროტს, განვიწმინდოთ,
ამას დიდი ხლაფორთი არ უნდა.

მხოლოდ ერთი იარება ქვეყნად ღმერთი,
მან გვსწავლა სიყვარული წრფელი.
ჩვენ საბადლოდ არაფერი გვსურს მოყვასის,
მისგან მხოლოდ ერთ ტკბილ სიტყვას ველით.

მადლიერი ვიყოთ ადამიანების,
ვინც ხელი გამოგვიწოდა დაღლილს.
თავსატეხი, ქვეყნად, ბევრი მოგვევლინა,
წვრილმანებზე გაბრაზება არ ღირს.

დრო ვერაგი, ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვდევს გვერდით,
წასაქცევად ფეხსაც ბევრჯერ გვიდებს.
გიფიქრიათ, ასე რატომ გვემტერება?
ხან ვჯობნით და ხშირად გვჯობნის კიდეც.

დრო მოვა და ყველაფერი აღიქმება,
დალაგდება აბურდული ფუთა.
არ გვჭირდება ნიღაბი და დავრჩეთ ვინც ვართ,
მოთმინება მოვიპოვოთ უნდა.

08.01. 2023

♥ ♥ ♥
ჩემო მუზავ მოფრენილო შორეთიდან,
ჩემი მუზის შემადგენელ ნაწილო,
ცალ-ცალკე ვართ, სხვა- სხვა მერიდიანებზე,
როგორ შევძლო და დაგფარო მანძილო.

♥ ♥ ♥
შენ მანდა ხარ, სადღაც ქიმზე , ჭიუხებში,
კლდიდან კლდეზე გადამფრენო არწივო.
რომ გდომოდა ჯოჯოხეთსაც აირჩევდი,
ჩემთან ერთად, მაგრამ ვხედავ არ ცდილობ.

შეყვარებული ბიჭის მონოლოგი

თვალებიდან გადმოსულან ვარსკვლავები,
მზემ, ჩაწნულ თმებს, მარჯვნივ, მარცხნივ უარა.
შენ ,ყინწვისის ანგელოზი" არ ხარ, მაგრამ
რა გიწოდო, ანგელოზი თუ არა?!

შვლის სადარო და გედივით ყელ- ნარნარო,
გზაზე როგორ დაგაწიო მიმინო!?
მინდვრის, ერთი, პაწაწინა ყვავილი ხარ,
მოსაწყვეტად მენანები, ღიღილო.

ალუბლები რომ ჰყვავიან ღობე – ღობე,
შენი ტუჩის სიტკბოა თუ ფერია?
მაკოცნინე, არ მსურს ქვეყნად რამე მეტი,
სულ ცოტაც და... გული გადამერია.

ეგ კბილები მძივებივით რომ ასხმულან,
გამიღიმე, გულისწორი მიწოდე.
ნუთუ, გინდა მაწვალო და გამაბრაზო
და შენს გამო ცეცხლის ალში ვიწვოდე?!

ჩემი თვალი ეცათ ნუშის დამსკდარ კერტებს,
ვაღიარებ, გრძნობები თვალთმაქცია.
არ დავეძებ, წლების მერე ვინ რას იტყვის,
ვნატრობ, ერთ დღეს, პეპლად გადამაქცია.

გაიავდრა, წვიმამ კაბა დაგისველა...
გასაშრობად ღილის შეხსნას გიპირებ.
ვიცი გამებუტები და მთელი წელი
რომც გეხვეწო, ვეღარ გადაგიბირებ.

წვიმამ ჟღალი ნაწნავები დაგიშალა,
ტუჩს სისველე დაგამჩნია არშიად.
ვაღიარებ, რომ მომნუსხეთ, შენ და შენმა
ბროლის ყელზე კონწიალა მაშიამ.

01.12. 2022

♥ ♥ ♥
ჩემი მუზა ცხელია და ვნებიანი,
მაცდურია, როგორც ქალის თვალები.
თუ ერთხელაც მუზას სადმე დაენახვე
ბევრიც სცადო ვერსად დაემალები.

♥ ♥ ♥
მუზა ლექსად მემიჯნება, მეწერება,
მოაქვს მთელი შთაგონების ამალა.
პოეზია – ეს რითმების თამაშია
და შენს შემდეგ მე მომიწევს დამალვა.

მარი კუბლაშვილი

რა აბსურდია

მიწის ზურგზე თუ ზეცის ფსკერზე, (ჯერ მეც არ ვიცი),
განუსაზღვრელი დროით ვარ და მარტო, ამჯერად,
ყველა ტკივილი, ხანდახან რომ ასე განვიცდი,
როცა ცოცხლდება, თვით სიცოცხლის ჩემის, არ მჯერა.

გზები, გზები და... ისევ გზებს თუ ავედევნები,
წვიმა იფარებს ცივ ქუჩებს და ჭრელ-ჭრელ ბილბორდებს,
მიწის ზურგზე თუ ზეცის ფსკერზე, არსად მდევრები...
მაგრამ, რატომღაც აქედან შორს მინდა მივრბოდე.

რა აბსურდია, საკუთარი თავი გეძახდეს,
რა აბსურდია, აღარ გწამდეს, რასაც წამობდი...

და მაინც, ვუცდი ღვთის გამოწვდილ ხელს და შეძახილს:
- წ ა მ ო დ ი !

*

ყველაფერს, რასაც ვერ ჩავატევ ჩემს სიჩუმეში,
წაიღებს ქვიშის ქალაქების ბრმა მირაჟები,
არ დამჭირდება აღარასდროს სხვისი ნუგეში,
მტვრისაა თითქმის ყველაფერი, რასაც ვაშენებ.

დროა, დავმარხო დანგრეული, თუ კვლავ იალებს,
ოქროს ძაფებით ამოვქარგო- დაკარგულია!
მაგრამ იციან, სად ვინახავ ფერმკრთალ იარებს...
ყველაზე დიდი სარკოფაგი მაინც გულია.

*

ტრფობის საზომად აღარც ერთი ლექსი არ მყოფნის,
დღეებო, აღარც თქვენ მეყოფით, ისე მოკლდებით,
კითხვა მაქვს ღმერთთან, ვით მიწისა ზემოთ არ მყოფის:
- სად წავა ჩემი სიყვარული, მე რომ მოვკვდები?

ყორნისფერი ღამე

ღამემ შეარხია მხრები ყორნისფერი,
აღარ ეჯიბრება ფიქრებს აფრებიანს,
მიხმობს უნაპირო სივრცე, რომლის მერე
მხოლოდ სიჩუმე და ძველი ზღაპრებია.

შთანთქა პოეტური ჟინით გაჯერებულ
აზრთა ჰარმონია, დროის საპირწონედ,
განა შეიძლება ყველგან გაჩერება,
სადაც გულწრფელობას არვინ არ გიწონებს.

ფრთები გამოისხას უნდა სტრიქონებმა,
როცა დამსხვრეული ძერწავ პოეზიას!-
ამას, როცა მტკივა, მაშინ ვიგონებ და
,,როცა საუბარი ედგარ პოეზეა".

PARDON

თოვლი დაბრუნდა. მაშ, ვინც კვდება, ის უფრო მოდის,
ისევ ღიმილი თუ გამყიდის, სხვა არც არავინ,
მე, ვიცი ყველა დაბრუნდება, ვიცი და ოდეს,
ჩემს გულზე გამთბარ ხელებს ისევ მოიცარავენ.

სად წყდება ბედი, იმ სამყაროს გზა თუ ვისწავლე,
გამარჯვებულის სიმღერასაც დავწერ (mi pardon)...
და სულ ერთია, წაგებულნი ვინ საით წავლენ,
თუნდ საუკუნო პატიმრობა მეც შემიფარდონ.

ან, უფრო მეტიც, პოეტობა მერგოს სასჯელად,
ჩემს სათქმელს ჩემებრ ვინღა იტყვის, სხვა არც არავინ,
დაბრუნდებიან, გეფიცებით, მაგრამ ამჯერად
იმ გამთბარ ხელებს, კიდევ ერთხელ მოიცარავენ.

შენა ხარ ჩემი ბედნიერება

დიდ ქართველ პოეტს გრიგოლ ორბელიანს სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა უმშვენიერესი ნინო ჭავჭავაძე, რომელიც ალექსანდრე გრიბოედოვს გაჰყვა ცილად. ორბელიანი სატრფიალო ლექსებს უძღვნიდა საყვარელ ქალს. ის 79 წლის ასაკში გარდაიცვალა და სიკვდილამდე გაჰყვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესი ასულის სიყვარული.

შორენა ჩხიკვიშვილი

რა უიღბლოა ეს სიყვარული,
მე დავრჩი მარტო და შენ ხარ სხვასთან,
ძნელია ჩემთვის უშენოდ ყოფნა,
მე უიმედოდ დავდივარ ახლა.

შენი თვალების ეშხი მწვავს კარგო,
შენს სილამაზეს მთვარეს ვადარებ,
ვარ სევდიანი და მოწყენილი,
მე არაფერი აღარ მახარებს.

სადაც კი წავალ, სულ მაგონდება,
სანდომიანი ღიმილი შენი.
ხარ ერთადერთი და სანატრელი,
უშენოდ რაა სიცოცხლე ჩემი.

მინდა, რომ გითხრა: რა ლამაზი ხარ!
მინდა გაგანდო ფარული დარდი,
შენა ხარ ჩემი ნაზი ფერია,
სურნელოვანი მაისის ვარდი.

მხოლოდ და მხოლოდ შენი ალერსი,
ეს არის ქვეყნად რაც მინატრია,
მწყურიხარ, როგორც ანკარა წყარო,
შენთვის კოცნაც ვერ გამიბედია.

გული არ ცხრება და ვერ ისვენებს,
დაღონებული შენს ღიმილს ვნატრობ,
რა ბედნიერი ვიქნები მაშინ,
შენ რომ მე გვერდს მიმშვენებდე, კარგო.

შენზე ფიქრებში თენდება დილა,
დღეები მიდის უსიხარულოდ,
მე როგორ უნდა გავძლო უშენოდ,
როგორ ვიცოცხლო უსიყვარულოდ.

სხვა ქალის ეშხი მე ვერ მომხიბლავს,
ვერ გამაოცებს სხვისი მშვენება,
მხოლოდ შენ გნატრობ, ჩემო სიცოცხლევ,
შენა ხარ ჩემი ბედნიერება!

შენ არც კი იცი, როგორ მიყვარხარ
და არა გაქვს ჩემი სიბრალული,
ბევრი ვეცადე, მაგრამ გულიდან
ვერ ამოვშალე ეს სიყვარული.

სანამდე უნდა ვატარო ასე,
ჩემი ცხოვრება შენგან ტანჯული,
მკლავს შენი ტრფობის სურვილი, კარგო,
სიყვარულისგან ვარ დაჩაგრული.

იქნებ, დამიდგეს მე გაზაფხული,
თუ დამიძახებ, მე მოვალ შენთან,
ოღონდ მაღირსე შენი ალერსი
და შემარიგე ამ წყეულ ბედთან.

მაგრამ ვიცი, რომ ეს არ მოხდება,
ვიცი, არ დათმობ ქალურ ღირსებას,
მე არ მაღირსებ ვნებიან კოცნას,
არ მომანიჭებ თავდავიწყებას.

ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის,
ბედისწერასთან მე რას გავხდები,
თუკი ინებებ შენ ჩემთან ყოფნას,
მე გავცოცხლდები და ავმაღლდები.

30.04.2011

ხათუნა ჩიტაძე

წერტილი

ხელჩასაჭიდი – აღარაფერი...
ღრუბელმა ცაზე გათქვიფა მთვარე!
თუ გულს მომიკლავ –
- რაღაა ფერი,
მოლბერტით მხოლოდ ფიქრები ვთალე.
ოცნებას ისევ წაერთვა ფრთები,
ღამის წყვდიადი სიცილით მესხმის!
როდემდე უნდა ვიარო ფრენით,
უკან დამსდევდეს ალამი მეხი!
მე, უუფლებო!
კვლავ ვსვამ ძალისძალ
ჩემდა თვალების გასაკვირველად,
ნაცნობს,
იმ წერტილს,
ისევ იმ წერტილს...
არც ბოლოჯერ და
არცა პირველად!
საოცარია!
მე ხომ არასდროს
თითქოს არასდროს არ მიცხოვრია!
სრულად ამართვეს ჩემი სამყარო
ლექსებშიც მხოლოდ
თეთრი თოვლია!
- ისიც ვერ ამჩნევს...
და მერამდენედ
ჩემი ხელითვე წერტილს ვიმარჯვებ!
მე – უუფლებო!
მე და წერტილი!
ჩემი გრძნობების
უტყვი სიმართლე!

2 ივნისი 2016 წ

დაგვიანება

მზემ რომ დაიგვიანა
ცას ცრემლები გადმოსცდა!
ჩემი სულის ხვიარა,
არც შეცბა, არც გაოცდა.
შენ თუ დაიგვიანებ,
ფერებს სკივრში ჩავრაზავ
და გაუვალ ლიანებს
მეც ავყვები ქარაზმად.
მზერამ დაიგვიანა,
ტკივილს ფარდა აეხსნა,
ჩემი სულის ხვიარა
შენს სულს ვეღარ დაეხსნა.
მზემ არ დააგვიანა...
ცას ცრემლი არ გადმოსცდა;
-იყოს მცირე იარა
და სულების გამოცდა!

13 ივნისი. 2016წ.

გიორგი საპაპაძეს
(ბავშვობის სკივრიდან 1993წ)

გადაბერებულ კითხვის მარწუხებს
დღესაც ებრძვიან სიტყვა-მართლები!
დარდი და ტვირთი შენი, მაწუხებს;
გარს მოგირღვიეს ნდობის საზღვრები!

ალბათ, რამდენი ტკივილი ფეთქდა
შენს გულსთან ერთად!-საქართველოსთან!
და მზად ვარ, ჩემი სათქმელი მეც ვთქვა,
უამრავ აზრთა არმაგედონთან.

საქმე ქველი და სული ეული...
როგორ გაკადრეს ღალატის ფერი!
სისხლით ნაწერი და ნამზეური,
რომელი ერთი მოვთვალო ველი.

კიდევ ღალატზე ვსაუბრობთ?-როცა
წარმოდგენაშიც მძლეთამძლეთ გხედავთ,
შენს სულს საგზალად დავუნთებ ლოცვას,
ყველაზე რანდ ქართველს და მხედარს.

ბნელი და რთული გზა შეგხვდა მწირის,
ამის გამგები მხოლოდ ღმერთია!
უფლის ხელდასმით ნათლად ხარ გმირი,
რადგან სიმართლე ერთადერთია!

16 მაისი.2016წ(ხელშევლებული)

***

... განა სიხშირე რამის მთქმელია?!
განა დღეები მკლავს ან მბადებს მე?!
რაც ჩემი არის,
მხოლოდ ჩემია
და არ გასცდება სულის ბაგეებს!

ლიანა ტატიშვილს

ალბათ ადვილი ჰგონიათ, როცა
ღიმილს უკან ქარებს ავავებ.
ალბათ რამდენჯერ მუსიკაც მორჩა,-
მაგრამ მუსიკით ჰკრეფენ ვარსკვლავებს!
    რჩეული ტვირთი ფასს ადებს ნათელს,
    გარშემო ბზე და ნარ-ეკალია!
    მელოდია კი თავიდან ჰბადებს,
    რაც წამია და წარმავალია.
დილის აისზე ნოტებში მოსჩანს,
მზის ბილიკები ჩნდება და მღერის!
თქვენ, გაზაფხულის ჰანგების მგოსანს,
ეს სიყვარული და სითბო გშვენით!
    ...ალბთ, ადვილი არაა, როცა
    მუსიკით ქარს და სევდას ავავებ....
    22 ივნისი.2016წ.

გატონია (გალაკტიონს)

ვინ იცის,როგორ გტკიოდა სული,
კოცნიდი მზის სხივს,სხივზე დიადი!
წმიდა ოცნება აგართვეს სრულად...
და დადგა ასე შენთვის წყვდიადი.
    ის ზნემაღალი სულის ციალი
    ნებით თუ ძალით დათმე, დაუთმე,
    მაგრამ ტანჯვა და გულის წრიალი,
    შენს იდეალებს უღვთოდ ჩაუთქვეს.
ცამეტი მეტრი!-განა რა არის,
ფრთების გაშლადაც არ ეყოფოდა!
ცამეტი მეტრი!-თვით მიიტანე
მარადისობის სამყოფელოსთან!
    თქვი ეჭვით-წლების თავშესაყართან-
    `ოღონდ სისულელე არ წამოგცდეს რამე!''
    მერე შეერთო გზა-გასაყართან
    სულის უარყოფის და თვითგვემის ღამე!
შური გატონია! ფრთხილად გატონია!
აქ ყველას ბოღმა და `პირველობა'' დაარქვეს!
შური გატონია! ვიცი,რა რთულია,
როცა ვერ იშორებ შემოთითხნილ დამრას!
    კიდეც გაგძარცვავენ. კი, ვიცი,ასეა
    ზოგს სამოსი სურს შენი და არა გონება!
    ცამეტი მეტრი კი ახლა საზომია
    ერთი წამით ფრენა-დამთავრდა დამონება!

ფანქარი დუმს!...

უკვე წლების რემაა...
ახლა რჩეულები არ ზომავენ საფრენ სივრცეს..
და მაინც გულსაკლავი! – გულსაკლავი ბედის წერაა
იმ სარკმლის საწყისამდე კიდევ რომ ვერ გიცნეს!
ვინ ივის,
    როგორ გტკიოდა სხეული,
    სად იყო მეუღლე, ან დედა, ან ლექსი,
    შენ ხომ პოეზიით იყავი სნეული,
    მე ვინ ვარ! მე ვინ ვარ!
    ვგრძნობ და მაინც მესმის!
    ...მზის სხივი დაკოცნე...
    მეფე ხარ პოეტთა!
    კვლავ მღერის ჩანგი და
    კვლავ შფოთავს რიონი,
    ერთია სამყარო!
    ერთია უფალი!
    ერთია სამშობლო!
    და გალაკტიონი!
3 ივლისი 2016 წ

შენთვის თქმული

წლები საოცარი ფერთა დენით
მატარებელს ემსგავსება თითქოს!
მიჰქრის! – კი არ მიჰქრის, მიდის ფრენით,
ეს სისწრაფე შესაწიერს ითხოვს.
დამძიმებული ფიქრის ცრემლებს ვმართავ...
გული ისევ ვარდულებით ფეთქავს,
მეასეჯერ გადავდენე მახრა!
მეათასედ ამოვცურდი მზესთან!
მისაგებელს მივაგებებ ღამეს,
ნამზეურებს ვამზეურებ დღესთან!
მერამდენედ შემოგიმტვრევ კარებს?
შენ! – პატრონო სიკეთეთა ჩემთა!
შენს მხარზე რომ გავახილე თვალი...
მანამდე კი სიზმრის ციალს ვდევნი...
ვარდულებით რომ მიკოცნე თვალი,
შავ-თეთრ ნეგლეჯს მხოლოდ შენთვის ვკემსდი!
სანთლის ალზე მიცეკვია ფრენით,
ლოცვას მეტი ცის საფრენი ჰქონდა!
...ახლა ისე გულწრფელად ვერ ვმღერი!...
მაშინ მაინც სულ სხვა რიტმი ქროდა.
2 აგვისტო 2016 წ

ლეილა ვადაჭკორია

სიჩუმე

დე, სიჩუმე მტერს სიმშვიდედ ეჩვენოს,
განა სული მოსვენებს ფერობს,
სანამ ჩემი მთა და ბარი მომტირის
სანამ ცრემლი გაშრობია მდელოს.
სანამ თვალში ის კადრები მიჩანს
როგორ დაწვეს ჩემი ფუძე-ჭერი,
ცას წვდებოდა უმანკოთა ალი
ცოდვილ ხელებს რომ ითბობდა მტერი.
სანამ ენგურს გული ჯავრით უცემს,
სანამ ფსოუს მონატრება ზარავს,
გულზე ხელებს ვინ დაიკრებს შვილო,
ან სიმშვიდეს ვინ აღირსებს მავანს?!

მიპატიებია გენაცვალე

ვიცი, შეცდომის პატიება
ღვთისგან ბოძებული
მადლი არის,
თუკი დაგეუფლა სინანული
გულით თუ დადიხარ
დარდიანით.
მიპატიებია გენაცვალე,
ღმერთი მაღალია
გაიგონებს,
რიდით?!
შემოგევლოს ჩემი თავი,
შიშით?!
ვერავინ დამიმონებს...

ახლი სიცოცხლე

ვარდის კოკორის
გაშლა მინახავს,
როგორ იშლება
ხეზე კვირტები,
წიწილი როგორ
ტოვებს ნაჭუჭს და
შობის წამებით
დღევ რომ ირთვები.
და მიხარია
ახალ სიცოცხლის
თვალის ახელას
რომ შევესწარი
მადლობელი ვარ
ბედის ვარსკვლავო
რომ სიყვარულის
მასვი ნექტარი.

გულში ჩაგისვამ

გუმანი დამყვა ბუნებით
ავის და კარგის გარჩევის,
სიცივით ვერ შემაშინებ
ზამთრის სუსხსა ვარ ნაჩვევი.
შენ მხოლოდ შენი ფიქრების
გამხადე თანაზიარი,
გულში ჩაგისვამ სათუთად,
ვერ მოგაყენონ ზიანი.
თუ გინდა ზღვადაც ვიქცევი,
დაუცხრომელი, ვერანი,
ტალღებში ჩაგიკონებ და
ვერ შეგეხება ვერავინ.
მე თმენაც დამყვა იობის,
ოღონდაც შენ არ იდარდო...
რწმენას დაგინთებ სანთლებად,
ღრუბლები რომ გაგიფანტო.

***

ყველას თავისი აზრი აქვს,
ყველას თავისი თვალი,
რამდენი უნდა იფიქრო
რომე არ გამოდგეს მცდარი.
რომელი გზაა სწორი და
რომელი უფრო მყარი?
ცდილობ ოთხიდან არჩევას,
გზაჯვარედინზე მდგარი.

***
ძალას ვიკრებ ცივ ზამთარში
შემეშველე ზურგის ქარო,
პეშვით სიყვარულებს ვაპნევ,
იქნებ დარდი გადიყაროთ.
გაზაფხულზე ნაზი სიო
ბალახებს რომ არხევს ისევ,
მიხარია, მინდორი რომ
უბეს ყვავილებით ივსებს.
სულს ვიამებ ჩუმი ლოცვით
თავზეც ბევრჯერ დამათენდა,
გზას კი, მარადისობისკენ
ბადრი მთავარე ანათებდა.

გაბრწყინებული მენახო!
არ ვნატრობ ბროლის სასახლეს,
დავეძებ კეთილ ფერიას,
წყაროს წყალს დავეწაფები
მზე დამიკოცნის კერიას.
არ ვნატრობ დედა-ბუნებამ
თვალ-მარგალიტით ამავსოს,
მე მცირე ტაბლაც მეყოფა
ბევრი ეშმაკმაც დალახვროს.
იმძლავროს მუხის ფესვებმა
და ვღიღინებდეთ ვენახოს,
ჩემი პატარა სამშობლო
გაბრწყინებული მენახოს!

***
თავს იმშვიდებ და
ღიმილით მალავ
სისუსტეს
რათა მტერს არ
ეამოს,
სიმშვიდე შენი
იარაღია,
თავაწეულმა უნდა
იარო.

აპრილი

რა ვქნა, თუ წლებით გაძარცვულს
მარტმა ვერ მომცა ნუგეში?
არც შენგან ველი აპრილო
გარდასვლას სიჭაბუკეში.
ზამთარს თუ გადავაგორებ,
შენამდე მოვალ აპრილო
არ მაკანკალო სიცივით,
აპრილო არ გამაწბილო.
მეც ჩითის კაბას ჩავიცვამ
მოხატულს ნაირფერებით,
გული, რომ გავიხალისო,
დაღლილი რუხი ფერებით.

ბედნიერი აღსასრული

ჩემი ცხოვრების
ჩუქურთმავ და
მანათობელო,
ბედნიერი ვარ
შენ შეგწირე
ბოლო წამები,
შენი სახე რომ
ჩამეხატა თვალებში
ხატად,
მიმაცილებენ
ბოლო გზაზე
ცრემლის ბწკარები.

***
არ გამირანდავს
ძალისძალ,
ცილს ნუ დამწამებ
გთხოვ,
სულში წვიმს, წვიმაზე
ვწერ და
თოვლზე ვწერ
როცა თოვს.

მირანდა ზაბახიძე

*

ქალავ, სიცოცხლის მწყურვალო
სიცოცხლე მადლიანაო,
ნეტავ შენსავით ლამაზი
ფიქრები მამიყვანაო.
შემოიღამა მთის ძირას
მზემ პირი დაიბანაო,
ახლა ოცნება დამსეტყვავს
გულს სევდა დამიფარაო.
ღამეს ნისლები მოადგა
როგორაც ჩემი ფარაო,
სიყვარულს განა ვინ მოგთხოვს
ნიჭად თუ არ შეგყარაო.
ჩემად გჩემულობ ასულო,
შორით სიმორცხვეს გპარავო.
ისე იდუმალ დადიხარ
როგორც დევნილი გზასაო.
თვალს ვერ გისწორებ მალი-მალ,
ვმარცხდები თანდათანაო.
წამიერ მზერით შეგხვდები
გულში სიყვარულს ვმალავო.
გულს მწუხარება ეჩვევა
დარდებმაც გამაწამაო.
ფიქრებიც შენთან მომიყვანს
სიცოცხლემ თუ მაცადაო.
სჯობს ჩემი მქონდეს ადგილი,
შორიდან დამწვას ალმაო.
მიჯობს ასეთი მიყვარდე
კდემას არ დაგიკარგამო.

* * *

სული დავიმძიმე ცოდვით,
შენი დავიწყებით ღმერთო.
წმინდა სიყვარული შენი,
ბავშვის ღიმილიდან მეცნო.

ყველას ნაფეხურებს ვითვლი,
შენსკენ გამოკვალულს ღმერთო.
გულში დაგეძებდი დიდხანს,
გარეთ გამიგდიხარ ღმერთო.

ისევ მიკაკუნებ კარზე,
მშვიდად მოთმინებით ერთობ.
ცრემლი მომერია სევდის,
როგორ გყვარებივარ ღმერთო.

ვნება-ბორკილებით შევკარ,
მზერა-დავიმარხე ღმერთო.
ნება მოკვეთილმა სულმა,
ისევ შეგიყვარა ღმერთო.

ყველას სიყვარულად აქცევ,
ვისაც კი ეხები ღმერთო.
საღმრთო სიმთვრალეში მყოფნი,
ყველა დააპურე ღმერთო.

სული დაღალული ცოდვით
ისევ განმიკურნე ღმერთო.
ახლა ყველა სხვაგან მიდის
მე კი შენთან ვრჩები ღმერთო.

*

საქართველოში ღვთისგან ნაკურთხ ვაზს გავახარებ,
მხრებზე ავისხამ თითო-თითოდ ყველა ღირსებას.
სამებას ღვთისას ერთარსებად აღმომითქვამენ
ეჭვის ფიქრებიც ნელა-ნელა წავა ნისლებად.

ისევე შეძლებს დიდგორობას ქართველი ერი,
ისევ ისევე შევისმოსავთ ღირსების პერანგს.
ცაში არწივი გამჭრიახად რომ დაიკივლებს
ჟინი სხვაგავარი მამაცობის სხეულს დალეწავს.

მერე რა,თუკი ქალი ვარ და ვერას გავხდები,
მეც ისეთივე სული დამაქვს, სამშობლო ჩემად.
და რომ დამჭირდეს ქართლის დედა,
ბახტრიონის ლელაც გავხდები,
ამ შთაგონებით მომეწამლა ყოველი ვენა.

გულში გავკურნავ შეცდომათა მწარე იარებს,
ყველა მისხალში დავიმარხავ სამშობლოს ცნებას.
სიცოცხლე მისთვის მომცემია როგორც უფალი,
არანაირი შეცოდება,თუ სიკვდილს შევკრავ.

* * *

ქართულ ქარაგმებს,
მზეგარდასულ
დრო-ჟამში ვეძებ.
და მის ცხელ გულზე,
დღესაც წერენ
ქვეყნის დიდებას.
ძველ ეტრატებზე
სათაყვანო სამშობლო ვძერწე,
ნეტავი იმას,ვინც შენს
ტკივილს,უხმოდ მიხვდება.
ვერ გიერთგულე,
ვერ გეზარდე
შვილი უბეში.
შვილი,რომელიც
საჭირო დროს
გმირად იქცევა.
ახლა რა გითხრა,
ვის მოვთხოვო
შენი ნუგეში.
ეს ნელთბილობა,
მტრის ნაკერპალ
ძღვენად ითვლება..

*

ღმერთო, შენ მომეც გონება,საღი არვისგან მჭირველი,
როგორც კეთილი ძღვენისა,ვით შენგან შემომწირველი.
ყოველმხრივ შორით მომვლელი,მშვიდობით, არა პირველი
სანდურავით კი არ გავლევ,მადლიერებით მწირველი.

სიბრძნე სიგიჟეს ვერ აცხრობს,ეს არვინა სთქვას მცდარია,
მხრცოვან ბრძენკაცი ოდსმე,ნუ ფიქრობთ შეუმცდარია.
ჭკუა გონებას ახელებს,ხანაც პირიქით მკვდარია,
უფლისგან ამდენ სასწაულს,გონება ვერ მიმხვდარია.

ჩემშიაც ბუდობს მალიმალ,ფიქრი ვით "ლირი"ეული,
როგორც მზის სხივი სპეტაკი,ღრუბლიდან გამოქცეული.
ხანაც ვმასპინძლობ,ხანაც არ,არა ვარ გამორჩეული
ღმერთო!შენ მიმაღწევინე "სამეფო ქორწილს"წვეული".

ერთნი ვართ ქვეყნაზედა დიდებულნიც და გლახაკნიც,
სიყვარულის და ძმობისთვის არ განსაზღვრულა ასაკი.
იქნებ ჩვენც აღარ შევიქმნათ,მადლის მარცვლების მპარავნი
ცხოვრების შესაცნობელად,ვქმნა სიყვარულის აღაპი.

*

დრომოხელთებულ სივრცეებში ვეძებ სიამეს,
ჯიუტი მზერით დავიუნჯე ცელქი გრძნობებიც,
ახლა თუ გინდა წარსულ დროზეც ბევრი მიამბე
მთვარიან ღამეს დაქანცვამდე ვესაუბრები.

ვთქვი,რომ მორჩა და დავიხურე მწუხრის სუდარა
ისე ელავდნენ აკინძული ცის ვარსკვლავები.
აღარ მინდოდა გათენება თითქოს სულ არა
სული მტანჯავდა უცხოობით განაწვალები.

ვეღარ ვიჯერებ,რომ წესები ჩვენზე მეტია
ვერ მოვაცილებ გულს შავ ფიქრებს მძიმედ დაფენილს,
არც იმას ვიტყვი, არსებობა თურმე ბედია
სკურთხეველზე ვწირავ ჩემს გულს ბევრჯერ განწმენდილს.

სამყარო ფეთქავს,გულწასული წამებს აითვლის,
და მეც ვირწები ტალღისაგან ვით გახრწნილ გვამში,
თუ წამი ფასობს დაფიქრება გონს გადაივლის
დროება ყველას გაგვასწორებს მაინც მის ჩარხში.

*

ღმერთო, არ მკითხო როგორ ვარ
მიჯობს ცრემლები მდიოდეს,
ამდენი ვაი-ვაგლახით
ქვეყანა როგორ ლხინობდეს.
გულს მწუხარება უხდება
მხოლოდ მაშინ გრძნობ სიცოდეს,
შენი მოყვასის ჩივილი
გულს აწუხებდეს გტკიოდეს.
ჟამთა მხიარულ ყოფაში
ყველა თანაბრად ვიდოდეს
ღმერთო სიყვარულს ნუ მოშლი
ერთურთი არა გვშიოდეს.
ყველა ცნებაზე დიდია
მოყვასი შენად გინდოდეს,
სოფელმა მარად იხაროს
ცრემლები არა გვცვიოდეს.
ადამის შვილებს ვალად გვაქვს
შენდობას გულით ვიტყოდეთ,
ყველა სიკეთეს თესავდეს
თვალებში მადლით გვიცნობდნენ.
მკვდარნიც კი მისას მოელის
მიწად ქცევას და სიცოცხლეს,
ყოველი დაბადებული
უფლის შვილებად ვიწოდეთ.

ბედნიერი ერის გაგრძელება...

სიმართლისკენ გზა ჩავხერგეთ,
ყველანი ვართ მეცნიერნი.
მაქებარნი მეტად გვიყვარს
სიმართლის მთქმელს გავუწყერით.
ასე ხშირად ვბაქიბუქობთ
წინაპრები გვყავდა ბრძენნი,
მაგრამ ჩვენი მოიმედე
სახლში ბავშვიც აღარ გველის.
დროს ვერგებით მეტად კარგად,
ნიჭებიც გვაქვს ბევრზე-ბევრი
ოღონდ თავი არ გავყიდოთ
კანსაც ვიცვლით ხშირად გველის.
სინდისმა თუ შეგვაწუხა,
გაკვირვებაც აღარ გვშველის.
ისე ოსტატურად ვჩქმალავთ
ვუყვირივართ:-აქ ვინ გელის?!
მითხრეს მუდამ სიმართლე თქვი
თუნდაც იყოს მეტად ძნელი,
ეს კალამიც მისთვის არის,
ენაც მქონდეს ძალზე მჭრელი,
სარკეში რომ ჩავიხედავთ
უნდა იყოს მრავლის მთქმელი.
რწმენა ფულში გადავცვალეთ
ტაძრის კართან არვინ გველის,
ყველა სახვალიო ამბავს
ღმერთთან ვგეგმავთ "კარგი ქცევით".
შველას სხვისგან ველოდებით
საკუთარსაც აღარ ველით.

გარჯა ისე მოვიძულეთ
თავად დაუძლურდა ხელი.
ახლაც ჰყრია ტაძტის ქვაზე
ოცდაათი ვერცხლი მკვლელის,
პილატე კი ხელებს იბანს
ყველა ჩვენი შეცოდების.
სჯობს ეცადო გამოსწორდე
ქვას ქვაზე ნუ დაედები.
ავაზაკებს შორის ჯვარცმა
სამსჯავროა მთელი ქვეყნის,
ჩვენს შვილებზე ცოდვის ტვირთვას
ეშმაკიც კი ვერას გვეტყვის.
სასიკვდილოდ ვინც გავწირეთ
ახლა ჩვენგან პასუხს ელის,
გონება თუ მოვიხმარეთ
ნეტარია ერიც ბერიც.
ყველა დიდი მოაზროვნე
შეკრულია ხელით,ფეხით
ვინმემ წინ რომ არ გაგვასწორს
თავზე აგვიღია ხელი.
სიძულვილში ბრალს ნუ დამდებთ
სასიკეთოდ ამას გეტყვით,
წიწამურთან შეწირული
სიხარულით ისევ გველის.
იმედი აქვს გამოჩნდება
მისი მსგავსი გადამრჩენი
ერი ისევ ახლად უშობს
გამართლდება განაჩენი.

ნატალია სამუშია

წვიმა

წვიმა, ნოტებზე მღერის ამ დილას,
ქარი კი გიჟობს ხეებს აჭენებს,
აჭენებს როგორც აწყვეტილ მერანს...
შეფერილ ფოთლებს, მიწას ახეთქებს.
ჩიტები, შიშისგან გულის ფანცქალით,
შებუდრებულან დარჩენილ ფოთლებში,
ქარი კი ღელავს როგორც შავი ზღვა,
მთლად ჩამოგლიჯა ხეებს ტოტები.
მე ვფორიაქობ ვდგევარ ყურს ვუგდებ,
გაგიჟებული ტყის სიმფონიას..
მერე კი ვხედავ, ტყის ასე ღელვა.
როგორ მღვრის სულში, მე ჰარმონიას.
ჩემს ფორიაქში ქარი კი ღელავს,
აღარ ჩერდება თითქმის უმატებს
და მეც ვბობოქრობ, როგორც ბუნება,
ამით ვგრძნობ ხეებს გრძნობებს ვუთავსებ.
წვიმა კი მოდის, ნოტებზე მღერის,
ჩიტებიც ფრთხილად მათ ბანს აძლევენ...
ქარი კი ღელავს და უკრავს მინორს,
მე კი ეს ხმები ჟანგბადს მმატებენ.

ცხოვრების არსი

ზოგჯერ ისე ხარ, ყვირილი გინდა
ვეღარც ყვირიხარ და გულში ახშობ.
ზოგჯერ იმედი გადაგწურვია,
მობრუნებული შენ ღმერთსა მადლობ.
ზოგჯერ ახლობლის დაკარგვის შიშით...
შემოგაწვება გულზე ლოდები....
მერე კი ისევ ღმერთის წყალობით,
შენ დაწყნარდები და ელოდები.
ზოგჯერ ბავშვივით აქვითინდები,
ასე გგონია ვერ გამოძვრები...
მაგრამ უფალი ძლიერ დიდია,
შენ გამოსავალს მაინც მოძებნი.
ასეა თურმე ცხოვრების არსი...
ხან აღმართს ახვალ ,ხან დაღმართს ჩახვალ,
ზოგჯერ სიკვდილსაც გამოსავლად თვლი,
ცხოვრება ფუჭია, არც კი ღირს ტანჯვად.

„შეშლილი ქალი "

გრძნობისგან შეშლილი ქალი,
მიდის ფეხშიშველი მიანგრევს მთა-ბარს
და გზაზე დანახულ სილამაზეებს,
ხეებზე დანის წვერით ხატავს.
შეაღამდება მთაზე
არ უშინდება ტრამალთ,
მიდის და მიაბიჯებს
ამაყადაც და ნაზად.
გრძნობებს აყოლია გიჟი
მარტო საუბრობს ჩუმად,
არ შეაშინოს მგელმა
ან კიდევ პატარა ტურამ.
მიდის და მიაბიჯებს...
მიაპობს ხე-ტყეს ლაღად,
ისე ღელავს და მიქრის
რომ გეგონება ტალღა.
მიდის გრძნობისგან შეშლილი ქალი...
მარტო მიდის და ქარგავს,
თითქოს ხეებზე თმებით
ობობის ქსელებს აბამს.
აბამს ობობის ქსელს და
უკან მოხედვაც ძაბავს...
რადგან მთის წვერზე ასულს,
კლდეების სიმაღლე ზარავს.
ერთ წამში აზრზე მოვა,
მის გულს ბაგა-ბუგი გააქვს
უნდა დაბრუნდეს უკან....
და ცრემლებს ჩუმად ყლაპავს.
უცებ გაჩნდება ცაზე,
მთვარე, ამოანათებს აფთრად,
გრძნობებს აყოლილი ქალი
ნეტავ! რატომ გაჰყვა ამ გზას!?
ვინ იცის რატომ გაგიჟდა
გული ვინ შეუშალა ავად...
უკან მობრუნებას ცდილობს...
ვეღარ პოულობს გზა-კვალს.
ეპოტინება იმ ქსელს...
თვითონ რომ თმებით ქარგა,
მაგრამ ვერაფერს ხდება
სული გაუფანტა ქარმა.

ვალუდა კვაშილავა

პ ო ე ზ ი ა

პოეზია – ზეცის ძალა,
აღმაფრენის,დიდების,
რითმა-რითმა გადმოცემა,
ყველა ჭეშმარიტების!

პოეზია – უჩინარი,
საჩუქარი რჩეულთა,
სათქმელს ცეკვით მოგიყვება,
ნიჭი გამორჩეულთა!

პოეზიავ გეთაყვანე,
ჩემი სულის საკინძე,
წუხელ ღამით გამაღვიძე,
მისხალ-მისხალ აგკინძე!

მერე მუზამ არ მაცალა,
ძილი გათენებამდი,
შენ რომ არა, შენ რომ არა,
აბა რას დავწერავდი?!

პოეზია – წინაპართა,
სულის მძიმე ძახილი,
პოეზია – საგულედან,
მოსრიალე მარხილი!

პოეზიას და სამშობლოს,
ერთი სული უდგია,
ერს ლექსები წყება-წყება,
საძირკვლად ჩაუდვია!

სიმღერები შეუთხზია,
ღიღინ-ღიღინ ფერებით,
პოეზიას და სამშობლოს,
ერთად მოგეფერებით!

ი ლ ი ა ს ხ ს ო ვ ნ ა ს

აქ მოვედი მთამ ნისლები აიკრიფა,
შორს,მწვერვალებს დავატანე თვალი,
საგურამოს, შენი სახლის აივნიდან,
ვიყურები რომ ვიპოვნო კვალი.

შენს ნაფეხურს აქ დავეძებ,აქ მოვედი,
აქ მოვედი ანთებული გზნებით,
ქართველებო,ბოროტება თქვით როდემდე,
უნდა ზიდოთ თქვენ ამაყი მხრებით!?

აქ ვერ ვნახე შენი კვალი, შენიანი,
წიწამურის გზას დავადგი თვალი,
ბილიკ-ბილიკ მივდიოდი ცრემლიანი,
რომ მეპოვნა ბრძენო შენი კვალი!

შენს ნაკვალევს დატყობია ახლაც სისხლი,
შავი ხელით ჩაგისაფრდა ტყვია,
შორს მწვერვალმა აიკრიფა თეთრი ნისლი,
მაგ სიკვდილს ხომ უკვდავება ჰქვია!

ვინ გესროლა? ვინ იკადრა თქვი ამდენი?
შეაჩერა შენი გულის კუნთი,
,,აჩრდილის" და ,,ყვარლის მთების" დამწერი,
საქართველოს სიყვარულში დუღდი!

შენმა ლექსმა ,,მესმის, მესმის" გამაღვიძა,
ბაზალეთის ტბასთან ვდგავარ ფიქრიანი,
ქართველები ლელთ ღუნიამ გააღვიძა,
შორს მწვერვალი იყურება ნისლიანი!

შენი ნატვრა ნატვრად დარჩა, არ გაცალეს,
შეაჩერეს წმინდა გულის ფეთქვა,
ჯალათებმა ცხელი ტყვია დაგახალეს,
არ გაცალეს სიმართლე რომ გეთქვა!

აქ მოვედი, მთამ ნისლები აიკრიფა,
შორს მწვერვალებს დავატანე თვალი,
ცხელი ტყვია აქ ქართველმა გაიმეტა,
აქ ვიპოვნე შეწყვეტილი კვალი!

შ ო მ ა ხ ე თ ი

(ვუძღვნი მშობლიურ სოფელს)

შომახეთო, მიყვარს შენი ველები,
იელები ყვითლად გადაპენტილი,
წყლის პირებზე მხრებგაშლილი თხმელები,
საძოვრებზე ცხვრები რქებჩაგრეხილი.

მიყვარს შენი ყვავილების სურნელი,
ცაცხვის ყვავილს დახვეული ფუტკარი,
ამ გაზაფხულს,ამ სიყვარულს სულ ველი,
რა ძალა აქვს შეძელი და მითხარი.

მოდი ერთი ამიწერო იქნება,
როგორ შევძლო მოგონებით დატკბობა,
გული ძაფებს დაეკიდოს ფიქრებად,
ორღელეში დარჩენილი ბავშვობა!

რკვიანის პირს მობალახე ბოჩოლა,
ადრე დილით გადენილი ნახირი,
ანკესებზე თევზის წამოკიდება,
ჩემი გულის და ბავშვობის ნაწილი!

შომახეთო, იმ ნაფეხურს გიკოცნი,
ჩემი სულის ნატერფალი გაჩნია,
იმ ბავშვობას ვიცი გადამიკოცნი,
ამიტომაც გიძღვნი რაც გამაჩნია!

მ ო მ ი ლ ო ც ა ვ ს

დეკემბერმა გამოუშვა ფიფქი,
ჩამოყარა ისე,ფთილა-ფთილა,
მე ამ დილით სიხარულებს ვითვლი,
ფიფქი ცვივა ციდან ყირა-ყირა!

წელი მოდის ლამაზი და ტკბილი,
ნაჭერ-ნაჭერ მოდის დიდი სითბო,
მიხარია, სხვას არაფერს ვჩივი,
ცას შევყურებ და სულს ისე ვითბობ!

თოვლის ფიფქმა ახლა გული ათბო,
მას სიცივე დაკარგვის თითქოს,
ო, ამ დილამ ყველა დარდი აქრო,
ცას შევყურებ სამშობლოზე ვფიქრობ!

ამ ახალწელს მოეტანოს ტკბილო,
დიდება და სიხარული ბევრი,
მომილოცავს სამშობლო და შვილო,
ბედნიერი ეს ახალი წელი!

დღეს კალენდარს ბოლო ფურცელს მოხევს,
ჩემი ხალხი ამაყი და ბრძენი,
და ახალ წელს სათნო ხელებს მოხვევს,
საქართველო ბევრი რამის მთქმელი!

მომილოცავს! ერთხელ კიდევ გლოცავთ,
ფთილა-ფთილა მოდის ციდან სითბო,
ცას შევყურებ გეფერებით როცა,
ცას შევყურებ და სულს ისე ვითბობ!

ფ ი რ ო ს მ ა ნ ი ს მ ი წ ა

მე ფიროსმანის მიწას ვკოცნი,შუბლზე ვემთხვევი,
და რუსთაველის ნაბიჯებზე ნაბიჯით დავალ,
მჯერა ამქვეყნად არ მოვსულვარ ისე,შემთხვევით,
მოვედი კრძალვით,მოწიწებით და ისევ წავალ.

წავიდა ყველა ვისაც მოსვლა დაერქვა მართლა,
წავიდა ყველა სააქაოს არავინ რჩება,
უძლიერესი მთაკაციც კი წვეთივით გაქრა,
ჩვენი ცხოვრება სიზმარია, რა უცბად ქრება!

მე საქართველოს მკერდზე ვკოცნი, გულში ვიხუტებ,
წმინდა ილიას ყველა სიტყვა სულში მაჩნია,
თუკი ჩემს მამულს დავჭირდები მეც დავიქუხებ,
და ყველაფერი დამითმია რაც გამაჩნია!

ჩემო ქართულო

დედაზე ტკბილო ჩემო ქართულო,
ომგადახდილო და ჭირნახულო,
უდედოდ გავძლებ, უშენოდ ვერა,
ჩემო მაღალო, დიადო რწმენავ!

უდედოდ გავძლებ რამეთუ დედა,
მიმავალია იმქვეყნად ყველა,
შენ კი უკვდავი გადგას ნათელი,
შენთვის დავანთე ყველა სანთელი.

მშობლიურ ქართულს,მშობლიურ ენას
წამართმევს ვერვინ, ვფიცავარ რწმენას,
ვფიცავ წინაპრის განვლილ ნაბიჯებს,
უშენოდ ვერსად გადავაბიჯებ.

ჩემი ტკივილის შენ ხარ მალამო,
ჩემი ოცნების შენ ხარ საფარი,
გამარჯვების დიდო ალამო,
შენა ხარ ჩემი თავშესაფარი!

მასწავლებელი

მასწავლებელო,ჩემო ბრძენო მასწავლებელო,
კვლავ თავი შენთან მორიდებით უნდა დავხარო ,
ეს შენ იყავი ხნულში თესლი რომ გააღვივე,
გონების თვალით დამანახე მთელი სამყარო .

შენ ჩემი სულის სამჭედლოში დღესაც ტრიალებ,
მე შენი სიტყვა ჰაერივით მუდამ მჭირდება,
ჩემი გულისთვის სიბოროტეს გაატიალებ,
ხმალით დამიცავ,ვიცი თუკი გამიჭირდება.

შენი იმედით ყველა ტკივილს შევეჭიდები,
შენი ღიმილით მემატება ძალა ულევი,
სამშობლოსათვის ბეწვის ხიდზე დავეკიდები,
სულ დამამჩნიე სიყვარული გამოულევი!

მასწავლებელო,ჩემო ბრძენო მასწავლებელო,
ჩემი აზრების შემოქმედო, ჩემო გენიავ,
არ დაიდარდო,მომავალი ისევ შენია,
ჩვენზე ფიქრებში თუ ჭაღარა გამოგერია!

ყველა ტაძარი შენი ხელით ნაშენებია,
შენ,საქართველოს სიძლიერის კოშკის მგებელო,
ჩვენზე ფიქრებში ბევრჯერ თავზე დაგთენებია,
შენ გაგიმარჯოს, ჩვენო ტკბილო მასწავლებელო!

მხნედ და ამაყად წინ იარე,მხრები აზიდე,
შენი აღზრდილნი გეხვევიან ჩუმი ფერებით,
მეც თქვენთანა ვარ და ოდესმე თუკი დაგჭირდე,
მოვალ და კრძალვით, მოწიწებით მოგეფერები!

პირველი თოვლი

ახლა ,როცა მარტო ვრჩები,
გულს მიღრღნიან ფიქრები,
უკან დამდევს დარდი შენი,
ნეტავ როგორ იქნები?

ნეტავ როგორ გაგითენდა,
დღე პირველი თოვლისა ?
ვის ფიქრებში დაგათენდა
უპირველეს ყოვლისა?

იქნებ ფიფქმა შეგახსენა
ჩვენი ტრფობის დღეები,
ერთი წუთით შეგაჩერა
დარდიან ფიქრს შეები!

იქნებ თოვლმა შეგახსენოს,
ჩვენი ტრფობის წუთები,
მივდივარ და ცრემლიანი,
თოვლის ფიფქებს ვუცქერი!

თოვლით მაინც გამიხსენე,
ფიფქებს როგორ ვითვლიდით,
რა ვიცოდი სიყვარულიც,
დადნებოდა ფიფქივით .....

ფოთოლცვენა

რა საოცრად ჩქარია
ფოთოლცვენის დღეები,
ფიფქის დასადარია,
გაძარცვულან ხეები.

ქარის ქროლვით პატარა,
ვერ დამალა უბეში,
და იმდენი ატარა,
ჩამხრჩვალი ჩანს გუბეში!

უშენოდ

ჩემი ცხოვრება ლექსია ერთი ,
ჩემი ცრემლები ლექსის რითმები,
ქარტეხილების შენა ხარ ღმერთი,
შენ იყავი და კვლავაც იქნები.

მე გაზაფხულის რიჟრაჟზე გავჩნდი,
გვირილების და იების თვალწინ,
რაა ცხოვრება,უშენოდ დავრჩი,
უშენოდ მათოვს,უშენოდ მაწვიმს.

ახლა ზამთარმა სული დაღალა,
ფიფქები ცვივა დაუნანებლივ,
მე უშენობამ ისე დამღალა,
კვლავ ერთად ყოფნას დავენატრები!

თოვლის ფიფქებში მომაგონდება,
შენთან შეხვედრა თეთრი გუნდებით,
ფიქრი დამაწვა მძიმე ლოდებად,
თუმცა ვიცი რომ ვერ დაბრუნდები .....

და მაინც რეკავს ზარი ლოდინის,
უნდა ამოგთქვა სტრიქონად ლექსო,
ზარი ოცნების და მოლოდინის,
და სულში კივის წარსულის ექო .!.....

შ ე მ ო დ გ ო მ ა

შემოდგომის ფიფქი ცვივა,
იმერეთის ფანტელი,
და ტალახში მკვდარი ყრია,
ხის ფოთლები რამდენი!

დედას მკერდზე ააგლიჯა,
ქარმა ქარიშხლიანმა,
გულზე ფეხი დააბიჯა,
გაქრა,გაიშრიალა!

და ფიფქივით მიმოფანტა,
ხის ფოთლები რამდენი,
ხეებისთვის ქარი გახდა,
ცხარე ცრემლის დამდენი!

გაყვითლებულ ფოთლებს ქარი,
ურცხვად ფანტავს, ქანაობს,
ატირებულ დედის ზარი,
მიაქვს და მიქანაობს!...

დეკემბერი დადგა

დეკემბერმა შემომიღო კარები,
სადღაც მთებში ჩამოთოვა ალბათა,
ცივმა ქარმა გამიყინა თვალები,
მერე ტანზე და ხელებზე დამყვა თან!

ქარი ცივი, ქარი შარახვეტია,
იმის თავზე ყველაფერი ახია,
მთვარის მიერ მოქსოვილი ბადე რომ,
შურისაგან ტანზე შემომახია!

მთვარევ,ჩემი ცის და მიწის მპყრობელო,
კვლავ მომიქსოვ გამა მოკლე ღამეა,
მოყვასისთვის გულო დაუშრობელო,
შენთვის ქსოვა სულ უბრალო რამეა.

მომიქსოვე ოქროსფერი მანტია,
წამოვისხა და მინდა რომ ვთბებოდე,
დეკემბერში,განა უკვე მარტია,
ღამღამობით ჩემს სარკმელთან გხვდებოდე!

შენ მონაყოლს სარეცელზე დავიტან,
მომიყევი რაც კი ნახე, რა ხდება,
ამ ზამთარსაც შენთან ერთად გავიტან,
ნაწერი კი საუკუნოდ დარჩება!

ნანა ცინცაძე

ეს სულერთია

ან გალაქტიკა რაში მჭირდება,
ან ეს უაზრო კითხვა-პასუხი.
ყველა ქარაგმა გადაიჭრება
თუა ბახუსი.
მნახავ თუ არა, ეს სულერთია,
მე რომ ვარსებობ, ეს უკვე იცი...
სიცოცხლე, მკვდართა სასულეთია,
ნუღარ განიცდი,
თუ ყველაფერი მალე მთავრდება,
რაშიც ეტევა ,,ანი" და ,,ჰოე",
დღეს მოგონებად გამიმთავრდება
ეს სიმარტოვე.
აქ არ იქნება მეფე შიშველი,
თუნდაც ჰაერის ეცვას მანტია.
უსაშველობის ჭრელი საშველი
დამიხატია.
მონად ვიქცევი რწმენის გულისთვის,
ინკვიზიციამ მაწამოს ბრუნო...
ვინც ჯვარს გააკრეს სიყვარულისთვის
რომ დავაბრუნო.
დევის ნატერეფალს მივყვები იმ გზით,
სადაც არ გადის ჩვენი ხურდები.
საზღვარს გადავკვეთ მოპარულ ვიზით,
ხელზე ხუნდებით.
ცის თაღზე ვწვდები მზის ნაფეხურებს,
ერთი სურვილის დამრჩა უფლება.
ჩემი ძახილი ზეცას აყრუებს –
თავისუფლება!!!

04.08.2017

მივხვდი

ყველა გასროლა თქვენია,
მე აღარ ვითვლი ტყვიებს,
თუკი დაგარქმევ ჩემიანს,
არაფერს მაპატიებ.
ვისაც ფიქრებში ვუვლიდი,
გზა ავარიდე მრუდე
და სასახლეში ვუცვლიდი,
კლდეზე ნაშენებ ბუდეს,
ცხოვრება ისე ამიწყო,
მუდმივად მქონდა სიცხე,
მივხვდი, ჩემი რომ არ იყო
და სხვასთან გადავრიცხე.

10.08.2017

არეული ლექსი

დამთავრდა ზღაპარი დაბადების,
გველივით კანს ვიცვლი – ვერ გაჩვენებ,
გავყვირი, არასდროს დავმთავრდები,
მითი ჯოჯოხეთის შევაჩვენე.
ჩვილმაც ვერ ვიგუე არტახები,
რადგან სხვა ცხოვრება დავინახე,
მე ვინ შემინდობდა... ახლა ვხვდები,
იმ დღეს რა მიზეზით გავილახე.
მერეც არაფერი მაშინებდა,
არასდროს არ მითქვამს – აი, ნახე...
მოყვასნიც დავყავი არშინებად,
ხვდებით? რა მიზეზით გავილახე?
სიკვდილს რომ უდრიდა, ის წამები,
ცრემლების გარეშე გადავლახე,
რუბიკონს არ შევხვდი ნაწამები,
ჰოდა, უმოწყალოდ გავილ;ახე.
ცხოვრება ტრიალი მინდორია,
სიცოცხლე, საშიშად გარეული...
ეს არის მარტივი ისტორია,
უბრალოდ ლექსია არეული.

12.08.2017

იქნებ

იქნებ მართლა არაფერი იცვლება,
როცა სული სხეულს სუნთქვას აცილებს,
როცა სისხლი წვეთ-წვეთობით იცლება
და სიკვდილი ცოდვებს ჩამოგვაცილებს.
იქნებ მაშინ, სწორედ მაშინ ვლაღდები,
სხვას რომ უნდა ჯოჯოხეთში ვიწვოდე,
ვიცი, ღმერთო, ჩვენ ერთად ავმაღლდებით,
თუკი ვნახავ, ხელი გამომიწოდე.

07.11.2017

მკვლელი აჩრდილი

სონეტი

შენ მე გიყვარდი, გრძნობა ცაში, თოკზე ეკიდა,
მიყურებდი და სიშორისგან თრთოდნენ თითები.
ჩემი სიტყვები მუნჯ რითმებად გამოგეკიდა
და გაგაოცა სასიკვდილო გადაფითრებით:
მერე კი უცებ გამოფხიზლდი, სადღაც წახვედი,
მალე დაერქვა აღტაცებას სახელად – იყო...
გეგონა ცრემლებს, შესაბრალისს, დაგანახებდი,
მე კი ღიმილით გეუბნები – არ დაივიწყო
ჟამი, როდესაც შენი ნებით საწამლავს სვამდი,
ისიც იცოდე, რომ ის შხამი ახლაც გჭირდება.
მე, ძველებურად, მისტიკური სურნელი ამდის,
ცოცხალს მიყურო და სხვასთან მყოფს, გაგიჭირდება.
შურისძიება, წლებთან ერთად უფრო მძაფრდება,
მკვლელი აჩრდილი ყველა კართან ჩაგისაფრდება.

06.06.2020

მინდა წავშალო

სონეტი

ფერი ვიცვალე... ვიზრდები და... ვრჩები პატარად,
ეტყობა წლები დამიბრუნდა სადღაც წასული,
ტკივილი ფიქრშიც მოვისროლე, ვატან ამ ტარას
ცრემლებს, რომლებიც წვიმას შერჩა გამონასკვული.
ყველა უჯრედი ჩავატიე ერთ ამებაში,
ვატყობ, წარსული ტვირთია და უნდა წავშალო,
აღარ მჭირდები და სულსაც გხდი დღეს წამებაში
გონიერებავ, მთის ზვავივით ჩამონაშალო.
თუ ვერ დავხარჯე, ვანადგურებ ამ ენერგიას,
რადგანაც მინდა არაფერი აღარ ვაკეთო,
დროის ხუხულა, სჯობდა დროზე რომ დამენგრია,
დღეს გვიანია, რომ ცხოვრება გადავაკეთო.
წლები გავიდა... ზღაპრის ბოლო ცოცხლდება მითში,
არ დაიჯეროთ, დავიკარგო ამ ლაბირინთში.

06.09.2020

ეს ჰორიზონტი

ზღვის ნაპირიდან, სივრცედ აშლილი
დრო, მთელ ცხოვრებას იტევს,
ღმერთო, მითხარი, როგორ წაშლიდი,
სულში (გაჩხერილ) ჩარჩენილ სიტყვებს?
ეს ჰორიზონტი წარსულს მაგონებს,
მეც არეული გზის ვარ.
ავედევნები შავ-თეთრ ვაგონებს,
ცივ საფეხურზე ვზივარ.
ცის და ზღვის კვეთის იქით ვისროლე,
რის დაბრუნებაც არ მსურს,
ისევ ის გიჟი ჩამომიქროლებს,
ბავშვად ვინც მხედავს ზრდასრულს.

08.08.2020

დროა...

საქართველოს აღარა ჰყავს ცოტნე,
ბრძენიც დადის ახეული სახით,
ეს ბილიკი არწივებმა კორტნეს,
წინ რა გველის? ალბათ მხოლოდ კრახი.
ხომ ვუტირეთ ტრადიციებს დედა
და წარსული დავამსგავსეთ აჩრდილს,
ღვთისმშობელო, კითხვას გაგიბედავ –
ვინ შეგვიცვლის დავითსა და არჩილს?
მეცოდება მიწის ერთი ბელტიც,
სადღა შეგვრჩა ცხინვალი და გაგრა.
რაღა გითხრათ დღეს ამაზე მეტი,
თითქოს გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ...
ვფარისევლობთ და სიყვარულს ვარქმევთ,
რასაც ყველგან ჰქვია მხოლოდ შური,
ნიჭიერს ვკლავთ და სულ იმათ ვაქებთ,
დემენცია რომ აქვთ დაფარული.
აღარ მინდა ვინმეს რამე ვკითხო,
თითქოს ჩაქრა მეამბოხე სული,
დღეს სამშობლო ერთად ყოფნას ითხოვს,
ვის სჭირდება მხოლოდ დაფარული
დიდება და ფარისევლის ლოცვა,
მთაწმინდიდან გენიოსთა ჩრდილი...
რა ვქნა, თუკი ფიქრმაც გაიოცა,
აზროვნება რომ დაგვყვება ჩვილის.
დროა უკვე, რეკდეს დედო ზარი,
თორემ ერი მილევადი გახდა.
მომავალი რომ სჩანს შესაზარი,
ამიტომაც დარდი განმიახლდა,
მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერს შევძლებთ,
ჩვენ მზეს, რადგან სამშობლოს მზე ჰქვია.
წამოდექით, ქართველებო, ფეხზე,
არაფერი ჯერ არ არის გვიან.

07.09.2020

პერსპექტივა

ღმერთო, დღეს სხეული ისე მტკივა,
როგორც ახეული ლაყუჩები,
გაქრა იმედი და პერსპექტივა
და მეც აღარასდროს გავყუჩდები.
თუმცა უცნაური საღამოა,
სულში სტანდარტული მყავს ურჩები.
სიკვდილი აქ ისე საამოა,
აღარც კი მჭირდება მაყუჩები.
ვინც არ მინდოდა და წერილს მწერდა,
ისევ უსურვილოდ დავურჩები,
როგორ შევარჩინო ბედისწერას
ჩემი ახეული ლაყუჩები.

07.09.2020

გიგი თეთრაძე

***

ჩვენ დავდიოდით მწერალთა სახლში
და ტაშსს ვუკრავდით პოეტთა წყობას,
პოეტი, როგორც ქრისტეს აბჯარი,
ემსახურება სიკეთეს,მორალს...

ჩვენ მოვივლიდით სკვერებს და ბაღებს,
მივაშურებდით კაფეებს, ბარებს,
იქ რომანტიკის იდგა სურნელი
და გიყვებოდი მოგონილ ამბებს.

"სამოცდასამში მივლინებით ვეწვიე პარიზს,
მე დავაარსე ყველა ქუჩა, ყველა ადგილი..."
შენ იღიმოდი,თვალებში კი ჩქეფდა აპრილი,
სიყვარულია ცოტა რთული,ცოტა ადვილი.

ჩემი ოცნება დედამიწას სამცალს დაიტევს,
ჩემი ფიქრები ჩიტებივით მიდი მოდიან,
მე ცივ სამყაროს შენი თვალით დავუწყე ცქერა
და ისე თბილა იანვარი,მარტი მგონია.

* * *

ლ ამაზ თვალებში მზემ დაიბუდა
ე თამაშება წამწამთა წყობას,
ნ ატვრა ახდება წლების ნაფიქრი,
ა ანთებს ცეცხლებს ეს ჩუმი გრძნობა.

* * *

 როდნენ ქარები, აუტანლები,
 ეკდნენ ტაძრებში წმინდა ზარები
 მეორებდა მოძღვარი ლოცვებს,
 ულის სარჩენად, გავხდი დაუზარები,
 კივილებს ვითმენ, მივიწევ ზევით,
 რთი რამ მიკვირს, ცოტაც მაოცებს,

 ასაც კი ვებრძვი, მე ის მაცხონებს!

იზოლდა მოშიაშვილი

მართლა კარგია სიცოცხლე

ფიქრებით, საღი ოცნებით,
ცხოვრებას ლამაზს ვხატავ,
შეუცნობელი მომავლის
შიში სულაც არ მღაფავს.

"ბედის სამართალს ეძებ"
ყურში ჩამძახის მაცნე,
იცი? კარგია სიცოცხლე,
გზა სიხარულის გახსენ.

შენვე მოიმკი იმ სარჩოს,
რასაც შენ თვითონ დასთეს,
მართლა კარგია სიცოცხლე
შენ თვით თუ არას ავნებ.

მართლა კარგია სიცოცხლე,
თუ მას ფუჭად არ ხარჯავ,
ნავსაყუდელის პოვნა
თუ არ გქცევია ტანჯვად.

ბუნების ნაბოძ სიკეთეს,
თუკი უმიზნოდ დასცლი,
მაშინ შენს ძვირფას საგანძურს
დაეკარგება ფასი.

დიახ, კარგია სიცოცხლე,
ველზე ვარდების კრეფა,
მდინარის ტკბილი დუდუნი
და მის ჰანგებზე მღერა.

მართლა კარგია სიცოცხლე,
მთვარიან ღამის ცქერა,
და სიყვარულით მთვრალი
ვარსკვლავთ ციდან ცვენა.

და მეც ვუმღერი სიცოცხლეს,
მეფურად დამცქერს მთვარეც,
მართლა კარგია სიცოცხლე,
ტკბილად ჩურჩულებს ღამეც.

ფიქრები

ჩავიძირები ფიქრთა მორევში,
წარსულის ფურცლებს გადავშლი ნაზად,
და სიყვარულით მივეფერები
რაც დამრჩენია საკუთარ განძად.
ყურში ჩავესის წარსულის ექო,
ნაცნობ მუსიკის ჰანგების მსგავსად,
დავაყურადებ, გავირინდები
და უნებლიედ გავყვები კვალად.
ოცნებით თავს მე გავინებივრებ,
გადავიქცევი პატარა ბალღად,
დედის ალერსში ჩავიღვინთები,
მე უკეთესის არ ძალმიძს ნატვრა.
და იმ განვლილი ათეულ წლების,
სურათი სურათს გადაებმევა,
კვლავ მონატრება გარდასულ დღეთა,
ძლიერ ცეცხლივით აგიზგიზდება.
ცხოვრებას განვლილს და მივიწყებულს,
ჩამოეხსნება ზღაპრული ფარდა,
მრავალ საამო დღეების ფონზე,
მეც რომ მოკაზმულ დედოფალს გავდა.
ბევრჯერ ხარობდა გული უზომოდ,
იყო ლხენა და ვარდების თოვა,
როგორ ლამაზი იყო სამყარო,
ბედნიერების მწვერვალზე ყოფნა.
ზოგჯერ ყოფილა ღრუბლიანი დღეც,
სევდის ხროვა რომ გულს მძიმედ აწვა,
ამ წუთისოფლის ორომტრიალში
დღეებიც შფოთვით და ბრძოლით წავა.
ლამაზ ოცნებებს შევკრავ დიდ კონად,
გულის კუნჭულში დავუდებ ბინას,
სახემცინარი შევეგებები
ციდან მონადენ ფიფქების თოვას.

ნატვრა

კიდევაც გადაირბენენ,
შვილნი ლამაზსა ხევსაო,
ნეტავ თუ შემოგვესმევის
ჩუხჩუხი მდინარისაო.
კიდევაც აციმციმდების
ვარსკვლავ დარაჯ ცისაო,
ბევრჯერაც მოგვენატრების
ხილვა ბარის და მთისაო.
კიდევაც შევეხარბებით
ყოფნობას წარსულისაო,
ნეტავ თუ კიდევ ვიხილავთ
ჩვენ წმინდა სიყვარულსაო.
ნეტავ თუ კიდევ დავუკრავთ
ფანდურს მომართულს ძმისაო,
ცას, მიწას მივეფერებით
ჩვენსას და არა სხისაო.

მთვარისა ზეინკლიშვილი

,,დედას ჩალის სკამი".

ეზოში ისევ დედის სუნი დგას,
ხის ძირში კვლავ დგას დედიკოს სკამი,
ზედ ყვავილები გახუნებულან,
ისმის ჩურჩული და ნაზი ჩქამი.

მიწას ჩაფლულან ხმელი ფეხები,
საზურგეც იწყებს ნელ- ნელა დაშლას,
შხაპუნა წვიმის თბილი ცრემლებით,
ნაფეხურები იწყებენ წაშლას.

ეს ჩალის სკამიც სიბერეს ებრძვის,
არ სურს წაქცევა,ისევ დგას მყარად,
ძლიერი ქარიც მასთან ნელდება,
გარს უტრიალებს ჩუმად და წყნარად.

სკამის გარშემო ძურწა ბიბინებს,
გვირილა ხარობს თამამად, ჯარად,
სკამი ჩალპება ყვავილთან ერთად,
მე ეს სურათი დამრჩება მარად.

ეზოში გააქვთ გნიასი ჩიტებს,
ვინღა შეუქებს ჭიკჭიკს ბეღურებს,
ვინღა ასძახებთ ,,შემიგევლეთ"ო,
ვინღა დაუდებთ მათ დამბალ პურებს,

აღარ დგას ეზოს დედიკოს სუნი,
მიწას ჩაფლულა მორთული სკამი,
დედა წავიდა,სკამიც მოირყა,
ნაფეხურისგან დარჩება შრამი.

2021.2.8.

ნათელი და სანთელი ჩვენს წასულ დედიკოებს!

ჩემო! ჩემო!

კუს ნაბიჯით დავუყვები საჭაპანოს,
დედაქალაქს მივადგები ჯვრიან
დროშით,
ხელგამოწვდილ ქუჩის პირას მჯდომ
მოხუცებს,
შევეწევი სალამით და თითო გროშით.

მთაწმინდაზე ჩავისუნთქავ სუფთა
ჰაერს,
სამიკიტნოს ღვინოს შევსვავ ფიალით,
მერე ისევ დავადგები ქართლის მხარეს,
ზენა ქარებს თან გავყვები ფრიალით.

მე ჩემს კუთხეს არაფერი მირჩევნია,
ვიამაყებ ჩემი კოხტა ქალაქით,
მისი ხედით, ტაძრით, ჩემი წილი
მტკვარით,
ჩემს ქარელის დოვლათით და
ბარაქით.

სარკის, ყინწვისის, ქოზეფის,
სარკინეთის,
ძალა, მადლი დაჰფენია ჩვენს
სამწყსოს,
ღმერთო მოგვმადლე მშვიდობის
ყველა დილა,
ტაძრის რეკვამ წყალობა რომ
გვაუწყოს.

საქართველოს ყველა კუთხეს
ვენაცვალე,
მე ჩემს თბილისს თავზე შემოვევლები,
თუმცა ქარელს არაფერი მირჩევნია,
რომ ბრდღვიალებს ტყე, მთები და
ველები.

ჩემო დედა ეკლესია, ჩემო ჯვარო,
შენ ჩემს სულში არასდროს გახუნდები
სადაც წავალ, შემოვივლი სხვა ქალაქებს,
მერცხალივით ჩემს სახლს
დავუბრუნდები.

2021.24.9.

ვუძღვნი ჩვენს პატრიარქს

შენ ჩვენი რწმენის კელაპტარი ხარ,
მოძღვრება შენი გზით გვატარებსო,
სიბრძნით, გზამკვლევად წინ მიგვიძღვები,
უწმინდესო და უნეტარესო!

შენს ნამოღვაწარს და თავდადებას,
მხოლოდ უფალი შეაფასებსო,
მრავალი წელი იყავი ჩვენთან,
უკვდავმყოფო და უზენაესო!

ქრისტიანობის მაგალითი ხარ,
წლებმა ეკლიან გზით გატარესო,
კალთას გემთხვევით, დალოცე მრევლი,
მადლმოსილო და უძვირფასესო!

არ მოგვიშალოს არასდროს ღმერთმა,
ქართული გენის სულის სამწყემსო,
ერის დამცველად და საიმედოდ,
დიდხანს იცოცხლე უნეტარესო!

2023.27.1.

ჩემი ფერადი ოქტომბერი

კოკისპირულად რომც წვიმდეს თუნდაც,
არ დავიხურავ არასდროს ქოლგას,
მე ისეთი მხრის ჯიშ-ჯილაგის ვარ,
ყოვლის ატანა ოდითგან მომდგამს.

პირიქით მიყვარს, ვეთამაშები,
წვიმასთან ერთად შეღებილ ფოთლებს,
ხელის მოჩრდილვაც არ დაჭირდება,
ორპირში წრფელად დანთებულ სანთლებს.

ძირს დაფენილი ფოთოლთ ხალიჩა,
სასიამოვნო ხეთა სურნელი,
ცისარტყელის ფერში მორთული ტყე და
შორს გაფანტული ფიქრი მჭმუნველი.

ტურფა წალკოტო! ღვთისგან ხელთ--
-- ქმნილო!
ცოტა ხნით მაინც დავრჩები შენში,
გავისუფთავო გული და სული,
სუფთა ჰაერი ჩავღვარო ჩემში.

შენ ოქტომბერო! ვერ შეგელევი,
ხელით მოვხვეტავ შენს ფოთლის
მძივებს,
ნაზად გამშრალებს წიგნში ჩავმალავ,
დასალპობად კი არ მივცემ წვიმებს.

კოკისპირულად რომ წვიმდეს თუნდაც,
არ შევეფარვი ფოთოლთა ქოლგას,
მე ისეთი მხრის ჯიშ -- ჯილაგის ვარ,
ყოვლის ატანა ოდითგან მომდგამს.

„ოქტომბრის მთვარე"

გაღმა ხეებზე ჩამოდგა მთვარე,
ჩემს თვალწინ ხეზე მოიკალათა,
მაღლით,შავ ღრუბელს არიდებს სახეს,
ძირს ჩამობერტყა სხივთა კალათა.

ეს სასწაული როცა ვიხილე,
ვერ დავიძინე, ვუთიე ღამე,
მე ვესაუბრე ჩუმი ფიქრებით,
იდუმალმა კი არც მითხრა რამე.

შუაღამისას დაიძრა თითქოს,
ტანს ვეღარა სწევს,არ უნდა წასვლა,
ძლივს ჩამობრძანდა დედა- მიწასთან,
მგონი არც უნდა კვლავ ზემოთ ასვლა.

გამთენიისას აცურდა ცაზე,
არ გაასწორა ხეზე საწოლი,
კვლავ მობრუნდება ალბათ ამაღამ,
ჯერ გეგმები აქვს ,,გადასაწონი".

ის შუბლნათელი,წმინდა სახისა,
ის დედამიწის მეგობარია,
ამ უეცარმა ღამის სტუმარმა,
პლანეტთა წყობა არივ-- დარია.

და აი,კვლავაც ჩამოდგა მთვარე,
შორს,დიდ მუხაზე მოიკალათა,
მაღლით შავ ნისლებს არიდებს სახეს,
თან წამოიღო ვარსკვლავთ კალათა.....

საქართველოს!

მზის სადარო საქართველოვ გენაცვალე,
შენ მოგიძღვნი ულამაზეს ლექსებს,
 წარსულს, აწმყოს და მომავალს დაგილოცავ,
შენს მაგიურ ზღვას, მთებსა და ველებს!

ვენაცვალე შენს ღირსებას დალოცვილო,
შენს გარდასულ ისტორიას და წლებს,
შემოვევლე შენი მუშის მარჯვენასა,
შენი გლეხის გამრჯე, ყოჩაღ ხელებს!

გულგადაშლილ მტკვრის ნაპირებს ვეფერები,
ხშირად რომ დავდივარ ახლომახლოს,
შენს მთის კალთებს,
მის მწვერვალებს დაგილოცავ,
ქორბუდა და არწივი რომ სახლობს.

მთის წვეროდან გადმომცქერალ
ეკლესიებს,
შევავედრებ შენს თავს ტკბილო
ჩემო,
ვინატრებდი ჩვენ შვილებმა
 რომ შეიგრძნონ,
მშვიდობის, ბედნიერების გემო!

უღრუბლო ცას მზიანი დღე
გიმშვენებდეს,
ღამით მთვარე დაგხაროდეს ამალით,
შენ ჩემი ხარ საქართველოვ,
ღვთისმშობლისავ,
შენით ვიყავ, ვარ, ვიქნები ამაყი.

მიყვარს წვიმის სურნელება შენს
წალკოტში,
შენი თოვლის
სისპეტაკის მზერა,
უფლის ნებით უფრო
მეტად აყვავდები,
მე ამისი მჯეროდა და
მჯერავს.

დრო ქვიშის საათში

ქვიშის საათში დრო უცებ გადის,
კედლის საათში კი, იწელება,
თუმცა ყველა დრო ჩვენთვის განძია,
ის იწვის, მაგრამ არ იფერფლება.

დრო გაჩენიდან მოგვცა უფალმა,
დრო ბრწყინვალე და უძვირფასესი,
თუმცა ვერ ვხედავთ, უხილავია,
ღვთის საჩუქარი და უმტკიცესი.

დრო ჩვენია და ის ჩვენს ხელთაა,
თუმც არც ცეცხლია და არც მახვილი,
ჩვენ მას ვიყენებთ,მაგრამ ვერ ვთოკავთ,
ღმერთმა არ მოგვცა დროის აღვირი.

ვერ შევაჩერებთ დროს ვერასოდეს,
როგორც საცერში წყალს ვერ ვაჩერებთ,
დრო თვითონ გვმართავს, თვითონ განგვაგებს,
ის თვითონ ჩნდება, ჩვენ ვერ ვაჩვენებთ.

დრო ძვირფასია, ჩვენ არ ვაფასებთ,
სიბერეს მოდის დროის შეგრძნება,
ჩვენი სიცოცხლე და არსებობა,
ჩანს რომ სიყვარულს და დროს ეძღვნება.

დრო ხან ბევრია, ხან სულ არა გვაქვს,
ხან გავიშლებით დროის სივრცეში,
ხშირად მას ვკარგავთ, მერე დავეძებთ,
ხან ვიკარგებით დროის ზვირთებში.

ხშირად სხვას ვუთმობთ, სხვებიც გვითმობენ,
ხან უდროო დროს ფუჭად ვატარებთ,
თითქოს გვგონია დრო ჩვენს ხელშია,
თუმცა ის თავის ჭკუით გვატარებს.

დროს ხან ვამოკლებთ, ხან ძალით ვწელავთ,
 ხშირად დრო დგება სინანულისა,
დროს დიდხანს ვეძებთ, თუმც ის ხელთ გვაქვს,
დრო ახლობლების სიყვარულისა.

დრო ხომ ვრცელია, ჩვენ ვერ ვეტევით,
მას ვერ ვიბრუნებთ უქმად დაკარგულს,
დრო გვსურს მივირგოთ და დროში ჩავჯდეთ,
ხანაც მივსტირით ტყუილად დაფანტულს.

დროს არ აქვს წონა, მაინც მძიმეა,
ხან მსუბუქია, თითქოს ბუმბული,
მყარად გვიჭირავს, მაინც გვიქრება,
შიგ ვიკარგებით ყველა სულდგმული.

დრო ვრცელია და უკიდეგანო,
თუ ,,ძვირფასია"-- ერთი წამია,
თუ ველოდებით არა სასურველს,
იდუმალი და მძიმე ჩქამია.

ქვიშის საათში დრო უცებ გადის,
კედლის საათზე ის იწელება,
თუმცა ყველა დრო ჩვენთვის განძია,
ის იწვის, მაგრამ არ იფერფლება.

„გაზაფხულო გელი"

ო! როგორ გელი შენ გაზაფხულო!
შენზე იმედებს ვამყარებ,
გამომაცოცხლე, გამომადარე,
ჭმუნვა რაც მქონდა მაკმარე...

მე გაზაფხულო შენგან ბევრს ველი,
გული სიამით ამივსე,
ამივსე კალთა ლურჯი იებით,
მზის სხივებითაც გამივსე...

ჰო! გაზაფხულო შენგან ბევრს ვითხოვ
მე ხომ ზამთარში ვიწამე,
წინამდებარე დროს და სივრცეში,
თვალები ცრემლში ვიბანე...

„დედა შვილობა"

(ჩემი თვალთახედვით).

შენი წყალობით დედა,
მე აღმოვცენდი შენში.
წლები იზრუნე ჩემზე,
ქალი აღზარდე ჩემში.

მე შემალიე წლები,
ვარ გამართული წელში,
შენ კი შვილმა და წლებმა,
ბოლოს მოგხარა წელში.

შემომჭკნარ შენს მანტიას,
ვერას დააკლებს თქვეში,
წვიმაც კი ჩემთვის გინდა,
რომ მომაწოდო ფესვში.

მე კი მივიწევ მაღლა,
სიცოცხლე ხარობს წვერში,
შენი სისხლით ვარ სავსე,
ფესვში, ტანში თუ ფრთებში.

შენს სურნელებას ვაფრქვევ,
შენს ჩრდილს დავყურებ მზეში,
მე ვხარობ, შენ კი დაჭკნი,
ჩაგაგდე მე ამ დღეში.

მე გაგიმართლებ იმედს,
სხივებს აგინთებ თვალში,
შენს ადგილს მეც დავიკავებ,
დრო მიდის წლების თვლაში.

მე გაზაფხულო შენგან ბევრს ველი,
შენ გამიმართლებ იმედებს,
ახალ ჩანაფიქრს, ახალ იდეებს,
ვიგროვებ შენც მაიმედე...

ჰოდა,შენს მოსვლას იმიტომ ვჩქარობ
შენგან ბევრ რამეს მოველი,
ჩემთვის ორმაგი სიხარული ხარ,
შენთან ახლიდან მოვედი...

კარგა ხანია შენს ცას შევყურებ,
მზე ხომ სიცოცხლის გიდია,
შენს კაბადონზე ოქროს ბრწყინავი,
ჭაღად გულზე რომ გკიდია...

„ედელვაისი"

ჯიხვივით დასცქერს მთიან ქარაფებს,
კლდეზე ნაზარდი,ქვითგან ნათალი,
ამაყად მდგარი,გამოძერწილი,
კელაპტარია, კლდე კი შანდალი.

ცივი, ფარული სინაზე, ეშხი,
რა სასწაულმა უბოძა ნეტავ?
შეუდრეკელი, ფერშეუცვლელი,
სხვა ქმნილებებთან მის ქებას ვბედავ.

იდუმალი და განდეგილია,
რითი სულდგმულობს ვიცოდე მინდა,
არც მიწაზეა და არც წყაროსთან,
როგორი მხნე და როგორი წმინდა.

პირიმზის მოსვლას უფიცხებს ქვაგულს,
ვერც თავს აბეზრებს გრილი დაისი,
მარადიული, ქვაზე შერწყმული,
ედელვაისი, ედელვაისი...

* * *

ჩემი სისტემატიური, ყოველდღიური
პრობლემაა, დროის ფაქტორი,
უდროობა, დროის ძებნა, დროში
ჩაწვა და ასე შემდეგ, ჩვენი ყოველდღი
ური საფიქრალი და საზრუნავია.

ნანა ჩარკვიანი

ჯიუტი რითმები

ბაღდათის მთებიდან
აყრილან ნისლები,
თავს არ მანებებენ
ჯიუტი რითმები.
ნეტავი რა უნდათ?!
ალბათ თქვენც მიხვდებით
უნდათ რომ დავწერო,
ლექსებად მითები.
შევამკო ბუნება
ხოტბით და დიდებით.
ჭორიკანა ქარსაც
გავანდო ფიქრები.
სოფლის შარაგზაზე
ოცნებით მივყვები,
ნეტავ რას ფიქრობენ
შორს რომ სჩანს ის მთები.
ამ მიწას,ცას, ღრუბელს
სხვაგვარი ხედვით,
სხვაგვარი აღქმით,
სხვაგვარი მზერით.
ყოველ გათენებას
ოცნებით ვხვდები,
ვერასდროს ვერ დავთმობ,
ამას კი ვხვდები,
სადაც არ წავიდე,
მაინც დავბრუნდები.
რადგანაც სამშობლო
აქ არის ჩემი.
ბაღდათის მთებიდან
აყრილან ნისლები,
მთებში ჩამოთოვა,
ფარფატა ფიფქები.
მე კი,მომიბნია
სარკმელთან რითმები,
ძლიერ რომ მიყვარხარ
გითხრა თუ მიხვდები.?!

* * *

უთოვლოდ მიდიან
ეს ზამთრის დღეები,
ხან წვიმს,ხან ქარია
ხან კიდევ მზეები.

ნამთვრალევ იანვარს
წასვლა ეზარება,
მაგრამ სხვა რა გზა აქვს
ქარი ეძალება.

ცას დაკიდებული
მთვარე ემგზავრება,
სავალ გზებს უნათებს,
მგზავრი ებრალება.

იანვარს მისტირის
მართლა ენანება,
თებერვალს რა უყოს
ჩქარობს,ემზადება.

უკვე წამზომი აქვს
თებერვალს ჩართული.
ყინვის ლოლოები
თმებში აქვს ჩაწნული.

თრთვილი მოსდებია
მინდვრებს და ტყე ჭალებს.
ია მორცხვადა ხრის
ხის ძირში წამწამებს.

მოდი თებერვალო,
თოვლი მოგვიტანე.
თოვლის ფანტელები
თავზე დაგვაყარე.

სანამ გაზაფხულზე
კვირტი გაიშლება,
მერე არ მოთოვო,
თორემ შესცივდება.

უთოვლოდ მიდიან
ეს ზამთრის დღეები,
ხან წვიმს,ხან ქარია
ხან კიდევ მზეები.

ქარი

ღამეს შავი პერანგი
ტანზე შემოახია.
აუწეწა თმები და
ქუჩა ქუჩა ათრია.
ღრიალებს და ბობოქრობს
მგონი,ცოტა მთვრალია,
არ წყნარდება არაფრით
ამდენი რა დალია.
ქუთაისი,რომ უყვარს
ეჭვიც არ შემპარვია,
ქუჩებში დაბარბაცებს
ფეხარევით ქარია.
ბრუნავს როგორც ციბრუტი,
ფეხის წვერზე ტრიალებს,
რაც კი ხვდება ქუჩებში
ჰაერში აფრიალებს,
ჩემს ქალაქზე გიჟდება,
სულ ფანჯრებთან ტრიალებს
ქუთაისის ქუჩებში
ქარი დაწოწიალებს.
მგონი ცოტა მთვრალია
კოცნის ადამიანებს.
ქუთაისელ გოგონებს
კაბებსაც უფრიალებს.
მერე ჩავა რიონზე
და წყურვილსაც მოიკლავს
თეთრ ქვებზე ჩამოჯდება,
ცოტა სულსაც მოითქვამს.
აგონდება ის ღამე,
,,გალა" თავს რომ მოიკლავს.
მთვარეს ათრევს ქუჩებში
და დარდს ასე მოიკლავს.
ქუთაისის კოლორიტს
მეტი რა დარჩენია,
ქუჩაში ხეტიალით
თავი გადურჩენია.
ბევრის არის მნახველი,
დარდი შემორჩენია,
სიხარულიც უნახავს,
აღტაცებაც სჩვევია.
უხსოვარი დროიდან
ქალაქს შემოჩვევია,
ქუთაისი უქაროდ
ვერ წარმომიდგენია.

ჩემს მიწაზე დავაბიჯებ სხვანაირი ღიმილით

საქართველო სამოთხეა,
ღვთისმშობელი განაგებს,
ბავშვობიდან მასწავლიდნენ
ლეგენდებს და არაკებს.

ქართველი სულ თავს იცავდა,
აბა ვის რა წაართვეს,
მაგრამ არ უშინდებოდა
მომხვდურ მტერს და წარმართებს.

ეს ქვეყანა,ულამაზეს
ქალწულივით მორთული,
ჩვენი მიწა,წინაპართა
სისხლით არის მორწყული.

ვერაფერში ვერ გადავცვლი
მამაპაპის საძვალეს,
ოდითგანვე ვენებს გვჭრიდნენ
სისხლისგან ვერ დაგვცალეს.

თუმცა,შესძლეს ნაწილები
სხეულზე აგვაცალეს,
მოთმინების მწარე თასი
სულ ბოლომდე დავცალეთ.

შინაური შადიმნები
მტერზე მეტი დავთვალეთ,
ფენიქსივით წამოდგება
საქართველო, აცალეთ...

როცა დილა მითენდება,
ქართული მზის ნათებით.
როცა,შენს ცას ანათებენ
მთვარე და ვარსკვლავები.

დაგასველოს მთვრალმა
წვიმამ,
თუნდაც ქროდეს ქარები.
სხვანაირად მიციმციმებს
სამშობლოში თვალები.

სამშობლოში ყოველგვარი
გავიწყდება ტკივილი,
ჩემს მიწაზე დავაბიჯებ
სხვანაირი ღიმილით.

ღვთისმშობელო! შენი კალთა
მოწყალების დაგვხურე,
ერთიან საქართველოში,
ჩვენს მამულს გვამსახურე.

ჩემი ქუთაისი

ისე ვინ ჩაგეხუტება
ან სიყვარულს ვინ აგიხსნის,
ისე ვინ მოგეფერება,
როგორც ჩემი ქუთაისი.

გაშვილებულ ემიგრანტებს
მოთმინებით დგას და გვიცდის,
ისე ვინ დაგელოდება,
როგორც ჩემი ქუთაისი.

ვინ გიმღერებს ლამაზ ჰანგებს,
ლამაზ ლექსებს ვინ მოგიძღვნის,
ვინ დაგითბობს ნატანჯ სულს და
ალალ სუფრას ვინ გაგიშლის.

ქეიფისთვის ვინ განგაწყობს
და საღერღელს ვინ აგიშლის,
მაინც გამორჩეულია
ძველთაძველი ქუთაისი.

მისი,ჭომა, საფიჩხია,
ბაგრატი და ბაღის კიდე,
ერთხელ თუკი ესტუმრები,
მოგინდება ნახვა კიდევ.

რიონი ქვებს ეხეთქება
და უწეწავს ქოჩორს სიო,
აქ ლექსები უწერიათ
აკაკის და გალაკტიონს.

მიყვარს,მისი ქუჩები და,
მისი აის დაისი.
ჩახუტების,სიყვარულის
ნანატრი ქუთაისი.

მის ქუჩებში, მზეა მუდამ
დარია თუ ავდარი,
საქართველოს სამოთხე და
გადაშლილი ბაღნარი.

ისე ვინ ჩაგეხუტება,
ან სიყვარულს ვინ აგიხსნის
ისე ვინ მოგეფერება,
როგორც ჩემი ქუთაისი.

სამშობლოს სურნელი

შენი მთა, ბარი,ქედები
გაფანტულ შვილებს სულ ელის,
ბედნიერი ვარ,რომ მათრობს
ჩემი სამშობლოს სურნელი.

გეფერები და არ მყოფნის,
დაკარგულს ვერ დავეწიე,
ჩემს მონატრებულ სამშობლოს
ათი წლის შემდეგ ვეწვიე.

აქ სულ სხვაგვარი სითბოა
ზამთარშიც სულს ,რომ გაგითბობს.
ქართველი ისევ ქართველობს
და ძმურად ლუკმას გაგიყოფს.

არსად არ არის ასეთი
ჰური,ღვინო და მარილი.
შენი სიშორით ვინ იცის
რა ცრემლები მაქვს დაღვრილი.

ვერ ვტკბები შენი ცქერით და
შემოვიარე მთა- ბარი.
შენა ხარ ჩემი სამოთხე
და საოცარი ზღაპარი.

მინდა რომ წარმატებისკენ
გზას გინათებდეს ლამპარი.
მოყვარეს გულს უხარებდე,
მტერს გულსა სცემდეს ლახვარი.

შენგან შორს ყოფნით დარდისგან
თითქმის ყოველდღე ვკვდებოდი,
ასე ძლიერ თუ მიყვარდი
აქ ამას, ვერ მივხვდებოდი.

ვერ მოვიჯერე ჯერ გული
შენი ცქერით და ფერებით.
ღმერთმა გვიმრავლოს ქართველებს
თბილი და ტკბილი დღეები.

მამუკა ოჩიაური

ქეიფი დილამდე

ხევსურულ კუსერბოს* ამზადებს დიაცი,
ჭელადაც* სავსეა არაყით პირამდე,
ითოვებს, ზამთარმა ცას ნისლი ჩააცვა,
სასმელი გვეყოფა მე და შენ დილამდე.

ჯიხვის მწვადს შეგიწვავ, შევავსოთ ყანწები,
სიჩუმეს სიფხიზლის წავართვათ დროება
ბახუსში ნელ-ნელა ეს ღამეც გაცვდება,
გაცვდება მოწყენაც და ამაოებაც.

და მერე ფანდური, პაპისგან გათლილი,
ჩაიდგამს ენას და იღვრება ჰანგებად,
ქაზდარზე* ტაბლა დგას, ზედ სუფრა გაშლილი,
მწვადს არაყს ვაყოლებთ ყელი თუ გაშრება.

და შენი თითებით ფანდურის სიმები
ირხევა, გამოსცემს ჰანგს ძველს და დარდიანს,
ჭელადის ყელზეა არაყის მძივები,
ორნი ვსვამთ, ბახუსის ფიფქები ბარდნიან.

სკავრადით* კუსერბო, არაყი ჭელადით,
შემოგვრჩა ქადისკვრის* სულ ექვსი ნაწვრეთი*,
მე და შენ ბახუსის მაღლობებს ვსერავდით
და მერე ტაბლასთან წარსულსაც ვაწევდით.

ვიგონებთ წინაპრებს, მტრებისგან აჩეხილს
ვიგონებთ წინაპრებს ვინც მტერი გათელა,
ვაწვეთეთ არაყი ხმიადებს დატეხილს,
ვუსურვეთ მათ სულებს ნათელი სანთელად.

ეს ღამე მე და შენ ქეიფში გავლიეთ,
სულ მცირე დრო დარჩა ცისკრამდე – დილამდე,
დასასრულს ჯვარ – ხატის დიდება დავლიეთ
და მერე წახვედი ღიღინით შინამდე*.

ქართველ მფრინავებს

/ ლექსს ვუძღვნი ყველა ქართველ მფრინავს, განსაკუთრებით სასაზღვრო პოლიციის მფრინავებს /

ტრიალებს ფრთები, გეწევა ცისკენ
ცისკენ, რომელიც მიწის ხიდია,
მიფრინავთ ჯიქურ, მიფრინავთ მზისკენ
და თქვენი ბედიც ფრთებზე ჰკიდია.

დაბლა ხავერდად გაშლილა მიწის
ჭრელად ნაღები ვრცელი საბანი,
არავინ იცის, არავინ იცის
ნისლებისა და ღრუბლის გზაკვალი.

აგერ ჭაღარა მთები მოჩანან
და ხეობებში წყალნი მიდიან,
ქარი ასკდება ვერტმფრენს ოჩანად,
ზეცაში რისკი მართლა დიდია.

ტრიალებს ფრთები, წივის და ღელავს,
ზეცა რჩეულთა არის საუფლო,
ზეცის ლაჟვარდი ზღაპრულად ელავს
გინდა მაღალ მთებს გაესაუბრო.

და მოჭარბებულ ზღვა ემოციებს,
ქედად ზეცა აქვს წამოზვინული,
მზერას ხან ათბობს, ხანაც აციებს
ჭაღარა მთებზე ლურჯი ყინული.

გფარავდეთ ღმერთის უბე და კალთა
მუდამ ლაღებს და მუდამ მცინარებს,
უშიშრად მდგომებს ამ ზეცის კართან
ყოველთვის ვლოცავ ქართველ მფრინავებს.

კუსერბო* (ხევსურ) – ტაფაზე მოცხელებული ყველი და ერბო.
ჭ(ხ)ელადა* (ხევსურ) – დოქი
ქაზდარი* (ხევსურ) – მიწის იატაკი
სკავრადა* ("სკოვოროდ" ბარბარიზმი რუსულიდან, ხევსურეთში შეცვლილი ფორმით) – ტაფა
ქადისკვერი* (ხევსურ) – ხორციანი ქადა.
ნაწვრეთი* (ხევსურ) – დაჭრილი ქადის მეოთხედი
შინამდე* (ხევსურ) – სახლამდე

ბროლია

ღამეა, თოვლს ურევს, აცივდა ისევე,
მოვდივარ, მომყვება ფეხდაფეხ ბროლია,
ზარმაცობს ბროლია, ხშირ-ხშირად ისვენებს,
ზამთარი დაგვიდგა, კოჭამდე თოვლია.

ხანდახან შეუღრენს ბროლია უკუნეთს,
ან იქნებ ნადირიც ლანდივით მოგვყვება,
ნათელი თვალებით მიდამოს უყურებს
პატრონის ერთგული ბრძოლაშიც მოკვდება.

ზაფხულში დაჰყვება ცხვრის ფარას ბროლია,
ის ფარის იმედად რამდენჯერ დატოვეს
ერთხელ კი იომა დათვებთან ძალიან,
მშრალ ხევში ბროლია დათვებმა დატორეს.

გადარჩა, ეომა მხეცს მუხლმოუყრელი,
ნაფლეთი სხეულიც ნელ ნელა გამთელდა,
მთელ ღამეს ვეძებდი და მერე ყეფაზე,
ვიპოვე ბროლია, როდესაც გათენდა.

ღამეა, თოვლს ურევს აცივდა ისევე,
მოვდივარ, მომყვება ფეხდაფეხ ბროლია,
ზამთარი სიცივით ზამთრობას იფერებს,
წვრილად თოვს და ირგვლივ კოჭამდე თოვლია.

სამშობლოს

ჩაგწიხლა წუთისოფელმა
ნარ – ეკლიანზე გატარა,
ვითომ სამზეოს მყოფელმა,
კარგი ვერ ნახე პატარა.

არ გისრულებდა ნაფიქრალს
საწუთრო ავად მზირალი,
ვერ იგებ ვიღას აკუთვნო,
გული მბორგავი, მტკივანი.

ჩარხი კი ისე ტრიალებს
საწყისი აღარ იგება,
არ უნდა ადამიანებს
მართლის ნახვა და მიგნება.

ეშმასთან წილგაუყრელად,
დადგა მსურველთა რიგები,
არ აქვთ სურვილი ურყვნელად
გამოსავალის მიგნების.

ჩამორღვეულა მამულის
გალავნის დიდი ნაწილი,
ვივიწყეთ მარადჟამული
გმირები თავგანაწირი

ჩვენს,
ვანაცვალეთ უცხოთა
წესი, ადათი, რჯულია,
ნგრევას ხელს ვინაც უწყობდა
აქვს გავლენა და ფულია.

მიწა წმინდა და მართალი
გროშებად გაგვიყიდია,
გვძალავს ბოროტი, ავთვალი,
გვიპყრობს ბნელი და ბინდია.

ნელ – ნელა უფრო
ვეფლობით,
მამულში გავხდით მდგმურები,
მუდამ ნაქებნი ერთობით
დღეს ჭკვას გვარიგებს
"სტუმრები".

სხვადასხვა სარწმუნოების
მრავალი გვიდგას ტაძრები,
ბოროტო ამა დროების
რა ასპიტივით დაძვრები.

ვითომ ხარ თავისუფალი,
ჯვრისაც არა გწამს ხატობა,
შემგინებელი უფალის
მასწავლის ტოლერანტობას.

არადა ყველა ნაღ ქართველს
დღეს, ჯვარი დაგვაქვს უბითა,
განგმირავს წმინდა გიორგი
ავსულს და ბოროტს შუბითა.

ვაიმე, გულო მტკივანო
მალამოდ ესღა მედება,
უფალს, ღვთისმშობელს
ვლოცულობ
მშველელად მეიმედება.

ჩაგწიხლა წუთისოფელმა
მამულო ვეღარ გიწამლე,
უფალო შენღა შემომრჩი,
მშველელად შენღა გიწამე.

აღსდექი, გმირო ქართველო
მუმლია შემოსეული,
ათასი ჭირის მნახველო,
დაგინაძოძეს სხეული.

დრო კი ჯიშიან ქართველებს
სხვა მხარეს მიერეკება,
ათასი ჭირის მნახველებს
ოდეს გვეშველოს ეგება.

ისევ იმედად უფალს და
ისევ იმედად მარიამს,
შევთხოვთ, გვაკმაროს უხამსთა
ბოგინი – ბოლო მწარია.

მამულო ჩემო მამულო,
ათასჯერ ანაოხარო.
მწამს ქრისტესავით აღსდგები
დღეს გულმწუხარე ნუ ხარო.

ეთერ ისაკაძე

პრომეთეს მღვიმისა და ბაგრატის მოლოცვის შემდეგ

აი თურმე,
რად ,,ბლატაობს''
იმერელი,
,,სიმონ, სიმონ''
გაიძახის
დღე და ღამე,
დგას ბაგრატი,
გელათი და
მოწამეთა,
იაკობო,
რად გაყუჩდი
მითხარ რამე?!
მიწის ზევით
თვალდანახულს
სად წაუხვალ,
მიწის ქვევით
რა ჰქონიათ
შენც ხომ ნახე,
აი, წყვილებს
ელოდება
იმ მთის
ქიმზე,
ნაზიბროლას,
ამირანის,
,,მოდი ნახე!"
აქ სხვა მადლი,
სხვა ეშხია
იმერული,
საოცრებებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ წუთში,
სათაფლია,
დინოზავრის
ნაკვალევი,
საოცრების
საოცრება,
მიწის
გულში!
წყალტუბოში
მიწის ქვეშეთს
,,დავიშოკეთ,"
იმ მღვიმეში
გავათიო
მინდა ღამე,
აქ პრომეთე
არაფერ არ
შუაშია,
სასწაულებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ
ღამე!
გაზაფხულზე
გულს გადაშლის
საპოვნელა,
საწერეთლოს
დაუდგება
წინა რამე?!
ამ მხარეში
არხევს სიო
იასამანს,
გალაკტიონს
უწერია
,,მე და ღამე!"

06. 10. 15

მოდი უფალო

ბეთლემის ბაგად
ვაქციე უბე,
მოდი უფალო,
გთხოვ დაიბუდე...
ეს გზაა სწორი
სხვა გზაა მრუდე
მოდი უფალო,
შენ გაიკეთე
ჩემს სახლზე ბუდე...
ბოროტებასთან
დამღა და ზღუდე,
მოდი უფალო
ძლიერ მჭირდები
უმორჩილესად
გთხოვ დამიბრუნდე...
მსურს განვიბანო
ცრემლით აივსო
ჩემს თვალთა უპე,
მოდი უფალო
შენ მანუგეშე
დამიშრე გუბე...
ბეთლემის ბაგად
ვაქციე უბე!

25. 07. 2013

რეკავს ზარები

კრძალვით ვეახელთ
გარეჯის ქვაბულს
და, ზიარება
მივიღეთ დიდი,
იქ სადაც წინათ
ჩვენს დიდ მეფეებს,
აღმოხდა ლოცვა
მხურვალე, მშვიდი...
რას ვეტყვით წასულთ...
თუმც გვანაწევრეს,
გული კვლავ გვიძგერს
ცეცხლით ანთილი,
კვლავ იდავითებს,
კვლავ ივახტანგებს,
კვლავაც ფრთებს გაშლის
ლაღად არწივი!
სანამ ბერები
იდგება ქვაბულს,
და დიდ უდაბნოს
რეკავს ზარები,
არ მოიშლება
მომსვლელი ღმერთით,
ღრუბელს გაფანტავს
გარეჯს ქარები!
11. 11. 22

ცხოვრება ერთი წამია

მე ვარ ნატეხი ფოლადის,
გრდემლზე ჩაქუჩს რომ
ურტყამენ,
მერე ცეცხლში რომ აგდებენ,
მერე ზედ წყალს რომ უსხამენ!
ხან ცხენს აჭდობენ
ფლოქვებზე,
ხან ხმალია და, ხან ფარი,
ხანაც ნამგალი მთვარისებრ,
მწიფე თავთუხის სამკალი!
ხანაც გვირილას ვემსგავსე,
მლეთას, ლომისას მთაზედა,
ყველა დაგლოცოთ უფალმა,
მიმომავალნი გზაზედა!
ცხოვრება ერთი წამია,
დავტკბეთ ამ დროის
მშვენებით,
გულში ავაგოთ ტაძარი,
დავკავდეთ მისი შენებით!

03. 02. 21

შენ მეუბნები...

შენ მეუბნები
პოეტი ხარო,
მე კი ... პოეტი
სულ სხვა მგონია,
ზოგს როგორ
მოსწონს,
როგორ ჩემულობს,
ზოგისთვის მხრებით
მძიმე ლოდია!
მე მირჩევნია
ვიყო რიგითი,
გითხრა სათქმელი
ლექსად, კაცურად,
ხან მოგეფერო
გურულ-მეგრულად,
ხან შეგახსენო
თავი – რაჭულად!
ხან წაგიყვანო
გერგეთს – სამებას,
ხან – ხევის პირას
განახო – ნიში,
გიამბო – ჰერეთს,
ქურმუხს სალოცავს,
როგორ ლოცულობს
ქართული ჯიში!
ხანაც მწვერვალზე
გაფრინო მაღლა,
განახო ჩვენი
სალოცავები,
როგორ ჩააცვეს
ტაოში ძაძა,
ფაჩუჩგახდილი
ცოცხლად დამწვარი
მომლოცავები?!
ქვათახევს ტაძარს
დღესაც ამჩნია,
ბერების კვალი,
სისხლის წვეთები
ელვარებს წითლად
არ უნატრიათ
სხვა
ნატვრისთვალი!...
ხორცი დაიწვა
სული კი არა,
ენა დაიწვა
სიტყვა კი არა,
ბერი დაიწვა
ლოცვა კი არა!...
ახლაც დის წყარო
კავთულას ხევში,
მრავალმა წელმა
გადაიარა,
საუკუნეებს მიღმა
მალულად,
კვლავ ინახება
ძველი იარა!
ძამის ხეობას
საძვალე ვნახე
წმინდა მამების
თავისა ქალა,...
სანახავს ქვეყნად
ღმერთო რა დალევს
ამ ეტაპისთვის
მგონია კმარა!
25. 06. 2019

კაბადოკია

იღვენთებოდა სანთლები კლდეში,
ქვიშას ერწყმოდა ცრემლთა ნაჟური,
ფრინველს დაედო ბუდე გუმბათზე,
მერცხლის ბარტყია ღვთისგან ნაპკური!
ვიდექი ქვაბულს პარაკლისს აღვლენს,
ჩვენი მამაო უფლის ჯვრით ხელში,
ვინ იცის ბოლოს ვინ იდგა ტაძარს,
იქნებ გიორგიც იყო იმ მრევლში?!
დიდ წმინდანების სოფელს ვეწვიეთ,
გულანთებული მრევლი ნინოსი,
ხეობას კლდეში დედა ვიხილეთ,
ყრმა ჰყავდა ხელში, კაბით ტილოსი!
მადლიან მიწას, ნანატრ ოცნებებს,
ფრთები შეესხა, შევახეთ ხელი,
ეს არ ითქმება, არც იწერება,
ამბავი არის საოცრად გრძელი!
გორემეს გულში ქალაქი ვნახეთ,
მიწას ეჭამა ხორცი მავანის,
აქეთ და იქით ჩონჩხიღა დაგვხვდა,
იდუმალება ქვეშეთს სავანის!
წმინდა გიორგის საგმირო საქმე,
ცაში აზიდულ კლდეებს ამჩნია,
ჩვენცა გვაქვს კლდეში ნაკვეთი სული,
ჩვენი თამარი, ჩვენი ვარძია!
მესვეტის ღაღადს ისმენს უფალი,
აქვეა ვაზი მტევნებდასხმული,
გადაფოფრვია, ჩაკვრია ფესვებს,
სულ დაბლნარია, მიწას განრთხმული!
იდუმალებით სავსე ქვეყანა,
მიზიდულობის ძალა ართქმული,
მხურვალე ბერთა ცრემლთა დინებით,
ქვიშად ქცეულა მიწა ტანჯული!

04. 07. 2016

სამების მთებში დაქროდა სიო

მე შევიმოსე
ნეტარი სხივით
და უთეთრესმა
ნისლმა დამფარა,
მე არ ვიდექი...
ჰაერში თითქოს
ანგელოზებმა
ხელით მატარა!
მამაო პეტრე
მამკობს ლოცვებით,
მაყენებს მაღლა,
დიდ კორიფეზე,
მე არც კი ვიცი
რა ჰქვია ამას,
დავფრინავ სადღაც
ცის ჰორიზონტზე!
ჩემი ბაგენი
მე არ მეკუთვნის,
თითქოს- უფალი
ამბობს
ჩემს სათქმელს,
აქ აფასებენ
მშობლიურ კუთხეს,
ჩემს ნამოღვაწარს,
ნაწერს, ჩემს საქმეს!
დიდი პოეტის
მუზეუმს ათბობს,
ტკბილი სიტყვები
გმირ პოეტების,
ქალბატონები
გულში მიკრავენ,
მუზას შერწყმია
ხმა ,,სონეტების''!
ჩოხოსან ვაჟკაცს
უჭრის სიტყვა და
სულხანის სისხლი
ძარღვებს ამჩნია,
გაშალეთ დროშა
მეფე თამარის,
კვლავ იტყვის
სათქმელს
დიდი ვარძია!
,,ოჰოი ნანა''
ბიჭმა იკითხა...
უთამაშებდა -
ძარღვები სხეულს,
ისე იკითხა,
ისე იკითხა,
შესძრავდა -
ცხრა მთას
ბუმბერაზს,
გრძნეულს!
ისმოდა
ხვეწნა – მუდარა
კაცის,
ოთხმოცი წელი
მოაქვს ბეჭებით,
გემუდარებით
შეუნდეთ ერთურთს,
თავს ნუ გაუტეხთ
ქვებით, კეტებით!...
სამების მთებში
დაჰქროდა სიო
და, შრიალებდა
გაღმა ვერხვები,
ასეთ საღამოს
გამართვის შემდეგ
ხალხნო –
აროდეს
არ დავბერდები!

18. 05. 14.

ლია კუპატაძე

გაუმარჯოს მამებს

ქარი დედის ხმით ნანას იმღერის,
მამის ხმაზე კი ვერვინ საუბრობს,
მამა უთქმელ დარდს გულით ატარებს,
შვილებო, მამებს უნდა გაუგოთ!

განა მამები ან არ დარდობენ?
ნუ დაიჯერებთ რომ არ ტირიან,
ან არ ფიქრობენ შვილებს რომ უჭირთ?
მაშ გულჩათხრობილ რისთვის დადიან.

ნუ აწყენინებთ შვილებო მამებს,
ნუ აგრძნობინებთ მათ უთქვენობას,
ნუ ჩაუშხამებთ სიცოცხლის წამებს,
ნუ დაივიწყებთ მამის მეობას.

დედას ვერ შეცვლის ფაქტია მამა,
დედა ამ ქვეყნად ერთადერთია,
ნუ გეწყინებათ მამებო რადგან...
მშობელი დედა ჩვენი ღმერთია.

მაშ გაუმარჯობს მამებს შვილებო,
დავლოცოთ მისი გულის ფიქრები,
უმამოდ ყოფნა იცით? ძნელია,
ამას დრო მოვა მაშინ მიხვდებით.

ის დედა მინდა დავლოცო ახლა,
მამის ამაგის შვილთან მაქები,
მამის საფლავიც მინდა დავლოცო,
სადაც დაუნთო შვილმა სანთლები.

ის შვილი მინდა რომ ვადღეგრძელო,
მამას გვერდით რომ უდგას დამცველი...
და როცა მამა გარდაეცვლება?
არ დაივიწყოს მისი სახელი!

ახლიდან

ისევ შეგიყვარებ თუკი მომენდობი
ისევ ავმღერდები თავიდან.
ისე გავლაღდები, მერე გავღმერთდები
ცრემლებს მოგაცილებ თვალიდან.

მერე გასეირნებ თეთრ ღრუბლებთან,
პეშვით მზის სხივებსაც მოვზიდავ,
ოღონდ დამიძახე, ოღონდ მიპასუხე
შენთვის უკვდავებას მოვიტან.

და ამ სიყვარულში ისე ჩაგძირავდი
გრძნობებს აგიმღვრევდი თვალიდან,
თუკი დამიჯერებ თუკი მომენდობი
შევკრათ სიყვარული ამ დღიდან.

ისევ შევიყვაროთ ერთმანეთი
ამ შანსს ნუ გავუშვებთ ხელიდან
მხოლოდ სიყვარული გვაცოცხლებსო...
მისი დაბადება ახლიდან.

მითხარ მითხარ

გაზაფხულის მახარობლად მოევლინე,
თბილ ქვეყნებში რომ მიფრინავ მე აქ გიცდი.
იქნებ ჩემი გაზაფხულიც მომიფრინო,
არ გაგამხელ გჯეროდეს რომ არსად ვიტყვი.

მოდი ერთი საიდუმლო გაგიმხილო,
წლები არის ჩემს სახლში გაქვს შენც ხომ ბინა.
დღეს მომინდა შნთან ერთად ვისაუბრო,
მიპასუხე რომ მიდიხარ სად მიფრინავ?

გთხოვ მიფრინდე შენ იმ სახლის აივანზე,
სადაც ჩემი გაზაფხული ახლა ხარობს.
დააკვირდი როგორ არის, რას აკეთებს...
და დასტყუე ჩემზე სიტყვა ხომ არ ბრაზობს!

ყველაფერი მოუყევი რასაც გეტყვი
თუ ვახსოვარ, თუ ვუყვარვარ და თუ ხარობს...
ის ბავშვობაც შეახსენე მას თუ ახსოვს,
იქნებ სულაც დავავიწყდი აღარ მყვარობს.

და რას გეტყვის საპასუხოს მითხარ, მითხარ...
ერთი სიტყვაც არ დააკლო დამიმალო.
წელს თუ არა გაზაფხული შენთან ერთად,
საგაისოდ იქნებ მაინც მომიყვანო.

თეა გურგენიძე

*****

თვალებზე მომდგარი ცრემლები,
ლოყებზე ხტებიან ციმციმ...
ხატის წინ მუხლებზე ვეშვები
და სანთლის მაგივრად ვიწვი.
შენს სახელს ბინდისფრად მიჩრდილავს
თვალებში ჩამდგარი ნისლი.
არც ჩემი, არც ვინმე სხვისი ხარ,
არც შენზე ოცნებას მიშლი.
ეს გული მზის ალზე კი არა,
ოცნების კოცონზე იწვის...
აჰა და, გავბედე: – „მიყვარხარ!“
გავტეხე ჩემს თავთან ფიცი...
ერთხელაც ცის მაღლა ამიყვანს
ნისლივით სათუთი ფიქრი...
მე სხვა მზე, მითხარი, რად მინდა,
შენს თვალში მე მზეებს ვითვლი!

* * * * *

შენ დამიტოვე უძილო ღამე,
სარკმელში მთვარე, როგორც სანთელი
და არც ნუგეშად არ გითქვამს რამე,
თითქოს არც იყავ, ისე წახვედი...
შენ დამიტოვე ფიქრის ღრუბლები,
თვალებზე ცრემლად დამდნარი დარდი...
ქარი მოძვრება ცივად უბეში
და ხვალის იმედს ხელიდან მაცლის...

წავიდეთ

წავიდეთ, დავკრიფოთ ტყის პირას ენძელა,
გაზაფხულს თვალებში ჩვხედოთ ურცხვად.
გეტყვი, რაც ვერასდროს გავბედეთ ვერცერთმა
და რის თქმაც, წლების წინ, ორივეს გვსურდა.

მე ვიცი

მე ვიცი, უშენოდ ცხოვრება დამღლის და
სიცოცხლე დაკარგავს ფერს.
დღეს თუ ოცნებაზე გონება წამიცდა,
მადლობა ამისთვის ღმერთს.
ავყვები ფიქრებს და ზეცასაც ავცდები,
ფიქრით აგიყოლებ შენც,
რომ ერთად დავთვალოთ თითებზე წამები,
რომლებიც გვათბობს და გვრევს.
მე ვიცი, უშენოდ ცხოვრება დამღლის და
ამიტომ არ გიშვებ ხელს.
ერთხელაც იქნება, გაგიყოფ საფიქრალს,
დარდით გაგითეთრებ თმებს.
ერთხელაც იქნება, იმდენი გავბედოთ,
თვალი გავუსწოროთ მზეს,
იქ, ცაზე მოვნახოთ სხივები საჩვენო,
მადლობა შევწიროთ ღმერთს.

ჩემი წილი გაზაფხული

ჩემი წილი გაზაფხული
მთებს შემორჩა რატომღაც
და გვირილებს მიგზავნიდა
ზამთარი რომ მათოვდა.
ჩემი წილი გაზაფხული,
ჩემი წილი იმედი,
კი არ მთხოვა, თავად, ჩემით,
თეთრ მწვერვალებს მივეცი.

თოვს

თოვს... თითქოს სულში აცივდა უცებ,
თოვს და ფიფქებმა გზები დამალეს...
რომ ვერ მივიდე საბრალო ღმერთთან?..
ვეღარ მივბრუნდე ვეღარც სახლამდე?..
ტირილით ვითვლი თმებზე დაცემულ
იმედის ციცქნა, რძისფერ ნამცეცებს
და ამ ყინვაში, როგორც ბეღურა,
ვდგავარ და თვალებს უხმოდ ვაცეცებ.
თოვს... თითქოს სულში აცივდა უცებ,
თოვს და იმედებს ვმარხავ ამ თოვლში.
გაციებულა სულში ოცნება
და ვნატრობ იმ დროს, როცა მახსოვდი.

უფალო

უფალო, შენ გენაცვალე,
რა კარგად წონი ცოდვა–მადლს.
ზოგს თუ ტკივილით აავსებ,
ზოგს უცისკროვნებ მომავალს.
შენგან დადგენილ სამართალს
ვერ გავექცევით ვეღარსად,
„შვილიშვილს მოსჭრა კბილები,
პაპის ნაჭამმა ტყემალმა“.
გავიფიქრებ და მიწიდან
ცისკიდეს რიდით ავხედავ.
დედამიწას რომ ვაბიჯებთ,
ესეც ცოდვაა რამხელა.
უფალო, შეგვაძლებინე
სიკეთით–მადლით ავსება.

შენ, გულო!

ზეცაში მითვლიან მიწიერ ნაბიჯებს,
იქ, სადაც გრამობით წონიან ცოდვას.
შენ, სულო, ცისკიდეს ფეხი არ დაგიცდეს,
გზადაგზა საშველად დაგაწევ ლოცვას.
შენ, გულო, ბოლომდე გაძელო ოღონდაც!
ოღონდაც ღალატის არ გქონდეს ფიქრი
და ჩემში უდროოდ ნუ ჩაკლავ გოგონას,
ცხოვრების წყვდიადში სანთლად რომ იწვის.

*****
შენ რომ არასოდეს დააბიჯებ,
იმ გზას მივუყვები ჯიუტად.
ამ გულს ბევრერ უღვთოს გაწბილებულს
უფალს ტახტრევანთან მივუტან.
შენ რომ არასოდეს მომიყვები
ზღაპარს, რა ამიხდენს თუ იცი?
ახლა შენი დროა, მაგრამ გასაკვირად
ჩემდა, აირჩიე დუმილი.
შენ რომ არასოდეს მოინატრებ,
შენ რომ არასოდეს შეხედავ,
სწორედ ის თვალები გიტირებს და
ბოლო შეხედვასაც შეგბედავს.

შენ იცი?

შენ იცი, შენამდე სავალზე
რამდენი გვირილა გავთელე?
რამდენჯერ ცრემლებით ვიბანდი
ამ თვალებს – ღამეებნათენებს.
შენ იცი, დილიდან ღამემდე
წამები საათებს უდრიდა
და ამ გულს, უშენო სავალზე,
სიცოცხლე კაპიკად უღირდა.
იცი, რა? შენ უნდა იცოდე,
რად მიღირს შენს პირზე ღიმილი,
რომ დღეებს, უშენოდ განათენს,
ეშმაკი თავისად მიითვლის.

ბაბოს სახლი

ბაბოს სახლის მორღვეული ღობე
და ჭიშკარი, მე რომ რიდით ვერ ვუსწორებ თვალს.
წარსულიდან, აჩრდილივით, კვლავ ფეხდაფეხ მომდევს,
დაუნდობლად მაწამებს და მკლავს.
ბაბოს სახლზე გამობმული ჯაჭვი,
დაჟანგულა, დადუმდა და აღარ იღებს ხმას.
უბაბოოდ დარჩენილი, მორღვეული ღობე,
ვერ აკავებს, მოძალებულ, შემოდგომის ქარს.
ეზოს კართან სიბერისგან წაქცეული თუთა,
უმოწყალოდ, ზედ დაეცა ჩემს უდღეურ დარდს.
გულო, ესეც მოთმინებით აიტანო უნდა...
მერე რა, თუ ჩემს ბავშვობას ხვალ ნასახლარს დაუძახებს სხვა?!

*****
ჯოხის ცხენზე გადამჯდარი
სიყმაწვილე გამიფრინდა.
წლებს თითებზე ვეღარ ვითვლი
მაისამდე მაისიდან.
ოხ, სიცოცხლევ, რა გამიხდი,
მზე ცისთაღზე ამიტირდა.
დავდივარ და დამაქვს შიში
მაისამდე მაისიდან.

ქეთი ჯაში

* * *

ოჰ, როგორ მიყვარს "წკიპინი" შეშის,
ბუხარში ცეცხლს რომ ეკამათება...
მიყვარს მოსმენა გულის ძახილის
და შენს მკლავებში მოკალათება.

მიყვარს ზამთარში თოვლის სითეთრე...
და თბილ ბუხართან მე და შენ, ორნი...
ფიქრები დროში გადავითეთრე
და ცალკე დავრჩით ისევ ჩვენ, შორნი.

მიყვარს ბუხარში "წკიპინი" შეშის,
ცეცხლს რომ აუბამს ტანგოს რითმულად,
მიყვარს ფანჯრებთან ქარი რომ კვნესის
და მოფარფატე ფიფქი მდიდრულად

შემოაფარებს სითეთრეს ირგვლივ,
ბუხრის ალისგან არე ნათდება,
მიყვარს მოსმენა მე გულის რითმის
და შენს მკლავებში მოკალათება...

სიტყვის ძალა

* * *

სიტყვას?!
სიტყვას ის ძალა აქვს
უცებ შეუძლია გაგცეს,
ხან ბავშვივით აგატიროს,
ხანაც უმოწყალოდ დაგცეს.

სიტყვა თქმული ენა ბასრით,
გულში ლახვარივით ჩაგცეს,
სიტყვამ ძმა ძმას გადაჰკიდოს,
სიტყვა უმოწყალოდ დაგწვდეს.

მაგრამ....
ვგონებ, მნიშვნელი აქვს.
სიტყვას თქმული რომელ ბაგით?!...
სიტყვა ბილწი,
სიტყვა ძუნწი,
სიტყვა ტკბილი,
როგორც თაფლი.

სიტყვას?!
სიტყვას ის ძალა აქვს
გული სითბოთი აგივსოს,
დაგანახოს თეთრზე შავი,
სიყვარულზე დაგაფიცოს.

სიტყვა თბილი,
სიტყვა ტკბილი,
ამოიყვანს ხვრელით გველსა,
სიტყვა სიყვარულით თქმული,
შეგაყვარებს უფალ ღმერთსა.

* * *

ცაზედ გაშლილო ლაჟვარდო,
მზეო, მნათობო დილისა.
ზეცად აჭრილო მერცხალო,
წვეთო, ჟუჟუნა წვიმისა.

აფეთეთქებულო კვირტებო,
ვარდო,მშვენებავ ბაღისა.
მწვანე ხასხასა ჭეჭილო,
ლერწო,სიცოცხლეევ ვაზისა.

გორებო,ცად აწვდენილო.
ტყეო,შრიალავ ნებისა.
წყაროვ, წმინდავ და ანკარავ,
ჩანჩქერო მაღალ მთებისა.

კლდის საამაყო ჯიხვებო,
ირმებო, ტყის და ველისა.
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
დალოცვილი ხარ ღმერთისა.

* * *

სულის ტკივილამდე მენატრები,
ჩემი ოცნებების მბრძანებელო.
ღამით უსაშველოდ მედარდები,
დილით ალიონის მნათებელო.

ფიქრებს ვერ ვუხერხე ვერაფერი,
თითქოს სიზმარია მბრძანებელო.
შენთვის მემეტება ყველაფერი,
ჩემი ოცნებების გამგებელო.

ვეღარ დავიტიე სურვილები,
მხოლოდ შენთვის ვხატე მთა და მდელო.
შენთვის ავაზვირთე ზღვის ტალღები,
მხოლოდ შენთვის ვმღერი განმგებელო.

მხოლოდ შენთვის მერცხლად ავჭიკჭიკდი,
მხოლოდ შენთვის შევსვი სადღეგრძელო.
მხოლოს შენთვის დამდის თვალზე ცრემლი,
მხოლოდ შენთვის ვცოცხლობ განმგებელო.

* * *

ამბობენ: -- "პოეტი ერთი ლექსიაო!"
ჰოდა მეც ვამბობ, რომ არა ვარ პოეტი!
დავწერე რითმების ათასი ვერსია...
თუმცა "დიდ კალამთან " ჯერაც ვერ მოვედი.

მაბნევენ აზრები სტროფებად მოსული,
ღამით ნაფიქრები მთვარეს რომ ჰკიდია.
ზუზუნებს ეს ქარიც... თურმე გულმოსული,
მნათობი მზის სხივი სიცოცხლის გიდია.

მთიდან მორაკრაკე ანკარა მდინარე,
ცხოვრების ნაპირებს დებული ხიდია.
ყოველი წუთის თუ წამის მონადირე,
სასხლეტს მიბრჯენილი სულ ერთი მჭიდია.

და ერთი ჩასუნთქვა... ანდა ამოსუნთქვა...
თუ უცებ, უკვალოდ გამქრალი სიცოცხლე?!
პოეტად თუ ვერა, დედად ხომ მოვკვდები...
სიკვდილის მერედაც ვაგრძელებ სიცოცხლეს.

* * *

გთხოვ, არასდროს მაწყენინო,
არასდროს მატკინო გული,
თორემ თავის სათქმელს იტყვის
სიყვარული დაკარგული.

მომიარე, როგორც ვარდს და
მიპატრონე, როგორც ედემს,
ხელის გულზე მაფარფატე,
როგორც წყალი იმ თეთრ გედებს.

გედებს ნაზს და ყელმოღერილთ
სინარნარე შვენით როგორ,
სიყვარულით სულავსილნი,
სიკვდილისას მღერის მხოლოდ.

გთხოვ, ნურასდროს ამამღერებ
ცრემლნარევი ბოღმით ყელში,
არასოდეს არ დაუშვა,
რომ ჩაგადნე თოვლი ხელში.

მახარე და შენც იხარე,
მადედოფლე მეფევ ჩემო..
ჩვენს სიყვარულს მოუარე
როგორც წმინდა საგანძური...
რომ იმდენად ძვირი ღირდეს,
ვერ სწვდებოდეს საფასური...

20.01.2022

ნანა გიგუაშვილი

მეგობარს

ამ გამჭვირვალე გულში გინახავ,
ვით კესანების ვარდისფერ კონას,
რას ვისურვებდი უფრო უკეთესს,
ვიდრე შენფერი მეგობრის ყოლას.

სულში ზეიმით შემომისახლდი
და მისტიური ლოცვა დაფინე,
თანაზიარი ბედის ფარაჯა
ცის სამზეოზე გადმოაფინე.

ჩასაფრებული მიფანტავ დარდებს,
შემომიძარცვე სევდის ფენები,
რა უნდა გითხრა, რომ გაგახარო
საპირწონე და მოსაფერები....

ამ გამჭვირვალე გულში გინახავ,
ვით კესანების ვარდისფერ კონას,
რას ვისურვებდი უფრო უკეთესს,
ვიდრე შენფერი მეგობრის ყოლას.

20.01.2023.

*

შენს მონატრებას, შენს თვალებს სათნოს
ვუცქერ და სულში სიცოცხლე მაკრთობს,
ამ ბედისწერის შარბათი მათრობს,
შენი სურათის სხივიც კი მათბობს.

მათბობს და მიხმობს სუსხიან ქარში,
შენი ღიმილი ჩასმული დარში,
მე ისევ შენი პატარა ბავშვი,
დავეძებ ნუგეშს დუმილის ხმაში.

მოსულია უფლის სიტყვა

აჯანყდა სულში გონება,
ფარდა ეხდება სიმართლეს,
28 წელიწადია გვამცნობს
და ველით სინათლეს.

ქართულო გენო იფხიზლე,
არ იცი ვისგანაც რას ელი,
რწმენაშიც გვემუქრებიან,
კარდაკარ დადის
,,რასელი,,

სავლე თუ პავლედ არ იქცა,
არაა ჩვენი საშენი...
მარტო სამშობლო კი არა
მთლად სამყაროა საშველი!

ნინევეს მსგავსად ცოდვილებს
იქნებ გაგვეხსნას გონება,
მოვინანიოთ ცოდვები,
უფალს ვუჩვენოთ გოდება,
თორემ იქნება გვიანი,
გენი რომ დაიკოდება.

12.11.2022.

* * *

მთელი სამყარო ხარ მუჭში ჩატეული,
ზღვა სიყვარული და ღამე გათეული,
მასწავლებელი ხარ წლები ათეული,
დედის ჭაღარა ხარ, მამის კვალეული.

ჩემი ბავშვობა ხარ საგზლად აკიდული,
ლამაზ ვარსკვლავებად ცაზე გაკიდული,
ტკბილი მოგონება ლექსად გარითმული,
დიდი მონატრება გულში გარინდული.

ახლა ზეციური ცოდნის მესვეტე ხარ,
ჩემი მონატრება ელდადაცემული,
უფალს ვევედრები ცაში დაგიმკვიდროს
შენი სამყოფელი ჩვენში გაცემული.

ხსოვნა

წინ მომავალია სიცოცხლით აღსავსე
და უკან ცხოვრების შტრიხები მუქდება,
ჩუმდება ყოველი წუთის აღწერილი,
ძვირფასი დღეები ხსოვნაში ჩუქდება.

დრო მიდის უცნაურ მწუხარე ხალისით
და ჩემში ამ დროის სიმღერა ღაღადებს,
სულის სიღრმეში ის, რაც მიხარია,
რისი გულისთვისაც მივყვები აღმართებს.

წინ მომავალია სიცოცხლით აღსავსე
და უკან ცხოვრების შტრიხები მუქდება....
ჩუმდება ყოველი წუთის აღწერილი,
ყოველი სიკეთე ხსოვნაში ჩუქდება.

08.03.1985.

* * *

აქ ავტირდები...ცას ავტკივდები,
ჰაერი სუნთქვას ხვნეშით დაიწყებს,
სიტყვად მოვალ და გამოვვლინდები,
მუზების რაში საბელს აიწყვეტს.

მოვალ სიმღერად,წვიმად ზაფხულის
გამოვაცოცხლებ ნამით ბალახებს,
გადავიკითხავ ლექსად დაწერილ
სიტყვას, რომელიც წამით მალაღებს.

მთლად მივენდობი მაღალ შემოქმედს,
შემოვინახავ მუზებს კიოდად...
მე ის ლექსი ვარ, რაშიც უფალმა
გამოამწყვდია, რაც კი მტკიოდა.

ჩვენი ცხოვრება ცეცხლის ალია,
თანაცხოვრება ცეცხლის ღადარი,
თუ სიყვარულად აქ არ მოსულხარ
მაშ არსებობის აზრი სად არი?

მინდა ყველა დედა ძლიერი და მებრძოლი იყოს.

ნუ ჩაკეტილხარ ტკივილში,
ნუ ჩარჩენილხარ ხანში,
გააღე გულის კარები,
მზეს მიესალმე კარში.
გამოიტანე დარდები
გამოერიე ხალხში,
სუყველას შეუღიმილე,
სითბო დაურთე ხმაში.

სამყარო ასე შეგამჩნევს,
ასე მოხვდები თვალში,
ბუმერანგივით უკანვე
შემოგიბრუნებს წამში
და გადიქცევი სიკეთედ
დარდი გაცვდება ქარში,
ცისარტყელებად დაფინე
რაც იმალება ქალში.

ღიმილით შეხვდი ტკივილსაც,
მტრის წინ აფენილ ფარში,
სამშობლოს გადასარჩენად
იყავ მებრძოლი ჯარში!
ქართველი ქალის დედობა
დიდებად ადის ცაში,
გარდაცვალების შემდეგაც
კვლავ იბადება ცვარში.

სანამ ხარ ისევ იბრწყინე,
წვიმის წვეთების ნამში,
სანამ უფალი გვამყოფებს,
ნიჩბებს მოუსვი ნავში,
გაცურე ხალხის გულამდე,
ჩვენი დედების კვალში,
მერე... სამოთხეს იხილავ
შენი შვილების თვალში.

14.02.2023.
იტალია

ადამიანო

წამმზომი ჩართულია,წამია ცხოვრებაც,
დოლაბი ტრიალებს, ნაფქვავი ბევრდება...
მალე სამყაროდან დადგება გასვლის დრო,
შენი არსებობა შემოგაბერდება.

მაშ რისთვის მოხვედი, თუ არ იღვიძილე,
შენი ნამცეცობა მთებად თუ არ ქმენი,
ისე იცხოვრე რომ ღმერთმა შეგიყვაროს,
ყველგან სიკეთე და ყველგან მადლი ქენი!
28.10.2022.

სხვა დროა, სხვა ჟამი...

ისევ ის გოგო ვარ, წრფელი და ხალასი,
გულში სიყვარული დამყვება უფლისა,
წლებიდან მომესმის შრიალი ფოთლების,
ხმაური დიდ სახლში, ტკაცუნი ბუხრისა....

მეც გამოვიარე ბავშვობის სიამე,
მერე სიყვარულის და ჟამი მწუხრისა,
მეცა მაქვს ცხოვრების ტკივილი ნაგემი,
წუხილი მამულის და დედის გულისა.

სხვა დროა, სხვა ჟამი, მეც არ ვარ პატარა,
სიმართლემ შეაღო კარები სულისა,
ვებრძვი არსებობის ჩაკირულ სიმრუდეს,
ერის ჩაძინებამ მთლად გამაგულისა!

სინანულს მოვუხმოთ, თორემ დატრიალდა
შეფუთულ სიბილწის სურნელი ფულისა,
თუ არ შევინანებთ ცოდვებს ქართველებო,
ტოლობა ჩვენს ყოფას ექნება ნულისა.

გაცვდა შემეცნების სქელი თავსაბური,
დრო დადგა ყანებში ახალი ხნულისა,
ვ ი ნ ა ნ ო თ !
ვ ი ლ ო ც ო თ !
რომ დედამიწაზე
დაგვიდგეს დრო მშვიდი და საიხარულისა.

28.11. 2022.
იტალია

მაღალო ღმერთო

ასი ცის მაღლა,ათას ცის მაღლა,
ათი ათასის, უფრო უშორეს,
თუ სადმე ვარ და მანდედან ვჩანვარ,
ჩენს არსებობას თუკი იწონებ...

სამყაროს ერთი წერტილიც თუ ვარ,
ან დედამიწის ერთი მისხალი,
სათხოვარი მაქვს გული დამიდე,
ხილვა მომეცი, რამე მითხარი.

რამ ჩააძინა ერი ტკივილში,
რატომ არ ისმის სიტყვა ფხიანი,
რამ დაადუმა სიბრძნის სამრეკლო,
მრავალჟამიერ მრავალხმიანი.

ღმერთო გავედრებ მიწას დაკორტნილს,
არწივის გულით გამოვფენ დროშას,
შენ მოგვიტევე და დაგვილოცე
ქართული გენის ყოფნა-არმოშლა.

გულში იმედის მიდუღს ჩანჩქერი,
ჩქამად მოქაფულ ტალღებს ვიზიდავ,
მე ვარ სიცოცხლის მცირე ნამცეცი,
ერთი ციდა ვარ მტვერი მიწისა.

სული მიყივის ქართულ გენიდან,
ქართულ ენიდან მოდის კივილით:
ახლა ჟამია გადარჩენისა,
მოვინანიოთ ერის ტკივილი!

12.12.2022.

მუზას

ქურდივით ჩუმად მოდიხარ,
შუაღამეა როცაო,
მიფორიაქებ გონებას,
არ შეგიძლია მოცდაო...
ისედაც ღამეს ვათენებ,
მაცალე დილის ლოცვაო,
ფიქრებში გაიხლართები,
მომიწყე მე გამოცდაო.
არადა არ ჩავიჭერი,
არ ვუღალატე შნოსაო,
ისეთი ლექსი გავჩარხე,
ბევრად აჯობებს ჭორსაო.

ქეთი ცირეკიძე

"სიყვარულს რად უნდა დღეების შერჩევა "

მახარებს ყოველ დღე სითბოდ
რომ იღვრება,
ყოველ წუთს ,ყოველ წამს,
წლებიდან წლებამდე,
სიყვარულს რად უნდა, დღეების შერჩევა..
რომელი რიცხვია, ან რომელი თვე.

მიყვარხართ ისედაც ,ამ წელშიც იმ წელშიც,
სიყვარულს არ უყვარს, გრძნობებით თამაში...
არ უყვარს სიცივე , უგულო მოპყრობა,
როცა სიცოცხლეც არ გინდა, აღარ
ღირს...

სიყვარულს უხდება, ფერთა სიუხვე,
გაცემაც სიყვარულს ისევე
სჭირდება ,
ალერსი, ფერება ,კოცნა და სიგიჟე...
და მოფრთხილება, სიყვარულს სჭირდება.

სულ სიყვარულით თვალებში
ჩახედვა,
ზრუნვა და სათუთი, სინაზით
შეხება...
გულწრფელი, მიყვარხარ, ღიმილი
უსაზღვრო,
და ჩახუტება ,სიყვარულს
სჭირდება .

მიყვარხართ ყოველ წუთს, წამიდან
წამამდე,
მსურს, რომ გაგრძელდეს, წლებიდან წლებამდე..
რად უნდა სიყვარულს, დღეების შერჩევა,
გვიყვარდეს, ვუყვარდეთ, ეს არის
თუ შევძლებთ

ილიას ხსოვნას

აქ მოვედი მთამ ნისლები აიკრიფა,
შორს,მწვერვალებს დავატანე თვალი,
საგურამოს, შენი სახლის აივნიდან,
ვიყურები რომ ვიპოვნო კვალი.

შენს ნაფეხურს აქ დავეძებ,აქ მოვედი,
აქ მოვედი ანთებული გზნებით,
ქართველებო,ბოროტება თქვით როდემდე,
უნდა ზიდოთ თქვენ ამაყი მხრებით!?

აქ ვერ ვნახე შენი კვალი, შენიანი,
წიწამურის გზას დავადგი თვალი,
ბილიკ-ბილიკ მივდიოდი ცრემლიანი,
რომ მეპოვნა ბრძენო შენი კვალი!

შენს ნაკვალევს დატყობია ახლაც სისხლი,
შავი ხელით ჩაგისაფრდა ტყვია,შორს
მწვერვალმა აიკრიფა თეთრი ნისლი,
მაგ სიკვდილს ხომ უკვდავება ჰქვია!

ვინ გესროლა? ვინ იკადრა თქვი ამდენი?
შეაჩერა შენი გულის კუნთი,
,,აჩრდილის" და ,,ყვარლის მთების" დამწერი,
საქართველოს სიყვარულში დუღდი!

შენმა ლექსმა ,,მესმის, მესმის" გამაღვიძა,
ბაზალეთის ტბასთან ვდგავარ ფიქრიანი,
ქართველები ლელთ ღუნიამ გააღვიძა,
შორს მწვერვალი იყურება ნისლიანი!

 შენი ნატვრა ნატვრად დარჩა, არ გაცალეს,
შეაჩერეს წმინდა გულის ფეთქვა,
ჯალათებმა ცხელი ტყვია დაგახალეს,
არ გაცალეს სიმართლე რომ გეთქვა!

აქ მოვედი, მთამ ნისლები აიკრიფა,
შორს მწვერვალებს დავატანე თვალი,
ცხელი ტყვია აქ ქართველმა გაიმეტა,
აქ ვიპოვნე შეწყვეტილი კვალი!

პ ო ე ზ ი ა

პოეზია—ზეცის ძალა,
აღმაფრენის,დიდების,
რითმა-რითმა გადმოცემა,
ყველა ჭეშმარიტების!
პოეზია — უჩინარი,
საჩუქარი რჩეულთა,
სათქმელს ცეკვით მოგიყვება,
ნიჭი გამორჩეულთა!
პოეზიავ გეთაყვანე,
ჩემი სულის საკინძე,
წუხელ ღამით გამაღვიძე,
მისხალ-მისხალ აგკინძე!
მერე მუზამ არ მაცალა,
ძილი გათენებამდი,
შენ რომ არა, შენ რომ არა,
აბა რას დავწერავდი?!
პოეზია— წინაპართა,
სულის მძიმე ძახილი,
პოეზია— საგულეედან,
მოსრიალე მარხილი!
პოეზიას და სამშობლოს,
ერთი სული უდგია,
ერს ლექსები წყება-წყება,
საძირკვლად ჩაუდვია!
სიმღერები შეუთხზია,
ღიღინ-ღიღინ ფერებით,
პოეზიას და სამშობლოს,
ერთად მოგეფერებით!

" მე მეშინია არ დამეკარგოს ისევ მუზები "...

რამდენი დღეა სულ გამეყინა
თითქოს მუზები....
რამდენი დღეა გელი , მაგრამ
კვლავ მეურჩები....
ნუთუ სულ გაქრი და დაგკარგე
ასე უბრალოდ..
აღარც სისხლში ხარ, აღარც
ძარღვში, ვერ გეუფლები...
ნეტავ ვიცოდე რა მჭირს ნეტავ
რატომ არ ჩანხარ ...
ნუ დამაჯერებ, რომ გაფრინდი
არ დაბრუნდები..
ეჭვები მთანგავს ,ფიქრი სულსაც მიფორიაქებს...
შენ თუ წახვედი, მეც შენთან
ერთად დავიღუპები....
მრავალი წელი , გელოდი და
ვფიქრობდი ასე...
მაგრამ მოფრინდი და სიცოცხლის
სხივით ამავსე..
რადგან სულ გგრძნობდი არ
წასულხარ , ჩემში იყავი,
ასე ტკივილით მოთმინებით
ჩუმად იყავი...
ნუ მიმატოვებ...
და იმედებს ნუ შემომამსხვრევ..
მე მეშინია არ დაგკარგო ისევ
თავიდან....
თორემ უშენოდ დაისადგურებს
სულში სიცივე .....
და ამ სიცივეს საბოლოოდ
ვერ გადავიტან...

"ალბათ როდესაც..."

სული ჩავკეტე მძიმე
ურდულით..
ყველა იმედიც, გადავიყოლე..
სხეული ჩამრჩა, თითქოს
უფსკრულში..
და ყველა გზებიც, თან ჩავიყოლე..
ნაპირებს ვხედავ, სხვა
საზომებით..
ვიცი მივაღწევ , გავცურავ
კიდეც ..
მაგრამ ღიმილით ვერ
გავიღიმებ..
რადგან გრძელი გზა შორია
ისევ..
თითქოს პირობებს უთქვამ
ცხოვრებას...
დავსვი წერტილი, მძიმეს ვერ
ვბედავ...
ან იქნებ ჯობდა მრავალ
წერტილით ...
რომ ეს ცხოვრება გადამეკატა...
სული ჩავკეტე მძიმე
ურდულით...
და ყველა ფიქრიც, თან წავიყოლე..
ალბათ ,როდესაც წერტილს
დაუსვამთ...
მეტად აღარ ღირს, უნდა ვიცოდეთ.

"ყვავილები მომიტანე მერე"....

გავა დრო და წლებს წაიღებს
წლები...
გაზაფხული კვლავ მოიტანს
ფერებს...
მე არ ვიცი თუ ვიქნები
მაშინ....
შენ უჩემოდ მებრალები მერე.....
მებრალები რომ უჩემოდ
ივლი ....
სიყვარული მოგაკლდება
ჩემი....
მოგერევა სინანულის
სევდა....
ჩაგეღვრება გულში ჩუმად
ცრემლიც...
რომ გაიგებ ,რომ აღარ ვარ
უკვე...
დამიკრიფე ყვავილების
კონა..
მომიტანე ,მომაბნიე
გულზე ....
იქაც ვიგრძნობ იასამნის
თოვას...
ნუ იდარდებ უჩემობას
მერე...
ვიცი მოვალ სიზმრად ფიქრში
ლოცვით..
და ყველაფერს მოგიყვები
მერეც...
თუმცა ვეღარ მოგეხვევი
კოცნით....
ვიცი მოვალ ,სინათლედ და
სიოდ...
სიო სითბოთ მოგეხვევა
მხრებზე...
და შენ იგრძნობ , მე ვიქნები
ისიც....
იქიდანაც ,რომ ვიზრუნო
შენზე...
კვლავაც მოვა გახაფხული
ისევ ...
და მოგიტანს სურნელებას
ჩემსას...
ჩაგაფიქრებს ,გულისწყვეტით
მერე..
რომ არასდროს არ იყავი
ჩემთან ...
მჯერა ყვავილს, რომ მომაბნევ
გულზე...
ამას ვიგრძნობ, ძველებურად
მერეც...
პაწაწინა ყვავილების კონა...
რომ ეჭირა ....
ჩემს საყვარელ ხელებს...

შ ო მ ა ხ ე თ ი

(ვუძღვნი მშობლიურ სოფელს)

შომახეთო, მიყვარს შენი ველები,
იელები ყვითლად გადაპენტილი,
წყლის პირებზე მხრებგაშლილი თხმელები,
საძოვრებზე ცხვრები რქებჩაგრეხილი.

მიყვარს შენი ყვავილების სურნელი,
ცაცხვის ყვავილს დახვეული ფუტკარი,
ამ გაზაფხულს,ამ სიყვარულს სულ ველი,
რა ძალა აქვს შეძელი და მითხარი.

მოდი ერთი ამიწერო იქნება,
როგორ შევძლო მოგონებით დატკბობა,
გული ძაფებს დაეკიდოს ფიქრებად,
ორღელეში დარჩენილი ბავშვობა!

რკვიანის პირს მობალახე ბოჩოლა,
ადრე დილით გადენილი ნახირი,
ანკესებზე თევზის წამოკიდება,
ჩემი გულის და ბავშვობის
ნაწილი!

შომახეთო, იმ ნაფეხურს გიკოცნი,
ჩემი სულის ნატერფალი გაჩნია,
იმ ბავშვობას ვიცი გადამიკოცნი,
ამიტომაც გიძღვნი რაც გამაჩნია!

ფ ი რ ო ს მ ა ნ ი ს მ ი წ ა

მე ფიროსმანის მიწას ვკოცნი,შუბლზე ვემთხვევი,
და რუსთაველის ნაბიჯებზე ნაბიჯით დავალ,
მჯერა ამქვეყნად არ მოვსულვარ ისე,შემთხვევით,
მოვედი კრძალვით,მოწიწებით და ისევ წავალ.

წავიდა ყველა ვისაც მოსვლა დაერქვა მართლა,
წავიდა ყველა სააქაოს არავინ რჩება,
უძლიერესი მთაკაციც კი წვეთივით გაქრა,
ჩვენი ცხოვრება სიზმარია,რა უცბად ქრება!

მე საქართველოს მკერდზე ვკოცნი, გულში ვიხუტებ,
წმინდა ილიას ყველა სიტყვა სულში მაჩნია,
თუკი ჩემს მამულს დავჭირდები მეც დავიქუხებ,
და ყველაფერი დამითმია რაც გამაჩნია!

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ხვალინდელი დღის რჩებათ იმედი

გორმაღალის მთა შესუდრა თოვლმა,
ოკაცის ხევში ჩამდგარა ნისლი,
შემოხვეული თეთრი ქათიბით,
თურჩუს მთის კალთებს სძინავთ ღრმა ძილით.
ქარს ნამქერები მიაქვს და მოაქვს,
ხან დაჟინებით უსტვენს, – უბერავს,
დამზრალ ოცნებებს – ხელმოცარულებს,
სიცივის კარი გამოუკეტავთ.
მზე უნიათოდ ჰკიდია ცაზე
და შორეული სინათლით ბრწყინავს,
თოვლის საფარქვეშ სიცოცხლის კვირტებს
თოთო ბავშვივით გულმშვიდად სძინავთ.
ახლა ხეები არწევენ კვირტებს,
ცას შეჰხარიან რწმენის ფიქრებით,
იციან თოვლი უკვალოდ ქრება,
ხვალინდელი დღის რჩებათ იმედი.

პატრიარქს

მადლშემოსილო, ჩვენი ერის წმინდა მამაო,
რწმენის იმედად ვარჯგაშლილო, ფესვებმაგარო,
ცისა და მიწის დალოცვილო შუამავალო,
ზღუდე-გალავნად აღმართულო სულის ტაძარო.

დალოცვილ იყოს დღე კურთხევის და აღსაყდრების,
შენი სიმშვიდე ჩვენს დიდებულ ზეცას ეპკურა,
რწმენით, იმედით, სიყვარულით და თავდადებით,
შენი შვილების ცოდვებს ზიდავ ისევ ერთგულად.

შენი ხელიდან სხივმოსილი მადლი გვეფრქვევა,
ჩვენი გამოხსნა ცოდვებისგან ღმერთმა ინება,
შენი ლოცვები გადაწიგნე რწმენის მტევნებად,
უბედობისას ყველა ქართველს რჩები იმედად.

შენ მოწამე ხარ, დიად რწმენას როგორ ძარცვავენ,
სულის სიმშვიდით ყველა დარტყმას თავად ღებულობ,
უწმინდურები ობობას ქსელს როცა ხლართავენ,
რა ძალა გიცავს, ამდენ უგნურს როგორ ერთგულობ.

სულის სიმშვიდე, დაწყნარება ჯერ არ გვეღირსა,
ქვეყნის ვარამმა სული ბევრჯერ გაგიმარტვილა,
შენი სიბრძნიდან დიდი მადლი გადმოგვეფინა,
შეგონებებმა ღრმა ძილიდან გამოგვაფხიზლა.

შავი ღრუბლები ისევ ადგას წმინდა სამებას,
განსაცდელები აზვინულან ქართლის კარებთან,
ამ განსაცდელში გვინათებენ რწმენას ლამპრებად,
ნათელი გვადგას პატრიარქის შარავანდედად.

სულის საზღვრებთან

მე საქართველო გადავზომე მტკაველ-მტკაველად,
მაქვს ხელის გულზე გადაშლილი წმინდა სამებად,
ვდგავარ დარაჯად შეუბღალავ სულის საზღვრებთან,
ჩემი ვალია თავგანწირვა და გამარჯვება.

ჩემი ქვეყანა გავიხადე წმინდა საფიცრად,
ვინ დამამარცხოს, რაც სიმდიდრე ჯავშნად მარტყია,-
გამოკვეთილი ქვაში ძალა,- ჩემი ტანძია,-
ოშკი, ხახული, არტანუჯი, ზარზმა, ვარძია.

მომხდურმა მტერმა, შინაურმაც, ბევრჯერ – აქამდე,
მადლის კვირტები – საწინდარი, ტოტს დააცალეს,
ბოროტი ხელით ჩვენი მოდგმა რაგინდ დამარცხდეს,
ისევ აღსდგება – ნათელს იღებს, როგორც ლაზარე.

ქართველთა ბედი, – არსებობა, ზეცად გადაწყდა,
გვიცავს უფალი, ყოვლადწმინდის მადლი და ძალა,
სულის სიღრმეებს – დიად სიბრძნეს ვერვინ გაძარცვავს,
უფლის სამეფოს, უკადრისად, ფეხს ვინ დაადგამს?

აქ დავიბადეთ, ამ მიწაზე – მზის ვართ შვილები,
ყოველ ცისმარე გზას ვინათებთ ცისკრის მთიებით,
მწამს, საქართველო გაბრწყინდება და კვლავ ვიქნებით,
ვერ დაგვაჩოქებს, ვერ დაგვიპყრობს გადამთიელი.

არ შეჩერდება სვლა ზეციური

წავალ წუთიერ პატივს მივაგებ
დარდს, – გულგრილობას გადავაყოლებ,
სადაც გვირგვინებს, აუღელვებლად,
წვავენ ნიღბების სასაფლაოზე.

თუ დასრულდება ცხოვრების დრამა,
მეც დავასრულებ თამაშს უნიჭოს,
აქ, საბოლოოდ, დავხურავ ფარდას
და შევასრულებ ჩემს როლს უნიღბოდ.

წავალ გავყვები უდრტვინველ ტალღებს,
სულის სინათლით დავფერავ აფრებს,
სადაც ქარები მიაცილებენ
თეთრი ხომალდის უშფოთველ მგზავრებს.

მზის საფეხურებს გავყვები წყნარად
და სიმფონიას ცას შევუკვეთავ,
ნაჩუქარ ვარდებს გზადაგზა დავყრი,
წარსულ ცხოვრების დანაფურცლებად.

კვალად, – გულდაგულ ამოვშლი წარსულს,
მიწიერ ფესვებს ამოვიკვეთავ,
რიდით დავკრძალავ მშფოთვარედ წასულს,
წავალ და უკან არ მოვიხედავ...

რადგან ღალატი, დრტვინვა და ვნება,
სივრცეებს მიაქვს დანაშრევებად,
სისხლის წვეთები ლაქებად რჩება
სცენიურ ფარდებს ანაბეჭდებად...

არ შეჩერდება სვლა ზეციური
და არც სამყარო არ დასრულდება,
მხოლოდ, აღდგომა, იქ, – დემიურგის
წმინდა წიაღში აღესრულება.

ეთერ გაჩეჩილაძე

ოცნებად მექცა...

გამიცამტვერდა ღია ფერები,
ღრუბლის სიმუქემ ზეცა დაფარა.
მიწას დაფინა წვიმის ზეწრები
და მზის სხივები სადღაც გაყარა.

ჩამოარიგა წვეთის რიგები,
მიწამაც სველზე კვალი დაკარგა.
ჩამოახია თვეებს რიცხვები,
მოგონებებად წარსულს ჩაჰკარგა.

ოცნებად მექცა მთვარის სხივები
და ვარსკვლავები, ღამის ნაქარგად.
მთაზე დღესავით ცხადი ხილვები,
ვერ გავიმეტე გადასაკარგად.

მოურჩენელი ჩუმი ფიქრები,
მინაზე სითბომ. წამით დაქარგა.
უძილო ღამის ვითომ. სიზმრები,
სადღაც ბნელეთში შორს გადაკარგა.

ცივ წვიმებს მოჰყვა სუსხი, ყინვები,
ლამის გაგვყინა მკაცრმა ზამთარმა.
დღეებმა განზე გასვა რიცხვები
და ჩაგვიარა, როგორც ,,ზღაპარმა".

ოცნებად მექცა ღია ფერები,
როცა მზის სხივმა ზეცა დაფარა.
როცა მთვარემაც მკრთალი ღერები,
კარდაკარ ნელა გადაატარა.

05.02.23.

როგორ ველი..

როგორ ველი ალუბლების აყვავებას,
პატარძლებად რომ მოჰკაზმავს ხეებს თეთრად.
ზამთრის ყინვა მოგონებით გაქვავდება,
მზის სხივი კი, აცეკვდება ჩრდილთან ერთად.
თეთრი ფერი გადაპენტავს ხეებს ბაღში,
სურნელებას გააქროლებს ქარი ცისკენ.
ყველა კვირტი აფეთქდება თეთრად დარში
და თვალები გაექცევა ყვავილს მზისკენ
მწვანე ფერით მოირთვება მთა და ველი,
ყლორტი ტოტებს დააჩნდება ბევრზე ბევრად.
სიო ნაზად აუთრთოლებს კაბებს, ნელი,
ხეებს ფარჩებს შეუკერავს ნაირფერად.
გაზაფხული ააყვავებს არემარეს,
ლაღად მფრინავს ჩაამწკრივებს ცაზე მერცხლებს.
ყვავილებად გადააქცევს ხეს და არეს,
მიმოაბნევს ზეგანებზე ფერად ვერცხლებს.
როგორ ველი ალუბლების აყვავებას
და მოკაზმულს პატარძლებად ხეებს თეთრად.
გაზაფხული ზამთრისაგან განსხვავდება
და ისინი, ვერასოდეს მოვლენ ერთად.

02.02.23.

* * *

გულის სიღრმეს ჩავაპარე თვალი,
სწორედ მაშინ, შენ რომ არსად ჩანდი.
მგონი კიდეც მომენატრე წამით,
შენსკენ ლამის ფრენით გამოვქანდი.
ვეღარ ვითმენ უშენობის მანძილს,
ვეღარც ფიქრებს მოვუყარე თავი.
სულ შენსკენ მაქვს მგონი ერთი ცალი,
მეორე კი მიჯავრდება,, ავი".
საათს ჩუმად ავარიდე თვალი,
ფურცელს გული დავახატე კალმით,
ვიფიქრე და მაინც შენთან განცდით,.
ორი სიტყვა გამოვგზავნე სალმით.
თუ არ მიწყენ, ერთსაც გეტყვი ხათრით,.
მოთმინება ვერ ჩავტიე ტანში.
გული ისე აფრთხიალდა, ლამის
საგულედან გადმომიხტა კანში.
სინათლემაც ძლიერ მომჭრა თვალი,
თითქოს ბინდად დავინახე ლანდი.
მაგრამ.. თუნდაც ვერ ვხედავდე აწი,
მილიონში გამოგარჩევ, განცდით.

31.01.22.

შეხვედრა გვიანი...

დაე, ჩვენ ორივე გაგვყინოს ზამთარმა,
ორივეს შეგვჭირხლოს თვალების ჭრილები.
რამდენი ხანია გვატყუა ზღაპარმა,
რომ გათენდებოდა საჩვენოდ დილები.

გვჯეროდა, არ გვქონდა სავალი ქვიანი,
რომ ერთმანეთამდე შორი გზაც არ იყო.
თუმცა'ღა შეხვედრა აღმოჩნდა გვიანი
და უიღბლობამაც ცხოვრება გაგვიყო.

ლოდინმა თვალები ცრემლებით აგვიწვა,
ვეღარ ვთვლით თვეებს და წლებმა რაც წაიღო.
იმედი.. გრძნობები ერთბაშად ჩაგვიწვა,
რა დაგვრჩა... რაც გვქონდა სიცოცხლემ გაიღო.

გაგვყინოს ზამთარმა, დაგვფაროს ფიფქებმაც,
სიცივემ დაგვიზროს სათუთი თითები.
აქამდე გვაცოცხლა ობოლმა ფიქრებმა,
არავინ ირწმუნოს გრძნობებზე მითები.

სიყვარულს ვეძებდით... ვიპოვეთ გვეგონა,
მაგრამ გზა აღმოჩნდა შორი და ქვიანი.
ვეღარა შევძელით... ან რაღა გვეღონა,
როდესაც შეხვედრა გამოდგა გვიანი..

თბილისი – ქვეყნის თვალია

დედაქალაქის ხედებს გავცქერი,
სიამაყე და სიამე მიპყრობს.
სულში სიმშვიდის მცვივა ნამქერი
და აღტაცება აღარც კი მინდობს.
თბილის-ქალაქზე წერენ სიმღერებს,,
ლექსებსაც უძღვნის ბევრი პოეტი,
სამშობლოს გულზე ვინც კი იმღერებს,
უნდა შეიძლოს შექმნას სონეტი.
თბილისი ჩვენი ქვეყნის თვალია,
საუკუნეებს ითვლის თავისით.
ზრუნვა ქართველის, ყველას ვალია,
მუხლჩაუხრელად, დიდი ხალისით.
მამადავითი.. რა ღირს სამება...
ქაშუეთთან და სიონთან ერთად.
გულში უწყვეტი სიმი გამება
და ქედის მოხრა მომინდა მეტად.
მეამაყები სამშობლოვ, ჩემო,
შენს გულში მჯდარი თბილის-ქალაქით.
თქვენს დიდ სიყვარულს ვერ აღვწერ, გჩემობთ,
მინდა აივსოთ ხვავით, ბარაქით.
როცა ქუჩებში ფეხით ვაბიჯებ,
გულს სიხარული ნანახით მითბობს.
დიდი სიფრთხილით ვადგამ ნაბიჯებს,.
ასე მგონია, სიმძიმეს იგრძნობს.
მე ვარ ქართველი... ვიქნები მარად
და ვიამაყებ თბილისით.. ერით..
ჩვენ ღვთისმშობელი გვყავს ძლიერ ფარად,
რომლის იმედით ვარ ბედნიერი.

სად გვყავს ქართველებს ყმაწვილები დასაკარგავი?!

ცა ჩამალულა სქელ ნისლში და უწუხს
მომხდარი,
ცრემლს ძლივს აკავებს ღრუბლებიდან
შუბლით მჭმუნვარი.
წვეთით გავსილა და თვალზე აქვს
უკვე მომდგარი,
რადგან ტკივილებს ვეღარ უძლებს
გულით მწუხარი.

სად გვყავს ქართველებს ყმაწვილები
დასაკარგავი,
ჯერ ისეც რამდენს გულს ვაყოლებთ
სიმწრით, დარდიანს.
ზეცაც განიცდის, მზე გაუხდა დასამალავი
და აღარც უნდა დაემსგავსოს
ისევ დარიანს.

ასე ძალიან რად გატკინეს, სული სამშობლოვ...
რატომ გადინეს მწუხარების ცრემლი
თვალიდან?!
ნუთუ არ გვეყო, შეიწირე ვინც კი
სამსხვერპლოვ,...
არ გვემეტება გასაყვანად ხალხი სახლიდან.

სველის შეშრობას ვერც კი ვასწრებთ
ნაწვეთ სახეზე,
იმდენი შვილი მივაბარეთ ქვეყნად იმიერს.
წადი, სიკვდილო! ნუღარ მოხვალ
ერთის სახელზეც,
ცა რომ ისევე გაგვინათდეს, შევხვდეთ
მზისიერს.

ივანე ლომსაძე

* * *

მუდამ ღიღინით მინდა სიმღერა,,
უნდა გასმინოთ ჩემი ქართული..
უპირველესი ჩემი ერია,
მე ვარ ევროპის თავი და თავი..
დისკოტეკები სვეცკი კლუბები,,
ევროპელობა ნურვის გგონიათ..
ცეკვა თამაშით ქართულ ჰანგებზე,,
ჩემ სიყვარულის ნოტით მოდიან..
ევროპელობა ქართველით მოდის,,
ჩემზე ძვირფასი თქვენ რა გქონიათ..
მე ოდიდგანვე ღმერთმა სახლკარი,,
დამილოცა და სიტკბო მაჩუქა..
გავაგებინო მთელსა მსოფლიოს,,
უძველეს დროში ვინ სად ყოფილა..
აქ წმინდანები ბრწყინავდენ მარად,,
და ჩემ წინაპრებს დაულოციათ..

* * *

ეს სიტყვები,, შენ გეკუთნის დედა..
გულო ნაზო,, სულის აღმაფრენა..
სიკეთით რომ,, დაგვტრიალებ თავზე..
იდღეგრძელე,, მე შენ დღებს ვლოცავ..
ყველა შენ შვილს ,,ასე დავარიგებ..
არ გაბედონ,, შენსწინაშე რბენა..
მგელი შეჭამს ,, ან მგლისფერი ძაღლი..
მირჩევნია ,, შენ რომ მოგვცე რჩევა..
წმინდა ხედვით ,, ცისკარი რომ გახსენ..
დავინახე ,,შენი გულის ძგერა..
შემიძლია ,,სულში ჩაგიძვრინო..
და შენს კალთას არ მოვშორდე დედა..
ქვეყანაზე ,, ისე ძვირფასი ხარ..
ამიმღერდა,, ეს კაცური გული..
არმიწყინო,, ცრემლი თუ გადინე..
სიყვარულმა,, ამიჩქროლა გული ..
არც იფიქროთ,, დედას მოატყუებთ..
გული-ნაზი ,, ყველგან იხედება.. წმინდა გულზე,,
ფეხს ნუ დააბიჯებთ.. გვეტკინება,?
დედას მეტად სტკივა..
გიფრთხილდები,, არიტირო დედა..
ბოდიშ გიხდი,, ცრემლი რომ გადინე..
მაპატიე,, საყვარელო დედა.. გეფერები,,
ნუ იტირებ ამდენს.

* * *

მზენათელმა დაგვნათა, ჩამავალი სხივები..
მომავლი დღეები თბილად განათენები..
სიყვარულმა მიამბო, სიხარულზე ფიქრები..
მეტურფები ლამაზო, რწმენა შენხარ იმედი..

ლაჟვარდოვან სიყვარულს, დედამიწა ჩაიცვავს..
ქვეყნად მარადიული, მზის ნათება მთვარისა..
ტალღად შემოწოლილი, მოგონება წამისა..
წარსულები ლამაზი, სხივად გამოთბობილა..

გულსაკლავიც ბევრია, ტკბილად მოსაგონარი.
სიყვარულის ცხოვრება, ბედნიერი დრო ჟამი.
ასე ტკბილად ვაჟღერე, ჩემი გულის მორალი.
სიტყვა მარადიული, სიყვარულის ოსტატი.

* * *

გამარჯობა როგორა ხარ დედი,
მომენატრა შენთვის ლექსის მოძღვნა.
გულ სიწრფელე სიყვარულის გზავნილი,
შენიდან ხომ დედამიწას მოწვდა.

სიყვარულით გამოვხატე შენდამი,
დედაშვილურ გულის თბილი ძგერა.
სულ მინდა რომ ღიმილები გაჩუქო,
გაიღმე, გაიღიმე დედა.

ეს სიტყვები მე შენ გამოგიგზავნე,
გაგახაროს, გაგახაროს ზენამ.
დაგილოცე რწმენის აკადემია,
დაგილოცე მეგობრები ყველა.

ძვირფასი ხარ ბედნიერობ შვილებით,
ვინმეს რამე თუ ეტკინა, ღელავ..
იდღეგრძელე შეძენილო დედილო,
გაიხარე სიყვარულთან ერთად.

* * *

მუდამ ღიღინით მინდა სიმღერა,
უნდა გასმინოთ ჩემი ქართული.
უპირველესი ჩემი ერია,
მე ვარ ევროპის თავი და თავი.

დისკოტეკები, სვეცკი კლუბები,
ევროპელობა ნურვის გგონიათ.
ცეკვა თამაშით ქართულ ჰანგებზე,
ჩემ სიყვარულის ნოტით მოდიან.

ევროპელობა ქართველით მოდის,
ჩემზე ძვირფასი თქვენ რა გქონიათ.
მე ოდიდგანვე ღმერთმა სახლ-კარი,
დამილოცა და სიტკბო მაჩუქა...

გავაგებინო მთელსა მსოფლიოს,
უძველეს დროში ვინ სად ყოფილა.
აქ წმინდანები ბრწყინავდენ მარად,
და ჩემ წინაპრებს დაულოციათ.

ავტორი – ელგუჯა ადეიშვილი

გზა უფლისკენ

გზა ავირჩიოთ უფლისკენ,
ვადიდოთ ქვეყნის გამჩენი,
გვწამდეს მოძღვრება სამყაროს შექმნის,
წუთისოფელში თუ ვართ დამრჩენი.
        დავძლიოთ ეშმაკთან ბრძოლა,
        ვიყოთ მორწმუნე ღმერთისა,
        სამყაროს კუთხე - კუნჭულის,
        მიდგომა რაკი გვეღირსა.
ყველა წმინდანმა, სწავლულთა მოდგმამ,
ქვეყანას უთხრა თავის სათქმელი,
ღმერთია ჭეშმარიტება
და გახლავთ ქვეყნის გამჩენი.
        მივსდიოთ უფლის ნაკვალევს,
        წინ გვიდგას მართლის ამხსნელი,
        ყველაზე ზრუნვით - ღრმა ხედვით,
        გვიცავს სამყაროს გზამკვლევი.



        ღმერთია მარადიული,
        ქრისტე სიკეთის დამცველი,
        ჭეშმარიტების მაძიებელ ხალხს,
        მუდმივად ჰქონდეს წმინდა სანთელი.

2023

* * *

(გულნაზ ხარაიშვილს)

მწვერვალს იპყრობს - ქალთა შორის,
ღვთაებრივად შობილი,
თვითნაბადი წმინდა სულით,
ძალზე კეთილშობილი.
        თვისებებით მისაბაძი,
        ჭეშმარიტი - დამცველი,
        საოცარი მიდგომებით,
        გულით - სულით ქართველი.
უზნეობას ებრძვის მარად,
იზიარებს აზრს წმინდას,
როცა ხედავს მიუღებელს,
აღარ ისმენს - ხმას სხვისას.
        ლექსად ამბობს ყველა სათქმელს,
        ბრწყინავს მისი სახელი,
        თავს ევლება მთელ ქვეყანას,
        სახე უჩანს ნათელი.
ამდიდრებს წიგნის სამყაროს,
გამოსცემს ნამდვილ საუნჯეს -
"ათინათი"-ს და "ანთოლოგია"-ს
საჩუქრად უძღვნის რჩეულ კალმოსნებს.
        ტოპმენეჯერის დიდი თვისებით,
        გვერდში ჰყავს ბევრი კეთილ -მზრახველი,
        "ჯუმბერ ლეჟავას აკადემიას"
        უძღვება ქალი - ღირსი სახელით

2022

ა ი ს ი

დილით ნათდება სამყარო,
სიბნელეს შთანთქავს სინათლე,
იწყება მომდევნო ერა,
დაისიც იყო ბრწყინვალე.
ღვთისგან ბოძებულ სიკეთეს,
მზის სხივი თავზე ევლება,
დღე საოცარი ვიხილეთ
არასდროს დაგვავიწყდება.
... მიპყრობს სამყაროს თაყვანისცემა,
აისს მოაქვს საოცარი იმედი,
იმ ოცნებებს, რაც დღემდე ვერ მიპოვნია,
თავდახრილი ველოდები დიდებით.
მითხრეს ყველა სურვილს ავისრულებ...
მზის სხივია მართლაც დარდის მისწრება,
აისია საოცარი იმედი,
აისიდან ყველაფერი იწყება.

2021

საცნობი !!

შენ, რომ ითვლები ლექსის მკითხველად,
სხვა ვერ აღიქვამს -კითხვა არ იცის,
ნუღარ დავძრახავთ, ცოდვას ნუ ვიდებთ,
იქნებ ისწავლოს დრო თუ დაიცდის.
ზოგადად კითხვა მრავალს არ უყვარს,
ზოგიც კითხულობს - მძიმედ განიცდის,
მძვინვარებს ბოღმის ჰეგემონია,
გული ეწვება - რა ქნას არ იცის.
ტორტმანებს მტრობის ეპიდემია,
ცხვარი აპირებს მგელი გაგუდოს,
აღარ შედგება ეს შერკინება,
ბრწყინვალედ ხომ სჩანს - მგელი სად ბუდობს?!

2021

ი მ ე დ ი

ცა, იქუფრება ცა ...
არ გვინდა სხვისი ხმა!
უფლის წყალობას მოველით
სწორედ ის არის ხსნა.
აღმასვლის დრო ახლოვდება
ყინულის დნობის მწამს,
რომ ეშველება ყველაფერს
დიდი იმედი მაქვს.
ნუ ვიტყვით დაიგვიანა
გამონათება ჩანს,
სჯობს გვიან - ვიდრე არასდროს,
ცხოვრებას ვანდობთ მრწამსს.
დრო გაბრწყინდება უსაზღვროდ,
შევქმნით იმედის ნავს,
სურვილი არ გაცრუვდება,
ბევრი მსურველი გვყავს.
ცამ, მოიწმინდა ცამ ...
გვეღირსა ჩვენი ხმა,
შემოდის უფლის წყალობა,
ნიშნავს მივიღეთ ხსნა.
დიდება უფალს!

2021

ცისანა გვრიტიშვილი

* * *

ახალგაზრდობამ-ყავლი გალია,
წლებმა-ქარცეცხლის გზები გალია,
გულმა-გრძნობების თასი დალია,
ვერ გამოფხიზლდა ისევ მთვრალია.

22.12.2021წ

* * *

მოულოდნელად მოსული ლექსი

ლექსის სიტყვები უფლის კარნახით,
მოულოდნელად მიღებენ კარებს,
დამწკრივდებიან გრძელ სტრიქონებად,
ამიცრემლებენ სევდიან თვალებს.
გონებით ვუმზერ, თვალ-ყურს ვადევნებ,
როცა შედიან რითმით აზარტში,
ხან საუბრობენ ქვეყნის ავ-კარგზე,
ხან თვეთა გავლით მივლენ ზამთარში.
ბუხრის ნაკვერჩხლად მიუმატებენ,
მხურვალე სიტყვის ცეცხლის ნათებას,
მე ჩემი კალმით უტყვი მნე- ქალი,
მივდევ მორჩილად ლექსის განგებას.
ბევრჯერ დავცალე დარდების გუდა,
შევიმსუბუქე ტვირთი თანმდევი,
მაგრამ ცხოვრების ორომ-ტრიალში,
კვალში მომდევდა სევდა თავნები.
უფლის წყალობამ გზა დამანახა,
გამათელინა მაყვლის ბარდები,
ხელს იარაღად კალამი მომცა,
ლომა ხარივით უღლის გამწევი.
გავავლე ხნული სიტყვაკაზმული,
გულში დამწყვდეულ გრძნობაჩართული,
მეტოქეთა და მოქიშპეთ შორის,
ზავის დამდები სიტყვა ქართული.
ლექსად ვჩურჩულებ ხატებთან ლოცვას,
ლექსებს ვაფარებ ცრემლით გოდებას,
ლექსი შვილივით ნაფერებელი,
ბრძოლით ნაწრთობი ჩემი ცხოვრება.

05.09.2011წ.

* * *

უძრაობამ დამიმონა,
კარგი სიტყვა ცუდად მესმის,
ეშმაკი ტვინს მიტრიალებს,
ლაბირინთში გული კვნესის.
ცხადი სიზმრად მეჩვენება,
ლოცვას ვიწყებ და ვჩერდები,
პირჯვარს ხელით ვეღარ ვიწერ,
ვეღარც ხატებს ვეფერები.
კვლავ მასველებს სევდის წვიმა,
გულის კედლებს ცრემლით ლოკავს,
მტანჯავს დარდის გახსენება,
სიხარულს კი ღრუბლით მოსავს.
მტანჯველ ტკივილს სული გაჰყვა,
გახდა ბრძოლის წრე თხუთმეტი,
სასთუმალი ისევ მიხმობს,
ძილ-ბურანში კვნესა მესმის.
ქვიშის სახლი დამეშალა,
შორს წასულა თეთრი გედი,
ზღვის ტალღებიც გათანგულა,
ვეღარ ცურავს ჩემი გემი.
ნავსაყუდელს მიჯაჭულა,
არვინ ელის ხელის ქნევით,
ძრავას ჟანგი მოსდებია,
ფსკერს უფარავს ხავსი, ლელი.
დრომ დაღალა, დაიმონა,
ვინც ელოდა ის სხვას ელის,
მხოლოდ გედი ქანცგაცლილი,
ლელიანში სევდით მღერის.
დრო დაფარავს ნაშრომ -ნაჯაფს,
როგორც ჭაობს მწვანე ლელი,
უგულოს და გრძნობით სავსეს,
ყველას ელის განსაცდელი.

18.05.2017წ.დილის 9

გულის ძახილი

გულის ძახილით ხმები შევკარი,
გამოვატანე ქარს,
მჯეროდა სხვებში გამოარჩევდი,
შენკენ მოძახილ ხმას.
ხმა მოფარფატე ვარდის ფურცლებზ
ბულბულს აურევს გზას,
ცის კაბადონზე სხივს აათრთოლებს,
ნამს აუცრემლებს თვალს.
გაალამაზებს ფრინველთა ქორწილს
ააჩუხჩუხებს წყალს,
ფრიალ- შრიალით მუხას შეარხევს,
ტყე გამოსძახებს ბანს.
გაინაბება მტირალა ჭოტი,
ათრობს მიჯნურის ხმა,
ისიც მოელის დაკარგულ ექოს
და მოლოდინის სწამს.
ნოტის საკიდზე ცახცახებს ბგერა,
სევდას აყოლებს ხმას,
მიჯნურ ფერიას ქაღალდის ნავით,
გააცურინებს ზღვას.

03.03.2012წ.

ორი სიცოცხლე

მინდა ვაფრინო ძველი ოცნება,
ხორცი შევასხა დაბინდულ ფიქრებს,
ორი სიცოცხლე თუკი მექნება,
გული ორმაგად ძალუმად იცემს.
ერთ სიცოცხლე, თუნდაც ხანგრძლივი,
მოკვდავისათვის მოკლე-მცირეა,
მეორით იფრენ, როგორც არწივი,
ვიწრო ხეობა მისთვის მწირია.
უსაზღვრო არის უფლის კურთხევა,
მარტო მე არა, სხვასაც აოცებს,
ურჯულოს რჯულზე მოატრიალებს,
მუხლებზე დასცემს ისე ალოცებს.
ნიშანი მომცა, შრომა მიტვირთა,
ჩემში აკურთხა ორი სიცოცხლე,
ერთით დამღალა გლოვა- ქვითინმა,
მეორე- მკურნავს, დაჭრილს მიხორცებს.
თუ ჩავიმუხლებ, ხმალს არ ჩავაგებ,
იმედს მანიჭებს ორი სიცოცხლე,
ერთით თუ მოვკვდი, არად ჩავაგდებ,
რადგან მეორით კიდევ ვიცოცხლებ.

/07.02.2011წ./

საქართველოს პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარესს მორწმუნეთა დიდ მამას ილია II-ს

უფლის ნათებად ცაზე გამოჩნდით,
ერს მოევლინე ლოცვით ღმერთკაცი,
ქვეყნის ტკივილი თავად იტვირთე,
თქვენ ამტანობას ყველა შენატრის.
სულზე მოუსწარ დამრთხალ „ცხვრის ფარას“,
როცა „მგლის ჯოგმა„თითქმის გამუსრა,
კლდის პირას გაჩნდი ჯეგირად ლოცვით,
გადაარჩინეთ ფარა დაღუპვას.
შემოაბრუნეთ ყველა „მწყემსებთან“,
ვისთვისაც ლოცვა ხსნა და ფარია,
რწმენა უმძლავრე, შეუშრე ცრემლი,
შვილად მიჰგვარე დედა მარიამს.
თქვენი ლოცვებით ელვა ჩანელდა,
ზარები რეკენ, წვიმაც მშვიდია,
ლოცვად ქცეული ივერთა მოდგმა,
ანთებულ სანთლით ტაძარს მიდიან.
წმინდა მამაო, თქვენ ნაფეხურზე,
ბზამ გაიხარა გაქრა ბინდია,
ღმერთის უძღები მრავალი შვილი,
ბუდეს დაბრუნდა თქვენი წვლილია.
სასწაულია თქვენი კურთხევა,
თუ წილად მერგო, იქნებ წამოვდგე,
წიგნად ქცეულო წმინდა ხატებავ,
დიდო ღმერთკაცო, სულით სამოთხევ.

წავიდა წლები

დრომ გაიყოლა წლების ლაშქარი,
ყმანვილქალობა მაცდურ წლებს გაჰყვა,
ნაცვლად სიბერე შემომატოვა,
თმას ვერცხლნაბანი მძივების ასხმა.
დარდის ღრუბელი წვიმით დამძიმდა,
სინანულს მოჰყვა წამწამზე ცრემლი,
მოცარულ იმედს წვიმა ასველებს,
ფიქრებს ვაცილებ ლექსების წერით.
ლექსის ძიძაა ჩემი განცდები,
წარსულს მოასხა ძველი ლეჩაქი,
აწმყოს მოველი, ღრუბელი ფარავს,
ხმა ვერ ვაწვდინე, გული ეძახის.
მწარედ შემომრჩა ტკივილის გემო,
წლებს ეწევიან ლომა ხარები,
მხრებზე დაყრილი მძიმე ფიქრებით,
დროის თავქვეზე მივექანები.

30.04.2012წ.

ლიანა კაკუბავა

ნუ დავანახებთ პატარებს!

(მიწისძვრა-მსოფლიო ტკივილი)

ნუ დავანახებთ მოკამკამე ზეცას პატარებს,
ნუღარც ვარსკლავებს და მთვარესაც ნუ დავანახებთ!
რაღა აზრი აქვს? თუკი მერე აღარ ექნებათ?
გაელვება და წამში ისევ თუ დაკარგავენ?!
ნუღარ წავართმევთ, დავაშორებთ პატარებს მშობლებს,
როგორ ავუხსნათ, წასულები-არ ბრუნდებიან?
სად დავატიოთ, როცა უნდა მივხედოთ ცოდვებს?
ერთად ამდენი გულები თუ გაჩუმდებიან?!
გავაგდებინეთ ლუკმა-პური ხელიდან თოვლში...
პატარა სხეულს ვერ უფარავს უმკლაო პალტო,
მიცახცახებდა ფეხშიშველი, უმწეო, ბრბოში...
მივიწყებული სულ ყველასგან სრულიად მარტო.
დაუნდობელი მძლავრი ქარი სახეში ურტყამს,
ცის ტატნობებზე აიხედა, როცა წაიქცა...
იქ მომღიმარი დედაა...კითხვებს, რომ უსვამს
მძიმედ წამოდგა და მსუბუქად მასთან გაიქცა.
ნუ დავანახებთ მოკამკამე ზეცას პატარებს,
ნუღარც ვარსკლავებს და მთვარესაც ნუ დავანახებთ.
რაღა აზრი აქვს? თუკი მერე აღარ ექნებათ?
გაელვება და წამში ისევ თუ დაკარგავენ?!.

პერანგს იცვლიდა

არ შემიძლია, ცრემლებს ვერ ვმალავ,
მე საიდულოს ვინახავ მხოლოდ.
მსურს გავეკიდო, ისევ ფიქრები
ხეებს ავასხა კვირტებად ბოლოს.
ადრიან დილის ფერებს ველევი,
მზეს მიწურულზე მიტომ დავყავდი.
მოძველებოდათ კარებს ურდული...
ვეღარც დარაბებს ფანჯრის ვრაზავდი.
სარკმელს აკრული ბინდისფერები,
ჩემს მღელვარებას უცვლიდნენ გვერდებს
და უიმედოდ შეკედლებული
ლოცვად აღვავლენ სანატრელ ხედებს.
ცას მოუდუნდა ოქრო გულ-მკერდი,
იობის მატლი ვერ მშობიარობს...
ვეღარ გაარჩევ კეთილს და ბოროტს
ვინ ხალისობს და ვინ მგლოვიარობს.
გზას ტაძრისაკენ მიჰყავდა ბევრი,
თავქვე მიმავალს მეტად ითვლიდა
და სატკივარი გულში გველივით
გაღვიძებულზე პერანგს იცვლიდა.

დედამიწიდან ზეცამდე

ექსპრომტი
გულნაზ ხარაიშვილის პოსტს:
"შეიცან თავი შენი"

პროექტს ჰგავს ეს თქვენი ხედვა,
ინტერეს, რომ გააღვიძებს...
მეცა მყავს ჩემი რჩეული,
ვინაც ყოველდღე მაკვირვებს.
შემოგევლები ძვირფასო,
მზისგულა არა! მზე ხარო!
ათიათასი და მეტი...
ერთბაშად, რომ გაახარო.
ქალი, კაცი თუ ბავშვია...
სიკეთით გსურს დააპურო
და სევდით მოცულ თვალებში,
ცრემლები გადააცურო.
ტკივილს განძივით ინახავ,
თავადაც ფასობთ განძივით,
და მე მომყვება კალამი
ასამღერებლად ჩანგივით.
ეს-კარგო, ლექსი როდია,
რაც გავიფიქრე, აღმომხდა,
კლდეს მოსხლეტილი ჯიხვივით,
თქვენს სადიდებლად გადმოხტა.
ნუ მიწყენთ, თუ ვერ მოვერგე ,
გულის გადაშლას ვეცადე,
გმოსავდეთ მადლი უფლისა,
დედამიწიდან ზეცამდე.

დედისმიერო!

(ეძღვნება დეიდას)

მოულოდნელად გესტუმრე გუშინ,
შენი დანახვა თვალებს მისველებს.
დედის სურნელი შემომფრქვეოდა
და ბლანტ სითხესაც ძარღვში მითხელებს.
წიგნი, რომელიც ხელში გეჭირა,
ისევ ტკივილებს უმატებს კვნესას.
ახლა დუმილი დაიძრა ყელში
და მოწიწებით შენზე ლექსს ვკემსავ.
ათრთოლებული თითებით გვერდზე
სადაც ძვირფასო, შენზეც ეწერა...
მიმანიშნებდი, მკოცნიდი მხრებში
და გავემზადე გადმოსაწერად.
დედა გვივლიდა როცა პატარებს,
მუდამ უფროსებს ხელებს აწვდიდი...
ახლაც ვიხსენებ შეკრულ თამასებს,
ატმებსაც კურკებს როგორ აცლიდი.
მთაგორაკიან ადგილზე ერთხელ,
დამალობანას თამაშს შევყევით,
თურმე ექიმი დაგტრიალებდა
აკანკალებულს გულის შეტევით.
ნორჩი იყავი, ტანად ლამაზი,
ასეთს გაგექცა ახალგაზრდობა.
სხვებისთვის მართლა.. "სხვისი შვილები"
შენი გული კი, სულ სხვას ამბობდა.
ამ მოგონებებს თოვლივით მათოვს,
რაც არ ყოფილა თითქოს შემთხვევით.
დათვლა ძნელია... და მაინც მახსოვს..
ეპიზოდები შემრჩა შერჩევით.
შენი უღონო თითები წიგნში...
ეს მოფერება...ძლიერ გახარებს...
დედა მეორედ კვლავ მომიკვდება
როცა გამოცდას შენც ჩააბარებ.
ჩემს წინ იჯექი უმწეო, ვგრძნობდი...
მე ვგავდი ახლა მართლა მათხოვარს,
ყველა სიკეთეს ერთად დავთმობდი,
შევავედრებდი შენს თავს მაცხოვარს.

.....მზე გარდაცვლილი

მავალს მორჩილებით გზები ამერია,
ღრუბლის ფთილებივით მეყრება ფიქრები...
ისევ ბინდია და დღემდე რა ბევრია...
გულო გამოენთე, გთხოვ ,ნუ ჩამიქრები.
მალე დაიწყებენ თოვას ყვავილები,
ტოტებს შეარხევენ საამოდ ნელ-ნელა...
მოლურჯო ცისაკენ გარბიან თვალები
და მთვარის საოცრებამ მზერა გაანელა.
თითქოს უჩვეულოდ დღესაც ამიხირდნენ,
გარშემო ხეებსაც ჩრდილი ეფინებათ.
მივყვები ლოცვებით, მაინც ამიყვირდნენ...
და მწვავე ტკივილი დარდად მეყინება.

ასე ვაბერებთ

მაშინ ვიყავი მე ახალგაზრდა,
ლურჯი ფერები მეტად მშვენოდა....
თავს მევლებოდი ვით ბულბული -ვარდს
და გულიც თითქოს ჩუმად გეტრფოდა.
მაშინ მეთქმოდა მგონი ლამაზი,
ხორბლისფერ თმებში მზე მეფრქვეოდა,
ამობურცული ორი ალმასი
ჩითის კაბაში ძლივს მეტეოდა.
მაშინ ვიყავი ალბათ, თორმეტის,
იქნებ ცამეტის, მაინც მახსოვდა:
გაზაფხულივით მუდამ ზამთარში
ყოჩივარდებს თუ როგორ მათოვდა.
აჭრელებული ველი დიდი ხნით
პეპელასავით კვლავაც მართობდა.
ვარსკლავებს ვკრეფდი ციდან ოცნებით,
ვერცხლისწყალივით თვალი ანცობდა.
მერე და მერე წლები გარბოდა...
ბევრსაც მოვწონდი, ზოგმა დამტოვა...
და ვაწიწკნიდი გვირილას ფურცლებს...
იქნება მოვა... ნუთუ არ მოვა?
ისევ იწვიმა, ისევ მოთოვა,
პერანგზე ღილებს ნაზად ვაკერებ,
შენ ბუხრის წინ ჯდები მოპირდაპირედ,
იმ ბავშვობის წლებს ასე ვაბერებთ.

ლალი სოხაძე

სამშობლოს

ჩემო სამშობლოვ, მეძახი ვხედავ
და ყურში მესმის შენი ბუბუნი!
ახლა მარტო ვარ ჩემს ტკივილებთან,
ვერვინ გაიგებს ჩემს ქვითინს, ვიცი...
მე, მინდა ვიყო კოლხი მედეა,
აღარ დავუშვა შეცდომები
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს თ ვ ი ს,
მე, გულით მინდა,
დაგიბრუნოთ ოქროს ს ა წ მ ი ს ი
და გაგიქარვოთ მწუხარება,
დარდი-საწყისი!
მე, უნდა ვიყო წყნეთელი გოგო,
ვაჟის სამოსი ჩავიცვა თანაც
და აკვნის რწევის სანაცვლოდ ისევ,
ქამარ-ხანჯალი ავისხა კვლავაც!
ყველა ტკივილი იძინებსო,
არ მითხრათ ახლა!
ჩემო სამშობლოვ, რა გიშველო,
ა რ ვ ი ც ი ა რ ა...

*

ეჰ, კაცთა მოდგმას არ ე დ ა რ დ ე ბ ა
ჩემი ტკივილი, ჩემი დარდები,
მხოლოდ ღმერთს ე ს მ ი ს ჩემი სიჩუმე
და ვფიქრობ აღარ დ ა ვ ი კ ა რ გ ე ბ ი...
მხოლოდ მან იცის, მხოლოდ მას ესმის,
რამდენი დარდი გ ა დ ა ვ ი ტ ა ნ ე
და დაჩოქილმა მუხლებზე, ხოხვით,
რა აღმართები გ ა დ ა ვ ი ა რ ე...
უკან მოხედვა, თუ გადაწყვიტე,
და საკუთარი თავი დასაჯე,
მაშინ მიხვდები განვლილი გზები
როგორ განსაჯე...
ჩემი სევდა კი რჩება უთქმელი-
უნდა იცხოვრო ისე უ ბ რ ა ლ ო დ,
როგორც ცხოვრობენ დ ი დ მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ი...

*

ჩამომიქროლებს ა ლ ა ლ ი,
გულს დამიტოვა ვარამი,
შენ, შენი სატრფო მონახე,
კაცი, რომ იყო ალალი!

უსიყვარულოდ იცოდე,
სიცოცხლე ალბათ არ არის,
ჩამომიქროლებს ალალი,
მაშინ, სიკვდილი სად არის?!

თუ დამიჩრდილავ მზის სხივებს,
გულს დარდად დამებინდები,
თვალთა ხედვიდან გამქრალი,
წამწამზე დაგეკიდები!

რად ამედევნე ა ლ ა ლ ო,
რად ამიშალე ფიქრები,
ეს კარგად უნდა იცოდე,
შენი, არასდროს ვიქნები!

*

ისევ მომწერე, მომწერე რამე,
თორემ მუზებიც გამექცნენ ღამე,
თავს ვეღარ ვაბამ სტრიქონებს ისევ
და ცხრავე მუზამ დამტოვა მყისვე.

მივხვდი, მშიშარა ვყოფილვარ თურმე...
ფიქრმა დაბინდა ჩემი გონება,
ქუთუთოები სულ დამიმძიმდნენ
და არვის ესმის ჩემი გოდება.

სუფთა აზრებით და გულით შევძლებ,
კვლავ დავიბრუნო სულის სიმშვიდე.
ისევ მომწერე, მომწერე რამე,
მე, რომ მუზები კვლავ დამიბრუნდნენ

თორემ პანდორას ყუთივით მარტო,
ჩემში იმედი ჩარჩება სანდოდ
და ალბათ სულის სიმშვიდეს მერე,
მე, ვეღარავის ვერასდროს ვანდობ...

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

სულის წალკოტი

თქვენ არ გეტკინოთ
 გული არავის,
მე ისეც ვიცი არ მომირჩება.
დავრჩები ასე, სევდის კარავი,
სანამ სიცოცხლე,
 გადამირჩება.
გააცამტვერეთ, უიმედობა,
გაიზაფხულეთ,
 სულ რომ ციოდეს,
ყველამ შეირგეთ,
 ტკბილი დედობა,
სახლიდან
 კვამლი ამოდიოდეს.
სიმდიდრე,
 მხოლოდ შვილებია და...
შვილიშვილები,
 სულის წალკოტი...
სიხარულია მამიშვილები,
ფეხშიშველა,
 რომ ერთად დარბოდით.
 თუ გადავრჩები,
 უკვე არ ვიცი,
ვცდილობ ვაჯობო,
 დროის ვამპირებს...
ფიქრით კვლავ,
 ჭრელი კაბა ჩავიცვი
 და ბედთან ბრძოლას,
 ისევ ვაპირებ!!!

სხვა გაზა არც დამრჩა

სხვა გზა არც დამრჩა,
ღრუბლებს გავსერავ,
მზეს მივწვდები და სხივს ჩამოვიწევ...
ასე მწადია, ახლა ამჯერად,
რომ იმედები სულ არ გამიწყვეს.

ჩემი ცრემლებით ია ამოვა,
იით იწყება, თვე გაზაფხულის,
ტყეთა კვირტები ერთად გამოვა
და თავისთავად მოვა ზაფხული.

მერე?... ისევე ჩავირთვლიანებ
და არ მოვწყდები ხის ფოთოლივით,
ყველა სხივს ერთად გავამთლიანებ,
გზებს არ მოვტკეპნი, მწირ-- ობოლივით.

ბოლოს?... ვიქცევი ნაძვის ხის ფესვად,
ჩემით ისუნთქონეთ სუფთა ჟანგბადი,
ჩემს სადღიგრძელოს,
 მტერო, შენც შესვამ,
მე ზედაშე ვარ, სუფთა ბადაგის!

* *

ვდუმ ისე როგორც ვით წყალში თევზი,
არ ვიცი ვინ ხარ უფლის ხატებავ,
დიაცი გავხარ იმ მამალ ვეზირს,
მეფეს რომ ჭკუით აღემატება

კვირტდაცვენილი

გაუშლელ კვირტებს სევდის ფერი გადანაცვრიათ,
ვაზი ატირდა იანვარის მწუხრის ცრემლებით,
ხალხს სისხლიანი სამოსელი ტანზე აცვიათ,
საქართველოა გლოვის ცელით მონაცელები.

გარდაცვლითათვის ნათლისღების კარი გაიღო,
მათ სამოთხეში დაიმკვიდრეს მარადისობა,
მკვლელმა ცოდვები სამწუხაროდ ბევრი წაიღო,
მის სულს ზეცაში მოსვენება არ ეღირსება.

კვირტდაცვენილო საქართველოვ, მოგისამძიმრე,
ტირიხარ ჩემო, როგორ ვიყო პირმომცინარე,
ო, იმ შეშლით დედამიწაც დამძიმდება და.
 დავდარდიანდი ამ ამბიდან გამომდინარე!

მოვალ საშველად

დედა ბუნებამ დამამადლა სიკეთის თესვა,
ენას სულ ვეტრფი, მამული მიყვარს ზღვა
ლურჯი ფერით,
მრავალჟამიერ უნდა ვთქვა და სასმისი შევსვა,
მე სიყვარული შემიძლია სხვა არაფერი.

მე შემიძლია გულდაჭრილის გაჯამრთელება
შეგეხმიანოთ თქვენი გული თუ არ მაისობს,
ოღნდ შვილს დედა ნუ იტირებს, ნუ იცრემლება,
წუხს დედამიწაც, ვეღარ იტევს გვამით გაივსო.

დედამ სიკეთე ჩამილაგა ჩუმად უბეში,
თეთრ ტიტებივით გაიზარდა სულის სამშვენად,
დღე და ღამ ვფიქრობ მოგეფეროთ,
გითხრათ ნუგეში,
თუ გაგიჭირდათ დამიძახეთ,მოვალ საშველად.

ლოცვა დედისა სანდოა

დილით მზე ნაბიჯებს მოზომავს,
სხივებით მიწას ეკვრება,
დადგება ნიკოლოზობა,
მზეც გზაზე გადაგეყრებათ.

გულში აანთეთ სანთელი,
და გრძნობა ააგალობეთ,
ბილიკს არ გაყვეთ გათელილს,
ქალი რომ ისევ ქალობდეს.

ნიკოლოზობას დაგლოცავთ,
ლოცვა ეს სულის საზრდოა,
სხვამ თუ ქარივით გამოგცრათ,
ლოცვა დედისა სანდოა.

დედის ლოცვა

სიყვარულით დღის აისებს შეხვდით,
გულის ტკივილს მხოლოდ გრძნობა შველის,
ერთგულებით ერთურთს შეაბერდით,
გაიშლება მარადმწვანე ველი.
მიგასწავლით ჩემს გაკვალულ ბილიკს,
მე გავკაფე გზები ეკლიანი,
თქვენ ამ გზაზე თუ სიწმინდით ივლით,
წინ შეგხვდებათ ტყე სულ წიფლიანი.
მომავლისთვის რა არ გადვიტანე,
რომ სწორი გზით მიაღწიოთ მიზანს,
სიბერის დროს წყალი მომიტანეთ,
ჯერ მხნედ ვარ და...
ტვირთსაც ჩემით ვზიდავ!

ჩემი გულის ოთახში ჩასახლებული ნატვრა

ბარაქა და სიყვარული, ყველა ოჯახს,
გაასმაგდეს, ერთგულება ქართველებში,
მე გაჩუქებთ ჩემი გულის, ყველა ოთახს,
გამტანობა იყოს ისევ კახელებში!
სიცოვხლეა, სულ თითებზე დასათვლელი,
გაივლიან, შეუმჩნევლად ყოფნის წლები,
გათვლილია, კიბეები ასავლელი,
ძველებურად მასპინძლობდეს იმერლები!
ან რა არის გასაყოფი, ვის რა მიაქვს,
რას ღრინავენ, მიკვირს ბევრჯერ მურიები,
ყური უგდეთ, მოჩურჩულე ლამაზ ნიავს,
ნუ ფიცხობენ, ერთმანეთთან გურულები!
რა იქნება, გავიტანოთ ერთმანეთი,
გულს მიჯიჯგნის, მწარე ბედით ისეც წლები,
ასს ჯობნიდა, ქართულ გენის ვაჟი ერთი,
,,დიდოვ ნანას,, ღუღუნებდა მეგრელები!
რა იქნება დაიჯეროთ, ერთხელ მაინც,
ფულს არა გთხოვთ, მხოლოდ ერის ერთგულებას,
ველოდები, ფაცაფუცით ლამაზ მაისს,
არ იტიროს ჩემი ფიქრის გუგულებმა!

ბედისწერავ

გელოდები, ისე როგორც დილის ცისკარს,
დამიმშვიდე შფოთიანი დაზამთრება,
მე ხომ ყველას შვილებივით გულში ვიკრავ,
ეს სიკეთე რატომ მხვდება წარმართებად.
გელოდები, ნუთუ ერთხელ არ მეკუთვნის,
ბედისწერავ, რომ მეწვიო სახლში სტუმრად ...
თუ სხვის ტკივილს მოვარჩენ და გულს შევფუთნი,
ამიხსენი შენ რატომ ხარ ჩემთან უბრად.
გელოდები, ბედისწერავ გამახარე,
ჯვარს გაკრული ჩემნაირად არვინ არის,
ქარი დაძრწის, ძველებურად დახარხარებს,
საიმედოთ შემომიღე დილით კარი!

ღამემ დამცინა

ღამე მითვლიდა უძილო წამებს
მთვრალი კაცივით ამაბარბაცა,
მეგონა ახლა დავწერდი რამეს
განსხვავებულ აზრს სიბრძნით რაღაცას.

ბილოს ვიფიქრე, ვილოცებ ისე,
რომ დარდმა აღარ გამაცამტვეროს,
ღმერთმა მათხოვარს იმდენი მისცეს,
სიმდიდრით ძმა რომ არ გადიმტეროს,

მივედ-მოვედე ალთას და ბალთას,
მაინც არაფრით არ დამეძინა,
გადავიღალე ძალიან მართლა,
რად არ გძინავსო ღამემ დამცინა.

დროის გამოცდა

ღირდა სიცოცხლე იმ დღის წუთისთვის,
ზამთრის ყინვებო, აპრილდებოდი
და თუნდაც ერთი ამოსუნთქვისთვის,
ყველას სიყვარულს დავპირდებოდი.

თვალს ვადევნებდი დროის გამოცდას,
აზვირთებული ბედისწრის ღელვას,
ფიქრმა დარდები სულ მთლად გამოცრა,
ცამ ცისარტყელად აქცია ელვა.

განირჩეოდნენ ვით დღე და ღამე,
გული მღეროდა გრძნობის არიას...
ღმერთო, რა თბილი დღე დამიღამე
დიდი პატარა ერთად არიან!

მთამ ჩასძახა

მთის გორაზე, მთვარე ზლაზვნით ამოგორდა,
გააშუქა ღეელები მისევდილი...
ძირულა კი გაშმაგებით გამორბოდა,
თითქოს იყო, უცხო მხრიდან მოდევნილი.

მთამ ჩასძახა, ასე ჩქარა, სად გარბიხარ,
დამშვიდდი და დააწყნარე ეგ ტალღები,
შენ კი მზეო, მწვერვალებზე რად დადიხარ,
შენი ასე მცხუნვარებით,მეც გავხმები.

მთვარემ ოდნავ გაუღიმა მიწიერებს,
ხმის ჩურჩულით, სულ სიმშვიდით რჩევაც მისცა.
ნახეთ გლეხი, ფესვებს როგორ აფხვიერებს,
უშეცდომოდ ერთგულებაც დაამტკიცა.

მაშ სად გარბის, ეს ძირულა გაშმაგებით,
ემატება სიძულვილის ნაკადები,
მიწიერნო, რწმენის გზას თუ დაადგებით,
წმინდა სულით, უფალს შვილად ჩაბარდებით!!!

არ უღალატოთ

თუკი გინდათ, რომ სული გიცხონდეთ,
ნუ გაუსინჯავთ სხვის თაფლს გემოსა,
ახლა ზამთარი ამოიცოხნებს,
ბუნებას თეთრი კაბით შემოსავს.
ზამთარსაც მინდა გაზაფხულივით,
ლურჯი კამკამა ქოლგა ეხუროს,
ღრუბელმა ახალ დანიშნულივით,
გულის მინები აღარ შემუროს.
გიყვარდეთ ის ვინც, ამის ღირსია,
გულს სიყვარულის ცეცხლი დაანთეთ,
თქვენ შეასრულეთ ერთი მისია,
ცოლი ალერსით, კოცნით დაათვრეთ.
თუ ქალს უყვარხარ არის წყალობა,
გაგაფუფუნა ღმერთმა სიმდიდრით,
სიამაყეა ამორძალობა,
რომც მოინდომო ვერსად იყიდი.
მამაკაცებო, ვინც გინდა იყოთ,
თბილ- ტკბილ კერიას რამდენი ნატრობს,
ცრუპენტელებმა არ გაგაბრიყვოსთ,
შვილების დედას არ უღალატოთ.
მინდვრის ყვავილი გზად წამოკრიფე,
კრძალვით მიართვი ერთგულ მეუღლეს,
რით გაახარო მუდამ იფიქრე,
საყვარლისათვის ცოლს ნუ შეუღრენ!

მე მჯერა შენი

ვახტანს სხირტლაძეს

იცხოვრე ისე რომ სიყვარულით,
გააცისკროვნო მთელი სამყარო,
სილამაზით ხარ დახატული და...
შენი მამიკოს ფუძის ნაყარო.

რაგბი ეგ, შენი სულის კრედოა,
ცეკვას შერწყმია ვით წყალი თევზებს,
გული კამკამა საიმედოა,
მუდამ სიკეთის ბილიკებს ეძებს.

შენი მამიკო დამოგზაურობს
უფალმა იხმო მხნე და ძლიერი,
და თუ ეს ბედი აურზაურობს,
მე შენი ნიჭით ვარ ბედნიერი!

ბალბის ყვავილო

ყვავილო, დუმ და მითხარ , რა გინდა,
დაქალებივით ვდარაჯობთ ღამეს,
სიჩუმის ვარსკვლავს ვესტუმრეთ შინ და...
არ დაგათენდეთ ცა გვითვლის წამებს.

ბალბის ყვავილო, დაგრგე, გაგზარდე,
მაგრამ ვარდივით ნუ იბრდღვიალებ...
შენი ყვავილი გაშლილა ადრე,
ძირს დასაცვენად უკვე წრიალებს.

რატომ სულსწრაფებ გაზაფხულდება,
შენც სხვებთან ერთად გადაბრდღვიალდი,
თორემ ურემი გადაბრუნდება,
და სამუდამოდ ჩაგფლავს წყვდიადი.

მაშინ არავის გაახსენდები,
არადა ყინვით ბევრჯერ გაცივდი ...
დაბეჩავდები, შემიშინდები,
რომ ვერ გიშველო ამას განვიცდი!

დედა გულნაზი

ვფიქრობ ისევე იმ გზას მივსდიო,
სადაც სურნელი ასდის ბუნებას,
თვალიდან ცრემლო, აღარ იდინო,
თორემ ურემი გადაბრუდება.

დედა გულნაზი არ შეიცვლება,
და არც გავხდები სხვისი ლაქია,
სული კი ერთ დროს გარდაიცვლება,
ვერავინ იტყვის ჩემზე ახია.

მეცოდებიან ვინც ვერა ხვდება,
რომ სიყვარული რა ძვირფასია,
წაიქცევა და კვლავ ფეხზე დგება,
ტანს გამძლეობის კაბა აცვია.

პოეტის ფესვი

ვიცი ცაში იზეიმებ ბეჟან,
გიორგობა რა ლამაზად ჟღერს,
მითხარ ძმაო, ზეზე ხარ თუ წევხარ,
შენი ბიჭის დაბადების დღეს.

ოცდარვა წლის დააქვრივე ნელი,
ღრმა პოეტმა დაგვიტოვე ფესვი,
ლაშა მამას ბავშობიდან ელის,
ლაშას მამავ, თვითონ იყავ ლექსი.

მივულოცე გიორგობა ლაშას,
შენგან ობლად დანატოვარ ფესვსს...
დღეს არ ვტირი ცრემლი თვალში გაშრა,
შენი ვაჟის დაბადების დღეს.

დაბადებას მოგილოცავ ლაშა,
მოგილოცავ, გიორგობის დღეს,
სამი შვილით გული აკაშკაშდა,
შენ აცოვხლობ, პოეტ მამის ფესვსს.

ჩემი ვალია

არსად შემცდახარ რატომ გგონია,
ანდა მოლიე წუთისოფელი,
ცხოვრება დიდი ბრძოლის ველია,
ცა და მიწაა განუყოფელი.

რატომ გგონია ზეცა შენია,
მნათობს დაარქვი შენი სახელი,
აქ, ეს ცხოვრება განაჩენია,
და ნუ გგონია ნაპირს გახვედი.

ჩემი ვალია, რომ შეგახსენო,
კაცურ -კაცობის ერთი მისია,
გარდაცვლილები უნდა ახსენო
და ვინც წავიდა განა სხვისია.

მყარად რომ დგახარ პაპის ფესვია,
ნაკადულები დედის ცრემლია,
როცა შენს მამულს გულში ესვრიან,
შენნაირები მაშინ შველიან.

სხვისი შიმშილი უნდა გტკიოდეს
გალაქტიკაში როცა დაცურავ,
ბეწვის ხიდზეც რომ გადადიოდე,
სხვაც გაიყვანე მამაკაცურად.

ილბალი

გაგიკვირდებათ მაგრამ ასეა,
განსხვავებული ილბალით ვცხოვრობ.
თვალები გლოვით, ცრემლით სავსეა,
არადა დღისით, ღამითაც ვშრომობ.
დავრგავ ვარდებს და ისევ მე მჩხვლიტავს,
პურს დავთესავ და იქცევა ეკლად,
ვითმენ რას ვიზავ, ყველაფერს ვიტან...
სხვებს ჩემნაირი არ მოხვდეს ელდა...
ბევრი ბარტყებიც დავაფრთიანე,
დედა ვარ უფლის მავედრებელი...
სიტყვით არავინ დავაზიანე,
გული გავხადე რკინის კედელი.
ვერ გავიმეტე მტერიც ცუდისთვის,
მე ვერ ვიკადრე უკადრებელი,
არ გავბოროტდი, ფულის გულისთვის,
კვლავ ღმერთს შევთხოვე, სავედრებელი!
მტკივა, მეტკინა, ყველა ტკივილი,
მაინც სიკეთის, ღვთის გზა ვირჩიე,
არ დამიწყია სხვებთან ტირილი,
სიცოცხლე ჩემით გადავირჩინე.
ჰქონდეთ ქონება, მილიონები,
მე კი ჩემს ლუკმას გავყოფ ნაწილად,
არაფერს სხვისაგან არ ველოდები,
მგელი გლეჯია არ ვარ ნამდვილად.
მზად ვარ გაუძლო, ამას ყველაფერს,
ოღონდ იბარტყე პურის ჯეჯილო,
დროს ველოდები, ჩემთვის შესაფერს,
მტერი არ მინდა გავაჯეჯილო!

გული და უფალი

გულში ხარ უფალო არსადაც არ გეძებ,
სანთელიც ჩემს გულში ინთება სიწმინდით,
შენს იქით სიცოცხლეს უფალო ვერ შევძლებ,
გთხოვდი და ყოველთვის ლუკმას შენ მიწვდიდი.

მიყვარხარ უფალო, იმედით შექცქერი,
იმდენი მომეცი სულს რომ არ შიოდეს,
გათენდეს, დაღამდეს, დღე-ღამე ზღვისფერი,
ჩემს გავლილ ბილიკებს, მადლი რომ სდიოდეს.

მიყვარს... ვუყვარვარ

მახსოვს ჰო, მახსოვს რწმენით მოვედი,
მამა გაბრიელ შევეხე საფლავს,
მადლშემოსილი უკან მოვბრუნდი,
ღვთით ასე მოხდა რწმენით და მართალა.
ამამეტყველე ლექსების ენით,
იჩეკებიან გონის ბუდეში,
მამა გაბრიელ ეს, ხდება შენით,
ლექსია ჩემი დარდის ნუგეში.
მას შემდეგ ვცხოვრობ რწმენის იმ სახლში,
სადაც სიმდიდრე მხოლოდ ლექსია,
ჩავიფუფქები გრძნობების ალში,
პატარძალივით როგორც წესია.
მიყვარს...ვუყვარვარ,
ლექსს უფლის გზავნილს,
არ ვღალატობ და არც ის მღალატობს,
ამ დიდ სიმდიდრეს შენ მე მიგზავნი ,
ამაზე მეტი რაღა ვინატრო.
გარდამეცვალნენ ძმები და შვილი,
ყველაზე ადრე მეუღლე, დედა,
ლექსია ჩემთვის შვილივით ტკბილი,
გულის ტკივილებს ლექსებით ვკებავ.
ლექსით ვიძინებ, ლექსით ვიღვიძებ,
და ლექსით ვხვდები დილის ალიონს,
ლექსების გრძნობით გული ძიგძიგებს,
ლექსებთან მინდა სული დავლიო!

ზეცის სტუმარი

ამაღამ მე ვარ ზეცის სტუმარი,
კარი ჩარაზეთ სახლში არ მოვალ,
დღევანდელ დღესთან დავრჩი უბარი,
ვნახავ ჩემს ძმებს და ისევ ჩამოვალ.
ოლიმპოს ღმერთი ვიცი მიმიღებს,
თავდაბალია ღმერთი ყველასთვის...
ცაში ჩემი ძმა ტკბილად ღიღინებს,
ხმა მიმეწვდინა იქნებ შვილისთვის.
ცისკარს იცავდნენ ანგელოზები,
თვალცრემლიანმა ცრემლით მივმართე,
სული არა მაქვს შენაროზგები,
გულის ტკივილებს ძლივსღა მივათრევ.
რატომ ვისჯები რა ხდება ჩემს თავს?
ყველა მად არის ქმარიც და შვილიც,
თვალცრემლიანი კვლავ ნერგებს ვრგავ და...
ყველას დედა ვარ და თანაც ტკბილი.
კარი გააღო წერა-მწერალმა,
ფურცვლა დაიწყო რაღაც დავთრების,
შორს ჩაიქროლა ბედის მერანმა,
მე კი კვლავ დაბლა მოვემართები!

ყველაზე სანდო

უეკლო ვარდი საშიშია რადგან ენდობი,
არ უფრთხილდები და გგონია კანს არ გაგკაწრავს,
მსგავს პიროვნებებს, სამეგობროდ ნუ მიეყრდნობი,
მიგიტყუებს და მერე სადღაც ტყეში დაგკარგავს.

უეკლო ვარდი ლამაზია, სურნელიანი,
ხიდზე გავა და შენს გასასვლელს იმ წამს ჩატეხავს,
მას ურჩევნია მეგობარი გავლენიანი...
უეკლო ვარდი შეცდომებზე განგაშს ატეხავს.

ყველაზე სანდო მეგობარი შენი გულია,
ინტუიცია, ღამის ფიქრთან მონააზრები,
გრძნობით ნაშენი პირამიდა განა ფულია,
ერთსაც გარიგებთ... ყველაფერზე ნუ გაბრაზდებით!

ო, რა მკაცრი ვარ ზოგჯერ

იშვიათია თუმცა,
ო, რა მკაცრი ვარ ზოგჯერ,
ბედს ვაქცემ ნაცარტუტად,
სულ სახრით გამოვრობგე.
        მე სანთლის ალიც მათბობს,
        რმწმენასთან ერთად მძინავს,
        ვხათრობ და ისიც მხათრობს,
        ვიცი რომ არ გამყინავს.
ხალხში ბოროტი სჭარბობს,
სიკეთეს ფეხით თელავს,
მე მუდამ სხვებზე ვდარდობ,
და არც ვიკადრებ წყევლას.
        მტკივა ის რაც ყველას გტკივათ,
        არა ვარ დარდიმანდი...
        შევკრავ თქვენ დარდსაც ტივად,
        თუ ფეხი არ დამადგით!

შენი ხატი

ათინათის ყველა ნომერს შენი,
ხატი იცავს ვითარც ღვირძლი შვილი,
ყველა ნომერს ისე ნაზად შვენის,
თითქოს გულზე არის ამოსული.

მზედ ბრწყინდება ხატით ათინათი,
ეფერება განურჩევლად ყველას,
მე დავუთმე გულში დიდი ფართი
და ამ რწმენამ დარდი შემინელა.

ნინოობას მიულოცავ ყველას,
საქართველოს ჩემს ქრისტიან შვილებს,
არც ვიკადრებ მტრისთვის შურს და წყევლას,
გულის სითბოს ერთად ვანაწილებ.

ხვალ უწმინდესს იუბილეს ვუხდი,
ხატის ძალას შევავედრებ წმინდანს,
მომეც ძალა ღმერთო, ბრძოლის მუხტი,
რადგან გულში თოვდა ხანაც წვიმდა.

ცაში წასულ ნინოების სულნო,
იზეიმეთ სათნოების სახლში,
აქ იებად, ვარდათ ამოსულნო,
ახლობლები რად დატოვეთ დარდში.

ნინოებო, ნინოს მადლმა თქვენში,
დაივანოს სამუდამო რწმენით,
არ გენახოთ დარდი თავის დღეში,
და არ შეგხვდეთ (მწუხრი) განაჩენით!

ტანს კვირტად გამოაყარა

ფიქრი ფიფქებია ფარფატა,
ფიქრი ზღვაზე დიდი ცრემლია,
ფიქრებს აბა როგორ დახატავ,
როცა არსად აღარ გელიან.

კარზე გაზაფხული ჩამოდგა,
ფიქრით გამოვუღე კარები,
ისიც სევდიანი გამოდგა,
მეგონა გავახარებდი.

ხან ლექსი მიუძღვენი და...
ხათრით ღიმილიც კი ვაჩუქე,
ბედი დადიოდა ღრენით და...
აჯობებს ისევე გავჩუმდე.

გაზაფხულს იმედი ვაპკურე...
თვალი ფოთლებივით დახარა
დარდისგან სულ ვერ განვკურნე,
ტანს კვირტად გამოაყარა.

უდარდელ წარსულს

იმედის ტოტი დავიწიე სუსტი და ნაზი,
გავდა ბავშობას, თუმცა მაინც სევდა შეპარულს,
არავინ იცის ყვავილების ფიქრი და აზრი,
მეკი ფერები მახსენებენ უდარდელ წარსულს.

ლომ ძმების პატრონს ან რა მქონდა სადარდებელი,
ასე მგონია ყვავილებში მათი სულია,
და ღეროებში სისხლია, არის შედედებული,
რამდენჯერ ჩემს ძმებს ამ დიდ გზებზე გადაუვლიათ.

ეს სილამაზე მახსენებენ ღვირძლ ნათესავებს,
დეიდაშვილებს, ბიძაშვილებს, დათას და გელას,
მოგონებები წითელ- მწვანე ფერებში მრთავენ,
რწმენამ იმედი ცისკრის დილით შემომაშველა!

ცივ სამყაროში

ლამაზ საყურეს იკიდებს თხილი,
საკმაოდ გრძელს და ყვითელ კუნწულებს,
საჭირო არის ნაბიჯი ფრთხილი,
თორემ სატანა დაგვაუძლურებს.
ძეძვ-ეკლებშია გზათა ბილიკი
და თოთო კვირტებს ჭირხლავს და ყინავს
ვწუხ! ურწმუნოთა ისევ ქილიკით,
ყურში ჩამწივის დედების გმინვა .
კვლავ ამ გათოშილ ცივი სამყაროში,
უნდა გავწიო მარტომ უღელი,
გავალღობ სეტყვას ბედით დაროშილს,
ოღონდ არ შემხვდეს გზაზე სულელი.
არც ბრმა არ შემხვდეს, ბრმაც საშიშია,
თვალებს იბრმავებს, თუმცა კი ხედავს,
სულ გაურბივარ ბოროტს, ქიშპიანს,
ვინც არ აღმიქვამს მე როგორც დედას!

კოსმიური

სიყვარული სულ არ არის ხორცის ლტოლვა,
სიყვარული სული არის ზეციური,
ბრძენმა გრძნობას როცა ზეცა დაატოლა,
მას არ ეყო ვარსკვლავები კოსმიური.

ბიჭოვ, გოგო თუ გინდა რომ მოგეწონოს,
დააკვირდი თუ ფიფქივით სუფთა არის,
არასოდეს ქონებით არ გადაწონო,
სულით წმინდას გამოუღე გულის კარი.

უფლის მადლმა დედის სხეულს ჩაგაბარა,
დედის თვალი ცის ტოლია, დედას ენდე...
მან შენ გშობა გაგზარდა არ დაგაბრმავა,
ღმერთო ყველას კარგი ბედი დააბედე!

განა ტყუილს გიყვებით

განა რამეს ვამატებ
განა ტყუილს გიყვებით,
ნეტავ ხელი არ მომტყდეს,
მოხტუნავე ციყვებით .

თუ შემხვდება ჭინკები,
სევდიანი ზამთარით,
ჩემი გოგო- ბიჭები,
დასაცავად მზათ არის.

ამ ჩემს შექმნილ კარავში,
მზე და სიყვარულია
მჭადიც ცხვება ლავაშიც,
შოთი სულ კახურია.

იჟღურტულეთ ჩიტებო,
მოღუღუნე მტრედებთან
ქართვლის გოგო-ბიჭებო,
თქვენს მთებსა და ხედებთან.

ვლოცავ ერის მოყვარულს
სამშობლოს რომ იცავენ,
დავგმობ იმ გულს სატანურს,
მართალს როცა კიცხავენ.

ამ ჩემს ხელში გავლილებს,
მტერი ვერ ეკარება...
ჩემს მკვლავებზე დაღლილებს,
დედა მიეფერებათ!

ლომისის ხატთან

უიმედობის წვიმის ძანძახში,
კოვიდმა მოკლა ძმა როგორც დევი...
კეთილ მამაომ ლამაზ ტაძარში,
მიმიღო წმინდა დაძმური კლდემით.

საგვარეულოს ხატთან მაკურთხა,
ლოცვა - ვედრებით აუწყა უფალს,
დააო ჩემი უფალს უთხრა და...
წამს სიხარულით შემეკრა სუნთქვა.

ხუთი ძმის ნაცვლად მიხმო მამაომ,
მაკურთხა დად და მომეცა ძალა,
ასე დაღამდა ტკბილი საღამო,
უიმედობას მე უკვე ვკრძალავ!

დედა შვილობა

რა უნდა დაწერო, ან რა უნდა თქვა,
ასეთ დიდ გრძნობას ვერ არქმევ სახელს,
პატარა როცა აღუს წარმოთქვავს,
პატარა როცა თვალებს გაახელს!

არ დამიშალო

იმედს დავეძებ საით გაქრა, სად მიმალულა,
დღე არ გავა რომ არ მახსოვდე გულის არაკო,
ახლაც ფიქრები შვილო, შენთან გამოპარულა,
არ დამიშალო ლექსებით რომ გელაპარაკო!

სულის წყურვილი

როცა უფალის გწამს ისე გჯერა,
როგორც იცით რომ, დღე რომ დღე არის,
უიმედობამ თუ გაგაჯერათ,
მაშინ დარეკეთ სამრეკლოს ზარი.

დღეს შობა არის და ჩაიფიქრეთ,
აგისრულდებათ, ყველა სურვილი
აუგი სიტყვა გადაიფიქრეთ,
დაგიამდებათ სულის წყურვილი!

*. *. * *
როცა მიყვარს ჩემი მუხა რკო მოსხმული,
როცა ასვალტს მირჩევნია მიწა,
რად მაქვს გული ბედისწერით გამოხრული,
დარდი სხეულს ნეტავ რატომ მიწვავს!

დედა გენაცვალოს

დედა გენაცვალოს დავით,
ჩემი იმედების მწყემსო,
ლექსი დაგიდევი თავით,
მინდა რომ წაიხემსო.

ას წელს უნდა ყავდე დედას,
ჩემო სასიცოცხლო წყარო,
შენით, კვლავ სიცოცხლეს ვბედავ,
შენით, დარდიანიც ვხარობ.

დათო, გამიმრავლდი ასათ...
პაპის პაპების ჯიშო,
ფეხი არ წამოკრა არსად,
დედა გენაცვალოს ვშიშობ.

შვილო, გულით მამას გავხარ,
ალალს, გულღიას და კეთილს...
გუჯასი მართლაც ძმა ხარ,
ჩემი კი სასიცოცხლო ღმერთი!

არ მცალია

*

არ მცალია ფიქრის დროსაც დავისვენო,
ვფრთხილობ წლები წელში რომ არ გადამიტყდეს...
ჩემს მომავალს დავითობა გავახსენო,
რომ მამული არადოდეს დაავიწყდეთ!!!.

* * *

დავითობას მივულოცავ იმას ვისაც
საქართველოს სიყვარულით უღამდება,
ვისაც ხმალი უჭერია დავითისა,
ვისი ხმალიც არასოდეს არ ჟანგდება.

სხვაც დალოცავს საუკუნით ისეთ ქართველს,
ვისაც ერთი ვაზი მაინც გადუწიდნავს,
სადაც არის გულში ანთებს რწმენის სანთელს,
მტრისგან მამულს სამუდამოდ რომ გაწმინდავს!

დედაშვილური გრძნობით

შემოიხედე ჩემს ფანჯრებში მზე რომ კაშკაშებს,
სხივები ცეკვავს სიხარულით დავლურს უვლიან,
იმ აზვირთებულ – აღელვებულ სევდის კაშხალებს,
გამოვექეცი რეაქცია ჩემთვის ნულია.

ღმერთი ჩემშია სანთელი კი გულში მინთია,
დედაშვილური გრძნობით
მინდა ტკბილად გაკურთხოთ,
რეალობაა რასაც ვამბობ განა მითია,
ყველა მე მინდა ჭკვიანებო მიგისაკუთროთ!

დარდი მოკალით

გაგიკვირდებათ მაგრამ ასეა,
მახარებს სხვისი წინსვლა საერთოდ,
იანვრის სუსხი ისეც შარზეა,
ფიფქები მასთან ცეკვით გაერთო.

გამოიდარებს სულ ხომ არ ითოვს,
თვალებს გაახელს მზე ძილის შემდეგ,
გარიჟრაჟამდე მე გულს გაგითბობთ,
თუ ღარიბ - ღატაკს არ გასწევთ გვერდზე.

როცა თვით ზეცა ფიფქით ითოვებს,
დედამიწა კი ელის სიწმინდეს,
და თუ არა გაქვთ ქურქი ითხოვეთ,
სანამ მე ხელებს გამოგიწვდიდეთ.

მოგეშველებით კეთილს, გულღიას,
ვერასდროს ივლის გულღრძო ჩემს ახლოს ...
მზეს ოქროს კარი გამოუღია,
ცის მნათობები სულ ჩემთან სახლობს.

ამაყი მიყვარს მაგრამ თავდაბალს,
დააფასეთ და პატივი ეცით,
ლუკმა გაყავით მისთვის თანაბრად,
არასდროს გახდეთ გულღრძო და მხეცი.

გარიჟრაჟიდან სანამ ადგებით,
კარგზე იფიქრეთ, დარდი მოკალით,
თუ წვიმს მე ქოლგად გამოგადგებით,
თუ გინდა დამფქვით როგორც ხორბალი!.

ისე უბრალოდ

მე მირჩევნია ნასუფრალის ის ერთი ლუკმა,
სადაც რომ ჩემი ოფლის წვეთი გამორევია.
ერთ ბალის კუნწულს საარსებოდ თუ გამოვკურკავ,
სხვას მოვაჩვენებ მთვრალი ვარ და მიტომ მღერივარ.

ისე უბრალოდ გადავივლი წლების ქვაფენილს,
სხვის საზარალოდ არ დავაგდებ ერთ ქვიშის მარცვალს,
ვუმღერ ტოროლებს ნაადრევად ცაში გაფრენილთ,
დიდი ხანია ამ ტკივილებს ვუძლებ და ვმარცვლავ.

არჩევანი და არადანი ჩემში არ არის,
გული ავსილა უთვალავი მრავალწერტილით,
აკადემია გახდა ხალხის სამოთხის კარი,
აქ მადლის ხეა გაფურჩქნული, გადაპენტილი!

„შეიცან თავი შენი"

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ბერის ნაამაგარი

მთელი სიცოცხლე გზის ძებნაში ვარ,
შენით ვიპოვნე უეკლო გზები,
სულ ფიქრებში და ძიებაში ვარ,
ფუსფუს -ფუსფუსში ისევ ვიზრდები.

შენ უფლისაკენ გზა მიმანიშნე,
კითხვებს გისვამდი შიშის სინდრომით,
ახლა ვაშენებ ნდობის არშინებს,
და გული გახდა შენი მინდობი.

ჩვენი ხედვები დამოყვრდებიან,
გვიხმობს ორივეს წმინდა ტაძარი,
იქ, საუკუნის ამბებს ყვებიან,
იქ დაგვმხვდა ბერის ნაამაგარი!

დედის სიზმარი

ზეციდან მოდის ლექსიც, სიზმარიც...
მარადისობის გზა წრეში ბრუნავს,
იქა არის ჩემი მთელი ხიზანი,
ჩემს ამ ტკივილებს კვლავ ღმერთი კურნავს.
შენ გესაუბრა დედა ღვთის გზიდან,
დაგარიგა და მოგცა ნიშანი,
შენ გახდი წევრი კარგო იმ დღიდან
დამინახე და წამში მიცანი.
მენდობი ისე ვით შვილი დედას,
ჩემთან შეხვედრა მოგიხარია...
რაც შემიძლია მეც სიტყვით გკვებავ,
გრძნობ გული ჩემი ცის ტიხარია.

არავინ არ გგავს

თითეულ სიტყვას შიფრავ და ახსნი,
ვენახს, ხორბალს და ბაბუაწვერას
კოდურ სიტყვების გქონია არხი,
როცა საუბრობ პირჯვარს ვიწერავთ.

მიდიხარ მაღლა ზევით და ზევით,
ხშირად ღმერთთანაც ვიცი საუბრობ,
სხვასაც ასწავლე კარგო ეგ გზები,
ღვთის მისამართი იქნებ გაუგო.

იყო მეცნიერი

მეცნიერებას სწავლა უნდა, დრო და სურვილიც,
ეს საფეხური, ბეწვის ხიდით გასავლელია...
ეს უნდა იყოს შენშია და ... გკლავდეს წყურვილი,
ეკლის გაკაფვა თოვლ-წვიმაში მართლაც ძნელია.
შენით ვისწავლე პოეტები: -- შოთა, ილია...
გალაქტიონის სევდის სული ააფერადე...
მადლით მოსილი რომ მიწოდე თავს ვთვლი იღბლიანს,
და ვისურვილე მარტში ახალ კაბას ვკერავდე.
ცათა სამყარო გალაქტიკის შემოიარე,
სამეცნიერო წიგნები გაქვს გამოშვებილი,
მე შენ დუმილის ჩანაფიქრიც გაგიზიარე,
გაზაფხულივით კვირტებს გაშლის ჩემი კრებულიც!

გ ა ს ა ხ ე ლ ე ბ

არასოდეს ვიფიქრებდი დამეწერა,
შენთვის ლექსი გულის ძარღვით ნაქარგი,
გასახელებ ვარსკვლავების ლექსის წევრად,
ქალბატონო, არ გიცნობდი აქამდის.

გაზაფხული აფეთქება ხმათა ტემბრით,
დედამიწას რახანია გასცდი,
ლექს წერს ზოგი მაგრამ რა ქნას ენა ემბის,
შენ ხარ უცხო არავისი მსგავსი.

არც ანა ხარ, არც თამარი, არც მაია,
შენ სულ სხვა ხარ სხვანაირი რიტმით,
ლექსით მღერი და მგონია ცის არია,
არწივი ხარ განა ციცქნა ჩიტი.

ქარაგმებით დაამუნჯებ იმპერიას,
ალბატროსის გაგიშლია ფრთები,
შენი ლექსი ქალბატონო იმფერია
წიწვოვანი მარადმწვანე მთები!

შეიცან თავი შენი

ვარდის სურნელი ასდის შენს ლექსებს,
ვარდი ხომ მუდამ ყვავილთ მეფეა,
სიტყვა ჩემია რად მოვისესხებ,
აკადემია გრძნობის სეფეა.
შენი ლექსები გონის მარაგით,
ოქროს საწმისი უფრო მგონია,
სტრიქონი მორბის როგორც არაგვი,
რადგან ცხოვრება უსევ ომია.
შენ თვითონ ნაზი ქალბატონი ხარ,
ჩუმი, კეთილი და ნიჭიერი,
ასკით მგონი ჩემი ტოლიხარ,
შენნაირებით ვარ ბედნიერი!

დარდის ცეცხლში გამოვლილები

მე მივდიოდი უკაცრიელ კლდის ბილიკებით,
შენ მოდიოდი ჩემთან ერთად კრძალვით და რიდით,
და ასე ერთად საუფლოსკენ გზას მივიკვლევდით,
პოეზიის ფრთებს საყვარელო გარეჯში ვშლიდით.

იყო სიჩუმე და ლოცვები ისმოდა ბერის,
ორივე ვგრძნობდით სიახლოვეს გარდაცვლილების...
გალაქტიონი იყო ახლოს, იქ იყო მერიც,
ჩვენ ვლოცულობდით დარდის ცეცხლში გამოვლიები!

ორიონელო

მიამბე კარგო შევინახავ მაგ შენს ნაფიქრალს,
ორიონელო, მომიყევი ცაში რა ხდება,
მე მგზავრობის დროს სანთლის შუქი ქარში ჩამიქრა,
გზიდან დავბრუნდი და ეკალები ფეხში მედება.

შენ ვიცი ცაში რუსთაველი მოინახულე,
ნახავდი გალას, რადგან თან გდევს გრძნობა ლექსების...
შენიც რომ გეთქვა ქალბატონო, იუხერხულე,
იქვე დასახლდი რადგან იყავ მათი ფესვების.

მგზავრო კეთილო, გალაკტიკის ხშირო სტუმარო,
ცის მნათობია შენი სულის მონათესავე,
მე მიწას მინდა ეს ეკლები ამოვუბარო,
ორიონელო, ვჩეხამ მაგრამ მაინც თესავენ!

ისევ ფიქრებით

დაგლოცავ ისე როგორც დედა დალოცავს შვილებს,
გულთან ახლოს ხარ იცი შვილო, აქ მესმის სუნთქვა,
შენს მონატრებულ ცრემლის წვეთებს
გულმკერდზე ვივლებ,
შენი სულია უშგულივით წმინდა და სუფთა.

ისევ ფიქრებით უნდა მოგწვდე და მოგილოცო,
დაბადების დღე... პოეტესა თან გულკეთილო,
დღე არ არსებობს არ მახსოდე თან არ დაგლოცო,
შვილო, მიყვარხარ ...შენც გიყვარვარ,
როგორც დედილო!

თუ გიყვარს

როცა გწამთ უფალი სხვას სიტყვით არ მოკლავთ,
სიკეთის დათესვა კეთილის ჰობია,
გახსოვდეს, მეორეთ ჯეჯილად არ მოხვალთ,
ბოროტი მდიდარი ღარიბს არ ჯობია.
მისმინე ... ღალატით თუ ოდეს გივლია,
გმოძღვრავ და გარიგებ მე როგორც მშობელი,
თუ გიყვარს ზამთარში თოვლიც კი თბილია...
გულია სამყაროს თვით მეფისტოფელი!

სიწესიერის საზღვრის სამანთან

ხან დრო მაშინებს, ხან ბედისწერა,
ხანაც სამანის მისწვ- მოსწევა,
დილით მე როცა პირჯვარს ვიწერავ,
მზეს არ ჭირდება ციდან მოწვევა.

სიწესიერის საზღვრის სამანთან,
ზრდილი პოეტი შემომხვდი შვილო,
შენი ლექსების იასამანთან,
წიგნის მკითხველმა უნდა იფრთიხილოს.

შენი კალამი წყარო წარსულის,
პოეზიაც და თვით ისტორიაც...
უნდა ისწავლონ დრო ის გასული,
რომ ახალგორი შენთვის შორია.

ზრდი თაობებს და თან ჩააგონებ,
ძილშიც გაბოდებს ქსანის ხეობა,
ხან წიგნის შექმნას გამოიგონებ
და ელი ერის კეთილდღეობას!

შხარის სუნთქვა

შხარას წყალში გაზრდილ თევსზს გავს,
უშგულელი სვანი ქალი,
ნაღდ მეგობრებს არ გარიყავს
პოეზიით დადის მთვრალი.

გულის ძარღვი გაჟღენთია,
სტრიქონების მყინვარ წვერით,
მისთვის ლექსი მთის ღმერთია,
ამიტომაც წერს და მღერის.

არ ღალატობს ადათ-წესებს,
ას კაცს უდრის მისი ძალა,
უფრთხილდება ქართულ ფესვებს,
თუკი უყვარს არცა მალავს.

უყვარს წმინდა სალოცავი,
ლამარია და ბარბარე,
ეცოდება საცოდავი,
ცრემლსაც იდენს მოღვარღვარეს.

ჩევნი ეთო ასეთია...
როგორც თოვლი არის სუფთა,
ვარსკვლავების ნაერთი და
უშგულის და შხარის სუნთქვა!

უბრალოება

უბრალოებას სხვა ვინ მიხვდება,
ვის შვენის როგორც პატარძალს კაბა,
დაბადების დღე ხვალ ვის უხდება,
მის გულში ჩემს გულს ვაქსოვ და ვლამბავ.

მეაყება ქალი დედობით,
პოეზიითაც მეძვირფასება,
თუ მაინც მტკენენ ხვდება შენდობით,
სიმაღლით მწვერვალს შეეფარდება!

გლოცავ

ციდან დათა გიცავს დიანა,
დაბლა შენი სახლის კერია,
სახლში არ მოხვიდე გვიანა,
თორემ რჩეულები ბევრია.

ბებოს სიცოცხლე და იმედო,
მამის გაზაფხულის ფერიავ...
დედის რჩევას უნდა მიენდო,
შენთვის ბულბულები მღერიან.

სწავლის საფეხურის კიბეებს,
აყევ, მარცვალივით დაპურდი,
ღმერთი გაგიმართლებს იდეებს,
ოჯახს გამრავლებას დაპირდი

გლოცავ, ბებიკონა მიყვარხარ,
თავი არასოდეს დახარო,
შენ ხომ ჩემი ხათოს დიკახარ,
მშობლებს შენით უნდა ეხაროს.!

ყოჩივარდები

თქვენ ხართ ხეობის ყოჩივარდები,
უფლისგან ნიჭი მოგმადლებიათ,
ფიქრში ნაძერწი დრო და კადრები,
ერთ დროს ლექსებად აალდებიან.

მეც გეფერებით სულის ზიარნო,
მიყვარს საჩხერის მთა და მინდორი
აჯობებს ჩემთან შემოიაროთ,
რომ დაგაპუროთ გულის მირონით!

მეზაფხულები

დროში დარჩება ნაფეხურები,
შენი სახელი მეამაყება,
რაც გაგიცანი მეზაფხულები,
სიკეთის სხივი ყველგან დაგყვება.

წუთია წამი... წუთისოფელი,
 კაკალივით ხარ გამონაკროლი,
გძულს ყველა ღმერთის უარმყოფელი,
ქარიც უაზროდ მტრულად ნაქროლი.

იარე მუდამ, სიკეთის გზაზე,
იგრძენ მოკეთე თვალის შევლებით...
თუ მათხოვარი მოგადგეს კარზე,
მჯერა შენი რომ მიეშველები!

ყინულის გზა

მივდევ გზის ყინულს მგონია ვალღობ ...
გზადაგზა შაქარს ვთესავ პურივით,
დედა ბუნებაც გდარდობს და ნაღვლობს,
მკლავს შენი კარგად ყოფნის წყურვილი.

დამსეტყვე შენი უტყვი განცდებით,
შენს ბედისწერას ქვებს მეც ვესრიდი....
გიჩუმდები და მაინც ვბრაზდები,
რადგან მე შენზე ადრე ვკნესოდი.

ვიცი არ გშივა, ტანზეც გაცვია,
რწმენაც გაქვს სხვაზე მგონი ძლიერი,
მაინც იმედი შემოგძარცვია,
აღარაფრით ხარ სჩანს ბედნიერი.

შენ გაფითრებულ სახეს ვუცქერი,
დარდი არაფრით აღარ დაღვინდა,
ცრემლით ნათხაპნი ბედის ფურცელი,
გაღიმებული გიცქერს გაღმიდან.

უნდა იწამო

წამწამებივით დაფახურობს ფიქრი უნდობი,
რწმენადაკარგულს უნდობლობა აგდევნებია,
შენს წინ დაფრინავს ფრთებხატულა იაგუნდები,
ლამაზებია... შენ ყვავებად გეჩვენებიან.

უნდა იწამო, შენვე შექმნა შენი სამყარო,
გამოიდარებს თუ ირწმუნებ თოვა ფიფქების,
გზაში მგლის ხროვას მარტო შენ რომ გადაეყარო,
გაალამაზე ყოველი დღე კარგი ფიქრებით,!

თარგმანები

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

AUS SAMEBAS GLOCKENTURM

Fortsetzung

"Sie wirft der Schleier der Trauer ab, um am Licht der Freude teilzuhaben. Sie wird dem Schmerz und der Hoffnungslosigkeit folgen und wird weiter auf dem Weg der Hoffnung gehen. ("Ich nahm einen Zweig der Hoffnung. Die Bündel der Hoffnung und des Glaubens sind ihr Trost.")

Luara Sordia schreibt weiter :'Ein Mensch, der sich von der Schuld des Kummers erhoben hat, hört nicht auf das Flüstern eines bösen Geistes, sondern auf himmlische Stimmen. Er freut sich über die Sonne des Zenits, er hofft auf den Schutzgott". Das hängt mit der Vorstellung der Symbolik des Windes und der Personifikation des Windes zusammen: " Der Wind wird die Wolken vertreiben, der Wind wird die Wolken bewegen."

Nach Luara Sordia –geht Gulnazi Kharaischvili " den schönen Pfad des Guten", sie pflanzt "die Samen des Guten" für ihr Land, sie" betritt den Pfad mit Mühe und Not" mit ihren eigenen Füβen, dann sie wagt es, den Weg im Dornen zu suchen, sie hat die Muitter Gottes, die ihr hilft:"Ich suche den Weg im Dornenwald, ich schnappe/pflücke mir Erbsen und gehe weiter, es schneit und es regnet in meinen Sorgen, aber die Muttergottes vergisst mich immer noch nicht." Die Schöpferin kümmert sich nicht nur um ihre eigene Güte, sondern auch um das Gück anderer:" Sie wird ihren Weg durch den Dornenwald verfolgen".

Laut der Autorin von "Madlschemosili"/"Dankbar"/, benutzte Gulnazi Kharaischvili Dornen, um das moralische Problem hervorzuheben und fand Zeichen der Reue in den Gesichtern, die als Symbole dieser Bosheit galten: " Ich bemerkte Reue sogar in den Dornen".

Luara Sordia wird vor allem im System der künstlerischen Gesichter von Gulnazi Kharaischvili zum Beobachtungsobjekt Schnee, Frost, Hagel, Nebel, Pocken, Wolken, Regen, darstellen,was ein Hinweis auf Seelenlosigkeit, Unkenntnis des Guten, Gottlosigkeit, kosmische Kälte ist.

Die Gelehrte Frau Gulnazi Kharaischvili befasst sich relativ ausführlich mit dem Thema Heimat, das sich durch seine Gröβe auszeichnet. Die Dichterin schreibt viel über Mutter Georgien, die buchstäblich in den Klauen/ Fängen des nordischen Eismonsters gefangen ist, von seinen Stiefeln zertrampelt, das Abchasien und Samatchablo entführt hat.

Laut Luara Sordias richtiger/korrekter Bemerkung ist die Dichterin überall von Ausländertn umgeben, der Fremde ist vom Feuer umgeben, die Stimme eines Fremden ist zu hören…..Der Humanismus, der sich in der Haltung gegenüber dem Fremden zeigt, ist oft die Quelle unseres Ungülcks, deshalb trägt die Autorin der Gedichte ein"trauriges Hemd". Sie verurteilt die Verpflanzung einheimischer Reben und fordert uns auf, uns um den nationalen Weinberg und Garten zu kümmern. Ihre eigene Zukunft sieht sie in der Intergration des Landes. Gulnazi Kharaischvili betet zu Muttergottes, um ihr Land als Los der Jungfrau vor dem Feind zu retten und schützen. "Bedecke/ beschütze ,einen Rock , meine Mutter Gottes, ich will zurückbekommen, was jemand anderes sich angeeignet hat.Möge Gott sie erhören, patriotische Dichterin : "Abchasien –das Auge Georgiens, ich weiβ, es wird wieder auf georgisch gesungen."

Gulnazi Kharaischvili legt/weist der Poesie eine groβe Verantwortung zu:"Das Gedicht sollte so etwas sagen, damit der Feind des Vaterlandes ein Wohltuer/Wohtläter wird."Wenn du willst. dass man dich in der Seele beweint, verwandle Böses in Gutes. Luara Sordia schreibt: "die Dichterin sei von ihrer missionischen Idee ermutugt, dass das Georgien das Land der Jungfrau Maria, als Los der Jungfrau Maria ist und sie hält die Hoffnung aufrecht, dass für eine so auserwählte Nation unmöglich ist, nicht gerettet zu werden. Die Schöpferin belebt uns mit Hoffnung:" Ich weiβ, dass die Seele vom Herrn wieder gerettet wird und Georgien wieder mit Hoffnung strahlen wird/"

Die Autorin von "Madlschemosili"/Dankbar/ setzt sich ausführlich auf die/mit den Motiven Anwesenheit-Abwesenheit, Tod-Leben in Gulnaz' Werken ein.Die Dichterin erlebt bitter das Vergehen des Lebens, das Verschwinden menschlicher Spuren: " Ich glaube, dass das Sein ein Moment ist und der Wind meine Schritte auslöschen wird. Auf einer spiegelverkehrten Straβe oder auf einer Pelzbrücke sollte ein Mensch mit der Wachsamkeit seines Geistes gehen, begleitet von Gottes Glauben. Glaube, Liebe,

Wahrhetit, Freundschaft,Güte, Glück und Gewissen eines Menschen werden sicherlich der Prüfung des Lebens standhalten. Das Gewissenbekenntniss des Dichters spiegelt sich als Maβstab des Lebens wieder, Urteil/ Gewissengerichte nach Gewissen oder das Volk vor dem Obesten Richter.

Laut Luara Sordia lässt sich im gesamten Werk und Leben der Dichterin eine vom christlichen Glauben genährte Moral ablesen. ("Ich kann meinen Nächsten lieben, auch wenn ich auf Dornpfaden gehe", " Ich muss den Kelch der Güte leeren". " Ich setze mir das Ziel, Gutes zu säen."

Gulnaz Kharaischvili inspiriert den Leser :mit bösen Absichten, krummen Gesetzen und satanischen Taten kann ein Mensch dem Gericht des Herrn, dem Feuer der Hölle, nicht entkommen.Wer nicht in der Lage ist, sich selbst zu erkennen, wird die Essenz des Lebens, den Reiz des Lebens kaum verstehen.Und die Problemlöser von-"Erkenne dich selbst"teilen leicht göttliche Weisheit. göttliche Liebe. "Ich habe mich selbst und meinen Nächsten erkannt, ich habe den Lohn des Herrn erkannt, das Herz hat das Herz und das Gen hat das Gen erkannt, ich bin froh Sie kennenzulernen. Die Dichterin lehrt uns einfach, aber eindrucksvoll, dass das Leben eine Prüfung der Güte, Reinheit, Treue, Ausdauer, des Glaubens und der Liebe ist. Die Hauptsache ist, die Kraft des Gesetzes anzuwenden , der ausgleicht "zum Vulkan des Herzens", die Schale des Gefühls, "die Funke der Liebe."

In der Sprache von Luara Sordia betrachtet Frau Gulnazi es als ihre Pflicht, die Prüfung des Lebens für andere fehlerfrei zu bestehen" " Ich werde Dir als feste, starke Treppe dienen, helfen, weil das Leben eine Prüfung ist", Das Ideal eines Dichters ist ein vom Glauben und der Gnade des Heiligen Geistes erleuchteter Künstler, der sich die Menschen mit ihrem Talent ernährt ," Du willst das Land der Seele mit Wärme schmelzen,du willst dich die Dunkelheit mit einem Strahl erhellem…" Ich sehe, dass du ein Sklave des Glaubens, des Heiligen Geistes bist. Du magst kein Silber und deine Seele fand Erleichterung im groβartigen Gefühl."

In einem weiteren Aufsatz/Essay "Ich kann andere durch Nachdenken erreichen"-schenkte Luara Sordia ihre Aufmerksamkeit auf Gedichte und auf eine Kurzgeschichte von Gulnazi Kharaischvili zum Thema Tod.Folgende Gedichte kommen ihr in den Sinn:" Kochende Tränen"," Mord im eigenen Haus", die von einer bekannten Wissenschaftlerin analysiert werden

"Kochende Tränen" ist Manutchar /Batu/ Kharebava gewidmet, dem früh verstorbenen Sohn von Jemal Kharebava, einer in unserer Gesellschaft wohlbekannten Person.Sein Abschied von dieser Welt am 25. April 1989 erschütterte ganz Abchasien.Bis heute ist es uns nicht gelungen, diese Wunde im Herzen der zu Unrecht Vertriebenen aus Abchasien zu heilen. Danke an Frau Gulnazi dafür, dass sie eine der ersten war, die dieser tragischen Tat /eine goβe Dichtung, rein langes Gedicht gewidmet hat.

Luara Sordia hält dieses Gedicht für würdig, zusammen mit der persönlichen Tragödie, die Abchasien in den Flammen des Krieges zeigt und den See aus Blut und Tränen aufzeichnet.Es ist bewegend, die hasserfüllte Stimme des Fremden zu hören, das Entflachen des zerstörerischen Feuers, das vom Feind entflacht wird.In Suchumi ist Löwenzahn an der Stelle einer Palme aufgewachsen, Möven sind verschwunden, der Schrei von Eulen und Uhus ist eine Warnung für die Ohren, es friert die Seele ein.

Hören wir dem Forscher zu:"Der georgische Verstorbene wird in Form eines Geistes/ Gespents und einer Lerche enthüllt und es kommt zu einem seltsamen Dialog zwischen dem Autor und Batu Kharebava…Die Offenbarung des Hauptheldens des Gedichts wurde durch das Wunder der Feder des Dichters aus dem mysteriösen Königreich verursacht. Die Autorin ist ein Medium zwischen Batu und seinen Eltern.Oder noch:"Reinheit und Freundlichkeit etablierten Batu in der Gesellschaft von Engeln."Himmlische Geister lassen Batu den Schmerz und die Geschichte der Nation niederschreiben. Es ist kein Zufall, dass Batus Appel/Rat an seine Eltern darin besteht, für ihre Heimat zu beten, statt Tränen und Kummer und sie werden das Königreich erben, indem sie rechtschaffen leben. "Das Gedicht" Mord in der eigenen Wohnung" erzählt von der Tragödie von Merabi, der in seiner eigenen Wohnung getötet wurde. Luara Sordia weist bei der Analyse dieser Dichtung darauf hin, das sie auch kein einzelnes Thema ist. Der Schmerz unserer Zeit zeigt sich auch in dieser Dichtung.Das Gespenst ihres Bruders, des Dichters Bezhan Kharaischvili, erscheint der Autorin und beauftragt sie, ein Gedicht zu schreiben und teilt ihr gleichzeitig mit, dass Merabi im Paradies ist ….

ხაბავშვო განყოფილება

ლალი კახიძე

ზრაპრი
ტყის ჩურჩული

არის ერთი ულამაზესი ქვეყანა, ამ ქვეყნის სახელი არის საქართველო. ამ თბილ და კეთილ ქვეყნის დედაქალაქს სახელად თბილისი ჰქვია. საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი კუთხე კახეთი, გამოურჩევა მოსავლიანობის და ლამაზი ბუნების მშვენიერებით. მარგალიტივით კუთხეში თბილი და მართალი ხალხი ცხოვრობს. კახეთის გარშემო ლამაზი ტყე-პარკებია. ნაძვნარები და წიწვოვანი მცენარეებისგან იქმნება ჯანსაღი ჟანგბადი, რომელიც ჯამნმრთელობის წყაროა. ტყე ფრინველების ჭიკჭიკით იღვიძებს. მობინადრე ცხოველებიც ჩურჩულით ესაუბრებიან ერთმანეთს. მათი ენა სასიამოვნო მოსასმენია. ამ ლამაზი დასახლების ახლოს ტყის მახლობლად ერთი ლამაზი სახლი დგას. ამ სახლში ორი და ცხოვრობს. ნენე არის 30 წლის და ბაბი კი 20 წლის. გოგონებს მშობლები ადრე გარდაეცვალათ. ნენე ძალიან მშრომელია. მარჯვე და გონიერმა გოგონამ მეფრინველეობის ფერმა ააშენა. სადაც უამრავი სხვადასხვა ჯიშის ფრინველები გაზარდა და ააწყო ბიზნესი. ჭკვიანმა გოგონამ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა, დამხმარედ მგლები აიყვანა. მგლები თავიდან კეთილსინდისიერად ეხმარებოდნენ ქათმების რეალიზაციაში. ბოლოს კი ქურდბაცაცობას მიჰყვეს ხელი. კეთილი ნენე მაინც შემოსავლის ნაწილს ტყის ბინადართ უნაწილებდა. ამას ყველაფერს დიდი სიყვარულით აკეთებდა. ტყეში გამოქვაბულში ცხოვრობდა ჯადოქარი ,,კოკო". ჯადოქარს ძალიან მოსწონდა ნენეც და ბაბიც. ჯადოქარის ხასიათში სიბოროტე უფრო სჭარბობდა. ერთ მშვენიერ დღეს როცა ტყეში ფრინველთა ჟრიამული იყო, ჯადოქარმა ბაბი მოიტაცა. ამ ამბის დამნახველი არავინ იყო. ბაბი კეთილ ფერიად გადააქცია. ბაბი ჯადოქარ ,,კოკოს" უვლიდა, რადგან მის სიბოროტეს ვერ ამჩნევდა. ნენე კი ისე იყო გართული თავისი საქმით, თავისი დაიკო არც კი გახსენებია სად იყო. როცა მოიკითხა, ბაბი რომ ვერ ნახა ძალიან შეეშინდა და აფორიაქდა. ბაბის გაუჩინარებით შეწუხდნენ ფრინველები და ძებნა დაუწყეს. ნენეს კი მოძებნის თავიც აღარ ჰქონდა და დარდისგან ლოგინად ჩავარდა. ფრინველები არწივს ეწვიენ და დახმარება სთხოვეს. არწივმა მოისმინა ყველაფერი და ბრძანება გასცა. სასწრაფოდ გადმოიყვანეთ სავადმოყოფოში. ფრინველებმა არწივის ბრძანება შეასრულეს. არწივმა ნენე გასინჯა, მოეფერა და დაამშვიდა. ძვირფასო ნენე ოპერაცია გჭირდება. რაც უფრო მალე ჩავატარებთ ოპერაციას უკეთესიაო. შეწუხდნენ ფრინველები. ამ ყველაფერს ისმენდა ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ,,კეთილი ფერია". მოფრინდა არწივთან და უთხრა: – დიდებულო ფრინველთ მეფევ, მე გადავარჩენ ნენეს. არწივმა სიცილით მიმართა:-– კეთილო ფერია – შენ თვითონ ხარ ერთი თირკმელის ხელა და ნენეს კი თირკმელის გადანაეგვა ჭირდება. ამას შენ ვერ შეძლებ. კეთილი ფერია ნენეს საწოლთან ჩამოჯდა და სანუგეშო სიტყვებით

ჩურჩული დაიწყო. ნენეს სიამისაგან ცრემლები ცვიოდა. კეთილო ფერია, იავნანა მიმღერე, სთხოვა ნენემ. ფერიამ ლამაზი წკრიალა ხმით სიმღერა დაიწყო. ნენემ ხმით დაიკო ბაბი იცნო. მოხდა სასწაული და ,,კეთილი ფერია" ჩვეულებრივ ბაბით გადაიქცა. დები ერთმანეთს გადაეხვივნენ. სავადმოყოფოს კედლებში სიხარული დატრიალდა. არწივმა ოპერაციის გაკეთება დაიწყო. ეზო ფრინველებით გაივსო. ოპერაცია სამი საათი გაგრძელდა. ნენე გადარჩა. მის გადარჩენა არწივის დამსახურებაა. ეს სიხარული ერთ-ერთ რესტორანში აღნიშნეს. ასეთი უანგარო სიკეთეები კეთდება იმ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია.

მარტოხელა ბიჭუნა

საქართველოში ულამაზეს რაიონებში მეტწილ ქალაქის გარეუბნებში უმშვენიერესი ტყეებია. ხეები ზოგი ბუნებრივადაა ამოსული და ზოგიც კი კეთილი ადამიანებისგანაა გაშენებული. თბილისის ერთ-ერთი ქალაქის ახლო მდებარე ტყეში ცხოვრობს მარტოხელა ბიჭუნა. ბიჭუნას გიტარა აქვს და როცა ნაღველი შემოაწვება ის გიტარით ირთობს თავს. მარტოხელა ბიჭუნას კეთილი მეზღაპრე ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე და ნაირ-ნაირი სურსათ-სანოვაგეც მიჰქონდა ბიჭუნასთვის საპატივსაცემოთ. ერთ-ერთი სტუმრობის დროს მეზღაპრეს გიტარისტმა ბიჭუნამ კონცერტი ჩაუტარა. გიტარის ხმაზე ტყის ბინადარი ფრინველები მოგროვდნენ და სხვადასხვა ხმით ჭიკჭიკი დაიწყეს. როცა კონცერტი დამთავრდა, მეზღაპრემ გადაწყვიტა ბიჭუნასთვის თავისი თავგადასავალი ეამბნა. ბიჭუნამაც მეზღაპრეს, თავისი სახელი გაანდო. მეზღაპრევ, მე სახელად რაზი მქვია. რადგან შენ შენი ამბავი მითხარი, ახლა ჩემიც მოისმენე და თხრობა დაიწყო. მე მყავს მშობლები, მყავს ძმაც. ჩემი მშობლები მდიდრები არიან, მაგრამ მე გადავწყვიტე ცალკე ვიცხოვრო და ჩემით შევქმნა ყველაფერი. დამოუკიდებლად მინდა ვიცხოვრო. მეზღაპრემ რაზი დალოცა და წარმატებები უსურვა. ერთ დღეს რაზის ტყეში მეფე ეწვია. მეფემ გაიგონა მუსიკის ხმა. გაოცდა და ვეზირები მოიხმო: სასწრაფოდ მომგვარეთ ამ მუსიკის შემსრულებელი. ნაზირ-ვეზირებმა მოძებნეს რაზი და მეფეს მიჰგვარეს. დიდო მეფეო, თქვენს წინაშე არის რაზი მუსიკოსი. მეფემ რაზი გულში ჩაიკრა და უთხრა: – რაზი შენ ჩემს სასახლეში დაუკრავ. რაზიმ ამ ღვთის წყალობაზე უარი არ თქვა და მეფის სასახლეში გადავიდა საცხოვრებლად. მეფემ რაზის აგარაკები აჩუქა, სახლი და ქონება დაუმტკიცა. კეთილმა ბიჭუნამ თავისი ნიჭით მიზანს მიაღწია. ასე ჩემო პატარებო, კეთილი მიზნები ყოველთვის სრულდება.



ცაგო აბაშმაძე

გურმანი ციყვი

გამოცდილი გურმანია,
ქერა ციყვი კოკო,
თურმე ძვირად უყიდია,
ორი ცალი სოკო.

თან უმოწმებს ფერს და ხარისხს,
რომ არ იყოს ძველი,
დასჭირდება დასაჭრელად
დანა მჭრელზე მჭრელი.

სხვენზე ბლომად ულაგია
კაკალი და თხილი,
უჰ,ბაჟეში ჩავაწყობო,
უკაწკაწებს კბილი.

ცელქი გოჭები



თუ არ გინდათ გაიწკეპლოთ,
მერე ცრემლი ღვაროთ,
პირი ისე დაიბანეთ,
წყალი არ დაღვაროთ.

არიგებდა დედა ღორი
პაწაწინა გოჭებს,
თან ღიმილით უმატებდა:
--გაგიკოჭავთ კოჭებს.

წუწაობდნენ გოჭუნები,
არ უსმენდნენ დედას,
ამიტომაც დაისაჯნენ,
ახლაც სახლში სხედან.

კუ

ჯავშანი აქვს კუს სახლ-კარად,
არ აშინებს მტრის თავდასხმა,
არც ავდარი არ აწუხებს,
იყოს,თუნდაც წვიმა თავსხმა.

მეტად ზანტი არსებაა,
კბენა იცის,კბილი არ აქვს,
მცენარეთა ფოთლებს ჭამს და
ბედს არ სწუნობს,თავი გააქვს.

მელია

ვინ შეამკობს მელიას
ულამაზეს სიტყვებით?
მის ,,საგმირო" საქმეზე
ამ ლექსში მოგიყვებით.

თურმე ჩვენი მელიკო
წუწკი სულაც არაა,
არც ვარიებს იპარავს
და არც მატყუარაა.

გაგიკვირდათ ბავშვებო?
დიახ,სწორედ ასეა,
ორი დღეა ბეღელი
კენკროვანით სავსეა.

დაიფიცა მელიკომ,
ხელს არ ახლებს ვარიას,
საქათმიდან ხმა მესმის,
დედლებს გაუხარიათ.

ყვავილები მივართვი,
გაიხარა ძალიან,
ახლა მელას ძმობილი
ჩვენი მურა ძაღლია.

მხეცუნების საჩივარი

– იცით? – ჩვენი მელაკუდა
სათქმელს თავს ვერ აბამს,
– ზოოპარკში ვიყავიო,
– ყვება ახალ ამბავს.

– და ვიხილე უამრავი
თანამოძმე ჩვენი,
ზოგს აწუხებს ტყვეობა და
ზოგს ღიმილი შვენის.

დამაფიქრა ამ ამბავმა,
ვინ გვიწესებს წესებს?
რად მოსწყვიტეს მშობლის მკერდს და
დააშორეს ტყეებს?

– მართალი ხარ,მელაკუდავ,
– ეთანხმება დათვი,
– შენ დაწერე საჩივარი,
აი, ჩემი თათი.

მოვაწეროთ ყველამ ხელი,
რას ველოდოთ, ანკი,
რომ გაუქმდეს სამუდამოდ
მხეცთა ზოოპარკი.

მზრუნველი მელაკუდა

მე ვიცნობ და თქვენც გაგაცნობთ,
მელაკუდა--ჩალხანას,
გადაწყვიტა: ააშენოს
შოკოლადის ქარხანა.

თქვენ გგონიათ მოგეყურათ?
გეფიცებით, არ ვტყუი,
წამომყევით, თქვენი ყურით
გაიგონებთ, რას იტყვის.

ლურჯ გორაკზე,ლურჯი ცის ქვეშ,
სიტყვას ამბობს მელია,
არ იღლება ორატორი,
მოხსენებაც გრძელია.

უსმენენ და უხარიათ:
ციყვებს, ტურებს, ბაჭიებს,
– დღეის შემდეგ ტკბილეულით
გავახარებთ პაწიებს.

წამალ-მურაბა

ზამთრის ძილქუშს მისცემია,
დათუნია დანდალა,
იქვე, ახლოს ციყვმა ცეცემ
ცეცხლზე დადგა კარდალა.

გაარჩია გირჩები და
ქვაბში ფრთხილად ჩაყარა,
შაქრის ლერწმით დაატკბო და
თავზე გადააფარა.

რას აკეთებს? რა თქმა უნდა,
გირჩის წამალ-მურაბას,
ბუნაგისკენ გაცუნცულდა,
ფრთხილად მიაყურადა.

ზრდილი არის ჩვენი ცეცე
და განთქმული პურადიც,
გაზაფხულზე უმასპინძლებს
ყველას წამალ-მურაბით.

თინის ნატვრა

გაიხედეთ ფანჯარაში,
რა ლამაზად თოვს!
თითქოს მთელი სამყაროსთვის
ბამბის თავშალს ქსოვს.

ეს ფარფატა ფანტელები
ტკბილი რომ იყოს?
– უჰ, რა კარგი იქნებოდა,
– ნატრობს თინიკო.

ტკბილიც იყოს, თბილიც იყოს
და დღედაღამ თოვდეს!
შოკოლადის ციგები და
ვაფლის სახლი მქონდეს!

გაიგონა ბებიკომ და
ჩაიცინა ტკბილად,
თინის თვალზე ააფარა
შოკოლადის ფილა.

მკურნალი შაშვი

ყელი სტკივა მელაკუდას,
მკურნალია შაშვი,
– აბა, რა იქნებოდაო,
უნდა გევლო შარფით.

ჩაუთბუნა თათუნები,
ასვა ჟოლოს ჩაი,
ტკბილი სიტყვა-დარიგება
გაატანა ჩანთით.

მიცუნცულებს მელაკუდა,
უხარია რარიგ,
კალენდარში ჩაინიშნავს
ყველა კეთილ თარიღს.

გონებაში სიტყვას ეძებს,
საფერებელს შაშვის,
ყველას გვირჩევს:ექიმ შაშვთან
მივიყვანოთ ბავშვი.

კეთილი მეზობლობა

დათუნია ჯემს ამზადებს,
ტყეს მოედო სურნელება,
დახმარება შესთავაზეს,
გულკეთილმა უბნელებმა.

ციყვი კეკე თლის მაჟალოს,
მელაკუდა ადნობს შაქარს,
--იფ,იფ, ვდნები სურვილითო,
--ნერწყვი მოსდის თვით ნიავქარს.

ფიჩხი ზურგით მოიტანა,
ოფლი მოსდის ზღარბუნიას,
--წინსაფარი მომეცითო!
--აწრიპინდა თაგუნია.

დაბაჯბაჯებს დათუნია,
ცრემლი მოსდის სიხარულის,
ასე ხდება,როცა მეფობს
ერთობა და სიყვარული.

ჭკვიანი დათუნია

ორი ქილა თაფლი დუდის,
ორიც კიდევ დადუნას,
ორი ქილაც მე დამრჩება,
ანგარიშობს დათუნა.
დედა დათვი ინტერესით
ეკითხება დათუნას,
ჩემო ტკბილო, სულ რამდენი
დაგჭირდება თათუნა?
დათუ წელში გაიმართა,
ექვსი თათი ასწია,
დედა დათვი გაიძახის:
რა მაგარი კაცია!

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა

უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

პროგა

ელგუჯა მგელაძე,
მწერალი, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

მადლობა უფალს!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ღვაწლი საქართველოს წინაშე ყველასათვის ცნობილია.

ღმერთს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ საქართველოს ტელევიზიაში ჩემი მუშაობის დროს საშუალება მომეცა უფრო ახლოს გავცნობოდი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებას. სწორედ მაშინ გავიცანი და დავუახლოვდი მის უწმინდესობას, რომელმაც თავიდანვე მამა-შვილურად მიმიღო, მომეფერა და განსაკუთრებული სითბო მაგრძნობინა.

ყოველთვის დიდი მოკრძალებით აღვნიშნავ, რომ წილად მხვდა პატივი მის უწმინდესობასთან ერთად გამეტარებინა უამრავი საეკლესიო დღესასწაული. განსაკუთრებით ვიხსენებ საზღვარგარეთ მისი ვიზიტების პერიოდში გატარებულ დღეებს, რაც დაუვიწყარი მოგონებაა ჩემს ცხოვრებაში.

ჰანს დიტრიხ გენშერთან

კარგად მახსოვს 1996 წელს შვეიცარიასა და გერმანიაში მისი ვიზიტების დროს როგორი მოწიწებით, სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ მას მსოფლიოს საპატრიარქოს და ევროპის ეკლესიების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები. მახსენდება ის ანთებული თვალები, რომლითაც ქართული სათვისტომოს წევრები შესქცეროდნენ პატრიარქს, რაოდენ დიდი იმედი და მოკრძალება იგრძნობოდა ამ თვალებში.

აღნიშნული ვიზიტი დაედო საფუძვლად საქართველოსა და შვეიცარიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას. აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დღევანდელი დაძაბული მდგომარეობის დროს სწორედ შვეიცარიის დიპლომატები ასრულებენ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის შენელებისა და საკითხების მშვიდობიანად მოგვარების საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ მისიას.

ვიცე კანცლერ კლაუს კინკელთან ერთად

შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრთან

ამავე ვიზიტის დროს გადაწყდა გერმანიის ქალაქ მიუნჰენში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსება, რომელშიც ამჟამად ქართულ ენაზე ტარდება წირვა-ლოცვები, ეს კი იქ მყოფ ჩვენს თანამემამულეებს საშუალებას აძლევს არ მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს.

კარგად მახსოვს, როგორი მოწიწებით ხვდებოდნენ მის უწმინდესობას ისეთი რანგის პოლიტიკოსები როგორიცაა გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი, გერმანიის ვიცე კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი კლაუს კინკელი, გერმანიის ეკონომიკური განვითარების მინისტრი კარლ დიტერ შპრანგელი, ზაარის მხარის ობერ-ბურგომისტრი ბატონი ჰოფმანი და სხვები.

მსოფლიოს წითელი ჯვრის პრეზიდენტთან

სწორედ ამ ვიზიტის გაგრძელება იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის რომან ჰერცოგის ვიზიტი საქართველოში, რომელიც 1996 წლის ივნისში შედგა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტს გერმანიაში ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა იქაური პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

შეხვედრა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. პანაიოტის ცაკოსი, ელგუჯა მგელაძე, მეუფე აბრაამი, პატრიარქი ილია II

მახსოვს, როგორ გულთბილად შემხვდა იგი საპატრიარქოს ახლად— გახსნილ საკონ-ფერენციო დარბაზში, როცა საჩუქრად გადავეცი პირადად მასზე და საპატრიარქოზე ჩემს მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული 40 საათამდე ქრონომეტრაჟის ვიდეო მასალა და 3 ფოტო ალბომი, სადაც 700— მდე ფოტო იყო მოთავსებული, რომელთა უმეტესობა მისი უწმინდესობის უცხოეთის ქვეყნებში ვიზიტებს შეეხებოდა.

უდიდესი მადლიერება მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო მის მიმართ იმის გამო, რომ 2011 წლის 13 ივლისს საპატრიარქოში ჩატარებული მე-18 საყოველთაო ნათლობის დროს, სწორედ მისი უწმინდესობა გახდა ჩემი ტყუპი შვილიშვილების თათია და თეონა მგელაძეების ნათლია, რითაც უდიდესი მადლი შემოიტანა ჩემს ოჯახში.

ვფიქრობ, მარტო ჩემს მიერ დასახელებული შეხვედრებიც კი ნათლად წარმოაჩენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, როგორც უდიდეს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დამსახურე-ბაზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მართლმადიდებლური რწმენის წინაშე.

ელგუჯა მგელაძე პატრიარქთან

პატრიარქის ნათლულები თათია და თეონა მგელაძეები

ელგუჯა მგელაძე

ბუმბერაზი წიფელი და „იაგორის საცივი“

ირიჟრაჟა...

ღამეს ჯერაც ვერ მიეღო გადაწყვეტილება, რომ ძილით დაღლილი ქვეყანა გაეღვიძებინა.

მისი ბჭობა მზეს შეეწყვიტა... ნელ-ნელა, ჯერ ცარგვალი გაენათებინა, მერე – მიწა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გიშრის ღამე და საფირონის დღე.

იღვიძებდა გურიის ულამაზესი სოფელი ზომლეთი და ამ სოფლის მშვენება, დიდებული ბუმბერაზი სამასწლოვანი წიფლის ხე, რომელიც, რომ იტყვიან, სოფლის სავიზიტო ბარათი იყო!

ამ უზარმაზარი წიფლის გარშემოწერილობა სულ ცოტა ოთხი მეტრი მაინც იქნებოდა. იგი განმარტოებით იდგა იაგორ მგელაძის ფერდობიანი ეზოს ყველაზე დაბალ ადგილზე. ძნელია, სიტყვებით იმის გადმოცემა, თუ როგორი იყო ეს ხე. მისი ტოტები, ერთნაირად თანაბრად გაშლილიყო ყველა მიმართულებით და უზარმაზარ ქოლგას მოგაგონებდათ. იგი მთელ ამ არემარეს ავსებდა, ასეთი მოცულობის გამო და იშვიათი სანახავი იყო. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მიდამოს ერთი ხე ავსებდა და მთელი ტყის ასოციაციას ქმნიდა. უქარობაში მისი სილამაზის აღწერა უბრალოდ, შეუძლებელი იყო. უზარმაზარი ტოტებიც კი გარინდულიყვნენ, მაგრამ ოდნავი სიო წამოუბერავდა თუ არა, უცებ იცვლებოდა წიფელი. ერთად აჩურჩულდებოდნენ ტოტები, ერთმანეთს აჰყვებოდნენ ფოთლები. ფოთოლთა ჯარის შრიალი ერთ სიმფონიად იქცეოდა და მთელ არემარეს ავსებდა.

როცა ფერდობზე ნისლი ჩამოწვებოდა და ირგვლივ აღარაფერი ჩანდა, წიფელი ერთს შეიბერტყავდა ძლიერ ტოტებს და ნისლიც უცებ გაიფანტებოდა!

დილა ტოროლას სტვენით იწყებოდა, მას მერცხალი ეხმიანებოდა ჭიკჭიკით, ჟღურტულებდნენ პატარა ბარტყებიც, ბუდეებიდან თავს ამოჰყოფდნენ და გარემოს ათვალიერებდნენ, თითქოს ცხოვრებას სწავლობდნენ.

შეუძლებელია იმ სილამაზის აღწერა, რაც წიფლის ამ გამოღვიძებას თან ახლდა. დილაადრიან, მზე ოდნავ გამოანათებდა თუ არა, იხუვლებდნენ ფრინველები. ხის უზარმაზარი ტოტებიდან ცაში აიჭრებოდა აურაცხელი ჩიტი, თითქოს, დირიჟორმა ჯოხი აუქნიაო და დავლურს უვლიდნენ ჰაერში; თავს დასტრიალებდნენ მშობელ წიფელს და ათასგვარ ხმაზე უმღეროდნენ.

ასეთი მშვენიერების ხილვის ბედნიერება, იშვიათად თუ ეღირსება ადამიანს!

იღვიძებდა ბუნება და წიფლის გაღვიძებაც განსაკუთრებით უხაროდა მის ძირას მორაკრაკე მესაიდუმლე და ერთგულ მეგობარს, ანკარა წყაროს!

წყაროს წყალი, სპეციალურად გამოჭრილ, დაახლოებით ერთ ტონამდე ტევადობის ქათქათა თეთრ, წყალგაუმტარ კლდის ფიქალში გროვდებოდა და ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მარტო ბუნების დამსახურება კი არა, ადამიანის ხელის დახმარებით, ჭკვიანურად იყო მოფიქრებული და შესრულებული. აუზს, ზედმეტი წყლის გასატარებელიც ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ მასში ერთ ტონამდე წყალი სისტემატურად იდგა. წიფლის ხის მიწის ზედაპირზე ამოზიდული ფესვებიც, წყაროს თავზე ისე მოხერხებულად იყო განლაგებული, რომ მორაკრაკე წყლის მსურველს შეეძლო, ერთი მეტრის სიღრმეში შეეყო ხელი და სპეციალური ჭურჭელი, პირდაპირ წიფლის ფესვების ბუნებრივ ტერასაზე, შეედგა წყლისთვის.

წყაროს და წიფელს უანგაროდ უყვარდათ ერთმანეთი. სანაცვლოდ არაფერს ითხოვდნენ. მათი ურთიერთობა, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა იყო იმის გამო, რომ ხე და წყარო ბევრს უნახავს ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ხის ფესვებიდან გამომდინარე წყარო, რომელიც ,,აუზს ქმნიდა“, არავის ახსოვს.

აქ, სოფლის უბნების გზაგასაყარი იყო და ყოველთვის განსაკუთრებით ბევრი ხალხი მიმოდიოდა.

ერთი სიტყვით, ეს ნამდვილი სიცოცხლით სავსე გარემო იყო!

აქაურები ამ ადგილს ,,იაგორის საცივს“ უწოდებდნენ. ეს სახელწოდება შემთხვევით არ მოუგონიათ. წყარო იქაური გლეხის, იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობდა. არავინ იცოდა, ხსენებული ბუმბერაზი წიფელი უფრო დიდი ხნის იყო თუ წყარო, რომელსაც ენაკვი-

მატი გურულები რატომღაც ,,საცივს“ ეძახდნენ. ერთი კია, რომ ამაზე ლამაზ, იდუმალ ადგილს ძნელად იპოვიდა კაცი! მოსახლეობას წყარო და წიფელი ცალ-ცალკე ვერ წარმოედგინა.

,,იაგორის საცივი“ უშუალოდ სამანქანო გზის პირას მდებარეობდა და სოფლის მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვისაგან დასაცავად, იგი აკაციის მეტრნახევრიანი სიმაღლის მესერით იყო შემოღობილი. ნებისმიერ მსურველს, ღობის დაბალ ,,ალაგეზე“ გადავლით, შეეძლო ცივი წყლის დაგემოვნება. წყლის ჭურჭლად, წვერწათლილ მესერზე ჩამოკიდებულ კონსერვის თავმოჭრილ ქილებს იყენებდნენ.



ენით აუწერელი სილამაზე იყო, წყაროს აუზის კიდეებზე წყლის დასალევად შემოსკუპებული უამრავი ფრინველის ხილვაც. ხშირად გვინახავს ელექტრონის მავთულებზე შემომსხდარი ფრინველები, მუსიკალურ ნოტებს რომ მოგვაგონებდნენ... მაგრამ წყაროს შესევის დროს სულ სხვა სურათი იყო: ეს ათასფერი ჩიტი ტილოზე ხელით ნაქარგს ან მხატვრის ფუნჯით დახატულს ჰგავდნენ.

ცივი წყლით გაგრილებული ჩიტები, მერე, ერთად აფრინდებოდნენ, ცას მიაშურებდნენ და ჟრიამულით იკლებდნენ იქაურობას. ალბათ, სწორედ ამაზე ითქმის ხოლმე: მზეს უმღერიან ჩიტებიო!

წიფელი წელიწადის ოთხივე დროს, რომ იტყვიან, შეუდარებელი იყო, მაგრამ განსაკუთრებით საოცარი იყო იგი გაზაფხულზე, ზამთრის შემდეგ გამოფხიზლებული! უნდა გენახათ, როგორ იბადებოდნენ და მერე როგორ სკდებოდნენ დაბერილი კვირტები – მისი შვილები. როგორ იმოსებოდა უხვი ტოტები ფოთოლთა ულამაზესი კაბებით!

ჰაერი რომ დათბებოდა, თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებოდა ათასი სახეობისა და ჯიშის ფრინველი. ირგვლივ გაზაფხულის ყვავილების სურნელება ტრიალებდა.

ბედნიერი ჩიტები ჰაერში დავლურს უვლიდნენ, თავს დასტრიალებდნენ მშობელ წიფელს. მერე ცოტა ხანში მათი ბარტყები დაიჩეკებოდნენ და სურათიც სულ სხვანაირი ხდებოდა. ხეც თითქოს ზღაპრებს უყვებოდა პატარებს, ასწავლიდა მათ, რომ არსად, ასე ლამაზად არ თენდებოდა და ასე ლამაზად არ ღამდებოდა, ასე არ ჩახჩახებდა მზე, როგორც აქ და, სწორედ ეს იყო მათი სამკვიდრებელი!

ამ ხეს თითქოს სხვა განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა იმ ფრინველების მიმართ, რომლებიც თბილ ქვეყნებში არ მიფრინავდნენ და მის ტოტებში იზამთრებდნენ, ზოგი დროებით დაცლილ ბუდეებში, ზოგიც უზარმაზარ ფუღუროებში. წიფელი, შეძლებისდაგვარად ,,მასპინძლობდა“ მათ. მისი უზარმაზარი ტოტების ქვეშ თავს აფარებდნენ ადამიანები და ცხოველებიც.

წიფლის გამოღვიძება ძალიან ახარებდა სოფლის ბინადრებსაც. მისი მდებარეობის, სამანქანო გზასთან სიახლოვის გამო, გამვლელი თუ გამომვლელი, წყურვილს აქ იკლავდა.

წიფელმა თითქოს იცოდა ყველა მიტოვებული ბუდის, ყველა ობოლი ფოთლის, ყველა იმედგაცრუებული ტოტის, ყველა ძირს ჩამოვარდნილი ბარტყის, ყველა ბნელი ფუღუროსა და ყველა ფრთოსნის ამბავი. ისიც იცოდა, როდის მოფრინდებოდნენ აქ ჩიტები, ყვავილს შერჩენილი ნამი რომ შეესრუტათ.

მიუხედავად იმისა, რომ წიფელს მეხის რამდენჯერმე დაცემის კვალიც აჩნდა და რამდენიმე ფუღუროც ჰქონდა, ის მაინც ისეთი ბუმბერაზი და მდიდრული იერის იყო, რომ, მის ქვეშ წყაროც რომ არ ყოფილიყო, საკუთარ ღირსშესანიშნაობას მაინც არ დაჰკარგავდა! ხის უზარმაზარი ტოტები თავის დროზე, ალბათ, ზეცისკენ იყო აღმართული, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდნენ და მას სხვანაირ იდუმალ იერს აძლევდნენ. ის კი არა, დასავლეთ მხარეს, ერთი, დაახლოებით 60 სანტიმეტრის დიამეტრის ტოტი, იმდენად ჩამოიწია ქვემოთ, რომ

მის ქვეშ გამავალ გზაზე თივით ან ჩალით არაგაბარიტულად დატვირთული ავტომანქანები და ტრაქტორის მისაბმელები, თავისუფლად გავლას ვერ ახერხებდნენ. ადგილობრივი მძღოლები ყოველთვის ითვალისწინებდნენ ამ გარემოებას და ტვირთი წიფლის გვერდის ავლით, შემოვლითი გზით მიჰქონდათ.

სოფელ ზომლეთში ალბათ ვერ ნახავდით ადამიანს, ვისაც, რომ იტყვიან, პირი არ ჰქონდა ჩატკბარუნებული წიფლის უგემრიელესი წიწიბოთი. მოსახლეობა ამით ,,აპურებდა" თავის ბინადარ ფრინველებსა თუ შინაურ ცხოველებსაც კი.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იმატა წიფელზე კოდალების სტუმრობამ. ისინი დილიდან საღამომდე უკაკუნებდნენ ხეს თავიანთი გრძელი ნისკარტით და წიფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატურად ,,უმასპინძლდებოდა" ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

ხანდახან წიფელს ერთდროულად, 4-5 კოდალა ,,სტუმრობდა" და კაკუნით იკლებდა არემარეს.

გვიან შემოდგომაზე, ხის სიმაღლის, ტოტების სიხშირისა და სიდიდის გამო, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ უცხო ფრინველთა ლამაზი ,,ქარავანი" მის ტოტებზე ისვენებდა, სულს მოითქვამდა და გზას აგრძელებდა. ეს იყო საოცარი სანახაობა...

ამ ხეზე შემომჯდარი ნებისმიერი ფრინველი სოფლელებს თავისად მიაჩნდათ და არავის აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ მისთვის თოფი ესროლა. ჩანდა, წიფელს ძალიან უყვარდა თავისი ბინადარნი და მათ უფრთხილდებოდა. ისინიც სიყვარულით პასუხობდნენ, ენდობოდნენ და გულის ნადებსაც კი არავინ იტოვებდა, ხეს ჭიკჭიკით ანდობდნენ თავის საიდუმლოს. ყველა თავისებურად აკეთებდა ამას. უცნაურია ის, რომ ამ წიფელზე არავის უნახავს მტაცებელი ფრინველი, რატომ?. ამის ახსნა არავის შეეძლო. ესეც უნიკალური შემთხვევა იყო.

წიფლის ფერდობის გაღმა, სხვადასხვა ჯიშის ხე ხარობდა, მართალია, ისინი წიფლისგან მოშორებით იდგნენ, მაგრამ მის სიახლოვეს ყოფნა ეამაყებოდათ და თვითონაც ნატრობდნენ, მასსავით დიდებული გამხდარიყვნენ, მაგრამ ამის ბედნიერება არ ჰქონდათ, რადგან ხის მჭრელების ეშინოდათ. თავის მხრივ, წიფელს გულს უკლავდა ნაჯახის კაკუნი და ხერხის ავი ხმა... თვითონ ასეთი საფრთხე არასდროს დამუქრებია, მაგრამ სხვების ბედი ძალიან აწუხებდა.

ამბობენ, ხეებს რომ ტირილი შეეძლოთ, ხის მჭრელებს ცრემლების ნიაღვარი წალეკავდაო.

,,ხეს ადამიანივით და კიდევ უფრო უკეთესად გაეგება ყველაფერი. ადამიანზე ლამაზად და უკეთესად სიკვდილიც შეუძლია და სიცოცხლეც. სიცოცხლე ხომ იცის და იცის უკეთესი", ბრძანებდა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი თავის ნაწარმოებში ,,დათა თუთაშხია".

ზომლეთის წიფელიც, სწორედ, ასეთი ხეების რიგს მიეკუთვნებოდა. იგი ფოთლების შრიალით ყოველთვის თანაგრძნობას გამოხატავდა გარშემომყოფთა მიმართ, არიგებდა მათ: ,,ვიდრე ტყის შვილობის სურვილი ცოცხლობს ჩვენს გულებში, არც დედამიწა გაგვიმეტებს და არც გამჩენიო".

თურმე, ხეებსაც სცოდნიათ ლოცვა. წიფელი სისტემატურად ლოცულობდა მოძმეებზე, საკუთარი ტოტების წიაღში დაბუდებულ ფრინველებზე, განუყრელი მეგობრის – კამკამა წყაროსთვის და მინდორ-ველებში არსებულ მცენარეულობებზე.

...წიფელს ძალიან უყვარდა ღამის საუბრები წყაროსთან. ვინ იცის, რამდენი გასაჭირის თუ ლხინის მომსწრენი ყოფილან წიფელი და წყარო. რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. ღამით მარტო დარჩენილი ხე ფოთლების შრიალით, წყარო კი რაკრაკით ერთმანეთს უზიარებდნენ დარდსა თუ სიხარულს. მერე, როგორც ამბობენ, ,,ერთი ძილით წყალსაც წაეძინებაო"და, წყაროსაც რომ მიეძინებოდა, წიფელი უკაცრიელი სიჩუმით ტკბებოდა.

მაშინ, როცა ფრინველთა გადაფრენა დამთავრდებოდა, ხეზე მობინადრე ფრინველებიც, გამოსაზამთრებლად, დროებით მიტოვებულ ბუდეებს მიაშურებდნენ და ხეს შერჩენილი ბოლო ფოთოლიც, უკანასკნელი მოჰიკანივით, ფარფატით დაეშვებოდა მშობელ მიწაზე და წიფელიც ღრმა ძილს მიეცემოდა გაზაფხულამდე, აი, სწორედ, იმ დღეს, მეგობრები კეთილი სურვილებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს იმ იმედით, რომ წიფელი გამოღვიძების შემდეგ, კვლავ ცხოვრების ჩვეულებრივ რეჟიმს დაუბრუნდებოდა.

წიფლისა და წყაროს მოპირდაპირე მხარეს, მომცრო ღელეს გაღმა, სულ რაღაც 70-ოდე მეტრში, მდებარეობდა სოფელ ზომლეთის მესაქონლეობის ფერმა, რომელიც სამასამდე სულ მსხვილფეხა საქონელს იტევდა.

მესაქონლეობის ფერმა ხუთი შენობა-ნაგებობისაგან შედგებოდა და ყველა მათგანს სასმელი წყალი ლითონის მილებით მიეწოდებოდა, დაახლოებით 150-მდე მეტრით დაშორებული წყაროდან, რომელიც საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდა და ფერმაშიც თვითდინებით შედიოდა. ამის მიუხედავად, ფერმაში ყოველდღიურად მომუშავე ადამიანები სასმელად ყოველთვის მაინც წიფლის წყაროს წყალს იყენებდნენ, რომელსაც სხვადასხვა სახისა და ტევადობის ჭურჭლით ეზიდებოდნენ.

მდინარე სუფსის ორივე მხარეს გადაჭიმულ სოფელ ზომლეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მომუშავე ადამიანები, რომლებიც, ძირითადად, სიმინდის ყანების დამუშავებით იყვნენ დაკავებული, სასმელ წყალს ყოველთვის ,,იაგორის საცივიდან“ ეზიდებოდნენ. შუადღისას თაკარა სიცხის დროს, ბევრი მათგანი, სწორედ, წიფლის ქვეშ აკეთებდა შესვენებას, სადაც ენამოსწრებული გურულები ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ. შუადღის შესვენება, პაპანაქება სიცხის გამო, ზოგჯერ სამი-ოთხი საათი გრძელდებოდა. უზარმაზარი წიფლის ქვეშ შეფარებულ გლეხებს აქ ყოველთვის სასიამოვნო, გრილი ნიავი ხვდებოდა, რაც წიფლისა და წყაროს ჰარმონიული ურთიერთობით იყო გამოწვეული.

აქვე ისვენებდა სოფელ ზომლეთის ყველა ახალგაზრდა, ვინც კარგ ამინდში, თითქმის ყოველდღე მდინარე სუფსის პირას მდებარე საფეხბურთო სტადიონზე იყრიდა თავს.

ცივი წყაროც ძველებურად მოჩუხჩუხებდა და ზამთარ-ზაფხულს რატომღაც ყოველთვის ერთი და იგივე ტემპერატურა ჰქონდა. იგი არასდროს იყინებოდა. სწორედ, ამის გამო, ყველა მოწიწებით ეპყრობოდა წიფელს და მის ძირში მორაკრაკე წყაროს.

ზამთარში გაშიშვლებული უზარმაზარი ხე გრანდიოზულ, მონოლითური ქანდაკების ბრწყინ-ვალე შთაბეჭდილებას ტოვებდა და საოცარი სანახავი იყო! ცივ ზამთარში, თოვლი ხის ტოტებს რომ დაფარავდა, მის შემხედვარეს თოვლიანი მწვერვალის ასოციაცია გაგიჩნდებოდათ!

ვინ იცის, რამდენი გასაჭირის თუ ლხინის მომსწრე ყოფილა ეს წყარო და წიფელი! რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. რამდენ გამვლელ-გამომვლელს მოუკლავს წყურვილი, მოუოხებია გული და შინ დასვენებული და დარდისაგან განტვირთული წასულა. ალბათ, რა მტკივნეული იქნებოდა მათთვის იმ დაუდევარი ახალგაზრდების საქციელი, რომლებსაც ხის ტანზე ბასრი საგნით ამოტვიფრული არაფრისმთქმელი წარწერები დამღად, რომ დაუტოვეს საუკუნოდ.

წიფელის გამოღვიძების შემდეგ გაზაფხული იწყებოდა სოფელ ზომლეთში.

ალბათ, ძნელი იქნება ამ ხნის (სამი საუკუნე) ხის პოვნა საქართველოში! როგორც ვიცით, მხოლოდ ძელქვა, მუხა და ჭადარი ცოცხლობს სამას წელზე მეტ ხანს. მაგრამ ზომლეთის წიფელი იშვიათი გამონაკლისი იყო!

ალბათ ვერც ერთი აქაური პეიზაჟი ვერ ხიბლავდა ადამიანს ისე, როგორც ეს მიდამო – იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთის ფერდობის ძირში აშოლტილი ეული უზარმაზარი ხე!

გადიოდა დრო, რომ იტყვიან, ხან წვიმდა, ხან თოვდა, ხან მცხუნვარე მზე წვავდა მიდამოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წიფელს ხანდაზმულობისაგან ნელ-ნელა ტოტებიც ტყდებოდა და დრომ მეხსიერებაც წაართვა, იგი მაინც ჯიუტად მყარად იდგა და იდგა!

მაგრამ, გამოხდა ხანი და ბუნება, სტიქია, უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ეს უნიკალური, შეუ-დარებელი ხე, თითქოს, უსულო, მაგრამ ძლიერი, დიდმა თოვლმა ძირში გადატეხა. ამბობენ, თითქოს მძინარე ხეს საოცარი კვნესა აღმოხდა. ნელ-ნელა გადაწვა, მერე მტვრევის ხმა, ხრჭიალი გაისმა და განესვენა!

სიკვდილი შეუძლებელია ლამაზი იყოს, მაგრამ ეს წიფელი ნამდვილად ასე მოკვდა: მოწყვეტით კი არ დაეხეთქა მიწას, არამედ ნელა, მშვიდად მიწვა!

გვინახავს ადამიანის ხელით მოჭრილი მორადქცეული ხეები, მაგრამ წიფელი, გადატეხვის შემდეგ, რაღაც უცნაურ სანახაობად ქცეულიყო, რომელსაც ვერც მორს უწოდებდი და ვერც კუნძს.

სხვა ხეები მისგან საკმაოდ მოშორებით იდგნენ, მაგრამ წიფელი ეამაყებოდათ და თვითონაც ნატრობდნენ, მასავით დიდებული გამხდარიყვნენ. როცა კვნესა გაიგონეს, გლოვის ზარი

ჩამოჰკრეს. იდგნენ გარინდული და სულგანაბული. შემდეგ, თითქოს, ძლივს ამოისუნთქეს და წყაროს მიუსამძიმრეს...

...ამ ორიოდე წლის წინ კვლავ ვესტუმრე ჩემს მშობლიურ სოფელ ზომლეთს. გვიანი შემოდგომა იდგა და ხეები უკვე გაძარცვულიყო. ამიტომ, სოფლის შესასვლელიდანვე, რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა: გარემო იერშეცვლილი მომეჩვენა... წარმოიდგინეთ ჩემი მწუხარება და იმედგაცრუება, როცა სულისშემძვრელი სურათი დამხვდა. წინა წლის დიდთოვლობას, ულამაზესი ბებერი წიფელი ზედ ძირში გადაეტეხა!

გაოგნებული ვუცქერდი დაცარიელებულ არემარეს. მოსახლეობას წიფელის ის ნაწილი, რომლითაც სავალი გზა იყო ჩახერგილი, შეშად დაუმუშავებია, ხოლო მისი ვეებერთელა ტანის ნაწილი, რომელიც ღელეში ჩავარდნილა, საცოდავად იქ ეგდო...

,,ხეებს ლაპარაკი ესმითო", – მიაჩნდა ბუნების მესაიდუმლე დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველას. იმასაც ხომ ამბობენ, ,,ხეები ზეზეულად კვდებიანო". აი, ჩვენი წიფელი კი სულ სხვანაირი სიკვდილით მოკვდა...

უაღრესად დანაღვლიანებული, თვალცრემლიანი მივედი წიფლის გადამტვრეულ ძირთან, რომელიც, თითქოს დარცხვენით მიმზერდა და თვალს ვერ მისწორებდა. თვალი შევავლე წყაროს და მომეჩვენა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა, რადგან თოვლთან ერთად წყალმაც თავისი როლი შეასრულა წიფლის ფესვების ძირის გამოთხრაში...

მომეჩვენა, თითქოს ცხარე ცრემლით ტიროდა წყარო, როცა განუყრელი და ერთგული მეგობრის დაკარგვის ამბავს ,,ჰყვებოდა". ალბათ, ამიტომაც ახლა უფრო მეტი წყალი გადმოდიოდა წიფლის ფესვებიდან, ვიდრე ადრე!

წყარო იმასც წუხდა, რომ წიფელს ამონაყარი ნერგი არ დარჩა, რომელიც მის სიცოცხლეს გააგრძელებდა.

მე კი იმაზე ვდარდობდი, რომ დაუდევრობით ან მოუცლელობით, ამ საოცარი ხისა და დიდებული ადგილის ფოტოსურათი არ შემომრჩა... ამიტომ გადავწყვიტე, ამ მონათხრობით მაინც ჩაიწეროს სოფელ ზომლეთის ისტორიაში საუცხოო ხისა და მისი განუყრელი მეგობრის – ანკარა წყაროს თავგადასავალი!

რედაქციისგან!

ძვირფასო მკითხველო!

მწერალი და საზოგადო მოღვაწე ელგუჯა მგელაძე სამწერლო ასპარეზზე მოგვიანებით გამოჩნდა, თუმცა იგი ყოველთვის ამჟღავნებდა მწერლობის ნიჭს. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ იგი მთელი ცხოვრება საქმიანობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, უდროობის და მოუცლელობის გამო, ამას ვერ ახერხებდა. მწერლობა ხომ უზარმაზარ შრომას, სულსა და გულს ითხოვს. მას თავი მთლიანად უნდა მიუძღვნა.

ცხოვრება რომ აირია და შეიცვალა, „ზოგი ჭირი მარგებელიაო", რომ იტყვიან ამის დროც დადგა. მან სამოცი წლის ასაკში შექმნა ნამდვილად დასამახსოვრებელი ნაწარმოებები. დღემდე მის მიერ გამოცემულია ექვსი სქელტანიანი წიგნი.

ელგუჯა მგელაძე სპეციალობით ინჟინერ-მშენებელია. იგი 45 წელი ემსახურა დედაქალაქის თვითმართველობის სფეროს.

წლების განმავლობაში იყო თბილისის 26 კომისრის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მთავარი ინჟინერი, თბილისის საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მმართველი. იმავე დროს არჩეული იყო ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად.

მოგვიანებით ელგუჯა მგელაძე სამუშაოდ გადავიდა თბილისის ნაძალადევის რაიონის სარემონტო-საამშენებლო სამმართველოს უფროსად, რომლის პრივატიზაციის შემდეგ მის ბაზაზე შეიქმნა შპს „ბახმარო", სადაც იგი, როგორც ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი დღესაც აგრძელებს მუშაობას. იგი არის უამრავი საქველმოქმედო საქმის ინიციატორი და შემსრულებელი. თავისი ძირითადი საქმიანობის დროს მისი სპეციალობის წარმოჩენისთვის და დედაქალაქის ინფრასტრუქტურის სრულყოფის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ელგუჯა მგელაძე შეყვანილია საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაში.

თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად ელგუჯა მგელაძე 1991-2004 წლებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე დაფუძნებულ ტელეჟურნალისტთა მუდმივმომქმედ ექსპედიცია „მამულის“, ხოლო მოგვიანებით კი რუბრიკა „საქართველო არის ესე...“ საქმიანობაში. ტელევიზიაში მისი მუშაობის დროს ამ რედაქციების მიერ 200-ზე მეტი დოკუმენტური ვიდეოფილმი შეიქმნა. ყველა მათგანი რამდენჯერმეა გადაცემული საქართველოს ტელევიზიის პირველი ახის ეთერით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ელგუჯა მგელაძის ღვაწლი საქართველოს საპატრიარქოსთან მიმართებაში: კერძოდ, მის მიერ მომზადდა და საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა 500-მდე სიუჟეტი სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით. ამასთან, განსაკუთრებით ძვირფასია მის მიერ მომზადებული ვიდეოფილმები, რომლებიც ასახავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ვიზიტებს უცხოეთში.

ამ რამდენიმე წლის წინათ ელგუჯა მგელაძემ შეაგროვა, კომპაქტ-დისკებზე გადაწერა და მის უწმინდესობას საჩუქრად მიუძღვნა სხვადასხვა დროს საპატრიარქოზე მის მიერ გადაღებული 40 საათიანი ვიდეო მასალა. ასევე სამი სპეციალური ფოტოალბომი, რომელშიც მოთავსებულია 700-მდე ფოტოსურათი, მათი უმრავლესობა მისი უწმინდესობის უცხოეთის ქვეყნებში ვიზიტებს შეეხება.

სწორედ ამის გამოძახილია ის, რომ ელგუჯა მგელაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მას სპეციალური მილოცვა გადასცა, რომელშიც ვკითხულობთ: **„ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა მგელაძემ დიდი ხანია თავისი ცხოვრება დაუკავშირა ეკლესიას და ეკლესიის ისტორიიდან არაერთი მოვლენა, ფირზეც აღბეჭდილი, უნიკალური კადრების სახით შემოგვინახა.**

ვუერთდებით მილოცვებს მის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და ვუსურვებთ, ძალისამებრ მისისა, ერთგულად ემსახუროს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს.“

პატივისცემით, ილია მეორე
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ელგუჯა მგელაძე 2001 წლიდან არჩეულია მგელაძეთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენტად. 1996 წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ხოლო 2009 წლიდან 2018 წლამდე იყო სრულიად საქართველოს გაზეთ „რაეოს“ დირექტორი. იგი 2016 წლიდან არჩეულია ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, ხოლო 2019 წლიდან ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

იმავდროულად 2019 წლიდან ელგუჯა მგელაძე არჩეულია ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის საპატიო პროფესორად, აკადემიკოსად და ვიცე-პრეზიდენტად.

2016 წლიდან ელგუჯა მგელაძე არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. 2019 წელს მას მიენიჭა ნოდარ დუმბაძის სახელობის პრემია ხოლო 2022 წელს კი ქართული კულტურის ამაგდარის წოდება.

სერგი ლომაძე

2022 წლის შემაჯამებელი აკადემიური საღამო

2022 წლის დეკემბერში ჩატარებული, ჟურნალ „ათინათის“ – ახალი ნომრის პრეზენტაცია, რომელიც, ფაქტიურად, წლის შემაჯამებელი საღამო იყო, აკადემიის მთელს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდებულ და გახმაურებულ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს. ამის მიზეზი ბევრია, თუმცა მიზეზთა გარჩევას აქ არ შევეცდები და პირდაპირ დავიწყებ თხრობას ამ შემოქმედებითი საღამოს შესახებ.

ორ წელზე მეტი ხნის შემდეგ პირველად გამოჩნდა აკადემიურ საღამოზე კახა ბაციკაძე, რომელიც ბრწყინავდა. იგი რამდენჯერმე წარსდგა მსმენელთა წინაშე.

მეც დიდებულ განწყობაზე გახლდით, თანაც – საღამოს ვუძღვებოდი.

რაც შეეხება აკადემიის პრეზიდენტს – გულნაზ ხარაიშვილს, ისიც, როგორც ყოველთვის, ჩვეული ოსტატობით ცდილობდა მოვლენების წარმართვას და მიზანსაც აღწევდა.

მოკლედ, ამდენი ხნის შემდეგ, ისევ ძველი პრეზიდიუმი შევიკრიბეთ (თუმცა მეოთხე წევრად აღარ იყო ლეგენდარული მეუფე თადეოზი, რომელიც, შემდეგ, მამა ამირანმა ჩაანაცვლა. საღამოს ეს დიდებული სასულიერო პირიც აკლდა, – იგი, იმ დღეებში, საეკლესიო საქმეებით ძალიან გახლდათ დაკავებული). როგორც უკვე ვთქვი, საღამოს წამყვანობა ისევ მე მხვდა წილად, როგორც ეს ხდებოდა ადრე, – დიახ, უმეტესად ასე ხდებოდა...

საღამო, ძირითადად, პოეზიის ხაზით გაიმართა (თუ – წარიმართა)...

ხელოვანებით გადაივსო მირზას სახელობის ბიბლიოთეკის დარბაზი. ჩამოგითვლით დამსწრეებს: გივი სიხარულიძე, ლამზირა შეყილაძე, ეთერ ჭელიძე, ნინო უძილაური, ლალი კახიძე, თენგიზ ფანცულაია, მანანა სამყურაშვილი, თემო გოგსაძე, ედუარდ უგულავა, გიორგი ხათაშვილი, მათე არაგველი, თეა ბარბაქაძე, გიორგი თუშიშვილი, ვაჩე რაინდელი, იზა შუბითიძე, ნელი საგინაძე, ლალი სოხაძე, ლია ალადაშვილი, მარი ჟღენტი, ეთერ ისაკაძე, დავით ძნელაძე, ირმა იმერელი, მაკა ახობაძე, ლეილა ვადაჭკორია, თამარ ფირცხელაური, ნინო როსტიაშვილი, შორენა ღამბაშიძე, ნანი დარჩიაშვილი, იზა ჭიკაიძე, ხათუნა ელიაშვილი, მზია ელიაძე და სხვები. ჩემი ინფორმაციით, ზოგნი სხვანიც უნდა მოსულიყვნენ (მაგალითად, – საშა გველესიანი, მეორე კახა ანუ – კახა შალამბერიძე, გაგა გომართელი), მაგრამ ეს ინფორმაცია არ გამართლდა. მაინც ძალიან ბევრი მონაწილე გახლდათ, ხოლო ამათ ემატებოდა მსმენელ-მაყურებელნიც. გადაივსო დარბაზი... აგერ ამხელა სია ჩამოვწერე და ზოგი ადამიანი მაინც გამომრჩა. აბა როგორ შეიძლება არ მოვიხსენიო, ვთქვათ, პოეტი თენგო ხუციშვილი – პოეტურ ჯგუფ „წმინდა ქალაქის პოეტების“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც, თავისი მშვენიერი მეუღლითურთ, პირადაპირ მცხეთიდან გამოემართა საღამოზე დასასწრებად...

საღამოს მშვენება იყო გარეჯის საჯარო სკოლის ბავშვების ანსამბლი, რომელთა „ალილო-თიც“ დაიწყო საღამო, ხოლო საღამო დასრულდა მათივე შესრულებული სიმღერით „უფალო შეგვიწყალე“. დიდი სიამოვნებაა ამ ბავშვთა მოსმენა. თვითნაბადი ნიჭის ზეიმია მოსწავლეებში. თუმცა ნიჭს წვრთნა უნდა, ხოდა ამაზე კარგად უზრუნია ანსამბლის მომხიბლავ ხელმძღვანელს – რაღა თქმა უნდა, გამორჩეული მადლობა ეკუთვნის გარეჯის სკოლის დირექტორსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საღამოს მსვლელობაში, მობილური ტელეფონის საშუალებით, ჩაერთო ცნობილი გარეჯელი ბერი – მამა ნეოფიტე. იგი მუდამ სულიერ ჯაფაში იმყოფება, და ვერ მიატოვებდა უდაბნოს, მაგრამ მისი ხმა მაინც გავიგეთ – თანამედროვე ტექნიკის საშუალე-ბით. ბერმა დალოცა აკადემიის საქმენი, საღამოს მსვლელობით დაინტერესდა. მამა ნეოფიტეს სულიერი მოღვაწეობა უკვე დიდ დროს ითვლის. ამ ღვაწლის გამო ბერის სახელი ისე განივრცო, რომ მას ლეგენდარული მამების გვერდით მოიხსენიებენ. ძალიან გამორჩეული პიროვნებაა, ყოველმხრივ გამორჩეული. ამ რამდენიმე ხნის წინ ბერს პირდაპირ გარეჯში ეახლა, თურმე,

ქალბატონი გულნაზი, რამდენიმე აკადემიკოსთან ერთად. ვრცელი, საინტერესო საუბარი შემდგარა მათ შორის. და აი, ახლა მამა ნეოფიტემ გამოგზავნა თავისი ახლო-ადამიანების ერთი ნაწილი აკადემიურ ღონისძიებაზე...

საღამოზე წარმოდგენილი იყო ვიდეოფირიც, რომელიც ჟურნალ „ათინათს“ ეძღვნებოდა, – ხომ სწორედ ამ ჟურნალის (ორმოცდამეექვსე ნომრის) გამოცემის გამო ჩატარდა ეს საღამო.

ღონისძიება გახსნილად გამოვაცხადე. პირველ გამომსვლელად კახა დავასახელე. როგორც უკვე ვთქვი, მისტერ ხელოვნება, მისტერ ფენომენი, იმ დღეს განსაკუთრებით ბრწყინავდა. ეს არის ყველაზე უფრო ქარიზმატული ადამიანი, და წაიკითხა მისი ერთ-ერთი ახალი ლექსი, რომელშიაც საოცარი მუხტი ჩადო. ვიდეოგადაღება, საერთოდ, ნებისმიერი ჩაწერა-გადაღება, მხოლოდ აუფერულებს ასეთ მომენტებს. ასეთი ეპიზოდები მხოლოდ ცოცხლად უნდა ნახო, იქ უნდა იდგე, უნდა უყურო, უნდა ისმინო. აენთო დარბაზი და ეს მუხტი გაყვა, შემდეგ, ბოლომდე, მთელს საღამოს, ამან დიდწილად განაპირობა საღამოს წარმატება, მიუხედავად იმისა, რომ კახას შემდეგ მართლაც რთულია გამოსვლა. ზოგმა აღარც წაიკითხა თავისი ლექსი. და მაინც, ახლაც ამ აზრზე ვრჩები, რომ ამ საღამოს წარმატება დიდწილად განაპირობა სორედ კახას გამოსვლამ. ყველამ დაინახა ძალა აკადემიისა...

საერთოდ, მე მიყვარს ნიჭით აღსავსე ლიდერი-ადამიანები, რადგანაც თვითონვე ასეთი ვიყავი, – ლიდერი, სხვათა ამყოლიებელი, ხიფათის, ფათერაკის, თავგადასავლის მაძიებელი, ხოლო ჩემს ფიცხ და ცვალებად, ამაყ ხასიათს, ჩემივე იუმორის გრძნობა და კეთილი ბუნება საკმაოდ ასტაბილურებდა, ხოდა, სირთულეს, უბრალოებასაც ამატებდა. ენერგიულ, ქარიზმატულ პიროვნებად, მე, ბევრი მთვლიდა, და მიყვარდა, ახლაც მიყვარს, როცა ვხედავ ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ სხვათა ანთება-აყოლიება. შენც უნდა ანათებდე და სხვებიც უნდა აანთო...

ხოდა აანთო ფენომენმა (კახამ) დარბაზი, მერე კი ყველა სხვა გამომსვლელიც წარმატებული აღმოჩნდა იმ დღეს. საღამო დიდ ზეიმად გადაიქცა. ეს იყო ნამდვილი გამარჯვება.

აკადემიის ძველი გვარდია (გულნაზი-ლამზირა-სერგი-კახა) რომ სათანადო სიმაღლეზე აღმოვჩნდით, ამას ხელი შეუწყო ცოტა მოგვიანებით შემომატებულმა ასევე ბევრისმთქმელმა ძალებმაც. მაგალითად, – თემო გოგსაძე და ეთო ჭელიძე, ხათუნა ელიაშვილი და მზია ელიაძე და სხვებიც, სხვებიც დიდი ძალაა. მარტო თემოც და ეთერიც კი დადგამენ ერთ დიდ შემოქმედებით შოუს, სხვა რომ არა იყოს რა, ხოლო როცა ამათ სხვებიც ემატება... თუნდაც – ედუარდ უგულავას მიერ მოყვანილი გამორჩეული ახალგაზრდა პოეტები... სიმართლე გითხრათ, მათ უმეტესობას, მე, ადრევე ვიცნობდი, და ზოგ მათგანს უკვე დიდი სტაჟიც აქვს, ასე რომ, ძნელიც კია – ახალგაზრდა პოეტი უწოდო, (მაგალითად,– გიორგი თუშიშვილი საკმაოდ ვრცელ დროს მოითვლის ხელოვნების სივრცეში მყოფობა-მოღვაწეობისა), მაგრამ ეს ადამიანები, ასაკით, მაინც მკვეთრად ჩამოუვარდებიან აკადემიელთა უმეტესობას. მიუხედავად ამისა, მათ დიდებული ლექსები გააჟღერეს ღონისძიებაზე, და ეს არცაა გასაკვირი, – სტრიქონებს შვენის ახალგაზრდობა ავტორისა.

ქართული ხელოვნების ვეტერანმა, ყველასათვის ცნობილმა გივი სიხარულიძემ, უკვე თავიდანვე (კახას გამოსვლის მერე) შეაფასა საღამო, როგორც დიდებული, და როგორც უკვე ვთქვი, პოეზიის ზეიმი ბოლომდე პოეზიის ზეიმად დარჩა.

ორჯერ მივეცი სიტყვით გამოსვლის უფლება დარია ხიდეშელს, რომელმაც მეორედ ძალიან ისახელა თავი, როდესაც საკუთარი ლექსი წაიკითხა, და ქალბატონი გულნაზისაგან, იმ დღეს, სპეციალური პრიზიც დაიმსახურა (თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ პრიზებს თუ საჩუქრებს, იმ ღონისძიებაზე, გულუხვად არიგებდა აკადემიის პრეზიდენტი. მაინც, – დარიას განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა ისიც, დარბაზიც).

ისევ დავუბრუნდები გარეჯის სკოლის ბავშვების თემას, და ვიტყვი, რომ მათი დიდებული ხმები დიდებულად შეეწყო-ჩაექსოვა-ჩაეწერა პოეზიაში, ჩვენი საღამოს სტრუქტურაში, ამიტომაც რამდენჯერმე მივეცი, მათ, გამოსვლის საშუალება. თუმცა კარგი მეხსიერება მაქვს, მაინც ვერ ვიტყვი ზუსტად, თუ რომელი სიმღერები შეასრულეს, რადგანაც ძალიან ბევრი რამის დამახსოვრებას ვცდილობდი ამ საღამოდან და ასეთ სიტუაციაში რთულია ყველაფრის ზუსტად თქმა,

თუმცა მათი საწყის-სასრული სიმღერები რაც იყო, ესენი ქალბატონი გულნაზის ერთ-ერთი პოსტიდან (ფეისბუქპოსტიდან) ამოვკრიფე და სტატიაში უკვე დავწერე. მათ შეასრულეს სხვა სიმღერებიც. გვქონდა სულ სხვა მუსიკალური ნომრებიც. მაგალითად, – კახას სამი გამოსვლიდან ერთი ხომ პოეზიას დაეთმო, ერთი – სიმღერას, და ერთხელაც – სიტყვით გამოვიდა. საოცრად დამუხტული გამოსვლები ჰქონდა იმ დღეს. მუსიკის მეშვეობით წარსდგა დარბაზის წინაშე ლია ალადაშვილი, – უნიჭიერესი ხელოვანი, რომელიც ლიერატურასა და მუსიკაში მუშაობს და პოეტური კრებულის ავტორი არის. მას უყვარს საავტორო სიმღერების შესრულება. მაგალითად, – ერთ-ერთი სიმღერის მუსიკის ავტორი თვითონ იყო, ხოლო ტექსტი ქალბატონ გულნაზს ეკუთვნოდა.

ლიანასაც არაერთხელ მიეცა საღამოზე გამოსვლის საშუალება.

დასასრულისთვის ის მინდა ვთქვა, რომ ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემია ათიან წლებში დაარსდა, და მაშინ (ათიან წლებში) ჰქონდა, მას, თავისი პიკი, თუმცა ფაქტია, რომ აგერ ოციან წლებშიც აღწევს წარმატებებს. ეს ღონისძიება, ეს სუპერსაღამო, საუკეთესო ან ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ამ ორგანიზაციის ღონისძიებათაგან. ვულოცავ ქალბატონ გულნაზს და საერთოდ – მთელს აკადემიას, ამ გამარჯვებას. აქვე ვულოცავ იმასაც, რომ ათინათიც, ანთოლოგიაც ისევ გამოდის – წარმატებული სერიებივით. აკადემიაც ივსება ახალი წევრებით, თან ხშირად ატარებს როგორც პატარა, ასევე – დიდ ღონისძიებებს...

საერთოდ, არაერთ ლიდერს ჰყოლია მრჩეველი ან მრჩეველები. უგალაკტიონოდ და უგრანელოდ დარჩენილ „ცისფერყანწელთა“ ლიდერებს მრჩეველად გრიგოლ რობაქიძე ექცათ. ისინი ვერ გააწევრიანეს ჯგუფში, მაგრამ ეს, გრიგოლი, თავიდან ძალიან შეეწყო ამ ჯგუფს, რომლის შესახებაც დაზუსტებით რაიმეს თქმა არაა ადვილი, გარდა იმისა, რომ „ყანწელებმა“ სამუდამოდ დატოვეს თავიანთი კვალი ქართულ ლიტერატურაში. რაც შეეხება მწერალთა კავშირის პირველ ლიდერს – პოეტ კოტე მაყაშვილს, მისი მრჩეველები სწორედ „ყანწელები“ იყვნენ, და სხვებიც. (ეგებ არც გრიგოლი ყოფილა ერთადერთი მრჩეველი „ცისფერყანწელთათვის“, თუმცა გამორჩეულად დაფასებული კი ნამდვილად იყო მათგან). მრჩეველები ჰყავდათ უნივერსიტეტის, კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიისა და სხვათა და სხვათა დამაარსებლებს, წინამძღოლებს.

რა თქმა უნდა, გულნაზ ხარაიშვილსაც ჰყავდა მრჩეველები, – მეუფე თადეოზი, ჯუმბერ ლეჟავა, ნუგზარ ნადარაია და სხვანი. ზოგი მათგანი, მაგალითად – ლეგენდარული თადეოზი, აღემატებოდა კიდეც მრჩეველს. იგი მოძღვარი, მოძღვართმოძღვარი იყო ბევრი ადამიანისათვის... და ქალბატონ გულნაზს საოცრად აძლიერებდა სინათლე ასეთი სუპერმრჩეველებისა. ხოდა აკეთებდა, იგი, დიდებულ საქმეებს.

ის ძველი შემართება დღესაც სახეზეა. არ ჩერდება აკადემია, არც უნდა გაჩერდეს. მოძრაობაშია აზრი. წინსვლაშია აზრი.

ფიქრია სათავე საქმის.

და თუ არსებობს დიდი ფიქრები, არსებობს დიდი საქმეებიც...

პოეზიაზე ვიტყვი:

სამყაროს (სამყაროების) მეფემ, ანუ – ღმერთმა, პოეტური სივრცე შექმნა. დიახ, პოეტურია სამყარო, და ეს ძლაიან ბევრს ნიშნავს. თუნდაც ეს ამბავი მეტყველებს პოეზიის უსაზღვრო ძლიერებაზე. პოეზიამ პოეტური სამყარო შექმნა.

პოეტი შეიძლება იყოს იდეალისტიც და – მთელი იდეალიზმიც. პოეზიის კანონები (უკანონობანი) მოიაზრებს ასეთ რამესაც, პოეზიისავე ნებით, პოეტისავე ნებით...

პოეზიაზე (პოეტზე) საუბარი უსასრულო სივრცეებში გაგვიყვანს, და რადგანაც სტატიას არ აქვს უფლება დაუსრულებლობისა, ამიტომაც აქ უნდა დავსვა წერტილი. მაშასადამე, კიდევ ერთი სტატია შეემატა ჩემს ნაწერებს...

თბილისი. 2023 წელი. იანვარი.

ხათუნა ელიაშვილის დღე აკადემიაში

სიტყვას არაერთი მნიშვნელობა აქვს (უამრავი მნიშვნელობა აქვს მას) სიტყვა ღმერთია, ანუ ყოვლის დამტევია, ყოვლის შემძლეა იგი.

პოეზია და პოეტი. პოეტი და პოეზია. ესაა უმნისვნელოვანესი სიტყვები. ასეთია, ვთქვათ, სიტყვა პოეტურობაც, და ზოგი სხვაც...

პოეტია – მეთქი...

და როცა ვამბობ, რომ ხათუნა ელიაშვილი პოეტია, ამით ყველაფერს ვამბობ.

მაგრამ დაკონკრეტება მაინც საჭიროა: რადგანაც ეს ადამიანი, უკვე კარგახანია, რაც ფილოსოფიის სივრცეში შეიჭრა. ამიტომაც, მკითხველი, რომ უფრო მიხვდეს, თუ ვისზე ვწერ, ვამბობ ასეც: ხათუნა არის პოეტი – ფილოსოფოსი, ლიტარი-ფილოსოფოსი...

ხოდა, რა თქმა უნდა, ხათუნას საღამო აკადემიაში, ურთულესი სფეროს-ფილოსოფიის, (პოეტური ფილოსოფიის) საღამოდ იქცა... 2020 წლიდან მოყოლებული, ორ წელზე მეტია, რაც ზღვარელები აკადემიაში არ გამოვჩენილვართ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრულიად გაწყვეტილი გვქონდა აკადემიასთან ურთიერთობა, მაგრამ ღონისძიებებზე არ ვჩნდებოდით და აი, 2022 წლის დეკემბერში მე ისევ წავიყვანე აკადემიური საღამო. წამყვანობა დიდსულოვნად დამითმო პოეტმა ტემურ გოგსაძემ. საღამოს ასავე ესწრებოდნენ, – დავით ყანდაშვილი, (ხათუნას პირველი წიგნის რედაქტორი), ნანა ყანდაშვილი, ლიანა ალადაშვილი, მანან მენიძე, ლევან კაკულია და სხვები. აუცილებლად უნდა ავღნისნო, რომ ღონისძიებას კიდევ ერთი წარმომადგენელი – მზია ელიაძე ესწრებოდა. რა თქმა უნდა, აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი იყო სხდომაზე, სწორედ მისი ორგანიზებული გახლდათ ეს სხდომა. მე რაც შემეხება ღონისძიების წამყვანის რინგში მიმიწვიეს. წამყვანობას ხშირად ვიყენებ იმისთვის, აბსოლიტურად მე წარვმართო მოვლენებზე საუბარი. აკადემიაში დიდსულოვანი ხალხია, იციან ჩემი შესაძლებლობები და არაფერში არ მეწინააღმდებიან. პირიქით თავიანთი თანადგომით უფრო მეტ მუხტს მძენენ. კმათი იშვიათად გვაქვს. რონისძიებები, უფრო დიდებულ სახეს იძენს.

ხათუნას წიგნი ,,გზა – საზრისის ძიებისა'' ზე ამოცანა ჩვენი, ცამომცემლობა ,,უნივერსამში'' ცამოვიდა წელს. წიგნი პატარაა, დაახლოებით ორმოცდაათი გვერდია, მაგრამ დიდი სათქმელია, მისით ნათქვამი. ეს წიგნი აჩვენებს იმას, რომ ხათუნა ელიასვილს ბევრი უფიქრია ფილოსოფიურ საკითხებზე. მას ჩემი აზრით ამ თემასთან დაკავშირებით ტომების დაწერაც კი შეუძლია. ეს მასზეა დამოკიდებული თუ მისი გამოცემის საშუალება ექნება. პირადად მე აუცილებლად ველოდები მის შემდგომ როგორც პოეზია-ფილოსოფიაში, ასევე პროზა – ფილოსოფიაში. დარწმუნებული ვარ, რომ ქალბოტონი გულნაზი, მთელი თავისი აკადემიით, ხელს შეუწყობს ამ ყველაფრის რეალიზებაც. კარგი იქნება, თუ ამ საქმეში სხვა პიროვნებებიც ჩაერთვებიან. ძალა ხომ სწორედ ერთობაში არის...

სიტყვა პოეზიაა და – პოეზია არის სიტყვა.

სწორედ სიტყვის,... სიტყვების გარშემო ააგო, ხათუნამ, თავისი ფილოსოფიური სისტემა. ამისათვის მას დასჭირდა ძველი კარგად ნაცადი, დიდებული მეთოდი. ფილოსოფია-ფილოლოგიის ხაზები შეაზავა. სიტყვით და შინაარსით. სიტყვის დაშლა – გაერთიანებით ახსნა ბევრი რამ. (ამ ძიების მხოლოდ გარკვეული ნაწილია დატეული წიგნში.) საერთოდ, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ერთ სივრცეში მოაზრება სრულიად შესაძლებელია, ხათუნამ ეს კარგად გამოიყენა. ამით მან სხვა სამეცნიერო სივრცეების სხვა დარგებიც დაამატა და დიდებულად გაშალა თემა სხდომაზე. ყოველივე ეს შეავსო დათო ყანდაშვილის მეცნიერულმა შეხედულებებმა, რმელიც აღმოსავლურ ფილოსოფიას უფრო ეფუძნებოდა, ვიდრე დსავლურს. საერთოდ დასავლური ფილოსოფიის გარეშე მაინც არ ჩაუვლია საღამოს. ამ ორი სახის სინთეზი მოხდა იმ დღეს. რაც, რა თქმა უნდა, უაღრესად საინტრესო იყო. როგორც სჩანს დათოს მეუღლეც ნანაც, მეცნიერებითაა დაინტერესებული, რომელმაც გამოთქვა თავისი საინტერესო

მოსაზრებები. სართოდ მეცნიერება არის ორი უდიდესი სივრცე, რომელზედაც ამოიზარდა კაცობრიობის უმაღლესი აზროვნება. არა ერთხელ მომხდარა ისიც, რომ რელიგიაც ხელოვნებად გამიაზრებია.

ხელოვნება უზარმაზარი სივრცეა, ხოლო მერცნიერება მისი ძმა არის. ამ ძმება გვაჩუქეს ნამდვილი აზროვნება. უმაღლესი აზროვნება...

ხათუნა ელიასვილმა იფიქრა ის, რომ მხოლოდ მეცნიერული თემები, ეს ურთულესი თემები, დაამძიმებდა ღონისძიებას, ამიტომაც ჩართო საქმეში, საერთო საქმეში ლიანა ალადაშვილი, რომელიც პოეტი მუსიკოსი გახლავთ. მისი ფიქრიც – ,,ფიქრიც მეწყერი“ – წელს გამოვიდა, გამომცემლობა უნივერსამში, ხოლო რედაქტორი, წიგნისა არის ქალბატონი გულნაზი. ლიანა ხათუნასავით თავმდაბალია, მასავით სასიამოვნო პიროვნებაა. ისიც, გამოირჩევა პოეტური ხედვებით, ლიანა ამავე დროს კარგად მღერის. მან ფანდურის თანხლებით რამდენიმე სიმღერა შემოგვთავაზა. ლიანას ისეთი სიმღერებც აქვს, რომლის ტექსტიც და მუსიკაც თვითონვე ეკუთვნის. საერთოდ ლიანა ძალიან საინტერესო ადამიანია. რაც შეეხება ასევე ხათუნა ელიაშვილს, ესაათანამედროვე საქართველოში ის იშვიათი ქალი, რომელიც ცდილობს, რომ თავისი ფლოსოფიური პოეტურ ფილოსოფიური სისტემა შექმნას, სისტემებში. იდიალიზმი ერთ-ერთია იმ რამოდენიმე ათეული უმნიშვნელოვანესი სიტყვათაგან, რომლებზედაც დგას ყოველივე. სიტყვა ,,პოეზიის'' მსგავსად, სიტყვა ,,იდეალიზსაც“ არაერთი მნიშვნელობა აქვს. არა ერთი მნიშნელობა აქვს სიტყვა ,,იონსაც“, რომელზედაც ააგო ხათუნამ, თავისი მოძღვრების ძირითადი ნაწილი. იონები დამუხტული ატომებია, მაგრამ მათში სულ სხვა რამის (რამეების) მოპოვებაც შეიძლება. სამყაროსავით უსასრულოა ფიქრი. მეტად უსასრულოა ფიქრი... მიყვარს მოგზაურობა. ბევრს ვხეტიალობ, (ძირითადად – საქართველოში). მთელი საქართველო მოვიარე. მთავარ ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი ხომ, ასე ვთქვათ, გაზეპირებული მაქვს. .. საოცრებაა მთები(ხშირად ავდივარ მთებში)... საოცრებაა სივრცეები... და ამდენი ხეტიალი შემდეგ ზოგს უკვირს, – საიდან ააქვს ასე ბევრი დრო სერგის, ამდენს, რომ წერსო. არვიცი, რამდენი აქვს დაწერილი, თუმცა ის კი ვიცი, ხეტიალი ხელს უწყობს ფიწრებს, ხოლო ფიქრები ხელს უწყობს ქმნადობას. რაც შეეხება სხვებს... მე არ ვიცი როგორ ქმნის თავის წიგნებს (აქ მხოლოდ გამოქვეყნებულ წიგნზე რა თქმა უნდა არაა საუბარი), ვთქვათ ხათუნა ელიაშვილი. საინტერესო კი იქმნებოდა, რომ ამ თემებზედაც ესაუბრა მას, მაგრამ საღამო ისედაც დიდხანს გაგრძელდა. ამის დრო ნამდვილად აღარ დარჩა. როგორც უკვე ვთქვი თავიანთი გამოსვლებით სხვებმაც შეავსეს ღონისძიება. მათ შორის ერთ-ერთი იყო თემურ გოგსაძე, რომლის გამოსვლა როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შთამბეჭდავი გახლდათ. საერთოდ იმდღევანდელი ღონისძიება ყველამ დაამშვენა და საბოლოვო ჯამში კმაყოფილი დარჩა ორგანიზატორი – ქალბატონი გულნაზი. ხათუნა ელიაშვილის ეს პირველი ღონისძიება არ ყოფილა. რათქმა უნდა ხათუნას ადრეც გაუმართეს ღონისძიება ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში. პირველი ღონისძიების მთავარი მომხსენებელი მე გახლდით. ჩემს სიტყვას იმ მომენტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა. ხათუნამ მაშინაც და ახლაც დამანახა სიახლე იონებთან დკავშირებით, რასასაც გულწრფელად ვულოცავ. ღონისძიება დიდ დარბაზი არ ჩატარებულა, მაგრამ ეს ისეთი თემა იყო, დიდ დარბაზიან დრბაზში ასეთი თემის განხილვა, ასეთი ხარისხიანი არ იქნებოდა.სტატიას ამით დავასრულებ. მიულოცავ ხათუნას მის ბოლო დროინდელ წარმატებას. ხათუნა ელიაშვილი ნელ-ნელა იმკვიდრებს მეცნიერთა წრეში ადგილს. ნიჭს, შრომის მოყვარეობა და მიზანდასახულება ძალიან ეხმარება.

ნელი საგინაძე

სახლის კურთხევა

ნოველა

თითქოს უცაბედად შემოპარულიყო მაშინ მაისი.

ყვავილების ბაღში ათასნაირი ფერის ვარდები დაკოკრილიყვნენ და ულამაზეს ფერებად გადაშლილიყვნენ.

ტიტებს, მოწითალო ჯუჯა ტიტებსაც აებდღვრიალებინათ გული დილის მზის სხივზე.

ჯოხს დაყრდნობილი მოხუცი ბებო ბაღში შესულიყო, სათითაოდ უსვავდა თავზე ხელს ახლად გამოშლილ ყვავილებს და ხელითა და სიტყვით თბილად ეფერებოდათ.

ყველაზე მეტად პირისფერი, ცალფოთოლა ვარდი გადა-შლილიყო. უზომოდ ლამაზი იყო. რაც არ უნდა შორს ყოფილიყავი მისი ფერის სილამაზე, მაინც თვალს მოგტაცებდა და თავისთან ახლოს მიგიტყუებდა.

ხოდა, იდგა ჯოხზე დაყრდნობილი ბებო ვარდებში, წინიდან თავისსავე ხელით შეკერილი შავი დიდჯიბიანი წინსაფარი აეფარებინა და საკუთარი შვილებივით ესაუბრებოდა ამ მრავალფერებად, გაზაფხულზე ამონთებულ ათასმაგვარ ყვავილებს, ახალგაზრდობაში დარგულ ვარდის უამრავ ლამაზ ძირებსა და უკვე კოკრიდან თვალში ლამაზად გადაშლილებსა.

არავის არ ანებებდა მათ მოვლასაც მოხუცი ქალი.

– თქვენ არა იცით რა ამათი!

– არ გააფუჭოთ შვილო, ცოდონი არიანო!

– აბა ნახეთ რამდენსა ვწვალობ ამათ მოვლაზედა. თუ საჭირო არ იყოს ტყუილაბრალოზე ნუ მოსწყვეტავთ და ნაადრევად ნუ მოუკლავთ სიცოცხლესა.

– გაუშვით, რა გინდათ, იხარონ და იყვავილონ ამათაცა!

დილით, მზის ამოსვლამდე ყველას სათითაოდ ჩამოუვლიდა. ზოგს ბალახს შეაცლიდა, ზოგს ძირს მოუმარგლავდა, ზოგს ძირს დადებულ კოკორ თავს მაღლა მზისკენ აუწევდა. ხშირად იმის თქმა უყვარდა ბავშვებისათვის

– არ მოსწყვიტოთ შვილო, ან ფეხით არ გადაუაროთ ზემოდანა!

– იცით, ამათაც თქვენნაირი სათუთი გული ააქვთო!

– შორიდან უყურეთ ამ სილამაზესა და სული დაიტკბეთო.

ბებოს ეზო, თავად გრძელი იყო და ვარდები ორივე მხარეს ლამაზად, ერთ რიგში ჩაემწკრივებინა.მის ეზოში შემსვლელ – გამსვლელი ყველა ტკბებოდა ვარდის სურნელითა და ფერებითა. ყველაზე მეტად დედამთილისეული დიდი ვარდისფერი, ხუჭუჭა-თეფშილხელა ყვავილიანი, სურნელოვანი ვარდი უყვარდა და ყველაზე მეტად მას უფრთხილდებოდა ოჯახის რელიქვიასავითა.

ეზოში შემოსულთ ისე არ გაუშვებდა, რომ რამდენიმეჯერ არ გაემეორებინა

– აი, ჩემო კარგო, ეს ჩემი დედამთილისეულა ყველაზე სურნელოვანი ვარდიაო. წყალთან ახლოს დავრგე, რომ არ მოეწყინოს უწყლობითა და არ გამიხმესო.

გაღიმებული სახით ეტყოდა ხოლმე მოხუცი დიდსა თუ პატარას და გულში და თვალში, რაც კი სითბო ჰქონდა ყველას უკან დაადევნებდა თანა.

შვილთაშვილებს, თუ ვინიცობა იყო და ბურთი დაგაუვარდებოდათ ყვავილებისაკენ ბურთის გამოსატანად მისულ ბავშვს შორიდანვე ეძახდა.

– ფრთხილად ბებო, ყვავილებს არა ატკინოთ რაო!

თუ რომელიმე მათგანი კი უჩუმრად ყვავილს თავს მოაწყვეტავდა, ფოთლებს დააცლიდა და უგულოდ მიაგდებდა, თავისთან მიიხმობდა და ალერსიანად უხსნიდა, რომ შემდეგში ასე აღარ მოქცეულიყო და მაშინვე დარიგებას უწყებდა.

– მასე აღარასოდეს გააკეთო ბებო, აღარა!

– შეხედე, ამ ყვავიებსაც როგორ უხარიათ სიცოცხლე!

– სიცოცხლესაც მოვლა და დაფასება უნდა! – ხომ გაიგეთ და დაიხსომეთ..

ერთ დღეს დილაადრიან ბაღში შესულ მოხუცს, მისი შვილი გამოელაპარაკა

– რას აკეთებ ამ დილაუთენია დედი აქა?!

აი შვილო, მიმალულ კოკრებს ვუსწორებ ვარდებსა, რომ მზე დაინახონ და ლამაზად გადაიშალონო!

მოხუცი აიწია, ცოტა წელში გასწორდა და შვილს ხმამაღლა დაელაპარაკა.

– ისე შვილო, იმ დღეს, რომ გითხარი რა ჰქენი იმ საქმეზედა?

– რაზე მეუბნები დედი?! – გაკვირვებული სახით შეხედა მერაბიმ დედასა.

– რაზე შვილო და ეს სახლი, რომ უნდა ვაკურთხოთ იმაზედა!

– ხოო, აი ნამდვილად, ახლა შენ გამახსენე ისევ, თორემ განაღა მახსოვდა – გულალად უთხრა შვილმა დედასა.

– აბა, მაგის არმახსოვრობა შეიძლება კაცო?

– კი, ვიცი, შენც ათასი საქმე გაქვს, მაგრამ ეგ არ უნდა დაგავიწყდეს, არა!

– კი, კი, არაფრით აღარ გადავდებ და აუცილებლად გავაკეთებ მაგ საქმესა – დაჰპირდა მერაბი დედასა

– უნდა ყველაფერი თავის დროზე გააკეთო, თავის დროზე თორემ, საქმესა დაგვიანება არ უხდება იცოდე!

– აგერ შვილო ჩამოიყვანე თელავიდანა ვინმე ეკლესიის მსახური და უფლის თვალშიც კარგ საქმეს გააკეთებთ და ოჯახობისთვისაცა – უთხრა მოხუცმა დედამ შვილსა და თავისი საქმე გააგრძელა.

იმ კვირაში, ოჯახმა სახლის კურთხევისათვის დაიწყო შემზადება.

თელავიდან მერაბიმ და თავის სიძემ, მანქანით გენადი მღვდელი მიიყვანეს სახლის საკურთხებლად.

ძალიან მოეწონათ მამა გენადი.უდავოდ ალალი, ხუმარა, მოყვასისა და ღვთის მოყვარული სჩანდა.

მისვლისთანავე, ისე გაუშინაურდათ ოჯახის წევრებს, რომ ყოველგვარი დაძაბულობა გულიდან და თავიდან მოაშორათ და კაი ხნის ახლობელ-ნათესავივით მშვიდად შეუდგა ამ ოჯახის კურთხევის წესს.

დიდმა და პატარამ ხელში სანთლები მოიმარჯვა. ყველა, მამა გენადისთან ერთად და-დიოდნენ ხელში სანთლებანთებულები. მამაო ლოცავდა სახლის ეზო-კარს, ფუძე-ჭერს, მარან-ბეღელს. ლოცვების ჩასრულების შემდეგ, წესისამებრ სახლის ოთახებში, აღმოსავლეთის კედლებზე ლამაზად, პატარა ნაკურთხი ჯვრებიც მიაკრეს.

გენადი მღვდელმა გულიანად ჩამოლოცა ფუძე-ჭერი, სახლეულობა. ხვავი, ბარაქა და სიმრავლე უსურვათ ყველას და ზრდილობიანად დაემშვიდობა დიდსა და პატარას.

საღამო ხნისთვის, დატრიალდნენ ოჯახის წევრები და სახლის კურთხევის აღსანიშნავად, ლამაზი სუფრა გააწყვეს დიდ ოთახში, აი იმ, დიდ ოთახში კახელები“ზალას“, რომ ეძახიან.

არც არავის დაუზარია ამ ლამაზად, სულითა და გულით საქეიფოდ გაშლილ სუფრაზე მოსვლა. იმდენი ახლობელ-ნათესავები და მეზობლები მობრძანებულიყვნენ, რომ კინაღამ სუფრასთან დასაჯდომი ადგილიც აღარ დარჩენილიყო.

სუფრის დაწყებიდან, სულ რაღაც თხუთმეტ– ოც წუთში, მოულოდნელად ოთახის ღია, დიდი კარებიდან ერთი, ლამაზი მერცხალი შემოფრინდა. ოთახის თავზე, დიდ სივრცეში შემოიფრინა, ფანჯრის ზემოთ, ფარდების საკიდზე შემოსკუპდა და იქ მყოფ ხალხს, ყელმოღერებული დასცქეროდათ ზემოდან. სტუმრები გაოცებულნი მისჩერებოდნენ ამ მოღუღუნე ლამაზ მერცხალს.

ბებოც სუფრის ბოლოში ახლობლის გვერდით ჩამომჯდარიყო და სიხარულნარევი ხმით ამბობდა

– მერცხალი სუფთა და ადამიანებისმოყვარული ფრინველია – ყველამ თვალები მოხუცი ბებოსაკენ შეატრიალა

– მერცხალს სითბო და თბილი ხალხი უყვარს.

– ამიტომაა, რომ პირველად ყოველთვის საქართველოში მოფრინავენ მერცხლები, რადგანაც აქ, სწორედ აქ ეგულებათ, თბილი და კეთილი სულის ხალხი. ამხელა ხნისა მოვიყარე და ასეთი რამ, რაც აქ ვნახე, არსად არაფერი მინახია რა!

– სახლი იკურთხა და მერცხალი მოფრინდა!

შემდეგ მიუბრუნდა თავის შვილს და ხმამაღლა უთხრა

– აი, მერაბი შვილო,ხომ ხედავ რა კარგი საქმე გააკეთე!

– მადლობელი ვარ, ძალიან მადლობელი ამ დღისა!

ისე დამთავრდა სუფრა, რომ მერცხალი ადგილიდან არც კი განძრეულა.

დილით გათენებულზე ბავშვები ინტერესით, ნახევრადჩაცმულები შესულიყვნენ მერცხლის სანახავად ოთახში და იქ, რომ ვეღარ ნახეს ფრინველი, ბაღში მოფუსფუსე ბებოს ხმამაღლა გასძახეს აივნიდან.

– ბებო, ბებო, მერცხალი ხომ არდაგინახია?!

– რომელ მერცხალზე მეკითხებით ბებო?

– აი, გუშინ ჩვენთან ოთახში, რომ შემოფრინდა – ისევ ხმამაღლა ეძახდნენ ბავშვები დიდ ბებოს.

– არა შვილო, ის მერცხალი არ დამინახია, მაგრამ აი ამ დილით ჩემს მერცხლებს კი გხედავთ!

– თქვენ დაუმრავლდით ბებოსა თქვენა, თქვე ბებოს ჭიკჭიკებო!

მოეფერა მოხუცი ბებო შვილთა შვილებს, ჯოხი იქვე გვერდით ყვავილების ღობეზე მიაყუდა, წინსაფრის კალთა შეისწორა და იმ წვიმებზე, ცოტა მეტად ბალახმორეულ ყვავილების ბაღს შეუყვა გასამარგვლადა.

დაიხარა ბებო და გულში, რომ ვეღარ იტევდა გუშინდელ სიხარულს თავისთვის, ცოტა ხმამაღლაც კი ამბობდა

– ღვთის საქმე აკეთეთ შვილებო, ღვთის საქმე კეთილადა და მშვიდადა!

უფალი დიდია და ყოვლისმხედველი!

– დაინახავს თქვენს კეთილ საქმესა და ისიც მოწყალების თვალით გადმოგხედავთ ყველასა!

– ამაზედ კარგი და ღვთისნიერი საქმე რა უნდა აკეთოს კაცმა, რომ ღმერთი ახსოვდეს გულშია.

ამ სიტყვებს იმეორებდა მოხუცი ცოტა, ოდნავ ხმამაღლაც თავისთვისა და ვარდის ძირებს მორეულ ბალახს აცლიდა უკვე ძალიან გამხდარი, საქმეში გალეული, შემჭკნარი ხელებითა.

მაია ფეიქრიშვილი

სიკეთეში ნაპოვნი ბედნიერება

ამ უკიდეგანო სამყაროს ულამაზეს კუთხეში, საქართველოში ღვთისმშობელს სიკეთის კალთა დაუბერტყავს და მისი წილხვდომობაც ხელს გვიწყობს ქართველებს ერთმანეთისთვის გავისარჯოთ, დავიხარჯოთ, ხელი გავუწოდოთ, გვერდით დავუდგეთ იმათ, ვისაც ეს სჭირდება. სიკეთის კეთება არაა მარტივი, სიკეთე გადამდებიცაა. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა ყოველდღიური საფიქრალია სიკეთის კეთება, რადგან სიკეთეში პოულობენ უდიდეს ბედნიერებას, სხვისი გახარება მათთვის მზეა, სიყვარულია სითბოა, სიტკბოა...

ასეთია ქალბატონი ნინელი ეძგვერაძე-სულაბერიძე. აღფრთოვანებითა და დიდი მადლიერების გრძნობით ჰყვებოდნენ ჩვენი რესპოდენტები მის შესახებ და გვთხოვდნენ, რაც შეიძლებოდა მოვფერებოდით და კიდევ ერთხელ გვეთქვა მისთვის მადლობა. სიამოვნებით ვასრულებთ თხოვნას და წარვუდგენთ მკითხველს ამ მომხიბვლელ ქალბატონს.

ნინელი იულოს ასული ეძგვერაძე ნახახულევში დაიბადა 1950 წლის 16 მარტს. უსწრაფესად გაირბინა ლაღი ბავშვობის წლებმა. სილამაზე არასოდეს აკლდა თეთრბაფთებიან გოგონას. მათხოჯის სკოლის მოსწავლე გამორჩეული იყო სწავლასა და შრომაში. ბევრ კარგ ყმაწვილსაც თვალი ეჭირა მასზე, თუმცა რჩეულთა შორის აღმოჩნდა ამირან სულაბერიძე, რომელმაც ბედნიერი ოჯახი შექმნა მასთან.

ფიზიკურად და სულიერად ლამაზმა ახალგაზრდა ქალმა მალე იპოვა ავტორიტეტი სოფელში. იგი შესანიშნავი ოჯახის შეუდარებელი დედა-დიასახლისია და ვინც მას იცნობს, კარგად იცის მისი ხასიათი, მზრუნველობა ყველაზე – ნაცნობზე თუ უცნობზე, საახლობლო სანათესაოზე, სოფელზე. თავად ობლობაში გაზრდილს ესმოდა სიკეთის კეთების ფასი, გაჭირვებასა და დალხინებაში გვერდით დგომა, ამიტომაც არის გულუხვი და ხელგაშლილი. მისი გული ძგერს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთისათვის. ქველმოქმედად დაბადებულა ქ-ნ ნინელი.

ყოველთვის გამოარჩევდით მას თავისი შეხედულებებით, მისწრაფებებით,

შრომისმოყვარეობით. სამაგალითო იყო თაობებისათვის ათეული წლის განმავლობაში სოფელზე მისი ზრუნვა, მისი შეუპოვრობა, როცა რაიმე პრობლემა გაჩნდებოდა. სოფელმა უსაყვარლესი რძალი სასოფლო საბჭოში აირჩია და არც შეცდა. ქ-ნმა ნინელიმ შეუძლებელიც შეძლო. აქ მან ათი წელი იმუშავა. შემდეგ საბავშვო ბაღში გადაინაცვლა სამნეო ნაწილის გამგედ. ამ პოზიციაზე 25 წელი დაჰყო და ბოლო ათი წელი იყო ბაღის გამგე. მან ჩაიბარა დანგრეული და გაპარტახებული ბაღის შენობა, სადაც არ იყო წყალი, დენი, გაზი, სველი წერტილები... თუმცა, ძალიან მალე, ოჯახის თანადგომით, მეუღლისა და შვილების ხელშეწყობით აღადგინა, გაარემონტა შენობა, მიიღო პირველი მერცხლებიც და მთელი წლის განმავლობაში ათი ბავშვის გადასახადს თავად იხდიდა. ბაღში დასაქმებული ჰყავდა ადგილობრივები. ეს უდიდესი სამადლო საქმე იყო იმ გაუსაძლის ყოფაში, უმუშევრობისა და უსახ-

სრობის პირობებში. სიკეთის კეთება, სხვებზე ზრუნვა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ქალბატონ ნინელის. მათხოჯის საბავშვო სახლი გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან დიდი სითბო და სიყვარული ტრიალებდა იქ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვერაფერი ინვენტარი ჰქონდათ, საბავშვო ბაღებს შორის ყოველთვის პირველობდა დასამახსოვრებელი აქტივობებითა და ღონისძიებებით, რომელთა სულის ჩამდგმელი ქალბატონი ნინელი იყო თავის არაჩვეულებრივ თანამშრომლებთან ერთად. ის კი არადა, სათამაშოებს, ათასფერა-დოვან თოჯინებს თავის ხელით კერავდა სახლში და პატარებს გულს უხარებდა. თანამშრო-მლებს გვერდით ედგა ჭირსა და ლხინში. იმისათვის, რომ შტატი შეენარჩუნებინა და თანასოფლელები დასაქმებული ჰყოლოდა, ხელფასს საკუთარი ხელფასიდან აძლევდა მთელი წელი ორ ქალბატონს.

არასოდეს, არცერთ საზოგადოებრივ დავალებაზე არ უთქვამს უარი. პირიქით, ხშირად თავად იყო ინიციატორი ბევრი კარგი წამოწყებისა. შეუძლებელს შეძლებდა, ამიტომაც ეიმედებათ ქალბატონი ნინელი. სოფელს დიდი თვალები აქვს, ყველა ყველაფერს ხედავს. აკი დაინახეს ქალბატონი ნინელიც, ამაგი დაუფასეს, მადლობა და მადლიერება გამოხატეს და 16 მარტს 72 წლის შესრულება მიულოცეს. ეს ყველაფერი უზომო ბედნიერებას ანიჭებს ამ მომხიბვლელ ქალბატონს, რომელიც, რატომღაც, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას აღარ ეწევა... იგი თავის ნალოლიავებ ეზო-კარში ფუსფუსებს, თავს ევლება შვილებსა და შვილიშვილებს. მზესავით თბილია, შემოდგომასავით გულუხვი, ბარაქიანი, ხელხვავრიელი ჩვენი ნინელი. მისი ხცოვრებისეული მრწამსი, მოწოდება – სიკეთის კეთებაა, სხვათა გულების გახარებაა, რასაც ყოველთვის ახერხებს...

იდღეგრძელეთ ქ-ნო ნინელი თქვენს დიდებულ ოჯახთან ერთად. ეს ქალური პეწი, შარმი, გრაციოზულობა თუ რაღაც მხოლოდ თქვენეული ყოველთვის შეგრჩენოდეთ. ცხოვრებას სიდარბაისლით, სიდინჯით, სწორი ბილიკით მიუყვებით და ნუ დაგწყდებათ გული მათზე, ვინც თქვენი ფასი არ იცის. ხომ გსმენიათ, დრონი მეფობენ და არა მეფენიო? ჩვენ, მთავარია, სინდისი გვქონდეს სუფთა, რომ პირნათლად წარვსდგეთ უფლის სამსჯავროზე. დროს ვემსახუროთ მართლად...

სხვა ყველაფერი წარმავალია!..

მახარებს ქ-ნო ნინელი თქვენი შემართება, – „თუ სოფელს დავჭირდები, გვერდით დავუდგები, როგორც ყოველთვისო“.

გაიხარეთ, თქვენ ბევრი გიკეთებიათ მათხოჯისათვის, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ მთავრობაში. მათხოჯლებს არც ის ავიწყდებათ, რამდენ ხელჩაქნეულს გული გაუთბეთ და მომავლის იმედი მიეცით, აკეთეთ სიკეთე უმისამართოდაც, სრულიად უცნობებისთვისაც... რა შეედრება მადლიერი ხალხის ლოცვას, რომელსაც ნამდვილად იმსახურებთ. ეს დიდი პატივია, რჩეულთა ხვედრია. ეს თქვენა ხართ ასეთი პიროვნება, რომელსაც ხელგეწიფებათ და გაბედნიერებთ სიკეთის ქმნა.

იდღეგრძელეთ, დიდხანს იარსებეთ ქ-ნო ნინელი ოჯახისა და ბევრის იმედად. თქვენნაირი უანგარო ადამიანები ცოტანი არიან...

ვფიქრობ, შევძელი ჩემი მკითხველისათვის დამეხატა პორტრეტი არაჩვეულებრივი ქალბატონისა, რომელიც აქვეა, ჩვენს გვერდით და აკეთებს სიკეთეს...

გულიადა სანოძე

ზოგი რამ ჩვენი მეგობრის – ჯემალ გორდულაძის შესახებ

შესანიშნავ ჟურნალისტს, პუბლიცისტსა და მწერალს, ჯემალ გორდულაძეს, ოცდაათ წელზე მეტია ვიცნობ. მისი შემოქმედებითი საღამო, სულ ახლახანს, 25 დეკემბერს ჩატარდა ხონის კულტურის ცენტრში. საღამო, რომელიც დიდხანს არ დაავიწყდება ხონის საზოგადოებას.

მე ბედნიერება მხვდა წილად, ჩემს მეგობრებთან ერთად ვყოფილიყავი ამ მართლაც თბილი და დაუვიწყარი საღამოს ჩატარების ინიციატორი და წამყვანი. ბატონ ჯემალს უთვალავი სიხარული მოუნიჭებია ჩვენი მეგობრობის მანძილზე. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, თუ როგორ გადამეხადა მისთვის ამ სიხარულისა და მოყვასის ალალი სიყვარულის ნაწილი მაინც და ამისრულდა ნატვრა - მის შემოქმედებით საღამოზე მომეცა ამის თქმის საშუალება. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მისი ცხოვრების ამ ლამაზ საღამოზე, მთელ ხონს, ამიერსა და იმიერს გავაგონე მისთვის სათქმელი გულწრფელი მადლობა მეგობრობისთვის, საქმის კეთებისთვის, მოყვასის სიყვარულისთვის, გაღებული სიკეთისთვის.

ჯემალ გორდულაძემ მდიდარი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა განვლო, მის ბიოგრაფიას თუნდაც ზერელედ რომ გადაავლოთ თვალი, ეს არის რეგალიების, წოდებების, ჯილდოების მთელი კასკადი. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროში. პარალელურად ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას ქვეყნის სხვადასხვა გაზეთებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არჩეულია საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად, ხონის საპატიო მოქალაქედ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრად, არის საზოგადოება „ხონელის“ დამფუძნებელი, ამჟამად მუშაობს გაზეთ „ხონელის“ რედაქტორად.

ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის სხვადასხვა პრობლემებზე დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი ნარკვევი, სტატია, ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი. არის ხუთი მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი წიგნის ავტორი. ამჟამადაც მუშაობს საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალ „კვალის“ რედაქტორის მოადგილედ. ამ ბოლო დროს გამოსცა წიგნი „სიყვარულმა მათქმევინა“, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ერთი დიდი ანთებული კელაპტარია, რომელსაც დროის სვლაც კი ვერაფერს დააკლებს.

ჯემალ გორდულაძის ნიჭიერებაზე, მის მეტად საინტერესო ლიტერატურულ წერილებზე, ნარკვევებზე, ბევრი იწერება და ბევრიც მომისმენია. ეს

მართებულიც არის, მაგრამ ამჯერად მინდა მის ადამიანურ თვისებებზე გავამახვილო ყურადღება: ნაღდი და წრფელი მეგობრობა და სიყვარული ხონისადმი, მოყვასისადმი - აი, ჯემალის უმთავრესი ხიბლი. იგი, ადამიანების, მეგობრების ჭეშმარიტ სიყვარულში ხედავს მამოძრავებელ ძალას, ეს არის მისი შთაგონების წყარო შინ და გარეთ. უკომპრომისო და პირდაპირია მედროვეებისა და უკეთურების მიმართ. ფუჭი და ზერელე ლაპარაკი არ უყვარს, ვერ იტანს სიყალბესა და ღალატს. დიდ პატივს სცემს ერთგულებასა და პატიოსნებას, რაც მამა-პაპათაგან მოსდევს. უტყუარი, ჭირსა შიგან მისაყრდნობი კაცია, ყველას გამკითხავი და ქომაგი. საოცარი მოფერება იცის, ბუნებით არის ასეთი, ყველაფერში ღვთისგან მომადლებული ნიჭი აქვს. სულ მოწესრიგებული და პეწიანია, აკურატულად ჩაცმული, წუნს ვერაფერში დაუდებ და კიდევ ერთი უმთავრესი - სამშობლო, ჩვენი მშვენიერი მამული არის მისი ჯვარცმა და ხატი.

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი, ცნობილი მწერალი და რომანისტი, ლეილა მესხი, წერს: _ „ერთგულების, ძმობის კაცია ჯემალ გორდულაძე. მასზე მეტი შეიძლება დაიწეროს, იგი იმსახურებს ამას. მის სავსე გულს, კაცურ კაცობას, ღირსეულ მამულიშვილობას რომ შეჰფერის, იმგვარი ცხოვრებით იცხოვრა! მეგობრების გვერდით დგომას, ლიტერატურის დიდ სიყვარულს და რაც მთავარია, მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო ერთგულებას შესწირა მრავალი წელი. ეს არ იყო უბრალო საქმე, თითოეული ჩვენგანი დავალებული ვართ... მე, პირადად ყოველთვის ვგრძნობდი მისგან გვერდით დგომას, მახვილ თვალს, შორიდან დადევნებულ მზერას...''

2023 წლის 1 იანვარს, ჯემალ გორდულაძეს, 81 წელი უსრულდება. მადლობა გამჩენ ღმერთს, შენს გამჩენ მშობლებს, ასეთი რომ გაგაჩინა. მადლობა შენს საოცრად თბილ და კეთილშობილ მეუღლეს, მცინარა გახოკიძეს, შენი ოჯახის თითოეულ წევრს, ვინც სიყვარულით გავსებს და ცხოვრების იმედს გაძლევს. დიდხანს იცოცხლე შენს ხონთან და ხონელებთან ერთად, ვინც გიყვარს, ვისაც უყვარხარ და ვისთვისაც მისაბაძი ხარ, როგორც ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, ოჯახის ბურჯი, სამაგალითო მეუღლე, მამა, ბაბუა, ერთგული მეგობარი, ქვეყნისა და ერის მოჭირნახულე.

მოკრძალებით ვიხრი თავს ბატონი ჯემალის ღვაწლის წინაშე.

დიდხანს და დიდხანს გაგყოლოდეს ის ძლიერი და ჯანსაღი სუნთქვა, საოცარი ხმის ტემბრი, რომელიც შემოქმედებით საღამოზე სიურპრიზივით დავინახეთ და რომელიც გამოგარჩევს სხვა დანარჩენ მოკვდავთაგან და რის გამოც ასე შეგიყვარა შენმა საფიცარმა ხონმა. უფალი ღმერთი სულ გაძლევს ძალას და გამძლეობას, გინერგავს მოყვასის დახმარების უნარს.

ამდენად აუწონელი განძი დევს ჯემალის გულში, განძი კაცთმოყვარეობისა.

ირმა კეკელიძე

ცისარტყელის ქვეშ

ფანჯარასთან იდგა ნანა და დაფიქრებული გაჰყურებდა გვიანი შემოდგომის წვიმიან დღეს. მოსწავლეები გარინდული უყურებდნენ მას. „ღმერთო ჩემო, დაიწყება ახლა სულ წვიმა და ვინ იცის, როდემდე გასტანს. ცაც ისეთი მოღუშულია, ისე მოხსნა პირი, ვეგონება არასოდეს გამოიდარებსო", – გაიფიქრა და მოსწავლეებს გადაავლო თვალი. „როგორ მიყურებენ, რა წყნარად არიან, ასე იციან საკონტროლო წერის დღე რომ დადგება ხოლმე, მანამდე კი ლამისაა თავზე გადაგახტნენ. ახლა ერთი სული აქვთ გაიგონ, რას დავაწერინებ. არადა, დღეს თავისუფალი თემა მინდა დავაწერინო. განწყობილებაც ისეთი მაქვს, ამ წვიმიან ამინდში თავისუფალ თემას უფრო ხალისით გავასწორებდი". ნანა ხან წვიმიან დღეს გასცქეროდა ფანჯრიდან, ხანაც მოსწავლეებს გადაავლებდა ხოლმე თვალს. „რა მოვიფიქრო, რა დავაწერინო", – გაიფიქრა და მაგიდას მიუახლოვდა.

– მზად ხართ დღეისთვის? – ჰკითხა მოსწავლეებს. დიახ! – თითქმის ერთად უპასუხა წინა მერხებიდან რამდენიმე მოსწავლემ.

„კარგია, რომ მეათე კლასი მომცეს, ამათთან უფრო საინტერესოა მუშაობა". – გაიფიქრა და მზერა უკანა მერხებისაკენ გადაიტანა.

– თქვენ, უკან რომ იმალებით, მზად ხართ?

– დიახ! – წარმოსთქვეს იმათაც ერთხმად.

მხოლოდ ერთი, ვახო იჯდა ჩუმად, ფანჯრის მხარეს, განაპირა მერხზე და ისეთი სახით იცქირებოდა, თითქოს მას სულაც არ ეხებოდა ის, რაც გაკვეთილზე ხდებოდა.

– ვახტანგ, სად იხედები, მზად ხარ დღეისთვის? – ჩაეკითხა ნანა.

ვახო თითქოს გამოფხიზლდა მასწავლებლის ხმაზე, შემკრთალმა შეხედა მას და სწრაფად უპასუხა:

– დიახ, მასწ!..

ნანას გონებაში ელვისებური სისწრაფით გამოიკვეთა საკონტროლოს თემა. მოსწავლეებს შეხედა და სწრაფად თქვა:

– გადაშალეთ რვეულები! დღეს თავისუფალ თემას დავწერთ!

საკლასო ოთახი რვეულის ფურცლების შრიალის ხმამ გაავსო. მზად ხართ? – გაიმეორა მასწავლებელმა.

– დიახ! – თითქმის ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

– დაწერეთ სათაური: „ჩემი სამშობლო"... – ვახტანგ, გაიგე, რაც ვთქვი? „ჩემი სამშობლო" -გაიმეორა მასწავლებელმა ვახოს გასაგონად.

– დიახ, გავიგე! – ხმადაბლა თქვა ვახომ და საწერკალმით ხელში, თავჩაღუნული გადაშლილ რვეულს დააცქერდა ...

...ნანამ ერთმანეთზე დაწყობილ რვეულებს გადახედა. „დღეს დაღლილი ვარ, ხვალ გავასწორებ... მოიცა, ერთი, საინტერესოა, ვახომ რა დაწერა", – გაიფიქრა და რვეულებიდან ვახოს რვეული გამოარჩია, ხელში საწერკალამი მოიმარჯვა და რვეული გადაშალა ...

„საკონტროლო წერა 2 15/ XI. 1987 წ.

ჩემი სამშობლო

(თავისუფალი თემა)

მე დავიბადე ირანში. ჩემი დედ-მამა, და-ძმაც ირანში დაიბადნენ. ჩვენი სოფელი ქართველებით დასახლებული სპარსეთის პატარა კუთხის, ფერეიდანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რვა წლამდე იქ ვიზრდებოდი. სკოლაში სულ ცოტა ხანი ვიარე. სპარსულ ენაზე ვსწავლობდით. მასწავლებელი სპარსი ქალი გვყავდა.

ერთ დღეს სკოლაში მასწავლებელმა ქართული წიგნი მიპოვა. მე მაშინ არ ვიცოდი, რა ერქვა იმ წიგნს, ის კი ვიცოდი, რომ ქართული იყო. მამაჩემს შენახული ჰქონდა. მე ჩუმად ავიღე, ნაჭრისაგან შეკერილ ჩანთაში ჩავიდე და სკოლაში წავიღე. მასწავლებელი რაღაცას გვიყვებოდა, მე ჩუმად ამოვიღე წიგნი და დათვალიერება დავიწყე, ლამაზი სურათები იყო და მომწონდა. უცებ მასწავლებელმა დამინახა, წიგნი გამომართვა, წაღმა-უკუღმა ატრიალა, ვერაფერი გაიგო და მკითხა, რა წიგნი იყო. მე გაღიმებული სახით ვუპასუხე, ქართული წიგნია– მეთქი, მაგრამ ნეტა სულ არ მეპასუხა, რომ მაგონდება რა დღე დამადგა, ახლაც მეშინია. მასწავლებელმა წიგნი ნაკუწ-ნაკუწ აქცია, მერე ზედ ფეხებით შედგა და გათელა. წიგნზე რომ გული იჯერა, მერე მე მომიბრუნდა, ორივე ხელი წკეპლით ამიჭრელა. ამასაც არ დასჯერდა, ყურებით დამიჭირა და თავი ქვის კედელზე მანამ მარტყმევინა, სანამ ცხვირ-პირი არ დამისისხლიანა. ბოლოს, უკანასკნელად მთელი ძალით წამომარტყა თავში და გარეთ გამომაგდო. იმ დღის შემდეგ სკოლაში აღარ წავსულვარ. აღარც მამას დაუძალებია. საღამოობით მე და ჩემს და-ძმებს თვითონ გვიტარებდა სახლში გაკვეთილებს. მეცადინეობა ზუსტად ისეთივე წიგნით დავიწყეთ, მასწავლებელმა რომ დამიხია. შემდეგ კი გავიგე და ახლაც კარგად ვიცი, რომ ამ წიგნს „დედა ენა" ჰქვია.

მამა დიდი მონდომებით გვასწავლიდა ქართულ ანბანს. მან მთელ ჩვენს სოფელში ყველაზე კარგად იცოდა ქართული, „დედა ენის" გარდა სხვა ქართული წიგნებიც ჰქონდა. ახლა კი ვიცი, რაც ჰქვია ამ წიგნებს, მე თვითონაც ბევრს ვკითხულობ. მაშინ კი მამა გვიკითხავდა „ხევისბერ გოჩას“, „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“, „ოთარაანთ ქვრივს", „გლახის ნაამბობს“, „ბაში-აჩუკს“... კითხვას ისე არ დაამთავრებდა, რომელიმე ჩვენგანისთვის თავზე ხელი არ გადაესვა და არ ეთქვა: „ასეა, ჩემო შვილებო, არ უნდა დაგავიწყდეთ, ვისი გორისა ხართო". მაშინ იმდენი არ მესმოდა და არც ვფიქრობდი, თუ როგორ და სად შოულობდა მამა ქართულ წიგნებს, ან რა უჯდებოდა მათი შეძენა, ახლა კი ვიცი, ყველაფერი ვიცი.

რვა წლის როცა გავხდი და ქართული ანბანის სწავლა დავიწყე, გასაგები გახდა, რომ მე, ირანის გარდა, სხვა, ნამდვილი სამშობლო – საქართველო მაქეს.

ერთ დღეს სოფელში ხმა გავარდა, ფერეიდანში საქართველოდან ქართველები ჩამოვიდნენ და შეიძლება ჩვენს სოფელშიც მოვიდნენო. ცხრა წლის წინათ იყო ეს ამბავი, მაგრამ მაინც კარგად მახსოეს, როგორი სიხარული დატრიალდა მთელ სოფელში, როცა ქართველები მართლა გვესტუმრნენ. სტუმრებს გაუგიათ, რომ ყველაზე კარგად მამაჩემმა იცოდა ქართული და მათაც ჩვენთან დაიდეს ბინა, მაგრამ იმ დღეებში ჩვენი სახლი მთელი სოფლის საცხოვრებლადაც იქცა. ყველანი ჩვენთან მოდიოდნენ, ყველას უნდოდა „ნამდვილი“ ქართველების ნახვა. სტუმრები სამნი იყვნენ – ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ქალი ძალიან ლამაზი იყო, წაბლისფერი, სწორი თმა ჰქონდა, თეთრი სახე, ლამაზი, დიდი, ლურჯი თვალები. ყველაზე ძალიან ის დამამახსოვრდა, როცა გაიცინებდა, ლოყა ეჩხვლიტებოდა ხოლმე და მაშინ უფრო ლამაზი ხდებოდა. მერე ის ქალი დედამ და სხვა მეზობელმა ქალებმა ცალკე ოთახში გაიყვანეს, მეც ჩუმად შევყევი მათ. ყველა ცდილობდა, ქალთან ახლოს დამჯდარიყო. ათასნაირ შეკითხვას აძლევდნენ, საოცარი იყო, ყველა შეკითხვაში სიტყვა „საქართველო“ ერია. ჩემმა უფროსმა დამ ჰკითხა ქალს: „მართალია, საქართველოში სულ მზე არისო?" ამ შეკითხვაზე სტუმარმა სიტყვით არაფერი უპასუხა, მხოლოდ თავისი დიდი, ლურჯი თვალები შეანათა ჩემ დას, ერთხანს უყურა, მერე ცრემლი მოერია, თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. მე გაოცებული ვუყურებდი მას და მიკვირდა, რომ არაფერი უპასუხა, ვერც მისი ცრემლის მიზეზი ამეხსნა, არც ის ვიცოდი,

რატომ აკოცა ჩემ დას. მაშინ ყველაფერი მიკვირდა, მაგრამ ახლა, ახლა უკვე ყველაფერი ნათელია.

დღევანდელი დღესავით მახსოვს, როგორ გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, სტუმრებს რაღაც ქართული ფილმი ჩამოუტანიათ და ჩვენ უნდა გვაჩვენონო. გვაჩვენეს კიდეც, ეს ფილმი „გიორგი სააკაძე" იყო. ამის მერე, საღამოობით, ბავშვები მინდერად სათამაშოდ რომ გავიჭრებოდით ხოლმე, ჩვენი ყველაზე საყვარელი თამაში „გიორგი სააკაძეობანა“ იყო. შევთანხმდით კიდეც, ყოველი თამაშის დროს თითოეული ჩვენგანი რიგ-რიგობით უნდა ვყოფილიყავით გიორგი სააკაძე. გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და მივაჭენებდით.

„გიორგი სააკაძეს“ აუცილებლად ჩვენზე წინ უნდა გაექროლებინა თავისი რაში, დანარჩენები კი ყიჟინით უკან მივდევდით.

როცა ჩვენი სტუმრები საქართველოში ბრუნდებოდნენ, უფროსები ათას რამეს აბარებდნენ მათ, თან მალულად ცრემლებს იწმენდნენ. წასვლის წინ ერთ-ერთმა სტუმართაგანმა მამაკაცმა, ხმამაღლა თქვა: „მე დღეს თქვენთან ნამდვილი საქართველო ვნახე. მართალია, თქვენ დღეს ქართულად ისე ვერ ლაპარაკობთ, როგორც ჩვენ საქართველოში, მაგრამ ეს ხომ ის ენაა, რომლითაც ქართველები საუკუნეების წინ ლაპარაკობდნენ. მას შემდეგ რამოდენიმე საუკუნე გავიდა და თქვენ ძველი ქართული დღესაც სათუთად გაქვთ შემონახული. სწორედ ამიტომ, თქვენ ქართველთა შორის, ყველაზე დიდი ქართველები ხართ. თქვენ უნდა ნახოთ საქართველო. დიახ, უნდა ნახოთ! თქვენ საქართველოში უნდა იყოთ! დიახ, დღეს საქართველოს სწორედ თქვენნაირი ქართველები სჭირდება, ქართველთა შორის ყველაზე დიდი ქართველები“.

სტუმრების წასვლის შემდეგ, ყოველ ჩვენგანს, დიდსა თუ პატარას, ერთი სურვილი გვიღრღნიდა გულს, როგორმე საქართველო გვენახა. ნაწვიმარზე, მზის ჩასვლისას, თუ ცაზე ცისარტყელა გამოჩნდებოდა, მე და ჩემი ტოლები თავქუდმოგლეჯილნი გავრბოდით, გვინდოდა ერთმანეთისთვის გაგვესწრო, რადგან ჩათქმული გვქონდა, ვინც ცისარტყელის ქვეშ გაძვრებუდა ის საქართველოს ნახავდა. ჰოდა, ჩვენც გავრბოდით...

„მეტი ვეღარ მოუსწრია, ეტყობა, კიდევ აპირებდა გაგრძელებას, წინადადება დაუმთავრებელია. ზარი დაირეკა თუ არა, მაშინვე ჩამოვართვი რვეული, ნეტა რას ვჩქარობდი, არა, ხვალ აუცილებლად უკან დავუბრუნებ, ძალიან მინდა, რომ დაამთავროს“...

***

„...ვეცემოდით, ვიღლებოდით, მაგრამ მაინც გავრბოდით, გვინდოდა, როგორმე გავმძვრალიყავით ცისარტყელის ქვეშ, თითოეულ ჩვენგანს გვინდოდა გაგვესწრო ერთმანეთისთვის, თითოეულ ჩვენგანს პირეელს გვინდოდა გავმძვრალიყავით ცისარტყელის ქვეშ, პირველს გვინდოდა გვენახა საქართველო“...

ენით აუწერელი სიხარული დამეუფლა, როდესაც გავიგე, რომ საქართველოში უნდა წამოვსულიყავით საცხოვრებლად. უფროსები რაღაც აფორიაქებულები იყვნენ, ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ, ყველანი რაღაც საოცრად დაბნეულები იყვნენ. მე კი მიხაროდა, ძალიან მიხაროდა, ახლაც არ ვიცი, რა სიხარული იყო ეს, სამშობლოს ნახვის, თუ, უბრალოდ, ის სიხარული, ბავშვებს რომ რაღაც ახლის მოლოდინში ეუფლებათ ხოლმე და თვითონაც არ იციან, რა არის ის ახალი. მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა და ახლაც ძალიან კარგად მახსოვს, ის სიხარული, რაღაც სულ სხვანაირი სიხარული იყო.

ჩამოვედით საქართველოში. რა ლამაზი და ბედნიერი დღეები იყო. ყველანი გვეფერებოდნენ, გულში გვიხუტებდნენ, გეკოცნიდნენ, ჩვენს დანახვაზე თან იცინოდნენ, თანაც ცრემლებს ვერ მალავდნენ. მოდიოდნენ, გვეკითხებოდნენ, რაღაცეებს იწერდნენ, სურათებს გვიღებდნენ. მერე ჩვენი სურათებით ჟურნალ-გაზეთებიც ააჭრელეს, ერთი ჟურნალის გარეკანზე ჩემი სურათიც კი იყო. მერე სკოლაში მიმიყვანეს. მასწავლებლები განსაკუთრებით მეფერებოდნენ, გაკვეთილების შემდეგ მტოვებდნენ და ცალკე მამეცადინებდნენ. თავდაპირველად ამხანაგებს ეცინებოდათ ჩემ ლაპარაკზე, მერე და მერე უკვე აღარ, არ ვიცი, ისინი შეეჩვივნენ ჩემს

ლაპარაკს, თუ მეც მათსავით დავიწყე ლაპარაკი. ეს კია, რომ ახლა ძალიანაც რომ მოვინდომო, ვეღარ დავილაპარაკებ ისე, როგორც მაშინ ვლაპარაკობდი.

ახლა უკვე ჩემს სამშობლოში ვარ, საქართველოში. ხშირად მესმის „პატარა საქართველო“, რომ იცოდეთ, როგორ მწყინს... როგორ არის პატარა, თურმე რამდენი რამისთვის გაუძლია, რამდენ მტერს შებრძოლებია, ვის არ მოუნდომებია ქართველი ერის განადგურება, მაგრამ ვერავის ვერაფერი დაუკლია. დადგებიან მერე და მაინც იძახიან „პატარაო", პატარა კი არა, დიდია, ძალიან დიდი. ამას წინათ სიმონ ჩიქოვანის ლექსს ვკითხულობდი. როგორ გამიხარდა, როცა წავიკითხე:

„ვინა სთქვა, ითქოს პატარა იყოს ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ვინ მოიგონა სიმცირე მისი“.

ჯერ მარტო თბილისი რამხელა ქალაქია, თანაც რა ლამაზი. როცა ერთი ქალაქი ამხელაა, როგორ შეიძლება მთელი საქართველო პატარა იყოს. არა, საქართველო დიდია, ძალიან დიდი.

ჩემი ბავშვობის სახელი ბახტიარი იყო. საქართველოში რომ ჩამოვედი, აღარ მოეწონათ, ქართულად არ ჟღერსო და ხელახლა მომნათლეს, ვახტანგი დამარქვეს. თავდაპირველად ვერ ვეგუებოდი ჩემს ახალ სახელს, ახლა კი, თუ ვინმემ გასაბრაზებლად „ბახტიარი“ დამიძახა, ვგიჟდები. მე ხომ ვახტანგი მქვია, თანაც იმ მეფის სახელი, რომელმაც თურმე თბილისი დააარსა, ამის მერე როგორი ასატანია ვინმემ „ბახტიარი“ დაგიძახოს.

ამას წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა: „ეჰ, ვახო, თქვენზე ასეთი ხმები დადის, ისწავლიან, უმაღლესებს დაამთავრებენ, მოიგვარებენ თავიანთ საქმეს ისე, როგორც მათ აწყობთ და მერე ისევ უკან, სამშობლოში დაბრუნდებიანო". – ეს რომ მითხრა, სიმწრის ოფლმა დამასხა, სიბრაზით გული ყელში მომებჯინა, თავი ვეღარ შევიკავე და ჩემდაუნებურად ისე გავარტყი, რეტდასხმული მიწას დაენარცხა. მერე ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა, შუბლშეკრულმა თვალი თვალში გამიყარა და კბილებში გამოსცრა: „უჰ, შე მართლა სპარსო!..“ ამის გაგონებაზე მთლად უარესი დამემართა, აღარ მახსოვს, როგორ გაგვაშველეს, ორთავეს ცხვირ-პირი სულ მთლად დასისხლიანებული და დაკაწრული გვქონდა. მერე ბევრი ვინანე, რატომ გავარტყი-მეთქი, მაგრამ რა მექნა, ძალიან მეწყინა. გამოდის, რომ საქართველო მარტო მისი სამშობლო ყოფილა, მე კი აქ დროებით ჩამოსული სტუმარი ვყოფილვარ, რომელიც თურმე ისევ „სამშობლოში" უნდა დაბრუნდეს, ე.ი. გამოდის, რომ სპარსეთია ჩემი სამშობლო?! არა, მე იქ არასოდეს დავბრუნდები, მე იქ არაფერი დამრჩენია, იქაურობა ბავშვობაში ნანახი სიზმარივით მაგონდება, ჩემი ცხადი და სინამდვილე კი აქ არის, ჩემს დიდ საქართველოში. განა არ იყო საკმარისი, ჩემმა საწყალმა წინაპრებმა, საუკუნეების მანძილზე, რა ტანჯვა-წამებაც გადაიტანეს სპარსელების უღელქვეშ! ვინ ვარ მე მათთვის? არავინ და არარაობა!.. რა მინდა მე იქ, რა დამრჩენია? – არაფერი!.. ვინ ვარ მე დღეს საქართველოსთვის? – ყველაფერი!.. რა არის ჩემთვის საქართველო? – ყველაფერი! დიახ, საქართველო ჩემთვის ყველაფერია, ჩემი დიდი სამშობლოა, ის სამშობლოა, რომლის ნახვაც მე ცისარტყელის ქვეშ გაუძრომლადაც მეღირსა".

ფანჯარასთან იდგა ნანა და დაფიქრებული გაჰყურებდა გვიანი შემოდგომის წვიმიან დღეს. ვახოს დანახვაზე გაეღიმა. „ვერც ვიფიქრებდი, ამდენ რამეს თუ იტევდა იგი. არა, არა, როგორა წერს?“.. „რა არის ჩემთვის საქართველო? – ყველაფერი!..“ ნანამ ისევ ფანჯარაში გაიხედა. „ღმერთო ჩემო, დიწყება ახლა სულ წვიმა, წვიმა და, ვინ იცის, როდემდე გასტანს. ცაც ისეთი მოღუშულია და ისე მოხსნა პირი, გეგონება, არასოდეს გამოიდარებსო“, – გაიფიქრა და მოსწავლეებს გადაავლო თვალი.

ლალი სოხაძე

ჩხირკედელა

ბებიაჩემი, დედაჩემის დედა-ნინო მერაბიშვილი, ძალიან მკაცრი ადამიანი იყო შვილიშვილების აღზრდის დარგში ☺. სწავლა-განათლება მისი მხოლოდ საშუალო სკოლით შემოიფარგლებოდა, მაგრამ დეიდაჩემის მეგობრებს (დეიდა პროფესორი მყავდა, სასოფლოში - ფილოსოფიის კათედრის გამგე იყო ვენერა მესხი) ანცვიფრებდა თავისი ინტელექტით. მათაც ისე უყვარდათ მასთან საუბარი, რომ მისი გემრიელობების გასინჯვის დრო კარგა ხნით იწელებოდა.

მე ბებიასთან მეძინა. ძალიან ვუყვარდი, იმიტომ რომ ყველაზე მეტს მე ვაბრაზებდი. ☺ მაგრამ ისეთი მომთხოვნი იყო სწავლა განათლების მხრივ, რომ სანამ გაკვეთილებს არ ვისწავლიდით მე და ჩემი პატარა და მანამ ეზოში ჩასვლის უფლებას არ მოგვცემდა. მომთხოვნი იყო ყველა ნაირი საქმის, რაც ქალის ხელს დაამშვენებდა. ამავე დროს ძალიან გულთბილი, გულისხმიერი და როგორც იტყვიან მეზობლებს თვალში რომ ჩავარდნოდა ხელს არ ამოისმევდნენ... თანაც ჩვენ სამეზობლოში თითქმის უკვე ნათესავები ვიყავით -დედაჩემის და მამაჩემის ნათლულები იყვნენ ბავშვები და და-ძმებივით ვიზრდებოდით. მართლაც ლაღი და კარგი ბავშვობა გვქონდა..

ძალიან მიყვარდა ჩხირკედელაობა. მიყვარდა დაშლა რადიოების, უთოების და მერე მათი აწყობა და ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როცა ზუსტად ავაწყობდი, არაფერი შემეშლებოდა და ყველაფერი ისევ კარგად მუშაობდა. წარმოიდგინეთ თვალი დავადგი ტელევიზორსაც, უკვე გემოვნებაც გამეზარდა. ☺

ყოველ დილით სანამ მამაჩემი და დედაჩემი სამსახურში წავიდოდნენ, მამა ჩართავდა ხოლმე ტელევიზორს და დილის ამბებს უსმენდა. შემდეგ შესვენებაზე მოდიოდა, პროდუქტით მოგვამარაგებდა და შუადღის გადაცემებს ეცნობოდა.

ერთ დღესაც გადავწყვიტე ტელევიზორის შიგთავსი შემესწავლა. ამისთვის ჯერ ბებიაჩემის ყველა, ყოველდღიური საქმე შევისწავლე (შერლოკ ჰოლმსის და აგატა კრისტის ნაწარმოებებს ტყვილა კი არ ვკითხულობდი) და დრო დავინიშნე რა დროს ანდომებდა ამა თუ იმ საქმის კეთებას. არ იფიქროთ, რომ ვიჩქარე, რადგან ერთი კვირა დამჭირდა ამ ამბისთვის. თან შემოდგომის არდადეგებს დაველოდე.

დადგა ჩემი ჩანაფიქრის განხორციელების დროც. ბებია უნდა ჩავიდეს ეზოში, ჩაიტანოს ქეჩები, ხალიჩები გასაფერთხად. შემდეგ მეზობლები დაინახავენ, ზოგი რას კითხავს, ზოგი რას და სადღაც 20 წუთია საჭირო ამისთვის. ყველაფერი კარგად გავთვალე. მოვაგროვე ,,ატვიორკები“ სხვადასხვა სახის.

ჩავიდა ბებია ეზოში და ჩაირთო წამზომიც-სწრაფად მოვიმარჯვე ხელსაწყოები, გარედან სწრაფად მოვხსენი ყუთი, სათითაოდ ვაკვირდები ყველაფერს, ორი დიდი ნათურა საგრძნობლად მომხვდა თვალში, ფრთხილად ამოვიღე, კარგად გავხედე სინათლეზე, თან ეზოსკენ მაქვს თვალი, ბებიაჩემს ვაკვირდები და ჰოი საოცრება, სადაა ბებია? ეზოში აღარ ჩანს, აღარც მისი ჩატანილი ქეჩები და ხალიჩებია. სწრაფად დავიწყე ტელევიზორის აწყობა. ყუთიც მივაფარე, დავუჭირე ,, შურუფებს“ და გაისმა კარებზე

ზარის ხმაც. გავაღე კარები და ბებიას ვუსაყვედურე-რატომ არ დამიძახე? ხომ მოგეხმარებოდი ამოტანაში?-გეძახე შვილო, მაგრამ ეტყობა წიგნს კითხულობდი, რომ ვერ გაგაგონეო. თან თვალებში იცოდა ყურება ლაპარაკის დროს. მე კი დამნაშავედ ვგრძნობდი თავს, თვალს ვერ ვუსწორებდი და ხან იქით, ხან აქეთ ვიყურებოდი.

- რაღაც გჭირს. რა დაგემართა? არაფერი რა უნდა მჭირდეს მეთქი. კარზე ისევ ზარის ხმა გაისმა. დრო ვიხელთე, ბებიაჩემის მზერას და კითხვებს დავუსხლტი კარი გავაღე და მამაჩემი შემოვიდა გაღიმებული სახით და დიდი ტომარით ხელში, სადაც თხილი ეყარა. ბებიას უთხრა, დედა (სულ მიკვირდა დედაჩემის დედა, მამაჩემის დედა როგორღა იყო. ამაზე სხვადროს მოგიყვებით) თხილი მოვუტანე თაგვებს, ანუ მე და ჩემს დებს, რომლებიც არდადეგებზე დეიდებმა დაითოთოვეს.

- დღეს ვაჟას გადაცემაა (ვაჟა ფაჩულია, უფროსი დეიდის მეუღლე. უნიჭიერესი რეჟისორი იყო. ხალხური გადაცემები ებარა ტელევიზიაში. ,,თვალთაი" ასეთი გადაცემა იყო, ვახუშტი კოტეტიშვილს მიყავდა) თქვა მამამ და გაემართა ტელევიზორის ჩასართავად.- მერე სად ჩაირთო?! აუუ, დამცეცხლა თავში. მზერა გავაპარე ფანჯარასთან მდგარ სკამისკენ, სადაც ერთი ,,ლამპა" დამრჩენოდა ბებიაჩემის თვალთვალის დროს.

მამამ ხან აქედან უტრიალა, ხან იქიდან ტელევიზორს, მაგრამ ვერაფერი გაუგო. კი, მაგრამ დილას ხომ ვუყურეთ გადაცემებს? - კი შვილო, მაგრამ იმის შემდეგ არც ჩამირთავს, სად მეცალა? დამნაშავე ბავშვივით უპასუხა ბებომ.

- კარგი დედა, არ იდარდო, აგერ ვოვას დავუძახებ (ვოვა, ჩვენს მოპირდაპირე ეზოში ცხოვრობდა ეროვნებით სომეხი, ტელევიზორების ახლად დამბადებელი, ,,ზოლუშკა", ხელმარჯვე ოსტატი და კიდევ ბევრი ,,კლიჩკის მატარებელი). მამას შესვენება დაუმთავრდა, სამსახურში წასასვლელად მოაკითხა მძღოლმა, თან დაგვამშვიდა ვოვას შევძახებ და არ ინერვიულოთო.

მოვიდა ვოვა, თან ერთი დიდი ჩემოდანი მოათრია, საჭირო ხელსაწყოებით სავსე. გაუშვა სომხური ბაიათები. ნელ-ნელა, სიმღერ-სიმღერით დაიწყო შურუფების მოხსნა. თან ბებოს სომხურად ელაპარაკება ხანდახან - ავლაბარში მცხოვრებს რა არ ეცოდინებოდა თუ რა. ყველაფერი ვერ გავიგე, მაგრამ შურდულივით რომ ამოხტა ტელევიზორიდან და განცვიფრებული თვალებით მიაშტერდა ბებიაჩემს, აი აქ კი სტარტზე დავდექი და მოვემზადე გასაქცევად.

- რა იყო შვილო? ქალბათონო ნინა, ეტა ტილივიზორი მუსაობს? ანუ მუშაობდაო?

- კი შვილო, დილას უყურეს გადაცემებს და მერე სამსახურებში წავიდნენ რეზო და ჟუჟუნა. უპასუხა ბებომ, თან რაღაც ეჭვის თვალით გადმომხედა.

- როგორ, ქალბათონო, როგორ შეძლოს ამ ტილივიზორს მუსაობა? დამტვრეული რუსულ-სომხურ-ქართულით, გაკვირვებულმა უპასუხა ხელოსანმა. ამას ლამპა აკლიაო...

ბებიას ზურგს უკან დავუდექი და ვუბრიალებ თვალებს ვოვას, თან ვანიშნებ სკამისკენ, მინდა ვუთხრა მიიხედოს, შეხედოს სკამს, ვიქნევ ხელებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერ ხვდება მიწადასაყრელი. 🙈ბებიამაც თვალი შემასწრო, მიხვდა, ჩემი გაფუჭებული რომ იყო ტელევიზორი. მეტი რაღა დამრჩენოდა, გავიქეცი კარებისკენ და დავეშვი მესამე სართულის კიბეებზე.

მივრბივარ და თვალში მხვდება კარებზე გვარების წარწერები. თან ვიცი სად როგორი მოაჯირი აქვს თითოეულ სართულს. რამდენი კიბეა თითოეულ სართულზე. გვარების მიხედვით თუ იკითხავთ ჩვენი სადარბაზო ინტერნაციონალური იყო. რა ეროვნების არ გინდოდათ ჩვენ სადარბაზოში, რომ არ ყოფილიყვნენ. სომეხი,

უკრაინელი, რუსი, ოსი, ბერძენი, აზერბაიჯანელი და ციგანიც კი. მაგრამ ისეთი კარგი და მყარი მეზობლობა გვქონდა, სადაა ახლა მასე?

ამასობაში ჩავირბინე კიბეები და ეზოში ამოვისუნთქე. ვიცოდი ბებია სტუმარს არ მიატოვებდა ☺ .

ეზოში ბავშვები , სხვადასხვა თამაშით იყვნენ გართულები.

- ლალი, შემომესმა ჩემი ნათლიიშვილის მანანას ხმა, რომელიც მომდევნო სადარბაზოს პირველი სართულის მაცხოვრებელი იყო (ორი დანი- მანანა და ნინო და ერთი ძმა ყავდათ აჩიკო, გვარად მძელურები) გამიხარდა მისი დანახვა.

- რა იყო? სად გეჩქარება?

-არსად, ეზოში სათამაშოდ ჩამოვედი. ვუპასუხე თან ჩემი ფანჯრებისკენ მიჭირავს თვალი, ბებო მიყურებს თუ არა მეთქი. ეტყობა ჯერ ვერ მოიცალა, რადგან მისი ჩრდილიც არ ჩანდა ფანჯარასთან. სტუმარს ხომ უნდა გამასპინძლებოდა?!

- წამო ჩვენთან, ნათლიაშენს კარგი გემრიელობები აქვს გაკეთებული. მითხრა მანანამ, ჩემზე ორი წლით უმცროსმა.

-კარგი წავიდეთ. ვუპასუხე და შევედით სახლში. ლამარა ნათლია დაგვხვდა გაღიმებული სახით, დავუნახივარ და უკვე სუფრა გაშლილი დაგვახვედრა. ნინო და აჩიკო სახლში არ იყვნენ არც გოგი ძია, ნათლიაჩემის მეუღლე (ღმერთო აცხონე მათი სულები და აჩიკოს სული, მეუღლესთან ერთად ნათელში ამყოფე). რამდენიმე ხანში გოგი ძიაც მოვიდა დამშეული და შემოუერთდა ,,ქეიფს".

გოგი ძია, ყველა ასე ვეძახდით. ბავშვებს ძალიან გვიყვარდა. ყველაფერს გვისრულებდა. სად არ უმუშავია - სასწრაფოს მძღოლად, გაზ-კანტორაში, მაშინ საბავშვო თეატრის ავტობუსის მძღოლი იყო. დასვენების დღეებში სად არ დავყავდით მთელი მეზობლის ბავშვები მშობლებიანად, ექსკურსიას მოგვიწყობდა ხოლმე. ყველაფერი ეხერხებოდა ამ ადამიანს. ნათლიაჩემი როგორც ყოველთვის სავარძელში იჯდა და ხელსაქმით იყო დაკავებული. ამჟამად ყაისნაღით ქსოვდა კაბას. რამდენი ,,უზორი" მასწავლა და ჩემთვის ვიქსოვდი რაღაცეებს ხოლმე...

უცბად ეზოდან ხმა მოგვესმა, გ ო გ ი, გ ო ო გ ი ი. გოგი ძიამ ფანჯრიდან გასძახა რა იყო არსენ? (მოპირდაპირე ქუჩის მცხოვრები ეძახდა) .

- ტ ე ლ ე ვ ი ზ ო რ ი აღარ უჩვენებს (ტელევიზორიო და ვცქვიტე ყურები, გულმა ბაგაბუგი დამიწყო სიხარულისგან. ვიფიქრე ჩემს ჩანაფიქრს ავისრულებდი. წარმოვიდგინე დაშლილი ტელევიზორი -მეც ვეხმარები აწყობაში და ბოლომდე აღარც მისმენია რას საუბრობდნენ). მანანას ვთხოვე, მოდი რა გავყვეთ გოგი ძიას , ძალიან მაინტერესებს ტელევიზორი რისგან შედგება მეთქი. ის ამბავი კი არ მითქვამს, ვაპირებდი, მაგრამ მოყოლის მომენტი არ მომეცა.

მანანამ ,,შეახუჭუჭა" მამამისი. არსენ ძიამაც უთხრა წამოვიდნენ ბავშვები რა დაშავ-დება ამითო. უარი ვეღარ გვითხრა გოგი ძიამაც და ავედით მე-4 სართულზე, სადაც ზალაში დიდი სუფრა იყო გაშლილი. არსენას სამი ბიჭი ყავდა და ერთ-ერთის დაბადების დღე ყოფილა. ბავშვებით და მშობლებით სავსე იყო ოთახი, სუფრა კი სანოვაგით- ჩიტის რძეც კი არ აკლდა.

ტელევიზორი ჩართული იყო მეორე ოთახში, მაგრამ გამოსახულება არ ჩანდა, არსენამ გამოიტანა დახვეული შნური და გოგი ძიას უთხრა: მე სახურავზე ავალ და შენ ანტენის ადგილზე გაუკეთე ესო და მისცა კიდევ რაღაცეები, რაც საჭირო იყო. თურმე ანტენა უნდა გაეკეთებინათ. ☺ მივხვდი, რომ,, კოვზი ნაცარში ჩამივარდა" . რაღას

ვიზავდი? დაგვსვეს მე და მანანა მაგიდასთან. მერე გოგი ძიაც და არსენაც შემოგვიერთდნენ და მიდის ქეიფი...

სადღაც დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა. ეზოდან რაღაც ჩოჩქოლის ხმა მოისმა, მასპინძელმა გადაიხედა და დაიძახა:

- დედა, რა ხდება ეს? ყველა ფანჯრებს მივაწყდით. უამრავი ხალხი იყო ეზოში. მილიციის (მაშინ პოლიციას ასე ერქვა) ორი მანქანა. ერთი ჩოჩქოლი და გნიასი იდგა. მასპინძელმა კითხა რა ხდება ხალხო? ბავშვი დაიკარგა, უპასუხეს ეზოდან. ყველამ შეიცხადა, ნეტავ ვისიო.

- ვისი ბავშვი დაიკარგა? შეეკითხა არსენა. რეზო სოხაძის შუათანა გოგო ლალიო.

ყველა ჩემსკენ მოტრიალდა და განცვიფრებულები მომაშტერდნენ. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. გული ყელში მომაწვა. ტირილი მინდოდა, მაგრამ მე ხომ ცრემლებს არასოდეს არავის ვაჩვენებდი...

- არსენამ დაუძახა, აქ არის არ დაკარგულა...

გოგი ძიამ დაგვავლო ხელი მე და მანანას და სულ სირბილით ჩაგვიყვანა ეზოში. იქ კი მანანა სახლში გაიქცა, მე კისერზე შემისვა (ამ ამბავს სიცილ-ხარხარით იხსენებდა და იტყოდა ხოლმე: ისეთი სახე ქონდა, გული, რომ არ გახეთქოდა შიშისაგან იმიტომ შევისვი კისერზეო) . ეცნენ მილიციონრები, ბავშვი მოგვეციო. ისეთი წიოკი ავტეხე, თავი დაანებეს გოგის. მესამე სართულზე ძვლივს ავედით. იქაც სავსე იყო ხალხით. ლამარა ნათლიაც იქ დაგვხვდა, აბრუნებენ გულწასულ ბებიაჩემს. მაშინ კი ვეღარ შევიკავე თავი და ავქვითინდი, მივარდი- ბებია, ბებია, ვტიროდი და თან ვუყვიროდი, არ მოკვდე გეხვეწები აღარ დავშლი ტელევიზორს მეთქი. ☺ მეგონა, ვოვამ ვერაფერი გაუგო ტელევიზორს და ამის გამო იყო ცუდად. ჩემს ტირილ-ყვირილზე გაახილა თვალი ბებიამ. შენ შემოგევლოს ჩემი თავი ბებო, რაღაი ცოცხალი ხარ აღარ დავეძებ არაფერსო- ძვლივსღა ლაპარაკობდა. ჩავეხუტე, ისე შემოვხვიე ხელები და მოვუჭირე, თითქოს ვინმეს წართმევა უნდოდა. თან ვეჩურჩულებოდი-ბოდიში ბებო, ბოდიში...

ამასობაში მამა და დედაც მოვიდნენ სამსახურებიდან. გაგიჟდნენ ამდენი ხალხი რომ დაინახეს. დედაჩემს რაღაც დაემართა ნამდვილადო. უფიქრია დედას და სულ სირბილით ამოურბენიათ კიბეები. იქ კი ყველაფერი გაარკვიეს. იმდენ ხალხში ხომ არ მეტყოდნენ რამეს?! ყველა წავიდ-წამოვიდა. ბებიას ხმა შემომესმა არ ეჩხუბოთ, მაგას თავისიც ეყოფაო. ჩემი ბრალია, რომ თავიდანვე ნათლიამისთან არ მოვიკითხეო. თურმე, რომ გაუმასპინძლდა ვოვას, სომეხ ხელოსანს, მერე მომიკითხა ეზოში, მაღაზიაში. არსად არ ვიყავი, დაუძახა მეზობლებს, იმათ კი მილიციას შეატყობინეს და რამის ნახევარი რუსთავი მეძებდა ☺

ერთი კვირა ,,დამაშნი არესტი“ მქონდა. არდადეგები წიგნის კითხვაში გავლიე. მამამ ახალი ტელევიზორი გვიყიდა. ძველი კი მე გადმომეცა ☺ უკეთ შესასწავლად. ☺ ☺ ☺☺ ☺ ☺☺ ☺ ☺☺ ☺ ☺☺ ☺ ☺☺ ☺ ☺

ეთერ ჭელიძე

პატრიარქის 90 წლის იუბილე

მაღალ დონეზე ორგანიზებული საღამო, რომელიც მიეძღვნა პატრიარქის 90 წლის იუბილეს. ისევ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილის ორგანიზატორობით.

ირმა კეკელიძე

სულიერების ზეიმი, საოცრად გაალამაზა ხაშურიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა შემოქმედთა გუნდმა. საოცრად შთამბეჭდავი იყო მოცეკვავეთა ანსამბლ "ოქროს ფარი"-ის მიერ შესრულებული, ქართული ეროვნული ცეკვები...კლასიკური სიმღერებით საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, უნიჭიერესმა მომღერალმა – მარიამ ობოლაძემ... ღონიძიება საოცრად გაალამაზა, მაია მიქაბერიძის მიერ, პატრიარქის ნათლულებისგან შექმნილმა,ბავშვთა ანსამბლმა, რომელთა მიერ შესრულებულმა საგალობლებმა, შარავანდედით შემოსეს და დააგვირგვინეს ულამაზესი ღონისძიება, რომელიც მათი ნათლიის, ერის სულიერი მამის, საუბილეო თარიღს მიეძღვნა...და ბოლოს მინდა მადლობა გადაუხადო ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიას, ამ ლამაზი დღის ჩუქებისათვის, ეროვნული და სულიერი ზეიმისათვის.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ათი ნოემბრის შემდეგ

ერთი თვე და რამოდენიმე დღე არის , ვინახავ მამა ნეოფიტეს ხელით მორთმეულ უდაბნოს კლდეებში მოწყვეტილ ჩემთვის ყველაზე ძვირფას საჩუქარს, რომელსაც მე მიმიზას ყვავილი ვუწოდე. მის გვერდით მოწიწებით თავს იწონებს სხვა ყვავილი. უშგულში წმინდა ლამარიას ახლოს, ფრიდონ ნიჟარაძის სახლი დგას. ზაფხულში ეთერ ჭელიძის ოჯახში, სამი დღით ვიყავით მიწვეული. როდესაც როლანდ ჭელიძე ეთერის ძმა, თავისი ოჯახით გვაცილებდა, იასამნის ფერივით ლამაზი ნაზი მინდვრის ყვავილი მოვწყვიტე, ფრიდონ ნიჟარაძის სახლის გვერდზე. მის შემდეგ ვინახავ როგორც წმინდა ადგილიდან წამოღებულ განძს. მამა ნეოფიტეს საჩუქარი და



უშგულის წმინდა ადგილის მინდვრის სიწმინდე, ერთად მოვათავსე და აკადემიაში შევინახე. საიდუმლო ეთერ ჭელიძეს გაუმხილე და სურათიც მან გადაუღო. ვისთვის რა არის ძვირფასი საჩუქარი არ ვი ვიცი, ჩემთვის ესაა განძი. დღის ბოლოს მე და ჩემი პოეტესა ქალბატონი მეუფის ოჯახს ვეწვიეთ და იქიდან მადლშემოსილებმა მწერალთა სახლში გადავინაცვლეთ. ბრწყინვალე პოეტის მაგდა გოშნიაშვილის საღამო მაღალ დონეზე განიხილეს, ბრწყინვალე ლიტერატორებმა. საღამოს სითბოს კმაყოფილება სახლამდე მომყვა და დილით ღვთის წყალობა მეწვია. მამა ნეოფიტემ დამირეკა და თავისი ლექსი ჩამაწერინა. დავპირდი ჩემს გვერდზე დავდებ და დღეს არანაირ სიახლეს ფეის გვერდს არ გავაკარებთქო. ასეც მოვიქეცი. უკვე თორმეტი საათი შესრულდა. 31 თერთმეტი დეკემბერი დაიწყო. შევასრულე ჩემი სიტყვა და ისევ მამა ნეოფიტეს პატივისცემის მიზნით გავიხსენებ გარეჯში ყოფნის ერთ მნიშვნოვან მომენტს. 10 ნოემბერს, მამა ნეოფიტე თავის დაბადების დღეზე გახდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი. წმინდა ბერის ლოცვა, აკადემიას მოაძლიერებს და სხვადასხვა გეგმის

შემუშავბით ახალი წლიდან დაიწყებს მუშაობას.

გამძლეობის განტოლება

გააჩნია როცა სიტყვას ამბობ, ვინ არის შენი მსმენელი. ბატონი რეზო მიშველაძე, ათიათასობით სტუდენტის აღმზრდელი, რუსთაველის პრემიის მფლობელი და უდიდესი პროზაიკოსი. დავით სხირტლაძე ექიმი, რომელმაც ამერიკაში დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი, სადაც წლების განმავლობაში იმუშავა და თავისი დიდი გამოცდილებით დაბრუნდა თბილისში, გახსნა კლინიკა და არის დამსახურებული ექიმი. ბატონი დავითი, გახლავთ პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი და ყველასათვის საყვარელი პიროვნება. იგი 2022 წლის ნოემბრის თვეს მამობას ეზიარა. სხირტლაძეებს ეზრდება პატარა თვალხატულა გოგონა. ეთერ ჭელიძე ანთოლოგიის მეთორმეტე ტომის ღონისძიების წამყვანი და ორგანიზატორი. გარდაბნის მუნიციპალიტეტს, მთავარი სპეციალისტი. ქალბატონი ეთერი, უფრო მძიმე ომის პერიოდში წლების განმავლობაში გამგებელი იყო. ის, უნიჭიერესი პოეტია. 2022 წელს გახდა წლის

საუკეთესო პოეტი. ეთერ ჭელიძის პოეზიამ არ შეიძლება, არ გამოგაცოცხლოს და სიცოცხლის სტიმული არ მოგცეს.

განა შეიძლება არ მიყვარდეს,
ხალხი დიდებული სათაყვანო,
დარდში რატომ უნდა გადავარდე,
ანდა ჩემი შრომა გადავყარო.

ჰოდა, მათთან ურთიერთობა დიდ პასუხისმგებლობის წინაშე მაყენებს. ჩემი სულიერ შვილები, ძალიან მოწესრიგებულიბია. მთლიანობაში დიდ ინტელქტ სივრცეს ქმნიან და ბრძოლის ჟინანთებულნი უშიშრად მიიწევენ წინ მარადისობის მწვრვალებისკენ. მათი სულიერების სამყარო უსაზღვრო და უკიდეგანოა.

დავით ექიმი და ჩემი ეთო,
თვითონ პოეტები ზეციურნი,
გულში სანთელივით უნდა მენთოს,
შვილნი სულიერი და ღვთიურნი.

მადლობა უფალო, დარდის მდინარეს, რომ არ გამაყოლე და სევდის ოკეანის ზღვაში არ ჩამძირე. ხაშურის რაიონის სოფელ ალში ცხოვრობდა ჩემი უძვირფასესი მამათილის დეიდა, მას საბედა ერქვა. ალში იყო გათხოვილი ჩემი მული თამრო სხირტლაძე. ჩემს მულს დედამთილი გარდაეცვალა ძვირფასი ანიკო დეიდა. ის შუბითიძის ქალბატონი იყო და ვინაიდან მე დედით შუბითიძე ვარ, ანიკო დეიდას მიმართ, განსაკუთრებულ სითბოს ვიჩენდი. როდესაც ანიკო დეიდა გარდაიცვალა, გასვენებაში წავედი. ჩემი ოცდაათი წლის პოეტი ძმა იყო ახალი გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილი, შავები მეცვა. ჩემი მამათილის დეიდა ,,საბედა" ასი წლის ქალბატონი იყო, ზუსტად ასი წლის, არაფერს არც ვამატებ და არც ვაკლებ. საბედა ბაბოს, შვილი ყავდა გარდაცვლილი ,,მარო". ჩემი მამათილი შალვა სხირტლაძე, ხშირად იგონებდა თავის დეიდაშვილს. იხსენებდა როგორც ულამაზესა და დასავით საყვარელ დეიდაშვილს. ასი წლის საბედა ბაბომ გვერდზე გამიყვანა და დარიგება დამიწყო. შვილო, გავიგე ძმა გარდგცვლია. მე შვილი გარდემაცვალა, დარდს რომ ავყოლოდი, ლოგინში ჩავარდებოდი და მერე ვინ მომხედავა.

შვილო, დარდს არ მისცე თავი. დაუძლურდები და ვეღარც გარდაცვლილს მოიგონებ და აღარც ცოცხლებისთვის ივარგებო. მახსოვს საბედა ბაბო როგორ იდგა ჩემი მულის (თამროს) ოლიანდრებთან, რომელიც მე ვაჩუქე და ამ ყვავილს ჩემს სახელს უძახდა ჩემი კეთილი მული. იდგა 100 წლის ქალბატონი, სრულიად ჯამრთელი და საღად მოაზროვნე და მარიგებდა. სახლში როცა დავბრუნდი, ყურებში ჩამესმოდა საბედა ბაბოს სიტყვები, შვილო დარდს არ მისცე თავი. თურმე რამდენ ქარის წისქვილებში უნდა დაფქვილიყო ჩემი გული და უფალმა საბედა სახით კეთილი ანგელოზი გამომიგზავნა, რომ გზადაგზა, გამოვკვებილიყავი. ჰო, იმის შემდეგ იფქვება ჩემი გული. ვიკვებები საბედა ბაბოს სიტყვებით. დარდს გავურბივარ და საქმით ზომაზე მეტად ვტვირთავ ჩემს თავს.

მაცოცხლებს საღად მოაზროვნე ინტელიგენცია. ბატონი რეზო მიშველაძის, ქალბატონი ეთერ ჭელიძის და ბატონი დავით სხირტლაძისნაირი მოაზროვნე სულით ამაღლებული პიროვნებები. გაიხარეთ ძვირფასებო, მრავალ ახალ წელს დაესწარით, ხვავით, ბარაქით და ჯამრთელობით. ავხსენი ჩემი გამძლეობის განტოლება. საბედა ბაბოს სიტყვებით ,, დარდს არ მისცეთ თავი". გაიხარეთ!

იშრიალეთ ხეებო!

აქ დაიბადნენ ჩემი,, პაპის პაპები“, აქ დაიბადა ჩემი ბავშობა. აქაა დიდი სიხარული და ტკივილი დამარხული. ეს ტყე, მდინარე, მთები მარადიულია. მარადიულია ჩემი ამ ხეობის სიყვარული და ტკივილი. ისე თანაბარია, ტკივილი და სიხარული, აიწონა-დაიწონას თამაშობენ... და მაინც ტკივილი ძალავს, თან ძალიან...! მიყვარს მე ეს ტკივილი. იმიტომ მიყვარს, რომ ჩემია. მახსენდება ის დრო, ლენას, რომ გავძახებდი წყლის გაღმით, დილის ალიონზე ტყე ბურსგახველ ტანს მზის სხივებში, რომ იშრობდა. მე და ლენა სიმღერით, რომ ვტკეპნიდით შვიდკილომეტრიან გზას, სკოლაში მისასვლელად. გზადაგზა, რომ გვიერთდებოდნენ: ჯამბული, ციური, ფრიდონი, ზინა და სხვები. მტკივა ადამიანთა ფოთოლცვენები, ჩემიანთა და სხვისიანთა ... აქ არის ჩემი ,,პაპის პაპაები“ ამ მთებში მარხია მათი ძვლები. იქნებ, ტყის შრიალი მათი სულის ხმაურია. იშრიალეთ ტოტებო, იხმაურეთ. ხმაურიც სიცოცხლის ნიშანია.

საღამოს რვა საათი

ნათლისღების დღე დამთავრდა. იანვრის მოკლე მზის სხივებმა კალთები აიკრიფა და დასასვენებლად მიწვა.მე კი სულიერი შვილების მოფერების ზღვაში დავტრილობდი მთელი დღე. ხან აღმა ავყევი ფიქრის მდინარეს და ხან დაღმა ჩამოვყევი. სურათი გადმომიგზავნა მესენჯერში ლამაზმა გოგონამ, თბილი სიტყვებიც მოაყოლა მზითებად. ვისაუბრეთ ვგრძნობდი, რომ გულის კარები თანდათან იღებოდა. ხმის ტემბრით მოვიხიბლე, სიტყვებიში გულის სირწფელე მკაფიოდ სჩანდა.

,,თბილმა სიომ დამიარა სხეულში,
სასთუმალთან თავი
მივდე მშვიდად,
დავაყენე ხათო გულის რჩეულში,
მას არ მინდა სულით რომ მოშივდეს".

ნათლისღების დღეს შემოსულ სულიერი შვილის ნათლია გავხდი. აუცილებლად აკადემიის წევრობის საბუთს გავცემ. ხათუნა- მერი მითაგვარიას, დალოცავს სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ჯუმბერ ლეჟავას სული !

ჩემს ნათლიას

ფიქრმა არ მომასვენა დღეს ნათლულები ნათლიას ეფერებიან. თვალწინ დამიდგა ჩემი ლამაზი ნათლია, ქეთევან გელაშვილი. ის ერთად -ერთი ქალიშვილი ყვავდათ თავის მშობლებს და მოფერების ნიშნად ქეთუშას უძახოდნენ. მახსოვს ძალიან ლამაზი ქეთო ნათლიას ხელით შეკერილი კაბები, რომელსაც მე მჩუქნიდა. ჩემი კეთილი მშობლების გენით გამოყოლილ გამჭვირვალე ჩემს გულს, დაემატა ჩემი კეთილი და ლამაზი ნათლიას დანათლებული სიკეთე, რაც ასე ჭარბადაა ასახული ჩემს მგრძნობიარე გულში. ჩემო საყვარელო ნათლია, გზა მართალს ხარ წასული. გილოცავ დღევანდელ დღეს. შენს დაკრძალვაზეც ვერ მოვედი გარკვეული მიზეზის გამო. ეს, თვითონ უფალმა იცის, მაგრამ შენდობას მაინც ვითხოვ. მ ა პ ა ტ ი ე. დალოცვილები იყოს შენი შვილები და შვილიშვილები. ვამაყობ, რომ შენ ჩემი ნათლია იყავი და მე შენგან მადლის კეთება დამანათლა.

მხოლოდ სიყვარულით

ძალიან ბევრჯერ მწყენია. უამრავი ტკივილი მიუღია გულს დაუმსახურებლად. საპირისპიროდ თუ ოდესმე ხმის ტონისთვის ამიწევია, რამოდენიმე საათის დაფიქრების შემდეგ ისიც მინანია. ჩემი ხასიათი შევისწავლე და ხმამაღლა ვაცხადებ. მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია. არ განვიკითხავ მეძავს, თუმცა სხეულს ვაჭრობის მომხრე არ ვარ. ძალიან გახშირდა ტელევიზორებში და ფეიბუქებზე შიშველი ქალბატონების წარმოჩინება. ისევ ვიმეორებ კი არ მძულხართ გარიგებთ, ნუ გადაგვარდებით. დაისახეთ მიზნად სიკეთისა და მადლის გაცემა. აკეთეთ ისეთი საქმე, რომ ხვალ მომავალს გამოადგეს. ვაშლის მსხმოიარე ტოტი ჩამოიწიე გაკრიფე. მეორე ტოტი სხვას დაუთმე. არასოდეს დაივიწყოთ, ვაჟა ფშაველას, ,,სტუმარ-მასპინძელი", აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი". ქართველ კაცს დედას, როცა შეაგინებდნენ, არ პატიობდენ. დღეს საკუთარ დედებს უმრალესობა თვითონვე აგინებთ. სიმართლის დასამტკიცებლად იძახით. ,,ჩემი დედა". დედახვთისმშობელის ხატს ცრემლები ჩამოდისო, ესეც ფეისბუქიდან შევიტყვე. ჰოდა,

ღვთისმშობელი ტირის ასეთ გადაგვარებულ ქართველებზე. არ აატიროთ ცათა წასული დედის სულები. თქვენი მშობელი დედის ღირსებები დაიცავით. ნუ იჭრებით სხვის საქმეში, თქვენ შექმენით. თქვენ გააკეთეთ ის რაც სხვისი არ მოგწონთ. თქვენს თავს უფრო მეტი მოთხოვეთ, ვიდრე სხვისგან მოითხოვთ. ნუ შეიძულებთ სწორი გზის მრჩეველს. იქნებ უფალმა გამოგიზავნათ, რომ სხეული არ დაიმძიმოთ. ნუ იბრაგუნებთ ბოღმიან გულებზე მუშტებს. გული ცოდვაა, ისედაც ბევრი ატკინე შენი არასწორი ნაბიჯებით, ან თუნდაც ფიქრითაც. არასოდეს გენახოთ ცრემლი ახლობლების გარდაცვალებით. ის, რაც მე თვითონ გამოვცადე, იმხელა სასჯელია, ამას ვერავინ გაუძლებს. ვგრძნობ, რომ უფალი ჩემშია, რომ სიკეთის ბილეკებისაკენ გზა მიგითითოთ. თუ ხშირად წაიკითხავთ ამ სიტყვებს და გაითავისებთ არ ინანებთ.

ბალიშის ქვეშ ნაპოვნი ფული

გასული წლების ამბავს გიყვებით... რეალურად მომხდარს და საინტერესოს. მნიშვნელოვანი, რომ არ იყოს ამ ახალი წლის მოლოდინის სამზადიდში, არავითარ შემთხვევაში არ გაგაცდენდით, ჩემი კალმით დაინტერესებულო მკითხველო. ქარელელ სერგო ღონღაძეს ძალიან ყვარებია, ნადია სანდოძე (მსხალაძე). ქალბატონი ნადია მედიცინის მუშაკი და შეძლებული ოჯახის შვილი ყოფილა. სერგო ღონხაძეს, ყოფილ ფეხბურთელს, ავტორიტეტი არ აკლდა ქარელში, მაგრამ თავის შეყვარებულ ნადიასთან მაინც არაფერი არ ჩანდა ფინანსური მდგმარეობით. მსხალძიანთ ქალბატონი სერგოსგან გამოირჩეოდა, ეკონომიური შესაძლებლობით. სერგოს გადაუწყვეტია დაბადების დღეზე, თავისი გულისწორისათვის საკაბე ეყიდა. გულის ჩანაფიქრი მეგობრისთვის გაუნდია. მეგობარსაც უთქვმს, ძალიან კარგია სერგო, მეც მყავს გულისწორი და წავიდეთ და ერთად შევარჩიოთ საკაბეებიო. აზრის მოწონების დასტურად თავისი შეყვარებულისთვისაც მონდომებია საკაბის ყიდვა და ქარელელი ვაჟკაცები ხაშური თბილისის მატარებელში ჩასხდნენ და ერთ საათში ვაგზლის ტერიტორიაზე შეყვარებულების საკაბეები იყიდეს. სამწუხაროდ ლამაზი საკაბის ყიდვის დროს შეყვარებულ ქარელელებს გზის ფულის დამატებაც მოუწიათ და დარჩნენ ღვთის ანაბარა. მატარებელში იმ იმედით ავიდნენ, რომ ეგონათ ნაცნობებს ნახავდნენ, ფულს ისესხებდნენ და უხერხულობისა და სირცხვილის ალში ოფლით არ შემოეცვარებოდათ სპორტული აღნაგობის კუნთები. ამ კუთხით არ გაუმართლდათ. ნაცნობი არავინ შეხვდათ, ფულსაც აბა სად იშოვნიდნენ და გადაწყვიტეს, თავი ჩაეღუნათ და მუნჯობა მოეგონებინათ. ერთმანეთის მხრებზე თავები დადეს და მუნჯობასთან ერთად ღრმა ძილის ოსტატობაც მოირგეს. ჩამოიარა კონტროლიერმა, შეაღვინძეს ახოვანი ახალგაზრდები და მათმაც მუნჯურური ჟესტებით რაღაცა იხლაფორთეს და ამჯერად გადარჩნენ. მატარებელში მსხდომნი ბევრი ააცრემლა მათმა საქციელმა. რა ვაჟკაცებია, ამბობს ქალბატონების უმრავლესობა, ცოდვები არიან. მუნჯები ყოფილან აყვნენ მამაკაცებიც. იქნებ არც ესმით, ვაი მათ მშობლებს არა და რა ლამაზებია.

ამ მითქმა-მოთქმაში ქარელს მიუახლოვდნენ და ორი ვითომდა მუნჯი შეყვარებულების კაბებით ქარელში ჩამოხტნენ. სერგო ღონღაძემ მიუხედავად ნადიას მშობლების წინააღმდეგობისა, ნადია ცოლად შეირთო და ოჯახი შექმნეს. ქარელში ერთ-ერთი გამორჩეულები იყვნენ თავიანთი კეთილსინდისიერებით და სამი საუკეთესო შვილების აღზრდით. სერგო ღონღაძემ სიღარიბეც გამოცადა და შუა ხნის ასაკში უკვე ქარელში ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა. ბედისწერამ მოაკითხა და სერგოს ჯამრთელობას საფრთხე შეექმნა. შვილებმა თბილისის ერთ-ერთ სავადმყოფოში მოათავსეს. სერგომ სავადმყოფოშიც ყველას შეაყვარა თავი, დიდსულოვნებით და კულტურით. ის ძალიან საინტერესო პაციენტი იმითაც იყო, რომ მასთან ყოველ დღე შემოდიოდა ერთი მოხუცი. მთელი დღე ესაუბრებოდა. როცა სადილის დრო მოვიდოდა, სერგო შემოსწრებულ, თითქმის ყოველდღიურ სტუმარს, რაც ჰქონდა იმით უმასპინძლდებოდა. სტუმარ-მასპინძლობის დღეები კარგად ხანს გაგრძელდება. სერგო სტუმარს

ეკითხებოდა ვინაობას, ის კი პასუხობდა, გავა დრო და მიხვდები შენთან ვინ მოდიოდაო. ერთ დღესაც სერგოს სტუმარი არ გამოჩნდა. სერგო დადარდიანდა. ლოგინში წრიალი დაიწყო. ბალიში გაისწორა და ბალიშის ქვეშ წერილი და ფული ნახა. ფული საკმაოდ ბევრი იყო. წერილში იგივე სიტყვები მეორდებოდა. გავა დრო და ყველაფერს მიხვდები შენთან ვინ მოდიოდაო. აუცილებლად გაიგებ კეთილო კაცო, ჩემს ვინაობას. სერგო საავადმყოფოდან გამოეწერა. რამდენიმე წელს ჩვეული ენერგიით გააგრძელა თავის საყვარელ ცოლშვილთან ერთად ტკბილი ცხოვრება. რამდენიმე წლების შემდეგ, ისევ მოაკითხა ავადმყოფობის ბედისწერამ, მოაკითხა და ისე მოაკითხა, რომ თან გაიყოლა მარადისობის გზაზე. ეს ნამდვილი ამბავი მისი ქალიშვილისგან ამ დილით მოვისმინე, ქალბატონი ქეთინო ღონღაძისგან. გუშინ გარეჯში მომსახურე ბერმა მამა ნეოფიტემ თავისი დაწერილი ლექსი მიკარნახა და ჩემი ფეის-გვერდზე დავდე. ზეციური მინიშნებაა. ის უცხო სტუმარი, რომელიც სერგოსთან მიდიოდა, ვითომდა შიოდა, მისი მფარველი ანგელოზი იყო. სერგო ზეცაში წავიდა კაცურ-კაცობის სახელით. ახლა საათები მაშორებს ახალ წელს და ჩემი პოეტი ძამიკოს ბეჟან ხარაიშვილის, დაბადების დღეს ზეცის დასი იზემებს. დღევანდელი მონაყოლის შთაბეჭდილებით აღფრთოვანებულმა, ერთხელ კიდევ ვირწმუნე უფალი. სერგო ღონღაძესთან უფალი დადიოდა, ეს რეალობაა, ამ დილით მონაყოლი. დიდება შენ და უფალო, დიდება შენდა. ბედნიერი ახალი წელი გაუთენე მთელ მსოფლიოს.

მწერალთა სახლში

უნიჭიერესი ქალბატონის მაგდა გოშნიაშვილის საღამომ, მწერალთა სახლში წინა საახალწლო საზეიმო განწყობილებაზე დაგვაყენა. ექიმმა ქალბატონმა, ახლა უკვე ემიგრანტმა, გულის კუნჭულში ჩარჩენილი ტკივილი ამომიშალა და თვალიდან გადმოცურებული ცრემლი თვალშივე დამიმარხა. ცრემლის დამალვის მიზეზი ამ ფერია ქალბატონის ბედზე გამარჯვება იყო. ცრემლი იმიტომ მიტრიალებდა თვალის ირგვლივ, რომ ასეთი ნაზი ექიმი ემიგრანტი რატომ უნდა იყოს ბედის უკუღმართობას შეჭიდებული. მიხაროდა, რომ ექიმი ქალბატონი, ჩვენს წინ გამარჯვებული იდგა. ულამაზეს მაგდას ლამაზი წარსულის სხივები ეფერებოდა სახეზე. თვითონ წარმოაჩინა თავისი თავი, რადგან წარსულის ყვითელი ფურცლები ისე გაცრეცილი იყო, ხელის შეხებასაც ვერ აიტანდა. საოცრება იყო, ბავშობის პერიოდის წარმოჩინება. ავტორის ნიჭიერების

დამადასტურებელი ხელმოწერები, მუხრან მაჭავარიანის და სხვათა კორიფეებისგან. ბავშობის ასაკში მწერლად აღიარებული მაგდა ზეიმობდა. ქალბატონი მაგდა წინა დღით მცხეთაში დააჯილდოვეს პერსონა 2022 წლის გამარჯვებულ ქალბატონად, რომლის ორგანიზატორია ქალბატონი ეთერ მდინარაძე. მაგდამ მეორე დღეს მწერალთა სახლში გადმოინაცვლა, ულამაზესი თავისი ხელით შესრულებული ხელთნაკეთობებით და წიგნებით. იდგა ქართველი ქალი, გამარჯვებული და ამაყი. მასში ვხედავდით ბედის უკუღმართებაზე გამარჯვებას. პაწაწა ნაზი ხელებისგან შესრულებული უნიკალური ქმნილებების აჩრდილებში ჩამოსვენებულს კვლავ მაგდას ხმა გვაფხიზლებდა და გულს გვიმაგრებდა. დავბრუნდით სახლში წინა საახალწლოდ დადებითი ენერგიით დატვირთული. გილოცავ მაგდა გოშნიაშვილო გულის მკვლელ ბედზე გამარჯვებას. გამარჯვება ერთეულების ხვედრია და ეს შენ დამსახურებულად მოიპოვე. გ ი ლ ო ც ა ვ!

სამეგბის მადლი შეგეწიოთ

მზის ამოსვლას გავს გულიადა სანოძის გამოჩენა აკადემიაში. გულში ათინათებს დაატარებს და ხელოვნების მწვლებთან დატრიალობს. იგი, 50 წელზე მეტია, უამრავი როლების შესრულებით ევლინება მაყურებელს. მისი ხმის ტემბრი ძალიან გავს ზინაიდა კვერეჩხილაძეს. გულიადა სანოძე ძალიან დიდი ქალბატონია თავისი წარსულით. სახლში კი უბადლო დიასახლისია. ჰყავს უკეთილშობილესი მეუღლე ჯამლეტ უგულავა და ორი ვაჟიშვილი იაგო და ედვარდი. იაგო ხატმწერია, ედვარდი ცნობილი პოეტი. ტკბილ დედამთილს არ უძნელდება რძლებთან კომუნიკაბელურობა. მათი ოჯახი გამოირჩევა სტუმართ მასპინძლობით. ხონის რაიონის სოფელი გორდი განთქმულია განსაკუთრებული სუფთა ჰაერით. ხალხიც გამორჩეულია და თვით ბუნებაც თავისი სისპეტაკით. გულიადა სანიძე ბრწყინვალე დიასახლისი, დედა და უკეთილშობილესი მასპინძელია სტუმართათვის. ცალი ხელით ხელს რომ გართმევს, მეორე ხელში თავისი ხელით გამომცხვარ ხაჭაპურს გიჭრის და გთავაზობს. ვამაყობ, რომ ოჯახიდან სამი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრია.

რძალი ნათია დაშნიანი (პოეტი), შვილი ედვარდ უგულავა (პოეტი) თვითონ გულიადა დამსახურებული მსახიობი. სამების მადლი შეეწიოს შენს ტკბილ ოჯახს ქალბატონო გულიადა. მრავალ ახალ წელს დაესწარით ჩემო საამაყოებო და იმედებო.

უფალი გვიცავს

ჟურნალ ,,ათინათის" 46 ნომრის პრზენტაცია, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა. მადლობა ბიბლიოთეკის დირექტორს, ქალბატონ ქეთევან ნიკურაძეს და თითეულ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. კულტურის მუშაკები, არა სამუშაო დღეს დაიტვირთნენ და პატივი სცეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრებს. ზოგჯერ მიკვირს, როცა ამბობენ, ისეთი ჟურნალები დაიხურა, სახელწიფო, რომ აფინანსებდათო. მე ეს არ მიკვირს, რადგან უფალს მინდობილი თვით უფალი მპატრონობს. მადლობა მინდა საჯაროდ გადაუხადო პირადად ბატონ ირაკლი ნადარეიშვილს, რადგან ხუთი ცალი ანთოლოგია შეიძნა, რათა ფინანსურად გვერდში დადგომოდა აკადემიას. საერთოდ აკადემიაში, საორგანიზაციო და სამენეჯერო საკითხების გადაწყვეტილებებს ძლიერი გუნდი აკონტროლებს. თემურ გოგსაძე, ირაკლი ნადარეიშვული, თენგიზ ფანცულაია, ეთერ ჭელიძე, მანანა სამყურაშვილი, დავით ძნელაძე, ლამზირა შეყილაძე, ირმა კეკელიძე, თეა კანდელაკი, ნაირა უგულავა, თამარ კორძაია, ნინო უძილაური, გულიადა სანოძე. მადლობა, ყველა იმ ავტორს რომელშიც უფალია და იცის დიდი მოგზაურის ფასი. აკადემია მეუფე თადაოზ მირიან იორამაშვილის ლოცვა კურთხევითაა დაარსებული. ამჯერად არც ერთი ღონისძიება არ ტარდება მამა ამირან ამირანაშვილის ლოცვა კურთხევის გარეშე. სასწაული ის იყო, რომ მამა ამირანი ოცდაოთხში არ იყო და ღონისძიება დალოცა გარეჯის ბერმა მამა ნეოფიტემ. ვიმეორებ ჩემთან არს ღმერთი, არს და იქნება. 46

ნომრის პრეზენტაცია ჩაატარეს, ყველასათვის ცნობილმა ზღვარელებმა, სერგი ლომაძემ და კახა ბაციკაძემ. მათ სიძლიერესაც უფალი ხედავს და სართოდ პოეზია თვითონ არის ღმერთი . ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ, ცნობილი პოეტები, რომლისთვის სამადლობელი სიტყვები ეკუთვნის ედვარდ უგულავას. ღონისძეიება თუ ვისთვის საინტერესო იყო და ვისთვის არა ამაზე თვითონ ისაუბრებენ. ჩემთვის საინტერესო იმით იყო, რომ გაერთიანებულ საქართველოს ვხედავდი. მამა ნეოფიტე, რომ ნატრულობს, იმნაირ საქართველოს ვხედავდი. ძალიან ხშირად მარტოდ რომ არის გარეჯში მამაო და ლოცავს თითეულ გოჯ მიწას. ყველაზედ მნიშვნელოვანი იმითაც იყო რომ, უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლეების,, ალილოთი "დაწყებული ღონისძიება უფალო შემიწყალეთი დამთავრდა. მადლობა ქალბატონ ლიანა ალადაშვილს, მან ჩემი ლექსი მამა ნოეფიტეზე მიძღვნილი სიმღერად აქცია.... და ბოლოს ყველაფრსთვის მადლობა შენ უფალო.

მადლი უფლისა

სიტყვა სიტყვით ვიმეორებ მამა ამირან ამირანაშვილის სიტყვებს. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ასეთი ღონისძიება არ ჩატარებულაო. სამადლობელო სიტყვებს

დავიწყებ, მწერალთა კავშირიდან. თითქმის ყველა ესწრებოდა, მწერალთა კავშირიდან. ბატონი რეზო მიშველაძე მიუხედავად იმისა, რომ ათასგან იყო მიწვეული ბოლომდე დარჩა ღონისძიებაზე. ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა კი თავისი გულის სითბო ყველგან გადაანაწილა. მარტო ის რად ღირდა, რომ ხონიდან ჩამოსული ცნობილი პოეტები, ედვარდ უგულავა, ნაირა უგულავა, წამყვანი და დამსახურებული მსახიობი გულიადა სანოძე ბოლომდე კმაყოფილების სახის ელფერს ასხივებდნენ აუდიტორიაში. უდაბნოს საჯარო სკოლის ალილოთი. გახსნილი ღონისძიება, მათივე უფალო შემიწყალოთი დამთავრდა, აქ კი, მამა ნეოფიტეს მადლი ერია. მისი ლოცვა კუთხევით ჩამოსულმა მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, სკოლის დირექტორმა, წარუშლელი კვალი დატოვეს აკადემიის 12 თვის 12 ტომის ღონისძიების ლამაზ ისტორიაში. განსაკუთრებული და განსხვავებული ის იყო რომ, ბიბლიოთეკაში საკონფერენციო დარბაზში არასოდეს ჩატარებულა ცეკვის არანაირი სახეობა. ეს კი ნამდვილად უძლიერესი ქორეოგრაფებით მოხდა. გააკვირვო, ცნობილი მსახიობები საერო ცხოვრებაში მამა ამირანი და ქალბატონი გულიადა სანოძე რომლებსაც დიდი თეატრალური გამოცდილება აქვთ ცოტას არ ნიშნავს. ბატონ რეზო, ბატონ ივერი და გოჩა ჭელიძეზე აღარაფერს ვსაუბრობ რადგან, ამ დილით მამა ამირანის საუბარს აზრს და შეხედულებას კვლავ ვიმეორებ. ასეთი საღამო ამ დარბაზში არ ჩატარებულა. ამ კუთხით სამადლობელი სიტყვები ეკუთვნით. ქალაქ რუსთავის ცეკვის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მარაბდას“ ქორეოგრაფებს: – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ,, აფხაზეთის მოცეკვავეებს ბესიკ შუბუთიძეს და ლუხუმ გოგნელაშვულს. მოცეკვავე ბავშვები დარბაზის სიპატარავის ფონზე ისე დადგეს ცეკვები, საოცარად კლასკური ოსტატობით გაკვირვეს, ცნობილნი ხელოვანნი. მოცეკვავეთა სიას ვაქვეყვნებ მათივე შესრულებული ცეკვებით აღფრთოვანებული.

ვახტანგ სხირტლაძე, საბა კორახაშვილი, ნიკა ვერულიძე, ლუკა ტალახაძე, გიორგი ინასარიძე, ნუგო წაველიძე, დაკო ქავთარაძე, ნია მაღლაფერიძე, ქეთი ზედგენიძე, ანასტასია ბლიაძე, ნატუკა ჯამასოაშვილი.

დაგილოცოთ უფალმა გზა დიდი ხელოვნებისაკენ მომავალო თაობა. თქვენ ხართ საქართველოს მომავალი. მაპატიეთ, ღონისძიებაში მონაწილენო, ყველა მისაფერებელი ხართ ჩემგან. ამ ეტაპზე მივეფერები და გამოვყოფ გიორგი ქენქაძეს, რომელმაც ,, ალო საქართველოა "წაიკითხა ქალბატონი მანანა სამყურაშვილის ლექსი და ცნობილი პოეტის და იმ დღის ღონისძიების წამყვანის ეთერ ჭელიძის ლექსი. მადლობა ყველა პოეტს ვინც მოვიდა და თავისი ლექსებით მიწიდან ცამდე აუწყა უფალს საქართველოს არსებობა. საქართველოს ხელოვანთა ერთად დგომა. იმ დღეს, გარდაცვლი და არ დავიწყებულები სულები თავს დატრილებდნენ ღონისძიებას. იმ დღეს ჩემი გელა თავის შვილთან ერთად ვახტანგი სხირტლაძესთან ერთად ცეკვავდა. მე მას ვხედავდი ნუ დაიჯერებთ, მე ხომ ვხედავდი. მადლობა უფალო შენ ჩემს გულში ხარ და იქნები უკუნისი უკუნისამდე ამინ!

ორი წიგნის პრეზენტაცია

ცამეტ დეკემბერს ექვს საათზე დაწყებული სამეცნიერო შემეცნებითი ღონისძიება, რომელიც ჩატარდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში, მაღალ კვალიფიციურ დონეზე ჩატარდა. ღონისძიება მიყავდა ჯგუფ ზღვარის წევრს სერგი ლომაძეს. თორმეტი წელიწადი სერგი აკადემიაშია, ჩვენ ოჯახებით ვართ ძალიან ახლოს და მინდა გითხრათ რომ, სერგის მეცნიერული წვდომა დღემდე არ მცოდნია. პირველ რიგში მადლობა წიგნის ავტორს ქალბატონ ხათუნა ელიაშვილს და ქალბატონ ლიანა ალადაშვილს. ამ ორმა განსხვავებული ნიჭის ქალბატონებმა, ერთიანი სულიერი ჯაჭვი შექმნეს და კონებად შეკრული სიყვარულით მოიტანეს საჯაროდ განსახილველად მკითხველის წინაშე. სერგის თავისი შეხედულებები ადრეც ქონდა ხათუნას ნიჭზე. დღეს როცა წიგნი გამოვიდა და მიეცა საშუალება, რომ საჯაროდ განეხილა ეს თემა, რათა ერთხელ კიდევ ეღიარებინა, ამ ქალბატონის ზე ბუნებრივი ნიჭი. სერგისგან მოვისმინე მთელი კლასიკა დიდი მეცნიერული თემებიდან გამომდიბარე. დინჯად აუღელვებლად მიყავდა საღამო. ბატონ თემურის დაყენებულმა წინადადებამ, ორი საუკუნით წინ გადამიყვანა და აბსტრაქტლურ სივრცეებში მატარა. იყო ძალიან განსხვავებული აზრი. წიგნის რედაქტორ ბატონ დავით ყანდაშვილსა და სერგის შორის აზრთა სხვადასხვაობის ჭიდილმა ბევრ რამეზე დამაფიქრა. თუნდაც ის, რომ როცა მას ასე სჯერა, ის რაც სჯერა. აზრს არ შეიცვლის. ძალიან განსხვავებული ათ კაციანი ღონისძიება სამი საათი მიმდინარეობდა. ამოუწურავი თემა ღიად დატოვეს, რომლის შესახებ საუბარი აუცილებლად გაგრძელდება!

სანამ სხვა იტყოდეს

არ ვკითხულობ ვის მოეწონები და ვის არ მოეწონები. 11 თვე დაგტრილებდი თავს. ხან გვციოდა, ხან გვშიოდა, ხანაც კიდევ გვტკიოდა. თორმეტი სულიერი შვილი მყავხართ. თორმეტი საკუთარი და თორმეტი კიდევ სხვადასვა გონისანი არიან. შენ ჩემო ლამაზო, აღდომის კვერცხივით, რომ აგლაპლაპებია ლოყები, შენში სხვადსხვა გონია გაერთიანებული. მთლიანობაში ერთ მთლიან სიყვარულის ჯაჭვს ქმნით. მოდი პირდაპირ გეტყვი სათქმელს, შენ ჩემი გულის ნაწილი ხარ, შენ ჩემი ხარ. აქ გართიანებული ავტორები კი ჩემი ძარღვებია. აბა მათ გარეშე როგორ ვიცოცხლებ. ჰო, და ჩემო სიცოცხლის წყარო, იდინე სიყვარულის მდინარეებად.

სხვას ყური არ დაუგდო, შენ შენი მისია გაკისრია. შენმა დამფუძნებელმა ცხრა წელიწადი იარა



რუსთაველის დევიზით. ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია". ერთხელ ჯუმბერ ლეჟავა კაცი ჭამიების ქვეყანაში მოხვედრილა, უკვე იცოდა, რომ შეჭამდნენ. უფიქრია მაინც შემჭამენო და რაც დროზე მორჩრბიან ამ საქმეს, უკეთესია შიშით რაღატო ვიკანკალოვო და ლიდერს მიჯდომია გვერდში, ჩემი რიგი როდის მოვავო უთქვამს. კაციჭამიების შეფს უთქვამს, ნუ გეშინია ბებრის ხორცს არ ვჭამთო. ასე გადარჩენილა, ჩვენი ღმერთკაცი. ჰოდა, ვასრულებთ ფიცს, რომელიც დავდეთ მისი გარდაცვალების დროს. ჩვენ გულში მზეა, რომელიც ხალხს ათბობს. ჩვენს გულში სანთელი ანთია რომელიც ხალხს ლოცავს. მთლიანობაში ანთოლოგიის წიგნი ეკლესიაა, სადაც მრევლი დადის ღვთის რწმენით.

* * *

ხელოვნებაში და სპორტში ვახტანგ სხირტლაძე საქართველოს ასახელებს. ასახელებს და ამ მიღწევებში პირელ რიგში თვით უფალი დაეხმარება. თავისი მამის სული კი (გელასი) და პაპის ვახტანგი სხირტლაძის სული სიმშვიდით გააგრძელებენ მარადიულ მოგზაურობას უსასრულობაში. ღმერთო, გამიბედნიერე ჩემი გელას ცოლშვილი თავისი შვილიშვილებით.

ლიანა კაკუბავას მორთმეული თაიგულ

ორ დეკემბერს, გამოვიდა ემიგრამტი ქალბატონის(ირინა ტყეშაველი- ხურციძის რედაქ-ტორობით) სხვადასხვა პოეტებისგან შემდგარი პოეტური კრებული ,,შენით ვიწყენი". წიგნის ყდა მიანიშნებს, საქართველოს უკვდავებას. დიდი გადაშლილი მუხის ფესვებში ამოსული პატარა მუხები, სიცოცხლის გაგრძელებაა. ამ წიგნის პრეზენტაცია მწერალთა სახლში შედგა. ერთიან საქართველოს სიმბილოს გავდა ერთად შეკრებილი პოეტების შეკრება. როგორც დედა შვილებს, ისე წამოიშალენ უმრავლესობა ჩემს შესაგებებლად და მეც სიყვარულით ჩავიკარი გულში ერთნაირი სითბოთი განურჩევლად ყველა. გამოდიოდნენ პოეტები, კითხულობდნენ ლექსებს, იყო სულის ზეიმი. ღონისძიების მსვლელობისას გალიდან გადმოსულმა, ქალბატონმა ლიანა კაკუბავამ მეორეთ ითხოვა სიტყვა. ხელში ლამაზი თაიგული ეჭირა და ვეფხისტყაოსნის წიგნი,

მეგრულ ენაზე თარგმნილი. დარბაზის მთელი ყურადღება ამ ქალბატონისკენ იყო მიმართული. ისევ მოეფერა ქალბატონ ირინას, და ყველა იმ პროექტის შემდგენელ ხელოვანთა ჯგუფს, რომელებმაც მიიღეს წიგნის გამოცემაში მონაწილეობა. საუბრობდა პედაგოგი ქალბატონი ლამაზად და დახვეწილი ლიტერატურულ-პოეტური ენით და მსმენელთა ყურადღებას იპყრობდა. ყველას აინტერესებდა თაიგულის და წიგნის ადრესატი ვინ იქნებოდა იმიტომ, რომ იქ ყველა ყველა ხელოვანი იყო. ბოლოს ჩემსკენ გამოიხედა და აღნიშნა, რომ ამ ყურადღებისა და საჩუქრის მფლობელი მე ვიყავი. გმადლობთ, ქალბატონო ლიანა, გმადლობთ ქალბატონო ირინოლა. სწორედ ირინოლას რეკომენდაციით შემოვიდა, ლიანა კაკუბავა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში, რომელიც დაარსებულია, თოთხმეტჯერ

გინესელის, მსოფლიო მოქალაქის სიცოცხლეშივე, რაც დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს და დიდი პატივიცაა ჩემთვის პირადად, რომ მე ერთ ჩვეულებრივ ქალბატონს მანდო სახელი. ისე უკვე თითქოს აღარაფერი მიკვირს, რადგან წმინდა მამა გაბრიელის მადლით მოსილი, მიუხედავად დიდი განსაცდელებისა, ვცდილობ თბილი სიტყვებით გავუთბო ჩემი პოეზიით დაინტერესებულ მკითხველთ გული. თქვენ კი, ქალბატონო ირინოლა, მადლობა ასეთი ქალბატონს, რომ რეკომენდაცია გაუკეთეთ და აკადემიაში გააწევრიანეთ. 12 დეკემვერს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ტარდება აკადემიის მეთორმეტე ტომის ანთოლოგიის პრეზენტაცია სამ საათზე, თუ მოახერხებს, ქალბატონი ლიანა გალიდან გადმოსვლას, აკადემიაც განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენს ამ ქართველი ქალის ღირსებებით შემკული პედაგოგ-პოეტის, ლიანა კაკუბავას მიმართ.

გ პ ი რ დ ე ბ ი თ!

როცა ნიჭიერი ხარ, როცა შენი ერის სიყვარულით ათენ-აღამებ სადაც არ უნდა იყო მაინც მოახერხებ, სულ მწირი სითბო მოაწვდინო შენს საყვარელ სამშობლოს. ასეა ქალბატონი ირინა ტყეშაველი. - ხურციძე. ემიგრანტ პოეტ ქალბატონს ძალიან ბევრი შემოქმედი ყავს გახარებული. დღეს ორ დეკემბერს ერთი ლამაზი დღის ისტორია შეემატა მისი ღობისძიების ალბომს. დღეს მწერალთა კავშირში პოეზიის მზის სითბოს მიფიცხებულებმა, სიყვარულით გარუჯული სახეები გავიყოლეთ ხვალინდელი დღის საგზლად. წიგნი ჩემთვის იწყები, პატრიოტული თემებით შექმნილი, დარახტული ცხენებივით ჭიხვიბებდნენ. პოეტების შექმნილი ლექსები ბრძოლის ჟინს ანთებდნენ, ზოგჯერ კი წარსულის სისხლიან დღეებს იხსენებდნენ. ვამაყობ ასეთი ემიგრანტი პოეტით და ვამოყობ, რომ ქალბატონი ირინა ტყეშელაშვილი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრია.

ეს საჩუქარი თემურ გოგსაძისაა

ლექსი ჩემია. ნაქარგი ჩემი შვილიშვილის. როცა ეს დაქარგა მაშინ სკოლის მოსწავლე იყო. ჭიათურის მერიის თანამშრომელს, უნიჭიერეს ხელოვანს და შემოქმედს, მაია ტყემალაძეს, ასეთი პროექტი ქონდა. შოთა რუსთაველის პოემას ხალხის გულიდან აგუზგუზებული ხელი რომ მოხვედროდა, ქალაქიდან - ქალაქში დადიოდა, სოფლიდან-სოფელში. ხან აწვიმდა და ხან კიდევ თეთრი ქათქათა თითები ბევრჯერაც გაყინვია თოვლსა და ქარბუქში. ასე შექმნა ვეფხისტყაოსანი ხელნაწერის სახით. შექმნა ისე რომ, კარგი კალიგრაფია კიდეც რომ ქონოდა ნებისმიერ პიროვნებას, მხოლოდ ერთი სტროფი უნდა დაეწერა. ბოლოს იმდენი გამოჩნდა მსურველი სათითაოდ წერტილები დასვეს. ოღონდ იმ წიგნში მათი გვარი და სახელი ჩაწერილიყო. ხელნაწერი აუცილებლად მელანი და კალმით უნდა ყოფილიყო შერულებული.

მაიკო სიყვარულს ქადაგებით ქმნიდა უნიკალურ წიგნს, მისი ლამაზი ბაგიდან მხოლოდ სიყვარულის სიტყვები იფრქვეოდა ამ პროექტის მუშაობის პერიოდში. როცა ამ დიდ ფორუმს მორჩა. ვისაც მოეწონებოდა სხვისი კალიგრაფია, მას უნდა ეჩუქებინა მისთვის ნებისმიერი ნივთი სამახსოვროდ. მე მომეწონა თემურ გოგსაძის ხელნაწერი. ასოები განსხვავებულად იყო გამოყვანილი. უფრო სწორად თითო ასო იყო დახატული. მაიკოს ვთხოვე ჩემთვის მოფიქრების საშუალება მოეცა. რათქმა უნდა დამთახმდა. ეს ლექსის სტროფი დავწერე და შვილიშვილმა დაქარგა. ამჟამად პედაგოგმა ნანა სხირტლაძემ. ასე დაგვაკავშირა დედაშვილური სიყვარულით შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანმა, მე და თემურ გოგსაძე. დღეს თემური ჩემი სულიერი შვილია. აკადემიის დიდი და დამცველი ფიგურაა. ახლა ვინ არის მაია ტყემალაძე. გეტყვით. თუმცა დაუჯერებელი იქნება ნებისმიერი თქვენთაგანისთვის. როდესაც ჩემი გელა გარდამეცვალა. ყოველდღე მირეკავდა მთელი წლის განმავლობაში და მიხსნიდა ზეცის კანონებს. მთელი წლის განმავლობაში დღეში ხშირად ორჯერ რეკავდა უნიჭიერესი ხელოვანი. ხელოვანი რომელიც, მერიის თანამშრომელია და კალმის გარდა მისი ხელიდან უნიკალური ძვირადღირებული შედევრები იქმნება. რასაც ვწერ ეს დაუჯერებელია, მაგრამ რეალურია. აი, რამდენი რამე მაკავშირებს ჩემს ჭიათურლებთან.

პარლამენტის ბიბლიოთეკაში

ბატონი დავით ახლოურის წიგნების პრეზენტაცია, გაიმართა 2023 წლის 8 თებერვალს დავითობას პარლამენტის ბიბლიოთეკაში. წიგნის პრეზენტაციამ გააერთიანა წარსული და დღევანდელობა. აწყმოსთვის კი სამომავლო ენთუზიაზმით აანთო მომავალი თაობა. პროფესიით ისტორიკოსი, პროფესორი, ჩოხოსანი, პოეტი, ბატონი დავითი უაღრესად ნიჭიერი და პატრიოტული პიროვნებაა. ვამაყობ რომ, ის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრია. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა რაიონის მოცეკვავეები კერძოდ ანსამბლი ,,ქვიშხეთი" და მომღერლები. ლომისის ანსამბლი და სხვა კლასიკოსი კომპოზიტორები. აღსანიშნავია ის რომ, სადაც ეროვნული ღინისძიებაა, არ შეიძლება იქ, არ იყოს, არ შეგხვდეს, სოქართველოს ღირსეული და ყველასათვის საყვარელი ქალბატონი მაკა დიდებულიძე. ღონისძიების მრავალფეროვნებას, სწორედ მისი ხელი ეტყობოდა. ბავშვები, რომლებიც ცეკვავდნენ და მღეროდნენ, მისი გემოვნებით იყო შერჩეული. ერთი ყველაზე თვალში მოსახვედრი ის იყო რომ, ღონისძიებას ერთსულოვნების კვალი გასდევდა რაც უდაოდ მისასალმებელია დღევანდელ დაფანტულ საქართველოსთვის!

საჩუქარი ხაშურიდან

წლებს შერჩება ლამაზი სულიერი ფერებით გალამაზებული 2023 წლის 28 იანვარი. ამ დღეს ქართული სული გაერთიანდა და ცას ცისარტყელის ფერებად გადაეკრა. 28 იანვარს ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიამ პატრიარქის 90 წლისადმი მიძღვნილი საღამო ჩაატარა. დიდი და ლამაზი პროგრამით წარსდგნენ პარლამენტის ბიბლიოთეკაში ამავე

აკადემიის წევრები, ქალბატონი მაკა დიდებულიძის ხელმძღვანელობით ხაშურის ხელოვანთა ვუნდი. საჩუქარი კი რომელიც ჩემთვის შეუფასებელია ესეც ქალბატონი მაკასგან მივიღე. თუმცა რა დამავიწყებს, ხაშურიდან მარიამ ობოლაძისგან შესრულებულ ავემარიას, გორიდან ანა მანევლიშვილის ავემარიას. ხაშურის ანსამბლ ,,ოქროს ფარის" ცეკვების ოსტატობას. ... და მაინც საჩუქარი ქალბატონი მაკასგან მიღებული შეუფასებელი და ეროვნულია. ეს არის ყაბალახი საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხისანთა საზოგადოებისა, რომლის თავჯდომარეა, ბატონი ზვიად სეხნიაშვილი. ზვიადი ყველა დედისათვის სანატრელი შვილია. მან მე რუსთავში ჩემს შემოქმედებით საღამოზე თავისი ყურადღებით სიცოცხლე გამიხანგძლივა, როდესაც ჩემს მაკა დიდებულიძესთან ერთად წითელი ვარდების მორთმევით გამოიჩინა ჩემს მიმართ ყურადღება. ჩემმა შვილივით საყვარელმა მაკამ კი ოცდარვაში ჩოხოსანთა საზოგადოების ყაბალახი საჩუქრად გადმომცა. ამ დიდებულ ეროვნულ საქმეს ხაშურში ემსახურებიან ქალბატონები:-- სოფო გრიგალაშვილი , დოდო სიხარულიძე, ირინა გოგოლაძე, და ელენე კასრაძე, პოეტ ნუცა ჩიტაძის დედა. ნუცა ჩვენი აკადემიის ნორჩი ათინათელია.

ეს მწირი სიტყვიერი ყურადღება ჩემგან ხაშურლებო დანარჩენი უფლისთვის მომინდვია ყველაფერი.

ჩემი მაზლის ცოლი

ჩემო საყვარელო იზო, გილოცავ დაბადების დღეს. ჩვენ ერთად გავზარდეთ შვილები. ჩვენ ლუკმას და გულს ვუზიარებდით ერთმანეთს. შენ მარადისობის გზაზე დამდგარს, გზადაგზა შემოგეგებებიან , შენი და ჩემი ქმარშვილი. შენი საყვარელი ძმიშვილი ალუდა, თუ არ ვცდები თოთხმეტი წლის იქნებოდა, აგარაში მანქანამ, რომ გაიტანა. ჩემი ტკივილი შენი ტკივილი იყო და შენი ტკივილი ჩემი ტკივილი. იშვიათია ისეთ ძმობა რაც ჩვენ მეუღლეებს ჰქონდათ ერთმანეთთან. ჩვენი გვედიგვერდ აშენებული სახლები დუმან. მე რომ თბილისში მუშაობა დავიწყე, არსებული მდგომარეობისა და ომის გამო. ვერ ეგუებოდი უჩემობას. საყვარელო რა მექნა, როცა ყველაფერი განადგურდა, და სამუშაო ობიექტები ნაცარტუტად იქცა ჩემი უფლისგან მომადლებული ენერგია პატიოსნად უნდა გამეხარჯა. ომის ქარცეცხლში, ხომ ერთად ვუძლებდით ტყვიების ზუზუნსა და კივილს ხალხისას. როცა საზღვრები გადაკეტეს და სოფელში პოლიცია ჩადგა მოსახლეობის სანუგეშოდ. ყველა პოლიციელმა დედასავით შეგიყვარა. შენი გარდაცვალება გულზე მიიტანეს და ცრემლებიც გაგაყოლეს. დუმს ახლა პატარძალივით მორთული სახლები . გილოცავ იზო დაბადების დღეს სულის უკვდავებას და სულის სიშვიდე მოგცეს უფალმა. მომიკითხე ჩემები და შენები. ერთ დიდ გაერთანებულ სუფრაზე, საქართველოს სადღიგრძელო შესვით. შენ ხომ პატრიოტული იყავი, საქართველო გიყვარდა. წიგნები გიყვარდა. იშვიათია ალბათ მაზლის ცოლს, ისე გახარებოდა მაზლის ცოლის წარმატება, როგორც შენ გიხაროდა. ყველა ნომერი ჟურნალი მომქონდა, ლექსებს გიძღვნიდი, სიცოცხლეშივე გეფერებოდი. ახლა კი ცას მინდა მოგვწვდეს ჩემი სიტყვები და მიმოიფანტოს ზეცის სივრცეში მოლოცვის ლექსის სტროფები.

დროის ქარცეცხლი ისე გავლიეთ,
ერთხალაც არსად დაგვისვენია...
შესანდობარი ახლაც დავლიე
და მოგეფერეთ ყველა ჩემიანს.

შენ კი გილოცავ დღეს სევდიანად,
ცრემლები მახრჩობს ჩუმად ვქვითინებ,
იყავი დაო იმედიანად,
არ შეცივდებათ ნაშენ ქვითკირებს.

შვილიშვილები დარგავან ნერგებს,
მათი ტიკტიკით მოგწვდება ხმები,
მე ჩემი წელები თუ კიდევ ვბეგვე,
ბოლოს მეც მოვალ პოეტის ფრთებით!

ჩემი მაკუშა

ქალბატონ მაკა დიდებულეძეს, რომელსაც დიდი ეროვნული სახელი აქვს უკვე დამკვიდრებული საქართველოში. იგი არის ჩოხასანი, ხაშურის საკრებულოს თანამშრომელი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრი. ის ჩემი საყვარელი შვილია და ჩემი მაკუშაა. მინდა სულ წარმატებულს ვუყურებდე და ვტკბებოდე მისი დიდსულოვნებით. სწორედ მისი დამსახურებაა, იმ დიდი ფორუმის ჩატარება, რომელიც მიუძღვენით პატრიარქის დაბადების ოთხმოცდაათი წლის იუბილეს.

როგორ მინდა მოვეფერო

ქალბატონი ეთერ ჭელიძე, სპეციალურად მყავდა დაბარებული თბილისში. უკანასკნელ გზაზე უნდა გაგვეცილებინა ბატონი როლანდი გვარამაძე. ეთერი დათქმულ დროზე მოვიდა და ჩვენ ორივემ ერთად, ავუნთეთ სანთელი ცისკენ აფრენილ როლანდ გვარამაძის სულს. უფალს ვთხოვეთ, ნებით თუ უნებლიედ დაშვეულებული ცოდვები ეპატიებინა და სიმშვიდით გაეგრძელებინა მარადიული გზა. გამოვემშვიდობეთ ჭირისუფლებს და საწრაფოდ წამოვედით აკადემიაში. თუმცა ძალიან უხერხულობაში აღმოვჩნდით, რადგან, გვთხოვდნენ ბოლომდე დარჩენას. გარკვეული მიზეზის გამო არაფრით არ შეიძლებოდა აკადემიაში არ წამოვსულიყავით. სამამდე აკადემიის ოთახი გავაღეთ და მაია ჯაყელმაც კარები შემოაღო.

მოწესრიგებული ხელჩანთა გვერდზე დადო და საუბარი დაიწყო. ვუსმენდით მე და ეთერი და თვალებში ცრემლებმა ტრიალ-წრიალი დაიწყეს. მაია არ ფიცავს რაც ჭირს და უკვე გამოცდილი ექიმივით ყვება იმას, რაც გადაიტანა. ვუსმენდით და ვდუმდით. ეთერი ფეხზე ადგა და ცრემლები, რომ არ დაენახა აკადემიაში შემოსულ სტუმარ პოეტს გვერდზე დადგა. დუმილი პირველად მე დავარღვიე და კითხვით მივმართე.- მაიკო აქ რატომ მოხვედი? ცრემლამღვრეული ლამაზი თვალები შემომანათა და თხრობა დაიწყო. რაც სიცოცხლე დამრჩენია თქვნთან მინდა ვიყო. სითბო მინდა, ხალხი გაცივდა. მეუღლე არ მყავს, შვილი არ მყავს . ღამე არ მძინავს. მე წავალ და ჩემგან არაფერი დარჩება. ახლა მინდა წიგნი გამოუშვა, ერთი წიგნი მაინც დარჩეს ჩემ ძმას და ძმიშვილებს, ერთი დედმამიშვილი კი ცაში ნაადრევად გამიფრინდა. გულში რაღაცა ჩამწყდა ფიქრის უსასრულობაში დავიკარგე. საბუთები გადმომაწოდე მივმართე. თვალი გადავავლე და ეთერის გავუწოდე, რომელმაც საგანგებოდ, გამოცდილი თვალით გადაათვალიერა. მივიღოთ თქვა და საბუთები გადმომაწადა. დღეს მაია ჯაყელისთვის მნიშვნელოვანი დღე იყო. როგორც თითონ თქვა, რაღაცა მადლი იგრძნო და გული იმედის ნაპერკალმა გაუნათა.

ესაა ჩემი სამყარო

ვუყურებ და ვტკბები ბუნების საოცრებით. აქ სიმშვიდე და სიყვარულია. გულში ცისა და დედამიწის სიყვარული მაქვს გაერთიანებული. მთვარე წყალშია ჩასული. ულამაზესი პლანეტის ირგვლივ თევზებს გასუსულები სძინავთ. ჩემი გული თავდაპირველად ტყის შროშანი ყვავილივით ნაზი და სათუთი იყო. ცხოვრების ორომტრიალმა გულის ნაპირები ჩამომიტეხა. გული დამემსხვრა, დამინაწილდა, მაგრამ არ გაბორიტდა. ვიბრძოლე და ქვებად ნამსხვრევი გული ერთ დიდ გულად გადავაქციე და ბუნებისა და ხალხის სიყვარული ერთად ჩავტვირთე. არ დაიჯეროთ, რომ ვინმე მეჯევრებოდეთ. თუმცა მწყინს, მტკივა და მიყვარხართ.

პარლამენტის ბიბლიოთეკაში

დღეს 28 იანვარს, ერთი მნიშვნელოვანი ისტორიის ფურცელი გადაიშალა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში. პატრიარქის 90 წლისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. დიდი მადლობა ლომისის ანსამბლს, ხელმძღვანელი ბატონი შალვა ილურიძე. დიდი მადლობა, ხაშურის მერს ბატონ თენგიზ ჩიტიშვილს და მერიის თანამშრომელს და აკადემიის წევრს ქალბატონ მაკა დიდებულიძეს. მადლობა რაიონში არსებულ სახალხო ანსამბლ ,,ოქროს ფარის ხელმძღვანელებს, დირექტორი, ქალბატონო ნელი იაშვილი, სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი ქორეოგრაფი, პაატა თედიაშვილი, ქორეოგრაფი, ნონა თედიაშვილი. ყველა მოცეკვავე იყო დახვეწილი და მაღლ კლასიკურ დონეზე მომზადებული.მარიამ ობოლაძის შესრულებულმა ავემარიამ, მაყურებელი სმენად აქცია. ანა მანეველიშვილმა გორის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლემ ჩოხოსონამა ჰადესში მამოგზაურა. პირველ საათზე დაწყებული ღინისძიესბა ხუთ საათზე დამთავრდა. ყველზე ლამაზები მაინც უწმინდესის ნათლულები იყვნენ. რისთვისაც დიდი მადლობა ბატონ ერეკლე საღლიანს, რომელმაც დამაკავშირა ამ ანგელოზების ხელმძღვანელთან. ბოდიში მწირი ინფორმაციის მოწოდებისათვის უწმინდესის ღონისძიებით დაინტერესებული მკითხველო.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ,ანთოლოგიოს მეთორმეტე ტომის შეფასების პუბლიცისტური და ფოტო ისტორიის კოლაჟი.

მეუფე თადეოზ იორამ იორამაშვილის ოჯახი.

წლებია მეუფე თადეოზ იორამ იორამაშვილი, სიონის ეკლესიაში განისვენებს. მისი საფლავის გვერდზე ანკარა წყალი მის წარსულზე საუბრობს. თუმცა მეუფეს გარდაცვლილად არავინ არ თვლის ის იმდენად გვიყვარდა და იმდენად გვიყვარს დღესაც ხშირად ვიგონებთ და მის საფლავზეც დავდივართ. წელს მარტომ მომიწია მისვლა. ეზოს მონაკვეთი ჩქარი ნაბიჯებით გადავკვეთე და სასაფლაოსკენ გავეშურე. ვხედავ სკამზე ჩამომჯდარ მამა ამირან ამირანაშვილს და მის ვაჟს თავისი პატარა შვილებით. საფლვაზე ერთად მივედით სანთლები ავანთეთ და მოსაფერებელი სიტყვები არ დავიშურეთ კეთილი მეუფე პოეტისათვის. დღეს კი მე და ეთერ ჭელიძე სახლში ვესტუმრეთ კეთილ ოჯახს. კარებში მისი კეთილი ვაჟი შემოგვებება. კარები გააღო და თვალებციმციმა გოგონამ და ოჯახის წევრებმა სიყვარულის სურნელი გულს მოგვაფრქვიეს. არ შემიძლია სამადლობელი სიტყვები არ დავწერო ჯგუფ ზღვარის წევრზე სერგი ლომაძეზე, რომელმაც მეუფის ლექსებზე სამეცნიერო წერილი დაწერა და ანთოლოგიის მეთორმეტე ტომში დავბეჭდე. მადლობა სერგი

ამ დიდსულოვნებისათვის. რაც მეუფე გარდაიცვალა მას ყველა ნომერში ვბეჭდავ და წლის ბოლოს მივდივარ ოჯახში და მიმაქვს, ოთხივე ნომერი ათინათი და ანთოლოგია. დღეს ქალბატონი ეთერიც გამომყვა. აქამდე ამ მისიას მარტოდ ვასრულებდი. ოჯახში სურათებიც გადავიღეთ და ვგრძნობდი რომ მეუფის სული მაღლიდან დაგვყურებდა, უხაროდა და გვლოცავდა.

სიხარულის ცრემლები

,,პატარა ქოხი ვინატრე". მალვინა ჭელიძის წიგნის განხილვა აკადემიაში ჩატარდა. საღამო დალოცა ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა, საერო ცხოვრებაში მსახიობმა, ოპერის მომღერალმა, ლექტორმა მამა ამირან ამირანაშვილმა. მამა ამირანი, წლებია ღვთის წმინდა გზებით აგრძელებს სასულიერო მოღვაწეობას. მისი ლოცვა კურთხებით ჩატარებული საღამო მადლით იყო ავსებული. წიგნის სათაურით შეგიყვარდება და პატივის ცემის გრძნობით აივსები ავტორის მიმართ მკითხველო. ეს მოცულობით პატარა წიგნი ბევრი ლამაზი მეტაფორებით უმასპინძლებს მკითხველს. იის კონებივით შეკრულ ნაზ-ფაქიზ ლექსის სტროფეში, მკაფიოდ სჩანს ავტორის სულის სისპეტაკე. ლექსები პატრიოტული თემატიკითაა ფრთებშესხმული. ნოსტალგია და სიძლიერის ფიქრი ხანდახან ერთმანეთს არ ურიგდებიან და ,,მგლის" პერსონაჟი იქმნება ლექსად. როგორ უნდა აამო და დაწერო ისეთ ემიგრანტ ქალბატონზე, რომელიც, რომელ ოჯახშიც მსახურობს ძაღლს ისე შეიყვარებს, რომ ძაღლი როცა გარდაიცვლება, ფერფლს დაწვამს, ფერფლს კოლოფში ჩადებს და შეინახავს მისთვის განკუთვნულ სალოცავ ადგილზე და სანთელს რომ აუნთებს. მალვინა ჭელიძის სახით საქართველოს ყავს ისეთი ემიგრანტი საქართველოს კეთილდღეებისათვის თავის სიცოცხლეს, რომ გაწირავს. წიგნის რედაქტორია პოეტი შორენა მამალაშვილი. მხატვარ-დიზაინერი ბაჩო ჭელიძე. რედაქტორისა და მხატვარ-დიზაინერის მინიშნების აღიარებით ვთქვი ყველაფერი. ქალბატონი შორენა მამალაშვილი არ შესაქებს არ შეაქებს. რადგან მალვინა ჭელიძის ლექსებს ასე ღრმად ჩაწვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლექსებს ცისა და მიწის სურნელი ასდის. ხოლო ბაჩო ჭელიძე, თავის გვარს არ დააფიქსირებდა, რომ არ დაენახა ლექსებში მხატვრული სახეები. საყვარელო მკითხველო, რადგან წიგნი ხელში არ მაქვს, ნაწერიც ზედაპირული გამომდის. წიგნის ყდაზე გამოტანილი ლექსიც ამბობს სათქმელს. ავტორი პატარა ქოხს ნატრულებს. ამ ქოხში უნდა რომ მაპინძლობდეს თავის დედმამიშვილებს, ნიჭიერებს და თბილებს. წიგნის გამოცემა მისმა დემამიშვილებამა მალვინას დაბადების დღეს დაამთხვიეს. აი, რა არის დედმამიშვილური სიყვარული. გილოცავ ორივე მნიშვნელოვან ღვთის საჩუქარს ძვირფასო მალვინ და დაგლოცავ.

დაგლოცავ ისე როგორც დედა
დალოცავს შვილებს
გულთან ახლოს ხარ იცი
შვილო, აქ მესმის სუნთქვა,
შენს მონატრებულ ცრემლის
წვეთებს გულმკერდზე ვივლებ,
შენი სულია, უშგულივით
წმინდა და სუფთა.

ისევ ფიქრებით უნდა
მოგწვდე და მოგილოცო,
დაბადების დღე...
პოეტესა, თან გულკეთილო,
დღე არ არსებობს არ მახსოვდე,
რომ არ დაგლოცო,
მალვინ მიყვარხარ ...
შენც გიყვარვარ როგორც დედილო!

ესეც ღვთის ნება იყო რომ ეს ჩემი ლექსი სულ რაღაც ხუთ წუთში სიმღერად აქცია ქალბატონმა ლია ალადაშვილმა!

ექვსი შვილის დედა

სურათის იდუმალებაში მიმალული სულიერი სილამაზე. ეს იმას ჰგავს, როდესაც ხილით დახუნძლულ ვაშლის ხეივანში ერთი განსაკუთრებული ლამაზი ვაშლის ნაყოფი ტოტებში დაიმალება. ქალბატონი ლალი სოხაძე რუსთაველია, ის ექვსი შვილის დედაა. ცხოვრობს ასპინძაში. პედაგოგი ქალბატონი სკოლის დირექტორია, ბებიაა, პოეტია.სურათი უხარისხოა, მაგრამ სამაგიეროდ ისტორიული კადრია და უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი. ვეძებ ასეთ დედებს. მიყვარს ასეთი ქალბატონები. ქალბატონი ლალის თვალებში მეუღლისა და შვილების სიყვარული იკითხება. ახლა ერთ წარსულის ეპიზოდს გავიხსენებ. მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა ცნობილი მეცნიერი ბატონი კოტე ესებუა. მისი მეუღლე ქალბატონი ციური ხუჭუა პედაგოგია. ქალბატონმა ციურიმ ჩემი პოეზიის საღამო გააკეთა და სკოლაში მიმიწვია. თავიდან უარს ვამბობდი, რადგან მე საბავშო პოეტი არ ვარ და პირველი კლასი როგორ ჩაწვდებოდნენ ჩემს პოეზიასთქო ვამბობდი . ბოლოს

მეგობრების თხოვნით წავედი. ვნახე საოცრება, ქალბატონი ციურის მოსწავლეებმა, პოეზიის კლასიკა თვალწინ გამიდალგეს პაწაწინა ხელების ჟესტით და მოქარგული სიტყვებით. ამ ღონისძიების შემდეგ ციური მასწავლებლის ბავშვები სისტემატურად დადიოდნენ ჩემთან. პატარები დამყავდა ცნობილ პიროვნებებთან. ვაჩვევდი ჟურნალისტის უნარჩვევებს. მათგან აღებულ ინტერვიუებს ვბეჭდავდი ჟურნალ ათინათში, რუბრიკა ასეთი იყო.,, პატარების თვალით დანახული ცნობილი ადამიანების სახეები". ბოლოს იმდენჯერ მოუწიათ ღონისძიებებზე მოსვლა, ციური მასწავლებელისთვის მის მეუღლეს, ბატონ კოტეს უთქვია. მე უნდა წამოვიდე დავესწრო, რა ნახე ამ აკადემიაშიო. ამდენ ღონისძიებას რას ატარებთ უნდა გავიგოვო. ისე დაესწარო ბატონი კოტე ღონისიებაზე, მე არ ვიცოდი ვინ მესწრებოდა მეცნიერებათა აკადემიიდან კრიტიკის თვალით. დამთავრდა ღონისძიება და ბატონი კოტე მოდის ჩემთან. მოკრძალებით დამემშვიდობა. იმის შემდეგ ეს ოჯახი ჩემი ოჯახი გახდა. ქალბატონ ციურისთვის უთქვამს, ამ ქალბატონმა რაც არ უნდა გითხრას უარი არაფერზე უთხრაო. ახლა კოტე ესებუა ზეცაშია, ღმერთმა გაანათლოს მისი სული. 12 იანვარს აკადემიაში ჩემს წინ იდგა, ექვსი შვილის დედა პოეტი ლალი სოხაძე. გულით მინდა მის სკოლასთან ურთიერთობა, მაგრამ სიშორე შემიშლის ალბათ ხელს. მე მჯერა ასეთი ქალბატონის, ისე როგორც მჯერა ციური მასწავლებლის. ქალბატონი ლალის აღზრდილი მოსწავლეები ღირსეულ სიტყვას იტყვიან. თვითონ ლალის შემოსვლა კი აკადემიაში ფეხბედნიერი იყოს. ამას ტრაბახად ნურავინ ჩამითვლის, ჩემში ქართული წმინდა სული, რომ არ იყოს, დიდი მოგზაური, მსოფლიო მოქალაქე, თერთმეტჯერ გინესის წიგში შესული პიროვნება, მე არ მანდობდა სახელს. აკადემია ბატონი ჯუმბერის ხელშია დაარსებული. დიდება მის სულს. უფლისგან დალოცვილი იყოს, ყველა ვინც აკადემიის წევრი გახდება . ქალბატონო ლალი, შენ კი ექვსი შვილი თეთრი თმებით დაგიბეროს უფალმა. გამრავლდით და უფალმა შენნარი დედები საქართველოში მოგვიმრავლოს!

ძმაო ბეჟან



დღეს შენი გარდაცვალების დღეა ძმაო ბეჟან. 30 წლის წახვედი. 39 წლის წინ და დატოვე 28 წლის მეუღლე (ნელი კირკიტაძე) , ხუთი წლის ვაჟი, ლაშა ხარაიშვილი და დაუწერელი ლექსები. 1 იანვარს შენ დაბადების დღეს, გარდაცვალებით შეხვდი. შენი წიგნი რომელიც, შენი მეგობრის ლევან ბაბუხადიას რედაქტორობით გამოვიდა და რომელიც, გვარში სიკეთით გამორჩეულმა ბესიკ ხარაიშვილმა უფასოდ გამოსცა, თან დიდი ტირაჟით, საჩუქრად ვურიგებთ შენი ლექსების თაყვანისმემლებს.

========

საოცრება ის არის რომ,, ძალიან პატარა სკოლის ასაკში ამბობ ერთ სტროფში საქართველოს ტმივილის სათქმელს. აქ უსათუოდ ილიას მკვლელობას გულისხმობ.

======

,, ყაყაჩოს წითელ და თხელ ფარფლებზე,
შავად ნაფერი შავი წერტილი,
არ არის რა, თუ არა ტყვიით
ქართველ კაცის სისხლში მისი სიცოცხლის მრავალწერტილი!

=======

პოეტებს ყოველთვის ხორცი ამძიმებთო, ამბობდი ძმაო. ასე როგორ დაგიმძიმდა ხორცი 30 წლის ასაკში. არა კი არ დაგიმძიმდა, ძამიკო დაგიმძიმეს. გაგწირეს, მოგიშორეს.

===
პოეტებს ყოველთვის ხორცი ამძიმებთ და
პოეტებს ყოველთვის
მაისი სწყურიათ,
ზამთარს იხანძრებენ
ლექსის საზვინესთან
და თანაც ათასი თვალი და ყური აქვთ.
=======
პოეტებს ყოველთვის
უბედო ბედი აქვთ და
მტერია? -. მტრობენ და არასდროს
მორცხვობენ...
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები
ყველაზე
დიდი ხნით
ცოცხლობენ!
ამ ლექსით კი, გაეცი მირზა გელოვანის
გარდაცვალებას პასუხი.
====
მტრედებმა ჩამიქროლეს
თოვლის გუნდებივით,
ბალახები ჟანგისფერ სევდით ხუნდებიან...
--მირზა წავიდაო, -
პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და
პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.

ტყვიებს უკორტნიათ ყორანივით,
კბილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე - მძიმე ბოლი
ამოსვლია
დაუწერელი ლექსების ბოლი...

წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი,
მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა,
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები
ყველაზე
დიდი ხნით
ცოცოხლობენ!

========
რატომ გტკიოდა ასე ახალგაზრდას ძმაო გული,
რატომ წინასწარმეტყველებდა შენი გული
ბედისწერისგან გამოწურულ ტკივილს???

ეს რა გამაგონეს,
-- არ დაბრუნდებაო, --
თქვეს და ტყუვდებიან.

=====
გულთან არ დამადო ხელი,
მტკივა,
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
ნეტავ რა ხელმა აიღოს უნდა,
რომ ვერ დაძალავს --
ისეთი გუნდა?!

ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო,
და შენს ფანჯარას
გარშემო უვლის,
ყველაზე
დიდი სასაფლაო
გული!

=====
გახსოვს? - ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან
ხელადები ვავსეთ,
გეჩქრება? - გკითხავდი და დუმდი...
-სიყვარული იწყებოდა ასე.

სიზმრად გნახე ღია
სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
-სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში
ციმციმებდა მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა?
არა, ღამის თევა...
_ სიყვარული იწყებოდა ასე!

ტოტებ-ტოტებ
მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან
ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება?
- გკითხავდი და დუმდი...
- სიყვარული იწყებოდა ასე!
========

მტკივა ძმაო, ოცდაშვიდი დეკემბერი. ჩქარე დარეკავს ახალი წლის ზარი და შეხვდები შენი დაბადების დღეს პირველ იანვარს. ყველა ძმა მად გყავს. მშობლები , სიძები, დიშვილი გელა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ყველაზე მთავარი. დ ა თ ა.

დასერილი მაქვს გული ძმაო, ბედისწერის სამართებელით. ხშირად მარილსაც მაყრიან. ნუთუ შენი დაიკო ასე ძლიერია? თუ თქვენ მფარველობთ ძამიკო ზეციდნ?

ჩემო პატარა პურის თავთავო, დაგაპურე და გამიქრი

დედის პურის თავთავო. თერთმეტი წლის წინ ერთად ვიყავით დედაშვილი. ვსაუბრობდით ... რა არ მოვიგინეთ. საღამოს ცხრა საათიდან შევყევით წარსულის, შენი სიცელქის ოინებს. ღამის ოთხ საათამდე ვისაუბრეთ. გიყვარდა დედასთან საუბარი, გულის გადაშლა. არაფერს მიმალავდი, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით შვილო. გელა უშენოდ დედაშენი მარტოდ მოხეტიალე მგზავრს გავს. გავრბივარ... მინდა გავექცე დარდს უსაშველოს და უსამანოს. მეწევა, მაფერხებს... და მაინც ბრძოლა მირჩევნია. დედი ჩემო ვაჟკაცო და კეთილო შვილო, შენი სურათები დავდე. შენ ხომ თბილისში სწავლობდი, ეგებ შენმა ამხანაგებმა ნახონ მათი გამოჩენა ჩემთვის იმედის

წყაროს შესმის ტოლფასი იქნება. ცხრამეტი თებერვალი, რა მწარეა ჩემთვის. შენ ოჯახს უშენობის ხელი არ ეტყობა, შენი ეკა არაფერს აკლებს შვილებს. უკვე ოთხი შვილიშვილი გყავს. კარგი სიძეები პატრონობენ შენ თაკოს და თეონას. გიორგი და ნიკოლოზი ცოლშვილის მოყურულები არიან. ვახო, შენი ვაჟკაცი, ცეკვავს, რაგბზე დადის. შენ აკლიხარ შენი დედის გულს. სიტყვა დედა იმდენად მიყვარს, ამ სიტყვაში შენ სიყვარულს ვკლავ შვილო. დედას ძალიან უყვარხარ და ენატრები. ყველაფერს ვაკეთებ დედი. გელას დედა არ უნდა წაიქცეს. უნდა იბრძოლოს, უნდა

უყვარდეს, უნდა იშრომოს. დარდს ვეჭიდავები. სხვა რა გზა მაქვს. გპირდები დედი, სიკეთის მთებს დავდგავ. მწამს მოგწვდებათ ... რომელი ცოტა ხართ. აღარ ჩამოგთვლით სათითაოდ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ხართ... ბევრზე ბევრი.

ჩამი ლექსები გიყვარდა.

ერთ სტროფიანი ლექსით ღამე მშვიდობას გეტყვი შვილო.

***

ძილშიც შენთან ვარ,
მოფერება ხომ არ გაკლია,
რაც შენ დაგკარგე,
ფიქრიც გახდა დარდის კომეტა,
თუ შენს გარეშე
ეს სიცოცხლე შვილო ნაკლია,
მაშინ აჯობებს
ისევ- ისევ დავრჩე პოეტად!

მამეები ზეციდან გლოცავთ

* ი მ რ ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ე თ * სიყვარულით შექმნეს ოჯახი მამით ობლებმა, გიორგიმ და თეონამ. სიყვარულიში ტკივილი მინელდა და გაზაფხულის ყოჩივარდებივით, ამოფრთქვიალდა ოჯახში სამი შვილი. შვილ გარდაცვლილ ბებია-ბაბუას გიორგიმ მეორე სიცოცხლე აჩუქა ოჯახის შექმნით .

...დღეს რაჭველები რაჭაში შეხვდნენ ახალ წელს. ასი წელი ბედნიერებით და ერთმანეთის პატივისცემით შეაბერდით გიორგი ლობჯანიძე და თეონა სხირტლაძე ერთმანეთს. სამი შვილი, იოანე, ნენე და დანიელი, გაგიზარდოთ უფალმა. რაჭის სუფთა ჰაერით და სუფთა გულით სიყვარულით აშენებული ოჯახმა იმრავალჟა-მიერეთ 10 0 წელი!.

ამინ! ...

****"""

და ბოლოს ... თეონა სხირტლაძე თავისი მამიკოს (ჩემი გელას) ასლია, ხასიათით და ფიზიკურიბით. გულნაზი ბებოს ძალიან, ძალიან უყვარს.

ნიკო იმედაძე



ვილი

სკოლის უკან, სადაც „კაჩიგარია“იდგა და ათასი სამეურნო ნარჩენები ეყარა,მრავალტონიანი ცისტერნის მრგვალი, ჰერმეტიული ლუქი, დირექტორდაცაცხანებულ–დარეტიანებულ დამწყებ ტოქსიკომანებს ხშირად ღია რჩებოდათ და თავპირისმტვრევით გარბოდნენ კიკვიძე–სხირტლაძის ქუჩის ჩიხე–კუნჭულ–ლაბირინთების მიმართულებით.

მეოთხე–მეხუთე კლასში იქნებოდა ვილი,როცა ლუქახდილი ცისტერნიდან უცნაური ჭყივილი მოესმა, ბაკზე აბობღდა, ჩაიხედა და დახრილად გდების გამო, ფსკერის ერთ მხარეს მოგროვილ ცისარტყელისფერება სითხეში ჩავარდნილი ბეღურა დაინახა, რომელიც მაზუთისმაგვარი, ბლანტი სითხისგან ფრთებდამძიმებული სიკვდილს ებრძოდა. .ვილი არც დაფიქრებულა, ახალი კურტკა და შარვალი გაიხადა,ბაკში ჩახტა,ჩიტს დასვრილი ფრთები გაუწმინდა, ამოსვლა დააპირა, მაგრამ თავსახურის ყელი, სადაც მოსაჭიდათ რკინის საფეხური მიედუღებინათ, აშკარად შორს იყო მისგან. რამდენჯერმე ახტომა სცადა,მაგრამ ცალხელში რუდუნებით ჩაბღუჯული ბეღურა არ აძლევდა საშუალებას,ხელს უშლიდა მთელი ძალისხმევით ახტომის. ჩიტს მოეფერა, ნისკარტზე აკოცა, მუხლები ზამბარასავით დაძაგრა, ახტა და მთელი ძალით ასტყორცნა ლუქის მიმართულებით, ბეღურამ ჰაერში წრე გააკეთა და გაქრა.ვილიმ ღიმილით გააყოლა თვალი, შემდეგ მიიხედ–მოიხედა, სვეტად ჩამომავალი სინათლის ფონზე, წყალქვეშანავადქცეული ლითონის ფსკერი, ონავარი ბავშვების მიერ ჩაყრილი კენჭებით და საღებავის თუნუქის ქილებით იყო მოფენილი,რომელიც ამ წუთას ვერაფერში გამოადგებოდა,არადა უკვე აცეტონის თუ რაღაც მსგავსი ქიმიური სუნი თვალებს და ცხვირს უწვავდა.დაიყვირა,არავინ გამოეპასუხა, შემდეგ მოზრდილი კენჭი მოძებნა და ლითონის კედელზე მძლავრად დაუწყო კაკუნი, თან პერიოდულად მშველელს უხმობდა. ბაკის ყელიდან ჩამომავალი სინათლის სვეტი თანდათან ბაცდებოდა,ვილიმ საღებავის ქილები ერთმანეთზე შემოაწყო,ზედ შედგა, მაგრამ დაუცურდა,ბაკი შეტორტმანდა და ცისტერნის ახდილი, ცერზემდგომი სარქველი ავად დაიძაგრა. მეორე ცდაზე მყარად დადგა ქილებზე, მუხლები დაძაბა და თავგანწირული გაფრინდა მაცოცხლებელი ღიობის მიმართულებით, თითებით მიდუღებული რკინის საფეხურს წაეპოტინა,თითქმის მიწვდა კიდეც,თითქოს ჩაისუნთქა თავისუფლების ჟანგბადი, რომ მთელი ძალით დაენარცხა ლითონის ფსკერს,ბაკი დაცემისგან შეზანზარდა, სარქველმა დაიხრიალა და საცობივით დაეცო ცისტერნას.

მთელი ღამე ეძებდა ოჯახი და უბანი ვილის, ზოგი „პრობკის“ ტყეში, ზოგი მისი საყვარელი ყვავილების ბაღში და სამტრედეებში, მაგრამ ამაოდ. გამთენიისას სკოლის „კაჩიგარმა“შეამჩნია ცისტერნასთან დაყრილი ბავშვის ტანსაცმელი და ბეღურა,რომელიც ყურისწამღებად წიოდა.

უსულოდ ამოიყვანეს ვილი. ვიღაცამ სუნთქავსო,ვიღაცამ ხელოვნური მასაჟები დაუწყო, ამასობაში სასწრაფო მოვიდა, წაიყვანეს, უმკურნალეს, გადარჩა,მაგრამ ინტოქსიკაციამ საბოლოო ფსიქიური დაღი დაასვა ვილის ჯანმრთელობას.არ ვიცი პარაფსიქოლოგია რამდენად რეალური მეცნიერებაა და რამდენად ზემოქმედებს სული ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე, მაგრამ ფაქტია ბეღურა მფარველი ანგელოზივით დაჰყვებოდა საავადმყოფოებსა და ფსიქიატრიულ კლინიკებში მის გადამრჩენს, რომლის უბეშიც ჰპოვა სამუდამო ბინა.როცა ექიმებმა იმედი გადაწურეს, ვილი და ვილეღურა (ასე შერქვა უბანმა ჩიტს) ერთად დაუბრუნდნენ საკუთარ ბუდეს. ხშირად ნახავდით „ადამის ენაზე“ მოსაუბრე ვილის თავის ანგელოზთან ქუჩაში, ხეივანში, ყვავილების ბაღში.გადიოდა წლები, ვილი ბავშვად რჩებოდა, მაგრამ მის უპეებზე ნაადრევად ჩიტის ნაფეხურებმა გაიარა, გამოითეთქვა და ხშირად ავადმყოფობდა.საკვირველი ის იყო,რომ ბეღურები 4-5 წელზე მეტს ვერ ცოცხლობენ, ის კი არა ბევრი პირველივე ზამთარს იღუპება, ვილეღურა კი ბარე შვიდი წელი ცხოვრობდა ვილის უბეში.

ვნების კვირის ოთხშაბათს მიაბარა ვილიმ სული უფალს,ვნების შაბათს დავკრძალეთ გოჭოურის საძვალეში, ოთხი დღე სასახლეს არ მოშორებია ჩიტი,ოთხი დღე უთევდა ღამეს,ოთხი დღე ეფერებოდა ნისკარტით, დავმარხეთ. ყველა წამოვედით,ვილის გამწარებული დედაც. ვილეღურა კი სახელდახელოდ ჩასობილ ხის ჯვარზე, ცივ წვიმაში მობუზული, ელოდებოდა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!

P.S. ცისკარზე, ეკლესიიდან სახლში მიმავალმა მრევლმა დაინახა, თუ როგორ აფრინდა ახალმიწამიყრილი საფლავიდან ორი ბეღურა და როგორ შეერია რძისფერი ცას!

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიყვარულშემოსილი ნინო ახალაშვილის "ერთი ყვავილის გაზაფხული"

გლობალური კატაკლიზმები, სისხლისღვრა, ნგრევა, ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასება, აპოკალიფსის მე-6 ბეჭდის მოხსნის მოლოდინი მემკვიდრეობით რგებია ჩვენს საუკუნეს.

არა ზემიწიერ ძალებს, ტრანსცენდენტურს (რუდოლფ შტაინერი) მოწყვეტილთა ურელიგიო ფსევდოკულტურა, არა მიწიერი, ეშმაკეული, არამედ საღვთო, მარადიული სიბრძნის ძიება-მსახურება იყო ყოველთვის მთავარი ორიენტირი ჭეშმარიტი ხელოვნებისთვის.

არა ურწმუნოთ, მკვდარი თევზებივით დინების მხარეთ მავალთ, ტირანიის, უსამართლობის, პანეგირიკების ვაი ავტორებს, არამედ მხოლოდ აპოკალიფსურ უჩხულთა ნაშიერებთან შერკინებით ცნობილთ, ერისა და უფლის წმინდა მსახურთ, გულითა და გონებით მღვიძარეთ მოუხელთებიათ წარუვალი სიბრძნე.

დიდი ლიტერატურა ყოველ დროში ერის სულის მზრდელი იყო და, მწერალს ნიჭიერებასთან ერთად, ამშვენებდა ინტელექტუალური სიმამაცე, გამბედაობის დიდი გენია, თემიდას ერთგულება.

ადამიანის ფენომენის, მისი დანიშნულების, ცხოვრების არსის ძიება იყო ყოველთვის თეოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, მწერლობის, ხელოვნების ყველა დარგის უმთავრესი მიზანი და ამ უზენაესი მისიის განხორციელება მხოლოდ წმინდა სულით მომადლებულთ ხელემწიფებათ და არა მიწიერების ჭაობში მორიალეთ. სტუდენტ ნინო ახალაშვილს ზედმიწევნით გაუთავისებია საღვთო სიბრძნე და თავისი მხატვრული სიტყვისთვის რწმენის, სულიერების, სამშობლოს მსახურება, სიცოცხლის საზრისის გადარჩენა დაუსახავს მიზნად.

„მართუენი სიბრძნისანი უფროის და უმეტეს ოქროისა“, გვმოძღვრავს იგავთა წიგნი. ედგარ პო, გალაკტიონი, კლონდაიკში, ელდორადოსა და კოლორადოში ეძებდნენ ასრა ოქროს ნივთს, არამედ სიტყვის ოქროს.

ნეტარი ავგუსტინეს იდეალი იყო „მარგალიტი კეთილი მრავალსასყიდელი“. დავით გურამიშვილისათვის - „უსასყიდლო მარგალიტი“, ვაჟა ფშაველა „სიტყვის მარგალიტებს“ თესავდა, გალაკტიონისთვის ხელოვნება იყო მარგალიტები, მარგალიტი ღვთისა და ღვთისმშობლის პარადიგმებია.

ნინო ახალაშვილისთვის ფასეულია არა უღიმღამო ცხოვრების „ მარგალიტის მძივები“, არამედ უსასყიდლო სიტყვის მარგალიტი, ბრილიანტი.

პოეტების მეფის თვალები „ფეთქავდნენ ცვრებით, იებით“ ცვარი უფლის, ია - ღვთისმშობლის მეტაფორაა.

უფლის ზეცისკენ აუპყრია თვალები ნინო ახალაშვილს.. „დღეს ცა მაქვს თვალებში“. ცა, ცათა, ცა უზენაესის მეტაფორაა. პოეტი ქალის კრებულში სული კესანეა, სულში მზე და იავარდია ჯვარცმა გარდაუვალია, ტკივილი, ნეტარება, რადგან შემოქმედებას სჭირდება მსხვერპლი, ტანჯვა, გულის სისხლი.

პოეტი უშორესი გზების მგზავრია, არამხოლოდ გეოგრაფიულ განზომილებებში მოარული, არამედ სულის უხილავ ლაბილინთებში მჭვრეტელი, ზესთა სოფლის საიდუმლოებათა მაძიებელი, უზენაესისკენ მიმავალ ბილიკებზე შემდგარი.. „... და როგორც მგზავრი უშორეს გზაზე, დღესაც, უფალო, შენსკენ მოვდივარ“ (დეკემბრის ღამე).

შემოქმედება, ხელოვნება ჩვეულებრივთათვის დაწესებული საზღვრების მიღმა გაღწევაა, მოკვდავთა შესაძლებლობების მიღმა გადაბიჯება, რასაც ხელოვნების ფსიქოლოგიაში „ჰიერკმანია“ - ღვთაებრივი სიგიჟე უწოდეს (გოეთე, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი). ასეთ ჭრილში მოიაზრა ეს პრობლემა „ერთი ყვავილის გაზფხულის“ ავტორმა (გიჟი ხარ?!)

სიყვარულის პრობლემაზე ფიქრისას პოეტი ემყარება დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის „ ციური ეროსის“ , დანტეს „უზეშთაესი სიყვარულის“ იდეას, რუსთაველის მოციქულებრივ სიყვარულს, აკაკი წერეთლის საყვარლისა და „სულიკოს“ ჩანაფიქრს, გალაკტიონის პირველი და უკანასკნელი, სამყაროს მამოძრავებელი სიყვარულის ქვეტექსტებს..

წმინდა წერილის მიხედვითაც, ღმერთი არის „სულის შეყვარებული“ (ქებათა ქება, 3,1,5,16).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთი „პირველი სიყვარულია“ (2,4)

ნინო ახალაშვილს ასე გაუთავისებია გენიოს წინაპართა სიბრძნე.. „...სიყვარული მეჩემება, დედამიწას რომ ამოძრავებს... სული შეუბერე ნაკვერჩხალებს, იქნებ გააღვივო სიხარული...

დედამიწას რაც ამოძრავებს, ესაა ჩვენი სიყვარული“

პოეტის იდეალია სიყვარულშემოსილი ადამიანი.. „ ეს ქვეყანა ასე არის, უფალო, ზოგი კაცს ჰგავს, ზოგი კიდევ კაცია, მე ვაფასებ ადამიანს უბრალოს, სამოსად რომ სიყვარული აცვია“ (ეს ქვეყანა ასე არის, უფალო).

მისი საცხოვრისი განათებულია „სიყვარულის შუქით“, ჰგავს ეკლესიას, რომლის „წაუსვლელი სტუმარი“ უფალია (მინდა მქონდეს სახლი).

ბიბლიაში „ ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას გვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფსა და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20).

სახარებაში ცოდვების ზღვის დამარცხება ხელწიფება იესო ქრისტეს.

გალაკტიონი მომადლებული იყო მრისხანე ზღვის გადავლის ძალით.

ნინო ახალაშვილი გვამცნობს ... „... ცაში ავიჭერი გულმა არ ამიშვა... ზღვაში გადავეშვი, ფიქრით გადავცურე“ (ცხრა მთა გავიარე).

პოეტს გზას უნათებს „მაცხოვრის თვალები, უფლის სული ხედავს დაფარულ ც;ოდვებს, სულს ტალახიანს, სულს განწმენდილს, წუხს, რომ „ უფლის ხატად შექმნილ კაცს უფლის მსგავსი არაფერი შერჩენია“, მის სულში ღმერთი, სინდისი კი არა, ღორია გაბატონებული „ სულში ღმერთის ნაცვლად ღორებს იმეფებენ“.

ჩნდება გალაკტიონის რემინისცენცია ... „ცხოვრება, როგორც ცინიკი ღორი, მსგავსება რუმბის, გთხოვს, გეხვეწება, იგემო ტბორი, ჩაეშვა წუმპეს“ (საგურამოში) ასევე გვახსენდება პაოლო იაშვილის „ მეღორის სიმღერა“ , რაც ეპოქათა ანალოგიურ შინაარსზე მეტყველებს.

კრებულში ერთმანეთს ენაცვლებიან სატანისგან ცდუნებული ადამი, ძმის მკვლელი კაენი, ქრისტეს გამცემი იუდა, უძღები შვილი, დემონები, გველები, გამგელებული კრავები, მხეცები....

„პატივმოყვარეობის კუნძულის“ ამ უკეთურ ბინადართ ვერ ეგუება პოეტი და სინანულის გზას უჩვენებს.

ჭეშმარიტი სიკეთე ჯვარცმულია, მაგრამ ჯვარცმას ამაღლება, აღდგომა მოსდევს, გრიგოლ რობაქიძესავით იმედიანია ახალგაზრდა პოეტი.

ერთი „ყვავილის გაზაფხულში“ რელიგიური სახისმეტყველების ნიმუშებია... გზა, ფერადი გზა, სიცოცხლე, სინათლე, სიხარული, სიყვარული, ცისკარი,სხივი, ვარდი, გაზაფხული....

ნინო ახალაშვილი იზიარებს მესიანისტურ იდეას, რომ საქართველო ღვთისმშობლის ჭილხვედრი ქვეყანაა, რომ ჩვენი სამშობლო ქრისტეს კვართის მფლობელია.

მოიაზრა რა სამშშობლო ღმერთად, მრავალი პატრიოტული შედევრი შექმნა, უერთგულა ილია ჭავჭავაძის ტრადიციას.. „მამული, ენა ,სარწმუნოება“.

წინაპარი კლასიკოსებივით, სამშობლო გააიგივა ჯვარცმულ ღმერთთან, წარმოსახა „სიცოცხლის სვეტათ“.. „...და საქართველო განფენილი იმერ-ამიერ, იდგება მარად ცად აღმართულ სიცოცხლის სვეტათ“ (მრავალჟამიერ, ქართველებო).

პოეტის სატკივარია ერის სიმბოლოდ მოაზრებული, მუმლდახვეული მუხა.

საოცარი, იმედისმომცემი ხილვაა ლექსში „ იჯდა ღვთსმშობელი თალცრემლამოვსებით“:

იჯდა ღვთისმშობელი თვალცრემლამოვსებით,
ისე აკერებდა ნაგლეჯ საქართველოს...
ასე არ იქნება! როგორ ამოვწყდებით,
ჩვენი სამშობლო რომ ვეღარ გავამთელოთ?!..
ჩვენი საქართველო, აქ დაჭრილ არწივად,
მიწაზე გდია და ყორნებს ვერ იშორებს...
ერთხელაც ადგება, ადგება ნამდვილად!
და სხვა არწივებთან ზეცაში იქროლებს...
(ალბათ ამ არწივად გიხილა ვაჟამაც.
ყვავ-ყორანს გარიდა, გარიდა ძალიან...
ამასაც გაუძლებ, გაუძლებ ამასაც!
დღეს შენ რომ ასე ხარ, სულ ჩვენი ბრალია...)
იჯდა ღვთისმშობელი, ცრემლით ასველებდა
ფრთებდალეწილსა და ნაგვემ საქართველოს...
მაგრამ ქართველებში ეჭვს ვერ ანელებდა-
"ძვლებში დამტვრეული, რაღამ გაამთელოს?!"
ვიდრე ასე ვფიქრობთ, ვიდრე ასე გვჯერა,
აღარ გვეშველება მანამ არაფერი...
იცით, მთავარია გვქონდეს უფლის რწმენა...
მერე კი იმედი - ისევ გადარჩენის...
იჯდა ღვთისმშობელი,
თავის წილხვედრ მიწას...
ისე აკერებდა...
ისე...
ისე...
-მეთქი...
ისევ ჩვენი იყო...
ისევ..
ისევ...
(ვფიცავ)
ჩვენი სამაჩაბლო, ჩვენი აფხაზეთი...

17.08.2016 წ

ლექსის ავტორს სწამს, რომ ჩვენი ზეციური დედა არასდროს მიატოვებს მასზე მინდობილ, თავის რჩეულ ქვეყანას, რომ ის „თვალცრემლამოვსებით აკერებს და ამთელებს ნაგლეჯ საქართველოს. ასე არ იქნება, როგორ ამოვწყდებით, ჩვენი სამშობლო რომ ვეღარ გავამთელოთ. ჩვენი საქართველო აქ დაჭრილ არწივად მიწაზე გდია და ყორნებს ვერ იშორებს... ერთხელაც ადგება, ადგება და ნამდვილად და სხვა არწივებთან ზეცაში იქროლებს....“

მაგრამ იმედს ეჭვიც ემგზავრება.. „ იჯდა ღვთისმშობელი, ცრემლით ასველებდა ფრთებ დალეწილსა და ნაგვემ საქართველოს, მაგრამ ქართველებში ეჭვს ვერ ანელებდა- ასე დამტვრეული რამღა გაამთელოს?“

ამ მოსაზრებას ასეთ ოპონირებას უწევს პოეტის მეორე მე.. „ვიდრე ასე ვფიქრობთ, ვიდრე ასე გვჯერა, აღ’არ გვეშველება მანამ არაფერი. იცით, მთავარია გვქონდეს უფლის რწმენა, მერე კი იმედი- ისევ გადარჩენის“.

ლექსის ფინალში ისევ იმედის შხეფები გვეპკურება.. „იჯდა ღვთისმშობელი, თავის წილხვედრ მიწას ისე აკერებდა, ისე... ისე - მეთქი... ისევ ჩვენი იყო... ისევ... ისევ... „ ვფიცავ“ ჩენი სამაჩაბლო, ჩვენი აფხაზეთი“.

ძნელია ამაზე უფრო მძაფრდ გამოითქვას საქვეყნო, მამულის უიღბლობით გამოწვეული სატკივარი.. „ჩემი სამშობლო ჩემი ღმერთია და ჩემი მშობელი.... დედაც მყავს მამაც, მაინცა ვობლობ, ობოლი არის ჩვენში ყოველი. გთხოვ ნუ მომასწრწბ იმ დღეს , უფალო, თუ ამ ქვეყანას სხვისი ერქმევა...“

უნებლიედ დიდი მიხეილ ჯავახიშვილის სტრიქონები გვაგონდება.. „ თუ მართლა კვდება ჩემი სამშობლო, სიკვდილო, შესდექ, ჯერ მე მოვკვდები“.

ზეცის ვენახი უფლის მეტაფორაა, მიწის ვაზი -სამშობლოსი.

წიგნის ავტორის საწუხარია ის, რომ „საქართველოა აკაფული, როგორც ვენახი“, მაგრამ სჯერა რომ „ჩვენი სამშობლო ისევ აყვავდება, ვაზიც გადაურჩება ყველა ქარიშხალს“ (საქართველოა აკაფული როგორც ვენახი).

პოეტს სტკივა ქადებად დაჭრილი საქართველო“, სტუმარ-მასპინძელის, დამხვდურისა და ხიზნის როლების აღრევა, ახალი ჯაყოების მოძალება. ტრადიციული ტოლერანტობის მიმდევარი,მტკიცედ დგება ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე: „სტუმარს გაუმარჯოს, ყველას, ყველა მხრიდან, სტუმარმასპინძლობა ჩვენ არ შეგვეშლება, მაგრამ დამრჩენები არა და არ გვინდა,წამსვლელს ვუმასპინძლებთ, როგორც შეგვეძლება. (მობრძანდით ბატონო).

წინამორბედების დარად, მიუღებილია ლექსის ავტორისთვის ჩვენი ქვეყნის ბაბილონის გოდლად ქცევა.

ახალი აღთქმის „რწმენისა და სიყვარულის აბჯარს“ “ხსნის იმედის მუზარადს“(პავლე მოციქული, თესალონიკელთა,5,8) ეხმიანება პოეტის აბჯარასხმულის, ხმალშემართული, ფარმომარჯვებული საქართველო (მხოლოდ ქართულად).’

ქრისტეს მიერ გაცოცხლებული ლაზარეს სახე იელვებს იმედად და რეზიუმესავით გაჟღერდება ოპტიმისტური ფრაზა: „სამარადისოდ იარსებებს ქართული გენი“.

ნინო ახალაშვილის ფილოსოფიურ ლირიკაში ყურადღებას იქცევს სიცოცხლის აზრის ძიება,სულის უკვდავების რწმენა (იმაზე მეტი, სევდა) პოეტი სულის თვალებით იჭრება მიღმურში, ტრანსცედენტურში მარადისობაზე ფიქრით მარცხდება წარმავლობა, დაგმობილია „გულგრილობის სენი“ (მე არ ველი წასულს).

პოეტს სჯერა სულის უკვდავება, მართალთა სამოთხეში დამკვიდრება, უფლის სასჯავროს გარდუვალობა... „როგორ განვიკითხავ აქ მე ვინმეს, ყველას ჩვენი წილი მოგვეზღვება და აქ რაც არ უნდა კარგად ვიყვეთ, ის ვთქვათ, უფალთან თუ მიგვესვლება“ (ვედრება).

იდეალია ბავშვური უმანკოების შენარჩუნება (მოდი გავიღიმოთ).

„ცხოვრება ჭაობია“, „ცხოვრება ტკბილ-მწარე-მცირეა (ჰეი, ცხოვრებავ!).

„ცხოვრებაში შავ-თეთრი ფერებია, მე ფერადს ვისურვებ სამყაროს“, წერს პოეტი

ქართულ პოეზიას სამუდამოდ შემორჩა გალაკტიონის შავი თვალის, ვარდისფერი თვალის, წრფელი თვალის, იისფერი თვალის მრავალმნიშვნელოვანი სახეები.

სიცოცხლის წარმავლობა, თეთრი სულის გაშავება ასეთი მიგნებული მხატვრული ხერხით არის ნაჩვენები ნინო ახალაშვილის ლექსში: „ესაა ცხოვრება, ესაა სიცოცხლე, თეთრ თოვლად მოვალთ და მალევე ვშავდებით... ივლიან, ივლიან.... ივლიან ჩვენზე და ჩვენც ბოლოს თოვლივით უკვალოდ გავქრებით“.

ცხოვრება განსაცდელებით და გამოცდებით არის სავსე, როგორც წმინდა წერილში. დავით წინასწარმეტყველი ევედრებოდა ღმერთს.. „განმსაჯე უფალო... გამომცადე უფალო და შემამოწმე, ბრძმდში გამოატარე შიგნეულობა და გული ჩემი“ (ფს. 25,1,2).

ამ განსაცდელებთან შერკინებისა და გამძლეობის უნარია მთავარი პოეტი ქალისთვის..

„ცხოვრება ზედ გდგება, თუ მხოლოდ გამოგცდის, დაიწყე თავიდან, თუ დღეს არ გამოგდის“

და უმთავრესი შეკითხვა.. „ჩვენ რას ვაკეთებთ საქართველოს გადასარჩენად?“

კრებულში ყურადღებას იქცევს ქუდის, მანდილის მოაზრება ზნეობრივ ჭრილში, ლოცვა-ვედრების, გალობის მოტივები.

პოეტი იზიარებს გარდასხეულების თეორიას და სჯერა, რომ სულით ქართველი მომავალშიც ქართველად დაიბადება.. „ათჯერ რომ მოვკვდე, ვიცი, რომ ქართველად დავიბადები“ (ქართველად დავიბადები) აქ ფიქრი ხან ნიავია, ხან ქარიშხალი.’

მოვლენათა არსის გამომხატველია მთელი რიგი მხატვრული სახეები: “მერამდენე გათენება გვეღამება, ოცნებები ფოთლებივით გვეკარგება“..ქარი არ უხდება გაყვავებას“... „და გულის ცემას ვაყოლებ გრიგალს“... ქარის ხმა ჩამესმის ლოცვად....“ |

ნინო ახალაშვილის პოეტური კრებული ნამდვილი ლიტერატურის კრიტერიუმებს უსათუოდ აკმაყოფილებს. იმედისმომცემი ეს დებიუტი და მინდა ვირწმუნო, რომ მისგან კიდევ ბევრი სიუპრიზია მოსალოდნელი.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

შ ო ბ ა !

შობა აზრის ძლევამოსილებას იძლევა!

სიტყვის მნიშვნელობა იმდენად ძვირფასია, რომ მის სიღრმეში ჩაძიება უნდა მოვახდინოთ.

შობა მშობლის მოვალეობაა, დედის და შობილი კი ნაყოფია.

მისი მოქმედების ძალა მუდმივად ხდება და უსასრულობა უდევს საფუძველში.

აქ სიცოცხლის აზრია!

თუ არ იშობა ე.ი. განვითარება არ ხდება და რადგან შობაა – განვითარებაცაა!

და რადგან სამყარომ გამოკვეთილად დაუშვა შობის განსაზღვრა, ე.ი მის შინაარსზე ახდენს საუბარს და ეს დაბადება ხდება მუდმივად, ანუ შობით იბადები და იზრდება ენერგია.

ეს უნდა გავითვალისწინოთ!

მისი სილამაზე, აღფრთოვანება ემოციის ნაწილია და ეს ემოცია შემოქმედობით მაღლა სვლას, განვითარებას სწვდება. ეს პროცესი მთელ სხეულში ახდენს ზემოქმედებას და ის უჯრედის დონეზეც აქტიურდება.

როდესაც ცნობიერი გახსნილია, მაშინ შობა, როგორც პირველსაწყისი, ღმერთის აზრი და ნაყოფი უნდა გახდე, უნდა შეივსო დროში და გახდე სავსე მუდმივობაში.

სისავსე ჩვენში იწვევს ნაყოფიერებას, ნაყოფის გამცემი ხდები!

გაანაყოფიერებ გარემოს, ცოდნით, სიტყვით და აზრით.

არ უნდა შემოიფარგლოს ადამიანი ძველის გარშემო, უნდა მიიღოს ახალი, რადგან დრო მზარდია, რატომღაც აღვიქვავთ დროის მატებას სიბერისკენ მიმართულ პროცესს, მაგრამ სიტყვა სიბერე, სი–ბერე ზრდას უკავშირდება, სიბრძნეს და სისავსეს.

შევსებას, სადაც აზრი ახდენს მოქმედების პროცესზე გასვლას.

შობა – შობის პროცესია და მშობლის სტატუსს განიჭებს!

ანუ მშობელი ხდები! სიტყვის, აზრის მოქმედებით!

მე ვუერთდები ამ ყოვლად საინტერესო და მაღალი ღვთიური არსის პროცესს, მის სრულყოფილების შეგრძნებას, ათვისება – შეთვისების უნარს და მოხდება სიტყვის გაგება სადაც მისი შინაარსი ახდენს ადამიანთა ზრდა– განვითარებას, შეუცნობელის შეცნობას, ეს ი -ძლევა ყოვლად უმაღლეს მდგომარეობას და ხდები მაღალი დონის ადამიანი, სადაც აზრი იღებს ძალას.

ადამიანი მარგალიტის თვალია, ძნელად მოსაპოვებელი ღმერთისთვის, მაგრამ უძვირფასესი.

ამიტომ მისი მოპოვებისთვის ადამიანი მძიმე გზას გადის ტანჯვის სახით.

საერთოდ ცხოვრება წარმოადგენს დედამიწელებისთვის გამოცდის ადგილის, თვითეული ადამიანი ძვირფასი თვალია, ძვირფასეულობა კი წიაღირსეულია, მისი აღმოჩენა დაბადებას უტოლდება ჩვენთვის, ვის ხელშიც მოხვდება ეს სიმდიდრე ეს უკვე არჩევანია , მაგრამ როგორ გამოიყენებს ადამიანი ამას ესეც მისი გადასაწყვეტია.

თვითეული ადამიანი მშობელიცაა და შობს კიდეც, თვითეული შობილი დედისერთაა, ის ერთია და პირველობას ფლობს, და რადგან სიტყვა იძლევა მის სრულყოფილ შინაარსს, პირ – იდან წამოსულ ველზე, ე.ი. ენერგიაზეა საუბარი.

შობა – ენერგიაა!

ემოციაა! რომელსაც მთელი სხეული განიცდის მშობიარობის დროს, დაბადება კი მაღალი ენერგეტიკა, სადაც სიხარული და სიყვარული უცებ აღწევს მაღალ დონეს, სიცოცხლის გამოვლინებას. სასწაულთან შეხვედრა ხდება.

ეს ყველაფერი ადამიანის ხედვასთან და შეგრძნებებთან ახდენს კავშირს.

ამ ყველაფერს ემოცია აკონტროლებს, ანუ აღფრთოვანებას ბადებს, როგორც გაზაფხული, ამ დროს ფრთოსანი ხდები, დაფრინავ სიხარულით, სიყვარულით, ეს ძალიან მშვენიერი და უკვდავი გრძნობაა, იზრდები და ვითარდები.

ემოციაა შობასთან ერთად ახალი წელი, აღდგომა და ეს ადამიანში განსაკუთრებული ფორმით ვლინდება,

მისი მზადების დრო დღეებს ითვლის!

აქ ხდება ცნობიერების უმაღლესი წერტილის გახსნა ხდება და დამკვიდრება შიგნით, ძალა მადლი და დიდება მკვიდრდება ამ დროს!

გილოცავთ შობას და შეგეწიოთ შობის დიდი მადლი მშობლის სტატუსით!

გავხდეთ ღვთის – სიტყვის მშობლები!

2023 წლის 7 იანვარი!

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

SEMANTIK VON GEGENSÄTZEN IN ANTITHESEN

Es handelt sich in diesem Artikel um die antithesischen Ausdrücke und Sprichwörter, wodurch solche stereotypische Umkreisung geäuβert wird, die obligatorisch ist die deutschen und auch georgischen Antithesen zu veranschaulichen.

Die Voraussetzung für die Realisierung der Antithesen soll sowohl in der deutschen als auch in der georgischen Sprachen das im Mikrokontext gegebene Paar angerechnet werden, dessen Glieder mit ihrer Bedeutung die Grundlage für die Gegenüberstellung der Bestandteile der Antithesen näher bestimmen und dadurch seine Formierung bedingen. Durch die Antithesen werden in der modernen Linguistik die Gegenüberstellung der Begriffe und mit der subjektiven Wahrnehmung bedingte kontrastive Relationen zwischen den sprachlichen Einheiten zum Ausdruck gebrach.t

Als Stütze der Forschung dieser Erscheinung soll die kulturelle Volkserrungenschaft des konkreten Sprachträgers und zugleich die durch nationale Kultur bedingte pragmatische Dimension genommen werden. Bei der Forschung der Antithesen wird der Begriff des sprachlichen Subjekts ausgesondert werden . Die Antithesen werden nur in den syntaktischen Konstruktionen abgetrennt werden**.** Nach ihrer Natur sind sie okkasionel, von der Position des Individums abhängig, stylistich gefärbt und ebenso subjektiv, bei ihr tritt der pragmatische Wertungskomponent in den Vordergrund.

Nach ihren lexikonischen Bedeutung werden durch die Antithesen nicht nur die Semantik Gegensätzlichkei trealisiert, sondern auch gegenseitige unterschiedliche Begriffe bezeichnet werden. Der ergibige Boden der Aussonderung dieses Phänomens bilden Sprichwörter, Ausdrücke, wo die Antihesen durch die Redeteile dargestellt werden können:

Eine goldene Zunge verbirgt eine schwarze Seele nicht. Ena tkbili –shavi guli, erths ambobs – meores phikrobs.

Eulen hecken keine Falken. Ujishosgan jishiani ar nakhula, ar iqneba.

Eine Taube heckt keinen Adler. Antsli ar mogvzems kurdsensa.

Er schoss nach einem Spatz und erlegt einen Kranich. Mtsiphes esrodnen da mkvakhe zvioda.

Er hat Geld wie Heu, wenn ich zu wenig Geld habe. Mas phuli okhrad /chechqivith aqvs, me gakhvretili shaurianiz ki ar maqvs.

Er hat weder Amt noch Verstand. Arz thanamdeboba aqvs da arz goneba.

Ein Sperling in der Hand ist besser, als zehn Taube auf dem Dache. Nu mpirdebi zashi tseros, khelshi mome begurao.

Es gibt mehr Tannen als Zedern. Zkhovrebashi uphro meti zudia, vidre kargi..

Ein Lot Gold wiegt mehr, als ein Zentner Recht. Phuli /oqro uphro phasobs,vidre samarthali.

Ein kleiner Regen mag einen grossen Wind legen. Zuli patara aris, magram did khes ki tsaaqzevso.
Ein schwarzes Huhn legt auch weisse Eier. Dsrokha shavia, magram thethr rdses itsveliso.
Frauen haben lange Kleider und kurzen Mut. Qals thma grdseli aqvs da chkua mokle..
Fleissige Hand erwirbt, faule Hand verdirbt. Mushas sachmeli, aramushas arapheri.
Er heckt keine Taube einen Adler. Busi phaskunjis adgils ver daichers.
Eulen hecken keine Falken. Ujishosgan jishiani ar nakhula, ar iqneba.
Eine Taube heckt keinen Adler. Antsli ar mogvzems kurdsensa
Frauen haben lange Kleider und kurzen Mut. Qals thma grdseli aqvs da chkua mokle..
Fleissige Hand erwirbt, faule Hand verdirbt. Mushas sachmeli, aramushas arapheri.
Geringe Ursache, grosse Wirkung. Didi qvekana moutsvavs enasa mabesgarasa..
Goldner Hammer bricht eisernes Tor. Oqros chakuchi alakaphis karebs amtvrevso
Der Elefant macht keine Mücken tot. Songuli mumlitha shepkrobad phrthasa ar gashlis somit.
Der Esel und die Nachtigal haben beid ungleichen Schall. Viri charboda zkhenthana, mez bedauri shenthana.
Den Kopf halt kühl, die Füsse warm, das macht den besten Doktor arm. Thavi siziveshi, phekhebi sithboshi, janmrthelobis sazindaria.
Den Einen sien Uhl ist, den Anderen sien Nachtigall. Sogs mgvdeli moszons, sogsaz mgvdlis zoli.
Der Esel schick', wochin du willst, kein Pferd wird draus, das etwas gilt. Ar gathethrdebis korani, raz unda khekho qvishitha.
Der Geist ist willig, aber das Fleisch ist schwach. Suli dslieria, khorzi ki susti. სული
Besser arm in Ehre, als reich in Schande. Sdjobs sizozkhlesa nadsrakhsa, sikvdili sakhelovani.
Besser ein eckiges Etwas, als ein rundes Nichts. Sul araphers zota mainz jobia.
Besser biegen, als brechen. Chatrevas chakola sjobiao.
Besser einen Spatz in der Hand, als die Taube auf dem Dach. Dgevandeli kverzchi mirchevnia khvalindel katams.
Besser ein Arbeiter, der denkt, als tausend Kopfloser. Atas utaos erti taviani sjobs.
Billig stinkt, teuer blinkt . Kargisa kidva dsvirad sjobs, sed gamogeba sartisa.
Besser zweimal fragen, als einmal irregehen. Zlis saphikrebeli da zamis gasaketebeli.

რატიანი ლალი

დაპირისპირებიოს სემანტიკა ანტითეზებში
რეზიუმე

ანტითეზები აღნიშნავენ არა მხოლოდ განსხვავებულ ტერმინებს, ცნებებს, არამედ შედარების სემანტიკას.ანდაზები და იდიომები ნაყოფიერ ნიადაგს იძლევა ამ ფენომენის იზოლირებისათვის, გამორჩევისათვის, სადაც ანტითეზები შეიძლება იყოს წარმოდგენილი მეტყველების ნაწილებით

Ratiani Lali

Semantics of opposition in antitheses
Resume

The antitheses denote not only the different terms, but also the semantics of the comparison. Proverbs and idioms provide fertile ground for the elimination/isolation /for separation of this phenomenon, where the antitheses can be represented by the parts of speech

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

გონების ზღვარზე

აზრები

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის 11, 12 ნომერსა და ათინათის N 42- 43- 44-45-46-ში

რწმენა და რელიგია

***

მკვეთრ შუქს მკვეთრი სიბნელიდან გამოსული უფრო გრძნობს. უმეცრების, ტოტალიტარული სიყალბის, უსამართლობის რეჟიმის პრესში მყოფი ადამიანები უფლის სინათლეს და სიმაღლეს უფრო შეიგრძნობენ და განიცდიან.

***

გამოხმობა სულისა ჩვენისა ეშმაკისაგან – ჩვენი ადამიანური ვალია.

***

უფლის არსის მრავალგანზომილებიან სივრცეში ერთი ხაზი ადამიანისაცაა, რომელიც შეიძლება აღმავალი ან დაღმავალი იყოს. შეუერთდება თუ არა მისი აღმავალი ხაზი უფლის ყოვლისმომცველ სამყაროს, ეს ადამიანისთვის სავსებით უცნობია.

***

რელიგია და მისტიკა აღიარებს, რომ ახალი წელთაღრიცხვიდან სულიერმა განვითარებამ იკლო. ეს, ერთის მხრივ, აიხსნება მეცნიერების განვითარებით, რომელმაც ბევრ მოვლენას მეცნიერული ახსნა მოუძებნა და მისტიური საბურველი ჩამოხსნა, მეორეს მხრივ, ადამიანს გონება დაუბნელა თანამედროვე ტექნიკის მიერ შემოთავაზებულმა „გასართობებმა“.

***

ზომამდე ცოდვილიანი გაგვაჩინა უფალმა, ამის წაშლა ჩვენს წაშლას უდრის...

***

ადვილი არ არის ბრძოლა საკუთარ თავთან, ზედმეტი ბრალდებები თვითმკვლელობის ტოლფასია, რაც უფლის მიერ დაუშვებელია...

***

ბიბლია არ არის წიგნი, რომელშიც ქრონოლოგიური შეუსაბამობების გამო ბიწიერება ვეძიოთ. ის არის ოკეანე, რომელშიც უნდა შესცურო; ალაგ-ალაგ განლაგებული კუნძულები მოიარო; უმაღლეს ადამიანურ ხარისხში გაიაზრო უაღრესად ადამიანური მახასიათებლები – აღმოიყვანო კუნძულის წყლით დაფარული ნაწილები და იხილო ღვთაებრიობით განათებულ მოცემულობაში; შეძლო ადამიანურის გაერთიანება-გამთლიანება უფლის უდიდეს და უზენაეს ძლევამოსილების გარდაუვალობასა და
კანონზომიერებაში...

***

ვერავინ გაუკონტროლებს ადამიანს თავის წარმოდგენებში, რა სახით, როგორ ხატად წარმოსახავს უფალს, მით უფრო ვერ უსაყვედურებს და ვერ გაკიცხავს ამის გამო. ეს განცდა და დაშვებულობა სხვადასხვა სიმბოლოებში გამოიხატება (ადამიანს იშვიათად ეძლევა უფალი ხილვადი ფორმით).

***

სიცოცხლის სულ მცირე ზოლში, უფალმა მთელი თავისი შესაძლებლობების კონცენტრაცია

მოახდინა; ამ დიდი ასახვის სარკული ასახვა ადამიანის ცნობიერებაში გადაიტანა, როგორც მარადიული მჭვრეტელობა უფლის დიადი საოცრებისა.

***

ადამიანისთვის, ყველაფერი, აბსოლუტურად განცდადი არ არის, მთელი სისრულით ის მხოლოდ უფალშია მოცემული.

***

რელიგიური განათლება გონების განათება არაა...

***

ადამიანის აზროვნება, მოქმედება-მოღვაწეობა უზუსტეს – უზენაეს განზომილებაში აირეკლება, რის მიხედვითაც მიეგება უფლისგან.

***

სრულყოფილება არ არსებობს ერთ განზომილებაში, ის უსათუოდ მრავალგანზომილებიანია...

***

დედის მიერ შვილის სიყვარული, უფლის ჩვენდამი სიყვარულის უზენაესი გამოვლინებაა, ამიტომ უფალი არ გვპატიობს ერთმანეთის დამცირებას, შეურაცხყოფას, ჭრილობების და ტკივილების მიყენებას, მით უფრო, მშობლის მიმართ უპატივისცემულობას.

***

ვნებებისაგან სხეულის განწმენდა დამახინჯებული მცდელობებით, ზედმეტი ბრალია საკუთარი სხეულის, ქვეყნად მომვლინებლების (მშობლების), ასევე უფლის წინაშე...

***

ბუნების გამოვლინებებში, მის ყოველ ძვრასა და კანონზომიერებებში უფლის ძალასა და მის უზენაესობას ვგულისხმობ.

***

თუ ეშმაკი ხედავს უფლის მთელ დიდებულებას – მის ბრწყინვალებას, მისგან განსხვავებით, ადამიანს არა აქვს თვალი, რომლითაც უფალს სრულად იხილავს...

***

თუ ადამიანს არ მიაგებ, – მით უფრო, ვერ მიაგებ უფალს...

***

კაცობრიობას ქრისტეზე ძვირფასი ვინ ჰყავს – ვინ გააკეთა მისთვის უფრო მეტი?..

***

როდესაც ადამიანი, თავის წარმოსახვაში, ეკლესიის კარს აღებს, იქ უფალი ეგულება – სადაც ადამიანების ღუზღუზი, დაქვემდებარებულობა, ბრალი და ბიწიერება არაა... ადამიანი თავისუ-ფალმა აზროვნებამ და გადაწყვეტილებამ უნდა მიიყვანოს უფალთან და არა ძალდატანებამ ან შიშმა.

***

ზოგიერთ მომაკვდავს ეკლესია მარტო ქვითკირის კედლები ჰგონია, – დასანანია...

***

ყველა ვნებისაგან სხეულის დაცლა აპათიაა, რაც სულიერი სიჯანსაღე არაა... უფლის წიაღში შობა, მხოლოდ ურთულესი გზით – სულიერი კათარზისით მიიღწევა.

***

როგორც ჯიუტი, პატარა ბავშვი მშობლის ძახილს იგნორირებას უკეთებს და გარბის გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო საშიშროებისას სწრაფად უბრუნდება მას, ასევეა მგმობელი ათეისტი... მისი გამუდმებული ჭიდილი და წინააღმდეგობა უფლის მიმართ, ადასტურებს რომ იგი უფალს

აღიარებს (რაც არ არსებობს იმას არ ებრძვიან და არ ეჭიდებიან)... საკმარისია, მის ფეხქვეშ მიწა ოდნავ შეტორტმანდეს, იმ წუთშივე უფლის სახე წინ დაუდგება, – მუხლს მოიყრის და პატიებას შესთხოვს მას... მანამდე? – მანამდე თამაშობს, ერთობა, უფლის მოთმინებას ცდის...

***

ვინც არ აღიარებს ადამიანს, როგორც ღვთაებრივ არსებას, მისი სრულფასოვნება ჩემში ეჭვს იწვევს...

***

სულის სილამაზეს, ვერანაირ ხორციელ სილამაზეს ვერ ვამჯობინებ.

***

ყოვლადმყოფობა და ყველგანმყოფობა – ეს მხოლოდ უფალია.

***

აღსარება: მამაო, შენს წინაშე დგას გენეტიკურად დაბომბილი, ქიმიური საწამლავებით მოშხამული, გაურკვეველი ტექნოლოგიებით ნაწარმოები საკვებით ნაკვები, პრესა-ტელევიზიებით გამოთაყვანებული, კომპიუტერული ტექნოლოგიებით, სიხშირეებით დაშოკილი, – ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცეული, დაბნეულ-დეპრესირებული საზოგადოება, ასევე, გენეტიკურად დეფორმირებული, ოჯახისა და ტრადიციების კატაკლიზმური ნგრევის თვალმხილველი, – მადეპრესირებელი გავლენების ქვეშ მყოფი – იდენტიფიკაციის კრიზისის მქონე ახალგაზრდობა, რომელთაც გაწონასწორებულობას ვერ მოთხოვ!.. ამ პრობლემას მარტო ქადილი – ჯოჯოხეთში მოხვედრისა, ვერ უშველის. აუცილებელია, რელიგიის წარმომადგენელთა განსაკუთრებული, ემპათიური მიდგომები, აგრეთვე, მოაზროვნეთა, ფსიქოლოგთა, ბიოლოგთა, პედაგოგთა, პატრიოტთა და ჰუმანისტთა ერთობლივი მუშაობა-კონსულტაციები, ერთობლივი მოსაზრებების დამუშავება-დახვეწა-ჩამოყალიბება თემებზე, რომლებიც ამ საუკუნის, ამ დროების უდიდესი პრობლემებია.

***

უფლის წინააღმდეგ ამხედრებული კაცი, კარგავს რა ადამიანურ სახეს, – მხეცებს უერთდება...

***

ზოგჯერ ჩვენი სახე ეშმაკის სახეში უნდა ვეძებოთ და იქედან დავიხსნათ...

***

დიდი მადლი უნდა გაგვაჩნდეს, როგორც საკვების, ასევე, სულიერი „საზრდოს“ მიმართ.

***

განსაკუთრებულად ურწმუნო, განსაკუთრებულად უპირისპირდება და ეწინააღმდეგება უფალს `რითაც~ აღიარებს მას...

***

უფალმა უთხრა ადამიანს: შენ დაიწყე, დაამთავრებ თუ არა, ეს ჩემი საქმეაო...

***

ის, რაც აღემატება თავის თავის ძალას – ეს უფალია.

***

უფალი ადამიანში ღვთაებრივ არსად უნდა განაწილდეს და განაწევრდეს და არა ისე, როგორც რელიგიებად დაანაქუცა და დაანაწილა ადამიანმა თავისი საჭიროების მიხედვით...

***

ვემიჯნები რელიგიას, რომელიც უვიცობით ან რაიმე სარგებლის გამო, სხვათა მრწამსს შეურაცხყოფს...

***

ყოველი საგანი, მოვლენა და წარმოდგენა, რომელიც ადამიანებს, საზოგადოებებს ანაწევრებს, აცალკევებს და ერთმანეთისგან ყოფს, არაუფლისმიერია; ის, რაც მათ აერთიანებს – ესაა უდიდესი ჰუმანურობაც და ღვთაებრიობაც.

***
უფლის სახელით მკვლელობები ან თვითმკვლელობები რელიგიური ნარკომანიაა და თავად უფლის გმობაა.

***
ვაი მას – ზეადამიანად ქცევის აკვიატებულ აზრს; აღმატებულად ყოფნის უდიერ, გაუაზრებელ სურვილს ადამიანისა, რომელიც თავისი ქვე-უცნობი მოსაზრებებით და განწყობილებებით, უბრალო ადამიანებს – ვითარცა არასრულფასოვან არსებებს – `თრგუნავს" და უზენაეს ღვთაებრიობას აშორებს მათ...

***
მიმტევებლობა არ არის ლიტონი სიტყვები. სულიერი სიმაღლეების დაპყრობას, სულიერი კათარზისი – თანდათან სულიერი მომწიფება და საფეხურების გავლა სჭირდება...

***
თვით „უკომპრომისო" ათეისტებსაც კი, თავიანთი მსჯელობა უფალთან მიიყვანს... თავგამოდებული ბრძოლა-ჭიდილი რელიგიურ საკითხებზე, ღმერთის აღიარებაა (არარსებულს არ ებრძვიან). იმის მოთხოვნა, თუ უსამართლობა რატომაა – ეს, უკვე, ღმერთთან მიმართებაა და ღმერთის მიმართ ბრალია...

***
იქ, სადაც ადამიანი ადამიანის წინაშე ბრალით წარსდგება და არა თანაგრძნობიერებით, უფალი იკარგება...

***
ადამიანის კოსმოგონიურობაში მჟღავნდება უფალი...

***
ხანშიშესულ ადამიანებში, წარსული შეცდომებისა და არასწორი ცხოვრების – ხორციელი ვნებების ფონზე, ხშირად იღვიძებს სინდისი და მონანიების სურვილი უფლის წინაშე; ზოგიერთი, თავის თავს ღმერთთან საუბრის ღირსად არ თვლის და ამით ისჯის თავს...

***
ნუ შევეცდებით უღმერთო საზოგადოების დიდაქტიკური, პატრიოტული ან სხვა ჰუმანური იდეებით დამოძღვრას. ამ საზოგადოებაში „ღონისძიებებს" მხოლოდ უფალი ატარებს...

***
სულისა და ნივთიერ მოძრაობათა ზუსტი ინფორმაციის მატარებელი არის უმაღლესი აზროვნება – ღმერთი, ჩვენ კი – მისი დამანაწევრებელ-განმაცალკევებელი მჭვრეტელთაგანი...

***
ჩაკეტილობა სულისა მატერიაში განაპირობებს სწრაფვას, ადამიანის სულისკვეთებას – დაიხსნას მისი სული, რაც იმთავითვე დაშვებულია... წინააღმდეგ შემთხვევაში სული მკვდარია ან გაყინული...

***
ადამიანის გონება არის ღვთის სხივფენილობის გამოვლინების ადგილი და აქვს ის შესაძლებლობები, რაც მის არსშია ჩადებული...

***
დიდი ავადმყოფობის გადატანის შემდეგ, ხშირად, სხეული (იმუნიტეტი) ძლიერდება, ასევე, დიდი სულიერი ტკივილის გადატანის შედეგად, სული იწმინდება.

***
რადგან უფალი შეგრძნებებში გვაქვს – მაშასადამე არსებობს!

***
ზოგჯერ, ადამიანს უკვირს, თუ რატომ მოუვლინა უფალმა ესა თუ ის განსაცდელი. უფლის დიდ კანონზომიერებებს ვერავინ ჩაწვდება. შეიძლება ადამიანმა პასუხი აგოს არა მარტო ჩადენილ

ცოდვებზე, არამედ იმაზეც, რაც უნდა ჩაიდინოს, – განზრახული და განსაზღვრული აქვს, რისკენაცაა მიდრეკილი და რომლის სისრულეში მოყვანა დაუოკებელი ვნებებით და ჟინით უნდა რომ განახორციელოს.

***

წინასწარმეტყველებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რაც მათ უნდა სცოდნოდათ. ბევრი რამ მათთვისაც დაფარული იყო. ხოლო რაც იცოდდნენ, იქედან ბევრი რამის საიდუმლოდ შენახვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდნენ...

***

როგორც მცენარე ასახვაში იმყოფება მზესთან, ასევე, ჩვენ ასახვაში ვიმყოფებით უფალთან. ყოველი ცოდნა, რაც ადამიანმა შეიძინა, უფლის ნაბოძებია და მას შესაბამის დროს შესაბამისი გამოყენება სჭირდება. მხოლოდ ჭეშმარიტი ინტუიციური ძაფებით უნდა ვიყოთ უფალთან დაკავშირებული და არა ამპარტავნებით ან ფანატიზმით. ჩვენი უმეცრებით არ უნდა დავემგვანოთ ჩრდილში გადარგულ მცენარეს, რომელიც მზესთან ურთიერთობას წყვეტს და მსხმოიარობას აჩერებს.

***

გაკაფე და გაათავისუფლე სულის სამზირალი.

***

იმის გამო, რომ ადამიანს უფლის არ სწამს, ბევრ ხიფათში და გაუგებრობაში ვარდება...

***

ზოგჯერ ადამიანი ცდილობს, რაც მისი გონებისთვის მიუწვდომელია, საიდუმლოების საბურველში გაახვიოს, – საკრალურ ნივთად მიიჩნიოს და თაყვანის ცემის საგნად აქციოს. ეს თვისება ადამიანს მრავალჯერ აგდებს წინააღმდეგობებსა და გაუგებრობაში.

***

მსუბუქი ყოფაქცევის ქალები გრძნობისმიერი მიმნდობლობით გამოირჩევიან. ეს „მიმნდობლობა“ ასაკის მატებისას გარდაისახება ინტუიციურ მიმნდობლობად. ძალზე ხშირად, ისინი უფლის გზაზე აღმოჩნდებიან ხოლმე... ამიტომ არ ინდომა უფალმა ფარისევლების მიერ მოყვანილი მრუში ქალის ჩაქოლვა და არ განსაჯა ის, მხოლოდ გააფრთხილა – ამიერიდან არ შესცოდოო. ფრთხილად იყავით ასეთი ადამიანების განკითხვისას. შესაძლოა, მრავალთა არამიმტევებლობა, არაჰუმანურობა და სხვა არაადამიანური თვისებები, ცოდვების შეჯამებისას, მრავალგზის აღემატებოდეს ორივე ზემოთ ხსენებულ „მიმნდობლობას“.

***

იტრიალე საზოგადოებაში, იყავი აქტიური, მაგრამ დაიცავი შენი შინაგანი სამყარო შელახვისა-გან... იყავი იდუმალი და მიუწვდომელი მრავალთაგან. გაენდე მხოლოდ ღმერთს, რადგან ჩვეულებრივი მოკვდავი ისე ვერ გაიზიარებს შენს ტკივილებს, როგორც უფალი.

***

სამყაროში საგნები უკუნეთ ღამეშიც ბრუნავს და თავის მისიას ასრულებს, მაგრამ შენ, ადამიანო, ნათლის გარეშე, სიბნელეში, უფუნქციო და მიუსაფარი ნუ დაკარგავ დროს – იარე სინათლის გზით.

***

ურწმუნო ადამიანები ემსგავსებიან სივრცეში მიმოფანტულ ქვებს, რომლებიც ბუნებაში მართალია აისახებიან, მოძრაობენ მიზიდულობის კანონით, როგორც სხვა საგნები, თუმცა მიზიდულობა, სიყვარული და რეფლექსია ღვთაებრივი არსისა არ გააჩნიათ.

***

მზეს, როგორც სიცოცხლის გამოულეველ წყაროს, მხოლოდ ადამიანი ანიჭებს მნიშვნელობას, უფალს მხოლოდ ადამიანი ჭვრეტს...

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-40-41-42-43-44-45-46-ში NN

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები
(არასისტემატიზირებული)

ბრალი ასკეზისისა

ეს არის ბრალი ადამიანისა ადამიანის მიმართ, რომელიც მოევლინა ქვეყნიერებას, გაიაზრა, განიცადა სიღრმე ვერაგობისა, გაუტანლობისა, ამაოებისა. მას არ სურს, შეერთოს საზოგადო ცხოვრებას; უარყოფს ადამიანურ ყოფას — რუტინას, საზრისს; გაურბის ადამიანის ნაკვალევს. ეს გააზრება იმდენად ღრმა და შთამბეჭდავია მასში (უნდა ვიფიქროთ რომ ესაა უფლის დაშვება ამ ადამიანებში), რომ ის მზადაა დაგმოს ადამიანური ყოფის ყველა წვრილმანი და ნიუანსი, განიცადოს ტანჯვა კაცთა მოდგმის ცოდვების გამო, წამებული და წვალებული შეერთოს უფალს, რადგან მისთვის ხსნის სხვა საშუალება არ არსებობს. ცხადია, ამ ადამიანს არ აქვს ბრალი უფლის მიმართ, ვინაიდან ის არის მისთვის უბიწო. მას აქვს ბრალი მხოლოდ ადამიანთა ცხოვრების წესის გამო, რომლის შეცვლა მას არ შეუძლია. მას ურჩევნია, დატოვოს ეს საზოგადოება, ჩაიკეტოს და განმარტოვდეს იქ, სადაც ხმა და დრტვინვა ცხოვრებისა არ აღწევს. ბერული ცხოვრება და ასკეზისი ამ ბრალის დადასტურებაა; სწორედ ადამიანური ბრალის გააზრებით მივიდნენ ასკეზისამდე. მათ, თავიანთ არსებაში ნაწილად მყოფი დიდი ძალა ღვთაებრიობისა, აძლევთ საშუალებას, მთელი სისრულით გაიაზრონ სამძიმო საკაცობრიო ცოდვები; აიღონ ისინი თავის თავზე; მისცენ საკუთარი გული, სხეული, სიცოცხლე, რათა ერთხელდასამუდამოდ წარიხოცოს ადამიანის შუბლიდან ბრალისა და დანაშაულის მისკვალი. ესენი არიან საზოგადოების სეგმენტური სფეროს სხივოსნური ფრთის წარმომადგენლები — განმწმენდ-განმანათლებელი ძალები, რომლებიც გამუდმებულად ახლავან კაცობრულ ცხოვრებას. ისინი თავისი ზეკაცობრული, ზოგჯერ ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი არსებობის წესით, უფლის გზას კვალავენ, მაგალითს იძლევიან, ამართლებენ ადამიანად ყოფნის აზრს და კაცში ღვთაებრივი ბუნების არსებობას ადასტურებენ.

ჩვეულებრივი ადამიანის დაუსრულებელი ბრალი იღებს სხვადასხვა ფორმას, რომელიც უმთავრესად გაუცნობიერებლობის შედეგია, და თვით გაცნობიერების შემთხვევაშიც კი, ის არაა თანახმა იცხოვროს ბრალის გარეშე, რადგან ვნებათაგან დაშრეტილი და გამოფიტული ვერ აგრძელებს დაუნდობელ სამყაროსთან ურთიერთობას (მისი ბიოლოგიური არსი არ აძლევს საშუალებას, შეცვალოს ზოგადი განწყობილება და დამოკიდებულება თავის მსგავსებთან). მათგან განსხვავებით, ბერებისა და წმინდა ადამიანების გარეგნობაც, მათი ცხოვრებაც და მოღვაწეობაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ადამიანთა

მოდგმის წმინდა ხაზები არიან და ყველა დროში, რაღაც კანონზომიერებით, საზოგადოების განსაზღვრული სექტორს იკავებენ. დაშვებულია წმინდაც და არაწმინდაც, — გასაგებია, მაგრამ სადავოა, ადამიანის ბუნების მქონე, არაწმინდა გენეტიკური ხაზის მატარებელ ადამიანს, რამდენად შეუძლია დაძლიოს ვნება ბრალისა — გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად.

ბრალით შეზღუდულობა — რელიგიური ფანატიზმი

ამ ბრალის განხილვისას დაისმის კითხვა: სწორად გაიაზრა თუ არა ადამიანმა თავისი არსება სამყაროს მიმართებაში; სამყაროს შემოსვლა მასში; ადამიანის ფორმაცვალება მის მიმართ; ხორცშესხმა, სულის ჩაბერვა, ცოდვა-დაცემის სიმძიმე, მისი ტარება; ისტორიული (ფილოგენეზური) გრადაციები; ერთი და იგივე ადამიანის შინაარსის ფორმა-ცვალება (ონტოგენეზი): ყრმობა, ახალგაზრდობა, მოწიფულობა, ხანდაზმულობა, სიბერე-გარდაცვალება; ამ მიწიერ ტანჯვაში — მიწიერ საზრუნავებში აზროვნებით თავისებურებებში უფლის გამოსახვა, — ცნობა-აღიარება. სწორედ, ამ საკითხებზე წარმოსახვა-წარმოდგენების მოუმწიფებლობის გამო, ფანატიკოსებმა განსხვავებული ინტერპრეტაციები ბრალის საგნად და მიზეზად წარმოადგინეს. სიცოცხლის მომნიჭებელი წყაროს ერთიანობის მიუხედავად, ბრალით შეზღუდულობამ და ეგოცენტრულობამ ვერ დააშვებინა ამ ადამიანებს, რომ უფალი საყოველთაოა... აიგივებს რა, ფანატიკოსი საკუთარ თავს ჭეშმარიტებასთან, მისი აზრით, „სხვა დანარჩენი“ არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტების მატარებელი — გამოდის ბრალით მათ მიმართ, ქმნის მათგან მტრის ხატს, რომელსაც, თავისი აზრით, უნდა ებრძოლოს...

ბრალი, როგორც ადამიანის დაცემული ბუნების გამოვლინება, რასაც მოჰყვა ადამიანის გამოძევება სამოთხიდან

ედემში მოარულ ადამიანს უჩნდება — აკრძალულის საპირისპირო დაშვება ანუ „არას“ საწინააღმდეგო ბრალი, რომელიც მის სულიერ დაცემაში გადაიზარდა. ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც იყო, არის და იქნება. თუ სულიერი სამოთხის მქონე ადამში „დაიშვა“ ბრალი, წარმოვიდგინოთ, რა ხდება ვნებათაგან შეპყრობილ ადამიანებში, რომლებიც ბრალის ოკეანეში ცურავენ... აღმოჩენა იმისა, რომ ადამმა დაკარგა სამოთხე — ჩაიდინა ცოდვა, არის გამუდმებული განცდა, რაც აძლევს ადამიანს მუდმივი ანალიზის საშუალებას და უნარს, იწრთობოდეს საკუთარ თავთან ბრძოლაში.

„ცნობადი ხის“ ნაყოფის დაგემოვნების დაშვებამ, ადამიანის არსი საბოლოოდ გაყო უფლისმიერ და მიწიერ არსად. გაორებული ადამიანი დაეშვა დედამიწაზე, როგორც მფლობელი და განმკარგავი ბოძებული „სიმდიდრისა“, თვისტომთა და უცხოტომთა მიმართ ბრალით შეპყრობილი, რომელიც მისი ქმედების, მოღვაწეობის საფუძველთა საფუძველია; სწორედ ეს „მიწიერი“ აზროვნება აღძრავს მას სამოქმედოდ...

„ცნობადი ხის“ ნაყოფის დაგემოვნება იყო არჩევანი სამარადისო, ადამიანურობის განმსაზღვრელი და მინიჭებული შანსი — აირჩიოს უფლის სამყოფი თუ განიდევნოს იქედან.

ხოლო ბრალი — სისინი გველისა, არსაიდან არ მომდინარეობს — არამედ, არის ბუნება და ხასიათი გველურისა ადამიანში, რომელიც ყოველთვის წამოყოფს თავს სხვათა დადანაშაულებისა და „განძარცვის“ მცდელობისას, (აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ წინა-შემდგომი დრო უფლის განზომილებაში შესაძლოა სრულიად „სხვაგვარადაა“, ვიდრე ადამიანს ეს ჰგონია...).

ის, რომ იშვა შთამომავალი კაენი — ბრალით შეპყრობილი ძმისა და ქვეყნიერების წინაშე, ხოლო დაშვება იმისა, რომ მას ჰყავს ძმა თვინიერ და მოშიში უფლისა, ადასტურებს კაცობრულ არსში ღვთაებრივის დაშვებასაც — და რომ, ეს ორი ბუნება, როგორც დაიყო, ისევე, კვლავ ღვთაებრივ არსში გამთლიანდება.

ბრალი მითოლოგიაში

წარმოსახვა-წარმოდგენები, რომლებმაც მითოლოგიური პერსონაჟები შობეს, მოჰყვა ბრალს ღმერთის, ადამიანების, საზოგადოებების, ბუნების სტიქიონების წინაშე. დაუცველ-დაუკმაყოფილებელ, სტრესულ და, რაც მთავარია, გაუცნობიერებელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებში შთაგონებადობა მეტი იყო. ფანტაზიას უკიდეგანო საშუალება ჰქონდა, თავისი წარმოსახვები გაეშალა. საზოგადოებრივი მორალი და ზნეობა, ჯერ კიდევ, ჩარჩოებში მოქცეული არ იყო. გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული ბრალით, მითოლოგიურ ხანაში, დაუკმაყოფილებელი სურვილების კომპენსაცია ხდებოდა... ადამიანის დედამიწაზე „დაშვების“ მომენტიდან მისმა ფანტაზიამ — წარმოსახვამ ყველა შესაძლო მოვლენის: ბუნების, სამყაროს, საზოგადოებრივი ურთიერთობის მისეული სინთეზი — მათ შორის დასაშვებიც და არადასაშვებიც მოახდინა (თუმცა ამ უკანასკნელის დასაშვებლობა სადავოა). ამ აზროვნებამ შექმნა მითოლოგიური ერა, ვიტყოდი — კაცობრიობის „ცხელი აზროვნების“ ერა. ამ მოვლენამ დასაბამი მისცა კულტურას, ხელოვნებას, მხატვრობას, პოეზიას. მითოლოგიურ ერაში ფანტაზიების შეჯვარება-გადაჯვარედინებას საზღვარი არ გააჩნდა... ამ თავისუფალ, შეუზღუდავ და ბევრჯერ აბსურდულ აზროვნებაში ყალიბდებოდა ადამიანებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობები... გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში წარმოშობილი, უამრავ გაურკვევლობასთან და გადაულახავ სიძნელეებთან ჭიდილში და ამ ურთიერთობებისგან ნაწარმოებ-აგლუტინირებულ, გაუფილტრავ ფანტაზიებში წარმოიშვა უამრავი ბრალი. ბრალი — განსხეულებული ფანტაზიებში, წარმოსახვებში, აზროვნებაში, გახდა კიდევაც, ბუნებაში არ არსებული — ჰიბრიდული და აგრავირებული პერსონაჟების შექმნის მიზეზი.

წარმოსახვათა შეჯვარება-ჰიბრიდიზაცია დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს, შეიძლება ითქვას, რომ საზღვარი არ არსებობს მის შესაკავებლად. ამ ფანტაზიებმა წარმოშვეს კიდევაც დღევანდელი ცივილიზაცია თავისი ტექნოლოგიებით და მიღწევებით, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, იქნება თუ არა ეს ეგრეთ წოდებული „ცივილიზაცია“ კაცობრიობის უკეთესი მომავლის გარანტორი.

თაობათა შორის დაპირისპირება და ბრალი

„ჩვენი ახალგაზრდობა გამოირჩევა უდარდელობით, უფროსების მიმართ უპატივცემულობით, ტრადიციების უგულებელყოფით, თავაშვებულობითა და ლოთობით...“ — ეს წარ-

წერა აღმოჩენილი იქნა შუამდინარეთში გათხრების დროს, ეკუთვნის შუმერების ცივილიზაციას და ის 5000 წლის წინაა შესრულებული. სხვადასხვა დროსა და საზოგადოებაში ახალგაზრდებისადმი დამოკიდებულება და შესაბამისად, შეფასებებიც განსხვავებული იყო. ჩემი მხრიდან ვიტყოდი: ახალი თაობა ასპარეზზე ახალი მისიით გამოდის. ძველის გადაფასების მცდელობისას იმართება ჭიდილი, რომელიც კანონზომიერია. ამ დროს ორთავემ უნდა დაინახოს: ერთმა — გზა, რომელიც ღირსეულად უნდა გააგრძელოს, მეორემ — გზა, რომელიც სულგრძელად უნდა დათმოს.

თაობათა შორის დაპირისპირებულობით აღძრული ბრალი ოდითგანვე არსებობდა. ბრძოლას ამომავალსა და ჩამავალს შორის ყველა დროში და საზოგადოებებში თავისი ნიშანი და დაღი ჰქონდა დასმული. დაპირისპირებულობა იდეური და ტრადიციული წინააღმდეგობებით, ასევე, თავად ადამიანის ონტოგენეზური განვითარების დონიდან გამომდინარე, სხვადასხვა მენტალობით და მათი ერთმანეთთან შეუსაბამობებით იყო განპირობებული.

ახალი იდეები ყოველთვის ხდება ძველის მსხვრევის მიზეზი — საკმაოდ მკვეთრი, დაუნდობელი, ძალადობრივი და ბარბაროსული მეთოდებითაც კი. სწორედ, ახალი სისხლი და იდეები იწვევდნენ ფორმაციების სახეცვლილებას. ხშირად ეს იდეები თან მიიყოლებდა არათუ დრომოჭმულ საზოგადოებას, არამედ დაუნდობლად ანადგურებდა „ძველის“ მიერ შექმნილ მატერიალურ-კულტურულ ძეგლებს, ღირებულებებს და მათ „ნანგრევებზე“ დიდი ენთუზიაზმით აშენებდა „ახალს“.

ძველსა და ახალს შორის იდეური დაპირისპირებულობისას ქარიშხალი შეიძლება ძალიან სწრაფად ამოვარდეს და თავისი დამანგრეველი ძალა უმოკლეს დროში განახორციელოს, თუმცა, ტრადიციების მყარ, ძირძველ, ფესვმაგარ სისტემას იდეური ქარიშხალი ადვილად ვერ არყევს. არათუ ერთი თაობა, მრავალი თაობაა საჭირო ტრადიციების საფუძვლიანი რყევისათვის. არის შემთხვევები, თითქოს ამოძირკვული ტრადიცია ხელახლა ფესვიანდება და იტოტება...

სად არის ბრალი ძველისა და ახლის დაპირისპირებულობაში? იდეური, თუნდაც, ტრადიციული დაპირისპირებულობა ახალ და ძველ თაობას შორის წარმოშობს არაერთ კულტივირებულ, არაკულტივირებულ და საფეხურიან „ბრალებს“ თავისი მრავალსახეობებით, რომლებსაც დაემატება ძალაუფლების მოპოვების, შენარჩუნების და ძალის დემონსტრირების კიდევ მრავალი ბრალი, რომლებიც განხილულია წინა თავებში.

თაობათა შორის ბრალს უმთავრესად განაპირობებს ადამიანის ონტოგენეზური განვითარების სხვადასხვა დონე, თავისი განსხვავებული ენერგიებით და შესაბამისი მოთხოვნილებებით, რომლებიც სრულიად განსხვავებულ განწყობილებებს და შესაბამისად, სხვადასხვა ბრალს წარმოშობს.

აქ შევეხებით ონტოგენეზური განვითარების ორ გარდამტეხ და მნიშვნელოვან პერიოდს, რომლებიც ხასიათობრივია ბრალის წარმოებაში. წინა მსჯელობებში აღვნიშნეთ, რომ ბრალი ჩანასახოვან ფორმაში იმყოფება ახალდაბადებულებშიც, რომელიც მის ზრდასთან ერთად ყალიბდება. გარდატეხის პუბერტულ პერიოდში იგი გამოკვეთილ სახეს იღებს. ე.წ. „დამჯერი“ ასაკის (7- 10 წ.-წ.) შემდეგ მოზარდში იწყება „ბრალის ამბოხი“. ამ დროს მოზარდში ქარიშხალივით შემოჭრილი ენერგიები მის ფიზიონომია-ფსიქიკას და შესაბამისად აზროვნებას ელვისებურად ცვლის. ამ ენერგიებით მოზარდი საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსებში იჭრება და იწყება საზოგადოებრივი ადათ-წეს-ჩვე-

ულებების, სკოლის, ოჯახის და მისი ტრადიციების რევიზია მისი მხრიდან; პარალელურად, ყველა მოზარდში ზედმეტ-ნაკლებად ყალიბდება საკუთარი მსოფლმხედველობა, რაც ართულებს არსებულ საზოგადოებრივ მანკიერებასთან მოზარდის ადაპტაციას. ამ ასაკისათვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმი, კატეგორიულობა, სულსწრაფობა, ზოგჯერ სისასტიკე, სიხისტე, პირადი გაუწონასწორებულობა იწვევს ამბოხს და, რასაკვირველია, ბრალს, რომელიც ინდივიდუალური ხასიათისაა. ამ დროს ხშირად წარმოიშობა ბრალი მშობლების მიმართ სხვადასხვა მიზეზით, — ხელმოკლეობით, სიდუხჭირით, სხვადასხვა მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით, ფიზიკური ნაკლით — თუკი ის არსებობს და ა. შ. ბრალი მოზარდებში, ასევე, წარმოიშობა იდეურ და ტრადიციულ ნიადაგზე; ზოგჯერ, მოზარდი უპირისპირდება სკოლას, ოჯახს, საზოგადოებას, გარბის სახლიდან, ხშირია დევიაციური ქცევები, ასევე, კრიმინალურ და საეჭვო დაჯგუფებებთან კავშირი და მათთან შერთვა... საზოგადოებისა და ოჯახის სწორი მიდგომების შემთხვევაში ყველაფერი დარეგულირებით მთავრდება, — მოზარდი „ასე თუ ისე“ ყალიბდება, ადაპტირდება და ერწყმის საზოგადოებას.

პუბერტული „ბრალის ამბოხის“ საპირისპიროდ განვიხილავ ადამიანის ონტოგენეზური განვითარების ინვოლუციურ პერიოდს — ხანდაზმულობას, რომელიც 50 წლის ასაკიდან იწყება და ღრმა სიბერემდე გრძელდება. კლიმაქსის პერიოდი ისეთივე გარდამტეხი და მტკივნეულია ადამიანისთვის, როგორც ქარიშხლისებურად ჰორმონების შემოჭრა პუბერტულ პერიოდში (მხოლოდ უპერსპექტივოდ!). სხვადასხვა ადამიანი ამ ასაკს სხვადასხვანაირად განიცდის, აღიქვამს და აფასებს; ეს დამოკიდებულია მის პიროვნებაზე. აქტიური, მოუსვენარი ცხოვრების წესის შემდეგ, ხანდაზმულებში ხშირია უფუნქციობით აღძრული ბრალი; საკუთარი პიროვნების მნიშვნელობის შემცირებით გამოწვეული ბრალი; ასევე, თვითბრალი იმის გამო, რომ ვერ შეძლეს შესაბამისი რეალიზება განვლილ ცხოვრებაში; გახდნენ შვილების სარჩენი და მოსავლელი, „ამძიმებენ დედამიწას“ და ა.შ.

ბრალი ხანდაზმულისა — საფუძვლით თუ უსაფუძვლოდ, მრავალ ასპექტშია საძიებელი. მხიარულების, ზარ-ზეიმის, ამაღლებული გუნება-განწყობილების მაფრთიანებელი ელექსირი მასში თანდათან იწურება, რის გამოც ის ხშირად, ცნობით თუ უცნობრად, დეპრესიაშია. ამას ემატება სხვადასხვა პათოლოგიები და დაავადებები, რომლებიც ასაკში წამოყოფენ თავს. ჩვენს სინამდვილეში, ასევე, ემატება საზოგადოებრივი აპათია, სიდუხჭირე და ზოგადი დეპრესია.

ამ გადმოსახედიდან, საპირისპიროდ ზოგიერთი მოსაზრებისა, ხანდაზმულთა გასამხნევებლად ვიტყოდი: სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია ხანდაზმულებში უარყოფითი ენერგიების სუბლიმაცია და ენერგიების დეფიციტის შევსება საკაცობრიო იდეალებით და თემებით; ასევე, კოსმიური ენერგიებით, რაც გამოიხატება ჩვენს ირგვლივ არსებულ სამყაროსთან კავშირის გამყარებაში; რეალური არსისა და მიზნების კვლევა-ძიებაში, მის აღმოჩენაში და მასთან დამოკიდებულების გაღრმავებაში. მისასალმებელია, რომ არსებობენ ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ჰორმონული „დეფიციტის“ პირობებში სასიცოცხლო ენერგიას იკრებენ და ინარჩუნებენ; ნეგატიურ ენერგიებს განდევნიან და ბრალს არ აღძრავენ ოჯახის, ახლობლების, საზოგადოებისა და, რაც მთავარია, ახალგაზრდების მიმართ.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-46-ებში
და ანთოლოგიის მე-5-11 ტომებში)

ბაზალეთი

* * *

ისქანდერ-მუნში, თავისივე სიტყვებით, აშკარად ამბობს, რადგან ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის ვილაიეთის დანგრევაო. შემდეგ კახეთზე შაჰ-აბასის ლაშქრობისას, ხალხის და ქვეყნის აოხრებას თეიმურაზს მიაწერს. მისგან ასეთი შეფასება თეიმურაზ I-ის მიმართ ხომ უსამართლო ტენდენციურობაა. ირანელი მემატიანე კახეთში შაჰის ლაშქრობების შესახებ, მოიხსენიებს ყველა მაღალჩინოსანს, ირანელებსაც და ასევე ქართველ სარდლებს, რომელნიც კახეთის ომებში თავდადებულ წინააღმდეგობებს უწევდნენ ყიზილბაშებს. მისგან ჩამოთვლილი ყველა მოქმედი პირი, თავიანთი როლებითა და გვარ-სახელების მოხსენიებით, მათ შორის არ იხსენიებს გ. სააკაძეს. განა შეიძლებოდა ისქანდერ-მუნშს იმ ვითარების ყველა შემსრულებელი პირის ვინაობა, მათი მოქმედებათა შედეგები აღეწერა და სააკაძე კი გამორჩენოდა? მით უმეტეს, მის გარშემო მტრის კრიტიკული თვალი სულ ჩასაფრებული იყო. როდესაც სააკაძისთვის ხელსაყრელი დრო შეიქმნა და მომწიფდა ჟამი მარტყოფის აჯანყებისთვის, გამარჯვებამ დაანგრია ირანული უძლეველობის მითი, განადგურდა შაჰის მრავალ ათასიანი ჯარი. აი მაშინ აიმაღლა ხმა ისქანდერ-მუნშმა სააკაძის შესახებ და დაარისხა საგანგაშო სიტყვები, ბედუკუღმართი, უნდო, გურჯი მოურავი, ირანის მტერი. „დრომ ბევრი მტვერი აჯანყებისა აყარა ადამიანებს, და ბევრი სისხლიც დაიღვარა და დამცირების მიწას აურია ჯანყი და შფოთი“, რომელიც ბედკრული, დაკარგული მოურავ ქართველის უმადურობისა, აჯანყებისა და ამბოხების გამო ატყდა. ყარჩიხა-ხანი, რომელიც 30 ათასიანი ჯარის სარდლად დაინიშნა შაჰისგან, უმადური მოურავის მახვილით მოიკლა და მოწამებრივი სიკვდილით ხარისხი მიიღო. ბედუკუღმართი მოურავი, განჯა-ყარაბახის მხარეში მუსულმანები რომ დახოცა, თბილისისაკენ გაეჩქარა, რათა თბილისის ციხე მუსულმანებისთვის წაერთმია და ხელში ჩაეგდო. მაღალი ღმერთის შემწეობით, ანტონ-მარტყოფელის სულის თანადგომით. მოსახდენი მოხდა, მარტყოფის გამარჯვებით აღმოსავლეთ საქართველომ თავი დაიხსნა მტრის ხელყოფისაგან. ირანელმა მემატიანემ მათთვის საუბედურო მდგომარეობის გამოხატვის სიტყვებიც არ დაიშურა. მის სიტყვებშია ნაგულისხმევი შაჰ-აბასის გამწარებული მდგომარეობაც. ამავე დროს მტრისაგან სამართლიანი შეფასება. სააკაძის ირგვლივ, როგორც ირანის მტრის შესახებ, როდესაც ისქანდერ-მუნში კახეთის ტრაგედიაში თეიმურაზს ადანაშაულებს, ჩვენ გვაქვს უფლება მისგან ეს აზრი გავიზიაროთ? ან ვიქნებით მართლები თეიმურაზის წინაშე, როცა ისიც ვიცით, რომ ირანელი მემატიანის შეფასება ამ შემთხვევაში ტენდენციურია და შაჰის დანაშაულებს, შემსუბუქების მიზნით, სხვას, ამ შემთხვევაში თეიმურაზს მიაწერს?

იმ დროის ქართველმა ისტორიკოსებმა და ასევე დღევანდელებმაც მშვენივრად იციან ირანელი მემატიანის თეიმურაზისადმი წაყენებული ბრალეულობის უსაფუძვლობა. მაგრამ მემატიანის ხელით ხომ დაიწერა და დარჩა. რომელიმე ქართველ ისტორიკოსს ოდესმე გაუწყვეტია შუბლის ძარღვი და ცდილა ეს მოვლენა უარყოფით გამოეყენებინათ, და ბუნდოვანი კვალი დაეტოვებინა ქეთევან დედოფლის შვილზე. ან ვინმე ოდესმე გაბედავს მომავალში რაიმე არამართებულის დაწერას, ირანელი მემატიანის იმ შემთხვევაში თეიმურაზის მიმართ უსაფუძვლო მოსაზრებაზე რაც არ უნდა სატანების არმია შეუჩნდეს.

ახლა წარმოვიდგინოთ ის ბრალდებები, რასაც ირანელი მემატიანე თეიმურაზს მიაწერს, როგორც კახეთის დარბევის მიზეზს. ისეთივე მსგავსი ბრალდებები სააკაძისთვის მიეწერა და დაებრა-

ლებინა და შემდეგ ეს ირანელი მემატიანეს ნათქვამი სააკაძის ოპოზიციურ მხარეს ხელში ჩავარდნოდა? ხომ გასაგებია როგორ გამოიყენებდნენ იმ დროის გავლენის ქვეშ მყოფი ქართველი მემატიანენიც და დღევანდელი ნაწილი ოპონენტები. არაფერი არ ჩანს, არაფერი დაუტოვებიათ მემატიანეებს სააკაძის წინააღმდეგ რეალური და ქაღალდზე შავით თეთრზე დაფიქსირებული, გარდა 1625 წლის მარტყოფის გამარჯვების შემდეგ როდესაც რადიკალურად შეტრიალდა სააკაძის დამოკიდებულება შაჰ-აბასთან. ჩვენი მემატიანენი, მეტად ვახუშტი ბატონიშვილი ირანში სააკაძის ყოფნის დროს როცა მისგან 1614-1617 წლებია ნაგულისხმევი, როგორც შაჰ-აბასისთვის სამსახური. დავაკვირდეთ, ირანელი მემატიანე ისქანდერ-მუნში სწორედ ამ წლებში არ მოიხსენიებს სააკაძეს, როგორც შაჰთან კახეთში ყოფნის დროს. იგი მხოლოდ 1625 წლიდან ეხება სააკაძეს. ისქანდერ-მუნში თავისი ხელმწიფის, შაჰ-აბასის, საამებლად, როგორც ჩანს არაფერს დაიშურებდა და მეორეს მხრივ, ქართველებისგან ჯარ-განადგურებული ირანის ქვეყნის მეისტორიეს თვალთა-ხედვა, სააკაძე ირანის მტერი, სამართლიანია. მარტყოფის მარცხით გაუნელებელი ტრაგედიით მას ირანის მტერს უწოდებს. ახლა გადავხედოთ ბაზალეთის მოვლენებში მის შეფასებას, როცა ამბობს სააკაძის გვარის დაბალ წარმომავლობაზე, მისგან დიდებულთა გვარზე უფროსობა პირდაპირ შემაშფოთებელი იყოვო. ქართველებს შორის ბაზალეთური დაპირისპირება ისქანდერ-მუნშს ხომ შეეძლო სუბიექტურად გამოეყენებინა და მარტყოფით გამოწვეული ტრაგედიული განცდა, სააკაძეზე მეტი აუგი, უარყოფითი სიტყვებით გამოეხატა თავისი მოსაზრება. მისი შეფასებით ჩვენ საშუალება გვეძლევა, როგორც მტრის თვალთახედვის ორიენტირება, ქართველთა შორის დაპირისპირებაში სწორი აზრი გამოგვეტანა.

ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ჩვენ კიდევ გვიხდება შაჰისაგან კახეთში შექმნილი მოვლენების მოყვანა. თუ სააკაძე გაძევებამდის და გაძევების შემდეგ აქ თავის მიწა-წყალზე საქვეყნო მიზნებისათვის ხშირად იჩენდა დიპლომატიური ხერხების გამოყენებას, ცხადია, როცა ის ირანში მტრის კარზე იყო, მტერთან ყოფნა უფრო მეტად მოითხოვდა ყველა ნიუანსების მისგან აზომვაწონვას და ვითომ ერთგულების დამტკიცების მხრივ, თავის გადარჩენის მიზნით, დიპლომატიური აზრიანობით გზების მოძებნას. შაჰის პიროვნული თვისებების განხილვა ჩვენ მხოლოდ როგორც მტრის ხასიათებში ჩახედვა გვესაჭიროება და გავიხსენოთ 1605 წელი, როდესაც შაჰმა კახეთის მეფის, ალექსანდრეს შვილი კონსტანტინე თავისთან აღსაზრდელად მოითხოვა, როგორ შთააგონა თავისი ამბიციები და მამისა და ძმის მოსაკლავად შეამზადა, რომ კახეთის ტახტი დაეკავებინა. ისმება კითხვა: შაჰმა ვინმეს შთაგონებით, ვინმესგან ძალდატანებით ან „აზრახებით“ გააკეთებინა მისგანვე გადაგვარებულ კონსტანტინეს ეს ვერაგი საქმე? კახეთის ტრაგედია ხომ აშკარად გვეუბნება თვითნება მტრის ხასიათებზე, რომ ის ისეთი მტარვალი იყო და ის სარგებლობდა თავისგანვე შექმნილი ძალაუფლებით, ისე ააღორძინა თავისი მეფობის დროს.

ირანულ სახელმწიფოს იმდენი ჯარი და შეიარაღება ჰყავდა, ისტორიკოსთა აზრით მისი რეგულარული ჯარების რაოდენობა 120ათას მეომარს აჭარბებდა. შაჰს ეს ჯარები ამ რაოდენობის მხოლოდ ქვეყნების დასაპყრობად სჭირდებოდა და ამის გამოც იჭერდა თადარიგებს. როდესაც შაჰი ირანის აღორძინებაზე ფიქრობდა, მის გეგმებში ხომ შედიოდა ჯარების გამრავლებაც. მაშ რისთვის სჭირდებოდა შაჰს ამდენი რაოდენობის ჯარი, თუ არა ქვეყნების დასაპყრობად? რახან შაჰმა თავისი ქვეყანა მოაღონიერა, უძლეველობის რწმენა განუმტკიცა ირანელ ხალხს, იქვე იბადებოდა მეზობელი ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილების იდეაც. დაპყრობილი მოსახლეობის ხარჯზე კი შაჰის — სევანური ჯარის შექმნა (შაჰის მეგობარი ჯარები). შაჰისაგან დასაპყრობად დაგეგმილ ქვეყნებს შორის ნაგულისხმევი და გადაწყვეტილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს ბედიც, რაც ზემოთ მოყვანილი 1605 წლის კახეთის სამეფო კარზე დატრიალებული ტრაგედია, შაჰის ვერაგ ხასიათებს ნათელს ჰფენს. აქვე მოვიშველიებთ მაჰმადიანურ, კერძოდ, ირანულ იდეოლოგიურ ნათქვამს „ქართველები გასაწყვეტად მეტად ცოდონი არიან, მაგრამ გასამრავლებლად მეტად საშიშნიო“. თუ ვინმეს ზეგავლენა მას ესაჭიროებოდა, თუ მას ისე არ სურდა, როგორც შაჰს მიაჩნდა საჭიროდ და როგორი უზურპატორიც ის იყო, სხვის მითითებულზე გააკეთებდა რამეს? თუ ვინმეს ზეგავლენას მასზე რეაგირება შეეძლო, მან ხომ უბრძანა იმამყული-ხან უნდილაძეს, ქეთევან დედოფლისათვის სარწმუნოება შეეცვალა. ხომ ეცადა უნდილაძე, ხომ აუწყა შაჰს ქეთევანის მდგომარეობა, რომ იგი თავის რწმენის ერთგული დარჩებოდა, ხომ ხედავდა შაჰი, როგორ ცდილობდა, როგორმე დაეცვა უნდილაძეს დედოფლის სიცოცხლე, მუსულმანობის მიღებით როგორ ებრალებოდა სასიკვდილოდ

გამეტება. არ უნდა გაეწია ანგარიში ირანის კარზე ასეთი ავტორიტეტის მქონე იმამყული-ხან უნდილაძისათვის? არაფერ სირთულეს არ წარმოადგენს იმის ნათლად დანახვა, თუ რატომ სჭირდებოდა და ცდილობდა სააკაძე შაჰის ფსიქოლოგიაში ნდობის მოპოვებას, რომ ყველაფერი იცის შაჰის გეგმებისა, როგორმე ირანიდან წამოსულიყო და მერე კი იმ სულის სიდიადემ უნდა განსაზღვროს, რამაც შვილი ბევრჯერ გამოატირებინა. საქართველოს მხოლოდ ასეთი დიპლომატიური ფსიქოლოგიით და წონასწორობით თუ მოუტანს გადარჩენას. რა ვუყოთ რომ პაატას შაჰი თავისთან იტოვებს, ეს კი მტერთან მეტი ნდობის სიმტკიცის საშუალებას აძლევდა. როგორი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ 120 ათასიანი მეომრის პატრონმა შაჰ-აბასმა სხვა ქვეყნის დაპყრობითი პროგრამა გვერდზე გადადო და აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად დასაპყრობად გამოგზავნა, მარტყოფის ომში 30 ათასი მეომარი, მარაბდის ომში 50 ათასი მეომარი, მათ კიდევ დაემატათ 10 ათასი მეომარი. მთლიანი რაოდენობა 90 ათას მეომარს შეადგენდა. სააკაძისა და მის გვერდში მდგომი ქართველებისაგან განადგურდა მტრის 65 ათასამდის მეომარი. საქართველოში შემოსული 90 ათასი მეომრის პატრონის, შაჰ-აბასის გონება ოდესმე იფიქრებდა იმას, რომ ქართველებთან ზავი დასჭირდებოდა? ვისი მეშვეობით მოხდა ეს? ირანულ არმიებს საქართველოს დაპყრობა კი არა, ყორჩიბაშს გასაქცევად გაუხდა საქმე. სააკაძის 12 წლიანი დიპლომატიური დათმენა სასიკეთო შედეგს იღებდა, ქვეყანა ამოსუნთქვის პირას იდგა. ზავის პირობით, შაჰის წისქვილზე ისხმებოდა თეიმურაზისაგან წყალი. იმ კონკრეტული 1626 წლის მიმდინარე დროში უცხო ქვეყანაში წასვლის და საქართველოს გაერთიანების გზების ძებნის მისია სააკაძეს არ ჰქონია. როგორც კი ცნობილი გახდა სააკაძისთვის შაჰის ზავის პირობაზე თეიმურაზის დათანხმება, აი იმის შემდეგ იმედ-გადაწურული გადადის იმერეთის სამეფოში და გიორგი მეფესთან ცდილობს შეთანხმებას, მისი შვილი ალექსანდრე ერთიან საქართველოს მეფედ მოიწვიოს, და უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ასეთი კავშირებით საიმედო პირობა შექმნას ერთობლივი ძალით ირანთან დაპირისპირებისა. მით უმეტეს, ამდენი თავდადებული ომი, მრავალათასიანი მტრის ჯარები მისი მეშვეობით განადგურებული იყო, თეიმურაზსა და ნაწილ დიდებულთა ურყევი პოზიცია ვერაფრით ეთვისებოდა, უმცირესი გვარის სააკაძისეულ ქვეყნის გაერთიანების გეგმას.

უნდა აღინიშნოს სააკაძისა და შაჰ-აბასის ურთიერთ-საწინააღმდეგო იდეოლოგიური მდგომარეობაც, რაშიც დიდი როლი შეასრულა მათ შორის განსხვავებულმა ფსიქოლოგიურმა თვისებებმა. კერძოდ, შაჰ-აბასში, მის სხეულ-გონებაში გაჟღენთილი იყო მტერთან მტრული, დაუნდობელი პოზიცია, ეს მაშინ, როცა შვილი მამას მტრად მოეჩვენებოდა, გინდ შვილიშვილიც. და თუნდაც ახლო კაცი და თანამოაზრე. სამტრო ვითარება იმ დროშიც შაჰის კარზეც ბევრი ხდებოდა მათი იდეოლოგიური ცნობიერების წარმოჩენისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ირანელი პოეტი საადი, რომელიც მაჰმადიანური სივრცის თვალთა-ხედვასაც განსაზღვრავს: „დამარცხებულ მტერს ნურც ნურავინ შეიბრალებს, როგორც კი ძალას მოიკრებს ის მაშინვე დაგთხრის თვალებს“. ამ იდეის მატარებელი შაჰის გონება ორიენტირებულად განსაზღვრავდა სააკაძის სამტრო მხარის პოზიციას თუ რა ეწადათ ნაწილ თავადებს მოურავისათვის. პოეტ საადის მოძღვრება გადანერგილი შაჰის ფსიქოლოგიაში, რომ მტერს თავისი უნდა მიაგო, საშუალებად გახდა სააკაძისათვის ირანულ ჯართან ერთად საქართველოსაკენ წამოსულიყო. შემდეგ რაც მტრის არმიებს თავს დაატყდათ, ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია. რა იყო დიდი მიზეზი იმისა, რომ სააკაძემ შაჰ-აბასზე აღმატებული იდეით და ტაქტიკით გაიმარჯვა. რახან ირანელი პოეტის იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი მაჰმადიანური სივრცე და ორიენტაციებსაც ამის გათვალისწინებით იღებდნენ. ახლა სააკაძის ფსიქოლოგიას შევხედოთ, თუ რა ფესვებზე იყო დამდგარი და გავიხსენოთ ჩვენი დიდი პოეტი შოთა რუსთაველი, როდესაც იგი ამბობს: „ოდეს მტერსა მოერიო ნუღარ მოჰკლავ შეიბრალე, გინდა სრული რაინდობა ეს სიტყვები დაიხსოვნე“.

ქართველ ხალხს კი ისეთი გულის სიმართლის თვალთა ხედვა აქვს, არასოდეს გამორჩება ყურადღებიდან იმ დროის ისტორიკოსთა თუ თანამედროვე ისტორიკოსთაგან სინდის-მინდობილი სიმართლისაგან განხილული მოვლენების ანალიზი. ირანელი პოეტის, საადის, შთაგონებული მოძღვრებით, შაჰ-აბასს ეგონა, სააკაძე თანამოძმეთაგან შექმნილ სამტრო მხარეს სამაგიეროს გადაუხდიდა. მოტყუვდა, პირიქით მოხდა, საადის იდეოლოგიის მიხედვით, სააკაძემ მართლაც მტრული სამაგიერო, როგორც მოსისხლე მტერს, ისევ შაჰ-აბასს გადაუხადა ჯარების განადგურებით. რუსთაველისეული იდეოლოგია ქართველი ერის სულიერების ანარეკლია. ყოველი ერის თვისებები და

ღირსებები პოეზიაში, პროზაში და საერთოდ, ხელოვნებაშია გაცხადებული. მიმტევებლური თვისებები ყოველთვის ჭარბობდა ქართულ ხასიათს, გულ-გახსნილი ღიმილით ეგებებოდა ყველა გზადაკარგულსა და სამშობლოდაკარგულს. ამის დასტურია ჩვენს ქვეყანაში მრავალი ეთნიკური მოსახლეობის დამკვიდრება. რუსთაველისეული ამაღლებული სულით ნასაზრდოები იყო სააკაძის ხასიათი. მაშ, როგორ უნდა აიხსნას ის მოვლენა, ბაზალეთის ომში მოპირისპირე მხარის დანდობა შეძლო. მოპირისპირე მხარემ მის მაგივრად დავით გოგორიშვილი მოკლა, რაც თეიმურაზის მომხრეთაგან სააკაძის მოკვლას ნიშნავდა. ტანისამოსელის შეცვლის გამო გოგორიშვილი სააკაძედ იქნა მიჩნეული, მიესივნენ მძლავრად თითქმის ყველა ერთად, ყველაზე დიდი მონდომებით ზ. ერისთავი უტევდა, სააკაძე ხომ ხედავდა, როგორი უშეღავათონი იყვნენ მის მიმართ, ველარ გაჩერდა კარავში და გამოენთო საომარ ველზე. იმ გაცეცხლებულ ვითარებაში ახლა ედიშა ვაჩნაძემ გამოიდო თავი, მეფის ყმას უფლება მაქვს მოურავს შევებრძოლოვო და პირდაპირი იერიშით ღონივრად დაუშვა ხმალი ახალგაზრდა ედიშამ სააკაძის მოსაკლავად. იმ დაწყვეტილ გულზე სააკაძისაგან ველარ მოიძებნა შემაკავებელი ძალა, რამეთუ ედიშას ნახმლევი ძალზედ მძიმე გამოდგა სააკაძის მუზარადზე და მალევე ედიშაც თავისივე უტიფრობის მსხვერპლი შეიქნა. სააკაძის ხასიათში ისევ უმთავრესს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ბაზალეთის მოვლენებმა, საქართველოს გაერთიანების საქმე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრამდის მიიყვანა. დაეღუპნენ მრავალი თანამებრძოლები, გაიწირა შვილი პაატა, პირისპირ აღმოჩნდნენ ის თანამემამულენი, რომელნიც მტრის განადგურებაში ერთად იღებდნენ მონაწილეობას. დაიხარჯა ზღვა ენერგია, ასეთი იდეის განხორციელება სხვა დროში და სხვა შემთხვევაში როდისღა მოხდებოდა? სააკაძის ფიქრებში ხომ ელავდა ეს განცდები. სააკაძეს იმ შემთხვევაში თეიმურაზ I სასიკვდილოდ რომ გაემეტებინა, გამარჯვება ხომ მყისვე მის მხარეზე გადავიდოდა. სააკაძემ იმ გაფიცხებულ გულზე მაინც დაინდო თეიმურაზი. არადა, ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ. მისი ასეთი დამნდობი ნაბიჯი მის მომხრეებზეც გადავიდოდა, სასიკვდილო რიტმი თავის თანამემამულეებზე შეანელა. ისევ მეფე დააყენა თავისზე წინ, რაც იმ შემთხვევაში სამშობლოსათვის ანგარიშის გაწევას ნიშნავდა. ბაზალეთის ომშიც კი გამჟღავნდა მისგან ცენტრალური ხელისუფლებისადმი პატივისცემა, რაც მაგალითად და ფორმულად მეფე სიმონ I-ისაგან მოდიოდა. მეფე შეუნარჩუნა იმ მიწა-წყალს და ხალხს, ვისთვისაც შვილი გაწირა. თეიმურაზზე ლახტის გადაკვრა სააკაძისაგან უფრო ადუღებული უმადურობის გულისწყრომაა გამოხატული. რადგან მეფე იყო თეიმურაზი, მეფის წინაშე დათმობა სავალდებულოა, რამეთუ ღვთით კურთხეულია, მაგრამ რა ვუყოთ როცა იგივე მეფე სააკაძისა და მის გვერდით მდგომი ქართველებისაგან და თვით თეიმურაზისაგანაც ჯარგანადგურებული მტრის — შაჰ-აბასის სასურველ პოზიციაზე დგება იმ მიზნით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა შეინარჩუნოს?

„სამართლიანობა ითხოვს ითქვას, სააკაძე ხალხთა თვისებების შემცნობი, მოვალე იყო უფრო ღრმად ჩაეხედა თავის საკუთარ გულის ხმაში, მასზედ უკეთესად ვინ იცოდა, რომ ვერ იყო სასიკვდილოდ გამმეტებელი თავისივე თანამოძმეებისა, ვისთვისაც შვილი გასწირა, ამდენი სისხლი და ოფლი დაღვარა, უნდა ცდილიყო ბაზალეთამდის არ მისულიყო საქმე. აკი გამოჩნდა კიდეც იმ გაფიცხებულ ომში სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა მეფე, შეუნარჩუნა სიცოცხლე და შეინარჩუნა მაღალი ბუნება. მაგრამ ბაზალეთიც ხომ მოხდა! სამოქალაქო ომები მრავალ ქვეყანაში მომხდარა — იტალია, სარანგეთი, შვეცია, გერმანია, ინგლისი და თუნდაც მუსულმანურ ქვეყნებში. ამდენად არც ჩვენი უნდა გაგვიკვირდეს, სამოქალაქო ომი იყო სამეგრელო-იმერეთის, ქართლ-კახეთის, გურია-სამეგრელოსი. სამოქალაქო ომების შიდა არსი მოიცავს მაორიენტირებელ როლებს ახლის ხედვისა და პროგრესულ აზრთა სიჯანსაღეს. ბაზალეთის ომი მარტო იმიტომ კი არ არის უბედურება, რომ ქართველები შეეტაკნენ ერთმანეთს, არამედ იმიტომაც, რომ ამ ომში დიდი მოურავი დამარცხდა და ჩაიშალა ის საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია, ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო.“

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი

დავით ახლოური,
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის,
ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის
თავმჯდომარე, მწერალი, პროფესორი



იკოთის სტუმრები

სოფელი იკოთი მდებარეობს ახალგორის ჩრდილოეთით, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 3 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 960 მეტრზე. მიეკუთვნებოდა ბოლის თემს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

იკოთში მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა, რასაც იქ აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს... იგი თავის აღწერებში მოხსენიებული აქვს XVIII საუკუნის გერმანელ მოგზაურს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს, რომელიც ახდენს სოფლის ლოკალიზაციას და მიგვითითებს, რომ მდებარეობს მდინარე გუმაელაზე (ბუნელა – დ.ა.), ლორწობნის მთის დასავლეთ ძირთან და ემორჩილება ქსნის ერისთავს.

იკოთისაკენ მიემართებოდა ახალგორიდან სამოქალაქო გზის ჩრდილოეთის გაგრძელება. გაივლიდა კორინთას, ლარგვისს, ქარჩოხს და ქარჩოხიდან ლომისის გადავლით არაგვის ხეობას, დარიალს და ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა. ქარჩოხიდან მდინარე ქსნის მიმართულებით, დასავლეთით გზას ჟამურის ხეობაში მივყავდით.

ახალგორიდან იკოთის გავლით გადავდივართ რატიშვილების სამფლობელოში – ყანჩავეთში, საიდანაც ქოლოთ-ქვითკირისა და ისროლის ხეობების გავლით გზა მიემართებოდა მეჯვრისხევში.

ახალგორიდან იკოთისა და კორინთის გავლით დაკავშირება ხდებოდა ალევისა და საფერშეთის ხეობებთანაც. საფერშეთის მეშვეობით კი ფასანაურთან.

არაერთი სახელოვანი ადამიანის სტუმრობა ახსოვს იკოთს, სოფელში მოსახლე ფიცხელაურები ხშირად მასპინძლობდნენ დიდ ქართველებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ექვთიმე თაყაიშვილს, შიო არაგვისპირელს, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს...

ნიკოლოზ ფიცხელაურის მონათხრობით, ილია იკოთში პაპამისს – ივანე ფიცხელაურს მიუწვევია... „კარგადაც მოულხენიათ. პაპაც ახალი ჩამოსული ყოფილა რუსეთიდან. ილიას უკითხავს, რამდენი შვილი გყავსო. სამი ბიჭი და სამი გოგოო. ილიას ღიმილით მიუგია – შენ რუსეთში ხარ და ესენი საიდანაო...“

აკაკი წერეთელს ცნობილი ლექსი – „აღმართ-აღმართ" ახალგორში დაუწერია. ლექსის დაწერის ადგილი ბარდანაულის აღმართია... ბარდანაული იყო ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს. ლექსს მითითებული აქვს – 1876, 1 იანვარი ს. ახალგორი... აკაკისთვის საზეიმო წვეულება ახალგორის მეზობელ სოფელ იკოთში, ფიცხელაურების ეზოში დღესაც მდგარ კაკლის ხესთან მოუწყვიათ...

გალაკტიონი 1938 წელს იმყოფებოდა ქსნის ხეობაში, სადაც მოუნახულებია ახალგორი, იკოთი და კორინთა. „ქსნის ხეობა სიყვარულით შეეგება მგოსანს, მიართვეს ალპური მდელოს ყვავილები – ფრონტე, შროშანი, კესანე, ედელვაისი... მისალმებები, ლექსის ალავერდები, დიდებული სუფრა და ულამაზესი სულის მასპინძლები... ყველაფერი პოეტურად ერწყმის ერთმანეთს, ლხინი და მის ლექსებზე შექმნილი ჰანგები“...

იკოთელი პედაგოგის, ქალბატონ თამარ გიგაურის ცნობით, გიორგი ლეონიძემ ახალგორში სტუმრობისას დაათვალიერა ხეობის ღირშესანიშნავი ადგილები: ერისთავების სასახლეები, ცაგარელების ულამაზესი სამსართულიანი სახლი სადგურის სიახლოვეს და შემდეგ ესტუმრა იკოთს, სადაც გამოუკითხავს ილია ჭავჭავაძისა და შიო არაგვისპირელის სტუმრობის ამბები. პოეტს მასპინძლობდა იკოთის მკვიდრი, მაშინდელი პარტიული მუშაკი მიხეილ გიგაური. მისი სტუმართმოყვარეობითა და გულუხვობით აღფრთოვანებულ გოგლას კედელზე სამახსოვროდ ლექსი მიუწერია: „ახალგორი ვინახულე და ბუნება იქაური, ვაჟკაცობით მომეწონა ჩვენი მიშა გიგაური“.

ცალკე საუბრის თემაა ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობა იკოთთან. დიდმა მეცნიერმა ფიცხელაურების ოჯახში ბევრ ისეთ ისტორიულ დოკუმენტს მიაკვლია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოს ისტორიის შესწავლაში. გავიხსენოთ თუნდაც ქართული სამართლის უნიკალური ძეგლი „გარიგება ჴელმწიფის კარისა“, რომელიც სწორედ იკოთში უნახავს. ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვსო – ბრძანებდა ივანე ჯავახიშვილი. მართალია ტექსტის ნახევარზე მეტი დაკარგულად ითვლება, მაგრამ გადარჩენილიც ფრიად ღირებული წყაროა. ექვთიმემ ასევე იკოთში მიაკვლია ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობას, სხვა 35 სიგელ გუჯართან ერთად, რომლებიც „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" მუზეუმს დიდსულოვნად გადასცა ვახტანგ ივანეს-ძე ფიცხელაურის დედამ... ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საგანძური ინახებოდა ქსნის ხეობის ამ უმშვენიერეს სოფელში... ამ საგანძურის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სასულიერო პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ილარიონ ჯაში: „ბევრი გუჯრები მინახავს სოფელ იკოთში მცხოვრებელი აზნაურის ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურის სახლში... ამათ გუჯრებში ხშირად ნახავდით გიორგი XIII-ის მოწერილს ხელს და ბეჭედს. ეჭვი არ არის, რომ ამ გუჯრებში ბევრი საინტერესო რამე მოიძევება". ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ყურადსაღებია ის ნივთიერი კულტურა, რომელიც ახალგორის მოურავების ოჯახში ინახებოდა, მათ შორის ტყავზე დაწერილი „ვეფხისტყაოსანი" და ლურჯ ქაღალდზე ხელნაწერი გრამატიკა, რომლებიც ილარიონ ჯაშისთვის დედინაცვალს – იკოთელ ფიცხელაურის ქალს უჩუქებია. იმ დროს ჯაში თბილისის სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლე იყო, ხელნაწერი წიგნები ერთ-ერთ მასწავლებელს გამოურთმევია და აღარ დაუბრუნებია... ილარიონის მონათხრობით, დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაურს, შემდგომში მთავარეპიკოპოს დოსითეოზს „დაუტოვებია ორი შესანიშნავი ხატი. ერთი მათგანი, როდესაც გაყრილან ეს ოჯახი ივ. ფიცხელაურის ბიძაშვილს (ქალს) შეხვედრია და დუშეთის ეკლესიისათვის შეუწირავს, მეორე კი დღესაც იკოთის ეკლესიაში ასვენია. ეს ხატი მთლად წაჰგავს რაფაელის მადონას და გარშემო ნაწილებია წმინდანების, თუ არ ვცდები რიცხვით ოც-და-ოთხი. ამ უკანასკნელ ხატში ქსნის ერისთავს გიორგის, კნეინა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანის მამას სამი სოფელი ყმითა და მამულით უძლევია დოსითეოზისათვის და მაინც არ მიუცია. ეს უთქვამს ჩემთვის ივანე ფიცხელაურს."

სამწუხაროა, რომ დღეს, იკოთში, არამცთუ საპატიო სტუმრები, არამედ ამ სოფლის მკვიდრნიც ვეღარ ახერხებენ მისვლას...

გოჩა ჭელიძე

გადმოცემის თანახმად

სვანეთში ოდითგან იცნობენ დალებს; აფსაათს – ზღაპრული ფრინველი; თანუშიას – ტყის ქალი; ქაჯს; მემბევრს – ტყის კაცი; არჯევანს – დევს; მათხეფს; მაქუნიას; პეჟვს – ბოროტი სულები; ხახატოს – კუდიანი; ურშვნას – ფრთოსანი გველი; შაშნარს – ჭინკები; მგელს; გვეფს; ქვესროლიაის; გველეშაპს; ნანადს; მლჩაქოლს; არტავოზს; მარაშენს; ფაზარს; ქესატაის; ულაერს; ბირვას; დურბელს და კიდევ ბევრს.

ამათგან ყველაზე მიმზიდველი და ფანტასტიკური სილამაზის არიან ოქროსთმიანი დალები. ისინი ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ მიუვალ კლდეებში და მფარველობენ კეთილშობილ ნადირს – ჯიხვს, არჩვს, ფრინველებიდან შურთხს. მათ ჰყავთ დედოფალი და აქვთ თავიანთი კანონები.

სვანური გადმოცემების თანახმად, დალებს ახასიათებთ ზეადამიანური ძალები, შეუძლიათ გამოიწვიონ ქარი, ზვავი, წყალდიდობა და ავდარი. გარდაიქმნებიან სხვა არსებად: თეთრ რაშად, თეთრ ჯიხვად, შურთხად, ჩვეულებრივ ქალად, აცვიათ ის, რასაც ისურვებენ, უმთავრესად თეთრი სამოსელი, ძვირფასი ქვებით მორთული, მბრძანებლობენ ღრუბლებზე, შესწევთ ფრენის ძალა, კლდეებს ადგილს უცვლიან, თმით მრავლდებიან. თავიანთი საწმყსოს დასაცავად გამუდმებული ომი აქვთ მგელთან, სვავთან და მონადირესთან.

ამ ღვთიური ძლიერების გამო დალებს მოკრძალებით იხსენებენ: „დალ ბედნიერი“, „დალ დალოცვილი“, „გზადალოცვილი“. დალების ხსენება ხშირად არ შეიძლება, რაც იმას ნიშნავს, რომ დალი გაწყრება.

დალები ფიზიკური აღნაგობით მიწიერი ქალების მსგავსნი არიან. მათი მშობიარობა ისეთივე მტკივნეულია, როგორც ქალისა. მისი კივილი მთელ ხეობას ედება, უფრო კლდეებში მშობიარობენ.

ხშირად სილამაზით გამორჩეული ქალღმერთი დალი მონადირეს შეიყვარებს. მონადირეს დამეგობრებული დალი ერთგულებას მოითხოვს მისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მწარე სასჯელს მიუზღვავს. თუკი მონადირისაგან შვილი შეეძინება, ის გმირი გამოდის – ამირანი.

თანამედროვე ეპოქაში ქვეყნები იგონებენ და ქმნიან მითებს და ამით ცდილობენ ცნობილები და პოპულარულები გახდნენ. ჩვენ ამის საჭიროება არ გვაქვს. დროა დაიწყოს აქამდე ცნობილი და ჩვენი ქვეყნის მხარეებში ჯერ კიდევ შემორჩენილი, უცნობი და ნაკლებად ცნობილი მითოლოგიურ – მისტიკური პერსონაჟების თვალსაჩინოების შექმნა. აღნიშნული დამსახურებულად სულ მცირე ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობის კიდევ მეტ ამაღლებას.

ლეგენდის თანახმად მითიური გმირი ამირანი მიჯაჭვული იყო კავკასიონის ქედზე, სვანეთში უშბაზე.

ბატონი ვახტანგ ონიანის მიერ შექმნილი უნიკალური მონუმენტი "ამირანი', რომელიც იდგა სიღნაღში და აღებული იქნა სიღნაღიზაციის დროს ამჟამად დასაწყობებულია თბილისში.

შემოვდივარ წინადადებით: შევადგინოთ პეტიცია

საინტერესო ძეგლის რესტავრაციის და ზემო სვანეთში შესაფერის ადგილზე დადგმის თაობაზე. ამ ღონისძიების განხორციელების შემთხვევაში, ეს ძეგლი გადაიქცევა ტურისტების საკულტო ობიექტად, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოს ტურისტულ ცნობადობს და სვანეთში შესამჩნევად გაზრდის ტურისტულ ნაკადს.

* * *

1899 წლის 13 ოქტომბერს გავრცელდა წერილი წმინდა ათონიდან. წერილი ნათლად ასახავს იმ დროინდელი საქართველოს უძლურებას. ქართველი საეკლესიო მოღვაწეები ანალოგიურ მდგომარეობაში იქნებოდნენ წმინდა მიწაზეც: მეცხრე საუკუნიდგან დაწყებული, ვიდრე საქართველო შეუერთდებოდა რუსეთს, ათონის მთაზედ დიდებულ ივერიის მონასტერში არ შეწყვეტილა ქართული წირვა-ლოცვა. ქართველების წინამძღვრების ხელში იყო ეს ძვირფასი საუნჯე და მასთან ერთად კიდევ ბევრი ბრწყინვალე სავანე ბრწყინავდა აქაც და პალესტინაშიაც. 1852 წლიდან მოკიდებული, როცა რუს-ოსმალთა ომი დაიწყო, ქართველების მოძრაობა საზღვარ-გარეთ და აქაც ნელ-ნელა შემცირდა, ასე, რომ ამ ორმოც-და ათის წლის

განმავლობაში, მეტადრე კი ამ ოც-და ათის წლის წინათ, ივერიის მონასტერში სულ ხუთიოდე ქართველი ბერიღა ირიცხებოდა მონასტრის ძმათა შორის, ისინიც მონასტრის ზღუდეს გარეთ, წმინდა ილია წინასწარმეტყველის საგანდეგილო უდაბნოში, თავიანთ ნებითვე დაყუდებულნი. ესენი იყვნენ: ჩვენის სასიქადულო აწ გარდაცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ძმა ბესარიონი, მოძღვარი ქრისტეფორე ახვლედიანი, სამი კიდევ სხვა და ერთიც რატიანი. ამ პატარა დასაყუდებელ სავანეში ახლა ერთი-ღა დარჩა. ამ საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ ბარკალაიამ, აწ მღვდელ-მონაზონმა ბენედიქტემ, მოიყვანა ათონის მთაზედ რამდენიმე სამონაზვნოდ მომზადებული ქართველი და მიჰმართა ივერიის მონასტერს, ხოლო ამ უკანასკნელმა ისინი შიგ მონასტერში აღარ შეიწყნარა, მონასტრის გარეთ მისცეს მათ ადგილი წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სავანე სენაკი, სადაც ძველ ქართველებს საღვთისმეტყველო აკადემია ჰქონიათ. მისცა ეს ადგილი ისე, როგორც მონასტრის ძმებს და თან ნება დართო აეშენებინათ საჭირო შენობები და ახალი ეკლესია. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ნეტარ ხსენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა და მაშინდელმა ქართველთა საზოგადოებამ. მიეცა ქართველ ძმობას კონდაკი საქართველოში შესაწირავის მოკრეფისათვის და კაიძალი ფული მოიკრიფა. დაიწყეს სავანის შენება, ჯერ-ჯერობით ორმოცდაათი სულისთვის ააშენეს სახლი და ზედ მიადგეს ეკლესია. როცა ეკლესია სრულდებოდა და ყოველივე მასალა მზად იყო, გუმბათიც დადგეს და ის ის იყო უნდა დაეხურათ, რომ მოცვივდნენ ბერძნის ბერები ივერიის მონასტრითგან და ეკლესიის გუმბათი ჩამოანგრიეს. ამ ნაირად ქართველთა მონაგარი შეწირულების თითქმის ერთი მესამედი ასე შეუპოვრად და უღვთოდ განადგურდა. ამ ხნიდან მოკიდებული აგერ ოც-და ათი წელიწადი სრულდება, ქართველთა ძმობისა და ივერიის მონასტრის ბერძენთა შორის დავა არ შეწყვეტილა. ჭეშმარიტად ძნელი ჩამოსათვლელია, რა წვალება და რა სივიწროვე, რა ნაკლულევანება გამოიარეს. თუმცა რუსეთის მთავრობამ სამუდამოდ შეიწყნარა ქართველთა სავანე 42 ბერით და ივერიის მონასტრის ოცი ათასი თუმნის რუსეთიდგან შემოსავალისაგან სამასი თუმანიც განუწესა, როგორც დახმარება დავის გადაწყვეტამდის; ოსმალეთის მთავრობისაგანაც ბევრჯერ მოუვიდა ბრძანება აქაურ მმართველობას „არ შეეხოთ ქართველ ძმობას“-ო, მაგრამ ყოველივე ცდა დროებითი აღმოჩნდა. ივერიის მონასტერის ბერები მაინც არ აძლევდნენ მოსვენებას ქართველ ბერებს. ბევრჯერ მოუხტნენ იარაღით ხელში და მოუნდომეს გარეკვა სავანიდან, მაგრამ ქართველები, რამდენადაც მათ ეს შეეფერებოდათ, როგორც ბერებს, წინ აღუდგნენ. ამრიგად დიდის წვალებითა და ტანჯვით დღემდის გაუძლეს ამ წვალებას. აგერ ოცი წელიწადია, რაც ძალას დაადგნენ ივერიის ბერძნის ბერები და ნებას არ აძლევენ ქართველ ძმობას იხმარონ შეშა და წყალი და ააშენოს ანუ შეაკეთოს დაზიანებული შენობები. ამათს საცოდაობას მთელი ათონი ჰღაღადებს და ვგონებ არა ერთსა და ორს პატივცემულს ქართველებსაც უხილავს თავიანთის თვალით., მხოლოდ ამათ საქმიაგოდ ხმის ამომღები კი არსად არავინ არ არის. ეს არც საკვირველია, რადგან ქართველები ძველადვე ფატალისტები იყვნენ და ახლაც ვგონებ ასეა. „რაც ღმერთსა და ბუნებას უნდა, ის იქნებაო“. „ვინც არა სტირის, იმას არა უჭირს რაო“, ნათქვამია და მათ საქმეც ასე ჰგონიათ. მე კი დამტკიცებით ვიტყვი და ვარწმუნებ ყველას, რომ ამ საცოდავებს ნამეტანის ტირილისაგან ცრემლებიც - კი შეაშრათ, მაგრამ ხსნა მაინც არ არის. ამ რამდენისამე დღის წინათ ქართველმა ძმობამ გადაწყვიტა ერთი პატარა ქოხი აეშენებინა სავანის ხორაგეულებისა და შეშის დასაწყობად. დაუწყეს შენება, მაგრამ ჯერ სვეტებიც კი არ დაესოთ, ამოვიდა ივერიის მონასტრიდგან სწორედ წირვის დროს ოთხი კაცი ოთხის ათონის მთის ჯარის კაცით და სრულიად შეუპოვრად გამოუძახეს წინამძღვრის მოადგილეს მამა იონას და წყრომით უთხრეს, რატომ არ შეგვატყობინე თუ რამეს აშენებდითო. როცა ათონის მთაზედ მოვედი, იმ დროს აი ეს წარბები რომ მაქვს, -თითი წარბებზედ მიიდვა – ამდენი ულვაშები ძლივს მქონდა წმინდა მამანო, – მიუგო მამა იონამ, – მხოხოლოდ თქვენგნით ვერავითარი შეწყნარება და კაცური თანაგრძნობა ვერ ვნახე. აგერ, ხომ ხედავთ, დავბერდი და სრულიად გავთეთრდი; რა არის, რას გვერჩით, რას გვიშავებთ, რატომ არ შეხედავთ ღმერთს ან რატომ არ გაიხსენებთ თქვენი მონასტრის დამაარსებელ წმინდა მამებს, რად არ გვაძლევთ საშველს; რა დაგემართათ, რომ წირვა მიატოვეთ და ასე უბრალო, სრულიად უმნიშვნელო საქმისთვის აქ ამოგვეჭერით და ასე გვიჯავრდებითო? ჩვენც კაცები ვართ და ღვთის გაჩენილებიო; ჩვენც ცხოვრება გვინდა და რას გვერჩითო. ეს სიტყვები ქართულად იყო წარმოთქმული, ხოლო ერთს, საქართველოში ნამყოფ ბერძნის ბერს, კახური ღვინით და კახელების პურ-მარილით გამაძღარს, ესმოდა რომელმაც გადასცა ეს სიტყვები უკლებლად სხვა მის ამხანაგებს. ამასთან მამა იონამ ბევრჯელ სთხოვა მათ ასულიყვნენ სასტუმროში და ყავა მიერთმიათ ათონის საზოგადო წესისამებრ, მაგრამ ისინი გაანჩხლდნენ და უბრძანეს თავიანთ ჯარის-ჯაცებს დაენგრიათ შენობის სვეტები და აქეთ-იქით გადაეყარათო. ეხლა კი გაწყდა ამ

ნახევარის საუკუნის განმავლობაში მოთმინებით აღსავსე ქართველების აჯა და პიარ-დაპირი წინააღმდეგობა გამოუცხადეს; არ მისცეს ნება დაენგრიათ და მშვიდობით წაბრძანება ურჩიეს. მოგეცათ ღვთის წყალობა, რომ ისინი ძალიან მოლბნენ და ძალიან ჩქარაც გაუდგნენ გზას. მეორე დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ივერიის მონასტრის ბერებმა მიჰმართეს უფრო უმძლავრეს საშუალებას – აქაურ პროტს, მთელი ათონის სამმართველო კრებას, ჩამოაგზავნეს რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რამდენიმე ბერი და დაანგრიეს შენობა. ქართველების ძმობამ კი მთავრობას მიჰმართა თან დეპეშები დაუგზავნა რუსეთის ელჩსა და წინამძღვარს მამა ბენედიქტეს. ბერძნებმა კი სასწრაფოდ სხდომა მოახდინეს ათონის საყოველთაო საკრებულოში და გადაწყვიტეს: არ მისცენ ქართველებს არაფრის აშენების ნება და იხმარონ ყოველი ღონისძიება, ძალით ან ნებით გარეკონ ისინი ათონის მთითგან. ასეთ მდგომარეობაში არის დღეს საქმე და საერთოდაც გადაწყვიტეს ქართველებმა გაუძალდნენ მონასტერს და არ მოშორდნენ ამ მათის შრომით აღგებულს სავანეს. თან სთხოვენ ქართველთ საზოგადოებას შეეწიონ და აღმოუჩინონ რამე დახმარება. გევედრებით ძმებო, ნუ დასტოვებთ თქვენს სისხლსა და ხორცს ქართველებს, თქვენთვის მლოცველებს, ამ საშინელ მდგომარეობაში. იქ გვიშუამდგომლეთ, სადაც ჯერ არს; შეგვეწიეთ ღვთის გულისათვის, უკიდურეს მდგომარეობაში ვართ. ასეთის გლოვა-ტირილითა და ღაღადით მოგმართავთ დღეს, ქართველნო, 40 სულიერი მოხუცი მამა, რომლებსაც მეტის მეტი გაჭირვებისგან მოთმინება გასწყვეტიათ და მზად არიან უსამართლობას შეებრძოლონ. /ვარშანსკი. ერთი თაყვანისმცემელი. ქართველთა შორის მართლმადიდებელ ქრისტიანობის საზოგადოების საყურადღებოდ. ივერია. 1899 წ. # 220. გვ. 2-3/. ბერძენთა მხრიდან ქართველი სამღვდელოების შევიწროების უგულველყოფას რუსეთის ხელისუფლება ნაირგვარი მიზეზით ხსნიდა. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხელშეუხებლობა, საეკლესიო ცხოვრებაში ხელშეუხებლობა, მძიმე საგარეო-საომარი ვითარება თურქეთთან, დაძაბული შიდა იმპერიული ვითარება და სხვა. ფაქტიურად რუსეთი ეძიებდა გზებს ქართველი ბერების მორჩილებაში მოყვანისათვის. საამისო გზად ბერების უკიდურესად დაკაბალება და მათი მძიმე მატერიალური მდგომარეობით სპეკულირება ესახებოდა. /ქეთევან პავლიაშვილი. საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში. გვ. 136/. ზუსტად ამ პროცესებს შეეწირა სხვა მრავალი ეკლესიის მსგავსად ქართული ივირონი.

გოჩა ჭელიძე

ჩემმა მშობლებმა ივერი ჭელიძემ და ნელი გელაშვილმა თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნეს ერთმანეთი. მალე 1969 წელს ოჯახიც შექმნეს და ზემო სვანეთში დაფუძნდნენ. დედა ნელი გელაშვილი მესტიის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოღვაწეობდა და მისი მოღვაწეობა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას მიუძღვნა. ნელი გელაშვილმა ჩვენს სამშობლოს და მის გამორჩეულ მხარეს სვანეთს დაუტოვა ძალიან საინტერესო ეთნოგრაფიული ნაშრომები. დედის გარდაცვალების შემდეგ მოვაგროვე მისი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა და წარმოგიდგენთ ნაწილს, რომელიც ქალის დაწინდვის და დანიშვნის წესს შეეხება.

ნელი გელაშვილი

1. სვანური საკრავები

სვანეთის ეთნოგრაფიისა და ისტორიის მუზეუმში დაცული მუსიკალური საკრავები - ჩანგი და ჭუნირი ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში ეროვნულ სიმღერებთან ერთად ქმნიდა და ავითარებდა ეროვნულ სამუსიკო საკრავებს, რომლებსაც იყენებდა როგორც ლხინში, ისე გასაჭირის ჟამს. ქართული ხალხური მუსიკისა და სიმღერების კვლევაჯერ კიდევ 2 საუკუნის წინ

დაიწყო. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო დიმიტრი არაყიშვილის და ზაქარია ფალიაშვილის, ვ. სტეშენკო-კუვტინას გამოკვლევები თუ ცალკეული წერილები. სხვადასხვა დროს ამ საკითხზე არაერთი გამოკვლევა ეკუთვნით: ვ. ახობაძეს, გრ. ჩხიკვაძეს, ბ. გულისაშვილს, ვ. გვახარიას, ლ. ფრუიძესა და სხვებს.

სვანური ხალხური სიმღერებისა და საკრავების შესწავლის საქმეში პრიორიტეტი ეკუთვნის ცნობილ მუსიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ზაქარია ფალიაშვილს. მან პირადად იმოგზაურა სვანეთში და შემდეგ კი სპეციალური წერილი გამოაქვეყნა „ჩემო მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები“. მოვიყვან ფრაგმენტს ამ წერილიდან:

ჩავედით თუ არა სოფელ უშგულში შემოგვესმა მშვენიერი მწყობრი სიმრერა სამ ხმაზედ გავიხედეთ მარჯვნივ და დავინახეთ მთიდან ჩამომავალი 10-15 იოდე წლის ქალების გუნდი, აი სწორედ მათგან მოდიოდა ეს სიმღერა. რომ არ მენახა ჩემი თვალით, მე სრულებით არ დავიჯერებდი, რომ ზემოხსენებულს სიმღერას მღეროდნენ ქალები, და არა კაცებით. მინდა ავღნიშნო, რომ ის სიმღერა იყო გაწყობილი სამ კაცის ხმებისათვის, ე. ი, 1 და 2 მოძახილის და ბანისთვის, რომელსაც მწყობრად ასრულებდნენ ეს ქალები. მართლაც და განცვიფრებაში მომიყვანა იმ შემთხვევამ, რომ მთელ ჩემს მოგზაურობაში სრულებით არ შემხვედრია ქალებში წმინდა ხმა - სოპრანო, თუმცა სვანეთში მომეტებული ნაწილი მომთერლებისა არიან ქალები. იმათში ბევრი ვნახე ღრმა დაბალ ხმიანი - კონტრალტო, რომელიც ძლიერ ჩამოგავს კაცების ხმას - ტენორს. ეს შემთხვევა აიხსნება იმით, რომ სვანეთში კაცი და ქალი მუდამ მღერიან ერთად ხოროთი და, რადგან კაცის ხმა საზოგადოდ დაბალია ქალისაზედ ერთი ოკტავით, ამიტომ ქალებს თავისი ხმა შეუწყვიათ მათი ხმის დიაპაზონისათვის, რის გამოც ღრმად შეუმუშავებიათ ხმა. ეს გარემოება ძალიან სასიამოვნოა, რადგან საზოგადოდ ქალების ხმებში კონტრ-ალტო ისეთი იშვიათი და დასაფასებელი არის, როგორც კაცების ხმებში ტენორი. გრამოფონში ჩაწერილი მარტო ქალების ნამღერი რომ გაიგონოთ, არას გზით არ დაიჯერებთ, რომ მღერიან ქალები და არა კაცები. აი აქ მინდა მკითხველს გავაცნო თუ ზოგიერთი სვანური სიმღერა კილოთი როგორ ჰგავს ქართულ კახურს. ავიღოთ მაგალითად ყანსავ ყიფიანე. ეს სიმღერა, როგორც ყველა ქართული საზოგადოდ არის შეწყობილი სამ ხმათ. წარმოიდგინეთ, რომ ჰარმონიაც კი ამ სიმღერისა მოგაგონებთ კახურ ოქროს დიელას, თუმცა სიმღერისათვის შესასწავლად პირველი უფრო ადვილია, რადგანაც აქ ვერ შეხვდებით იმ სიძნელეს ინტერვალებში, რაიცა არ აკლია ქართლ-კახურს და ჭარბად კი აქვსთ გურულ-იმერულ სიმღერებს. კიდევ მაგალითი: დიდება თარგძელ - დიდება მთავარანგელოზებს. ეს სიმღერა სვანებში მიღებულია როგორც პირველი დასაწყისი ნადიმისა. თუმცა შინაარსი ამ სიმღერისა სასულიერროა, მაგრამ კილოთი კი ძალიან ჩამოგავს ქართლის სიმღერას მკის დროს. ამას გარდა სვანებს ბევრი სიმღერა აქვსთ საცეკვარი, რომელიც უფრო ჩამოგავს რაჭულს კილოს და ერთ-ერთი იმათგანი კახურს ცანგალას. გურულ-იმერული სიმღერების კრიმანჭულს სვანურ სიმღერებში ვერ შეხვდებიტ სრულებით. მეორე მოძახილს კი აქვს ის განსაკუთრებითი თვისება, და ემორჩილება იმ კანონებს სამუსიკო თეორიისას, რომელსაც შეხვდებით ყველა ქართულ სიმღერებში. თუმცა მაგალითად ბევრი შემიძლია მოვიყვანო, მაგრამ სჯობს, როცა კრებულათ გამოვცემ ყველა ჩემ შეკრებილ სიმღერებს, მერე ერთად ვიმსჯელოთ, რადგან ეს არის ჩემი საკუთარი შეხედულება სვანურ სიმღერებზე. ოთხი სიმღერა სვანურ ინსტრუმენტებზე ჩანგზე და ჭუნირზე ჩავწერე, რომლებსაც მღერის ერთი კაცი და კილო ამ სიმღერებისა საშინლად ვამსგავსე რაჭულ მესტვირეს და ერთი ამ სიმღერათაგანი ვოსარერა კი ნამდვილად მოგვაგონებს ქართულ თქმულებას. ამ სიმღერების გარდა ჩავწერე კიდევ სოფელ იფარში და სოფელ ეცერში სულ 28 და იქაც იგივე კილოები შემხვდა. ზაქარია ფალიაშვილი. ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური-სახალხო სიმღერები. /ივერია 1903 წ. № 175/.

საყურადღებოა, რომ ზაქარია ფალიაშვილს სვანეთიდან ჩამოუტანია სვანური მუსიკალური ინსტრუმენტი ჩანგი და ჭუნირი და გადაუცია ისინი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისთვის. სვანურ ხალხურ სიმღერებზე და მუსიკაზე მან მეტად საგულისხმო დასკვნა მოგვცა. იგი წერს: სვანური სიმღერები თავისებურებებითა და ახალის ჰანგებით იმდენად

საინტერესოა, რომ მათი შესწავლა და სამუსიკო მწერლობაში გამოყენება ახალ აზრს და დასკვნას მიგვაღებინებს საქართველოს ამ საინტერესო კუთხის შესახებ. /ზ. ფალიაშვილი. ქართული ხალხური სიმღერების კრებული. 1909 წ. გვ. 4/.

სვანურ ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს შემდეგში სათანადო ადგილი დაუთმო კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა. ის სხვა მუსიკალურ საკრავებთან ერთად ეხება სვანურ ჩანგს და ჭუნირს. ამ საკითხებზე მან სპეციალური ნაშრომიც გამოაქვეყნა. /სვანური ხალხური სიმღერები 1950/.

სვანურ მუსიკალურ საკრავებს ეხება აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი 1938 წელს გამოცემულ ცნობილ წიგნში ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები.

სიმებიან საკრავთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ჩანგი, რომელიც ქართული მწერლობის უძველეს ცნობილ ძეგლებში არ გვხვდება. როგორც ჩანს, ეს სახელი შედარებით გვიან, მე-10, 11 საუკუნეებში უნდა იყოს გაჩენილი. ქართული ორიგინალური თხზულებებიდან ყველაზე მეტად ამ საკრავის შესახებ ცნობებს ვხვდებით შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“.

როგორც ივანე ჯავახიშვილი ფიქრობს, ტერმინი ჩანგი საქართველოში სპარსეთიდან შემოტანილი და შეთვისებული სახელია. ჩანკ - სპარსულთან ერთად ერთის მხრივ სპარსთა და ინდოელთა ოდესღაც არსებულ არფას ეწოდებოდა, რომლის გამოხატულებაც სპარსეთის ქერმანშაჰის მე - 6 საუკუნის ბარელიეფზეა დაცული. მეორეს მხრივ კი ჩანგ სპარსულად საფსალმუნეს, ანუ ქნარს ნიშნავდა, რომელსაც ჩვეულებრივი სამკუთხედის, უფრო იშვიათად კი ოთხკუთხედის მოყვანილობა ჰქონდა და 6 ძალი ება.

2. ჩანგი

ჩანგის გაჩენაზე არაერთი თქმულებაა საქართველოში შემონახული. მათ შორის მეტად საყურადღებოა ია კარგარეთელის მიერ ჩაწერილი სვანური ლეგენდა: უხსოვარ დროს სვანეთში ცხოვრობდა ერთი გლეხი, რომელიც განთქმული იყო მთელ სვანეთსი თავისი სტუმართ-მოყვარეობით, კაცთმოყვარეობით და გულადობით. იგი მდიდარი იყო და მისი გულუხვობა ცნობილი იყო ყველა ღარიბისა და ბედშავისათვის. მას შვილი არ ჰყავდა და ეს იყო მისი მწუხარებისა და სევდის მიზეზი. ხანგრძლივი ლოცვისა და ვედრების შემდეგ ღმერთმა თავის მონას ვაჟიშვილი აჩუქა. ჭაბუკი აუწერელი სილამაზის იზრდებოდა. შურით შეჰყურებდა მას მზე და მთვარე.....

მოხუც მამას თავის ტკბილ სულზე მეტად უყვარდა ვაჟი. ჭაბუკუ ავად გახდა. ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგლიჯა მამას თავისი შვილი. მწარედ დასტიროდა მოხუცი თავის დაკარგულ იმედს. ვერ გაიმეტა მამამ დაესაფლავებინა შვილი ნესტიან სამარეში. მოხუცმა მამამ უსულო გვამს მოაჭრა მარჯვენა მკლავი, გაახმო მზეზე, მოღუნა ქნარივით, სიმებად შვილის ოქროსფერი თმები ჩააწნა, შეეხო მათ მთრთოლვალე ხელით და გადმოაფრქვია გულმოსკვნილი ჰანგები ნაღველით, ცრემლითა და მწუხარებით აღსავსე.

ჩანგის გარეგნული მოყვანილობა სულხან საბა ორბელიანის აღწერილობით, „მოდრეკილი საკრავია ძალთა“. მართლაც, სვანეთში დღევანდელ დღემდე დაცული ჩანგი მოხრილი საკრავია.

სვანურად ჩანგს ჰქვია „შიმეშკვე“, რაც ნიშნავს მოტეხილ ხელს. იგი სამკუთხა ფორმისაა და მოტეხილ ხელს გვაგონებს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ თქმულებებში სვანურში, კახურში, ჩანგის ჟღერა „მწუხარე ხმების“ გამომღებად არის ცნობილი.

მე-12-17 საუკუნეების ძეგლებიდან; „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „საამიანი“, „როსტომიანი“ ჩანგი პირიქით, ლხინისა და მხიარულების აუცილებელ საკრავად მოსჩანს. ცხადია, რომ დროთა განმავლობაში ჩანგის ჩანგის დანიშნულებაცა და მასზე დასამღერი ჰანგ-ლექსების შინაარსი სრულებით შეცვლილია.

უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის მუსიკალური საკრავები განუყრელ საუნჯეს წარმოადგენდა ლხინში, ნადიმსა და ნადირობაში, ბრძოლასა და ჭმუნვა - მწუხარებაში. „ვეფხისტყაოსანში“ ჩანგი სამ ადგილზეა მოხსენიებული: ბრძოლიდან გამარჯვებით დაბრუნებული ტარიელის პატივსაცემად ინდოეთის მეფემ ფარსადანმა დიდი ნადიმი გადაიხადა:

„კვლა გაგრძელდა ნადიმობა, ბარგითი და ჩანგთა ჟღერა“;

მეორე ეპიზოდში, ტარიელის პოვნისა და გაცნობის შემდეგ ავთანდილი არაბეთში დაბრუნდა, ყველამ გაიხარა ავთანდილის მოსვლით. ნადირობის დასრულების აღწერისას:

„ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალი იყვნეს რულნი“;

მესამე ეპიზოდში, ტარიელი ასე მიმართავს ზღვათა მეფეს:

„უქვეყნოდ მყოფთა არ გვინდა ნიშანგი, ნა-ჩანგ დაფენი“.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით მოწმდება, რომ ძველად საქართველოში განსხვავებული ზომის, ორნაირი დიდი და პატარა ჩანგი არსებობდა. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ დასაჭერი და დასადგმელი ჩანგი ერთი და იგივე საკრავი იყო, მათ შორის არსებული განსხვავება მხოლოდ ტექნიკური შესაძლებლობის ხარისხით განისაზღვრებოდა.

სვანეთში ამჟამად მოიპოვება 9 სიმიანი, 7 სიმიანი და 6 სიმიანი ჩანგი.

მთხრობელების გადმოცემით, ჩანგს ამზადებდნენ ძირითადად წიწვიანი ჯიშის ხეებისაგან. უფრო ხშირად ნაძვის, ფიჭვის, უფრო იშვიათად კი სოჭისა და ვერხვისაგან. ამათგან ყველაზე უკეთესია ფიჭვი. მას კარგი აკუსტიკა აქვს. ცდილობდნენ, რომ ჩანგისათვის სიმაბად შეერჩიათ თეთრი ფერის ძუა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სვანური სიმღერები ორ კილოში იმღერება ეოლიურსა და მიქსოლოდიურში. ბუნებრივია, რომ სვანური საკრავებიც ამ კილოებში უნდა იწყობოდეს. როგორც ჩანგის, ასევე ჭუნირის წყობა ადვილად თავსდება სვანური ხალხური სიმღერების აღნიშნულ კილოებში.

სვანეთის მუზეუმში ამჟამად დაცულია რამდენიმე ჩანგი. მათ შორის აშსანიშნავია ექსპოზიციაში მყოფი ჩანგი, რომლის საინვენტარო **#197-ია. იგი 7 სიმიანია, შემორჩენილი აქვს სამი სიმი. ტარი მოჩუქურთმებული აქვს.**

3. ჭუნირი

ჭუნირის წარმოშობის შესახებ მეტად საინტერესო ლეგენდაა შემონახული სვანეთში; თავიდან ჭიანურის გაკეთება ასეთი ყოფილა: ყოფილა ერთი კაცი, ყველა დახოცვია და დარჩენია ერთი ვაჟიშვილი. გვიან ესეც ავად გახდომია და მოკვდომია. ამდგარა ეს კაცი, ქელეხი გადაუხდია თავისი შვილისათვის და წასულა მის სასაფლაოზე. საფლავის ქვაზე ჩამომჯდარა და გლოვობდა თურმე ასე დიდხანს. იმდენი დაგვიანებია გლოვაში, რომ მთლიანად დაუფარავს მის თმას. იმხელა გრძელი თმა ამოსვლია, რომ ჭიანურის ძაფად ყოფნია. ამდგარა და გაუკეთებია ჭიანური, ძაფებად თავისი თმები გაუკეთებია და სიკვდილამდე მჯდარა შვილის საფლავზე და უკრავდა თურმე. /სვანური პროზაული ტექსტები, ტ. 3. 1967 წ. გვ. 56/.

ამ ლეგენდის სევდიანობა, ჩვენი აზრით, განაპირობა თვითონ ჭუნირის მგრძნობიარე ტემბრმა. იგი თავდაპირველად მწუხარებისა და ტირილის ინსტრუმენტი უნდა ყოფილიყო.

როგორც მთხრობელები ამბობენ, ძველად სვანეთში ავადმყოფის გასართობად უკრავდნენ ხოლმე. იგი ლხინში და ჭირში დასაკრავი საკრავია.

მელოდია-ინტონაციის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიცვალებულთან ღამის თევის დროს ჭუნირის დაკვრის წესი. სვანეთში ბოლო ღამეებს მიცვალებულს ახლო ნათესავები უთენებდნენ; მაშინ ჭუნირზე დამკვრელი მოხუცი კაცი ყველა გარდაცვლილ მახლობელს იხსენებდა და ჭუნირზე დაატირებდა.

გადმოცემის თანახმად, სადაც წუხილია, ჭიანურის ხმა მალამოდ მოქმედებს. იგი თანამგრძობიც არის და მაიმედებელიც. ჭუნირს მაგიური ძალა აქვს. მას შეუძლია გაგაგებინოს

როგორი ამინდია მოსალოდნელი. თუ კარგი ხმით უკრავს, კარგი ამინდი იქნება, თუ არა და ცუდი, ამბობენ მოხუცები.

როგორც ვხედავთ, ჭუნირის ტკბილი ხმა ძალას მატებდა ბუნებასთან შერკინებულ სვანებს.

სვანეთში ჭუნირის ძირითად ნაწილს „კარვას - რეზონატორი ნაძვისაგან ამზადებდნენ. ჭუნირის ტარის - ხელის გასაკეთებლად კი ვერხვის, ან არყის მასალას იყენებდნენ. ტარის ქვედა ნაწილს უყრიდნენ საკრავის მუცელში, რომლის თავი გადადიოდა მეორე მხარეს და მასზე ამაგრებდნენ სიმებს. შემდეგ კარვაზე ცხვრის, ან თხის ტყავს აკრავდნენ. იცოდნენ ნედლი ფაშვის გადაკვრაც, რომელსაც გააშრობდნენ კარვაზე და კანაფით ამაგრებდნენ. ჭუნირის ქვედა ნაწილი ღიაა, ამით ის განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში დაცული ჭიანურისაგან.

რეზონატორის ზედაპირი ერთ ადგილზე გდახვრეტილია და ზედ დევს ოვალისებური ჯორაკი - ჩაჟ. მასზე გადაჭიმულია ცხენის ძუისაგან სამი სიმი.

ჭუნირის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ხემად - ხემ, რომელსაც დ. არაყიშვილი უწოდებს ქამანჩას, ან ხემს, ივანე ჯავახიშვილი კი უწოდებს შვილდას. იგი შედგება თხილის მოღუნული წნელისა და ზედ გაბმული ცხენის ძუისაგან. ძუათა რაოდენობა უდრის 40-50-ს. ამგვარად გაკეთებულ ხემს გასაშრობად „შგილზე“ - კერის თავზე ათავსებდნენ.

ჭუნირის ტანის მეორე მხარეს უსვამენ ფისს, დროდადრო მას შეათბობენ ცეცხლზე და რამდენჯერმე გაუსვამენ ხემად-ს. ამით მას კეთილხმოვანება ემატება. საერთოდ ცეცხლისა და სითბოს გარეშე ჭუნირის დაკვრას ერიდებიან.

მისასალმებელია, რომ სვანეთში დღეს არიან სვანური მამა-პაპური საკრავების ჩანგის და ჭუნირის დამამზადებელი ახალგაზრდა ოსტატები. მუზეუმში დღეს მნახველს საშუალება აქვს ძველი საკრავების გვერდით დაათვალიეროს ახალგაზრდა ოსტატის - ედისონ გერლიანის მიერ გაკეთებული ჩანგი და ჭუნირი.

მუზეუმში დაცული ჩანგი და ჭუნირი ჩვენს დრომდე მეტად პრიმიტიულ ფორმებშია შემონახული, რაც მათ უძველესობაზე მიუთითებს. ისინი ჩვენამდე მოღწეულია როგორც სააკოპანიმენტო საკრავები. ნაწილი სვანური სიმღერებისა, სრულდებოდა როგორც ჩანგის ან ჭუნირის თანხლებით, ასევე ზოგჯერ ორივეს თანხლებით. ჩანგზე ან ჭუნირზე შესასრულებელი ინსტრუმენტული მუსიკა სვანეთში არ არსებობს. როდესაც სვანი გუნდის გარეშე ჩანგზე ან ჭუნირზე უკრავს, ეს მხოლოდ რომელიმე სვანური სიმღერის ტრანსკრიპციას წარმოადგენს და არა წმინდა ინსტრუმენტულ მუსიკას. ამრიგად საკრავები ჩანგი და ჭუნირი სვანეთში დაცულია როგორც სააკოპანიმენტო საკრავები.

ცხადი ხდება, რომ ჩანგს და ჭუნირს ფართო გამოყენება ჰქონია სვანეთის სინამდვილეში. ისინი სვანების განუყრელი მეგობრები ყოფილან ლხინსა თუ ჭირში. ჩანგის და ჭუნირის დიდი მხატვრული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი ტემბრი გააჩნიათ და ეს ტემბრული თავისებურება განპირობებულია სათანადო მასალის გამოყენებით - ცხენის ძუისაგან დამზადებული სიმები. ჩანგს და ჭუნირს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სვანეთის მუსიკალურ ცხოვრებაში და მრავალფეროვნებას მატებდა სვანების ყოველდთიურებას. /ნელი გელაშვილი. ახალი სვანეთი. 1981 წ. #14/.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მარიამ კუპრაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი.
ბაკალავრიატი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მართვის მეთოდები, ბანკების ეკონომიკური ნორმატივები

ლიკვიდურიბის რისკი ეკონომიკურად შეიძლება იქნას განსაზღვრული როგორც ბანკის მიერ თავიანთი აქტივების – ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის საშუალებად ან წარმოდგენადი ვალდებულებების გადახდისათვის დამატებით რესურსებად მოსაზიდად – სწრაფად, საკმარისი მოცულობითა და მინიმალური დანახარჯებით გარდაქმნის შესაძლებლობის დაკარგვად (იხ. ცხრილი).

ცხრილი – ლიკვიდობის რისკის კლასიფიკაცია და მათგან დაცვის ხერხები

ლიკვიდობის რისკი:	რისკისაგან დაცვის ხერხი:
1	2
აქტიურ-პასიური ოპერაციების ვადების მიხედვით დაუბალანსებულობის რისკი	დაგეგმვისა და მართვის ხარისხის ამაღლება; დაგროვებილი ლოკვიდობის ადეკვატური მარაგების შექმნა; შეძენადი ლიკვიდობის, მათ შორის საკრედიტო ხაზების მიღების ხარჯზე პოტენციალური მოცულობების გაფართოება.
ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის საშუალების არასაკმარისობის რისკი	სალაროებში და ბანკომატებში ნაღდი ფულის მინიმალური ნაშთების გაანგარიშება; ნაღდი ფულის სალაროებში და ბანკომატებში არასაკმარისობის შესახებ თავისდროულად ინფორმირებისა და ნაღდი ფულის ოპერატიულად მიტანის მექანიზმის შექმნა და სრულყოფა; ლიმიტების შემოღება ნაღდი ფულის გატანაზე წინასწარი შეტყობინების გარეშე; ხელშეკრულებაში გადახდის ალტერნატიული საშუალების გათვალისწინება; ოპერაციებისხეჯირება ფასიან ქაღალდებთან.
სავალუტო რისკი	ღია სავალუტო პოზიციების ლიმიტების შემოღება ყველა ვალუტების მიხედვიტ, რომლებთანაც მუშაობს ბანკი; ღია სავალუტო პოზიციების ლიმიტების შემოღება გარიგებების გამოყენების ვადების მიხედვით; ხეჯირება სავალუტო რისკების; ვალუტის მიღების ალტერნატიული წყაროების განსაზღვრა;
ტექნოლოგიური რისკები	მართვის ხარისხის ამარლება; თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;

	პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის შეძენა; რამდენიმე ცალკეული გადახდებით გადახდების მსხვილი თანხების გატარება.
გაცემული სახსრების არ დაბრუნების რისკი	გირაოების ხარისხისადმი მოთხოვნების ამაღლება; გორაოების რეალიზაციის მექანიზმის სრულყოფა; კრედიტების გაცემისას მიღებული გარანტიებისა და თავდებობების საიმედობის თავისდროულად შემოწმება; კრედიტების თავისდროულად გამოვლენა, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს დაუფარავები ვადაში, და მატი აღრიცხვა ბანკის ლოკვიდური პოზიციის გაანგარიშებისას; სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ქვეშ რეზერვების სრულყოფა და სრული მოცულობით შექმნა.
პასივის გამოთხოვის რისკი	პასივების მართვის ხარისხის ამაღლება; სახსრების მოზიდვის წყაროების დივერსიფიკაცია; ბანკის იმიჯის მხარდაჭერა, მუშაობა კლიენტებთან; საკრედიტო ხაზების გახსნა; დაგროვებული ლიკვიდობის გაანგარიშება ბანკის პასივის ნაწილის გაუთვალისწინებელი გამოთხოვის შესაზლებლობის გათვალისწინებით.
იმიჯის დაცემის რისკი	კლიენტებთან ყოველდღიურ მუშაობაში წყვეტადობისა და შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა; სარეკლამო კომპანიების განხორხ=ციელებისას აქცენტის ბანკის მდგრადობაზე და საიმედობაზე გაკეთება; ნიშაში ადგილის დაკავება, რომელიც ბანკისადმი კრედიტორების მხრიდან განსაკუთრებული ურთიერთობის შესალებლობას იძლევა.
აქტივების რეალიზაციის შეუძლებლობის რისკი	ხელშეკრულებების გაფორმება ბანკისათვის საკრედიტო ხაზის გახსნაზე; ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია, რომლებთანაც ბანკი მუშაობს ფინანსურ ბაზარზე; გირაოსათვის გამოსადეგი ფასიანი ქაღალდების მარაგის არსებობა ცენტრალური ბანკიდან კრედიტების მიღებისათვის; აქტივების გაყიდვების წინასწარი მომზასება.
ფინანსურ ბაზარზე სახსრების მოზიდვის შეუძლებლობის რისკი	ბანკისათვის საკრედიტო ხაზის გახსნაზე ხელშეკრულებების გაფორმება; ბანკის იმოჯის ამაღლება; დაგროვებადი ლიკვიდობის გაანგარიშება ფინანსურ ბაზარზე სახსრების მოზიდვის განუსაზღვრელი შეუძლებლობის გათვალისწინებით; გადახდების დაყოფა სავალდებულოებად შესრულებისათვის და ისეთებად, რომლებიც შეიძლება მოგვიანებით იქნას განხორციელებული; აქტივების წინასწარი მომზადება და გაყიდვა, რომლებიც ბანკის დაგროვებად ლიკვიდობას არ მიეკუთვნებიან.
აქტივების საბალანსოზე დაბალი ფასის მიხედვით გაყიდვის რისკი	ფინანსური ინსტრუმენტების ხეჯირება, რიმლებიც ბანკის მიერ ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის გამოიყენება; სახსრების მიღების ალტერნატიული წყაროს – შესაძენი ლიკვიდობის გამოყენება; ბაზრის კონიუნქტურის გაუარესების პროგნოზირება და აღნიშნულ პერიოდზე აქტიურ-პასიური ოპერაციების დისბალანსის შემცირება.

სახსრების საშუალოსაბაზროზე მაღალი განაკვეთების მიხედვით მოზიდვის რისკი	მოკლევადიანი მოსესხებების გამოყენება; დაგროვებადი ლიკვიდობის გამოყენებაზე აქცენტის გადატანა; საკრედიტო ხაზების გაფორმებისას პროცენტული განაკვეთების უცვლელობის შესახებ პირობების ჩართვა; ბაზრის კონიუნქტურის გაუარესების პროგნოზირება და არნიშნულ პერიოდზე აქტიურ-პასიური ოპერაციების დისბალანსის შემცირება.
ლიკვიდობის მსხვილი სიჭარბეების საშუალოსაბაზროზე დაბალი განაკვეთების მიხედვით განთავსების რისკი	ახალიკრედიტების წინასწარი დაგეგმვა ბანკში დიდი მოცულობის თავისუფალი სახსრების წარმოქმნის მომენტისათვის; ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია, რომლებითაც ბანკი ფინანსურ ბაზარზე მუშაობს; სახსრების განთავსება მოკლე ვადებზე.
გადახდის საშუალებებზე ხელშეკრულებაში კლიენტთან მისი კურსის ფიქსაციის შემთხვევაში, საბაზრო კოტირებების ცვლილების რისკი	გადახდის საშუალების ფიქსირებული საკურსო მნიშვნელობებიანი გარიგებების გაფორმებაზე უარის თქმა; გარიგებების ხეჯირება ფიქსირებული კურსით, ასევე ფიქსირებული კურსის მიხედვით; ლიმიტებს გაანგარიშება რისკის სიდიდეზე.
საჯარიმო სანქციების დაწესების რისკი	მართვის ხარისხის ამაღლება; ხელშეკრულებების აღსრულებასთან მიმართებაში წარმოქმნილი დავების სამუშაო წესით გადაწყვეტა.

საქართველოს კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მართვის ძირითად მეთოდს (შიდა და გარე აუდიტის პოზიციიდან) მათ მიერ ეროვნული ცენტრალური ბანკის ეკონომიკური ნორმატივების დაცვა წარმოადგენს.

ლიკვიდობის დინამიკაზე ზეგავლენას ახდენენ:

- **სახსრების შეძენა ან გაკარგვა ანაბრების ჯამის გადიდებასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით;**
- **სახსრების მოდინება ან გადინება სესხებისა და ინვესტიციების ჯამის ზრდასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით;**
- **სავალდებულო რეზერვების სიდიდის ზრდა ან შემცირება ანაბრების ჯამის ზრდის ან შემცირების შედეგად.**

ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის გაუმჯობესება შეიძლება მიღწეული იქნას შემდეგი გარე-მოებების ხარჯზე:

- **მოთხოვნამდე ვალდებულებების შემცირების ხარჯზე საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშების ნაწილში ვადიან დეპოზიტებსი და სავალო ვალდებულებებში ერთ თვეზე მეტ ვადაზე გადაფორმების გზით;**
- **ლიკვიდური აქტივების ზრდის წინმსწრები ტემპების ხაჯზე;**
- **სახელმწიფოებრივი სასესხო ობლიგაციების შეძენის ხარჯზე;**
- **ბალანსის აქტივში სესხების არდაფარვის შემთხვევაზე ასახვადი რეზერვების შექმნის ხარჯზე, არათავისდროულად დაფარული დავალიანების ხვედრითი წონიდან გამომდინარე, და ვადიანი დეპოზიტების ვადამდეადრე გატანის შემთხვევაზე.**

ეროვნული ცენტრალური ბანკის „ბანკების სავალდებულო ნორმატივების შესახებ“ ინსტრუქ-ციით დადგენილია ეკონომიკური ნორმატივების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები და მათი განსაზღვრის წესრიგი.

ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის კონტროლის მიზნებით, ანუ თავიანთი ფულადი და სხვა ვალდებულებების თავისდროულად და სრულად შესრულების უზრუნველყოფის მისი შესაძლებ-ლობა, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით გარიგებებიდან გამომდინარე, დგინდება მყისიერი, მიმდინარე, გრძელვადიენი ლიკვიდონის ნორმატივები. ისინი არეგულირებენ (ზღუდა-

ვენ) ბანკის მიერ ლიკვიდობის დაკარგვის რისკებს და განისაზღვრებიან როგორც თანაფარდობა აქტივებსა და პასივებს შორის ვადების, აქტივებისა და პასივების ჯამისა და ტიპების, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ბანკის მყისიერი ლიკვიდობის ნორმატივი (H2) – არეგულირებს (ზღუდავს) ბანკის მიერ ერთი საოპერაციო დღის განმავლობაში ლიკვიდობის დაკარგვის რისკს და განსაზღვრავს მინიმალურ თანაფარდობას – ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების ჯამისა ბანკის ვალდებულებების (პასივების) მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით ჯამთან, კორექტირებული ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით სახსრების მინიმალურ ერთობლივ ნაშთის სიდიდეზე.

ბანკის მყისიერი ლიკვიდობის ნორმატივი (H2) – გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით (Valeri, 2022):

$$H2 = \text{მლ}_{\text{აქ}} / (\text{ვლ}_{\text{მთ}} - \text{სხ}_{\text{მნ}}) \times 100\% >- 15\% ,$$

სადაც: $\text{მლ}_{\text{აქ}}$ – არის მაღალლიკვიდური აქტივები;

$\text{ვლ}_{\text{მთ}}$ – არის ვალდებულებები (პასივები) მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით, რომელთა მიხედვით მეანაბრეს და (ან) კრედიტორს შეუძლია წარმოადგინოს მოთხოვნა მათი იმავდროულად დაფარვის შესახებ;

$\text{სხ}_{\text{მნ}}$ – არის სახსრების მინიმალური ერთობლივი ნაშთის სიდიდე მოთხოვნამდე ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების მიხედვ.

მინიმალურად დასაშვები რიცხობრივი მნიშვნელობა H2 ნორმატივისა დადგენილია სიდიდით 15 პროცენტი.

ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივი (H3) – არეგულირებს (ზღუდავს) ბანკის მიერ ლიკვიდობის დაკარგვის რისკს ნორმატივის გაანგარიშების თარიღისადმი უახლოესი 30 კალენდარული დღის განმავლობაში და განსაზღვრავს მინიმალურ თანაფარდობას ბანკის ლიკვიდური აქტივების ჯამისა ბანკის ვალდებულებების (პასივების) ჯამთან მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით და ვალდებულებების უახლოესი 30 კალენდარულ დღეში აღსრულების ვადით, კორექირებული ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით და ვალდებულებების უახლოესი 30 კალენდარული დღის აღსრულების ვადით სახსრების მინიმალურ ერთობლივ ნაშთის სიდიდეზე.

ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივი (H3) – გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$H3 = \text{ლა}_{\text{ფა}} / (\text{ვლ}_{\text{გთ}} - \text{სხ}_{\text{მნ}}) \times 100\% >- 50\% ,$$

სადაც: $\text{ლა}_{\text{ფა}}$ – არის ლიკვიდური აქტივები, ანუ ფინანსური აქტივები, რომლებიც ბანკის მიერ უნდა იქნას მიღებული, და (ან) შეიძლება იქნან მოთხოვნილები უახლოესი 30 კალენდარული დღის განმავლობაში, და (ან) უახლოესი 30 კალებდარული დღის განმავლობაში ფულადი სახსრების მითითებულ ვადებში მიღების მიზნით ბანკის მიერ რეალიზების საჭიროების შემთხვევაში;

$\text{ვლ}_{\text{გთ}}$ – არის ვალდებულებები (პასივები) მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით, რომელთა მიხედვით მეანაბრეს და (ან) კრედიტორს შეუძლია წარმოადგინოს მოთხოვნა მათი იმავდროულადდაფარვის შესახებ, და ბანკის ვალდებულებები კრედიტორების (მეანაბრეების) წინაშე ვალდებულებების უახლოესი 30 კალენდარული დღის განმავლობაში აღსრულების ვადით;

$\text{სხ}_{\text{მნ}}$ – არის სახსრების მინიმალური ერთობლივი ნაშთის სიდიდე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხივნამდე ანგარიშების მიხედვით და ვალდებულებების უახლოესი 30 კალენდარული დღის განმავლობაში აღსრულების ვადით.

მინიმალურად დასაშვები რიცხობრივი მნიშვნელობა H3 ნორმატივისა დადგენილია სიდიდით 50 პროცენტი.

ბანკის გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივი (H4) – არეგულირებს (ზღუდავს) ბანკის მიერ ლიკვიდობის დაკარგვის რისკს გრძელვადიან აქტივებში სახსრების განთავსების შედეგად და განსაზღვრავს მაქსიმალურად დასაშვებ თანაფარდობას – 365 ან 366 კალენდარულ დღეზე

ზევით დაფარვის თარიღამდე დარჩენილი ვადიანი ბანკის საკრედითო მოთხოვნებისა – ბანკის საკუთარი სახსრებისადმი (კაპიტალისადმი) და ვალდებულებების (პასივების) 365 ან 366 კალენდარულ დღეზე ზევით დაფარვის თარიღამდე დარჩენილი ვადიანის ჯამთან, კორექირებული სახსრების მინიმალური ერთობლივი ნაშთის სიდიდეზე ანგარიშების მიხედვით ვალდებულებების 365 კალენდარულ დღემდე აღსრულების ვადით და ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით.

ბანკის გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივი (H4) – გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით (Valeri, 2022):

$$H4 = \text{კრ}_{\text{მთ}} / (\text{ვლ}_{\text{კრ}} + \text{ბვლ}_{\text{კრდპ}} + \text{სხ}_{\text{მნ}}) \times 100\% <– 120\% ,$$

სადაც: $\text{კრ}_{\text{მთ}}$ – არის კრედიტული მოთხოვნები დაფარვის თარიღამდე 365 ან 366 კალენდარულ დღეზე მეტი დარჩენილი ვადით, ასევე პროლანგირებულები, თუ დაფარვის კრედიტული მოთხოცნების ხელახლა დადგენილი ვადების გათვალისწინებით, მათდაფარვამდე დარჩენილი ვადები აჭარბებენ 365 ან 366 კალენდარულ დღეს, გამოქვითული მითითებული საკრედიტო მოთხოვნების მიხედვით შესაძლო დანაკარგებზე ჩამოყალიბებული რეზერვი;

$\text{ვკ}_{\text{კრ}}$ – არის ბანკის მიერ გაცებული კრედიტების მიხედვით ვალდებულებები;

$\text{ბვლ}_{\text{კრდპ}}$ – არის ბანკის ვალდებულებები (პასივები) ბანკის მიერ მიღებული კრედიტებისა და დეპოზიტების მიხედვით, გამოქვითული ბანკის მიერ მიღებული სუბორდინირებული კრედიტის (სესხის, დეპოზიტის) ჯამი;

$\text{სხ}_{\text{ნშ}}$ – არის სახსრების მინიმალური ერთობლივი ნაშთის სიდიდე 365 კალენდარულ დღემდე ვალდებულების აღსრულების ვადით ანგარიშების მიხედვით და წინა მაჩვენებლის გაანგარიშებაში არ შესული ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნამდე ანგარიშების მიხედვით.

მინიმალურად დასაშვები რიცხობრივი მნიშვნელობა H3 ნორმატივისა დადგენილია სიდიდით 120 პროცენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640
2. http://eprints.tsu.ge/1457/
3. https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108–2021–CEO–Proceedings–Book–Ready–to–Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179
4. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287
5. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022–1.pdf#page=95
6. https://ijsser.org/2022files/ijsser–07—203.pdf

(https://ijsser.org/index.php

http://ijsser.org/view–past2022.php?issue=12

(DOI: 10.46609/IJSSER.2022.v07i12.009

URL: https://ijsser.org/more2022.php?id=278)

(იმპაქტ ფაქტორის DOI : https://doi.org/10.46609/ijsser.

Starting : since 2016. Impact Factor : 5.156).

ნორჩი ათინათელები

ნუცა ჩიტაძე

ნათლულისადმი

ეს შენი დღეა,
ნათლია გჩუქნის უფლის სიყვარულს,
ყოფილიყავი ისე ძლიერი,
დეკემბრის ცა რომ სიკაშკაშით
მოგვგრის ჟრიამულს.
ამ დღეს შენ გაჩნდი
და შეგვიყვარდი,
ვიხარებთ შენით, როცა უთვალავ
სიკეთეს გაზრდი,
ფრთებით დაგიცვას ანგელოზმა,
სპეტაკი ფარდით
და საშობაოდ ასგზის იხარე ფანტელთა
ბარდნით...
გლოცავს ნათლია – იყო ძლიერი,
მუდამ გიყვარდეს სამშობლო
და ძე სახიერი,
არ დაგეკარგოს ერთგულების
ჩვევა – იერი,
ყოფილიყავი ფეხბედნიერი
წლების მხილველი!

შენი ნათლია

ლამპარი

მილეულ ლამპარს ვინ გაანათებს?
ყველა ნაპერწკალს წასვლა მოუნდა,
რომელიც ლამპარს ვერ შეელია,
ის ნაპერწკალი უმალ დაბრუნდა.
მაგრამ ლამპარი ძველი ალმურით
ვეღარ აალდა , უკლო სინათლეს,
დადუმდა ალვის ხის სალამურიც
და ბნელს წუთები ზედ მიათვალეს.
ახლა ლამპარი ეძებს უმწეოდ,
სინათლის წყაროს უწყვეტ სათავეს,
თუ გაღვივდება ის ნაპერწკალი,
მასთან ანთებას თუ კი ითავებს...
აბრიალდება შვებით ლამპარი,
გადანათდება სავალი კვალი,
მის ასანთებად რჩება მთავარი,
არ განეშოროს ის ნაპერწკალი.

ქვიშის ოცნება

ისე ფაქიზია შენი ოცნებები,
ქვიშის კოშკებივით ინგრევა,
ნაპირს მოხეთქილი აშლილი ტალღებით
ნატვრის ნაგებობა ირბევა.
გინდა უძახილოდ გამოგეპასუხონ,
შველა წვეთ-წვეთობით გასხურონ,
რატომ იკარგები და უჩინარდები?
სად ხარ ერთგულების მსახურო?
იქნებ წაქცეულზე ძელი მომაშველო
და მყარ ნიადაგზე ვაშენოთ,
ობლად რად დადიხარ ისევ ირმის შველო?
თვალში გიგუბდება ცრემლი უსაშველოდ.
თვითონ იმ ოცნებებს ხედავ სასაცილოდ,
იცი, დაიშლება უცილოდ,
იქნებ გულის მიზანს აღარ ააცილონ,
სუსხო, მეტად აღარ მამცივნო.

გიორგი ქენქაძე

ერთ მუშტად შეკრული მეგობრები

მარტოდ მდგარი ასო ბგერა ა გადაჰყურებდა არემარეს,გადაწყვიტა მთა-ბარი შემოევლო და მოენახულებინა მეზობლები და ნათესავები.

გაუდგა გზას,იქვე მახლობლად შეხვდა ასობგერა ბ, მიესალმა მოიკითხა ტავისი განზრახვა გაუზიარა, მოეწონა ბ-ს ა-ს გადაწყვეტილება და ხელჩაკიდებულებმა განაგრძეს გზა. დიდი მანძილუ არა ჰქონდათ გავლილი მიადგნენ ასობგერა გ-ს, რომელთანაც სტუმრად იყო დ და ე.

- ცოტა შეისვენეს, ასობგერა ა-მ თავისი გადაწყვეტილება უამბო დანარჩენებს და ყველამ ერთად განაგრძეს გზა.გაიარეს ხუთი გორა და არსად სახლში არავინ დახვდათ, როდესაც მეექვსე გორას მიადგნენ ჟრიამული ისმოდა, გაუხარდათ, მასპინძელო, სტუმრები ვართ გამოგვხედეო.

მობრძანდით,მე ასობგერა ლ გახლავართ, სახლში სტუმრები მყავს, დიდი სიამოვნებით მიგიღებთ და ამაყად შეიპატიჟა სახლში სტუმრები. იქ დახვდათ ასობგერები: ვ, ზ, თ, ი და კ.

კარგი სუფრა იყო გაშლილი, ნამგზავრებს შიოდათ კიდეც და სუფრას მიუსხდნენ.თავიანთი განზრახვა სხვებსაც გაუზიარეს, რა კარგია, შესძახეს ერტხმად, ჩვენც გამოგყვებით. მხიარულად და სიცილ-კისკისით გაუდგნენ გზას. გზად ასობგერა მ შეუერთდათ,ამას მოჰყვა ნ. ო-მ ყვირილი დაიწყო დამელოდეთ მეგობრებო მეც თქვენთან ერთად მოვდივარო.

მაღლიდან გადმომდგარი იცქირებოდნენ პ, ჟ, რ, ს, ტ და უ.

შეხედეთ ჩვენები მოდიან, ნეტავ ხომ მშვიდობაა, უ ასობგერა ძალიან შეშფოთდა,ჩემი დაძმები,ხმოვნები ყველანი მოდიან,ნეტავ რა ხდება?

ამ ჩოჩქოლში მგზავრებიც მიუახლოვდნენ. ერთმანეთი მოიკითხეს.ნუ გეშინიათ მშვიდობაა, გვინდოდა ყველას ერთმანეთი გვენახა, წამოდით ჩვენთან ერთად. რა თქმა უნდა წამოვალთ და ესენიც შეუერთდნენ.

- როგორ ხართ? თქვენი ხმა გავიგე და სახლში ვეღარ გავჩერდი უთხრა ფ-მ და ნათესავებს შეუერთდა.

გზადაგზა უერთდებოდნენ დანარჩენებიც ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც ,ძ, წ.

- ამაყად გადმოდგა ასობგერა ჭ- ჭირიმე თქვენი.

- ხანგრძლივი მოგზაურობით დაიღლებოდით გამოვიდა სიტყვით ასობგერა ხ.

- ჯანი მოგცეთ ღმერთმა, დალოცა ასობგერა ჯ-მ და ასე ყველანი ერთად მიადგნენ ასობგერა ჰ-ს. მოჰყვნენ მთისა და ბარის ამბებს, ჰყვებოდნენ თავგადასავლებს და მხიარულად ატარებდნენ დროს.

- ასობგეტა ა-მ განაცხადა, თქვენთან წინადადება მაქვს, ძალიან გრძელი გზა გამოვიარეთ, ძალიან შორს ვართ ერთმანეთისგან, სადმე ერთი სახლი ხომ არ გვეყიდა? სადაც ყველანი ერთად ვიცხოვრებთო, ცალ-ცალკე არაფერი ვართ, ერთად დიდი ძალა გვექნება. ერთად შევიკრათ და ლამაზი სიტყვები და წინადადებები შევადგინოთ. ასე ყველას მოვეწონებით და მოგვეფერებიან.

ყველას მოეწონა აზრი, შეაქეს ასობგერა ა, ყოჩაღ, რა კარგად მოიფიქრეო.

ნახეს ერთი დიდი ნათელი სახლი, სადაც ყველანი 33 ასო, ხუთი ხმოვნითა და ოცდარვა თანხმოვნით დასახლდა და სახლს დაარქვეს დედა-ენა.

იმ დღის შემდეგ ბედნიერად ცხოვრობდნენ, ყველაფრის სწავლა ხომ ანბანით იწყება და ადამიანებს განათლებას აძლევენ.

დედა-ენა ჩვენი განძია

იცით, დავფიქრდი და ჩემი ნაფიქრი მინდა შეძლებისდაგვარად გადმოგცეთ.

ყველაზე დიდი განძი რა შეიძლება იყოს? – სახლი? ოქრო-ვერცხლი? ზურმუხტ-მარგალიტები?

არა,იცით რას ვფიქრობ? – რაიმე ძვირ-ფასი ყუთი რომ მომცენ და მასში მხოლოდ ერთი ნივთის ჩადება და შენახვა შეიძლებოდეს, როგორც საგანძური,იცით რას გავაკეთებდი? – ამ ძვირფას ყუთში ჩვენს უძვირფასეს დედა- ენას შევინახავდი.

სწორედაც,ასე ვფიქრობ რომ ეს არის უდიდესი განძი რაც გაგვაჩნია,დედაენის საშუალებით ვსწავლობთ ანბანს,წერა- კითხვას და ვეზიარებით ცოდნის სამყაროს.

თუ წერა-კითხვა იცი შენ შეიძლება უმაღლესი განათლება მიიღო და უდიდესი მწვერვალები დაიპყრო.

თუ განათლება გაქვს შეუძლებელი შეიძლება შესაძლებელი გახდეს.

მე მიყვარს დედა- ენა ჩვენი ქართული.

მადლობა იმ გენიალურ ადამიანს იაკობ გოგებაშვილს,რომელმაც ქართველ ხალხს მართლაც რომ უძვირფასესი განძი დაგვიტოვა.

როგორი ლამაზია თითოეული ასო-ბგერა,თუკი დედა- ენა იცი როგორ კარგად შეგიძლია შექმნა სიტყვები,წინადადებები.თუკი დედა- ენა იცი,ლამაზად შეგიძლია გადმოსცე ნებისმიერი რამ,შენი გულის ნაფიქრი,წაიკითხო და ცოდნა გ ღრმავო სხვადასხვა ლიტერატურით.

ამიტომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი განძი არის დედა-ენა, რომელზე ზვირფასი არ მეგულება რამე ქვეყანაზე.

ნუცა ელიაძე

მარიამ გოჯიაშვილი

ბოშა ქალი

(გამოხმაურება ანა კალანდაძის
(პოეზიის დედოფლის)ლექსს)

ხან ჩაუსტვენს მეზღვაური,
ხანაც მთვარე შეკრთება,
დაირას და ჟღარუნას ხმა
ზღვის ტალღებში ერევა.
ბოშა ქალის ჩუმ ნაღველზე
დაირაც კი ინაღვლებს,
სურვილის ზღვა აიშლება,
მაღლიდან ცა იავდრებს...
ბოშა ქალო,
ხელგაშლილი მეზღვაური,
კოცნასაც ხომ დაგპირდა,
გაწეწილი თმის სურნელი
სურს შეიგრძნოს თავიდან,
ციდან მთვარე,გიდარაჯებთ,
რომ დაგბადოთ ახლიდან...
ზღვის ტალღებიც მოლიცლიცე,
მასთან გიხმობს,ნაპირთან
გაგეპრანჭოს და ნაღველი
ჩამოგრეცხოს სახიდან...
სანაპიროს ბოშა ქალო,
სტვენით ნუღარ ჩაიარ...
დაუკარი,დაუკარი
ბოშა ქალო,დაირა!

ნიკო ფიროსმანს

ჩემო მხატვარო,
აიღე ფუნჯი და მოუსვი დინჯად
თეთრ ფურცელს,
სევდის ნაპერწკალს,ნუ აანთებ ბაჯაღლო გულში,
რა ვუყოთ მერე,ფრანგმა მარგომ
თუ გიღალატა,
ღალატისფერი ნაკვალევი დატოვა სულში...
მოუსვი ფუნჯი და ცოცხალი ხატე ფერები,
სულს ნუ დაამჩნევ გარდასული დღეების
რისხვას
გინდა თბილისი გამოსახე შენებრ ფერებით,
ან მეეზოვე სისხამ დილით ქუჩას რომ გვიდდა!
ჩემო მხატვარო,
თავადური ხატე ნადიმი,
ორთაჭალელი ლამაზმანი ცრემლებს
იქარვებს,
არ დაგავიწყდეს,მთვარეს შეხსნა
ღრუბლის საკიდი,
ალაზნის პირას იქუხა და რთველში იავდრებს!
ხატე მხატვარო,
შენი ფუნჯით ღვთითკურთხეულით,
ხატე მდიდარი,მებადური,ლომი ღრიალა,
ხატე ჟირაფი,გრძელფეხება ჭრელი სამოსით,
ნუ შეშინედები,არ დაგაფრთხოს
ფერთა კიაფმა!
ჩემო მხატვარო,
შეამთვრალე მირზაანს ღამე,
არსიანის მთას მოსდგომია პირსავსე
მთვარე,
ჭოტის კივილი,სადაცაა გააპობს ღამეს,
და განდეგილი მწუხრის ლოცვას
ისევ აღავლენს...
შენ კი მხატვარო,
უნდა დახატო,
ხომ კარგად იცი, ფუნჯები შენი
აიტანს რამდენს...
და თეთრ ტილოზე დაწერილი
სხვადასხვა ფერი,
ტკივილისფერად მოგვიყვება
ჯერ ართქმულ ამბებს!
ხატე მხატვარო,
დაამსხვრიე ფერთა პალიტრა,
ბაჯაღლო გულით,ისევ ღალატს ვეღარ აიტან...
ხატე მხატვარო...
ხატე ფერებით...
ოღონდ ამას გთხოვ,საქართველო მომიხატო გულში ფერებით,
ჩემი სამშობლო ცის ნაფერები!
ხატე მხატვარო...
ხატე ფერებით...

ბარბარე ნუცუბიძე. *ქუთაისის 38 საშ.სკოლა. 10 წლის.*






დიანა ბენდელიანი



გახსენება

მამა-შვილი

იმიერში გადასახლებულო შვილო, ცხოვრებამ არ დაგინდო საშინელებას შეგვახეთქა, დედა-შვილის შუაში ჩადგა, სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით, მტკივიხარ... მენატრები უფრო და უფრო, ყველგან დაგეძებ... დედის შესაძლებლობები ამომეწურა, ვერ გიშველეს, შენი მალამო ვერ გავხდი. ყოველთვის სიკეთის, სიყვარულის, კაცური კაცობის თესლს თესავდი - აღმოცენდა, ყველას გულში ღრმა ფესვები გაიდგა, ლეგენდად დარჩი, ამას ვგრძნობ და ვხედავ. შენი გულის სიმები სიყვარულის ნოტებზე აგიწყვია, ღმერთმა წაიკითხა და თან წაგიყვანა ზეცაში. ილოცე შვილო: დედმამიშვილებზე, ცოლშვილზე, შვილიშვილებზე... უშენობა ტანჯავთ, ილოცე მთლიან საქართველოზე, მშვიდობისა და სიკეთის სადარაჯოზე გიგულებ ჩემო ვაჟკაცო...

იზოლდა ხარაიშვილი

მამა შვილი ზეცას ხვდება ალიონს,
ახალწელს კი დიდ ნაძვის ხეს მორთავენ,
მერაბ, დედამ წყალი როგორ დალიოს,
შენ წასვლას, რომ ახლობლებიც მოთქვამენ.

მამაც მად გყავს ნათესავიც მრავალი,
მგზავრები ხართ უსასრულო ზეყანის,
დედას იქნებ მოაწოდო წამალი,
მიბრუნდი და გაიცანი ბეჟანი.

პოეტია, იზოს ბიძაშვილია,
დათა ბიჭი ვიცი გეცოდინება,
არ უწოდებ არც ჩემთავსაც იღბლიანს,
გავურბივარ დარდი არსად მცილდება.

დაუკარი აამღერეთ ცა ლურჯი,
მამაშვილმა... დათაც მოინახულთ,
შენი წასვლა რომ გავიგე დავმუნჯდი,
დარდის თორნეს ხელმეორედ ვახურებ.

აამღერეთ, ააცეკვეთ სამყარო,
ზეციურო ცის საწუთროს დარაჯნო,
დათა მერაბ, ჩემი ფუტკრის ნაყარნო,
ბედს უთხარით, დედა აღარ დასაჯოს.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)



ნუგზარ ნადარაიას გახსენება

ფაზისის მეცნიერებათა სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას გახსენებას, არ შეიძლებოდა არ დავსწრებოდი. გარდაცვალებულების გახსენება მაკავშირებს უფალს და ვუახლოვდები იმ გზას, სადაც, გვინდა თუ არ გვინდა, ყველა წავალთ. გარდაცვალება სიკვდილს იმ შემთხვევაში ნიშნავს თუ მას არ იხსენებენ. ბატონ ნუგზარს გამხსენებლები და მომგონებლები ბევრი ჰყავს. მეუღლე, შვილი, შვილიშვილები და თავისი დატოვილ სიკეთეები. ძალიან ხშირად ვიგონებ იმ დღეებს, როცა მისი ორგანიზატორობით უწმინდესთან შევდიოდით. დიახ! ნუგზარ ნადარაია იყო ჩვენი წინამძღოლი, ლიდერი ამ დიდებული საქმის.

ნათელში იყავი ბატონო ნუგზარ!

წახვედი ისე, რომ დატოვე ორი სახელი,
ერთი აქ დარჩა ერთი კიდევ გაიყოლიე,
არავინ იქნება არასოდეს შენი მძრახველი,
მარადისობის მგზავრი გახდი ცის დასალიერს!

მარადისობაში გადასული

წავიდა საქართველოს ჭირისუფალი. ვინ არ იცნობდა ანზორ ჯაფარიძეს. სადაც უმუშავნია ყველგან კაცური კაცის სახელი დაიტოვებია და ამიტომაც იყო, ერთი წლის შემდეგ შევიკრიბეთ და სასაფლაოზე წითელი ვარდები მოვფინეთ მის მიწად ქცეულ გულს, აკადემიის წევრებმა. რას ვიზამთ,

ბედისწერასთან ყველა სუსტია,
ვერ მოერია ქარის წისქვილებს,
ქარბორბალაა ყვეგან ბუტია,
ყურში საშინლად შემოგიწივლებს.

წვიმდა. მაინც ყველა მივედით, მაინც ბოლომდე ვთქვით სათქმელი. სანთელი აუნთო მამა ამირან ამირანაშვილმა და გულდაწყვეტილმა აღნიშნა, რომ მის არყოფნას განიცდიდა.

მამა ამირან ამირანაშვილი ამაღლების ეკლესიის წინამძღვარია, მისი ეკლესიის შესასვლელში მარმარილოს კედელზე ამოტვიფრულია ბატონი ანზორის სახელი და გვარი, როგორც მამაოს ერთ- ერთი ერთგული საძმო წევრი. ბატონი ანზორ ჯაფარიძე, ყოველ ორშაბათს შედიოდა სიონის ეკლესიაში. ეს მას, ტრადიციად ქონდა, როცა მამაო წირვას დაამთავრებდა, სიონის ეკლესიის ეზოში მეუფე მირიან მირიანაშვილის საფლავის გვერდზე ჩამოისვნებდა და ურეკავდა საახლობლოს. ყველას ლოცავდა. მერე და თითქოს ვალმოხდილი მიაშურებდა რესტორან ,,ანცს". რესტორნის სახელწოდება მისი მეუღლის ქალბატონი ციცინოს და თავის სახელიდან ჰქონდა აღებული. დღეს შევიკრიბეთ აკადემიის წევრები და მისი საახლობლო. ბატონი ანზორის შვილები და შვილიშვილები. იჯდა მისი საყვარელი მეუღლე, ყოფილი ჯავახიშვილის უნუვერსიტეტის დეკანი ქალბატობი ცისანა და დასტიროდა ანზორ ჯაფარიძეს. დავტოვეთ ახატელის სასაფლაო იმ, იმედით, რომ ისეთი კარგი პიროვნება, როგორიც ანზორ ჯაფარიძე იყო, ცაში მარადისობის გზას გააგრძელებს და აქ კი მისი მეგობრები არასოდეს დაივიწყებენ. არ დავიწყება ექნება, ისეთ კეთილსა და მოამაგე პიროვნებას, როგორიც ბატონი ანზორი იყო.

ერთი წლის შემდეგ

(ანზორ ჯაფარიძეს)

ბედისწერასთან ყველა სუსტია,
ვერ მოერიე ქარის წისქვილებს,
ქარბორბალაა მუდამ ბუტია,
ყურში საშინლად შემოგიწივლებს,
იყავ ღვთის მონა მუდამ კეთილი,
მიმტევებელი, დინჯი, ალალი,
საქმეში ჯაფით გამობრძნედილი,
ხელში გეჭირა საწერ-კალამი,
ერთი წლის შემდეგ შეგეხმიანე,
დამფასებელო ჩემი მიზნების,
მოკითხვა შენ რომ დაგიგვიანე,
გაბრაზებული ნუღარ იქნები .
ბევრი წახვედით, ძალიან ბევრი,
კოვიდელებმა შექმნა არმია,
შენ იყავ მართლაც კეთილი წევრი,
სხვა დანარჩენიც შენთან არიან.
დიდ ლამაზ წიგნში ანთოლოგიის,
როგორც უკვდავი ხომ შეგიტანე,
არ დაგჭირდება უკვე ლოდინი,
ხედავ მოვედი და მოგიტანე.
ისევ დამლოცე, როგორც მლოცამდი,
რომ გაგიხსენო, გაგაუკვდავო,
ჩემგან წახვედით უკვე ოცამდის,
ცას მზის ყანაა, დაბლა უდაბნო.
შენ მოხვდებოდი ვიცი უფალთან,
რადგან იყავი მადლის მთესავი,
დღეს შენი სული მოვა სუფრასთან,
ვინ ითამადებს აბა შენსავით.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

გარდაცვალებიდან ორი წელი

დედმამიშვილებში ყველაზე პატარა იყო ამირან ხარაიშვილი. მასზე რვა წლით უფროს დაიკოს ყოველთვის მევალებოდა მისი ყურის გდება. აკვანში ჩაწვენა, ჰაერზე გასეირნება. ფეხი მე ვასწავლე, ასე რომ დედმამიშვილი შვილივით გაზრდილი, რომ გაგეცლება თანაც კოვიდით რომ ვერ მიხვალ ვერ დაიტირებ, ესეც ჯვარცმის გზაა და ტკივილზე – ტკივილია. ყოველ დღე ერთმანეთს ვურეკავ-დით, ვამხნევებდით. ჭიათურაში ორივე კოვიდიანები იყო რძალი და ძმა და რუსთავში მთელი ოჯახი ჩვენ. თავისი ფეხით მივიდა სავადმყოფოში გამკითხავი მხოლოდ ღმერთია, დაველაპარაკე კსრგად ვარო, წავიდა. როგორ ხარ კოვიდის მსხვერპლო ძამიკო ამირან. ნახავდი დედას, მამას. ნახავდი ოთხივე ძმას. ლევანს, თამაზის, იუზას, ბე-ჟანის. ნახავდი ჩემს ქმარშვილს, ვახტანგის და გელას. ჩემს მაზლს ჟორას, მაზლის ცოლს იზოს, მაზლიშვილს რამაზის. ჩემი საამაყო მამთილ დედამთილიც გიმასპინძლებდა. დეიდაშვილები და ბიძაშვილები ყველა ახალგაზრდები და ყველა კარგები მად გყავს. ბოლოს კი დათა ეს ტკივილების მწერვალი, რომელიც სიცოცხლეში დაიტირე, წახვედი და წაიღე ამბავი ჭალვანის ხეობის. ახლა დათა ძირულის პირს აღმართული ძეგლია. ამირამ მიახარე გელას, რომ ოთხი შვილიშვილის ბაბაუაა. მიახარე, რომ კარგი ბიჭი ეზრდება. შენ კი ძამიკო, გდარდობს შენი მეუღლე. გდარდობს და როგორ. შენი შვილიშვილები ესპანეთში იზრდებიან. შენი გვანცა საამაყო გოგო გყავს. სიძე და რძალიც შენი მომგონებლები და დამფასებლები არიან. ვიცი მე მიკითხავ როგორც ყოველთვის. შეხედე, ლომისის წმინდა გიოგის ხატს, რომელიც ამაღლების ეკლესიაშია დაბრძანებული. შენ დეკემბერის ხუთ რიცხვში გარდაიცვალე, ხუთი თვის შემდეგ მამა ამირან ამირანაშვილმა დამირეკა და მითხრა. შენ ძმა ამირანი გარდაგეცვალა. მე ამირანი ვარ. ამოდი ამაღლების ეკლესიაში და დად უნდა გაკურთხოვო. რათქმა უნდა წავედი, ლამზირა შეყილაძესთან ერთად. დად მაკურთხა, ლომისის წმინდა გიორგის (ჩვენ საგვარეულო ხატთან და დაბადების დღეც გადამიხადა). ვაგრძელებ ცხოვრებას. მინდა ვიყო ყველასთვის კეთილი და თბილი რათა თქვენს სულს ვაამო ჩემო ცის ბინადარნო.



თვრამეტი წელი

ქრისტეს მხედარი ცაში ნავარდობს,
ზეცასში ნახა თავშესაფარი,
ჩვენ კი ყინული როგორ დავადნოთ,
ბედისწერა რომ გახდა აფთარი .
თვრამეტი წელი იგაზაფხულე,
თვრამეტი წელი იმედს მჩუქნიდი,
ძირულის პირზე მოგინახულე,
სასაფლაოზე ცრემლებს ვბუდნიდი.
თუმცა ვიცი რომ უფლისწული ხარ,
 ვარსკვლავ ბიჭუნავ დათავ, კეთილო,
ჩემთვის ისევე ხათოს შვილი ხარ,
დედის გულმკერდში ამოკვეთილო!
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

სახელი შენი
(აბელი ნიჟარაძეს)

ვინ დაივიწყებს იმ დიდ სიკეთეს,
გულკეთილო და სამართლიანო,
ხეზე ჩიტები ბუდეს იკეთებს,
დედა ჩიტი კი თვალცრემლიანობს.
მონატრებია შენი ალერსი,
მეუღლეს შენსას ლამაზ თვალებას,
სახელი შენი უმწვერვალესი,
გჯეროდეს არსად დაიმალება!

გულნაზ ხარაიშვილი
(ცისკარელი)

ნელი გელაშვილი

ცას სიამაყით შეეთამაშე

თხუთმეტი წელი ზეცაში სახლობ...
მარადიულად მგზავრობ და მგზავრობ...
შენს საახლობლოს ქალღმერთო წყალობ,
კვლევა გრძელდება ნურაფერს ჯავრობ.

უკვდავი არის შენი სახელი,
გამომზიურდა ნარკვევ-ნაშრომი,
შეხვდა გაზაფხულს თვალის გახელით,
შვილის კალამით გამონაწრთობი.

იშვიათია... ანდა სად არის...
შენს განვლილ ბილიკს მზე დასთამაშებს,
კარგი ქალობა არის მთავარი,
ცას სიამაყით შეეთამაშე!.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

მილოცვა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრებო, გილოცავთ „ათინათის" ორმოცდამეშვიდე ნომრის გამოცემას.

რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2
*** გული შენი რწმენით ცოცხლობს
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
„ ჯვარცმა“ 3
„ ფერისცვალება“ 4
დეისუსი 4
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელი 5
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 6
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 7
სიკვეთის სხივით (მამა ამირან
ამირანაშვილს) 8
შევქმენ ჟურნალი 9

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 10
კახა ბაციკაძე 11
გიორგი ზუხბაია 12

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე 14
მაყვალა გონაშვილი 16
ირაკლი ნადარეიშვილი 18
თემურ გოგსაძე 22
ლია ვახტანგიშვილი 24
თეა ბარბაქაძე 28
დეზი ემანულიძე 30
დარეჯან მაჭარაშვილი 32
ლამზირა შეყილაძე 35
თამარ ნადირაშვილი 36
გერონტი მესხი 38
მარიამ ოქროპირიძე 40
ნელი საგინაძე 44
დავით ძნელაძე 46
ეკა ბუღაძე 49
ვერიკო პარწიკინაშვილი 50
იზა შუბითიძე 52
ნანა მეფარიშვილი 54
მანანა სამყურაშვილი 56
ნინო უძილაური 58
ხათუნა მითაგვარია 60
მაგული კორძაია 64
თინა სტეფლიანი 66
მზეგული ტყეშელაშვილი 70
მზია გომართელი 71
ნიკო იმედაძე 74
ეთერ ლობჟანიძე 76
ნიკოლოზ გოდერძიშვილი 78
თამარ ფირცხელაური 80
მაკა ახობაძე 83
თენგიზ ფანცულაია 84
მარეხი რიკაძე 86
ლია ალადაშვილი 88
თამრო ნიჟარიძე-გენელიძე 92
დალი ბანცაძე 96
მარი ჟღენტი 98
ნელი სანებლიძე 100
მზია ელიაძე 102
ლალი ორმოცაძე 103
მირზა ვარძუკელაშვილი 106
ეთერ ჭელიძე 108
მალვინა ჭელიძე 110
ირინა ხურციძე 112
მაგდა გოშნიაშვილი 114
მარი კუბლაშვილი 116
შორენა ჩხიკვიშვილი 117
ხათუნა ჩიტაძე 118
ლეილა ვადაჭკორია 120
მირანდა ზაბახიძე 122
ნატალია სამუშია 125
ვალუდა კვაშილავა 126
ნანა ცინცაძე 130
გიგი თეთრაძე 132
იზოლდა მოშიაშვილი 133
მთვარისა ზეინკლიშვილი 134
ნანა ჩარკვიანი 138
მამუკა ოჩიაური 140
ეთერ ისაკაძე 142
ლია კუპატაძე 145
თეა გურგენიძე 146
ქეთი ჯაში 148
ნანა გიგუაშვილი 150
ქეთი ცირეკიძე 153
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 156
ეთერ გაჩეჩილაძე 158
ივანე ლომსაძე 160
ელგუჯა ადეიშვილი 162
ცისანა გვრიტიშვილი 164
ლიანა კაკუბავა 166
ლალი სოხაძე 168
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 169

„შეიცან თავი შენი“

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 178

თარგმანები

Ratiani Lali 181
Aus Samebas Glockenturm. Fortsetzung

ხანგრძლივ განყოფილება

ლალი კახიძე 183
ცაგო აბაშმაძე 185

სრულვიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 190
მეუან ხარაიშვილი..... 191

პროზა

ელგუჯა მგელაძე..... 192
სერგი ლომაძე 201
ნელი საგინაძე..... 206
მაია ფეიქრიშვილი 209
გულიადა სანოძე 211
ირმა კეკელიძე 213
ლალი სოხაძე 217
ეთერ ჭელიძე 221
ირმა კეკელიძე 223
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 225
ნიკო იმედაძე..... 248

წერილები

ლუარა სორდია 249
სიყვარულშემოსილი
ნინო ახალაშვილის "ერთი ყვავილის გაზაფხული"
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე..... 253
შოგა!
Ratiani Lali..... 254
Semantik von Gegensätzen in Antithesen

ხიბრძნის ხვივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 256
გონების ზღვარზე. აზრები

შემეცნებითი ხამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 261
ბრალის თეორია

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 266
დავით ახლოური 270
გოჩა ჭელიძე 272

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, მარიამ კუპრაშვილი 279
კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მართვის მეთოდები, ბანკების ეკონომიკური ნორმატივები

ნორჩი ათინათელები

ნუცა ჩიტაძე..... 284
გიორგი ქენქაძე 285
ნუცა ელიაძე 287
მარიამ გოჯიაშვილი 288
ბარბარე ნუცუბიძე..... 289
დიანა ბენდელიანი 290

გახსენება

იზოლდა ხარაიშვილი 291
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 291
მაკა ნიუარაძე 295

მილოცვა

მადლობის ბარათი.....296

ავტორთა სასყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „დედა ღვთისმშობელი ყმით“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე — ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი,

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების
რედაქტორი: თენგიზ ფანცულაია — სამართალმცოდნე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი), დავით სხირტლაძე ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე — პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „საარი“